

История

1-2

1995

ვასტანგ ღლონტი

გაცვდნენ საუკუნენი მხსნელის მოლოდინში,
საუკუნოდ იძინებს უძველესი ჯიში.
საშომ შევინებულმა ღმერთი როგორ შობოს...
ღმერთო, რა ეშველება სამშობლოთი ობოლს?!
როგორც დიაცს დაცემულს, — ათრევენ და ყვლეფენ;
მხედარიც და ვაჭარიც ბოგანოც და მეფეც!

ველარც ლექსით გაფხიზლებ, ველარც ხანჯლით გიშველი,
(ყველა ბავშვი ბრძენია; ყველა მეფე — შიშველი!)

ერთი კაციც არა ჩანს, მრწმენი და უზადო,
ნათელს ჭეშმარიტების გზა რომ განუმზადოს,
ისევ ამპარტაუნების მივდგომივართ ფლატეს,
ამ ჩვენს მარადიულად ერთგულ მოღალატეს,
ისევ მშობლის საფლაგზე წარმართული როკვა,
რამაც ჩემი სამშობლო არაერთხელ მოკლა.

ველარც ლექსით გაფხიზლებ, ველარც ხანჯლით გიშველი,
(ყველა ბავშვი ბრძენია; ყველა მეფე — შიშველი!)

ისევ რომ გადაიხსნას სანუგეშოდ ზეცა,
ბრმანი, ბრმათა მოძღვარნი, ვით შევიცნობთ ღმერთკაცს.
ისევ რომ შეიკრიბოს საიდუმლო დასი,
ისევ გაიჩხრიალებს ვერცხლი იუდასი.
ისევ მივევრით ქალწულებს სისხლით გამტყვერალ
ლოთებს,
ისევ იწინამურებს, ისევ იგოლგოთებს.

ველარც ლექსით გაფხიზლებ, ველარც ხანჯლით გიშველი,
(ყველა ბავშვი ბრძენია; ყველა მეფე — შიშველი!)

გუნდი სირაქლემების ხმაშეწყობით გალობს:
„უენიქსივით აღვდგებით!“ — (აღდგომა და ზვალო!)
ვინ შეისმენს ქერივ-ობლის მოთქმასა და წუწუნს,
ჩაფრენიან კბილებით მომაკვდავის ტუძუს.
დაზვევიან დედის მკერდს მახრჩობელა გველად...
ყველა დამნაშავეა, ყველა, ყველა, ყველა!

ველარც ლექსით გაფხიზლებ, ველარც ხანჯლით გიშველი,
(ყველა ბავშვი ბრძენია; ყველა მეფე — შიშველი!)

ც ი ს კ ა რ ი

იანვარ-თებერვალი № 1-2

საქართველოს ვფერალთა კავშირის
სალიტერატურო და საზოგადოებრივ-პოლიტიკური
ყოველთვიური ჟურნალი

დაარსდა 1852 წ.

1852 წ.

ახალი სახელი 1957 წ.

1957 წ.

თბილისი

1995

შ ი ნ ა ა რ ს ი

გამოიღვიძე, ქნარო!

3. ფსალმუნები — გაგრძელება. ებრაულიდან თარგმნა ჯემალ აჯიაშვილმა

კოეზია და კროჯა

- 11. გივი ალსჯიშვილი — ლექსები
- 15. ზურაბ მუზაბერია — ბრწყინვალე ჩონჩხები. რომანი. გაგრძელება
- 51. მარინე რეუშლიშვილი — მფარალ გურამ რეუშლიშვილის ცხოვრება-შემოქმედებისათვის. გაგრძელება
- 74. ბალთერ არაბული — ლექსები
- 77. ზაზა თვარაძე — მოთხრობები
- 103. ამირან საბაჯი — ლექსები
- 105. ჯარჯი ფროვლი — ფურცლები. გაგრძელება
- 116. თენგიზ სვანაძე — ლექსები
- 117. ნანა ენუაია — ნოველები
- 127. ივა ჯაჭავაძე — ლექსები
- 129. ანტონ კულაბა — დიდი წვიმის სიმფონია. მოთხრობა

ახალი თარგმანები

- 145. ალექსანდრე კუშჩინი — ფაენი და მწყემსი გობონა. სურათები. რუსულიდან თარგმნა ბაბრატ ოდიშელმა
- 148. სვებლანა ალილუვაკ — წიგნი შვილიშვილთათვის. გაგრძელება. რუსულიდან თარგმნა ჯუმბარ თითბერიამ

უნივერსიტეტი — 75

153. გოგი ციციშვილი — გაუჩინარებული ისტორიის ფურცლები. გაგრძელება

წერილები

- 165. დავით მჟღელური — წანართი
- 175. ნონა კუპრეიშვილი — ნელი წვა ბრინჯაოს ფიტულში
- 185. ელენე დვინავაძე — გიორგი ლომონიძის „შიკაღლის პაემანის“ ინტერპრეტაციისათვის
- 189. ანდრო ბაღუაძე — უორით მოსული ჩამს გამულში...

მთავარი რედაქტორი
ზაურ კალანდია

სარედაქციო კოლეგია:
ბალთერ არაბული
ირაკლი ბაჯაძე

გიორგი ბაქანიძე
(მთ. რედ. მოადგილე)

ნოდარ გრიგალაშვილი
ლევან მაღალაშვილი
ელვა ვეტიშვილი
რევაზ მისთაქიანი
დავით მჟღელური
მამუკა სალუქვაძე
ზაურ სამადაშვილი
ზურაბ სამადაშვილი

ირაკლი სამსონაძე
გივი სულაკაური
იორაბ ქვედრელიძე
ჯანსუღ ღვინჯილია

ვახტანგ დლონტი
თეიმურ შავლაძე
ნუგზარ შატაძე
მანანა ჩიტიშვილი

ვაჟა ნორდელი
(პმ/გ მდივანი)

გიორგი ნოზელი
ედუარდ ჭელიძე
კოტე ჯანელიძე
ჯანო ჯანელიძე
აკაკი ჯონაძე

მორივე რედაქტორი
ელვა ვეტიშვილი

ფსალმუნები

ფსალმუნი 39

ლოტბარისაღვი. იეფთუშს. დავითის ფსალმუნი.

2. ვიზრახე გულში: დავიცავ ჩემს გზებს,
 ბ. გეებს ჩემსას განვარიდე უსჯულობას
 და საყბურით ავიკრავ სახეს, —
 ვიდრემდე ჩემს წინ
 უკეთურობს ბოროტმოქმედი.
3. დაფრუელი მე და დავიხშე ენა, თვით სიკეთესაც
 განვუდექ მდუმრად
 და ამეტყველდა ტკივილი ჩემი.
4. და გული ჩემი აღენტო ჩემში,
 ცეცხლის სახმილში გაეხვია
 ჩემი გულისთქმა
 და ბაგეს ჩემსას აღმოხდა გმინვა:
5. უფალო, გესავ,
 აღსასრული მაუწყე ჩემი,
 მამცნე სიმრავლე დღეების ჩემის,
 ჩემი ცხოვრების უხანობა გამიცნაურე.
6. ჰა, მტკაველ-მტკაველ მოგიზომავს
 ჩემი ცხოვრება,
 თუმც წელთა ჩემთა ხანდაზმულობა,
 უფალო,
 შენს წინ შეიქცევა არარაობად
 და ემსგავსება ამაოებას ძეხორციელი
 არსი ყოველი.
7. დაიძურწება აჩრდილივით
 ადამიანი,
 მაგრამ ფუჭია
 ყოველგვარი მისი წუხილი,
 დაიუნჯებს და არავინ უწყის,
 ვის მიეზღვება ნაჯაფი მისი.
8. აწ კი, უფალო, მოველი ვიღას? —
 ისევ და ისევ ვსასობ შენით.
9. მიხსენ ყოველთა ბრალთაგან ჩემთა,
 ნუ გამიმეტებ
 უგუნურთა შესალანძლავად.

10. დავმუნჯდი მე და
 დავიხშე ენა, —
 ამგვარი იყო ქმედება შენი.
11. განაძე ჩემგან სასჯელი შენი,
 მარჯვენის შენის
 ძლიერებამ დამაუძღურა.
12. და თუ კაცთაგანს შენი მხილებით
 განსჯი, უფალო, თავისივე უღმერთობისთვის,
 დადნება — როგორც მდილისაგან —
 მისი მშვენება:
 აჰა, ესერა, ამაოა კაცი ყოველთ.
13. აწ ლოცვას ჩემსას მოაბყარ სმენა,
 მოაყურადე
 ვედრებას ჩემსას,
 ნურც ცრემლებს ჩემსას წაუყრუებ,
 უფალო ჩემო!
 მე ხომ შენთან ვარ შეხიზნული
 მწირად და მსხემად,
 როგორც ოდესღაც მამანი ჩვენნი.
14. განდექი ჩემგან,
 ვინძლო მოვმაგრდე, —
 რომ უშფოთველად გავერიდო აქაურობას
 და აღარ მოვდეგე აღარაოდეს.

ფსალმუნი 40

ლოტბარისადმი. დავითის ფსალმუნი.

2. მსასოფარი შევთხოვდი უფალს, —
 გადმომხედა და
 შეისმინა ჩემი ვედრება.
3. ამომარიდა დატბორილ ხაროს,
 ტალახს და მწვირეს,
 კლდეს შეუყენა ჩემი ტერფები
 და განამტკიცა ნაბიჯი ჩემი.
4. პირში შთამბერა ახალი ქება განსადიდებლად
 ჩვენი ღმერთისა,—
 მოიხილავენ მრავალნი და
 მოიშიშებენ
 და უფლისადმი
 სასოებით მიიქცევიან.
5. ნეტარ არს კაცი — მოსავი უფლის,
 ვინც არ მიელტვის ცუდმედიდურებს,
 არც სიყალბისკენ პირშექცეულებს.
6. მრავალ არიან საქმენი შენნი, ღმერთო ჩვენო და
 უფალო ჩვენო,
 და ჩვენსა ზედა გარდმოუღუნილი
 ზრახვანი შენნი,
 შენმიერი სასწაულები, —

- აწ რომელია სადარი შენი?
 ვიტყვოდი ყოველს, ვიენებდი, —
 მაგრამ საოქმელი
 აღსარიცხავად ღია ძნელია.
7. მსხვერპლი და ძღვენი შესაწირი
 შენ არ ისურვე,
 გამიმახვილე ყურები სმენად,
 და მსხვერპლი — ცოდვის განსაკითხავი
 და ძღვენი ყოვლად-აღსავლენი
 არა ინდომე.
8. მაშინ აღმოვთქვი: აჰა, მოვსულვარ, წიგნის გრაგნილი
 დაღაღებს ჩემზე.
9. მწადს, ღმერთო ჩემო, აღსრულება საქმეთა
 შენთა
 და სჯული შენი დამიდევს გულში.
10. ვიმახარობლე სამართალი
 დიად კრებულში,
 არ შემობოჭავს ბაგენი ჩემნი, — უფალო ჩემო,
 თავადაც უწყვი;
11. და არცა გულში დამიმარხავს შენი სიმართლე,
 შენს სიწრფელეს და
 მაცხოვრობას განვაცხადებდა,
 შენი მაღლი და ჭეშმარიტება არ მიმიჩქმალავს
 დიად კრებულში.
12. არ გამინელო შენმიერი გულმონწყალება:
 უფალო ჩემო, წყალობა შენი
 და შენეული ჭეშმარიტება
 მფარველად მექმნეს აწ და მარადის!
13. რადგან უზომო ბოროტებამ გარემომიცვა,
 წამომეწივნენ ცოდვანი ჩემნი და დამიმძიმდა
 მოხილვა მათი, —
 უმეტეს იყვნენ, ვიდრე თმანი ჩემსავე თავზე
 და გული ჩემი განმიდგა ძრწოლვით.
14. უფალო ჩემო, მოისურვე გამოხსნა ჩემი,
 ისწრაფე ჩემდა შესაწევნად,
 უფალო ჩემო!
15. დე, გაწბილდეს და შერცხვეს ყოველი,
 რომელი ჩემს სულს ეძიებდეს შესამუსრავად,
 უკუიქცეს და
 ბრალეული იარებოდეს
 ჩემი მტერი და ავისმზრახველი.
16. დე, შეადრწუნოს თავისივე სირცხვილ-აუგმა,
 ვინც ნიშნისგებით მეუბნებოდა:
 „აჰა, ესერა —
 ვაშა და ვაშა!“
17. იხარებდნენ და
 იშვებდნენ შენით,
 ვინც მოგიძიებს, უფალო ჩვენო,

მაცხოვარების შენმიერის მოყვარულები
 ხმობდნენ მარადის:

„ღიდ არს უფალი!“

18. მე კი მარტოდენ გლახა ვარ და
 ღარიბ-ღატაკი,
 უფალო ჩემო, იღვაწე ჩემდა!
 ჩემი მხსნელი და მფარველი შენ ხარ, —
 ნუ დაახანებ, მეუფე ჩემო!

ფსალმუნი 41

ლოტბარისადმი. დავითის ფსალმუნი.

2. კურთხეულია დაერდომილის თანამღმობელი,
 გაჭირვების ჟამს იხსნის უფალი.
3. მას შეეწევა მეუფე მისი
 და გაუგრძელებს სიცოცხლის დღეებს,
 დიდებამორჩმით დაუშკვიდრებს ქვეყნიერებას,
 არ გარდააგებს მოშუღართა ნება-სურვილზე.
4. სნეულებათა სარეცელზე განაძლიერებს
 აღონაი და გამჩენი თვისი
 და საღმობიდან უკუაქცევს
 სარეცელს მისას.
5. მე კი აღმოვთქვი: შემიწყალე, უფალო ჩემო,
 განკურნე ჩემი სნეული გული,
 შენ შემიწყნარე, რამეთუ გცოდე.
6. ჩემი მტრები კი
 ჩემდა მომართ ბოროტს იტყვიან:
 „ნეტავი როდის აღესრულება
 და განქარდება სახელი მისი!“
7. თუ ვინმე მოვა მოხილვად ჩემდა, —
 ბოროტს იტყვის და
 უსჯულობას იუნჯებს გულში,
 გარეთ გავა და უღმერთოდ ყბედობს.
8. და ჩემი მტრები — ყველანი ერთად — ჩემს წინააღმდეგ
 ჩურჩულით ბჭობენ
 და ჩემთვის ბოროტს განიზრახავენ:
9. „უბოროტესმა სნეულებამ
 დარია ხელი,
 და რაკი დაწვა დასაძინებლად,
 ვერ წამოდგება ვედაროდეს“.
10. ჩემთან მშვიდობის მოსურნემაც კი,
 ვისზედაც ვიყავ სასოებით გულდანღობილი,
 ვინც პურსა ჩემსა გულმშვიდად სჭამდა, —
 ჩასაწიხლავად გამიგო ფეხქვეშ.
11. შემიწყალე და
 შემეწიე, ჩემო უფალო,
 რომ საზღაური მივაგო ყველას.

12. მე უკვე ვუწვი: გეტნევი ამოდ,
არ გაახარებ მოშულარს ჩემსას.
13. შენ შემეწევი ჩემეული სიწრფეობის წილ,
წინაშე შენსა
დამამკვიდრებ უკუნისამდე.
14. კურთხეულ იყოს
უფალი ღმერთი ისრაელისა,
აწ და მარადის —
ამენ და ამენ!

ფსალმუნი 42

ლოტბარისაღმ. მოძღვრება. კორახის ძმთათვის.

2. როგორც ირემი ანკარა წყაროს,
ასე მოგელტვის სული ჩემი,
უფალო ჩემო!
3. ახარებს ჩემს სულს წყურვილი ღმერთის —
უკვდავი ღმერთის,
ძლიერი ღმერთის,
როდის მოვალ და
წარმოვჩნდები უფლის წინაშე!
4. დღისით და ღამით მაპურებდნენ ჩემი ცრემლები,
რომ დამძახოდნენ ყოველჟამიერ —
სად წავიდაო მეუფე შენი!
5. გაეხსენებ და
სული ჩემი გადმოიდვრება, —
როგორ ვიღოდი ათასების საკრებულოში
და მათთან ერთად შევედიოდი საღვთო ტაძარში
და მოზვიმე გუნდებთან ერთად
ქება-დიდებას აღვავედნდი
მხიარულ ხმებით.
6. რად დაღვრემილზარ, სულ ჩემო,
რატომ დამკვნესი?
მიენდე ღმერთს და
განვადილოთ კვლავინდებურად
მაცხოვარი და
მეუფე ჩვენი.
7. ო, ღმერთო ჩემო,
სული ჩემი შეძრწუნდა ფრიად,
ამად გიხსენებ ქვეყნისაგან იორდანისა
და ზერმონისა,
მიცარის მხრიდან.
8. ეხმიანება უფსკრული უფსკრულს ქვე გადმომსკლარი
ნიაღვრის ხმებით, —
შენმა წყლებმა და
ღვარცოფებმა გადამიარეს.

9. დღისით წყალობას გარდმონსჯელს
უფალი ჩემი
და ღამით —
საღვთო საგალობლებით
ჩემი ცხოვრების ღმერთისადმი აღვაყენ ლოცვას.
10. და ვეჭყვი:
ჩემო სიმტკიცეო, რატომ განმიდექ,
რად დამატარებ შევიწროებულს
და შეჭირვებულს მტერთაგან ჩემთა?
11. მუსრადნენ ჩემს ძელებს ჩემი მტრები და
ნიშნისმოგებით მაყვედრიდნენ ყოველდღიურად:
„გვარქვი, სად არის მეუფე შენი?“
12. რად დაღვრემილხარ, სულო ჩემო,
რატომ დამკვნესი?
მიენდე ღმერთს
და განვადიდოთ კვლავინდებურად
მაცხოვარი და
მეუფე ჩვენი.

ზსაღმუშაბი 43

1. მსაჯე, ღმერთო და
ჩემეული განსაკითხავით
გაასამართლე უღმერთო ხალხი,
ცუდმედიდური კაცისგან მიხსენ!
2. რადგან შენა ხარ ძალმოსილი ჩემი მეუფე,
რისად ღამთმე და
მწუხრეული რატომ დაკვივარ
და მტრებისაგან შეჭირვებული?
3. გარდმოავლინე შენი ნათელი და შენმიერი
ჭეშმარიტება, —
შენს წმინდა მთაზე აღსაკვლენად წარმიძღვებიან,
შენს სავანეში დამამკვიდრებენ.
4. მე მოვალ ღმერთის საკურთხეველთან,
ჩემი შვების და სიხარულის
ღმერთს წარუდგები
და ჩემი ქნართი შეგასხამ ხოტბას,
ღმერთო ჩემო და
მეუფე ჩემო!
5. რად დაღვრემილხარ, სულო ჩემო,
რატომ დამკვნესი? —
მიენდე ღმერთს და
განვადიდოთ კვლავინდებურად
მაცხოვარი და
მეუფე ჩვენი.

ფსალმუნი 44

ლოტბარისადმი. კორახის ძმთათვის. მოძღვრება.

2. ღმერთო,
 ჩვენ თვითონ გავიგონეთ ჩვენი ყურებით,
 ჩვენმა მამებმაც მოგვითხრეს ამბად, —
 რა საქმეები მოიმოქმედე
 მას ჟამსა შინა,
 უწინდელ დროში.
3. როგორ განდევნე წარმართები
 შენი მარჯვენით,
 მერე ხელახლა დანერგე როგორ,
 ერები უკუშიაქციე
 და მიმოფანტე.
4. არცა მახვილით დაიმკვიდრეს ქვეყნიერება,
 არც მკლავის ძალით დაიხსნეს თავი, —
 არამედ მხოლოდ შენი მკლავით,
 შენი მარჯვენით
 და შენი სახის სხივით და
 ნათლით,
 რადგან შენ თვითონ გესათნოვა ყოველთაგანი.
5. ღმერთო,
 შენა ხარ მეუფე ჩემი,
 შენ ერთმა ბრძანე
 შემწეობა იააკობის.
6. შენს გამო ჩვენს მტრებს შევმუსრავთ რქებით,
 ჩვენს წინააღმდეგ ამხედრებულებს
 შენი სახელით გავთელავთ ფეხქვეშ.
7. რადგან არც მშვილდი მეიმედება,
 არც სატყვარი დამიხსნის ჩემი.
8. შენ დამიხსენი მტერთაგან ჩემთა
 და მოაყიენე მოძულე ჩემი.
9. გვეამაყება დღენიდავ ხსენება ღმერთის
 და სახელს შენსას განვადიდებთ
 უკუნისამდე.
10. მაგრამ დაგვთმე და
 დაგვიტყვე მოსაყიენებლად,
 აღარ მოუხველ მხედრობას შენსას.
11. უკუგვაქციე მტერთაგან ჩვენთა,
 მოძულეთაგან განძარცული დავიარებით.
12. ცხოვართა მსგავსად
 გაგვიმეტე შესამუსრავად,
 წარმართებს შორის მიმოგვაბნიე.
13. შენ ერი შენი უსასყიდლოდ გაანიავე,
 არ ვიზრუნია
 საფასურის დასაუნჯებლად.

14. ახლობელთათვის
სასაცილოდ გადაგვაქციე,
სალანძღავად და გასაკიცხად —
ირგვლივ მყოფთათვის.
15. იგავად გვზადე
წარმართების საკრებულოში
და თავის გამქნევ-გამოქმენვეად —
უცხო ტომებში.
16. ყოველჟამიერ
თვალწინ მიდგას ჩემი აუგი,
სირცხვილეულის სამოსელი მიფარავს სახეს —
17. ხმათაგან ჩემთა მოძულეთა,
ძვირისმეტყველთა,
შურისმგებელთა, მოშულელთა ქმედების გამო.
18. ეს ყოველი გარდმოხდა ჩვენზე:
არ დავივიწყეთ, უფალო, მაინც,
არ ვეცრუენით აღთქმასა შენსა.
19. არც ჩვენი გული უკუქცეულა,
არც ფერხნი ჩვენნი განდგომილან
შენი გზისაგან, —
20. ბოროტეულთა საბუდართან ოდეს შეგკეპუსრე,
გადაგვაფარე სიკვდილის ჩრდილი.
21. თუ დავივიწყეთ სახელი ღმერთის,
უცხო კერპისკენ მივდრიკეთ ხელი, —
22. გვაზღვევინებს და
მოგვეკითხავს ღმერთი,
რადგან მან უწყის საიდუმლო ჩვენი გულისა.
23. ხოლო
ჩვენ შენთვის გვაკვდინებენ ყოველდღიურად
ვართ შერაცხილი სამსხვერპლო ცხოვრად.
24. აღდექ, აღიძარ, დააგდე ძილი:
გამოიღვიძე, უფალო ჩვენო, ნუ განგვიდგები
უკუნისამდე.
25. რატომ მიიქცევ ფარულად სახეს?
რატომ ივიწყებ, ხელთაღმპყრობელო,
შეჭირვებას და
საღმობას ჩვენსას?
26. აჰა, დამდაბლდა
სული ჩვენი და
მიწას განერთხა სტომიქი ჩვენი.
27. აღიძარი და
მეოხად გვექმენ
და შენმიერი მოწყალებით გვიხსენ,
უფალო!

(გაბრძემება იძნება)

გივი ალხაზიშვილი

●
მეგონა დაგეძალე, გაგეძევი,
გადავიწყე...
შენ კი თურმე თანმდევ ყველგან
დღისით და ღამით.

რა ვიცოდი თუ მოხვიდოდი,
მოულოდნელად მუსიკას თუ
შემოჰყვებოდი.

შენ ასე უფრო მშვენიერი ხარ,
წარმოსახვათა ბინადარო,
მუსიკაში ჩამალულ
და სიტყვებში გარინდებულ.

ზიზი

ქვების დუმილის მეშინია,
ცივი დუმილის
და ხავსის ხელის მეშინია,

მცოცავი ხელის,
სიტყვებისა მეშინია,
ლოღებში რომ ჩაქვავებულან.

●
აზღაც ჩამესმის წმიდა გიორგის
ეკლესიის
ზარების ექო
და ჰაერიც, ჰაერიც კი
იმდაგვარი რიდით ივსება,
თითქოს პირჯვრის გადასახვა —

ხელის კი არა,
სულის, სულის უნებლიე მოძრაობა.
...
როგორ ცხოვრობენ იქ,
ზარის ხმა სადაც არ აღწევს?!

ერთი წლის შედეგ...

ნულარ შემოხვალ ჩემს ღამეში,
ნულარ შემოხვალ,
იქ ვარსკვლავები,
როგორც ასკილის ყვავილები,
იმზირებთან
და ისე ფაქიზ სურნელს აფრქვევენ,
რომ ცასაც უკვირს

საკუთარი უსასრულობა.
აღარ დაბრუნდე,
ოცნებებშიც აღარ დაბრუნდე
და სიზმარშიც აღარ დაბრუნდე.
მე შევეჩვიე უშენობას
და სინანულის მშვენიერებას.

ნუ იხედები, სარკის იქით სხვაგვარი
 ცაა...
 შენ უნდა ცრემლის ყვავილები გენთოს
 თვალებში
 და ღამდამობით მალულად კრეფდე.
 ნუ გამოაჩენ ნამდვილ სახეს,
 ნუ გამოაჩენ

და გულის ბზარში ჩაბუდებულ
 ჯაურის ობობას
 მარტოობის აბლაბუდა მოაქსოვინე;
 იქ იცხოვრე, იმ უთქმელი სიტყვების
 ცეცხლში
 იფარფატე ფარვანასავით.

ისე დაშორდა საკუთარ თავს,
 რომ წარსულსაც ვეღარ იხსენებს,
 აღარც კი იცის, სინამდვილეში ვინაა:

ის, ვინც წინათ არსებობდა —
 თუ ის, ვინც ახლა
 იმზირება აწმყოს ჟანგიდან.

პარიონეტების თეატრი

ეს ყოვლისმცოდნე თოჯინები,
 მწიგნობარი თოჯინები,
 მოლაყბე თოჯინები,
 ქედმაღალი ბრიყვები,
 ცრუპატრიოტული სპექტაკლის
 პერსონაჟები —

როგორ იცინიან, როგორ ფუსფუსებენ,
 როგორ სძულთ, როგორ დახტიან —
 კაენის ოცივე თითზე,
 და კიდევ რომელიღაც თითზე
 უხილავი ძაფებით გამობმული.
 ეს ყოვლისმცოდნე თოჯინები.

ამ სიძულელიში, ამ უსაზღვრო
 ბოროტებაში
 მიკვირს, ბალახი რომ ამოდის,
 ყვავილები რომ იშლებიან,
 მზე რომ ისევ გადმოხედავს
 შურის ჭაობით აღსავსე თვალებს,
 სისხლიან ხელზე რომ გადაირბენს
 უმანკო სხივი,
 სიცრუის ხავსში ნიავი რომ
 გაიშრიალებს.

რა უნდათ აქ,
 სადაც გველებივით დასისინებენ
 სიტყვები,
 სადაც ჰაერიც აღარ დარჩა შეუბღალავი,
 სადაც მშვიერი ბავშვის თვალებში
 ბჟუტავს ნათელი,
 ვით მარგალიტი ტანჯვით შობილი.
 რა უნდა აქ ბალახს,
 ვარსკვლავს, სიმღერას ან ამ მდინარეს,
 სიძულელიის და გულგრილობის
 ვრცელ უდაბნოში?!

გახსოვს, რამდენჯერ გამოიცვალე
 ქმარი თუ საქმრო, როგორც ნ...ვი,
 ამასობაში რაღაც ისწავლე
 და პოლიტსაქმეს ხელი მიჰყავი.

სიყრმე იტკინა ბევრმა ულაყმა,
 ვინც გადავირჩა, დღესაც მხნედ არის,
 შენ იშვიათად წვეხარ გულაღმა,
 რადგან ბუნებით შენ ხარ მხედარი.

დიდია შენი გამოცდილება,
 პროფესია კი ერთობ ქალური,
 ისევ გიზიდავს ძველი დილემა
 და სურვილები ვერტიკალური.

ფიქრობ, ცრუ სიტყვით ვინმეს
 მოარჩენ,—
 სიცრუით არვინ განიკურნება.
 გთხოვ, ნამდვილ სახეს ნუ გამოაჩენ,
 რომელიც ღვთისკენ არ იყურება.

ასკილის ყვავილი

შენი ტუჩები ასკილის ყვავილს მაგონებდნენ...

ტყის პირას იდგა ასკილის ბუჩქი — კონცისფერი ყვავილებით
 დამშვენებული. შენც იქვე იყავ, მაგრამ მაინც მენატრებოდი...

დიდი ხნის მერე, დღეს ისევ შემხვდი — მოტეხილი, გაც-
 რეცილი, სხივდაშრეტილი. შენი ტუჩები — წიგნში ჩარჩენილ
 ყვავილივით ფერგადასული, აჩურჩულდა მძიმე ყოფაზე. შენი
 სიტყვები აღარ დაფრენდნენ, მწერებივით ძლივს დალოდავდ-
 ნენ ტანსაცმელზე, კუბონებზე, ავტობუსის სახელურებზე.

მე გაგახსენე ის გაზაფხული, ასკილი რომ ჰყვოდა ტყეს-
 თან, ისე ჰყვოდა, თითქოს მღეროდა... მე გამოვადე შენი ზსოვ-
 ნის ბნელი დარბაზი — იქ შენს ღამეებს თვალცრემლიან სი-
 ნესტეში ჩაბუდებულებს უგროვებიათ ოცნებათა ექსპონატები,
 იმ წყვიდადში იღანდება მოყვავილე ასკილის ტოტი, როგორც
 სარკმელში ვარსკვლავებით მოჭვდილი ცა...

მოგონებათა მუზეუმის ღამის დარაჯო, რა საბრალო და
 უმწეო ჩანდი დღის სინათლეზე, აწმყოს მკლავებში გამოძწყე-
 დეული, რა უაზროდ აწვალეზღი მეტროს ჟეტონს ნაჯაფ თითებ-
 ში, როგორც გასაღებს ნაცრისფერი ერთფეროვნების.

კველი სასლი

ისე მძაფრად ვგრძნობ ძველი სახლის ბინადართა წარმა-
 ლობას, რადგან მახსოვს ამ სახლიდან ფეხაკრეფით გაპარული
 წინაპრები, რომელთა სურათები ჯერ კიდევ ამშვენებენ კედელს.
 რომელთა ნათითურები ჯერ კიდევ ახსოვთ თიხის ჯამებს,
 გრძელკისერა ჭინჭილებს, და ძველ სარკეს თუ დაჟინებით ჩა-
 ვაცქერდები, სარკის სიღრმიდან მათი თვალებიც ამოაშუქებს,
 მათი ღიმილიც გაიელვებს მოულოდნელად, მათი სიტყვებიც,
 ძველი ოთახის ჰაერში რომ განზავებულან, უნებლიეთ გაცოცხ-
 ლდებიან, და მათი სიტბო, მათი სუნი — ძველ სახნებში და ტან-
 საცმლის კარადებში ჩაგუბებული — ისე მკაფიოდ აღადგენენ
 ბავშვობის დღეებს, მენვენება, რომ წარსულსაც საკუთარი მო-
 მავალი აქვს.

კედელი

ასე გამიჯნული არასოდეს ყოფილა ჩემგან (იქნებ ჩემში?!).
 ყოველივე, რაც მასთან მაკავშირებს, ცალკეა, სხვაგანაა, ვე-
 ბერთელა ნაცრისფერი კედლის იქითაა.

აღარაფერი მოჩანს, აღარაფერი...

დრომ ააშენა ეს კედელი, თან ისე ჩუმად, შეუმჩნევლად.
 რომ ერთხელაც, მისკენ გავიხედე და ვეღარ დავინახე, ვეღარც
 გავიხსენე — თვალწინ აღმართულიყო ბეტონის მაღალი, ნაც-
 რისფერი კედელი.

დრომ იცის, სად და როდის ააშენოს დავიწყების კედელი; დრომ იცის, როგორ დაფაროს ეს კედელი მარჯმწვანე სურთით, რათა დავიწყების სიცივე როგორმე შენიღბოს.

ეკოლოგიური დარდი

მიჰყავდა ნიავეს ცეცხლი ბალახის ჩალისფერ სიღრმეში. იწვოდა გადამხმარი ველი, ცეცხლი მღეროდა სიხარულისგან, თამაშ-თამაშით წინ მიიწევდა.

აღარ გამოჩნდება ჩემი ფანჯრიდან ხმელი ბალახის მზისფერი სიმშვიდე. გადატრუსული მიწა იმ დედაკაცის სულს დამგვანება, ცეცხლს რომ მისცა შემოდგომის მშვენიერება.

აღარ შემოაღწევს ჩემს ოთახში ღამის ჭრიჭინების — უხილავი პიკოლოების, უჩინარი ვიოლინების, ნალვლიანი ალტების უსაყვარლესი სიმღერები, — ვარსკვლავების და მთვარის თანხლებით რომ ასრულებდნენ.

სწორედ ამ ველზე, ამ სივრცეში რომ გაისმოდა, როგორც უხსოვარ წარსულის ექო.



სურათ ქუბაბრია

ბრწყინვალე ჩონჩხები

რომანი

— მბრძანებელი მობრძანდა! — ხმა და-
ირხა სასახლეში დინგ დოს ბეთქილაპუ-
რის მთიანეთში მორავი ვოიაჟის შემ-
დეგ.

დადლილი და საურას არმოსვლით
(„ბეთქილაპურის პატარძალმა“ შემოუთ-
ვალა, უქეიფოდ ვარო) უკმაყოფილო
დინგ დო თავის ოთახში ჩაიკეტა. ასეთ
დროს მთხოვნელებს ითხოვდნენ, მომსა-
ხურე პერსონალი ფეხაკრეფით დადიო-
და და ჭრელი ჩიტებიც კი ჩურჩულით
ჭიჭიკიჭე გადადიოდნენ.

ამაზმა ისარგებლა სასახლის მკვიდ-
რთა მისდამი კეთილგანწყობილებით,
დაუთას მოსაცდელიდან შეუმჩნევლად
გაიპარა და ვითომ ლოდინისგან დაღ-
ლილმა დერეფნებში დაიწყო სიარული.
იგი ნელ-ნელა მიიწეოდა იქით, სადაც
მბრძანებლის სავანე ეგულეობდა. „აქ
რა გინდაო“, ვინმეს რომ ეკითხა, „გზა
ამერია ამ დერეფნებში, თქვენი ჭირი-
მეთ, აქედან გამოიყვანეთო“, შეეხვეწებო-
და. ეგ არაფერი, მთავარი იყო, ყოველ
ნიშას ამოფარებულ გუშაგებს არ შეემ-
ჩნიათ მისი განზრახვა. ნიშებს რომ მიუ-
ახლოვდა, ჯიბიდან საგანგებოდ ამ შემ-
თხვევისათვის გაწვრთნილი თეთრი ვირ-
თაგვა ამოიყვანა, თავზე ხელი გადაუსვა
და დარაჯების მიმართულებით გააგდო.

ვითხის დანახვაზე გუშაგებმა შუბები
კედელზე მიაყუდეს და ცხოველს დაე-
ღვენენ.

ამაზმა ამით ისარგებლა და პირდაპირ
მბრძანებლის აპარტამენტებთან ამოჰყო
თავი.

აქ მას უკვე გაწვრთნილი ვირთაგვა
კი არა, ეშმაკი ვერაფერს უშველიდა,
დინგ დოს რომ სძინებოდა.

მაგრამ მბრძანებელს არ ეძინა!

„სიფხიზლის რაზმის“ ყველაზე მამაც-
მა შემორებმა ელვის სისწრაფით მოიმ-
წყვდიეს ამაზი ალყაში.

— მე დაუთას თანაშემწე ვარ! — განაც-
ხადა მან.

— ვიცო, ჩუმად! — დაისისინა ადგილ-
ზე უცებ გაჩენილმა კინკამ და დამცინა-
ვად დაამატა, — ყოფილი თანაშემწე, ამ-
ჟამად ნავსადგურის საბაჟოს უფროსი,
თანაშემამულე ამაზი! არა მგონია, ღირ-
სეულ დაუთას თქვენთვის მბრძანებლის
მუედროების დარღვევა ებრძანებინოს!

ამაზი მიხედა, რომ საქმე ცუდად მი-
დიოდა.

— და მაინც, მე აუცილებლად უნდა
ვნახო მბრძანებელი!

— ჩუმად-მეთქი, — ავად მოჭუტა თვა-
ლები კინკამ.

— არ გაეწმედები! — მოულოდნელად
დაიყვირა ამაზმა, რადგან იგრძნო, რომ

სწორედ ეს იყო მისი ერთადერთი საშველი.

რაზმელებმა იმწამსვე პირზე ცხვირსახოცი ააფარეს დაკავებულს, მაგრამ ამ დროს ერთი შეუმჩნეველი პატარა კარი გაიღო და ამ სცენის მოქმედ პირთა თვალწინ თვით მბრძანებელი დინგლო წარმოჩინდა.

— ჩემი ბრალია, დიადლო მბრძანებელო, ყველაფერი. — თავი ჩალუნა კინკამ, — ვერ მოვასწარით ვმაწვილის მოგუდვა, სანამ ყვირილს ატეხდა.

— ეგ არაფერია, მაინც არ მეძინა. თქვენ კი, თანამემამულე, — ცივად თქვა მბრძანებელმა, — უნდა იცოდეთ, რომ ჩემი კარი დიაა ყოველი მოქალაქისათვის, ოღონდ წინასწარ ჩაწერით! ამ რიგში გამონაკლისი არ არსებობს!

— ვიცე, მბრძანებელო, მკვრამ...

— არავითარი „მკვრამ!“ გაიყვანეთ.

დინგლო შეტრიალდა და თავისი ოთახისაკენ გაეშურა. მან იცნო დაუთას ყოფილი თანაშემწე. ერთი მისი სიტყვა, რაღა თქმა უნდა, საკმარისზე მეტი იყო ჭაბუკის გასათავისუფლებლად, მაგრამ მბრძანებელი ლამაზთვალეა და ტანად ვმაწვილებს არ ენდობოდა.

— მაშინ მე კინკასთან უნდა გამემხილა თქვენთან აუდენციის მიზანი. ეს კი არ შემეძლო! — ამაზმა უკანდასახევი ყველა გზა მოიჭრა.

— ვითომ რატომ? — დამცინავად აიბზუა ტუჩი მბრძანებელმა.

— ახლაც ვერაფერს გეტყვით სხვათა გასაგონად, თუნდაც ვერონიკას აუზში ადამავდოთ.

— თქვენ თუ გგონიათ, ძალიან შორს იდგებით იმ აუზიდან, ძალიან ცდებით! — ისე თქვა დინგლომ, რომ ამაზს ტანში გააურჟოლა. — კარგი, შემოუშვით ჩემთან, ენახოთ, რა აქვს სათქმელი.

რაზმელებმა თავიდან ფეხებამდე განხრიკეს ამაზი და მბრძანებლის მოსასვენებელში მიაბრძანეს.

ფუფუნებას დაჩვეული ამაზი შესვლისთანავე დარწმუნდა, რომ ხმები დინგ

ლოს ოთახის უბრალოებაზე სინამდვილეს ზედმიწევნით შეეფერებოდა.

თეთრად შებათქამებული კედლები.

წიგნებით დახუნძლული თაროები.

საწერი მაგიდა.

ვიწრო საწოლი.

სკამები.

ეს იყო და ეს!

და მაინც, ამაზმა იგრძნო, რომ ეს არ იყო მთავარი. ამ ოთახში სასახლის საერთო დაძაბულობა ასკეცად იზრდებოდა, ჰაერი თითქოს ძლიერი ელექტრომუხტებით იყო დატენილი. და აქ ფუფუნებაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია, უადგილო და მდაბიური აღმოჩნდებოდა.

ამაზს ღელვისა და აღფრთოვანებისაგან გული უფართხალებდა.

ახლა, ამ წუთში მას ყველაფერი დასაშვებად მიაჩნდა. მთავარი იყო, მბრძანებელს დაეჯერებინა მისთვის და ვინ იცის, მომავალში იქნებ დაუთას ადგილას თვითონ იგი წამოსუკუბულიყო!

— დაწყნარდით და თქვით, რა გაქვთ სათქმელი.

— მბრძანებელო, წინასწარ უნდა შეძინდოთ, ჩვენი საერთო სალოცავის — ბეთქილაპურის ბრწყინვალე მომავალზე ზრუნვა მაიძულებს ვილაპარაკო სიმართლე და მხოლოდ სიმართლე, თუნდაც იგი ქვეყნის ყველაზე ძლიერ და აღზევებულ პიროვნებებს შეეხებოდეთ!

— დაუთა?! — ვითომდა წამოცდა დინგლოს და ნაჩქარევად დაამატა, — ეგ როგორ გაეფიქრე! ჩემი ძველისძველი, ღირსეული თანამებრძოლის მისამართით გასროლილი როყიო სიტყვა ჩემს გულს ზედება ტყვიად!

ამაზმა მკვირცხლად გაიაზრა, რომ საქმეს სასიკეთო პირი უჩანდა.

— მე ძინდოდა...

— გასაგებია! — შეაწყვეტინა მბრძანებელმა, — ლაპარაკში ბევრი აზრი იკარგება. თუ თქვენ, როგორც ჭეშმარიტ პატრიოტს, რაღაც მნიშვნელოვანი გაწუხებთ, დაწერეთ წერილი ჩემს სახელზე, მოაწერეთ „ვერონიკა“ და კინკას ჩააბარეთ. ახლა კი საქმეს მიხედეთ, თქვენ,



როგორც ვიცი, საკმაოდ საპასუხისმგებლო მოვალეობა გაკისრიათ.

— მბრძანებელი!

— კარგად ბრძანდებოლეთ!

იღბლად გადარჩენილი ამაზი შინ მისვლისთანავე მაგიდას მიუჯდა და უზარმაზარი არზა გააშანშალა. ეს იყო დაწვრილებითი ანგარიში ევრაზიაში გატარებული წლებისა და საქმეების შესახებ. უნდა ითქვას, რომ წერილი ერთი მომენტის გამოკლებით, სრულიად რეალურ ფაქტებზე დაყრდნობით იყო დაწერილი. ის მომენტი კი იმაში მდგომარეობდა, რომ ზოგჯერ „დაუთას“ ნაცვლად „ამაზი“ ეწერა და პირიქით. მბრძანებლის რჩევის თანახმად ამ დოკუმენტს ბოლოში „ეკრონიკა“ მიაწერა და მეორე დილასვე ჩააბარა კინკას.

XVII. ჯალათებო, სწორდით!

ეს ამბავი ბეთქილაპურში უკანასკნელად დიდი, დიდი ხნის წინათ — მეფე ზენგო XX XVIII-ის მეფობის პირველ წლებში მოხდა — ლოყებლადჟღაჟა, მხიარულმა ჯალათმა მორიგ დამნაშავეს თავი წააცალა.

მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა.

მხიარული ჯალათი, რომლის მამაც, პაპაც და პაპის პაპაც ჯალათები იყვნენ, ჩამოჭკნა, ჩამოდნა და დარდსა და მოწყინილობას გადაჰყვა. სიკვდილამდე სულ იმას ჩიოდა, აფსუს, რა გასამრჯელო და, რაც მთავარია, რა კვალიფიკაცია შეკარგებო.

ვფიქრობ, დაკვირვებულნი მკითხველი ბეთქილაპურში ჯალათის ინსტიტუტის გაუქმებას არავითარ შემთხვევაში მეფე ზენგოს ჰუმანიზმსა და მშვიდობისმოყვარე ბუნებას არ დაუკავშირებს. არა, რა თქმა უნდა! უბრალოდ, ეს მონარქი დასჯის სხვა მეთოდებს ანიჭებდა უპირატესობას.

და აი, დინგ დოს მმართველობის მე-

ხუთე წლისთავზე საზეიმოდ გამოცხადდა, რომ აღდგებოდა კიდევ ერთი ძველი, კეთილი ბეთქილაპურული ტრადიცია — დამნაშავეებისათვის მამა-პაპური ხერხით — ნაჯახით თავის მოკვება!

უნდა შექმნილიყო ჯალათების რაზმი მთავარი ჯალათისა და მისი მოადგილის მეთაურობით, რომლის წევრებიც უფრო წერილმან საქმეებს — მუნჯებისათვის ენის ადგმევინებას, თვალების დათხრას, ხელ-ფეხის მოკვეთას, ენის მოჭრას, ყურების დაგლეჯას მიხედავდნენ. ახალბედებს უბრალო გაროზგვა და სიბინძურით სავსე კასრში ჩასმული ბოროტ-მოქმედის თავზე ალესილი ხმლის ტრიალი ევალებოდათ.

გამოცხადდა აგრეთვე კონკურსი ბეთქილაპურის მთავარი ჯალათის ვაკანტურა ადგილის დასაკავებლად.

ბატონი დუბაი, როგორც ყოველთვის, ერთ-ერთი პირველთაგანი გამოეხმაურა მთავრობის ამ ღირსშესანიშნავ ინიციატივას და თავისი საბავშვო ჟურნალისათვის მოამზადა მოწინავე წერილი — „ნაჯახი ჰუმანური იარაღია!“ სადაც იგი ამტკიცებდა ნაჯახით თავის მოკვეთის უპირატესობას დასჯის სხვა საშუალებებთან შედარებით.

პატრიოტი მოქალაქენი ცრემლებს ვერ იკავებდნენ სათაყვანებელი დინგდოს მიერ ჭეშმარიტად ეროვნული გრძნობების ასეთი აშკარა დადასტურების გამო.

დაინიშნა ეშაფოტის საზეიმო გახსნის დღეც — ლომის თვის ექვსი რიცხვი — კვრა. აქვე გამოქვეყნდებოდა კონკურსის შედეგები და შედგებოდა მთავარი ჯალათის დებიუტიც.

მთავარი ჯალათის ადგილის დაკავების მსურველი უამრავი აღმოჩნდა.

აილესა და აელვარდა ბეთქილაპურელთა საუკუნეების განმავლობაში ნაწრთობი იარაღი — ჭორები, ინტრიგა, მუქარა, შანტაჟი, დასმენა...

ამ მხრივ შესაშური ენერჯია გამოიჩინა ერთ-ერთი კანდიდატის დედამ, რომელიც თავის ერთადერთ ვაჟიშვილს სიზმარშიაც ჯალათის წითელ მოსასხამში გამოხვეულის ხედავდა.

ამ ქალმა კონკურსის გამოცხადების პირველი დღეებდანვე ფართო და მრავალმხრივი მოღვაწეობა გააჩაღა. მის ბანაში ჩამოყალიბდა შტაბი, სადაც კვირაში ორჯერ მაინც იკრიბებოდნენ ოჯახის ახლობლები, ნათესავები, ერთგული მეზობლები, მეგობრები და მოქმედებას ვეგმავს ადგენდნენ.

წარმატებით განვლილი პირველი ტურის მერე, როცა კონკურსანტთა წრე საგრძნობლად შემცირდა, შეთქმულთა ეს პატარა, მაგრამ დინჯად შეკრული ჯგუფი გადამწყვეტ შეტევაზე გადავიდა.

მათ დაწერილებით და უაღრესად კეთილინდიდობიერად შეისწავლეს ჟიურის წევრთა ცხიერების წესი, მათი მიდრეკილებები, ნაცნობ-მეგობართა წრე, წესჩვეულებანი და, რაც მთავარია, სისუსტეები. ყველაფერი კარგად მიდიოდა, იქ, სადაც ნაცნობ-მეგობრობა, ხათრი, პარფუმობა და პატივისცემა არ ჰქონდა, საქმეში მანტაჟი და მუქარა ერთობილდა. ჟიურის ერთ წევრს, მაგალითად, მისი საყვარლის ხელით დაწერილი აღსკრება აჩვენეს და დაპირდნენ, თქვენს ბრძანებზე შეუდგებიან კავებზე ანათო. მეორე ხხვა მეტოქისაგან აღებულ ქრთამში გამოიჭირეს... და ა. შ. ერთადერთი, რაც კანდიდატის დედას ადევლებდა, ჟიურის თავმჯდომარის — კონკას შეუვალობა და მკაცრი პატიოსნება იყო, მაგრამ მანდილოსანი თავს ამით იმშვიდებდა, რომ ამ მხრივ ვერც მეტოქეები აჯობებდნენ მის პირში.

და ბოლოს, დარჩა თორმეტი კანდიდატი.

ყოველი მათგანი უკვე ჩარიცხული იყო ჯალათთა რაზმში და მხოლოდ მთავარი ჯალათისა და მისი მოადგილის სახელები რჩებოდა უცნობი.

აქ კანდიდატის დედამ სრულად გამაღრა ფრთები. მისი მეთაურობით ოჯახური შტაბის წევრებმა ისეთი ფაქტები

მოაგროვეს, ისეთი ლაფი მოამზადეს მეტოქეებისათვის თავზე დასასხმელად, რომ უკვე ცოტასდა ეპარებოდა ეჭვი მათ გამარჯვებაში.

მეორე კანდიდატს — იმ ზენგოსდროინდელი მხიარული ჯალათის შეილიშვილის შვილს, წინაპართა სულისკვეთებით აღზრდილ, ტახივით მკერძ ბიჭს, რომელიც ნიძლაზე ხმლის ერთი მოქნევით ყველაზე მსხვილ ბუჭემოსთს აჭრიდა თავს, ისეთი გზნებით შეუჩნდნენ, რომ ეს უკანასკნელი იძულებული შეიქნა მთავარი ჯალათის მოადგილეობას დაჯერებულიყო.



ლომის თვის ექვსი რიცხვას დილაც გათენდა.

გამთენისთვის უკვე დიდძალი ხალხი შეგროვილიყო კალენდულას სახელობის მოედანზე.

მოედნის სიღრმეში აღმართული ახალთახალი ეშაფოტი ნახერხის სუნს აფრქვევდა ირგვლივ, ამომავალი მზის სხივებზე მხიარულად ალაპლაჟდა საგანგებოდ ამ შემთხვევისათვის გაწმენდილი და ალესილი ტრადიციული ბუქილაპურული ნაჯახი.

შალე მოედანი ხალხით გაიჭვალა.

მოქტონდათ და მოქტინდათ კალენდულასა და დინგ დოს სურათები.

ფრიალებდნენ დროშები და ტრანსპარანტები.

ისმოდა პატრიოტული ღოზუნგები, სიტყვები და მოწოდებები...

(თუმცა, მკითხველს ყოველივე ეს იმდენჯერ აქვს ნანახი, რომ თავს აღორქევაწყენ და პირდაპირ საქმეზე გადავალ!)

მაშ ასე, დღის პროგრამა ასეთი იყო:

1. დინგ დოს შესავალი სიტყვა.
2. ჯალათთა კონკურსის შედეგების გამოცხადება.
3. განსაკუთრებით საშიშ დამნაშავეთა სამაგალითო დასჯა.

მაყურებელთა განსაკუთრებულ ინტერესს, გასაკებათ, მესამე პუნქტი იწვევდა.

დაუთას არაფრით არ უნდოდა მოედანზე გახვლა მაგრამ როცა კინკამ მეორედ შემოუთვალა, მბრძანებელი გკითხულობსო, იძულებული გახდა, დინგ დოს გვერდით დამდგარიყო. შუაში — მბრძანებელი, მარჯვნივ დაუთა, მარცხნივ საურა, უკან კინკა და მერე კიდევ დანარჩენები — ასეთი იყო ამალის უცვლელი კონფიგურაცია. რაც ისევე უშლიდა ნერვებს დაუთას, როგორც ბრტყელ-ბრტყელი ბეთქილაპურული სადღეგრძელოები. ერთადერთხელ გადაწყვეტა, კინკასთან ერთად უკან დადგომოდა დინგ დოს და ამან ისეთი მითქმა-მოთქმა ატეხა ბეთქილაპურში, რომ დაუთა იძულებული შეიქნა მეორე ზეიმზევე გამოეხსწორებინა დაშვებული უსაქციფლობა.

ახლაც იდგა, ცალი ყურით უსმენდა დინგ დოს, საყალღებულო ტაშისკვრის დროს თუითონაც ხელს ხელზე უტყაპუნებდა და ოცნებობდა, იქნებ ბანკეტიდან მიინც დავიძვინოთ თავიო!

და მაშინ, როცა გასუსული ბრბო კონკურსის შედეგების გამოცხადებას ელოდა, დაუთას თავისი სახელი შემოესმა.

— ...ამ სახეიმი დღეს, — მკვერმტყველებდა მბრძანებელი, — მე მინდა ჭეშმარიტად მამა-პაპური ტრადიციების აღდგენის პატივი შევთავაზო ჩემს ძველ თანამებრძოლს, ღირსეულ პატრიოტს, საქვეყნოდ ცნობილ და პატავცემულ ადამიანს, „რქიანი ლომის“ ორდენის კავალერს, თანამემამულე დაუთას!

დინგ დოს ამ სიტყვებს მქუხარე ტაში და ოვაციები მოჰყვა.

სხვებთან ერთად მბრძანებელიც კარგა ხანს უკრავდა ტაშს. მერე დაუთა გამოიხმო და წითელ ბალიშზე დასვენებული ემაფოტის ლენტის გადასატრელი ოქროს მაკრატელი მიაწოდა.

დაუთა სიბრაზისგან გაფითარდა. მბრძანებლის ეს საქციელი მისთვის სრული მოულოდნელობა იყო.

თან მაინც აიღო მოწოდებული მაკრატელი და ხალხის ტაშის გრიალში ღეხტი გააღატრა.

„აბა, შენ იცი, თავი არ შეირცხვინო ემაფოტზე. ეს მბრძანებლის სურვილია!“ — ჩასწურწურა ყურში კინკამ.

დაუთამ ზიზღით შეხედა კინკას (ეს შეხედვა არც დინგ დოს გამოჰპარვია) და ხელის აწევით ყურადღება მოითხოვა.

— თანამემამულენო! ის, რაც ჩვენმა დიდმა მბრძანებელმა, მზისა და მთავარის ნეტარებამ, სათაყვანებელმა დინგ დომ შემოთთავაზა, ბეთქილაპურის აყვავებაში ჩემი მოკრძალებული წვლილის დიდი დაფასებაა. მე უზომოდ ბედნიერი გახლავართ ასეთი პატივის გამო, მაგრამ ამავე დროს კარგად მესმის, რომ მბრძანებლის ეს უკეთილშობილესი ექსტრი წმინდა სიმბოლურია! რომ ჩვენი სამშობლოს წინსვლის მთავარი პირობაა ის, რომ პური მეპურემ გამოაცხოს! ამიტომ მე ამ ადვილს ვუთმობ ბეთქილაპურის მთავარ ჯალათს, იმ ბედნიერს, ვის სახელსაც ახლა ჩვენი ღირსი თანამემამულე, სიფხიზლის რაზმის მეთაური კინკა გამოაცხადებს!

ამ კონტრ-დემარშის გამო ახლა უკვე დინგ დო დაიბნა, მაგრამ არაფერი შეიმჩნია და კინკას მიმართა:

— ვთხოვო!

კინკამ, მზრუნველი დედის გულის გასახარად, მთავარ ჯალათად მისი პირმშო დაასახელა; მოადგილედ — ძველი ჯალათის შთამომავალი...

მთხუცი პოეტი სოვა (აი ის, დინგ დოს თავის დროზე ლექსები რომ დაუწუნა) მირჩილად იდგა მუხლებზე ზის კუნძთან, გრძელი, ვინტორა ქათამივით მოტკვლებილი კისერი გაეწვდინა, ახლადმოჭრილი ზის სუნს ისუნთქავდა და მიწვევით გასცქეროდა ცის დასალიერს, სადაც შავდრუბლებშემოჯარული წითელი მზე ოკეანეში ჩასაბრძანებლად ემზადებოდა.

„მომაკვდავი მზე

შავი ღრუბლის

საკაცით მიაქეთ...“ —

განშიანდა მის ფიქრში ლექსის სტრი-

ქონი. მერე თვალები დახუჭა და ბედის-
 წერის აღსრულებას დაელოდა.

ჯალათი კი იგვიანებდა...

●
 ეშაფოტთან ახლო მყოფთ არ გამოე-
 პარათ ის გარემოება, რომ ახლადგამომ-
 ცხვარი მთავარი ჯალათი რაღაც აცა-
 ბაცა დაიარებოდა. ფრიალა წითელმო-
 სასხამიანი, შეანიღბიანი ტანმორჩილი
 კაცი ლამის მეთედ უსინჯავდა პირს
 შესასურად ალვისილ ნაჯახს.

ხალხში უკმაყოფილო ხმები გაისმა.

კინკა ეშაფოტზე ავიდა და ჯალათს
 რაღაც უთხრა.

მთავარმა ჯალათმა თავი დაუქნია დამ-
 რიგებელს, ნაჯახი ხელში აიღო და რო-
 გორც იქნა, თავსზევით აიტანა.

ამოდ ელოდებოდნენ ბეთქილაპურე-
 ლები მის დაშვებას.

ჯალათმა უცებ იარაღი ხელიდან გა-
 აგლო, „ვი, დედიკო“, დაიძახა და გუ-
 ლშეწუხებული გაიშოტა ეშაფოტზე.

ხმაურითა და მოლოდინით შეწუხე-
 ბულმა პოეტმა სოვამ თვალი აახილა
 და მოლაპლაკე საშინელების ნაცვლად
 კინკასა და მისი დამქაშების უკმაყოფი-
 ლო სახეები დაინახა, რომლებიც წითელ-
 მოსასხამიან კაცს თავს დასტრიალებდ-
 ნენ და ცივი წყლით ფიქრობდნენ მის
 მობრუნებას.

ეშაფოტი საცირკო სანახაობას დაემ-
 გვანა.

დინგ დომ ეს დროულად იგრძნო და
 ხელი აწია.

რალა თქმა უნდა, მოედანზე იმწამსვე
 სინურე ჩამოვარდა.

— მთავარი ჯალათი შეუძლოდ შეიქ-
 მნა. და თავისი წმიდათაწმიდა მოვალე-
 ობა ვერ მოიხადა. ჩვენ შეგვიძლია მის
 ღირსეულ მოადგილეს დავკისროთ
 ხალხის ნების აღსრულება, მაგრამ ჩვენ
 აქ უძველესი ბეთქილაპურული ტრადი-
 ციების აღსადგენად შევიკრიბეთ. ეს
 კაცთმოყვარე ტრადიცია კი გვასწავლის,
 რომ ერთი დამნაშავეს ორჯერ სიკვდი-
 ლით დასჯა არ შეიძლება. ისმინეთ ჩე-
 მი ბრძანება: მე, დიადი დინგ დო, ბეთ-

ქილაპურის მბრძანებელი, პოეტ სოვას
 თავის მოკვეთით სიკვდილით დასჯას
 ვუცვლი უდაბნოში სამუდამო გადასახ-
 ლებით! მაღლი შეწიროს ამ უღირსმა
 კაცმა ბეთქილაპურსა და მის ძველის-
 ძველ ადათ-წესებს. დიდება ბეთქილა-
 პურს და მის ბრწყინვალე მომავალს!

ასე დიდებულად გაართვა თავი დინგ
 დომ მოედანზე გათამაშებულ ტრაგი-
 კომედიას, რომელსაც ფარსში გადასვ-
 ლის უეჭველი საფრთხე ეშუქებოდა!

●
 მოგვიანებით გამოირკვა, რომ „მთა-
 ვარ ჯალათს“ კაცი კი არა, წიწილა არ
 დაეკლა არასოდეს.

მთელი ბეთქილაპური ალტაცებული
 იყო მბრძანებლის სულგრძელობითა და
 კაცთმოყვარეობით.

გაწიბლებულმა და გააფთრებულმა
 დინგ დომ მკაცრად დატუქსა კინკა და
 გააფთხილა: თუ ეს უმსგავსობა მო-
 მავალშიც გამეორდა, მე თვითონ გამოე-
 ძებნი ჯალათს შენს დასასჯელად.

ასეთი მარცხისაგან გულგასიებულმა
 კინკამ კონკურსის ჟიურის უკლებლივ
 ყველა წევრი კატორღაში გაამწესა და
 ჯალათთა რაზმის წერთნას მოჰკიდა ხე-
 ლი.

XLVIII. ბუკოლიკა

მთელი ცხოვრება მოვდივარ,
 ვერ მოვალწი შენამდე...

უცნობი პოეტი

საურას მორიგი უშედეგო ვიზიტის
 მერე დინგ დომ ერთბაშად ისეთი დაღ-
 ლილობა იგრძნო, რომ მიწვა თუ არა
 ლოგინზე, იმწუთშივე ჩაიძინა.

დიდი ხანია, ასე მშვიდად არ უძინია.
 რომ გამოიღვიძა, დილის ხუთი საა-
 თი სრულდებოდა.

ხეცა იდაყვზე გაცრეცილ მუქ ლურჯ
 ქსოვილსა ჰგავდა.

დინგ დომ ფანჯარა გამოადო და სი-
 მოვნებით შეისუნთქა დილის ჰაერი.

მით უფრო არ მოეწონა ზედ ფანჯრის



გასწერივ აყუდებული რაზმელის სილუეტით.

უცებ აუტანელი გახდა მისთვის ეს სასახლეც, ძალაუფლებაც, საურაც, კინკაც, დაუთაც, კალენდულაზე განუწყვეტელი ფიქრი, მლიქვნელთა კუდის ქიცინი, ვილაცის დასჯა, ვილაცის აღზევება... კინაღამ გული აერია იმის წარმოდგენაზე, რომ აი, ახლა, თათბირზე მოწვეული მინისტრების ძალად მხნე და ფხიზელი სიფათები უნდა დაენახა და მათი ბუჭტურისათვის მოესმინა.

„არავითარ შემთხვევაში“, გაიფიქრა, პირზე წყალი შეისხა, წვერი გაიპარსა, მსუბუქი ტანსაცმელი ჩაიცვა და მოსაცდელ დარბაზში გამოვიდა.

აქ მას, როგორც ყოველთვის, გაჭიმულნი ელოდნენ კინკა და „სიფხიზლის რაზმის“ წევრები.

— დღეს სათათბიროს სხდომა არ შედგება, — მკვახედ დააგლო სიტყვა მბრძანებელმა, — მე ცოტას გავისიერებ. იცოდეთ, არავინ გამოძვევს!

დინგ დო კიბეებს დაუყვა, სათათბიროს კარებისაკენ ზიზლით გადააფურთხა და სასახლიდან გავიდა, რითაც აუწერლად დააფრთხო მბრძანებლის ასე უხმაუროდ გამოჩენას შეუჩვეველი მცველები.

დინგ დო სასახლიდან ტყეში მიმავალ საცალფეხო ბილიკს დაადგა.

მშვენიერი, უდრუბლო დილა თენდებოდა.

არაუკარიებში შეყუყული ფერადი ჩიტები ჭყვივლით ესალმებოდნენ ახალი დღის მობრძანებას.

მერე ბილიკი მთიან აღმართს აუყვა. მან არ იცოდა, საით მიდიოდა, მაგრამ ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს ამ გზას იცნობდა:

ლალად და მხნედ მიაბიჯებდა, ისე, როგორც ეს ოცდაათიოდე წლის ახალგაზრდა ვაჟკაცს შეეფერებოდა და არა უდროოდ დაბრძენებულ, ყოვლისშემძლე მბრძანებელს.

წინ მიუხაროდა და ერთი-ორჯერ ლამის წაიმდვრა კიდევ.

ბეთქილაპურის მბრძანებლისთვის ეს იმდენად შეუფერებელი იყო, რომ თვითონაც გაუკვირდა...

●
თეთრი გვირილებით მოფენილ ზურ-მუხტისფერ მინდორზე ნიავი ცელქობდა. ბალახზე ნორჩი კენგურუები ერთმანეთს ეღლაბუცებოდნენ.

ბუნქებიდან პაწაწინა ცისფერი ყვავილები იჭყიტებოდნენ.

— დიგო! — შემოესმა უცებ მბრძანებელს ნაცნობი ხმა და მისკენ გამოქცეული ფეხშიშველი მგია დაინახა.

დიახ, ეს მგია იყო!

ისევ ის მგია!

წლებს გვერდზე ჩაექროლათ მისთვის.

ქალიშვილის დანახვაზე მბრძანებელმა გაიფიქრა, მგონი ეს არის ბედნიერებაო.

— დიგო! ჩემი დიგო! — მგია მთელი ტანით ავერა დიგოს, მკლავები ყელზე მოხვია და ყურში წასჩურჩულა, — რომ იცოდე, რაძღენ ხანს გელოდი!

და აქ, ამ მშვენიერ ველზე სრულიად ძალდაუტანებლად და უშფოთველად მოხდა ის, რის მიღწევასაც საურამ და დინგ დომ წლები შეაღიეს.

●
ფერმაში მოხუცი ცოლ-ქმარი ძველი ნაცნობივით შეეგება სტუმარს.

როგორც გამოირკვა, ისინი აქ მგიას მამის გარდაცვალების შემდეგ დასახლებულან.

მათ სახელიც არ უკითხავთ დინგ დოსთვის, „შვილო“, ეძახდნენ და თავს დასტრიალებდნენ, ეგებ რამეთი ვასიამოვნოთო.

დინგ დოს კი ყველაფერი აუწერლად სიამოვნებდა — ეს ცოცხალი მოხუცებიც (კაცმა ბებრული ღიმილით რამდენჯერმე თვალი ჩაუკრა და სასიძო უწოდა), მათი ნახელავიც, არაჩვეულებრივი სიჩუმეც, ასე რომ აკლდა სასახლეში...

მეორე დილას ბებრებმა ბოდიში მოი-

ხადეს, მეზობელ სოფელში მივდივართ ნათესავის დასაფლავებაზეო და ქალაქი მარტო დატოვეს.

მეიას ყოველ დანახვაზე ისეთი უჩვეულო სითბო უვლიდა დინგ დოს ტანში, რომ ერთი-ორჯერ თავის თავს გაუჯავრდა კიდეც, რა მომდისო.

სამი დღე დაჰყო ფერმაში დინგ დომ, სამი უბედნიერესი დღე თავის ცხოვრებაში. ფრთაშესხმული მეია ყველაზე ურცხვეი ქალივით იქცეოდა და ბეთქილაპურის მბრძანებელს თავის ნებაზე ატრიალებდა.

ხომ წარმოვიდგენათ, რა ამბავში იყვნენ ისინი, როცა შიშვლები საღ კლდეზე დატეხილ ჩანჩქერში ჭყუშალაობდნენ;

ან საღ ქრებოდა მბრძანებლის სიღარბაისლე, როცა იგი ველზე ქურციკოვით მოქნილ ქალს დაედევნებოდა ხოლმე, არა, ასეთ მეიას იგი არ იცნობდა!

მთელი ეს დღეები შეყვარებულები ტყე-ღრე დაეხეტებოდნენ, თევზს იჭერდნენ და საღამოთი კოცონის ჩანაველულ ნაკერჩხლებზე მწვადებს ამოშხინებდნენ.

●

— მეია!

დინგ დომ ხელები დაუჭირა ქალს და თვალებში ჩახედა. ამას ტანმა უგრძნო, სადაც არის კინკა გამოჩნდებაო.

— არაფერი თქვა, დიგო, მე ყველაფერი ვიცი...

— წამოდი ჩემთან. შენ ბეთქილაპურის დელოფალი გახდები!

— დემერთმა დამიფაროს! — ისეთი ამკარა შიშით წამოიძახა ქალმა, რომ დინგ დო აიძრიაზა.

არ გეწყინოს, საყვარელო, მე შენს სასახლეში ვერ ვიცხოვრებ, ჰაერი არ მიეყოფა! ეჰ, ნეტავი...

— ჰო!

— მაგრამ მე მაინც დაგელოდები, ჩემო დიგო, აუცილებლად დაგელოდები!

●
ორი დღის უშედეგო ძებნის მერე კინკამ კალენდულას მიაკითხა.

ბეთქილაპურში უკვე ახვირთებულიყო მბრძანებლის გაუჩინარებათ აღძრული ჭიორების უზარმაზარი ტალღა.

კალენდულამ მუხლი შეიკმუხნა, ხულ ხუთიოდე წუთით განმარტოვდა და ამის მერე კინკას აუხსნა, საღ უნდა ეძებნათ დინგ დო.

სწორედ ამ დროს იგრძნო ბეთქილაპურის მბრძანებელმა დაბრუნებას გარდუვალობა. თავისდა უნებურად მას ახსენებოდა ჩახელმწიფო საქმეები, ბეთქილაპურის დიადი მომავალი, მოედანზე შეკრებილი ხალხი, შეძახილები, მოწიწებისა და თაყვანისცემის უხილავი სხივებით გამოწვეული ნეტარება!

— კარგი, მეია, ნენ კიდევე შეეხვებით ერთმანეთს! — თქვა დინგ დომ, როცა მინდვრის ბოლოს კინკა და მისი რაზმელები დაინახა.

— დიგო! — ქალს თვალებში ცრემლი უბრჭყვიალებდა, ნამდვილი ცრემლი და არა ის მლაშე წყალი, ქალების უძრავლესობა გარემოებისდამიხედვით რომ გადმოღვრის ხალმე.

XLVIX. ნათელი მოვავლის გზაზე

ღრო გადიოდა.

მეიასთან ფერმაში გატარებული სამი დღის შემდეგ საკუთარ შესაძლებლობებში დარწმუნებული, აღფრთოვანებული მბრძანებელი ახალი ენერგიით ეკეთა აქა-იქ შემორჩენილ მტრებს.

კინკამ ამასობაში ისე სანიამუშოდ გაწერთნა ჯალათთა რაზმი, რომ დინგ დოს ქებაც კი დაიმსახურა.

არა, ჯალათებს ნამდვილად არ ავლდათ სამუშაო ბეთქილაპურში!

●

წინამდებარე თხზულებაზე მუშაობისას აღმოჩენილ იქნა სამაწვეილო ჟურნალ „აკაქეც, გაინჰარდ“-ის ერთ-ერთი ნომრის ფრაგმენტი. აქ დაბეჭდილი სტა-



ტია „ჩვენი საყვარელი ბეთილაპური“, აუტორის აზრით, მშვენიერად ასახავს იმ ეპოქის სულიკვეთებას. აი ეს სტატიაც: „ათასფრად ეღვარებს, ჰყვავის და იფურჩქნება ბეთილაპური – დალოცვილა ქვეყანა, შემაკული ბუნების ყოველგვარი სიკეთითა და სიტკბოებით.“

მაგნოლიებისა და ლოტოსების ფერად ჩრდილებში დახტიან და ხარობენ ბედნიერი ბეთილაპურელი ბავშვები, ღიანებზე ქანობენ და ნებივრობენ მაკაკები და ბაბუნიები, დინჯად დასეირნობენ დარბაისელი გორილება, ცასფერტბებში ლაღობენ ნიანგები და ჰიპოპოტამები, მწვანედ ხასხასებენ მანგოსა და ბანანის პაღმები; თეირად ბრჭყვიალელებენ თოვლიანი მთის მწვეკრვალეები; მდინარეები ორაგულეებითა და ლოქოებით არის სავსე, ზღვა–ზუთხითა და თართით, ტყეები – ავაზებით, ვეფხვებითა და სპილოებით, კამეჩებითა და ირმებით, სიასამურებითა და პუმებით, კენგურუებითა და ლემურებით. თავისი პატარა და კობტა უდაბნოც კი აქვს ბეთილაპურს! მისი უწმინდესი ყვითელი ქვიშა და უღამაზესი, აბრეშუმით სრიალა ნაირფერი გველები მრავალრიცხოვან უცხოელ მოგზაურს იზიდავს ყოველწლიურად.

ამ მაღლიან მიწაზე ცხოვრობენ ჯანმრთელი, მხიარული, გულღია და ბედნიერი ადამიანები, რომელთა სტუმართმოყვარეობა მთელს მსოფლიოში გახლავთ განთქმული!

აქ ვერავინ ნახავს უბედურ და გაჭირვებულ კაცს!

და თუ ვინმე თქვა, ან თუნდაც გაიფიქრა, უბედური ვარო, აღშფოთებული ბეთილაპურელი ხალხი მას მოიკვეთავს, ერთხელ და სამუდამოდ! მოიკვეთავს, რათა ვინმე გულუბრყვილომ არ გაიგოს და არ დაიჯეროს ეს მტკნარი სისულელე!

ო, კალენდულა! რას მიქეია უბედური კაცი იქ, სადაც ქვეყანას მართავს ამომავალი მზე და დიდი ღომის თანავარსკვლავედი, პოლარული ციალი და ობოლი მარგალიტი, სიქველითა და სათნოებით სახელგანთქმული, ადამიანთა ხალოცავი ხატი, უსაყვარლესი და უკე-

თილშობილესი მბრძანებელი დინჯ დო!

ო, დიადო დინჯ დო! რომელი კალამი გახდეს ღირსი შენი აღწერისა!

ანთუ, ვინ გამოხატოს ჯეროვნად ხალხის შენდამი სიყვარული და ერთგულება!

რომელმა ენამ წარმოთქვას შენი საკადრისი სადღევრძელი!

ანდა რომელმა ჩანგმა აამღეროს შენი გონების, სიღამაზისა და სათნოების შესაფერისი საგალობელი!

ო, დილო დინჯ დო!

უშესანიშნავესო ყველა მოკვდავთა და უკვდავთა შორის!

სიღამაზით ვარსკვლავთა დარო! ღომით ძლიერო! ავაზასავით მოქნილო! სპილოსავით დონიერო! გველივით ამწყო და გონიერო!

დღეს შენს სამშობლოში ყველა ზღდნიერია, ყველა შენს მხვს ფიცგულობს და შენს სახელზე ლოცულობს!

რა თქმა უნდა, ეს ბრწყინვალე ჰარმონია ერთ დღეში არ დამკვიდრებულა, თავისით არ მოსულა!

ხომ იყვნენ ბეთილაპურში უბუნური, რომლებიც ყოველი სადღევრძელის წარმოთქმის წინ შენს პორტრეტს არ შეხედავდნენ ხოლმე, ანდა, კმ, სასაცილოა, შენს სიღამაზეში, კეთილგონიერებაში, სიქველესა თუ კაცთმოყვარეობაში შეჭქონდათ ეჭვი?

აბა, რა გასაკვირია, რომ შენ იხინი მამამვიღურად დაარიგე და ჰუმარტიგების გზაზე დააყენე! უკვე აქ დედამიწაზე აჩვენე მათ ჯოჯოხეთი, რათა ბატონებით ვანწმენდილნი და უწყინარნი მივიღინებოდნენ იმა ქვეყანას.

ბევრი მათგანი უგზო უკვლოდ გადაიკარგა, მაგრამ რომელი ჩვენთაგანი დაინტერესდება ბედით იმ გარეწარა, რომელთა სულები მიუსაფარი მგლებით დაძრწიან შორეულ უდაბნოში და ღამ-ღამობით ყმუილით აწუხებენ შინაურსა და უცხოს!

ღიახ! ღიადია პიროვნება სახელგანთქმული დინჯ დოსი და ბრწყინვალეა საქმენი მისნი!

რა მოხდა მერე, თუ ვიღაც მეშიარეს წნა დაუშოკლეს, რამეთუ ლექსში დინგ დო არ ახსენა?! ეს ხომ ისევ მოყვასის განუზომელი სიყვარულია — შეაგნებინო შეცდომა თვისი, რათა მეორედ აღარ დაიბნეს და აღარ შესცოდოს! თანაც, ხომ შეეძლო ყოვლისშემძლე მბრძანებელს, მშვიერი ვეფხვის გაღიაში შეეგდო ვაი-მგოსანნი!

განუსაზღვრელია მოწყალება შენი, დინგ დო!

ან კიდევ ის მუსიკოსი გავიხსენოთ (არგასახსენებელი!), ვისაც ყურის გახვრეტა აკმარეს, როცა დინგ დოს სადიდებელი ჰიმნი არ იგალობა!

არა, არ არის საკვირველი?!

კაცს ბედნიერი შემთხვევა მიეტევს მბრძანებლის სადიდებელი ჰიმნი იგალობოს და უარი თქვას?! რა უგნური უნდა ყოფილიყო ის საცოდავი, ვისაც დინგ დომ მაინც შეუნარჩუნა სიცოცხლე და რა მისი ბრალია, თუ მუსიკოსმა პატარა ტკივილს ვერ გაუძლო და სულის უკვდავებაზე მზრუნველ დამრიგებელთა ხელში დალია სული?!

ნუთუ აღმოჩნდება ბეთქილაპურში ვინმე, ეს ამბავი, ეს უბედური შემთხვევა რომ მბრძანებელს დააბრალოს?!

არა და არა!

საკვირველია შენი სიკეთე, სათაყვანებლო მზეო ჩვენო, მფარველო, მოწყალო!

იცოცხლე მარად!“

L. სეპლიანი ვერონიკა

მბრძანებელი ფანჯარასთან იდგა და ვეება ჭრელ თუთიყუშს ეთამაშებოდა.

ეს თუთიყუში რომელიღაც ჭეშმარიტ პატრიოტს საგანგებოდ მისთვის გაეწვროთნა და საჩუქრად მოერთმია.

კარებზე კაკუნი გაისმა.

— დიას!

— თანამემამულე დაუთა გეახლათ, ბრძანებლო, — თქვა ოთახში შემოსულმა კინკამ, — ერთი მნიშვნელოვანი საქმის თაობაზე მოსალაპარაკებლად.

— ეგ საქმის გარეშე ჩვენთვის ვერ იც-

ლან. თუმცა, ჩვენც გვაქვს მასთან მნიშვნელოვანი საქმე, არა კინკა?!

კინკა შეეცადა მბრძანებლის გამომეტყველება დაეჭირა, მაგრამ ეს უკანასკნელი ისევ თავისი თუთიყუშით იყო გართული.

— თქვენ როგორც განსჯით, მბრძანებლო.

— მე უკვე განვსაჯე! — ცოვად თქვა დინგ დომ. — შემოიყვანეთ.

— დღეს დილას მომიყვანეს, — უთხრა მბრძანებელმა დაუთას, რომელიც ქალღაღადებს მაგიდაზე აწყობდა.

— ჩვენს ჯოშვა ხუცესს არ გაგონებს?!

დინგ დომ სიცილი ძლივს შეიკავა, რადგან თუთიყუში მართლა ძალიან ჩამოჰგავდა ყოფილ მასწავლებელს, მაგრამ მისმა სახელმა სხვა რაღაცეებიც გაახსენა და ღიმილი შეიშრო.

— ჩემი მარჯოს ბეთქილაპურს! — მიუღოდნელად დაიჩხავლა თუთიყუშმა და სწრაფად მიაყოლა, — დიდება კალენდულას! დიდება დინგ დოს! ვაშა!

მბრძანებელმა შუბლი შეიკრა — იმ ვიღაც ჭეშმარიტ პატრიოტს აშკარად გადაეჭარბებინა.

დაუთამ ისევ საქალღადეში ჩაყოცხვირი, რომ მბრძანებელს მისი ღიმილი არ შეეძინია. არადა, დაუთა მშვენივრად ხედებოდა, რომ ბევრი არაფერი ჰქონდა სამხიარულო — ბოლო თვეებში დინგ დო „ველარ ამჩნედა“ თავის ფინანსთა მინისტრსა და ხაზინის გამგებელს. ეს იმ დღიდან დაიწყო, როცა დაუთამ უარი განაცხადა პოეტ სოვასთვის თავის მოკვეთის პატივზე. გარეგნულად თითქმის ყველაფერი ძველებურად დარჩა, — არც პატივისცემა აკლდა, არც ყურადღება, არც წყალობა, მაგრამ ის წერილმანები, რასაც სასახლეში უზარმაზარი მნიშვნელობა ენიჭება, სრულიად საწინააღმდეგოზე ლაპარაკობდნენ. საქმეებში ჩაფლულ დაუთას იმის დრო არ ჰქონდა, დაწერილებით ჩაძიებოდა თუთიყუშის დამნაშავეის მოდუწყოებას, მაგრამ იმას კი კარგად გრძობდა, რომ მთელი ეს გაუთავებელი ზეიმები, ჩირაღდნები, დროშები, ზარ-ზეიმი და, რაც მთა-

ვარია, ამდენი „მტერი“ კარგს არაფერს მოასწავებდა.

— დიგო, — ძველი ჩვეულებისამებრ მისმართა დაუთამ ყოფილ თანაკლასელს, — მე შევამოწმე და გადავამოწმე ყველაფერი, რაც ქვეყნის ფინანსებს და ეკონომიკას ეხებოდა. პირდაპირ უნდა ვთქვა — ცუდად არის საქმე — ჩვენ გაცილებით მეტს ვხარჯავთ, ვიდრე შემოგვდის. აქ ყველაფერი წერია, შეგიძლია გაეცნო.

— ეგ მე არ მეხება, — ცივად განაცხადა მბრძანებელმა, — ფინანსთა მინისტრი თქვენ ბრძანდებით და ხაზინასაც თქვენ განავებთ!

— კი, მაგრამ...

— არავითარი „მაგრამ“! კარგად ბრძანდებოდეთ! — დინგ დო ისევ ფანჯრისაკენ შებრუნდა. თან უხაროდა, დაუთას ბრილიანტების საიდუმლო რომ არ გაუმხილა.

დაუთა აიღეწა, საქალაქე ურნაში მოისროლა და კარი გაიჯახუნა.

„ძალიან კარგი, — გაიფიქრა დინგ დომ, — ეგრე ჯობია!“

— კინკა! — დაიძახა მან.

— დი-გო! დი-გო! — დაუთას ხმით დაუმარცვლა უცებ თუთიყუშმა.

და შემოსულ კინკას სისხლის გუბეში მოფართხალე თავწაცლილი თუთიყუში დაუხვდა.

— მომაცილეთ! — უთხრა მბრძანებელმა კინკას და თვალი თვალში გაუყარა.

კინკა მიხვდა, რომ ეს ნათქვამი მართო თუთიყუშს არ ეხებოდა...

ნინანგ ვერონიკას განცვიფრების უნარი რომ ჰქონოდა, უთუოდ გაუკვირდებოდა, რატომ აღარავის ავდებენ ჩემს აუზშიო. მაგრამ ეს უნარი მას არ გააჩნდა და ამიტომ მოთმინებით ელოდებოდა ბედის წყალობას. ისე გაავლო მუსური აუზში მცხოვრებ ყოველივე ცოცხალ არსებას, რომ ერთი ბაყაყიც აღარსად ჩანდა წამლად. პატარა ჩიტი, ნისკარტით კბილებს რომ უსუფთავებდა ყოველდღიურად, შიმშილის პირველივე შემოტყევისას გადასანსლა. ამის შემდეგ იმდენი

იტორა, რომ ცრემლიც გაუშრა. ისე ახლა აუზისპირა შლამზე ეს ვეებერთელა ქვეწარმავალი და თვალდათვალ ხმებოდა მზეზე.

მაინც დაინდო განგებამ.

ერთ ღამეს მადლიდან ბრძოლის ხმები შემოესმა და დაინახა, რომ ზედ მის ცხვირწინ ზედიზედ ორმა მსუქანმა ლუკმამ მოაღინა ტყაპანი: პირველი იყო ადამიანებზე დაგეშილი ავაზა, რომელიც დაუთამ ფეხის ერთი დარტყმით გადმოაგდო წყალში და მეორე — თვით დაუთა!

მას კინკას დაჯალებით სადილზე ძილის წამლად დაალევიანეს, მძინარეს პირში ალიკაპი ჩაწურეს და კაციშვილს რომ არაფერი გაუგია, ისე მოიყვანეს ვერონიკასთან.

მართალია, დაუთა ზედ აუზის პირთან გამოფხიზლდა, მაგრამ მან მხოლოდ ფეხის ერთი გაქნევდა მოასწრო და იმ ავაზას თვითონაც მიაყოლეს.

კინკამ, როგორც კი ვერონიკას აუზში დაიგულა მოღალატე, ხელები დაიფერთხა და თავისი რაზმის წევრებთან ერთად სასახლეში დაბრუნდა.

ნინანგი ვერონიკა ელვის სისწრაფით მივარდა პირველ მსხვერპლს — ავაზას და ყბის ერთი მოქნევით შუაზე გადაკენიბა საცოდავი. რომ დარწმუნდა, ავაზა ვედარსად გამქცევავო, დაუთას მიუბრუნდა...

დაუთა მერე ირწმუნებოდა, ძალიან შემეშინდაო და, თქვენ წარმოიდგინეთ, არავის შეუტანია მის სიტყვებში ეჭვი.

ამ შიშით ასკეცდალიცემულმა ფინანსთა მინისტრმა ავაზას ლემის დარჩენილ ნაწილს მოჰკიდა ხელი და პირდაპინილ ნინანგს ბოლომდე ჩასწარა ხაზაში. ვერონიკასთვის მსგავსი რამ არასოდეს არ უკადრებიათ და ცოტა არ იყოს, დაიბნა. ამით ისარგებლა დაუთამ, ნინანგს გადაახტა და ხვიარა მცენარეებით მოფენილ აუზის კედელს დაკიდა.

ორიოდე წლის წინათ ეს შეუძლებელი იქნებოდა, რადგან აუზის კედლებს მაშინ თვეში ერთხელ მაინც საგულდაგულად ასუფთავებდნენ...

ასე შეცდა კინკა.

ვერონიკა კი იძულებული ვახდა, ავაზას ღეშითა და უკეთესი მომავლის იმედით დაკმაყოფილებულიყო.

LI. უკან, სიცოცხლისაკენ!

სასწაულით გადარჩენილი დაუთა ბეთქილაპურის დამეულ ქუჩებს მიუყვებოდა.

საზიზღარი ქვეწარმავლის უზარმაზარი ხახა, ჟანგიანი, წვეტიანი კბილები წარამარა ახსენებოდა და უნებურად ნაბიჯს უმატებდა. თავის თავს ხმაძაღლა ველპარაკებოდა, ცდილობდა ფიქრი სხვარამეზე გადაეტანა, მაგრამ არაფერი შველდა. ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს გამოშვლებულ ნერვზე ნემსის წვერს უმიზნებდნენ...

მაბაჯებდა ბეთქილაპურის ქუჩებში და ვერაფერს ამჩნევდა გარშემო.

მხოლოდ ერთში იყო დარწმუნებული: ვერაფერს ვერ დაიჯერებდა მის გადარჩენას და, აქედან გამომდინარე, არც მღვივარი უნდა ჰყოლოდა...

მხოლოდ ძველ უბანში შეანელა ნაბიჯი და გარშემო მიმოიხედა.

გაუკვირდა ჭრელი უბნის ასეთი სინემე.

დაუთა აქ იყო დაბადებული და მშვენივრად ახსოვდა ზაფხულის მშვენიერი დამეები, როცა აქაურები დიდიან-პატარიანა ქუჩებში იყვნენ გამოფენილნი; ბავშვების ჟრიალული რომ შეწყდებოდა, მერე იწყებდნენ ქალები ჭორიკანობას, ყომარბაზები — კამათლის გორებას, მოქიფებები — ღვინის სმას...

ახლა კი თითქოს მკვდარ ქალაქში მოხვდაო. ჩაბნელებული სახლებიდან ჩამინუში არ ისმოდა, ზოგიერთ ფანჯარაში თუ გაიღვებდა ხოლმე სანთლის მკრთალი ანარეკლი. ეს იყო და ეს! წყაროს შორეულ ჩხრიალსა და მაიმუნების ტკარცალს თუ არ ჩავთვლით.

სულ უფრო და უფრო ნათლად ახსენებოდა ერთი სასიკვდილოდ გამწვებულა ფილოსოფოსის კალენდულასა და დინგ დოს მისამართით ნათქვამი სიტყვები. რომლებიც ბეთქილაპურელთა

სტკენისა და ღრიალის მიუხედავად წინასწარმეტყველებასავით გაისმა მთელს მოედანზე:

„ხალხო, გახსოვდეთ, ეგ ორი გიჟი დალუპავს ქვეყანას! მე იმისთვის ვკვდები, რომ იქნებ ჩვენმა შეილებმა და შეილიშვილებმა მაინც მშვიდად იარონ თავიანთ საყვარელ ქალაქშიო!“



ტატე შინ იყო. მაგიდასთან იჯდა და ლამფის შუქზე წიგნს კითხულობდა. კარი, როგორც ყოველთვის, ღია ჰქონდა.

- ბატონო ტატე!
- მობრძანდი, რომელი ხარ?
- მე ვარ, ბატონო ტატე, დაუთა.
- შემოდი მერე, მობრძანებლის მარჯვენა ხელი... რა დაგემართა, მოგდევს ვინმე?!

— არა... მე მგონი არა. მართო ხართ?

— ჰო! — ტატეს შეშფოთება დაეტყო, ეზოში გაიხედა და როცა დარწმუნდა, არაფერს გვითვალთვალესო, დამშვიდდა,

— სად გაიღუმე ასე... ეს ძველმანები გადაიცვი, სველები მომეცი, თოკზე გადააკიდებ. ეს არაფია, დალიე!

დაუთას ახლა აქ ტატეს მყუდრო ქოხში გაახსენდა ბილწი ნიანგი და უნებურად ტანზე ბუსუსებმა დააყარა. არაფი დაისხა და გადაჰკრა.

— ეგ უკვე სიცოცხის ჟრუანტელი არ უნდა იყოს! აბა, მითხარი, რა შეგეძინება?! მობრძანებლის ახლობლები ტყუილუბრალოდ არ დაწანწალებენ ბნელ ქუჩებში. სად დასკვლდი ასე?

— ვერონიკას აუზში... — უბრალოდ თქვა დაუთამ და კბილი კბილზე დააცემინა.

— ვერონიკას აუზში?! — შეკრთა ტატე, რადგან ბეთქილაპურში არ არსებობდა ადამიანი, ვისაც ამ საზარელი კაცოცამია ქვეწარმავლის სახელი არ ჰქონოდა გაგონილი, — მერე ცოცხალი ხარ?!

— მე მგონი, კი. — გაეღიმა დაუთას.

— რახან იცინი. უკვე აღარაფერი გიშავს... თუმცა, — ფიქრიანად განაგრძო ტატემ, — კი უნდა გამეფრთხილებინე.



— როგორ, თქვენ იცოდით...

— არა, რა თქმა უნდა, ვერ ვიფიქრებდი, ასე უცხად თუ გაგიმეტებდა სანაინგე კერძად. მაგრამ იმდენს კი ვხვდებოდი, რომ არაფრით არ გააპატიებდა.

— რა მჭირდა საპატიებელი? — გოცდა დაუთა, — მთელი ქვეყანა ისე მოვიარე, ერთი ხელი ტანსაცმელი არ გამიხნია. ჩემი ბიჭები კინაღამ შიმშილით დავხოცე. კვირაში ერთი ოქროთი ვირჩნდით თავს, ბეთქილაპურისთვის რომ არაფერი მომეკლო. იმდენი რამე ჩამოვტანე, ბარე ათ წელიწადს ყოფა ქვეყანას...

— სწორედ მაგას ვერ გააპატიებდა! შენ ახლა მთელი ბეთქილაპური გიცნობს. შენი სახელი ლამის კალენდულასა და დინგ დოს სახელების გვერდით მოიხსენიონ. ხედები ახლა რატომ მოხვდი ვერონიკას აუზში?!

— თუკი ბეთქილაპურს ასე სჭირდება... — ყოყნით წამოიწყო დაუთამ.

— ბეთქილაპურს? — ტატე ინტერესით დააკვირდა დაუთას, — იქნებ სეიდას, ალენტინის, რეპოს, ამდენი მშვენიერი მეცნიერის, პოეტის, ოსტატის სიკვდილიც სჭირდებოდა ბეთქილაპურს? ჩემი ხნოვანება უფლებას მაძლევს პირდაპირ გითხრა: არა ხარ სულელი კაცი და ძალად ნუ ისულებლებ თავს.

— არ მინდა დავიჯერო. — სევდიანად გაიქინა თავი დაუთამ.

— ვერონიკასთან ნაბანავეები კაცი არ შეიძლებაოდა, არ დარწმუნებულებიყი! — მტკიცედ თქვა ტატემ.

— ჩვენი ბრძოლა... ეს წლები...

— მესმის! — ტატემ მხარზე ხელი დაადო დაუთას, — ძალიან ძნელია, როცა ასე მწარედ მოტყუვდები კაცი, მაგრამ მიმოიხედე გარშემო. არ ვიცი სასახლეში ამისთვის გეცალა თუ არა..

— არა, რა თქმა უნდა.

— ჰოდა. მალე ნახავ, რა ხდება ბეთქილაპურში. ვაჟკაცურად შეხედე სიმართლეს: თქვენ ბეთქილაპურისთვის არ გიბრძოლიათ!

— აბა, თუ...

— გაუძელი, დაუთა, ბრძოლის შედეგი ნათელია: დინგ დოს აღზევება!

— ქვეყნის გამდიდრება? — ხავსს ჩაეჭვიდა დაუთა.

— გამდიდრება? — გაიცინა ტატემ. — წამოდი კეთროვანებთან და მე შენ განვენებ გამდიდრებულ ადამიანებს. არ ვიცი, რა ფოკუსი გააკეთა იმ შენმა დინგ დომ, მაგრამ ეგ გამდიდრება აბრიალებულ ბურბუშელას მაგონებს.

— მართალია. ბოლო ხანებში მაგ საკითხებზე ვუშუაობდი. დავამტკიცე, რომ უკან მიდის საქმე. არც კი მომისმინა.

— ეს იგი, კიდეც რალაცის იმედი აქვს. მაგრამ არც ის გაგრძელდება დიდხანს.

— მგონი მართალი უნდა იყოთ, დიგო...

— გაიგე, აღარ არსებობს დიგო. არის მბრძანებელი დინგ დო ვინაც უსახვდვრო ძალაუფლება ჩაიგდო ხელში, ამ კუნძულზე მაინც. ის დღეს ვერონიკაზე საშინელი ურჩხულია... შენ კარგად იცი რამდენი ვეცადე ჩვენს გზაზე გადმომეყვანა... მარტო რწმენა-არწმენაში არ არის საქმე. უბრალოდ, ისეთი მოუხელთებელი სატანა ვჯდა გულგავაში, რომელსაც ვერაფრით ბოლო ვერ მოუვლე. თითქოს ყველაფერში მეთანხმებოდა, სწორად იქცეოდა, მაგრამ მე ყოველთვის ვგრძნობდი იმ უწმინდურის არსებობას.

— მეც!

— აი, ხომ ხედაე! მერე კი ნამდვილ ემშაკს გადაეყარა და გაიფურჩქნა კიდეც.

— ბატონო ტატემ!

— გამოფხიზლდი, დაუთა! იმ კაცს კალენდულას, საშინელი ზეგავლენა აქვს ადამიანებზე. მონუსხულები ჰყავხართ ყველანი. ერთხელ ვიგრძენი მისი ძალა და არ ვიცი, შეირედ გაუძლებ თუ არა... არადა, ასეთი ჭკვიანი და განათლებული უსახვდვროდ ნიჭიერი და ფიზიკურად სრულქმნილი კაცი მეორე არ დაიარება დედამიწის ზურგზე... რად ვინდა მერე?! მით უფრო საშიშია, რადგან სწორედ ასეთ კაცს შეუძლია

ქვეყანა დააქციოს! ხომ წაიკითხე მისი წიგნი?! თუმცა, რას გეკითხები, ალბათ ზეპირად იცი. თითქოს ყველაფერი სწორად წერია, ვერაფერში შეედავები და მაინც მცდარია, თავიდან ბოლომდე სიყალბეა... მე არა მაქვს იმის ცოდნა, რომ რაიმეში შეეედავო, მაგრამ კარგად კი ვხედავ, რომ გაფურჩქნილი, არაჩვეულებრივი სილამაზის ყვავილის მიღმა საზიზღარი შხამიანი ობობა იმალება... იმდენი შხამი აქვს იმ ობობას, რომ ბეთქილაპურს კი არა, ბარე ორ დედამიწას ყვოფა მოსაწყამლად. მოიცა... მე ჩემი თვალით ვნახე, როგორ აკონსერვებდა მართალია მომაკვდავ, მაგრამ ჯერ კიდევ ცოცხალ კაცს! და აქ შევაძინე, რომ პირველი მოძრაობით მან ხუფი გვერდზე გასწია. რატომ? იმიტომ, რომ მე იქ ვიყავი და კალენდულამ იცოდა, რა ცუდ საქმესაც ჩადიოდა. ასეა თუ ისე. იგი მაინც ადამიანად არის დაბადებული და ხელის ის უნებური მოძრაობა სწორედ მასში ღრმად ჩაბუდებული ინსტინქტიდან მოდის ისე, როგორც საშიშროების დროს კაცი სახეზე ხელს იფარებს. არ ვიცი, მისმა მძლავრმა გონებამ ბოლოსდაბოლოს იქნებ გაარღვიოს ის შავი ბურუსი და სინათლეზე გამოვიდეს! აი, დინგდოს კი ნამდვილად აღარაფერი ეშველება.

— იქნებ, ღვთის შეწყენით?!

— მე მუდმივად ვლოცულობ მისთვის, მაგრამ ვგრძნობ, რომ ფუჭია ეს ლოცვა. ბოლოს, როცა მოედანზე ვნახე... — ტატემ თავი გაიქნია, — საძაგელი სანახავი იყო. ეს ამდენი გადარეული ხალხი, ყვირილი, კვიილი... და მას ეს ყველაფერი, აშკარად ეტყობოდა. საიმოვნებდა. ეგ ისეთი სენია, რომლისგანაც თითქმის ვერავინ ვერასოდეს ვერ იკურნება. ყოველ შემთხვევაში მე არ მსმენია და არც წამიკითხავს სადმე. ცოდვილია ის უბედური და რაც დრო გადის, მით უფრო ღრმად ეფლობა ჭაობში.

— ასეა, ბატონო ტატე, ასე, სამწუხაროდ! მე კი...

— შენ მსხვერპლი ხარ, არც მეტი და არც ნაკლები. ისევე, როგორც ის ათათასობით დაბრძანებული, მოედანზე რომ იყრიან თავს და ბეთქილაპურს გაუმარჯოსო, გაჰყვირიან. მბრძანებლებმა კარვად იციან თამაშის წესები. ხომ მშვენიერი გრძნობაა სამშობლოს სიყვარული — წრფელი, სუფთა, ლამაზი, ამადლებული... ჰოდა, სწორედ ამ სიმსიყვანებენ ყველაზე მეტად. ამისთვის იგონებენ სიტყვებს, მაგალითად „ერის ღირსებას“, მერე ამით ყველაფერი მართლდება — უგუნურობა, სისასტიკე, შურისძიება, დაპყრობითი ომები და კაცის კვლაკი...

— ბატონო ტატე, თუ ასე გაგრძელდა...

— მართალი ხარ, ღვთის წყრომა დაგვატყდება თავს, მაგრამ მე ბრძოლა აღარ შემიძლია, დაუბრდი, თანაც ჩემ კეთროვანებს რა ვუყო? აი, შენ კი შეგიძლია ეს. დიდი სიფხიზლე, ჭკუა და დაკვირვებულობაა საჭირო, ურჩხულს რომ შეებრძოლო. დრო უნდა გავიდეს, ქარიშხალი გადავიდის, ხალხი ნელ-ნელა გამოფხიზლდება. საღი თვალთ შეხედავს ყველაფერს. ეს დრო დადგება. აუცილებლად! შენ და შენისთანა ვაჟაკებმა უნდა დააჩქაროთ!

— თან მათ მკვდარი ვგონივარ. — ჩაიბუტბუტა დაუთამ.

— ჰოდა, ძალიანაც კარგი. კეთროვანებთან ახლო ყოფნა არც ისე საშიშია. როგორც ბევრს ჰგონია. სოფლის შესასვლელში ერთი ქოხია. წინათ ერთი კეთროვანი მოხუცი ცხოვრობდა, მერე მე და... ჰო, ახლა ჩემთან ერთად ჯომვა ზუცვის ცხოვრობს იმ ქოხში. გახსოვს?

— როგორ არა. — დაუთას უცებ ის უბედური თუთიფუში გაახსენდა და ახლა უკვე თავისუფლად გადაიხარხარა. არაფიც თბილად გაუჯდა ძარღვებში... — მამ, გაუმარჯოს ცხოვრებას!

— ძალიან კარგი. არა, ეგეთი გულუბრყვილობა გაგონილა?! — თავისთვის ბურტყუნებდა ტატე და თან საგზალს ამზადებდა, — ალიყური და საურა ახლად გამახსენდა. მაგას გაპატიებდა დინგდო მბრძანებელი?!



— უფრო კარგად უნდა მომეცხო.
— ჰო, ალბათ უნდა გეცადა, მაგრამ არა მგონია, მაგით რამე შევლებოდა. აბა, წავიდეთ.

— კეთროვანებში რომ ვინმემ მიცნოს?

— მაგაზე არ იფიქრო. კეთროვანებს თაყიანთი სადარდებელი აქვთ და სახელმწიფო მოღვაწეები ნაკლებად აინტერესებთ. რამდენიმე თვეში ჯოშვა უდაბნოში გაემგზავრება მოხეტიალე ცირკთან ერთად. იქაურებთან კავშირი უნდა გავაბათ...

LII. უკვლავების კბნაში

აუ, რა დრო გასულა იმ ბედნიერი დღის მერე, როცა ახალგაზრდა მამის ბერისთვის უცნობმა მოქანდაკე ლილიმ ნეტარხსენებულ ქალბატონ ბრუნგარიტას თავისი ნამუშევარი მიუძღვნა.

რამდენმა ქართველიმა გადაუქროლა მრავალჭირნახულ ბეთქილაპურს. სკულპტორი ლი-ლი კი მუშაობდა.

და აი, ერთ მშვენიერ დილას ბეთქილაპურმა აღმოაჩინა, რომ მათი თანამემამულე ლი-ლი მსოფლიოში აღიარებული ხელოვანი ყოფილა. ეს მას შემდეგ მოხდა, რაც იმხანად ზენგო XXXVIII-თან მეგობრული ვიზიტით მყოფმა ერთ-ერთი უცხო სახელმწიფოს მეთაურმა ლი-ლისთან შეხვედრა მოისურვა და უკიდურესად განცვიფრდა, როცა შეიტყო, რომ სკოლოპენდერთა კარზე კაციშვილს არ გაეგო ეს სახელი. გამოირკვა, რომ ამ მოქანდაკის ნამუშევრების შექმნა მსოფლიოს უკლებლივ ყველა მუზეუმისათვის დიდი პატივი და ღირსება ყოფილა!

რომ თურმე მისი ერთი ქანდაკება თვით რომის პაპს შეუქმნია!

რომ თურმე ამერიკის ხელოვნების აკადემიას ლი-ლისთვის ზედისუფლად მეთხედ მიუნიჭებია „ოქროს მარტორქა“ (მოგვიანებით ცნობილი გახდა, რომ ამ აკადემიას თავისი არსებობის მანძილზე სულ სამი „ოქროს მარტორქა“ გაუცია). ცნობისმოყვარეებმა ისიც გაიგეს,

რომ ერთ განსაკუთრებით მკაცრ ურუგაველ ხელოვნებამტკონეს ლი-ლისთვის ერთგვარი სტილური ეკლექტიზმი უსაყვედურებია და ამის გამო იმ ურუგაველის მიმართ მთელი ბეთქილაპური ზიზღითა და გულისწყრომით აივსო, ხოლო ყოვლისმტკონე ყურნალისტებმა ზარ-ზეიმით აუწყეს საზოგადოებას, რომ ამ ხელოვნებამტკონის ცოლის დისშვილი სურინამის საპორტო ქალაქის ერთ-ერთი ბორდელის მეძავე ყოფილა!

ერთი საკვირველი ზნე ჭირდა ბეთქილაპურგლებს — საკმარისი იყო უცხოეთს ელიარებინა მათი თანამემამულე, რომ მთელი ქვეყანა ფეხზე დამდგარიყო და დიდების განუწყვეტელი ჰიმნი ეძღერა იმ ადამიანისათვის, რომელიც იქამდე შიმშილით რომ მომკვდარიყო, კაცი არ მიაქცევდა ყურადღებას..

ასე იყო თუ ისე, მოქანდაკე ლი-ლის ძველი, ორსართულიანი სახლი და განსაკუთრებით მისი სახელოსნო სულ ცოტა ხანში ქვეყნის მთავარ ღირსშესანიშნაობად გადაიქცა.

დილიდან გვიან დამემდე ეს სახლი უცხოელი სტუმრებითა და ადგილობრივი თავყანისმცემლებით იყო გაჭვდილი. ლი-ლის მიუხედავად იმისა, რომ მოქანდაკის მთელი შემოსავალი მათ მასპინძლობას ხმარდებოდა, ეს განუწყვეტელი ხალხმრავლობა ბავშვით ახარებდა. იგი ყოველთვის პოულობდა დროს, გამოსულიყო სტუმრებთან, მათთან ერთად ორიოდე ჭიქა საუცხოო პალმის ღვინო დაეღია და მოხდენილი სიტყვა-პასუხით, გონებაბაზვილობითა და კეთილშობილებით მოეხიბლა საზოგადოება.

ლი-ლი ხმელ-ხმელი, ძარღვიანი კაცი იყო. მას მეტად თავისებური, თითქოსდა ძველი ფრესკიდან გადმოხატული სახე ჰქონდა და ისეთი ღიმილი იცოდა, მტერსაც კი მოყვარედ მოაქცევდა. ასე რომ, მის თავყანისმცემლებში ქალები უდიდეს უმრავლესობას შეადგენდნენ.

კალენდულას გაღმერთებისა და დინჯდოს ზელისუფლების სათავეში მოსვლის შემდეგ მოქანდაკის სახლში სიწუ-

მემ დაისადგურა. მისი მისამართი ბეთქილაპურის ღირსშესანიშნაობათა სიიდან ამოიღეს. წელიწადი ისე გავიდოდა, რომ ლი-ლის სახლის კარს თითო-ორი-ლა ერთგული მოწაფე ან ვინმე გზა-ახნეული უცხოელი თუ შეაღებდა ხილ-მე.

ეს გამოიწვია მბრძანებლის მიერ ერთ-ერთ წვეულებაზე ნათქვამმა სიტყვამ — „ლი-ლი ელიტარული ხელოვნაია.“ ებითუტი „ელიტარული“ ბეთქილაპურელებმა რატომღაც ლანძღვად მიიჩნიეს და ყოფილ კერძს ზურგი შეაქციეს.

ლი-ლიმ რომელსაც უკვე დიდი ხანი, ამ ქვეყნად აღარაფერი აკვირებდა, ეს გარემოება დთვის წყალობად მიიღო და საბოლოოდ გამოიკეტა თავის სახე-ლოსნოში.

მაგრამ მოქანდაკემ არ იცოდა, თუ როგორ აღიზიანებდა მისი სიჩუმე და „ამა ქვეყნიდან განდგომა“ ღიად დინგ ღოს.

საქმე ის იყო, რომ მბრძანებელს ერთი ნატურა ჰქონდა გულში ამოჭრილი — ბეთქილაპურის მთავარ მოედანზე ჩემი ქანდაკება სწორედ ლი-ლიმ უნდა დადგასო. ეს ნატურა მას შემდეგ გადაიქცა რეალობად, რაც კალენდულამ ცივი უარი განაცხადა ძველზე.

წლები გადიოდა.

ბეთქილაპურელმა მოქანდაკეებმა და მხატვრებმა კალენდულასა და დინგ ღოს მარმარილოს თაბაშირის, ბრინჯაოს, თუჯის, ჭედური თუ ფერწერული პორტრეტების უზარმაზარი გალერეა შექმნეს. სახვითი ხელოვნების ოსტატები ერთმანეთს ექმშებოდნენ, მტრობდნენ, ასმენდნენ, მლიქვნელობდნენ, ჭორებს ავრცელებდნენ, ერთი სიტყვით: ნემსის გუნწში ძვრებოდნენ, ოღონდ კი ბეთქილაპურის მთავარ — კალენდულას სახელობის მოედანზე დინგ ღოს ძველის შეკვეთა დაეთრიათ.

მაგრამ ღიადი მბრძანებელი ლი-ლის ელოდებოდა.

ლი-ლი კი ამ დროს ადამის ნეკნიდან ახლადშობილი ევას ქანდაკებას ამთავ-

რებდა და ყველაზე ნაკლებ დინგ ღოს ბრინჯაოსა თუ გრანიტში უკვლავყოფის იდეა აწუხებდა.

დინგ ღომ ეს იგრძნო და გადაწყვიტა თვითონ მისულიყო მოქანდაკესთან. წინასწარ ჯერ კინკა მიუგზავნა, რომელმაც არაორაზროვნად მიანიშნა, ლი-ლის, დინგ ღო სულაც არ იქნება წინააღმდეგი, თუ ბეთქილაპურის მთავარ მოედანზე შენი ხელით გამოქანდაკებული მბრძანებლის ძველი დაიდგებო. ოსტატმა განგებ არ მიაქცია ყურადღება „ქიფხაზლის რაზმის“ უფროსის სიტყვას და ამით დინგ ღოს თავმოყვარობას საკმაოდ მტკივნეული დარტყმა მიაყენა. მბრძანებელმა გულში ჩაიმარხა წყენა და მტკიცედ აღუთქვა თავის თავს, არავითარი ვნება არ მიეყენებინა სკულპტორისათვის, თუკი ის ბოლოს დაბოლოს დათანხმდებოდა.

„ვაპატიებ, აუცილებლად ვაპატიებო“, ჩაილაპარაკა და საკუთარი სულგრძელობით გაცისკროვნებული სარკესთან დადგა. მაგრამ დიდხანს ვერ შეინარჩუნა ღირსეული და კეთილშობილური იერი — საიდანღაც გამომტყვერალმა მაიმუნისმაგვარმა დინგ ღომ სარკიდან ენა გამოუყო და თვალი ჩაუკრა. „ვაპატიებ, რა თქმა უნდა... პირველ ხანებში მაინცო“...

დინგ ღომ ლი-ლისთან ვიზიტის დღედ უახლოესი ხუთშაბათი დანიშნა.

დილაადრიან კინკა მოქანდაკეს ეწვია და გააფრთხილა, მბრძანებლის სტუმრობისათვის უნდა მოემზადო. მერე თავის ხალხს უბრძანა, ლი-ლის სახლისთვის სამმაგი, ხოლო მთელი იმ უბნისთვის ორმაგი წრე შემოერტყათ, წინასწარ მომზადებული ხორავი შინ შეეტანათ და სუფრა გაეწყეთ.

ლი-ლიმ ამაზე ცივი უარი სტკიცა კინკას და განუცხადა — მე ჩემს სტუმრებს ჩემს სახლში ჩემი პურ-მარილით უუმახინძლდებიო.

კინკა დაიბნა, მაგრამ მასპინძელს ვერაფერი აკადრა და სავანგებოდ შერჩე-



ული ნუგბარ-ნუგბარი უკან გააბრუნა. თუმცა ის კი მოახერხა, რომ ყოველი კერძი და ღვინო ამ მიზნით გამოყოფილი კაცისთვის დაეჭაშნიკებინა (ეს კაცი მერე სოკოთი მოიწამლა საკუთარ ოჯახში)...

სასახლიდან მოქანდაკის სახლამდე დინჯად მოსიარულე კაცი ათ-თხუთმეტ წუთს თუ მოანდომებდა, მაგრამ დინჯდოს ყოველი გამოსვლა სასახლიდან ეტიკეტისა და უსაფრთხოების წესების მკაცრი დაცვით ხდებოდა და მზადებამ დღის სამ საათამდე გასტანა.

ლი-ლის მოხუცი მოსამხაზურე, ვისაც დიდი და პატარა ბებიას ეძახდა, დიდიდან სამზარეულოში ტრიალებდა და უკვე მოესწრო უგემრიელესი კერძების გაკეთება. კინკას საზეიმოდ მორთულ-მოკაზმული მრისხანე რაზმელეების დანახვაზე ბებია დაშინდა და თავის ოთახში ჩაიკეტა.

— მაშ, შევაშინეთ ქალბატონი? — უცებ გაერკვა დინჯ დო ვითარებაში და ლი-ლის ხელი გაუწოდა. — მშვიდობა შენდა, სახელოვანო ლი-ლი!

— კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, ბატონო დინჯ დო! — მშვიდად უპასუხა ხელოვანმა და სტუმარი შინ შეიპატიჟა. მას არც ლომის თანაგარსკვლავედი უწოდებია მბრძანებლისთვის და არც მწისა და მთვარის ნეტარება.

დინჯ დომ ეს არ შეიმჩნია და კინკას ანიშნა, შენ რაზმელებთან დარჩიო. მერე ღიმილით მიუახლოვდა გამოკეტილ კარს:

— გამობრძანდით, ქალბატონო, დინჯ დო თავის ერთგულ ქვეშევრდომებს არაფერს ავნებს!

ღელაბერი, ვისაც მბრძანებელი რაღაც საშინელ ურჩხულად ჰყავდა წარმოდგენილი, ამ ყოველად ადამიანური ხმის გაგონებაზე შეცბა და კარი გაადო.

— მაპატიეთ, მბრძანებელო, შეიარაღებული ხალხი რომ დავინახე...

სახეზე ცეცხლწაკიდებულმა ბებიამ სამზარეულოს მიაშურა.

— საკვირველია და საწყენი ხალხისათვის ამდენს იღწვოდე და ვინმეს კი-

დე შენი ეშინოდეს! მტრების ხრიკებს ეს ყველაფერი, ჩემო ბატონო, მათი დაგდებული ჭორები!

მბრძანებელი ასეთი უმადურობით ღრმად შეურაცხყოფილი კაცის იერით მიუჯდა მაგიდას და პური გატეხა.

ლი-ლიმ სტუმარს ბროლის თლილ ჭიქაში სურნელოვანი პაღმის ღვინო ჩამოუსხა და თვითონაც დაისხა.

— ღვინო მართლაც შესანიშნავი გქონიათ: ბატონო ლი-ლი!

მასპინძელმა მშვენივრად იცოდა თავისი ღვინის ფასი, მაგრამ მბრძანებლის შექება მაინც ესიამოვნა. „რა მომდისო?“ — გაიფიქრა. თუმცა იმასაც მიხვდა, რომ ახლა ანალიზისა და განსჯის დრო არ იყო...



მბრძანებელმა დიდი ყურადღებით დაათვალიერა მოქანდაკის სახელოსნო. ლი-ლი გაოცებული იყო — დინჯ დო სწორედ იმ ნამუშევრებს აქებდა, რომლებიც თვით ოსტატს მიაჩნდა საუკეთესოდ.

— ეს გორელიეფი აქედან ჩანს ყველაზე უკეთ! — თქვა დინჯ დომ.

— საკვირველია! მირს დაიხედეთ, ბატონო!

იქ საღაც დინჯ დო იღვა, ფანქრით ჯვარი იყო დახაზული.

— ეგ ადგილი ჩემი მონიშნულია. არ მეკონა თუ...

— ჰო, ქანდაკების ხელოვნება ჩემთვის არ არის უცხო... ბატონო ლი-ლი, თუ არა ვცდები, აქ დონატელოს გავლენა იგრძნობა... ხომ არ მაწყენს?!

— არა, რას ბრძანებთ! პირფერობა არა მჩვევია. მაგრამ არ შემიძლია არ გითხრათ: უადრესად მახვილი თვალი გქონიათ! ეგ შენიშვნა დიდი ხნის წინათ ერთმა მოხუცმა სკულპტორმა მომცა. მან თავის დროზე მთელი ეპოქა შექმნა ხელოვნების ისტორიაში...

— ალბათ, სკოპა, არა?!

— ქედს ვიხრი და გნებდებით! — წამოიძახა ლი-ლიმ.

რა იცოდა ხელოვანმა, რომ დინჯ დო

მისი სათაყვანებელი ქალბატონი ბრუნ-გარიტას ვაჟიშვილი გახლდათ, სწორედ ის ჰომობასრო, ვისაც მან თავის დროზე სათამაშო ჯარისკაცებით სავსე ყუთი აჩუქა არც ის იცოდა მოქანდაკემ, რომ ახლა, ამ წუთს დიადი მბრძანებელი არაფერს დაინახებდა, ოღონდ კი ერთი წუთით მაინც ჩახუტებოდა ადამის ნეკინდან შობილი ქალწული ევას თბილი ვარდისფერი მარმარილოსაგან გამოთლილ მშვენიერ ქანდაკებას... მტანჯველი სურვილისაგან სიცივემ დაუარა მუცელში მბრძანებელს, კინაღამ დაივიწყა ყველაფერი, მაგრამ უცებ ლი-ლის დინჯ სახეს ჰკიდა თვალი და მიწაზე დაეშვა.

— მომილოცავს, ბატონო ლი-ლი. ეს სრულყოფილი მშვენიერებაა. თანაც მომავლის მშვენიერება!

— დიდი მადლობა, ბატონო დინგ დო! თქვენ ჰირველი ადამიანი ხართ. ვინც ასე ღრმად ჩასწვდა ჩემს ქანდაკებაში ჩადებულ დედაზრს.

— კარგია ჰირველობა! — სასხვათაშორისოდ წარმოთქვა დინგ დომ.

— შეიძლება.

— დამერწმუნეთ, ბატონო ლი-ლი! ხელოვნებასა და პოლიტიკას გაცილებით უფრო მეტი აქვთ საერთო, ვიდრე ადამიანებს ჰგონიათ. მაგალითად, პატივმოყვარეობა და, აქედან გამომდინარე, ჰირველობისაკენ და ძალაუფლებისკენ სწრაფვა.

— ძალაუფლებისკენ? — გულწრფელად გაიკვირვა ლი-ლიმ.

— რა თქმა უნდა! ორივე ცდილობს, რაც შეიძლება მეტი ადამიანი დაიმორჩილოს. რა ღრმად ცდებიან ისინი, რომლებიც ფიქრობენ, რომ ძალაუფლება თითქოს რაიმე მიზნის მისაღწევად იყოს საჭირო. ამ დროს ძალაუფლება თვითონ არის მიზანი. მაგრამ ამისთვის მარტო ოსტატობა და საქმის ცოდნა როდი კმარა!

— მესმის. რამდენჯერ მინახავს, როცა მაყურებელი მოაქვრილ ჩარჩოს უფრო აკვირდება, ვიდრე შიგ ჩასმულ ნახატს.

— სწორედაც! ბრბოს აღტაცებას ნახლვარი არა აქვს, თუ გაიგეს, რომ ვიწრო საწოლზე წვეზარ და ნაირ-ნაირებს არ მიირთმევ. ეს იმიტომ, რომ კარგი ჭამა-სმის თუ ჩაცმა-დახურვის იქით მათი გონება ვერ მიდის. მაპატიეთ გულახდილობა, მაგრამ თქვენს ხელოვნებას ბეთქილაპურში ორი საუკუნის შემდეგ დააფასებდნენ, იმ უცხოელს რომ არ მოეკითხეთ...



ლი-ლი ორი საათის განმავლობაში ფარულად აკვირდებოდა მბრძანებლის სახეს და ცდილობდა გამოეცნო, რა იყო მასში განსაკუთრებული. მას უკვე თვალახვეულს შეეძლო დინგ დოს პორტრეტის დახატვა, მაგრამ გარეგნული მსგავსების გარდა იქ არა იქნებოდა რა. ლი-ლის კი მისი ყველაზე დამახასიათებელი შესტი უნდოდა დაეჭირა.

— თქვენ უკვე ისე მიცქერით, ბატონო ლი-ლი, თითქოს უკვე დაგეწყოთ მონუმენტზე მუშაობა.

ლი-ლის უნებურად გაედიმა, იმდენად ზუსტად გათვალა მბრძანებელმა ამ სიტყვების წარმოთქმის მომენტი. ახლა უკვე დაკვეთაზე უარის თქმა ოსტატს უტაქტობაში და უზრდველობაში ჩაეთვლებოდა, მოსალოდნელ შედეგებზე რომ აღარაფერი ვთქვამთ.

— ნება თქვენია, ბატონო.

— მზისა და მთვარის ნეტარებავ, დიდი ღომის... — მორიდებით შემოაღო კარი კინკამ.

— აი, კინკაც შემოგვიერთდა, — გააწყვეტინა დინგ დომ, — ესე იგი, დამშვიდობების დროა! თქვენი სტუმართმოყვარეობა და გულუხეობა უკვე ენახე ახლა ჩემიც უნდა გაჩვენოთ, ბატონო ლი-ლი!

— მე მინდოდა სკულპტურა თქვენთვის საჩუქრად მომერთმია, მბრძანებელი!

— ჰო, ვიცი, ვიცი, ბატონო ლი-ლი, თქვენსავით მეც ვთვლი, რომ დიდ ხელოვანთა ქმნილებებს ფასი არ ადევთ,

მაგრამ მაინც ვეცდები: ღირსეულად შე-
ვაფასო იგი!

სულ უკანასკნელ წუთს, როცა კინკა
გარეთ ბრძანებებს იძლეოდა, ხოლო
სტუმარ-მასპინძელი ერთმანეთს ემშვი-
დობებოდნენ, კართან მდგარი ჯარისკა-
ცი უხერხულად შემოტრიალდა და ფა-
რი ბრინჯაოს ქანდაკებას გაჰკრა.

ფოლადის ფარმა ჟღერიალი მოიღო
და უცებ დინგ დოს სახეზე საოცარი
უმწეობის განცდა აღებუჭდა და ხელის
ზურგიც უნებურად ცხვირისაკენ გაექ-
ცა... ეს გაგრძელდა სულ ერთ წამს. ან
მის შეათედს, მაგრამ სრულიად საკმა-
რის აღმოჩნდა ლილისთვის, რომ სა-
მუდამოდ დაემახსოვრებინა მბრძანებ-
ლის გამომეტყველება. ამავე დროს ოს-
ტატმა გაიფიქრა, ეს შეესტი ოდესღაც
ნანახი მაქვსო...

— კინკა, ჩემი სასახლის კარი ყო-
ველთვის დია უნდა იყოს ბატონი ლი-
ლისთვის!

მოქანდაკემ თავი დაუკრა მბრძანე-
ბელს.

დინგ დო დინჯად მიდიოდა თავისი
ეტლისაკენ და მის სანახავად შეკრებილ
აღტაცებულ ადამიანებს მზიურ საღამს
ურიგებდა...

LIII. დღისა

ზოგჯერ ლექსი ჰგავს ნებიერ

ქალწულს —

ქალღმრე დაწოლა

არა და არა!

არა და არა!

არა და არა!

არა და არ სურს!

ყოველ შემოქმედს გამოუცდია ალ-
ბათ ეს საძაგელი შეგრძნება — თითქოს
ჯანმრთელადაც არის, იცის, რა უნდა
გააკეთოს, მასალა აქვს, არც ხელს უშ-
ლის ვინმე, მაგრამ...

ამ დროს მწერალს ცარიელი ქალღ-
მის ფურცლისა ეშინია. მხატვარს ფუნ-
ჯისა და მოღბერტის წარმოდგენაზეც
კი ტანში ჟრუანტელი უკლის, ხოლო

3. „ცისკარი“, № 2-3.

მუსიკოსი სიტყვა „მუსიკის“ გაგონება-
ზე მზად არის ამის მოქმედს უძვირფა-
სესი ვიოლინო დააფშვანს თავზე.

სწორედ ამ დღეში გახლდათ სკულ-
პტორი ლი-ლი დინგ დოს უზუნაესი
სტუმრობის მერე.

სახელოსნოს ახლოს არ ეკარებოდა.

სამზარეულოში ჩაიკეტა, ბებია მკაც-
რად გააფრთხილა, მომსვლელი არავინ
დამანახო და დღედაღამ პალმის
ღვინითა და წიგნებით ირთობდა თავს.

დღე დღეს მისდევდა, პირველი ესკი-
ზების დათვალეირების დათქმული ვადა
კარგა ხანია გასულიყო და მოქანდაკეს
კი ჯერაც ვერ წარმოედგინა, როგორ
უნდა შეექმნა შთამბეჭდავი მონუმენტი
კაცისა, ვისი წვრილი ხელ-ფეხი, ჩაჯარ-
ღნილი მკერდი, მარიონეტის მკვთრი
მოძრაობები და აცა-ბაცა მზერა კარი-
კატურის თემად თუ გამოდგებოდა. გა-
რეგნული ნაკლის დაფარვა, ვთქვათ, კი-
დევაც რომ მოეხერხებინა... მაგალითად,
სწორი, ტრადიციული ხალათით... კარ-
გია! ძველ ბეთქილაპურელებს ეცვათ
ასეთი... მაგრამ სახე? გამომეტყველე-
ბა?! მხოლოდ ერთხელ ჩაუდგა თვალე-
ბში აზრი — ქანდაკებებს რომ ათვალეი-
რებდა, მაშინ... მაგრამ მოქანდაკის გარ-
და ასეთ დინგ დოს ალბათ არავინ იც-
ნობდა... არა, არ გამოვა არაფერი!..

ამ აბეზარ ფიქრებს ვერც სახელოს-
ნოში ჩაიკეტა შევლოდა, ვერც წიგნები
და ვერც ღვინო.

— ბატონ ლი-ლის რაღაც აწუხებს?!

მოქანდაკემ თავი აწია. მის წინ სამ-
გლოვიარო შავ კაბაში გამოწყობილი
ახალგაზრდა ქალი იდგა.

მოხუცი მოსამსახურე უმწეოდ შლი-
და ხელებს:

— მე ხომ...

— ჩემი ბრალია, — მომხიბლავი ღიმი-
ლით შეაწყვეტინა დედაბერს სტუმარ-
მა. — ბატონო ლი-ლი, ხომ არ გამიწყ-
რებით?

— არა, მაგრამ...

— ნათესავი ვარო, მითხრა. — როგორც იქნა, ჩაურთო დედაბერმა.

— მოგატყუეთ, ქალბატონო, ბოდიშს ვიხდი, თუმცა სურინამიდან საგანგებოდ ბატონი ლი-ლის სანახაგად ჩამოსულ ადამიანს ალბათ უნდა ეპატიოს ეს პატარა ეშმაკობა.

— სურინამიდან? — განცვიფრდა ლი-ლი.

— დიახ! მე დელია ვარ — თქვენთვის ცნობილი ურუგვაელი ხელოვნებათმცოდნე მარკოსის ცოლის დისშვილი. თავის დროზე ჩემი სახელიც საკმაოდ ათრიეს ბეთქილაპურში.

— დიახ, დიახ, — ლი-ლიმ უხერხულობა იგრძნო სტუმრის წინაშე ღვინით გაწეპილი მაგიდისა და საერთოდ, ასეთი სიტუაციის გამო, — სასტუმრო ოთახში მიბრძანდით: იმედია, ბებია რამით გავვიმასპინძლებდა.

— ახლავე! — დაფაცურდა დედაბერი.

— მე კი ცოტა ჩემს თავსაც მივხედავ, ოღონდ არ მოიწყინოთ. — გაუღიმა სტუმარს ლი-ლიმ.

— თქვენის ნებართვით სახელოსნოს დავათვალიერებ. იმდენი რამ მსმენია თქვენ შესახებ... ხომ შეიძლება?

— კი ბატონო.



ცოტა ხნის მერე გაპარსულმა და თითქმის გამოფხიზლებულმა ლი-ლიმ სახელოსნოს კარი გამოაღო.

დელია გაზაფხულის - დაუმთავრებულ ქანდაკებასთან იდგა.

— მოგწონთ?

— ძალიან! ქანდაკების ბევრი არაფერი გამეგება. მაგრამ ქალის სილამაზის შეფასება კი ნამდვილად შემიძლია. ეს გოგონა უნაკლოა, თუმცა...

— თუმცა?

— შეჩვენება, რომ მარცხენა ხელი... თითქოს რაღაცით შებოჭილია... არ ვიცი, როგორ ვთქვა.

ლი-ლი აღელდა. სწორედ ამ მარცხენა ხელის გამო ვერ ამთავრებდა ქანდა-

კებას. ეს ერთი მოძრაობა აკლდა, ცოცხლო წამს უსხლტებოდა ხელიდან...

— ქანდაკება დაუმთავრებელია. — შუბლი შეიჭმუნა ოსტატმა.

— აი, მგონი ვაწყენინეთ, — შეწუხდა დელია, — მე კი მინდოდა, მოეხმარებოდით.

— ამ საქმეში ძნელია დახმარება. — გაიღიმა ლი-ლიმ.

— და მაინც... მოდელად რომ დაგიდგეთ?

— ბატონო?

— ვინ იცის, იქნებ მოგეწონოთ?!

დიდ ნაცრისფერ თვალებში დელიას აღქაჯები უხტოდნენ; მან ერთი მოხდენილი მოძრაობით მოიშორა კაბა და დედიშობილა დარჩა. ეს ისეთივე საოცრება იყო, როგორც შეუხედავი ჭუპრიდან ულამაზესი პეპლის გამოფერვა.

შაეი, სამკლოვიარო ტანსაცმლისა და თვალისმომჭრელი სითეთრის კონტრასტი იმდენად ძლიერი იყო, რომ მან ესტროს აღშფოთების საშუალებაც კი არ მიეცა. ლი-ლი ადრეული სიყმაწვილიდან მოყოლებული ეუფლებოდა ქანდაკების ხელოვნებას და შიშველი ნატურის მეტი რა ენახა. სილამაზით განთქმული ქალები უდიდეს პატივად მიიჩნევდნენ მისთვის პოზირებას. ოსტატს უცებ გაახსენდა რამდენიმე მათგანი: ფილიპინელი მზეთუნახავი ამანტა და უმშვენიერესი იაპონელი გეიშა ნურიკო, ფრანგი მსახიობი ნანა და ასხლეტილი ზანგი ბო-ბო და ვინ მოთვლის კიდევ რამდენი...

აქამდე ლი-ლი დარწმუნებული იყო, რომ დედა-ბუნება მოხუცდა და უნაკლო სილამაზე ჭეშმარიტ ელინებთან ერთად გაქრა დედამიწაზე. ახლა კი მოქანდაკემ ბედნიერად იგრძნო თავი. მას საშუალება ეძლეოდა თვით ძველ ბერძნებს გასჯიბრებოდა.

დელია მიხვდა, რა ცეცხლიც დაანთო მოქანდაკის გულში და გაღალბებულ-გათამამებულმა ცეკვა დაიწყო — ერთ ადგილზე ირხეოდა და ყინიანი სურვილების ნებიერ ტალღებში ნანაობდა.

ლი-ლი უპირველეს ყოვლისა მამაკაცი იყო და ამ სანახაობას დიდხანს ვერ გაუძლო...

— რა მშვენიერებაა! — წამღუწუმ იმეორებდა ლი-ლი და დღეიას სხეულით მოხიზლული თვალს ვერ აცილებდა ქალს.

— ყველა მამაკაცს ასე რომ ეფიქრა ჩემზე, დღეს კუდი ყავარზე მექნებოდა გადებული ნამდვილად! — გაიცინა დღეიამ.

„ყველა მამაკაცის“ ხსენებაზელა გაახსენდა ლი-ლის ძველი, ჯერ კიდევ ზენგოსდროინდელი გაზეთები — ურუგვაელი ხელეწიფებამდგომდე მარკოსი... სურინამი... რომელიღაც საპორტო ქალაქი... საროსკიბო...

— თითხმეტი წლისა ვევაგი, იმ წითელფარნიან ლამაზ სახლს რომ შეეფარე თავი. დედობილი ისე გვივლიდა მე და ჩემს ამხანაგს, რომ ცივ ნიავს არ გვაკარებდა. სულ დარჩეული ვაჟკაცები მოჰყავდათ ჩვენთვის... ის ჩემი მეგობარიც კარგი ოჯახიდან იყო, საწყალი. ესპანელმა კაპიტანმა მოკლა, იეჭვიანა იმ შეშლილმა... ბევრს რატომღაც ჰგონია, საროსკიბოში მხოლოდ გაჭირვება მიაქანებს ქალებს. მე კი ბავშვობიდანვე მიყვარდა კაცები, მსიამოვნებდა მათთან ყოფნა, ხელის შეხება კონცა...

— ამისათვის წითელი ფარანი სულაც არ არის აუცილებელი!

— რა თქმა უნდა, მაგრამ სხვანაირად ყველაფერი ისე იხლართება. ეშმაკი ვერაფერს გაარკვევს. იწყება ტუტუცური ვნებათაღელვა. სიყვარული... ჰო, მართლა, თუ გინახავს შეყვარებულ მამაკაცზე უფრო სასაცილო და საცოდავი არსება?! ჰოდა, იმ სახლში ყველაფერი თავიდან არის გარკვეული.

— მაშ, რატომ წამოხვედი?

— მომბეზრდა. თანაც შარშან მარკოსი, მისი ცოლი და დედაჩემი ოკეანეში გემის კატასტროფამ იმსხვერპლა — ჩემს სანახავად მოემგზავრებოდნენ. მერე, თითქოს პირი შეკრესო, ერთი უმ-

ვილ-ძირო ბიძა ინდოეთში დაიღუპა, ბაბუა ავსტრალიაში გარდაიცვალა და ყველამ თავისი ქონება მე დამიტოვა. ასე, რომ ახლა მდიდარი და თავისუფალი ქალბატონი გახლავართ და მამაკაცებსაც უკვე ჩემით ვირჩევ.

— ბეთქილაპურში ამისთვის ჩამოხვედი?

— აქ ერთი კაცი მაინტერესებს — დინგ დო!

— მე?

— შენ სულ სხვა ხარ. ვერავინ შეგედრება. შენი ერთი სიტყვა და ყველას და ყველაფერს მივაფურთხებ. გინდა? თუმცა, მე ვინ მომცა ამის უფლება, — ისე ნადელიანად თქვა დღეიამ. რომ ლი-ლის გული ჩაწყდა, — ეჰ. გავანებოთ ამას თავი, ოღონდ დამპირდი, რომ დინგ დოს გამაცნობ.

— კი, მაგრამ...

— ზევ ის შენთან იქნება.

— საიდან იცი?

— ვიცი! ისიც ვიცი, როგორ ვიჭირს მუშაობის დაწყება. ეგეთი მახინჯია?

— ტანზე სწორ ბეთქილაპურულ ხალათს ჩავაცემე, მაგრამ სახე?! — ისეთი გამოაქანდაკე, როგორიც არის.

— რომ ეწყინოს?

— თავის თავს დააბრალოს. თუ ჭკვიანია, არ შეიმჩნევს, თანაც... რამხელა იქნება ის თქვენი მონუმენტი?

— ასე. სამსართულიანი სახლის სიმაღლე.

— ჰოდა, იმ სიმაღლეზე სახეს ვერავინ გაარჩევს. ჩიტების აზრი კი ალბათ ნაკლებად გაინტერესებს.

— მგონი მართალი უნდა იყო!

ლი-ლი გამოცოცხლდა.

დღეიას დალაგებულმა მსჯელობამ, მისი გაბუტული ტუნების შეხებამ აგრძნობინა ოსტატს, რომ ცხოვრება არც ისე საზიზღარი იყო, როგორც აქამდე ეჩვენებოდა. „დინგ დო იმის ღირსი არ არის, მარმარილოსთან ან გრანიტთან ბრძოლას წლები შევალიო, ბრინჯაოსგან ჩამოვსახამ და ის იქნება, თანაც „გაზაფხულზე“ მუშაობის დრო დამრ-

ჩებალ“ — ამ აზრმა საბოლოოდ გამოუკეთა გუნება და იმ ღამითვე ნახშირის ფანქრით ესკიზების მოხაზვას შეუდგა.

●
ზუსტად მესამე დღეს დინგ დოც გამოცხადდა.

ამჯერად იგი კინკას თანხლებით, ყოველგვარი ზარ-ზეიმის გარეშე ესტუმრა მოქანდაკეს.

კინკა იმის შიშით, სხვების თანდასწრებით კიდევ ერთხელ არ დამითხოვოს მბრძანებელმაო, მოსაცდელში დარჩა.

— მობრძანდით, ბატონო დინგ დო, გთხოვთ!

— აქა მშვიდობა, — დაილოცა მბრძანებელი და ეჭვით შეაელო თვალი ხალისიან და გაახალგაზრდავებულ ლილის.

ეს ეჭვი გასაგები იყო რადგან ოსტატის გარეგნობა და საერთო მდგომარეობა სულაც არ შეესატყვისებოდა მსტორების მიერ მოტანილ ცნობებს.

— მშვიდობა და დღევრძელობა ნუ მოგაკლოთ ღმერთმა!

— ჩვენ ღმერთი არა გვწამს. — ცივად თქვა დინგ დომ.

— მე კი მწამს! — მხიარულად განაცხადა ლი-ლიმ.

ამ გაუგონარ თავხედობაზე მბრძანებელს ტუჩის კუთხე აუთრთოლდა, მაგრამ შეძლო თავის შეკავება.

ლი-ლი მიხვდა, როგორ განარისხა სტუმარი მისმა სიტყვებმა, მაგრამ ვითომც აქ არაფერიყო, განაგრძო:

— ჩემი სახლი თქვენს განკარგულებაშია. იქნებ ერთი თასი..

— სამწუხაროდ, არა მცალია. ჰირდაპირ საქმეზე გადავიდეთ.

— ნება თქვენია, ბატონო, მობრძანდით.

ლი-ლი სახელოსნოში შეუძღვა ბეთქილაპურში უპატივეცემულეს გვამს.

●
მსუბუქ გამჭირვალე ხალათში გამოწყობილი დელია ისე მადისაღმძვრელად

გამოიყურებოდა, რომ დინგ დომ უნებურად ნერწყვი გადაყლაპა.

— გამარჯობათ! — ამის თქმალა მოახერხა.

— გაიცანით, ბატონო, ეს დელიაა, ბეთქილაპურის სტუმარი.

— სალამი, მზისა და მთვარის ნეტარება, დიადო დინგ დო! სამწუხაროდ, არ ვიცი, როგორ ესალმებიან ბეთქილაპურში მბრძანებელს, ზელზე კოცნით, დანოქებით თუ სულაც იატაკზე გართხმით!

დინგ დო მიხვდა, რომ დასცინოდნენ, მაგრამ ფარისეველი მლიქვნელობით გულმოყირჭებულს ესაიამუნა კიდევ ამ უღამაზესი არსების კეკლუცი სითამამე.

— მეგობრებს, და მათ შორის თქვენც, მშვენიერო დელია, შეგიძლიათ უბრალოდ მომესალმოთ, თუკი ამისი სურვილი გექნებათ, რასაკვირველია!

— არაფერია იმაზე უკეთესი, როცა ძალაუფლება და მშვენიერება ასე ჰარმონიულად ეხამებიან ერთმანეთს. — თქვა ლი-ლიმ.

— და თუ ამას დიდი ტალანტიც დაემატება, ეს კავშირი მართლაც უძლეველი შეიძლება გამოდგეს!

დინგ დოს კარგმა წარმოშობამ უშველა, რომ ეს მსუბუქი ტონი უნებურად არ დაემძიმებინა.

●
მბრძანებელმა საკმაოდ უყურადღებოდ დაათვალიერა ლი-ლის მიერ ოსტატურად შესრულებული ესკიზები და მოქანდაკეს განუცხადა:

— მე თქვენ გენდობით!

ბოლოს დელიათი სრულიად მოხიბლულმა დინგ დომ დაივიწყა ადრე მიმიხეზებული საქმეები, გემოვნებით გაწყობილ ბარაქიან სუფრას მიუჯდა და ისე ლაზათიანად გამოიბრუჟა, როგორც ეს ჭეშმარიტ ბეთქილაპურელსა და ერის მამას ეკადრებოდა...

— როგორც იქნა მიმიპატიჟა სასახლეში! — წასწორულა დელიამ ლილის, როცა კი მბრძანებელი კიდევ ერთხელ გავიდა „ხელის დასაბანად“, — აუცილებლად გავყვები, მაინტერესებს! შენ კი... როგორც კი დამიძახებ, მაშინვე გაჰყვები... ოღონდ დამიძახე, კარგი?!

ლი-ლიმ თანხმობის ნიშნად ქალს გაუღიმა. დელიამ მას ხელი გამოართვა და რამდენჯერმე სწრაფად, სწრაფად აკოცა...

LIV. რა შეუძლიათ ქალებს?!

ღამის სამი საათი სრულდებოდა.

დინგ დო სასახლეში შეუძღვა მშვენიერ დელიას და მოხდენილი ქვესტით თავისი თეთრი ბეწვის მოსასხამი და უგლო ფეხქვეშ.

დაგვიანება და, მით უმეტეს, უცხო ქალთან ერთად შინ დაბრუნება იმდენად არ ჰგავდა მბრძანებლის საქციელს, რომ ჰაეროვანი ფრეილინებისა და დიდგვაროვანი აზნაურების ნაცვლად მოსულმა „ჭეშმარიტი პატრიოტებისაგან“ შემდგარმა ახლადღებულმა ელიტამ არაფრად ჩააგდო ზრდილობის წესები და სრული შემადგენლობით გამწყრივდა ჭიშკრიდან ვიდრე შავი მარმარილოს კიბემდე.

მბრძანებელს მათ დანახვაზე დაუოკებელი სურვილი აღეძრა, ახლომდებარე ხეები გარკვეული ხნით სახრჩობელებად გამოეყენებინა, მაგრამ დროულად მიხვდა, ამჯერად ეს არ ივარგებსო და უკმაყოფილოდ გადახედა კინკას. კინკამ იცოდა თავისი საქმე:

— თანამემამულენო! ქალბატონი დელია ბეთქილაპურის სტუმარია და ჩვენი დიადი მბრძანებლის საგანგებო დავალებებს ასრულებს. თქვენთვის ალბათ გასაკებია, ეს რას ნიშნავს! ასე, რომ დაბეჯითებით გთხოვთ, დაიშალოთ! თანაც გახსოვდეთ: სიფხიზლის რაზმი ყოველთვის დგას სამშობლოს კეთილდღეობის სადარაჯოზე!

ამ სიტყვებზე კინკამ ისე ავად დაკუნთა თავისი უფერული თვალები, რომ „ჭეშმარიტმა პატრიოტებმა“ სულ მუჯღუგუნის კვრით გაიკაფეს გზა თავთანით სადგომებისაკენ.

რამდენიმე წუთში სასახლეში სრული სიჩუმე ჩამოვარდა. მხოლოდ კარისკაცთა იარაღის უნებლიე ჟღარუნი არღვევდა მყუდროებას. ეს კია, ჩაბნელებულ ფანჯრებში აქა-იქ მთვარის შუქითა და დაუკმაყოფილებელი ცნობისმოყვარეობით აპრიალებული თვალები დროდადრო მაინც გაიფლავებდა ხოლმე.

დელიამ დედოფალივით მშვიდად შეაბიჯა სასახლეში.

დინგ დოც, მრისხანე კინკაც, „ჭეშმარიტი პატრიოტების“ მღელვარებაც მას მხოლოდ ართობდა და ახალისებდა. ისე შინაურულად იგრძნო თავი, როგორც ეს ამქვეყნად უძველესი ხელობის ყველაზე მომხიბლავ და თამამ წარმომადგენლებს ჩვევიათ.

ბაღმის ღვინით, მახვილგონივრული საუბრითა და დელიას სიღამაზით აღფრთოვანებულმა მბრძანებელმა თავის დაობლებულ ოთახს გვერდი აუარა და სამეფო აპარტამენტებში მიიწვია...

შუადღისას დინგ დო თუთიყუშებით აჭრელებულ ზამთრის ბაღში გავიდა და მარმარილოს აუზში მონებვირე დელია დაინახა.

— ბეთქილაპურის წყალი ცუდად მოქმედებს ჩემს კანზე, ძვირფასო. ბრძანება გაეცი, ზვალიდან ჯეირანის რძით ამივსონ აუზი! ოღონდ რძე ძალიან ცხმიიანი არ უნდა იყოს.

— რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა. — თქვა მბრძანებელმა.

ტრაგიკულ-საზეიმო სულით გაჟღენთილი სასახლე და დელია?!

ასკეტური მიდრეკილებებით სახელ-

განთქმული დინგ დო და რძის აბაზანე-
 ბი?

ეს ყოველივე იმდენად მოულოდნელი
 იყო, რომ ბეთქილაპურელები — შკვე
 ჭორს კი არა, სინამდვილესაც აღარ
 უჯერებდნენ თვითმხილველებს.

ამ ამბავმა საურას ყურამდევც მიაღ-
 წია.



დინგ დო შინიდან აღარ გამოდიოდა.

დელია ვისაც თეორიულად და პრაქ-
 ტიკულად ჰქონდა შესწავლილი დელა-
 კაციისა და მამაკაცის ურთიერთობის
 ყველა არსებული ხერხი, თავის მდიდარ
 გამოცდილებას უზიარებდა მბრძანე-
 ბელს. მისი ყოველდღიურ-ღამეული სი-
 ურპრიზები დინგ დოს ცხოვრებას
 თავბრუდამხვევი ნეტარებით აღავსებდა.
 მას აღაფრთოვანებდა იმის შეგნება,
 რომ ეს არაამქვეყნიური სიამოვნება კი-
 დევ და კიდევ უნდა განმეორებუდიყო —
 იმდენჯერ, რამდენჯერაც მოისურვებ-
 და. თანდათან ავიწყდებოდა ბავშვობის
 დროინდელი განცდები: დარი, ქანდაკე-
 ბები, წარუმატებელი ცდები, მეია და
 საურაც კი...

დავიწყებას მიეცა ღამის თათბირები,
 მოულოდნელი გამოძახებები.

მუდმივ დაძაბულობას შეჩვეული
 მოღვაწეები ნაპირზე დაყრილი თევზე-
 ბივით გაოგნებულნი შესცქეროდნენ
 ერთმანეთს.

შეწყდა პატრიოტული მოწოდებების
 ნიაღვარი, მკერდზე მჯიდების ბრავუნო,
 საკუთარი თავგანწირვით კეკლეულობა.
 შეწყდა იმიტომ, რომ მბრძანებელი ყო-
 ველ ასეთ ცდას მორღვეული ღიმილი-
 თა და სიჩუმით ეგებებოდა და რაც მთა-
 ვარია, თვითონ აღარ აძლევდა მაგა-
 ლითს თანამებრძოლებს.

კინკამ და მისმა დამქაშებმა სახელმ-
 წიფობრივი საქმეებისადმი ესოდენი
 უყურადღებობა დინგ დოს მიერ ბეთქი-
 ლაპურის აყვავების ახალი, ჯერარნა-
 ხული გეგმის შემუშავებაზე ფიქრს მია-
 წერეს და ამით აღელვებული საზოგა-

დობრივი აზრი საგრძნობლად და-
 შოშმანეს.

მაგრამ ვისი ვისი და საურას დაწყნა-
 რება ასე ადვილი არ იყო.

მთელი ერთი კვირა ითმინა დინგ
 დოს უყურადღებობით გატანჯულმა
 ასულმა და ბოლოს გადაწყვიტა, თვი-
 თონ მისულიყო მბრძანებელთან.



სწორედ იმ დღით დინგ დო ბუზ-
 ლუნ-ბუზლუნით გაემგზავრა ბეთქილა-
 პურის ერთ მთიან, მიყრუებულ პროვინ-
 ციაში, სადაც მამა-პაპური ადათის მი-
 ხედვით სახალხო დღესასწაული ტარ-
 დებოდა. ამ დღესასწაულს თავის დრო-
 ზე ლეგენდარული დიპლოდოკ ბეთქი-
 ლაპურელი დასწრებია თურმე და არ-
 ჩასვლა არაფრით არ შეიძლებოდა. ის
 კი არა, კინკას თქმით. ამას მთელი მთი-
 ანეთის აჯანყება შეიძლება მოჰყოლო-
 და.

მეტი გზა არ იყო!

თვალტრემიანი დინგ დო ნახად გა-
 მოემშვიდობა დელიას, ეტლში ჩაჯდა
 და მრავალრიცხოვანი ამაღლის თანხლე-
 ბით მთიანეთისაკენ აიღო გეზი.



ის იყო, დინგ დოს უნათო აღერსით
 თავმოხუზრებულმა, დელიამ შვებით
 ამოისუნთქა, განშორების შესაფერისი
 აუცილებელი კეჟმანი სახიდან მოიშორა
 და რძით სავსე მარმარილოს აუზმა
 განცხრომით ჩაესვენა, რომ ბამბუკის
 კედელი ჩხრიალით გაიხსნა და ზამთ-
 რის ბაღში პირგამეხებული საურა შე-
 მოიჭრა.

უცხო ქალის დანახვაზე საურამ
 მრისხანედ ასწია წარბი და დიდი შავი
 თვალებიდან ისეთი ცვეცხლი გადმოაფ-
 რქვია, სადაფით მოკირწყლული იატაკი
 რომ არა, სასახლეში ხანძარი გაჩნდ-
 ბოდა. ნამდვილად!

— მე საურა ვარ! — ამყად განაცხა-
 და ქალმა და მბრძანებლის სულის და-
 სახსნელად სამკვდრო-სასიცოცხლო
 ბრძოლისათვის გაემზადა.



დელია ზარმაცად გადმოტრიალდა მოსულისაკენ და თბილად გაუღიმა.

ეს იმდენად მოულოდნელი იყო, რომ საურამ წამწამები ააფახულა, მაგრამ თავიდან აღებულ ზეაწეულ ტონს ვედარ უღალატა და განავრძო:

— დიახ, მე საურა ვარ! ის საურა, ვისაც განგებამ მიანიჭა უდიდესი ბედნიერება, მზის შვილისა და ღომის თანავარსკვლავედის, ჩვენი დიადი და სათყვანებელი მბრძანებლის დინგ დოს რჩეული ყოფილიყო და ვისი ამ სასახლეში ფეხის შემოდგმაც ყველა ჭეშმარიტი ბეთქილაპურელის სულიერმა მამამ და მოძღვარმა, ბრძენმა კალენდულამ აკურთხა! და მე, — საურა თანდათან ხმას უწევდა, — არ შემძლია გულგრილად ვუყურო იმას, თუ როგორ სარგებლობენ ბეთქილაპურის უბოროტესი მტრები მბრძანებლის დიდსულოვნებითა და სტუმართმოყვარეობით! ზიზღი და ფურთხი იმას, ვისაც არა სწამს ჩვენი ქვეყნის აღზევებისა, და გამარჯვებისა! მე ჩემი ხელით გაუპოვ გულს იმ ნაძირალას, ვინც შეეცდება, დიად დინგ დოს ერთადერთი სწორი და წმინდა გზიდან გადაახვევისოს, იმ გარეწარს, ვინც მიინდომებს...

— მის წართმევას, არა?! — ამ მგზნებარე ტირადის ბოლოს დელია საგრძნობლად გამხიარულდა, — სრული ჭეშმარიტებაა! ასეც უნდა მოიქცეთ! ახლა კი, ვეთყვა: ის სარკე მომაწოდეთ!

ამას თვით საურამაც ვედარ გაუძლო და დაბნეული ტახტზე ჩამოვდა.

— არ მაწვდით? რა გაეწეობა. — დელია აუზიდან ამოვიდა, თეთრი ხალათი მოისხა და სარკე აიღო, — აი, მე კი არ დავიზარებდი, თქვენ რომ ვეთხოვით რამე.

— მაგრამ...

— რაც შეეხება დინგ დოს, — გააწყვეტინა დელიამ. — არა მგონია, ეს კაცო გაყოფად ღირდეს. ყოველ შემთხვევაში, მე ჩემს წილს უდრტყინველად დაგიტოვებ.

— მე ჩემს მბრძანებელს ქალწულობა შევწირე! — საურა შეეცადა საუბარი

ისევ პათეტიკურ ტონებში წარემართა, მაგრამ დელიამ ახლაც ცივი წყალი გადაასხა:

— საწყალი გოგო! ისიც მეცოდება — ლოგინში ალბათ ბეთქილაპურის ან კალენდულას სადიდებელ ჰიმნს მღეროდი... მაგას ჯობდა ქალწულობა იმ ღამაში ბიჭისთვის შეგვეწირა, აგერ, კარებთან რომ დგას.

— მე პატიოსანი ქალი ვარ!

— მოიცა. შენი ჭირიმე, მე ისეთი დედაკაცია არ შეგულება, თავისი პატიოსნება ანხნლი დედამთილივით არ მობეჭრებოდეს... ახლა კი ეს შარბათი მიირთვი, გული გაიგრილე და აქ ჩამოჯექი, ველაპარაკოთ.

საურა გრძნობდა, როგორ ნელ-ნელა ეკიდებოდა ტბილი ცივი სასმელი და რამდენიმე ხნის შემდეგ უკვე ოდნავ მორღვეული ღიმილით შესციცინებდა დელიას. ტახტზე წამოწოლილი დელია გრძელი ყალიონით თრიაქნარეკ თამბაქოს აბოლებდა და საურას თავის წარსულზე ესაუბრებოდა. ენაწყლიანი დელია ისეთ პიკანტურ წერილმანებს აღწერდა, რომ გამოუცდელ საურას მწველმა სურვილებმა დაუარა ტანში. ქალი დაფრთხა და ოდნავ გამოფხიზლდა.

— მე ახლა წავალ...

— საით მიგეჩქარება?!

— ისტორიის ახალი სახელმძღვანელო მიმიტანეს. სასწრაფოდ უნდა წავიკითხო.

— ისტორია... აუ, რა საშინელება... ნამდვილი ცხოვრება კი გვერდზე რჩება. არ გეზარება?

საურა შეეყოყმანდა. მას ახლა ისე არ უნდოდა იმ წიგნში ქექვა, როგორც სიკვდილი.

— დარჩი ჩემთან, მოშინაურდი... რად გინდა ეგ აბჯარივით უხეში კაბა, გაიხადე... შენი სხეული ხომ სიყვარული-სათვის არის გაჩენილი...

გაბრუებული საურა სიამოვნებით დაჰყვა დელიას შემპარავ ჯადოსნურ ხმას.

— რომ იცოდე, რა საკვირველი და მშვენიერია ცხოვრება, ალერსი, სიყვარული... ნამდვილი სიყვარული... გინდა გაჩვენო? კარისკაცო!

საურას წინააღმდეგობის თავი აღარ ჰქონდა, მაგრამ ზამთრის ბაღში უცხო მამაკაცის დანახვაზე მაინც კაბისაკენ გაიწია.

— გაანებე მავას თავი! ნუ გრცხვენია, მშვენიერება სიმახინჯე როდია, ძონტებში დამალო.

LV. VIVE L'AMOUR!*

ბრინჯაოსფერი ცისფერთვალემა ჭაბუკი, რომელიც დაძახებისთანავე გამოცხადდა ზამთრის ბაღში, ჩვენი ძველი ნაცნობი, დაუთას ყოფილი თანაშემწე ამაზი გახლდათ.

დაუთას „დასამარების“ შემდეგ იგი მბრძანებლის კუთილგანწყობის იმედით სულდგმულობდა და რაოდენ დიდი იყო ამ იმედების გაცრუება, როცა ზაზინა ისევე კინკას ჩააბარეს, ხოლო მას დინგ დოს აპარტამენტების დაცვა დაავალეს. ასე დაკარგა ამაზმა შემოსავლიანი ადგილი და უბრალო დარაჯის როლით დაკმაყოფილდა. სანუგეშოდ ისლა დარჩენილად, რომ სასახლეში ტრიანლებდა და აქ კი ყველაფერი იღბლიან ვარსკვლავზე იყო დამოკიდებული.

— ნახე, რა ღმერთივით ბიჭია, — გამოცდილი თვალით შეაფასა დელიამ ამაზი, — იმ ყვინციანს კი არა ჰგავს მოდი აქ, ნუ გეშინია!

ამაზს ამქვეყნად ყველაზე ნაკლებად ქალებისა ეშინოდა, მაგრამ საურას დანახვამ კი ნამდვილად დააფეთა — აქ რამე ხაფანგი არ იმალებოდესო.

— საურა!

— ჰო, მე ვარ, ბეთქილაპურის საპატარძლო! და მგონი საპატარძლოდ ვებრძები კიდევ... მე კი ქალი ვარ და მინდა მამაკაცებს მოვწონდე! დიახ! — ჟინიანად თქვა საურამ და შარბათი გა-

დაყლურწა. — თქვენ გგონიათ, მე არ ვიცი ვახდა?!

— მოდი ჩემთან, ჩვენ ყველანი მეგობრები ვართ!

ამაზი თითქმის გაშიშვლებულ დელიას მიუახლოვდა და მიუხედავად დიდი მცდელობისა, ვერაფრით ვერ შეძლო თავისი მამაკაცური ღირსებების დამალვა.

აღლევებული საურა ნახევრად შემოლილი თვალებით შეჰყურებდა მათ.

და როცა დელიამ ყველაფერი გაიხადა და კაცოც გააშიშვლა, გვერდზე მოიწვინა და თავისებური დახვეწილი ალერსი დაუწყო, „უბიწო ქალთა საზოგადოების“ სულისჩამდგმელმა გამარჯვებული ველურის საკადრისი ყიჟინა დასცხო, დარჩენილი ტანსაცმელი შემოიხია და ხალიჩაზე განცხრომაში მყოფ წყვილს შეუერთდა.

ამასობაში დელიამ ფეხის თითით საიდუმლო საკეტის დილაკს მიაგნო და ბამბუკის კედლები საიმედოდ ჩარაზა...

საურას იმდენად შეუვალი რეპუტაცია ჰქონდა, რომ მისი და დელიას დამეგობრებამ ბეთქილაპურელ ჭორიკნებს მითქმა-მოთქმის საბაბი მოუსპო. ზოგიერთი დედაკაცი თუ წაიბუზღუნებდა ხოლმე ზოგჯერ „იმ სურინამელ კახასთან რა საქმე უნდა ჰქონდესო.“ ეს იყო და ეს. სამაგიეროდ დელიას საიდუმლო მისიის შესახებ ერთიმეორეზე ფანტასტიურ ვარაუდებს აცხოზდნენ. თვით კინკამაც კი არ იცოდა, რა ხდებოდა ბამბუკის ჩაკეტილი კედლის მიღმა.

დინგ დო სიხარულს ვერ მალავდა. მან თავი სასიყვარულო ინტრიგებში ფრიად მოხერხებულ ადამიანად წარმოიდგინა და რას იფიქრებდა, თუ ორი ქალი და ამაზი მხოლოდ მის გასვლას ელოდებოდნენ!

ერთმანეთისადმი უნახესი გრძნობებით გამსჭვალული „სამეულის“ წევრები იმდენად გათავხედდნენ, რომ უკვე

* გაუმარჯოს სიყვარულს! (ფრანგ.).



საკუთარ სასახლეში მყოფ მბრძანებელ-საც აღარ ერიდებოდნენ.

LVI. დიდების მკვირვალზე

დულდა და გადმოდულდა ბეთქილაპური.

დაუთას მიერ აწყობილი მექანიზმი უხაკლოდ მუშაობდა.

ხვავითა და ბარაქით დატვირთული გემები ნავსადგურში ველარ ეტეოდნენ.

ამდენი გემის დანახვაზე დინგ დოს ზოგჯერ ახსენდებოდა ხოლმე ამ ხომალდების ხელში ჩაგდებისა და მსოფლიოს დაპყრობის კალენდულასეული გეგმა, მაგრამ თვითონ კალენდულა ხმას არ იღებდა და აღარც მბრძანებელი იკლავდა თავს მაინცდამაინც.

ბეთქილაპურელები თანდათან შეეჩვივნენ მაძლარ ცხოვრებას და უმრავლესობა ქეიფსა და დროსტარებაში ათენ-ალამებდა.

სურსათ-სანოვავით დაიტენა ბედლები და სარდაფები, ყოველ ნაბიჯზე გამოდგომულ დახლებზე ანათებდნენ დახეთქილი ბროწეულები და სიმწიფით დამძიმებული ანანასები, ვეება ბანანები და სურნელოვანი ნესკეები..

და რაც უფრო მეტად მდიდრდებოდა ბეთქილაპური, მით უფრო იზრდებოდა პლესისის შეგნებაში კალენდულას მიერ ჩანერგილი განსაკუთრებულობის გრძობა და „მტრების“ მიმართ შურისძიების წყურვილი.

„კალენდულას მოწაფეების“ მოღვაწეობის შედეგად აგორებული ტალღა განუკითხავად დათარეშობდა ბეთქილაპურში. პატრიოტული საკამაზით შეზავებული გაუთავებელი ზეიმები ყოველმხრივ უწყობდა ხელს საყოველთაო დამაბულობის გაღვივებას.

ამ დღესასწაულების აპოთეოზად ლომის თვის მერვე დღე იქცა.

დინგ დოსა და საურას ქორწინებას მბრძანებლის ძეგლის გახსნა დაემთხვა!

რვაში გაგებდნიერდებით მე და ჩემი ძვირფასი მბრძანებელი.

— ჰო, ჰო, რა ამბავი ატყდება! — ჩაიცინა დელიამ და ფანჯარასთან მივიდა.

კალენდულას სახელობის მოედანზე გაცხოველებული მუშაობა მიდიოდა — მბრძანებლის ძეგლს ამონტაჟებდნენ.

— და მე მასთან ერთად შევცურავ უკვდავებაში! გაზეთებში ეგრე წერენ.

— ამაზ, გაიგე?! საურა ხელიდან გვეცლება — მბრძანებლის სარეცელი უნდა დაამშვენოს! ამჯერად ოფიციალურად! თუმცა, იქამდე დრო კიდევ გვაქვს. რას აკეთებს ჩვენი მარჩენალი?

— მთელი ღამე თათბირობდნენ. ახლა სძინავს და სიზმარშიც მტრებს ებრძვის.

— ძალიან კარგი. ამაზ, მოდი ჩვენთან!

— ჰო, რა გინდათ?

დელიამ გამომცდელად შეხედა მცველს. ის და საურა ყოველნაირად ანებივრებდნენ თავიანთ კუროს. არ დარჩენილა ჯილდო, ამაზს რომ არ მიეღო. ქალების ხათრით დინგ დომ უკვე უამრავ ქალღმერთს მოაწერა ხელი მისთვის „თავგანწირვისა და მამაცობისათვის“ ხაზინიდან ასობით და ათასობით ოქროს კოლების გაცემის თაობაზე. აივსო კაცი. მით უმეტეს ყურში მოხვდა დელიას ამაზის უხეში ტონი.

— რა იყო, ძვირფასო, გაწყენინეთ რამე?!

— თქვენ მე რა უნდა მაწყენინოთ! — ავდებით შეეპასუხა ამაზი, — აი, მე კი გაწყენინებთ, თუ...

— მაინც რას გვიზამ? — მკვეთრად შემობრუნდა მისკენ საურა.

— მოიცა, საურა, გავარკვიოთ, რას გვემართლება ეს კაცი.

— მომწყინდა თქვენი დარაჯობა!

— მერე, ჩვენ რა შეგვიძლია? — თავი მოისაწყლა დელიამ.

— რა შეგიძლიათ და ყველაფერი. მაგალითად, ჩემი ხაზინადრად დანიშნა იმ ბრუტიანი კინკას მაგივრად.

— რომ ვერ შევძლოთ? — ფრთხი-

— როგორც იქნა, — თქვა საურამ, —

ლად შეაპარა დელიამ და თან საურას თვალით ანიშნა, შენ გაჩერდიო.

— ქორწინებას ჩავუშლი!

— ჰოო... რას იზამ, სამართლიანი მოთხოვნაა, არა, საურა? მაგრამ ასე იაფად რატომ აფასებს საკუთარ თავს? იქნებ ბარემ ფინანსთა მინისტრობა გაგვეჩერებინა?!

ამაზმა იფიქრა, დამცინისო, მაგრამ დელიას ისეთი სუფთა და მიამიტი სახე ჰქონდა, რომ დაიჯერა მისი და გამზიარულდა. მით უფრო, რომ ქალებს ჯერ არაფერზე ეთქვათ მისთვის უარი.

— ხომ შევთანხმდით. ახლა მოდი, ჩემო საყვარელო!

ამაზი ქალს მიუახლოვდა.

ის იყო, ხალისაზე დაწუნენ, რომ დელიამ მთელი ძალით მიიხუტა კაცი და უცებ საშინელი კივილი ატეხა.

ამაზს უნდოდა, განათავისუფლებულიყო, მაგრამ ერთი შეხედვით ნაზ დელიას ისეთი ძალით ჰყავდა ჩაბღუჯული, რომ კარგა ხანს ვერაფერს გახდა და როცა შეძლო თავის დაღწევა, უკვე გვიან იყო — კარებში კინკა იდგა.

— ბატონო კინკა, გვიშველეთ, თავს დაგვესხა ეგ არამზადა, ეგ არაკაცი! ჩვენი პატიოსნების შელახვა მოინდომა! გარეყარ ი!

კინკა და მისი რაზმელები ელვის სისწრაფით ეკვეთნენ გაოცებულ ამაზს და ალყაში მოიმწყვდიეს.

— ძვირად დაგიჯდება ეგ თავხედობა! — მიამაზა დელიამ.

საურა სიცილს ვერ იკაპებდა და ფანჯარასთან მივიდა. მხრები უთრთოდა. კინკამ იფიქრა, ტირისო.

— მე არა ვარ დამნაშავე, ბოზები არიან ეგენი! — მთელი ხმით იბღაუვლა ამაზმა. მაგრამ ერთ-ერთმა რაზმელმა ისეთი ჩასცხო თავში, რომ გონება დააკარგვინა.

— ხედავთ, რა გვაკადრეს, ბატონო კინკა? რამდენი ბოროტება ყოფილა ადამიანებში! — ქვითინებდა დელია.

— ნუ ღელავთ, ქალბატონებო, დამშ-

ვიდდით, დღეიდან ეგ პირუტყვი კვლარ შევაწუხებთ, მენდით!

— მერე როდის! — არ ცხრებოდა დელია, — ამ ანგელოსის ქორწინების წინ!

— რა ზდება, რა ამბავია?! — იკითხა ხმაურით შეწუხებულმა მბრძანებელმა და ზამთრის ბაღს მკაცრად მოავლო თვალი.

კინკამ ორიოდ სიტყვით უპასუხა მბრძანებელს, რაც მოხდა.

— ნუ ტირი, გენაცვალე, ყველაფერი გათავდა! — დინგ ღომ მხრებზე მოხვია ხელი აცხცახებულ საურას.

— ამას რა უყვით? — კინკამ ზიზლით დახვდა იატაკზე გაშხლართულ ამაზს.

— მაგას? სამაგალითოდ დაესჯით მოედანზე, მაგრამ ახლა არა მცალია. მე მგონი, გასაგრილებლად ვერონიკას აუზში ბანაობა მოუხდება, არა?!

მბრძანებლის ოხუნჯობაზე რაზმელებმა ხარხარი ატეხეს, მერე მსხვერპლს პირი აუკრეს და ციმციმ-ციმციმ გაიყვანეს.

ქალებმა მხიარულად გადახედეს ერთმანეთს.

„ასე, ჩემო დაუთა, ხომ ვიყარე ჯარტი შენს მკვლელებო“, ფიქრობდა გრძობამორეული დინგ ღო, თან კმაყოფილი იყო, რომ ასე უმტკიუნეულოდ მოიცვალა თავიდან კაცი, რომელიც უკვე აღარაფერში აღარ ჭირდებოდა.

ერთადერთი ადამიანი, ვისაც ბეთქილაპურის სიბდილდრე არ დაეტყო, მბრძანებელი დინგ ღო გახლდათ: ოქროს ბუზმენტებიანი ქათქათა თეთრი მუნდირიც კი ვერ აძლევდა დიდებულ იერს. ულამაზესი საპატარძლოსა და მისი ხელისმომკიდის — დელიას გვერდით ხომ სულ დაიკარგა, მაგრამ ეს გარემოება ხელს როდი უშლიდა ხალხის უსაზღვრო აღტაცებას.

მონუმენტის თეთრი საბურველი ნიავზე ფრიალებდა.

საზემო მიტინგი გახსნა ჟურნალ „გაიქეც, განივარდეს!“-ს რედაქტორმა ბატონმა დუბაიმ, ვისთვისაც დინგ ღოს

ბეთქილაბურის უპირველესი ორატორის წოდება მიენიჭებინა. მას მოჰყვა უპირველესი მუშა. უპირველესი — მეცნიერი, უპირველესი მხატვარი და ასე შემდეგ, მკაცრად დადგენილი წესის მიხედვით.

ყოველ გამოსვლას ხალხი ხუთწუთიანი ტაშითა და შეძახილებით ესალმებოდა.

გაისმობდა:

- კა-ლენ-დუ-ლა!
- ბეთ-ქი-ლა-პუ-რი!
- დინგ დო!
- დინგ დო!
- დინგ დო!

შეკრებაზე ბეთქილაბურის უპირველესი მოქანდაკე ლი-ლიც უნდა გამოსულიყო, მაგრამ ვერსად იპოვეს და მის მაგივრად ძეგლის ბრინჯაოში ჩამომხმელო გამოიყვანეს, რომელიც დიდხანს ებრძოდა თავის ბრვეილ ენას, გულის-გასახეთქად ზმუოდა და ბოლოს ისღა ამობდავლა — დინგ დოს გაუმარჯოსო! თუმცა, ესეც საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ ტაშს და ოვაციებს იქაურობა გაეყრუებინა.

მერე ტაშტამების მწყობრი რიტმი გაისმა.

მოედნის ყველა მხრიდან ბავშვები გამოცვივდნენ და ყვავილების თაიგულებით აავსეს ტრიბუნა.

ხელმძღვანელებმა ხელში აიტატეს „ცხოვრების ყვავილები“, როგორც მათ ასე მოხდენილად უწოდა თავის გამოსვლაში ბატონმა დუბაიმ.

დინგ დოს, რომელიც დილიდანვე ვერ იყო კარგად, ერთი კარგად ჩასუქებული გოგონა ერგო. მბრძანებელმა წლობის განმავლობაში გამომუშავებული მზიური ღიმილით აიყვანა ხელში ბავშვი და ადგილზე კინალამ ჩაიკეცა მისი სიმძიმით.

უზარმაზარბაფთიანი გოგონა მშვენივრად გრძნობდა თავს მბრძანებლის მკლავებში, ოქროს ღილებს ეთამაშებოდა და სულაც არ ფიქრობდა იქიდან ჩამობრძანებას.

დინგ დოს კი ამ დროს უკვე თავბრუ ხევიოდა, გული ერეოდა და ის იყო, გა-

იფიქრა, ახლა კი წავიქცევიო. რომ კინკა მიეშველა. ფეხებგაფშეკილი გოგონა განწირული ებლაუჭებოდა მბრძანებელს, სანამ კინკას გამხმარ და გამძლე მკერდზე გადაინაცვლებდა.

მბრძანებელმა შვებით ამოისუნთქა და სიმწრის ოფლი მოიწმინდა. „მაინც, რამისიმძიმე იყო ეს შეჩვენებულიო“, ფიქრობდა.

„დედა, როგორ უყვარს ბავშვები!“

„რა კეთილია!“

„რა გული აქვს, ვენაცვალე!“

განსაკუთრებით მგრძნობიარე მანდილოსნები გამოთქმით ქვითინებდნენ.

დინგ დოს უქეიფოდ ყოფნის მიზეზი იყო ის, რომ მთელი დამე დაუთა ედგა თვალწინ. ამ მოლანდებამ ჩაუშწარა ქორწინებისა და ძეგლის გახსნის სიხარული.

ტრიბუნაზე მდგომი ვერავის ამჩნევდა გარშემო, საურას და დელიას ჩათვლით...

— ...მერე უნდა ვთქვა, როცა მზემ და ვარსკვლავებმა უკვე ბრძანეს თავიანთი სათქმელი.. — შემოესმა მბრძანებელს ერთი ყველაზე ქლესა და გატლექილი ორატორის სიტყვები და სწორედ ამ დროს დაუთას მკაცრი ხმაც გაიგონა:

„კაცს, რომელსაც ეს ყველაფერი გულს არ ურევს, ცუდად წაუვა საქმე!“

შეშინებულმა დინგ დომ აქეთ-იქით ააცეცა თვალები, შიშისაგან ამ სიცხეში ცივმა ოფლმა დაასხა, მაგრამ საურას დამცინავ მხერას რომ გადააწყვდა ნებისყოფა მოიკრთა და ნელ-ნელა კალაპოტში ჩადგა.

ყველაფერი მზად იყო ძეგლის გასახსნელად, მაგრამ ამ დროს მოედნის სიღრმეში ერთი ჩონჩხი და აურ-ზაური ატყვდა.

კინკა თავისი რაზმელებით სასწრაფოდ გაეშურა შემთხვევის ადგილისკენ. ტრიბუნამდე ცალკეული აღშფოთებული შეძახილები აღწევდა:

„ჩაეკლოთ!“
 „როგორ გაბედა!“
 „მტერია ეგ, მტერი!“
 „სასამართლოში!“

„რა სასამართლო უნდა, ეშაფოტზე!“
 გამძვინვარებული ბრბო ვილაცის ჩა-
 საქოლად მიიწეოდა.

დელია მბრძანებლისკენ გადმოიხარა
 და ყურში ჩასწურჩულა:

— თუ აკვირდები, მბრძანებელო, რო-
 გორა ჰგავს ეს ბრბო კახპას. დანაშაუ-
 ლის მუღმივი შეგრძნება უბიძგებს ერ-
 თსაც და მეორესაც იყოთ თავხედი, სას-
 ტიკი და დაუნდობელი!

დინგ დომ ცივად გადახედა დელიას
 და არაფერი უპასუხა. მას ერთი სული
 ჰქონდა გავეო რა მოხდა მოედანზე.

— არაფერია, მბრძანებელო, — თქვა
 ტრიბუნაზე მობრუნებულმა კინკამ. —
 ვილაც დამთხვეულს რაღაც ნაჯღაბნი
 უპოვეს. ხალხი იქვე გაუსწორდა თავის
 მტერს.

„ამიხდა მოლანდებო“, გაიფიქრა
 დინგ დომ და დამშვიდდა. ახლა უკვე
 აღარაფერი იყო საშიშო.

და აი, ძეგლს თეთრი საბურველი
 ჩამოხსნეს.

გამოჩნდა ბრინჯაოს დინგ დო და
 ხალხმაც იქუხა.

ფოტოგრაფი კვიმბო ძეგლის გარშე-
 მო ბზრიალებდა და ცდილობდა, რაც
 შეიძლებოდა სრულად აესახა ქვეყნის
 ცხოვრების ეს ღირსშესანიშნავი მო-
 მენტი.

- რა შესანიშნავია!
- რა დიდებული ჟესტია!
- მშვენიერია!
- ხელის ამ მოძრაობაში რამხელა
 სიბრძნეა!
- ჭეშმარიტი მონუმენტი!
- ბეთქილაპურული სული იგრძნო-
 ბა!

ხელოვნებათმცოდნენი და მოყვა-
 რულნი ცდილობდნენ, რაც შეიძლება
 ხმამაღლა წამოეძახათ ხოტბის სიტყვე-

ბი, იქნებ როგორმე მბრძანებლს
 ნას მივაწვდინოთ.

ლი-ლი ერთ-ერთი სახლის კუთხეს
 მოფარებული უცდიდა ძეგლის გახსნას
 და შესამჩნევად ღელავდა. მას უმთავ-
 რესად ის აინტერესებდა, მიხვდებოდა
 თუ არა ვინმე მის ჩანაფიქრს. ამოც-
 ნობდა თუ არა მბრძანებლის სახის გა-
 მომეტყველებას. მან ხომ გარეგნული
 ბრწყინვალეებისა და დიდებულების მიუ-
 ხედავად უნებისყოფი და მშიშარა ადა-
 მიანის ხასიათი გამოძერწა! და თუ
 მბრძანებლის სახეს იმ სიმალღეზე მარ-
 თლა ვერავინ დაუკვირდებოდა, მისი
 ხელის მოძრაობა ხომ რაღაცით შეში-
 ნებული კაცის მოძრაობა იყო!

მაგრამ ეს ვერავინ ვერ შეინიშნა!
 ხალხის აღტაცებას ბოლო არ უჩან-
 და.

— ხელის ამ მოძრაობაში რამხელა
 სიბრძნეა!

— ბეთქილაპურული სული!

— ამ ჟესტით საყვარელი დინგ დო
 ჩვენ საყვარელ ქვეყანას მოძღვრავს!

ესმოდა მოქანდაკეს აქეთ-იქიდან.
 ერთხანს უყურა მოკუნტრუმე ბრბოს,
 მერე ხელი ჩაიქნია და შინისკენ გაუყვა
 გზას.

მიდიოდა და ეჩვენებოდა, რომ მთე-
 ლი ქვეყანა მოლაპარაკე კენჭურებით
 იყო დასახლებული.

მთელს ბეთქილაპურში საქორწილო
 სუფრები იყო გაშლილი.

გაჩირადლებული გამარჯვების სა-
 სახლე „კალენდულას მოწაფეებითა“ და
 „ჭეშმარიტი პატრიოტებით“ იყო სავსე.
 აუწერლად მდიდრული სუფრის თავ-
 ში ნეფე-პატარძალი — საურა და დინგ
 დო მოლოცვებს იღებდნენ.

უჩვეულოდ სერიოზული დელია უგუ-
 ლისყოფად უსმენდა მისი სილაშახით
 მოხიბლული მამაკაცების კომპლიმენ-
 ტებს, თვალებით ლი-ლის ეძებდა და
 ვერ კი პოულობდა.



— და მე მინდა, ეს ღირსშესანიშნავი დღე მიეულოცო მზისა და მთვარის ნეტარების, ღმრის თანავარსკვლავედის, დიადი დინგ დოს ძეგლის შექმნელს. ბეთქილაპურის, აგრეთვე მსოფლიოს უპირველეს მოქანდაკეს ლი-ლის, რომელმაც მბრძანებლის უკვადავი ხატის გამოძერწვით დაამტკიცა, რომ ჩვენმა ხელოვნებამ შორს გაუსწრო... — ენამჭევერობდა მორიგი ორატორი.

— მართლა სად არის? — იკითხა დინგ დომ.

— მოვა, ალბათ ისევ თავის შედევრს უტრიალებს, მბრძანებელი!

სასახლეში შეკრებილთაგან მხოლოდ კინკამ იცოდა, რომ მოქანდაკე ლი-ლი თავის სახელოსნოში ნახეს თოკზე ჩამოკიდებული.

ქორწილის მეორე დღით ჯერ კიდევ ლოგინში მონებივერე საურას ბარათი მოუტანეს:

„ბეთქილაპურში ერთადერთი ნამდვილი მამაკაცი შეგულებოდა — ლი-ლი და იმანაც თავი მოიკლა. სურინამში ვბრუნდები. თქვენს სასახლეს ისევ ის წითელფარნიანი სახლი მიჩვენია. ჩემი ნახვა თუ მოგინდა, პორტში მომაკითხე.“

დელია“.

LVII. კვანკალიძისკენ!

კითხვის ნიშანი სხვა არაფერია, თუ არა დაბერებული ძახილის ნიშანი.

პოლონელი საბირიკოსი.

კალენდულა ვერ იყო კარგად. ბოლო ხანებში მან ხელი აიღო სახელმწიფო საქმეებზე და თავის ექსპერიმენტს ჩაუღრმავდა.

ყოველ ოთხ თვეში ერთხელ ჩამოდიოდა წინასწარ დაკვეთილი უზუსტესი ასაწონი ხელსაწყობები გერმანიიდან,

პოლანდიიდან, ინგლისიდან. ევროპულ და ამერიკული ფირმები მისთვის სხვადასხვა მასალისაგან უჭერმეტოულეს კუბოებს ამზადებდნენ. შუამავალნი მიელს ბეთქილაპურში დაძრწოდნენ და ზღაპრულ ფასად ყიდულობდნენ კალენდულას ცდებისათვის აუცილებელ სულთმობრძავ ადამიანებს.

დიპლომატიების ერთ დროს თეთრი სასახლე სულ ჩაქამდა და კუბოებითა და დაუმარხავი მიცვალებულებით აივსო. თვითველ მიცვალებულს მეორმოცე დღეს ისევ ის ავადასახენებელი 36,6 გრამი აკლდებოდა, რაც სახელოვან ბეთქილაპურელს სიცოცხლეს უწამლავდა. კალენდულა ბედნიერი იქნებოდა, რომელიმე მიცვალებულს ვთქვათ, 35,4 ან 36,8 გრამი რომ მოეკლო. მაგრამ არა! 36,6 ჯოჯუკულ მეორდებოდა და ყოველ ასეთ შედეგს კალენდულა სულ უფრო და უფრო მძიმედ განიცდიდა.

დადგა მშვიდლოსნის თვის მეჩვიდმეტე დღე.

შორეულ ინდოეთში გარდაიცვალა კალენდულას გურუ და აღთქმული მამა, იოგთა გასამხედროებულ-გასაიდუმლოებული კასტის მეთაური.

კალენდულამ ეს ამბავი იმ დღითვე იგრძნო — სისუსტე მოეძალა, მკლავებში ღონე გამოეცალა და ბოლოს ცდის შედეგისათვის აღარც დაუცდია, ისე მიესვენა სავარძელში. ცოტა არ იყოს, გაუხარდა კიდევ, რომ აღარ დანახავდა იმ აკვიატებულ ციფრებს — 36,6-ს. ისეთმა დაღლილობამ და მოწყენილობამ დარია ხელი. მსახურის გამოძახებაც კი ვერ შეძლო. ცხადად წარმოედგინა, თუ როგორ ნელ-ნელა გაიხრწნებოდა მიწაში მისი სხეული — კუნთები, თვალები, ტვინი. როგორ გადაიქცეოდა წყლად და რაღაც-რაღაც მინერალებად, როგორ ურცხვად გაუშიშვლდებოდა ჩონჩხი და როგორ აღიგვებოდა პირისაგან მიწისა.

„ესენი კი სულიო. გაიძახიან“ —

ვაიფიქრა კალენდულამ და ძალა რომ ჰქონოდა, აუცილებლად გადაიხარხარებდა.

„სად არიან ანგელოსები და სერაფიმები, ერთი ქეციანი ეშმაკი მაინც გამოცხადდებოდა წამლად, ეს ოხერი!“

ემშაკზე დინგ დო გაახსენდა, თავს ძალა დაატანა, ზარი დარეკა და მსახური მბრძანებლის მოსაყვანად აფრინა გამარჯვების სასახლეში.



— ბატონო კალენდულა! — აღელვებული და აქოშინებული დინგ დო კალენდულას მიეახლა. მას ვერ წარმოედგინა, როგორ უნდა ემართა სახელმწიფო ამ მტკიცე დასაყრდენის გარეშე.

„კალენდულა — ჩვენი საერთო ბრძოლის სულისჩამდგმელია!“ — ეწერა ბეთქილაბურში ყოველ გამოსაჩენ ადგილზე და ახლა დინგ დოს ეჩვენებოდა, რომ ეს იყო ერთადერთი ღოზუნგი, რომელიც არტუთ ისე შორს იდგა სინამდვილისგან. სწორედ კალენდულა იყო მისი აღზევების საფუძველთ-საფუძველი!

— არ შეგეშინდეს! — ბრძენ კაცს, რაღა თქმა უნდა, არ გასჭირვებია დინგ დოს ფიქრთა დენის გამოცნობა.

— ბატონო კალენდულა! — გაიმეორა მბრძანებელმა და მასწავლებელს ხელზე ხელი დაადო. განციფრდა — ეს იყო პირველი შემთხვევა, როცა დინგ დომ სრულიად ვერ იგრძნო მასწავლებლის მაგიური ძალა.

— ხედავ?! — გულგრილად ჩაიციხა კალენდულამ. — ეტყობა, გამოიღია საწვავი. დღეს დილით დიდი გურუ გარდაიცვალა და ჩემმა აღსასრულმაც მოაწია. მოიცა, — არ დაანება დინგ დოს სიტყვის თქმა, — შენ უკვე საკმაოდ განსწავლული ხარ ასტროლოგიაში, რომ ეგ არ გაგაკვირდეს. ჩვენი ცთომილები დღეს ერთ ხაზზე დადგნენ. ეს კარგად იცოდა დაუვიწყარმა გურუმ. ეს მედალიონი მომხსენი და გატეხე. ხედავ?! — რაღაც წარწერაა. ხანსკრიტულია, როგორც მასწავლებელს. ერთ წაშში ისე

ვგონებ... დიახ, არეისის წელი... დოსნის თვის მეჩვიდმეტე დღე. ეს ხომ დღევანდელი რიცხვია! ესე იგი...

— ესე იგი, მან წინასწარ განჭვრიტა ყველაფერი. ამოუწურავია ბუნების საიდუმლოებანი!

— ბუნებისა თუ?..

— არ მიხსენო, აღარ ვიცი! — დინგ დო პირველად ხედავდა მასწავლებელს ასეთ უმწეო მდგომარეობაში, — ვერ ამოვხსენი ვერც ამოვხსნი, სანამ აქა ვარ... ოცდათექვსმეტი და ექვსი... რომ იცოდე, რა სამინელი ციფრებია — კალენდულა ჩურჩულზე გადავიდა, — მე კი უკვე დღეს ყველაფერს ვავიგებ... შემორმოცე დღეს ეგ გრამები დამაკლდება... ჰი. ჰი!.. შენ კი არაფერი გეცოდინება! ჰო, მართლა, ერთი თარიღიან ის ყუთი მომაწოდე!

კალენდულამ ყუთი გახსნა, იქიდან ძვირფასი თვლებით მოოჭვილი მომცრო კოლოფი ამოიღო და დინგ დოს გადასცა.

— კარგად შეინახე. ამ კოლოფს მაშინ გახსნი, როცა სხვა გზა აღარ გექნება. ცოცხლად გადვალაპავ, რომ ეს ყოველივე გაგიადვილდეს... შენ ხომ ყოველთვის მშიშარა იყავი, არა?!

დინგ დომ შეშფოთებით მიმოიხედა.

— ნუ გეშინია! ეს ამბავი მხოლოდ მე ვიცი, წამსვლელმა! კიდევ ერთმა კაცმა იცოდა, მაგრამ ის უკვე კარგა ხანია, მოკვდა.

— ვინ? — ყრუ ხმით იკითხა დინგ დომ.

— ლი-ლიმ. მოქანდაკემ. ჩემი კოლეგა იყო, ჩემსავით ტიკინებს აკეთებდა, ოღონდ ქვის ტიკინებს... ახლა კი მორჩა, დამტოვე!

— ბატონო კალენდულა!

— ორიოდ საათიღა დამრჩა, დამტოვე!

— ბეთქილაბურის მომავალი? ჩვენი გეგმები?! პლანეტის დაპყრობა?!

კალენდულამ თავი ვეღარ შეიკავა — სიცოცხლი დაიწყო. მერე ახარხარდა, ცრემლები მოადგა თვალებზე...

დინგ დო თვალბლატყვითლი შესცქერა

დაპატარავდა, ისე დაბეჩავდა და დამცირდა, რომ საკუთარი თავი გულწრფელად შეეცოდა და გაბოროტებულმა, ჯანდაბამდის გზა ჰქონიაო, გაიფიქრა.

— ნუ ბრაზობ... რომ იცოდე, როგორ მომბეზრდა ეს ყველაფერი, — საშინლად დაღლილი, ჩახლქილი ხმით თქვა კალენდულამ.

— და მაინც...

— დამტოვე! იქნებ სიცოცხლის უკანასკნელ წამებში შეეიტყო რაიმე... ადამიანი მარტოლმარტო იბადება და მარტოლმარტო კვდება. სულ მალე ჩემი სხეული გაითქიფება იმ უზარმაზარ მითუხთუხე და გულგრილ ქვაბში, რასაც ბუნება ჰქვია... და ვინ იცის, რამდენიმე მილიონი წლის შემდეგ იქნებ გაიხაროს რომელიმე ბალახმა, რომელშიც დღევანდელი კალენდულას შემადგენელი რომელიღაც ატომი განივთდებოდა... წადი და გახსოვდე!

გაბრუებული დინგ დო გარეთ გამოვიდა. ჩაბნელებული ოთახის მერე დღის სინათლე ესაიმოვნა.

— როგორ ბრძანდება ბატონი კალენდულა? — მორიდებით შეეკითხა მბრძანებელს კინკა.

დინგ დომ პასუხი დააკვირანა, მერე მძიმედ შეხედა კინკას და თქვა:

— კალენდულა? კალენდულა აღარ არსებობს!

დინგ დოს წასვლის მერე კალენდულამ თავი გაცილებით უკეთესად იგრძნო. მისდა გასაკვირად ძალ-ღონე უბრუნდებოდა და ენერჯით ივსებოდა. სულაც არ გახარებია ეს ამბავი, პირიქით — როცა წარმოიდგინა, რომ ცხოვრება შეიძლებოდა გაგრძელებულიყო და ისევ იმ კითხვის პასუხი უნდა ეძებნა, გული კინაღამ შეუღონდა. „ალბათ სიკვდილისწინა ენერჯის მოზღვაკუბააო“, გაიფიქრა და შვებით ამოისუნთქა.

მაგრამ დრო მიიზღაზნებოდა, სიკვდილი კი არსად ჩანდა.

კალენდულამ შეიტყო, რომ კიდევ ერთ საათსაც ვერ გაუძლებდა ამ მო-

ლოდინს... ცალკე კიდევ ცნობისმოყვარეობამ გააწამა...

ჩვენთვის ნაცნობ ლაბორატორიაში ბევრი არაფერი შეცვლილიყო, თუ არ ჩავთვლით პრიალა ლითონისაგან დამზადებულ ვეება ჰიდრაულიკურ წნეხს, რომელიც მეცნიერს ორიოდ კვირის წინ ჩამოსვლიდა ჰამბურგიდან. კალენდულას წნეხი ჯერაც არ აეშუშავებინა და ავრეგატის პრიალა ხახა მოთმინებით ელოდებოდა იმ პირველ საგანს, რომელსაც არახული ენერჯის წყალობით სიფრიფანა საბრტყედ, მტკრად, წყლად, ორთქლად ან სხვა მსგავს არაოაობად უნდა ექცია.

კალენდულამ ყურადღებით შეათვალიერა ტექნიკის ეს საოცრება, ერთი-ორჯერ ხელიც გადაუსვა მის პრიალა ზედაპირს და საქმეს შეუდგა — ცეცხლი გააჩაღა, რაღაც მიღები შეამოწმა, ონკანების საიმედოობა მოისინჯა და როცა დარწმუნდა, ყველაფერი რიგზეაო, თერმომეტრს დააკვირდა...

სულ რაღაც თხუთმეტიოდე წუთში წნეხი უკვე მზად იყო ასამუშავებლად. კალენდულამ თავის თავს შეატყო, რომ აყოვნებდა. ჩაიცინა, მერე გაბედულად შევიდა წნეხში, ხელი გარეთ გამოჰყო, თითი წითელ ღილაკს დაჭირა და წნეხის კარიც ნელ-ნელა დაიხურა...

დაიხურა კარი და კალენდულა თითქოს საღათის ძილიდან გამოფხიზლდა. თავის ცხოვრებაში პირველად იგრძნო, რა იყო შიში. რას მისცემდა ამ წუთში, რომ ის დაწყველილი რეინის კარი გაღებულყო...

კალენდულას სიკვდილი აღარ უნდოდა. ის კი ნელ-ნელა უახლოვებოდა ვეება მასიური, დაუნდობელი დგუძის სახით.

აქ კი გადაწყვიტა კაცმა, ასე იოლად არ დანებებულიყო. მთელი თავისი უზარმაზარი ენერჯია მოიკრიბა და ფო-

ლადის დგუმს დაუპირისპირა. მისი მზერით დგუმის პრიალა ზედაპირი ცისფრად აელვარდა. წნეხი, რომელიც მექანიკოსის სურვილით ამქვეყნად არსებული უმაღლესი მარკის ფოლადსაც რამდენიმე წუთში თხელ ფირფიტად აქცევდა, ამჯერად იმ ფოლადზე მტკიცე ძალამ შეაყოყმანა.

კალენდულა არ ნებდებოდა და მხოლოდ მზერით იჭერდა საშინელ მახინას.

კიდეც რამდენიმე წამი გავიდა.

მანქანა შექანდა და თრთოლვა დაიწყო.

სადღაც გარეთ მიღებიდან გამოსული აირი აწივლდა.

გაგიჟებული ცხელი ორთქლი გათავისუფლებას ლამობდა.

კალენდულა, რომელიც ფიზიკის ყველა კანონის მიხედვით უკვე მოლეკულებად უნდა ყოფილიყო დაშლილი, ვაჟაკურად ებრძოდა სიკვდილს.

დგუმი კი მაინც მოიწვედა, მილიმეტრები ამორებდა რკინას კაცისაგან და ამ დროს...

უმტკიცესი ფოლადის გარსმა ვერ გაუძლო ამხელა დაწოლას, მოქლონები თავიანთი ბუდეებიდან ამოცვივდა, გადარეულმა ორთქლმა გზა იპოვა და საოცარი ძალის აფეთქებამ კუნძული ნაფოტა ნავივით აათამაშა.

დიპლოდოკების სასახლის თავზე თეთრი ბოლი ავარდა. თვით სასახლე შეივრცა, შუაზე გაიპო და მიწაში გაჩენილ ღრმა ნაბრალში შთაინთქა..

სწორედ ამ დროს..

LVIII. ბეთქილაპურში

ტრიბუნაზე ბეთქილაპურის უპირველესი ორატორი, თანამემამულე დუბაი იდგა და მგზნებარე სიტყვას წარმოთქამდა:

— ...დამიფაროს დიდმა კალენდულამ იმ ექვისაგან, რომ ბეთქილაპურში, მზისა და მთვარის ნეტარების დინგდოს სამშობლოში შეიძლება ამოხეთქოს ეულკანმა, ამოვარდეს დამანგრეველი ქარიშხალი ანდა საგრძნობლად შე-

ტორტმანდეს მისი ბედნიერი მიწა! ბედნიერი, რამეთუ ამ მიწაზე იშვა ჩვენი სათაყვანებელი დინგ დო!

არა და არა!

ყველგან, მიელს მსოფლიოში, მაგრამ არა ბეთქილაპურში!

ჩვენთან ზომ ყოველი ბავშვი ბედნიერია იმით, რომ ყოველი საუზმისა თუ სადილის წინ ახსენებს დიად დინგდოს — მაღლობას წირავს მას უხვი სუფრისა გამო! და ვინც დღეს ამტკიცებს, ქარიშხალმა სახლები დაანგრიოს ხალხის მტერია. უღირსი ტურა, მაწანწალა ძაღლი, შხამიანი გველი! აბა, რა უნდა ექნა ქარს, რომელმაც მუხებიც კი ვერ გადაამტვრია! ანდა რა ანგარიშგასაწევია რამდენიმე ძველი კედელი და გაჭყლეტილი უპატრონო კატა.. რა ბრძანეთ? კატას თითზე ბეჭედი ეკეთა? აქ გამობრძანდით თუ რამ გაქვთ სათქმელი, ვერ ბედავთ, არა?! ვერც გაბედავთ ვერასდროს. ვერც იმის თქმას გაბედავთ, ამტკიცოთ, გუშინწინდელმა ნიავმა რაიმე ზარალი მიაყენა ბეთქილაპურელ კაცსო. კაცს, რომელიც უკვე იმით არის ბედნიერი, რომ კალენდულასა და დინგდოსთან თანაზიარი ჰაერით სუნთქავს!

კიდეც ერთხელ: არა და არა!

კიდეც ერთხელ ვადილოთ ჩვენი ბეთქილაპური, სამყაროს ღერძი, პლანეტის მარგალიტი. რომლის მიწა ისევე მყარია და ურყევე, როგორც...

მაგრამ შეკრებილი ბეთქილაპურელები ვერ მოესწრნენ უპირველესი ორატორის კიდეც ერთ მეტაფორას..

მიწა ერთი საშინლად შეტორტმანდა, გაიპო და სახელოვანი ორატორი დინგდოს სადიდებელი შეკრების სხვა მონაწილეებთან ერთად შიგ ჩაიტანა!

კვიმბო ტახტზე იწვა და ფიქრობდა, რა ბედნიერი ვარ, დღეს სამსახურში არაფერი საქმე არა მაქვს და შემოდღია რედაქციაში არ წავიდეო.

ეს იყო ფოტოხელოვანის ერთადერთი პრივილეგია.



უნდა ითქვას, ბეთქილაპურში დახვე-
ვებული სიმდიდრიდან მას არაფერი
რეგებია. ის ას ორმოცდა ხუთი — კოლა,
რომელსაც ფოტოხელოვანი კვიმბო იღ-
ებდა, ესე იგი მისი ერთი თვის შრომის
შედეგი, ერთ წყვილ ქალამანს თუ ყოფ-
ნიდა და ხშირად უკვირდა ხოლმე, შიმ-
შილით სული რატომ არა გვიკვრებაო.
ალბათ, ზედმეტია იმის შეხსენება, რომ
ეს კვიმბოს თავისთვის, ჩუმად უკვირ-
და, რადგან ბეთქილაპურელი კაცი საყ-
ველურის გამოთქმას კი არა, ბედნიერი
ღმილის სახიდან მოცილებასაც ვერ
ბედავდა საჯაროდ...

კიდევ კარგი, იყვნენ ადამიანები,
რომლებსაც კვიმბოს ხელოვნება ესა-
ჭიროებოდათ. ეს ხელოვნება კი იმაში
გამოიხატებოდა, რომ მახინჯი ქალი
კვიმბოს ფოტოებზე სანდომიანად მაინც
გმოიყურებოდა, სანდომიანი — ლამა-
ზად, ლამაზი — მზეთუნახავად... დიდი
მონღომებით უმაღლავდა ფოტოგრაფი
დიდცხვირა კაცს ცხვირს, დიდყურას —
ყურს, ქაჩალს — სიქაჩლეს და ა. შ.
მართალია, ამით ოჯახის ბიუჯეტი ორ-
მაგდებოდა, მაგრამ თვით კვიმბოს ასე-
თი ოინბაზობა ჭირის დღესავით სძულ-
და.

აღრე, როცა კვიმბო ნორჩი და გამო-
უცდელი იყო, ეგონა, ფოტოგრაფია თა-
ვისთავად გულისხმობს სიმართლეს და
მხოლოდ სიმართლესო. და რა საშინე-
ლი გამოდგა პირველი გაკვეთილი, რო-
ცა კვიმბომ მეფე ზენგოს უფროსი მარ-
შალი საუთა გადაიღო ისე, როგორც
დინახა: ჭოჭინაში, მედლების სიჭარ-
ბისგან მარტო მკერდ კი არა, ზურგ-
დატირთულიც... მაშინ მშვიერი ვეფხ-
ვის გალიაში მხოლოდ იმიტომ არ უკ-
რეს თავი, რომ ეს პირველი შეცოდება
იყო და მის ასაკსაც გაუწიეს ანგარიში.

საოცრად დაოსტატდა კვიმბო ბედ-
ნიერი, უღრუბლო სახეების, კეთილ-
დღეობისა და დოვლათის ამსახველი
სცენების, ხორბლის მთების, რძის მდი-
ნარების, ლხინისა და ბარაქის გადა-
ღებაში...

მაშ ასე, კვიმბო ტახტზე იწვა და თა-
ვის საფიქრალს ფიქრობდა.

შინ არავინ ეგულებოდა — ოჯახის
დანარჩენი წევრები ქალაქის სტადიონ-
ზე, დივ დოს დაბადების დღის აღსა-
ნიშნავად საპარადო დღესასწაულის მო-
ნაწილეთა ყოველდღიურ ვარჯიშზე და-
დიონენ.

დაიწყო მიწისძვრა და კვიმბო არც
განძრეულა. ჯანდაბას ყველაფერი, ჩემ-
მა მევალებებმა იკითხონო.

და კვიმბო თავისი ტახტიანა სარდა-
ფში აღმოჩნდა.

ეს სარდაფი ახლო-მახლო მცხოვ-
რებთა მუდმივი ინტერესის საგანი იყო.
რადგან იქ ყოველდღე რამდენიმე ადა-
მიანი ჩადიოდა, ხოლო შესასვლელს
დღედაღამ ორი შეიარაღებული მცვე-
ლი დარაჯობდა.

ამჟამად სარდაფში სრული უკუნეთი
და სიჩუმე სუფევდა.

კვიმბომ თავისდა სასიხარულოდ ხა-
ლათის ჯიბეში კვეს-აბედი აღმოაჩინა
და სარდაფი ნაწილ-ნაწილ დაათვალიე-
რა. ირგვლივ მისთვის უცნობი დანიშ-
ნულების რამდენიმე დაზვა იდგა. ცოტა
ხნის მერე მიხვდა, რომ ტყავებით მო-
ფენილ რბილ იატაკზე დადიოდა. დაი-
ხარა და პატრუქის შუქზე საკვირველი
რამ დაინახა — მთელი სარდაფი ტყავის
ფულით-კოლებით იყო მოფენილი!

ფოტოხელოვანს პირველმა გაოგნე-
ბამ უმაღ გაუარა და სასწრაფოდ კო-
ლების იატაკიდან აკრეფასა და ტახტზე
შექუჩებას შეუდგა. ამ საქმიანობაში
რომ იყო, თავში ერთმა სასწაულებრივ-
მა აზრმა გაუელვა. ხელში შერჩენილი
ფულიც ტახტზე დაყარა, დაზვასთან
დადგა და სახელურიანი ბორბალი და-
ატრიალა. კარგად დაზეთილი ბორბალი
თავისუფლად დაჰყვა კაცის ნებას, საა-
მურად დაიჭრიალა და დაღებული ხა-
ხიდან ახალთახალი კოლა გადმოაგდო!

კვიმბო გაშეშდა, თვალებს არ უჯე-
რებდა! ეს იყო სწორედ ის ბედნიერი
შემთხვევა, რომელიც მამამისის სიტყ-

ვით „ცხოვრებაში ერთხელ ყოველ ადამიანს, ბეთქილაპურელსაც კი ეწვევა ხოლმე!“

დანგრეულ ზარაფხანაში მოხვედრა ის შანსი იყო, რომლის ხელრიდან გაშვებაც არაფრით არ შეიძლებოდა და კვიმბოც საქმეს შეუდგა.



საათი საათს მისდევდა, დღე — დღეს, ვინ იცის, იქნებ კვირეებმაც გაიბრინეს. კვიმბოს პატრუქი აღარ სჭირდებოდა. იდგა დაზვასთან და თავაუღებლად ატრიალებდა სახელურს. დაზვიდან კი ახალთახალი კოლები ცვიოდა განუწყვეტილად.

კვიმბო არ იყო უგუნური კაცი, რომ აქედან გასვლის შესაძლებლობაზე არ ეფიქრა. მაგრამ იმდენად გაიტაცა ფულის ჭრამს, სხვა ყველაფერი უმნიშვნელოდ ეჩვენებოდა. ძალიან რომ მოშივდა, სარდაფის კუთხეში მუშების საგზალსა და წყლით სავსე ვეებერთელა კასრს მიაგნო და მეტი არც არაფერი სჭირდებოდა. ერთმა იდეამ მოიცვა ეს ბავშვობიდან უქონელი კაცი და სხვა არაფერი აღარ ახსოვდა ამქვეყნად!

ცხოვრებისეული და გასაგები იყო მისი ფიქრთადენა: აი, იმდენი კოლა მოაგროვა, რომ ბავშვებისათვის რამდენიმე წყვილი საუკეთესო ქალამანი ეყიდა, მერე ცოლის კაბასა და მოსახსამზე იზრუნა... საკუთარი თავიც არ დაივიწყა — ერთი გამოსასვლელი და ერთი ყოველ-

დღიურად სახმარი ხალათი „გამოიშვება“..

ტრიალებდა დაზვის ბორბალი, კოლას კოლაზე ისროდა მისი დაღებული სახა.

ყოველდღიური ოჯახური წვრილმანები რომ მოითავა, კვიმბო ახლა უფრო დიდ რამეებს შეეჭიდა. გამოითვალა, რა ეღირებოდა ავეჯი და იმ ავეჯის ფული მოიჭრა, მერე პატარა სახლის შესაძენი თანხა გადათვალა და ეტლის ფულიც ზედ მიაყოლა, თუმცადა იცოდა, რა საშიში იყო ბეთქილაპურში ეტლის მფლობელობა ფოტოხელოვანისათვის, რომლის ადგილი საზოგადოებრივ იერარქიაში სადღაც ბაზრის ფალავანსა და ცირკის მასხარას შორის განისაზღვრებოდა... მერე ნათესავებისა და ნაცნობ-მეგობრების ჯერიც დადგა...



არც კი იცოდა, რამდენ ხანს დაჰყო ამ სარდაფში. გარეთ დღე იყო თუ ღამე. არც აინტერესებდა. პურსა და წყალს იშვიათად ეტანებოდა — იდგა და თავის ბორბალს ატრიალებდა.

დაზვა თავიდან რომ ასე მსუბუქად ჭრიალებდა და სრიალებდა, ნელ-ნელა გაუხეშდა, დამკიშდა და ძველებურად აღარ ემორჩილებოდა კვიმბოს. მაგრამ იგი მაინც ვერა და ვერ სცილდებოდა თავის საუფლოს. ტყავის კოლებით მოფენილი იატაკი სულ უფრო და უფრო მალდა იწვედა...

დასასრული იქნება



მარინე რჩეულიშვილი

მწერალ გურამ რჩეულიშვილის სსოვრება-შემოქმედებისათვის

როგორც ჩანს, გურამსა და მე ჩვენს განსხვავებულობაში გვეკონდა რაღაც საერთო; რაღაც, სადღაც, ჩვენში და ერთდროულად ჩვენს გარეშეც, რომლისკენაც გურამს თითქოს ძალიან მოკლე გზა ჰქონდა — ერთი ნახტომივით, მე კი ძალიან, ძალიან გრძელი... უსასრულოდ გრძელი... შეიძლება ეს იმაშიც ვლინდებოდა, რომ ორივე გამოკვეთილად ვგრძნობდით ჩვენ-ჩვენი სიცოცხლის ხანგრძლივობას. გურამს, სამწუხაროდ, აღლომ არ უმტყუნა („ააა აი, ისევე გაგები ჩიხში 1. ღმერთმა დაიფაროს ახდეს ჩემი წინასწარგრძნობა. 2. რო არ ახდეს გამიმტყუნდება ინტუიციის, ჭკერტის უნარი და მეწყინება — საინტერესოა როგორ შეიძლება ეს ორივე ერთად მოხდეს? — ასეთი ბავშვური ფიქრებით გამომეტენა თავი“. 1958 წლის დღიურიდან); როგორც ჩანს, აღლომ არც მე მიმტყუნა. შეგრძნება, რომ ვიცოცხლებ ძალიან დიდხანს და გარდავიცვლები მოხუცებული, იმდენად ძლიერი იყო ჩემში რომ ასე 30-31 წლისა, როდესაც ვეგეტონერული კრიზით შებოჭილი შიშისაგან მარტო ვერც ქუჩაში გავდიოდი და ვერც შინ ვრჩებოდი, როდესაც სრულიად მოულოდნელად მეწყებოდა სხეულის საოცარი რყევა, როდესაც მეუფლებო-

და რაღაც გახლეჩილი, დანაწევრებული შეგრძნება — თითქოსდა სხეულის დაშლის, რღვევის, რაღაც აღარმოფენობის ზღვარზე დგომის, საოცრად დამფრთხალს და შეშინებულს, გულის სიღრმეში ამ ჩემს უცნაურ, უხილავ ავადმყოფობაში მიკვირდა მხოლოდ ის, თუ რატომ ხდებოდა ჩემს ორგანიზმში ის, რაც ხდებოდა, რადგან დარწმუნებული ვიყავი, რომ გარდაცვალებამდე ჯერ ძალიან შორს იყო.

მახსოვს, ასე, 24-25 წლის ასაკში, როდესაც დედაჩემის საამებლად მივვარდა ხოლმე საოჯახო ნივთების ყიდვა, ასეთი სურვილით შეპყრობილმა ლექციის დაწყებამდე სულ ნახევარი საათით ადრე პლენხანოვზე ამოვყავი თავი. ცოტა ხანში ახლადგალნაყიდმა, „ხალტურა“ „მოსკვირ“-ფურგონში მძღოლის გვერდზე მოვიკალათე. მანქანა მერნიკოვის ქუჩას დაუყვა. მძღოლს ვთხოვე: ცოტა სწრაფად წავეყანა, რადგან ლექციის დაწყებამდე სულ წუთებიღა რჩებოდა. მძღოლმა ამაყად მიპასუხა: ნუ გეშინია წუთში გაგაჩენო. ამ სიტყვების თქმისთანავე ვიგრძენი უზარმაზარი მანქანის ჩრდილი ჩემს კართან და ძლიერი დარტყმა. იქამდე, სანამ საბარგო მანქანის გიგანტური ბორბლის ქვეშ, ცოტაც და, აღმოვჩნდებოდი, რაღაც წამში დავინახე ჩემი საოცრად დაჭყეტილი, საოცრად მოჭუტული,

გაკვირვებული თვალები და გავიგონე ასევე ჩემი საოცრად გაკვირვებული, დაუნაწევრებელი ხმა: „დე...დე... ??????“ ეს კითხვის ნიშნები მაშინვე ვიცოდი, რასაც გამოხატავდა: „ჯერ არ მოსულა ჩემი სიკვდილის დრო, მაშინ რატომ...“

ეს ახლა ვიხსენებ რაღაცეებს, ახლა ვაანალიზებ თანდათანობით, თორემ, ისე, გურამსა და მე არასოდეს გვიღაპარაკია ამის შესახებ, არც ცალკე, ჩემს თავთან დარჩენილი დავფიქრებულვარ ამ საკითხებზე, არც გამხსენებია. ეს შეგრძნება ისე, თითქოს უფიქრელად, გაუაზრებლად თან მდევდა ყოველთვის. გამოდის, რომ მე, როგორც გურამი, მილიციელ ვანოსავით, ჩახმაზზე შეყენებული თოფით რაღაცის მოლოდინში უაზროდ ვსერავდი ჩემს სივრცეს ერთი კუთხიდან მეორე კუთხისაკენ და განუწყვეტლივ ვათვალიერებდი „ჩემს უბანს“, რომელზეც ჯერჯერობით სრული უმოძრაობა სუფევდა. გურამი თავის წინათგრძნობას, — რომ ხანმოკლე ცხოვრება ექნებოდა, უზიარებდა ხოლმე, შიგადაშიგ, თავის ამხანაგებს, ახლო მეგობრებს. არაერთხელ დაუწერია კიდევ ამის შესახებ თავის დღიურებში. ისე, ჩემს ახლო მეგობრებთან საუბრისას მეც მიეყარდა ხოლმე ეს თემა: „ვიცოცხლებ ძალიან დიდხანს“, — ვამბობდი მე, — „გავაკეთებ ამას და ამას მოხუცებულობაში. მექნება ერთი ძალიან დიდი პორტფელი, გაცრეცილი, დაფურცლული სახელმძღვანელოებით და გალუული ფერადი ფანქრებით და ყველა ტიპის ნახმარ-უხმარი კალმისწვერებით სავსე. მექნება თასმებზე შეკრული „პოლუსაპოჟები“, მბზინავი უხეში შალის მოგრძო პალტო, მოგრძო ქვედა კაბა, ყურებიანი ქუდი და ვივლი სახლიდან სახლში, ნათესავიდან ნათესავთან, თავდაპირველად მათი შვილების, ხოლო შემდეგ შვილიშვილების მასწავლებლად, „გენაცვალოს მამიდა ქეთოსავით“. ასე ეძახდა ყველა ჩვენს ნათესავ მართხელა მოხუცებულ ქალს, რომელიც

ლაპარაკისას გაუთავებლივ ხმარობდა ხოლმე ამ სიტყვებს და რომლის პორტრეტის მიხედვითაც წარმომიდგებოდა ჩემი თავი მოხუცებულობაში. ჯერ რენინგერის ქუჩაზე, კვირაში ორჯერ თუ მეტჯერ არა, გაისმოდა „გენაცვალოს მამიდა ქეთოს“ ჯოხის მოკაკუნება, ან ჩვენ სადარბაზო კარზე, ან კიდევ სანახევროდ მიწაში ჩაფლულ რომელიმე ფანჯარაზე. შემდეგ კი უკვე ლარისის ქუჩაზე ზარის დარეკვის თავისებური მანერა გვამცნობდა მთელ ოჯახს, რომ მოვიდა „გენაცვალოს მამიდა ქეთო“ (სხვათა შორის, ის ხელის ზარი, რომელიც ჩვენი ნათესავი ქალის მოსვლას გვატყობინებდა, დღესაც არის შემორჩენილი ლარისის ქუჩაზე, ჩვენი ყოფილი ბინის კარზე. ამ ბინაში ახლა ჩემი მეუღლისა და ჩემი ამხანაგები ცხოვრობენ და მათთან სტუმრობისას მიცოცხლდება ხოლმე ამ ზარის თითქოსდა დამუხტული ხმა, რომელიც მიგვანიშნებდა ჩემი ძმის შინ დაბრუნებას. ასეთი ზარის ხმაზე სწრაფად ვაღებდით კარს; შემოდიოდა გურამი რაღაცნაირად შემართული, თითქოს ყალბზე შემდგარი, თითქოს ოდნავი ფრტუზით და ისევ თითქოს, ისევ რაღაცნაირად, ისევ მოხუცებულად იცვლებოდა ჩვენი ყოფა, ოთახიდან ოთახში გადაადგილების რიტმი, ჭამის მანერა, გამოხედვა...). შემოდიოდა „გენაცვალოს მამიდა“ ლაპარაკ-ლაპარაკით, მოკითხვ-მოკითხვით მიაყუდებდა ხოლმე ჯოხს იქვე, პატარა შემოსასვლელის კუთხეში, მერე იხდიდა ყურებიან ქუდს, მერე თავისი მბზინავი შალისაგან შეკერილ. მოგრძო პალტოს. ამის შემდეგ ისევ იღებდა ხელში დროებით იმავე კუთხეში მიგდებულ უზარმაზარ პორტფელს და თითქმის მაშინვე მიეშურებოდა დიდი ოთხკუთხა სასადილო მაგიდისაკენ, რომლის ერთ მხარეს დედა აფარებდა ორადგაკეცილ უზარმაზარ გაზეთს. ეს გაზეთი, რომელიც გაკვეთილის ბოლოს პატარ-პატარა უაზრო ჩანახატებით ისერებოდა, ქმნიდა საოცარ სიმყუდროვეს, ინტიმს „გენაცვალოს მა-



მიდას“ ნახევრად ცარიელა პორტფელიდან ამოლაგებულ გაცრეცილ სახელმძღვანელოებთან ერთად, რომელთა ამოლაგებასაც დაჯდომისთანავე იწყებდა. სანამ დედა სამზარეულოში სადილის მზადებით იყო გართული. „გენაცვალოს მაშიდა“ საოცრად ხმაძაღლა გვიხმობდა სათითაოდ ან მათემატიკის, ან რუსულის, ან ისტორიის, ან ფრანგულის, ან ქართულის გაკვეთილზე და მარჯვენა ხელში სათვალემომარჯვებული, ჩემს მახსოვრობაში უკვე სრულიად ყრუ, ძალიან კეთილად და ფიქრთანად ილიმებოდა ხოლმე დიდი მოგრძო კბილებისა და წყლიანი თვალების მიღმა. მახსოვს, ერთხელ სალომემ, ჩემმა ბავშვობის მეგობარმა, რომელსაც ჩემს მომავალ „გენაცვალოს მაშიდა ქეთობაზე“ ვუყვებოდი, გამაჩერა და მითხრა: „კარგი, ნუ მელაპარაკები ასე, თორემ ტირილი ამივარდება“. არ ვიცი, რამდენად ახსოვს რეზო გაბრიაძეს ერთხელ ჩვენი ერთსაათიანი საუბარი მოხუცებულობასთან დაკავშირებით: „რა კარგია მოხუცებულობა“, — ვამბობდით ორივე ნახევრად ზუმრობით, — „როგორ ვიცოცხლებთ ძალიან დიდხანს და მერე, ხანდაზმულები, როგორ შევზვდებით ერთმანეთს“ და სხვა.

მოხუცებულობის სიკეთე იმ გაგებით, რა გაგებითაც მე ასე ვატყობთ ვლადიმერ პარაკობდი მაშინ, გურამისათვის იყო საოცრად ძნელი, საოცრად ძნელად შესაგუებელი რამ, თითქმის მთლიანად მიუღებელიც კი.

ხშირად მიფიქრია, რა უცნაურია, რომ, ჩემი ძმისაგან განსხვავებით, არასოდეს არა ვფიქრობ სიკვდილზე, რომ თავისთავად სიკვდილის არც მეშინია და არც არ მეშინია... აი, მაგალითად, სრულიად უცხო იყო ჩემთვის ის შეგრძნებები, რაზეც წერს ის ერთ-ერთ დღიურში: „უცრად ვიგრძენი, რომ უნდა მოვკვდე და საშინლად შემეშინდა.. ჩავიკეტე სახლში და მთელი დღე ვტიროდი. გამოვოტირე ჩემი თავი“. ან კიდევ: „სიკვდილს გავექცე თავის მოკვლით... მე ამის შესახებ ბევრი რამ

ვიცი...“ ეს, ალბათ, ბუნებრივია ერთი მხრივ იმიტომ, რომ, როგორც აღვნიშნე, ჩემში სიცოცხლე, გურამისაგან განსხვავებით მღორედ მიედინებოდა... სიცოცხლის მშვენიერებას უფრო გადაკრული ნათქვამივით აღვიქვამდი ხოლმე, უფრო ვიცოდი მისი არსებობა, ვიდრე მე თვითონ განვიცდიდი. უფრო სწორად — ვიდრე თვითონ ვმონაწილეობდი მასში... აი, მახსოვს ის შეგრძნებები, როდესაც ვუყურებდი ელასტიურ შარვალში, მაღალ სათხილამურო „ბათინკებში“ გამოწყობილ მოხდენილ გოგონას თუ ბიჭს, რომელიც საოცარი სისწრაფით, ტანის ოდნავი, სულ შეუმჩნეველი მოძრაობებით, მოქნილად ეშვებოდა კოხტა-გორიდან, ან ხტებოდა ტრამპლინიდან, ან ტრიალდებოდა ჰაერში როკენ-როლის მოხდენილ პაში, ან საოცარი გრძნობით აჟღერებდა ვიტარას, ან მოწყვეტილი მოძრაობებით მისრიალებდა საცურაო აუზის მუქ ცისფერ, მოსქელო წყალში, განსაკუთრებით კი საოცრად გაშლილ-აწყვეტილ-შეკავებული და საოცრად მხიარულ-სევდიანი ბოშური სიმღერაცკეპების მოსმენა-ყურებისას, რომელიც ასეთივე, აწყვეტილ-სევდიან-შეკავებულ ემოციებს აღძრავდა ჩემში. ცხოვრების ყველა მშვენიერების მხოლოდ მაყურებელი ვიყავი, ჩუმი მაყურებელი და არა მონაწილე. თუ — თანაგანცდაც მონაწილეობაა?! თუმცა, სიმართლე რომ ითქვას, ეს თანაგანცდაც ძირითადად რეტროსპექციისას მეუფლებოდა ხოლმე...

ამას წინათ კარადის დალაგებისას შემომხვდა „სკრებებით“ შეკრული მოსკოვის „ლენინის“ („რა საყვარელი არიან რუსები! როგორ იციან: „ლენინკა“, „ტრეტიაკოვკა“, „ტოლსტოკა“, „ფუტბოლკა...“ — ჩემი ამხანაგის უფროსი დის სიტყვები მოსკოვიდან ჩამოსვლის შემდეგ) წიგნების გამოსაწერი დაუთრების მთელი დასტა, რომლის უკანა მხარეს, დისერტაციაზე მუშაობის პერიოდში ინგლისურ ენაზე წვრილი ხელით გაკეთებულ ამონაწერებს შორის, გადავაწყდი იმას, რასაც

შეიძლება ახლა ვუწოდო სულის გა-
ელვებები განგრენოზულ გარემოცვაში.
მომაქვს უცვლელად: „ჩემი შვილი
მთხოვს, რომ მოვეუყვებ ზღაპარს“, — ამ
ფრაზის მიხედვით გასაგებია ჩემთვის,
რომ ეს უნდა იყოს დაახლოებით 24-25
წლის წინათ, როდესაც ჩემი უფროსი
შვილი გურამი 4-5 წლისა იქნებოდა. —
„მინდა მოვიგონო რაღაცა საოცარი
თავგადასავლებით სავსე სიუჟეტი მზე-
ჭაბუკებსა და მზეთუნახავებზე ან ცხო-
ველებზე... საოცარი, მაგრამ მახსენ-
დება, არაფერი არ მთვლებს თავში,
რამაც ოღნავ მაინც შეიძლება დააინ-
ტერესოს ბავშვი. უეცრად ვვხვდები,
რომ არ არსებობს არც ერთი სიუჟეტი,
ვერ მოვყვები ვერც ერთ ამბავს ვერა-
ვითარ გადალახვებზე მთებისა და
ზღვების, სრული უნიჭობითა ვარ შეპ-
ყრობილი. მხოლოდ ერთი მივლევს
თავში გიჟივით განუწყვეტლივ: მუღმი-
ვი — წარმავალი, ხილული — უხილავი.
ისე, აბსტრაქტულად... ვერ ვაკავშირებ
ვერაფერ კონკრეტულთან!“

თურმე ეს თემა, ისე, როგორც სხვა
ყველაფერი, ძალიან დიდი ხნის წინათ
შემოჭრილა ჩემში... აბსოლუტურად
მშრალად, გაუაზრებლად, თითქოს გა-
რედან, და დაუწყია ნელ-ნელა ჩემი
რღვევა გარედანვე. გამახსენდა ის დრო,
როდესაც ჩავიწერე მაშინდელი ჩემი
განწყობილება, ეს აკვიატებული, მუღ-
მივი ფიქრები ხილულისა და უხილა-
ვის, მუღმივისა და წარმავალის გამო და
უეცრად მივხვდი... როდესაც თითქოს-
და მთელ ხილულ სამყაროს ვაქცევდი
სქემაში „იმდენად-რამდენადაც“ და გა-
მუღმებით ვფიქრობდი ხილულისა და
უხილავის, მუღმივისა და წარმავალის
ურთიერთდამოკიდებულებაზე, ეს სხვა
არაფერი იყო, გარდა სიკვდილ-სი-
ცოცხლის პრობლემებზე ფიქრისა,
ოღონდაც აი. ასე, გონებით, გულის ჩა-
ურევლად... მაშინდელი ჩემი თვალთა-
ხედვიდან ეს იყო უბრალო ფაქტი,
მშრალი ფაქტი, ჩემგან დამოუკიდებ-
ლად არსებული, ყოველგვარი ემოციე-
ბისა და გატაცების გარეშე აღსანიშნი...

იმ დროს უნივერსიტეტში ვმუშაობ-
დი, ზეპირმეტყველების ლაბორატორია-
ში, ლაბორანტად. გარეგნულად ყველა-
ფერი ნორმალურად იყო. ყველაფერი
იყო ისე, „როგორც სხვასთან არის ხო-
ლმე“ ასეთი შემთხვევების დროს: გავხ-
დი მაძიებელი და დავიწყე მზადება სა-
კანდიდატო მინიმუმის ჩასაბარებლად.
დღეაჩემი ჩვეული ძალისხმევით შეუდ-
გა ჩემს „დაქოქვას“ სოციალურად აღ-
მა მიმავალი კიბის გზაზე. დაბრკოლე-
ბები ბევრი იყო სხვადასხვა ტიპისა და
პლანის. გადაწყდა — დისერტაცია უნ-
და დამეწერა ლიტერატურაში. და აი,
რატომ! აკვიატებული მქონდა ასეთი
აზრი: თუ შემოქმედი თავისი შემოქმე-
დებით შედის ისეთ სიღრმეებში, რო-
მელშიც შემოქმედების გარეშე ვერ შე-
ვიდოდა (ეს საიდანღაც აპრიორულად
გადაწყვეტილად მიმანდა), მაშინ ლი-
ტერატურის მცოდნე (რატომღაც ესეც
გადაწყვეტილი იყო ჩემთვის) მხატვ-
რული შემოქმედების ინტერპრეტაციი-
სას ეზიარება ჭეშმარიტებას, სამყაროს
ისეთ სიღრმეებს, რომელიც მისთვის
სხვაფრივ დაზმული იქნებოდა. მართა-
ლია, ეს ყველაფერი იყო გურამის შემ-
დეგ, მაგრამ ეს იყო ჩემი ცხოვრების
ის პერიოდი, როდესაც გურამის დღიუ-
რები, ისე, როგორც მთელი მისი შე-
მოქმედებითი მეგვიდრეობა, ჩემს მიერ
წაუკითხავი, აღუქმელი ეწყო რკინის
კარადაში. სხვათა შორის ასეთი რაღა-
ცების შესახებ გურამსა და მე არასო-
დეს გვილაპარაკია გახსნილად. ამი-
ტომ ეს აზრები გარეგნულად თითქოს
გურამისაგან სრულიად ჩაურევლად,
დამოუკიდებლად წარმოიშვა ჩემში,
დამოუკიდებლად შინაარსისგანაც კი,
თუ აბსურდულად არ გამოიყურება ჩემი
ნათქვამი. არ გვილაპარაკია, შეიძლება
იმატომ, რომ ამისათვის ჯერ არ ვიყავი
მზად, ან შეიძლება იმიტომ, რომ გუ-
რამისათვის ეს ყველაფერი იმდენად
მნიშვნელოვანი იყო, რომ ამაზე ლაპა-
რაკი მისთვის ძალიან ძნელი იქნებო-
და. შეიძლება უფრო იმიტომ, რომ სა-
იღუმლოება, „იღუმალეობა“, უთქმელო-

ბა თვითონ ამბის საფუძველში იღო, თავდაპირველად შესაძლოა თვითონ მისთვისვე გაუთვითცნობიერებლად კი. ისე, რაღაცები კი ითქმოდა ხოლმე ჩვენს შორის გადაკრულად, გაურკვეველად, ბუნდოვნად, რაც, ისევე მილიციელ ვანოს ჩახმაზზე შეყენებული თოფით, სულ რაღაცის მოლოდინში გვამყოფებდა, შეიძლება ითქვას, არა მარტო მე, არამედ მთელ ოჯახს. აღსანიშნავია ერთი მომენტი ჩემი ძმისა და ჩემი ურთიერთობიდან. რაც ისევე რეტროსპექციისას გახდა ჩემთვის გასაგები: (რაღვან ჩემი დამთხვევა ჩემივე თავთან, როგორც გავარკვიე დროთა განმავლობაში, მხოლოდ ამ უცნაურ დროში ხდება შესაძლებელი); გურამი ჩვენი საუბრებისას ხშირად მიმართავდა ჩემს იმ ნაწილს, რომელიც ჩემთვის ჯერ ცნობილი არ იყო. აი, ეს კარგად ჩანს ჩემთვის უსიამოვნოდ და მწარედ მოსაგონარ ერთ ეპიზოდში ჩვენი ცხოვრებიდან, რომელიც მთელი სიცხადით და სიმწვავეთ დამიღვა თვალწინ, როდესაც მას მოულოდნელად, სამარადქამოდ დაფიქსირებულს გადავაწყვიტე ჩემი ძმის ერთ-ერთ დღიურში.

ჩემი მოგონება: ერთხელ ვიჯექი შუშაბანდში, სასადილო მაგიდასთან და ვსაუბრობდი. მქონდა ამაყი და უკარება სახე, როგორსაც ხშირად ვეფარებოდი ხოლმე. როდესაც გურამსა და ჩემს შორის დამოკიდებულება სრულიად მოულოდნელად და უმიზეზოდ იძაბებოდა. გურამი გამოვიდა თავისი ოთახიდან. ეტყობა, დაავიწყდა, რომ განაწყენებული ვიყავით ერთმანეთზე, მომიახლოვდა და გატაცებით, ხალისიანად, გულუბრყვილოდ დამიწყო თავისი გვეგების შესახებ ლაპარაკი: როგორ ააშენებს გემს, როგორ ააგებს კოშკს და სხვა; მერე გადავიდა თავის ლიტერატურულ გვეგებზე. ამ დროს ჩემი საკუთარი პრობლემების ქერქვეშ შემძვრალმა, საკუთარი თავით მთლიანად უკმაყოფილომ, უმცროსი, განებივრებული დის სითამამამით და ენამწარობით ვუთხარი: „ოკ, ეს შენი გაუთავებე-

ლი გვეგები, გაუთავებელი ტყუილი ლაპარაკი, კ... სი არ იყოს... სიმართლე გითხრა, არაფრისა არცა მჯერა და ძალიან მომბეზრდა კიდევ...“ ეს სიტყვები წამოვიხროლე ისე, გულში გაუვლებლად. მახსოვს, ლაპარაკისას გურამს არც ვუყურებდი; მაგრამ მაშინვე ვიგრძენი, როგორ უეცრად გაქრა სიხალისე მისი გარეგნობიდან, როგორ დაიძაბა, როგორ დაებერა ნესტოები, როგორ გაისმა რაღაც ფრუტუნისმაგვარი თითქოს. მახსოვს, როგორ ვერ გამოვინახე ვერცერთი სიტყვა, ვერცერთი ჟესტი, რათა შემესუსტებინა ჩემი სიტყვების მნიშვნელობა. პირიქითაც კი, გურამის სიტყვებს: „სულელი ვარ, რომ გელაპარაკები საერთოდ...“ ჰსევე ისეთივე ამაყი სახით მივაყოლე: „ჰოდა, არც არის საჭირო... შეგიძლია არც მელაპარაკო...“, რის შემდეგაც გავაგრძელე ვითომ ჩაის სმა, ვითომ საუზმე, ისეთივე უკარება სახით, რაც ასე ძალიან არ უყვარდა ჩემს ძმას... მახსოვს, გურამი შეტრიალდა, ხმის ამოუღებლად შევიდა თავის ოთახში და ჩუმად შეიკეტა კარი.

ეს ეპიზოდი შეიძლება ჩემი პიროვნების უკეთ წარმოჩენისათვის, ჩემთვისვე გაუთვითცნობიერებლად, დაიტვირთა ქვეტექსტით, რათა შემსუბუქებულიყო გურამის მიერ დღიურში გადმოცემული სიტყვების ძალა. მაგრამ ერთია გასამართლებელი: ეს ის ქვეტექსტია, რომელიც, გინდაც კონკრეტულად ამ ეპიზოდს არ ეკუთვნოდეს, არსებობდა ჩვენი ურთიერთობისას და სხვადასხვა პლანით და კუთხით იჩენდა ხოლმე თავს სულ სხვადასხვა სიტუაციებში. იგივე ეპიზოდი, მოთხრობილი გურამის მიერ (ნაწყვეტი 1958 წლის დღიურიდან). „როგორ შეეძლო გუშინ ჩემ დას ეთქვა ჩემთვის, როდესაც ი...ზე ველაპარაკებოდი — როგორ მომაბეზრეთ თავი?! ერთი სული მქონდა... მეყვირა, მაგრამ თავი შევიკავე და ვუპიბინე — პატივს გცემ, რომ დადიხარ გამოქლიავებული, გელაპარაკები ხოლმე — მაღლობთ, მეტი აღარ შეწუხ-

დე, — მითხრა — Ну и стерва. როგორ შეუძლია მე ასე მითხრას ხელალებით, როცა მშვენივრად იცის, რომ ხელოვნება ჩემი თითქმის არაფერი არ არის და უცებ ასე ამავდოს, თითქოს მეც იმათსავით ხელოვნებით ვერთობი (ჩემი მიზანი ხომ მართო ის არის, ვიცხოვრო სახესდ და კარგად). მე, მაგალითად, არასოდეს მახეზრებს თავს ჩემი და, არც დედაჩემი, ვერც ვირდეგენ, ჩემი ასე ახლობელი მომაბეზრებელი იყოს, ეს თუნდაც ხელს შეუშლიდა ჩემს გენეალოგიას — ისევ ავკენლდი. ეს მარინემაც იცის, რომ მე ისინი არა ვარ, ოღონდ საშინელი უხეში ტიპია — წამით გაკრავს გულში, იტყვის; მეც ასეთი ვარ, ალბათ სხვებთან, თუმცა ძალიან ძნელია, რომ თვითონ იგონო, რამდენი ტკივილი შეგიძლია მიაყენო სხვას, როცა შენ თვითონ პატარასაც კი ასე აღიქვამ ხოლმე...“ ჩემი აზრით, მკითხველისათვის კომენტარის გარეშეც გასაგებია ის თვალთახედვის კუთხე, რომელმაც ახლა, სწორედ ამ ამბების თხრობისას, ჩემთვისვე მოულოდნელად გამახსენა ეს ეპიზოდი. რადგან ცხადია, რომ მხოლოდ ის არის ყურადსაღები და მნიშვნელოვანი, დანარჩენი მხოლოდ სამოსია... ან ისეთი იქნებოდა ის, ან ასეთი...

ასე რომ, გადაწყდა, დისერტაცია უნდა დამეწერა ლიტერატურაში. თავდაპირველად ყველაფერი მარტივად იყო, გარდა იმისა, რომ ამეკვიატა სიტყვა „სტრუქტურა“, რომელიც მაშინ ყოვლისმომცველი მნიშვნელობისა შუიქნა ჩემთვის. წარმოვიდგენდი ასე: მხატვრული ნაწარმოები არის სტრუქტურა და მისი არსის გასაგებად საჭიროა ამ სტრუქტურის მიკვლევა, შესწავლა, აღწერა... სხვადასხვა მწერლის მხატვრული შემოქმედების შესწავლის სხვადასხვა პერიოდში, ანალიზის დაწყების წინ, ჩემი პრეამბულა იყო ყოველთვის ერთი და იგივე: ნაწარმოების ობიექტური ანალიზით, რაც გულისხმობდა, ნიშნავდა მაშინდელი ჩემი თავის, ანუ საკუთარი „მე“-ს მთლიან უგულებელ-

ყოფას, გავრკვეულიყავი ამა თუ იმ მწერლის შემოქმედების წყალქვეშა დინებებში. რატომღაც, იმ ფაქტით, რომ მთლიანად გამოვრიცხავდი ჩემს თავს, ძალიან ვამაყობდი. ეს მიმაჩნდა სიზუსტის (ხა-ხა-ხა...), ობიექტურობის (ხა-ხა-ხა...), ჭკუმაირტიების მიკვლევის (ისევ ჰა- ჰა- ჰა...) ერთადერთ გარანტიად თუ გარანტიად. ეს მიმაჩნდა პატიოსანი (აი, ისევ ის გაუგებარი სიტყვა: „პატიოსანი“, რომელიც მაშინ ძია ლეონი მითხრა და რომლის გავონებაზეც სახეზე სიამაყის სიწითლემ გადამიარა...), მეცნიერულ, ერთადერთ შესაძლებელ მიდგომად. მახსოვს, სხვადასხვა დროს, როგორ ვცდილობდი გავრკვეულიყავი ნაწარმოების არსში ამ სტრუქტურის შესწავლის გზით, როგორ ვცდილობდი რაღაც მომენტში მაინც დამეყარებინა კავშირი თვითონ შემოქმედების პროცესში მყოფ შემოქმედთან და როგორ მიჭირდა ეს...

თავდაპირველად ეს მხატვრული ნაწარმოები იყო. არც მეტი, არც ნაკლები, ჯეიმზ ჯოისის „ულისე“. სადღაც გაგონილ-ამოკითხული მქონდა რაღაცები „ულისეს“ შესახებ და, მათზე დაყრდნობით, წაუკითხავად, ამ რომანს ვთვლიდი მე-20 საუკუნის მხატვრული აზროვნების სიმბოლოდ. აქედან გამომდინარე, ვფიქრობდი, რომ საკმარისი იყო გავრკვეულიყავი „ულისეს“ სტრუქტურაში, რომ ყველაფერი (?) გაზღებოდა გასაგები. მოულოდნელად შევიტყვე, რომ არსებობდა დისციპლინა: სტრუქტურალური ლინგვისტიკა, რომლის საფუძვლებსაც გატაცებით კითხულობდნენ გამყრელიძე და მაჭავარიანი უნივერსიტეტის I კორპუსის დიდ აუდიტორიაში. მათ ლექციებს თურმე ესწრებოდა უნივერსიტეტის ჰუმანიტარული საზოგადოების, და არა მართლ ჰუმანიტარულის, უდიდესი ნაწილი... რაღაც მოდასავით იყო... სახელწოდების მიხედვით ვიფიქრე, რომ ჩემთვისაც უნდა ყოფილიყო საინტერესო. ეპიზოდურად, იმის მიხედვით, თუ როდის რა მეგონა, ვესწრებოდი მათ ლექ-



ციებს. ჯანსაღი შურით მშურდა გამყრელიძისა და მაჭავარიანის, რომლებიც ასე იოლად აწარმოებდნენ სტრუქტურალურ ოპერაციებს. ბუნდოვნად, სანახევროდ მესმოდა რაღაცები ვაბრალებდი იმას, რომ შუაგზიდან ჩავერთო. დავიწყე თავიდან. სადღაც ვიშოვე კონსპექტები და სახელმძღვანელოები. უეცრად აღმოვაჩინე, რომ გამყრელიძის ასპირანტები ეუფლებიან მათემატიკური ანალიზისა და მათემატიკური ლოგიკის საფუძვლებს. ვიფიქრე, რომ ჩემი მომავალი საქმიანობისთვისაც არ იქნებოდა ურიგო ამ დისციპლინებში გარკვევა. ისევ ვიშოვე კონსპექტები და ისევ დავიწყე. ვიწყებდი და ვიწყებდი და ამით მთავრდებოდა ყველაფერი, დასაწყისშივე. შემდეგ დედაჩემის გადაწყვეტილებით, დეკრეტაციაზე სამუშაოდ მოსკოვში წავედი. მოსკოვის „ინოსტრანკაში“ მოულოდნელად აღმოვაჩინე, რომ სტრუქტურალური მიმდინარეობა არსებობდა ლიტერატურის-მცოდნეობაშიც, რომ უკვე სახელმძღვანელოების ტიპის ლიტერატურაც კი იყო გამოსული. ვიშოვე წიგნები, დავიწყე კითხვა. გავხდი საჯარო სამკითხველოს მუდმივი წევრი. გაუთავებელი ვიწერდი რაღაცებს წიგნებიდან საერთო რვეულებში. პარალელურად ვეუფლებოდი ე. წ. „არატექსტობრივ სტრუქტურებსაც“: ინგლისის ისტორიას, კულტურის ისტორიას, ფილოსოფიას, რელიგიის ისტორიას და სხვა. ცხადია, არაფერი წამიკითხავს ბოლომდე, არც ნახევარი, მხოლოდ ისევ ვიწყებდი და ვიწყებდი. ჯეიმზ ჯოისის „ულისეს“ ფოტოასლი სტრუქტურალური ანალიზის ძოლოდინში მტკრით იფარებოდა სანახევროდ ნაზიარები სხვადასხვა მეცნიერულ მეთოდებს, უფრო სწორად, ნაზიარები მხოლოდ ზოგიერთ ტერმინს, გაუთავებელივ გამოვიდებოდა რაღაც სიზუსტეს, რაღაცის ბოლომდე გაკეთების სურვილს, სულ დროის დარდით, სულ დაკარგულ დროზე მოწუწუნე, ამ გაუთავებელი წუწუნით ოჯახის შემაწუხებელი, მხოლოდ დროის უქონ-

ლობას ვაბრალებდი ჩემს ბურანს, ჩემს ქაოსში მყოფობას, ჩემს არაპროდუქტიულობას. მთლიანად გამოვიცხავდი ზეიმებს, დასვენების დღეებს. იყო მხოლოდ მუდმივი, უნაყოფო, გაუგებარი, უსიამოვნო შრომა. შრომა შრომის გულისათვის და მეტი არაფერი. ეს ყველაფერი იქნებოდა ძალიან სატირალი, ძალიან სასაცილო რომ არ ყოფილიყო... მთელი ამ ხნის განმავლობაში გრძელდებოდა ჩემი ცოცხალ-მკვდრული ფიზიკური(?) მდგომარეობა. გაუთავებელივ ვლაპარაკობდი ენერჯის „გალევის“, „გაპარვის“, „ხარჯვის“, უქონლობის შესახებ. შევსება არ ხდებოდა არსაიდან. ერთხელ ამის გამო შევჩვიე ჩემს მოსკოველ კოლეგას, რომელიც ინდური ფილოსოფიით იყო გატაცებული, და ენერჯის შესანარჩუნებლად მასწავლა რამდენიმე ასანა. ერთხელ კი, რატომღაც, მოხდა ისე, რომ ჩემი ენერჯია მთლიანად, მთელი სისხავსით დარჩა ჩემთან რამდენიმე ხანს და დამებადა ისეთი შეგრძნება, თითქოს ის არც გამპარვია არსად, არასდროს. მაშინ, სრულიად მოულოდნელად ჩემთვის, სწორედ იმ საჯარო სამკითხველოს ერთ-ერთ ბნელ კუთხეში მაგიდასთან მიმჯდარს, მომინდა რაღაცის ჩაწერა, რაღაცა ხმების, რაღაცა შეგრძნების, რომელმაც სრულიად მოულოდნელად მიიღო ლექსისმაგვარი ფორმა. ამას წინათ, ჩემი მტკრიანი ფურცლების გადაქექვის დროს, აღმოვაჩინე ეს ლექსი ისევ იმ განგრენოზულ გარემოცვაში: აღმიდგა ის დღე, ის მომენტი სამკითხველოში და გამიკვირდა, როგორ გულწრფელად და როგორ კონცენტრირებულად გამოვლინდა ჩემი იმდროინდელი განწყობილება იმ ორგვერდიან ჩანაწერში. მახსოვს, ამის შემდეგ, ჩემთვის იშვიათი შეგრძნებით რომ მოვამთავრე რაღაც, ავიკრიფე გუდა-ნაბადი და წავედი შინ. სადაც ხალისიანად და ენერჯიულად გადავემევი ოჯახის საქმეებში...

გავერთე სულ სხვა რაღაცით და დამავიწყდა ამ შრომის ძირითადი ასპექ-

ტი: გარე სინამდვილისათვის, დედაჩემისათვის, ჩემი ოჯახისათვის ის, როგორც შემდეგ გავარკვიე, ამაო შრომა იყო, — დაშვებული, ნებადართული, მისაღები და სასურველი. განსხვავებით თუნდაც პიანინოზე დაკვრისაგან, რაც მუსიკალური ტექნიკუმის თავის განებების შემდეგ შემოიყვარდა ყველაფერზე მეტად. თუმცა „დაკვრის დრო არასოდეს არ იყო“, რადგან „ჯობდა მიმეხედა საქმისათვის“, რომელიც უკვე მუდმივად დაკავშირებული იყო წიგნთან, რვეულთან, კალმისტართან. მე კი ხანდახან ისე ვერთობოდი დაკვრით, „გეგონება ვეშხადებოდი კონცერტისათვის“. დაკვრა შემოიყვარდა, როგორც ჩანს, იმიტომ, რომ ერთადერთი მდგომარეობა, როდესაც ენერჯია არ შეცლებოდა და, ხანდახან პირიქითაც კი. — მე ვესებოდა, იყო პიანინოზე დაკვრისას. უცნაური იყო: როგორც თავის დროს დედაჩემი ჩვენი „უბრეტუნო“, „ჩვეულბერივი“ ცხოვრებისათვის მზადებას არაბუნებრივი მიზანსწრაფვით შეუღვა, ასევე მეც — დისერტაციაზე მუშაობას. გაგიკვებული ჩემი შორეული თუ ახლო მეგობრები ყველა შესაძლებელი ქალაქიდან ერთხმად მარწმუნებდნენ, ტყუილა იკლავ თავს, დისერტაციას მაინც არავინ კითხულობსო. ამ დისერტაციის წერას, დისერტაციაზე მუშაობას, უფრო სწორად — დისერტაციის წერის წინა პერიოდს, მოვანდომე არაბუნებრივი, დედაჩემის ტიპის, დედაჩემის სასურველი (ძლივს!!!) ენერჯიის ხარჯვა, რასაც შედეგად ენერჯიის აღდგენა არ მოყოლია. პირიქითაც კი, შეიძლება ითქვას, ენერჯიის ყველაზე დიდი გაცემის დღე, აუნახლაურებლად, იყო დისერტაციის დაცვის დღე, რომელზედაც გამოვლინდა ჩემი შრომისა და დახარჯული ენერჯიის სრული ამაოება, ჩემი მდგომარეობის სიყალბე და უაზრობა, რამაც დამიტოვა მთლიანად გამოფიტული ორგანიზმი და დიდი ხნის განმავლობაში საოცრად უგემური გემო... ერთხელ, საჯარო სამკითხველოში გადაშლილი წიგნებიდან რაღაცების

გადმოწერა-ამოწერებს შორის, უეცრად დამეფულა შეგრძნება, რომ დრო იყო. მე თვითონ მეცადა ისეთი ტიპის ანალიზი, როგორსაც ვეთავაზობდნენ უცხოელი თუ საბჭოთა ლიტერატურის-მცოდნენი, რომელთაც ჰქონდათ იმდგავარი მიდგომა ლიტერატურასთან, რომელიც მე ერთადერთ შესაძლებელ ვარიანტად მიმაჩნდა მაშინ. მეცადა მე თვითონ, თანმიმდევრულად, თანდათანობით, აუჩქარებლად და მენახა, რა გამოვიდოდა აქედან. მაგალითისათვის ავიღე ლოტმანის მიერ შემოთავაზებული სქემა და გადავწყვიტე მომეხდინა შექსპირის 116 სონეტის ანალიზი, რომელმაც რაღაცით მიმიზიდა მაშინ. სტრუქტურალური მეთოდებით ლექსის გაანალიზება ნიშნავდა ამ ლექსის ფონეტიკური, მორფოლოგიური, სინტაქსური, სემანტიკური და სხვა დონეების ანალიზის მსგავსება-განსხვავებათა აღმოჩენის გზით, რითაც შეიძლებოდა მთელ ლექსში „მიმოფანტული“ კავშირების მიღვნა, „მიმოფანტული“, ერთი შეხედვით, უხილავი აზრის გამოვლენა. საოცარია, ჩემი დამოკიდებულებით დროის მიმართ, რამდენი დრო მოვანდომე ამ სამუშაოს; რატომღაც არა ვჩქარობდი და შემდეგ, ამ ინტერპრეტაციას თუ ანალიზს ნიკო ყიასაშვილის საიუბილეო კრებულის ნაცვლად მენაგვე რაფიკას მანქანაში რომ ამოვავოფინე თავი, არც მინანია არც ის ანალიზი და არც ის დაკარგული დრო ალბათ იმიტომ, რომ, უბრალოდ, სინაზის დრო არ იყო, არც გაჩერების; შეუსვენებლივ გავვარდი „წინ“, საითკენღაც... არ ვიცი, სასაცილოა თუ არა, რამდენი დაყოფა-შეერთება, რამდენი სინთეზი-ანალიზი, რამდენი მსგავსება-განსხვავების, პარალელური სინტაქსური, რკალისებური თუ რისებური კონსტრუქციების აღნუსხვა დამჭირდა. რომ გამომეთქვა ის აზრი, რაც ალბათ უშუალოდ ლექსის წაკითხვისას დამებადა და რომლის უგულვებლყოფასა და დავიწყებასაც ვცდილობდი ყოველ ფეხის ნაბიჯზე, რადგან შეპყრობილი ვი-



ყავი სურვილით, — ჩემი აზრი ყოფილიყო მხოლოდ და მხოლოდ ობიექტური ანალიზის შედეგი.

მახსოვს შემდეგ ასეთივე თავდადებული შრომა, რომელიც გავწიე ჯეიმზ ჯოისის „ჯაკომო ჯოისის“ ანალიზის სურვილით შეპყრობილმა, რომლის თითქმის ბოლომდე მიყვანა მოხერხდა ნაწარმოების ისევ მცირე ფორმის გამო. ეს ნიშნავდა, რომ ამოვწერე ამ „პატარა რომანის“ ყველა სიტყვა, არა თითქმის ყველა, არამედ ნამდვილად ყველა, შორისდებულიც კი. მახსოვს ამ სიტყვებით შევსებული საოცარი რაოდენობის კარტოთეკები, რომლებიც შემდეგ ანბანის მიხედვით ჩავალაგე ამ საქმისათვის სპეციალურად დამზადებულ მუყაოს ყუთებში. სტატისტიკური ანალიზით მივისწრაფოდი გავრკვეულიყავი ნაწარმოების არსში მინდოდა მიველოდი ისევ ნაწარმოების სტრუქტურაში „მიმოფანტულ“ ერთ აზრს, ანუ იმას, „რისთვისაც და რატომაც“ დაიწერა ეს ნაწარმოები. შემდეგ ეს სიტყვები დავალაგე სიხშირის მიხედვით, შევადგინე სემანტიკური რიგები... ისე, სიმართლე რომ ითქვას, რაღაც თანდათანობით უფრო გასაგები და ხელმოსაჭიდი ხდებოდა ჩემთვის ამ რთულ ნაწარმოებში. ეს პროცესი ფენების მოხსნასავით იყო. იმას, რის გაკეთებასაც ასე გმირულად ვცდილობდი, ერქვა „ტექსტის იმანენტური ანალიზი“; იმას, რაც პირდაპირ ასახვას ვერ პოულობდა ტექსტში, თუმცა რისი მოზიდვის აუცილებლობასაც ვგრძნობდი ყოველწამიერ, ერქვა: ასეთი შემთხვევებისათვის სპეციალურად შემუშავებული ტერმინი: „არატექსტობრივი სტრუქტურები“. მხოლოდ წლების და წლების შემდეგ, გადატან-გადმოტანისას, უკვე არეულ-დარეულად ჩაყრილ-გადაყრილი, ერთ დროს მოხდენილი კარტოტეკერი, იმ დროისათვის უკვე მტერის ფიფქებით დახუნძლულები, დაუნანებლად, თითქმის სიხარულით გავატანე ისევ იმ მენაგვე რაფიკას, რომელიც შეუცვლელად და ერთგულად

ემსახურება დღემდე ჩვენს უბანს ახლა, როდესაც ჩემი ძველი ნაშრომის გადათვალეობა დამჭირდა, რადგან რაღაც ფურცლები მაინც იყო შემორჩენილი ალაღებლად, და როდესაც ეს ფურცლები სათითაოდ გადმოქონდა თაროებიდან და ვყრიდი იატაკზე, როდესაც ვერ ვპოვე რაღაც და როდესაც ის, რაც ვპოვე, აღმოჩნდა მხოლოდ რაღაც და არა ის, რაც მე მინდოდა და მერე, როდესაც ამო ძებნით თავმოებზრებულმა, მტვრიანი ფურცლების გროვა, ისევე აყრილ-დაყრილი, ისევე დაულაგებელი, როგორც ჩამოცვენილი შემოდგომის ფოთლები, დასტა-დასტად გროვა-გროვად შეყვარე უკან სხვა, მტვრის ბუღში მოფარფატე თაბახის ფურცლების გვერდით და ზოგიც ზემოდან, როგორც მომხვდა, — უეცრად გამახსენდა პაპა გიორგი, პაპა გიორგი, ძმა დიდი ივანე ჯავახიშვილისა, რომელსაც ერთხელ თურმე გიორგის ნიჭი უნატრია, „უცნაური“ პაპა, „Обязательный князь Георгий“, რომელმაც თავის და-ძმებში ყველაზე გვიან გადალახა სიკვდილსიცოცხლის საზღვარი და რომელიც, თუ ახსოვს მკითხველს, ასევე ყრიდა თავისი მსხვილი ასოებით შევსებულ უპაგინაციო ფურცლებს ფართო თაროებზე. საოცარმა სევდამ შემიპყრო. ნუთუ ის, რაც მე, უბრალოდ, ხასიათის თვისება მეგონა, — უპასუხისმგებლობა, თავმოუბმელობა, ცოტათი სიზარმაცე ასეთი რამეების მიმართ და სხვა და სხვა (თუმცა, რამდენადაც მახსოვს, რაღაც შანსს სხვა ინტერპრეტაციისას მაინც ვიტოვებდი შინაგანად); ის, რის ახსნასაც მხოლოდ გარე სიუჟეტურ ხაზში ვცდილობდი, თურმე(?) იყო ისევ ის... ისევ ის... რა ის? შეიძლება ითქვას ასე: მაძიებელი სული შეპყრობილი ერთი აზრით, მხოლოდ ერთი აზრით... ეპოქა, რომელშიც დაიბადა და გაიზარდა პაპა გიორგი, ათეიზმის ნიშნით იყო აღბეჭდილი. ეს იყო მას შემდეგ, რაც მან, შეიძლება ყველაზე დიდმა მორწმუნემაც კი (არა ვარ დარწმუნებული, რომ ეს ფორმულირება მე მე-

კუთენის), ხმამაღლა განაცხადა: მორჩა, დემრთი მოკვდაო! ახლა ვფიქრობ, ხომ არ გადაეყარა პაპა გიორგი თავისი ცხოვრების გზაზე ისეთ რაღაცას, რაც მთელ თავის მეცნიერულ (არა მოჩვენებითად, როგორც ჩემს შემთხვევაში, არამედ ჭეშმარიტად მეცნიერულ) მოღვაწეობას უსახავდა როგორც რაღაც გარდამავალ ეტაპს... საითკენ? ხომ არ გადაიქცა მისთვისაც ერთ მშვენიერ დღეს ყველა სიუჟეტი ამაოებად, ხომ არ იქცა მისთვისაც ყველა გზა უაზრობად, გარდა ერთისა... გარდა ერთისა... რომლის გამხელა შეიძლება ნიშნავდა თავისი დის ბედის შეზიარებას, რომელიც, მას შემდეგ, რაც მეუღლე გარდაეცვალა და ერთ მშვენიერ დღეს, სრულიად მოულოდნელად განაცხადა: ეკლესია ჩემი სახლი არისო და მთელ დღეებს ლოცვაში ატარებდა, თავისებური, ნორმიდან ოდნავ გადახვეული ფსიქიკის მქონე ადამიანად მოინათლა აქ მინდა გავიხსენო მია ლალი ჯავახიშვილის მოგონებებიდან ორი მომენტი: ერთი — რომ ბებო, სოფიო ვახვახიშვილ-ჯავახიშვილისა, ივანეს, დათას, გიორგის, კატოსი და ბებიაჩემის საშას დედა, გამოირჩეოდა თურმე მტკიცე რწმენით და ცხოვრობდა ეკლესიური ცხოვრებით... მეორე მომენტი: რომ პაპა გიორგი თავის დედას, რომელთან ერთადაც დასახლდა თავისი ძმის, ვანოს სახლში და რომელიც გაგიჟებით უყვარდა, გარდაცვალების შემდეგ, ყოველ წელნიწადს უხდიდა თურმე პარაკლისს, ო... როგორ მინდა პაპა გიორგის ფურცლების გროვების სიახლოვეს ვიყო ახლა და დიდი პაპის სიტყვების ლაბირინთებში გავიკვილო გზა თუნდაც მის ხელწერაზე, თუნდაც გვერდების შევების თავისებურებაზე დაკვირვებით, დიდი პაპის სულიერი მოძრაობების კვალში ჩავდგე... აუცილებელია გიორგი ჯავახიშვილის არქივის დეტალური შესწავლა! მახსენდება ჯოისის ერთ-ერთი გმირის, გაბრიელის („მკვდრები“) სინანულით სავსე ფიქრები თავისი ადრე წასული ამ-

ხანავის, ბოლკინის საფლავთან... შერე მისი ფიქრები, რომლებიც ინაცვლებენ შელისაკენ და სევდიანად ფიქრობენ ახლა იმას, რომ ბოლკინი სამუდამოდ დაიკარგა და შელი კი სამარადკამოდ აღდგა თავის პოეზიაში. ასე ხომ არ შეიძლება გაფიქრება (ახლა მე მივყავები გაბრიელის ფიქრების ჯაჭვს)... ბოლკინი აღდგა via შელი... და ჩვენ, ყველა, აღვდგებით via ..., რომელმაც სწორედ ამიტომ გაიარა თავისი ცხოვრების ის გზა, რაც გაიარა... „Secrets weary of their tyranny, secrets willing to be dethroned“ გაუმხელელი, დაფარული საიდუმლო, „ხმა იდუმალი“, ბოლკინის საიდუმლო... „საიდუმლო, რომელიც ოცნებობს, რომ გამხელილი იყოს“, ოცნებობს, რომ „მოხადონ ვეკრავინი...“

ჯოისის შემდეგ გადავწყვიტე მე-20 საუკუნის 20-30-იანი წლების ინგლისური რომანის შესწავლა: ჰაქსლის, ლორენსის, ვირჯინია ვულფის. ეს ნიშნავდა ისევე მათ დაშლას, დაყოფას, სინთეზ-ანალიზს და შემდეგ უკვე, შეძლებისდაგვარად, მათ ინტერპრეტაციას. უცნაური იყო, რომ მთელი ამ ხანგრძლივი მუშაობის განმავლობაში, მხატვრულ ტექსტებზე დაკვირვებისას, ყველა ობიექტური ანალიზის შემდეგ, ვიღებდი ყოველთვის ერთსა და იმავე დასკვნას. ყოველთვის, ამ ფენების მოხინის შემდეგ, მხედებოდა ნაწარმოები, რომელშიც უცვლელად ფიგურირებდა მუდმივისა და წარმავლის, ხილულისა და უხილავის ურთიერთდამოკიდებულებები. როგორცა ჩანს, მეც არანორმალური ვიყავი მაშინ ჩემი საოცარი ნორმალურობით, მიზანსწრაფვით, დასახული გეგმების მიდევნის სურვილით შეპყრობილი. ნორმიდან გადახვეული! და რა აკადემიური ეჭანიდი შორიდან... სულ ფურცლებითა და სულ კალმისტრებით, სულ ფანქრებით შეიარაღებული; ამასობაში უკვე სათვალითაც, რომლის მიხედვითაც, მხოლოდ, შეიძლება ვიმსჯელო დროის მსვლელობის შესახებ; დრო მიჰქროდა და მიიწველ-



ბოდა, როგორც ყოველთვის, ალბათ, საოცრად სწრაფად და საოცრად ნელა. მე კი ნამდვილად მიეჭროდი კახეთის შარავნაზე მანქანის ხმაურით შეშინებული გოჭივით თავგზაბუნეული, ოღონდ მაინც წინ წაშვერილი დინვით, უკანმოუხედავად. მხატვრული ნაწარმოების გაურკვეველი სიტყვების, ფრაზების, წინადადებების, აბზაცების, მთელი თავების ლაბირინთებში, ეკლიან მინდვრებში, რომლის ყოველი ბუჩქის უკან უკვდავების წყალზე მიმავალი ადამიანი, ანუ ნაწარმოების გმირი მელანდებოდა. ყველა გზას რომისაკენ მიყავდი. ეს ჩემი შეგრძნება, გურამის სიტყვებით, დაახლოებით ასე შეიძლება გამოიხატოს: „ვეირამუტი იყო ღამის და ყველა თავის გრძობას ეძახდა სიყვარულს“ („კა და კი“). არ ვიცი, რამდენად საჭიროა იმის ახსნა, რომ გურამისეული ფრაზით ყურადღება მინდა გავაშავებლო არა ჩემს სიღამაზესა და სიყვარულით სავსე გულზე, როგორც ეს ვეირამუტის შემთხვევაში აქვს გურამს ნათქვამი, არამედ ზოგადად ადამიანის თავისებურებაზე: ყველაფერი გაიაზროს რაღაც ერთი მოდელით, ერთი თვალთახედვის კუთხიდან, თავისი სამრეკლოდან, რაც, ალბათ, უმეტეს შემთხვევაში, უფრო სწორად — ყოველთვის, წარმოადგენს მისი ცხოვრების მაგისტრალური სიუჟეტის ძირითად მოტივს. ჩემი აზრით, იგივე საფუძველი აქვს „იულონი“ ნათქვამ ამ სიტყვებსაც: „ყველა მხატვრული ნაწარმოების თემა არის სიყვარული.“

ეს აბსოლუტური ჭეშმარიტება, რომ ნებისმიერი წერტილი სიცოცხლის იმპულსით დასახლებული სამყაროსი წარმოადგენს მუდმივისა და წარმავალის, ხილულისა და უხილავის ერთიანობას, რომელიც ჩემს თვალწინ, ნაწარმოებში კირკიტით იხსნებოდა, ყოველდღიურ ცხოვრებაში ჩემი მოქმედებებისას, გადაადგილებისას, ლაპარაკისას თან მდევდა, როგორც ქვეტექსტ. ნაწარმოების ანალიზის დაწყებამდე იგი თითქოს აბსოლუტურად და-

ვიწყებული მქონდა, რადგან ჩემთვის გადაწყვეტილი იყო, რომ ნაწარმოები იყო ნაწარმოები და ცხოვრება — ცხოვრება და რომ მათ ერთმანეთთან არავითარი კავშირი არ ჰქონდათ. ასეთი ტიპის ანალიზებისას, თითქოსდა ფენების მოხსნისას, იგი ყოველთვის თავიდან და თავიდან იჩენდა ხოლმე თავს სულ სხვადასხვა კუთხით. ეს წარსულია და ახლა შემძლია თამამად ვთქვა, რომ ასე იყო ცხოვრებაშიც: იგი საიდანაც, სრულიად მოულოდნელად გამოხტებოდა ხოლმე და მაშინ ყველაფერი უკანა პლანზე გადადიოდა, მეორეხარისხოვანი ხდებოდა. და საინტერესოა, რომ ცხოვრებისეულ ფიქრებსა და ნაწარმოების ანალიზით მიღებულ დასკვნებს შორის ვერავითარ კავშირს ვერ ვამყარებდი, ვერც მწერლის პიროვნებასა და მის შემოქმედებას შორის: ცხოვრება იყო ცხოვრება და შემოქმედება — შემოქმედება. სხვათა შორის, მოვადრო, როდესაც ვიტყვი იმის შესახებ, რომ შესაძლებლობა ცხოვრებისა და შემოქმედების ერთიანობისა — სხვადასხვა შრეებზე, სხვადასხვა კუთხით, სხვადასხვა შემთხვევის დროს — გასაგები გახდა ჩემთვის მხოლოდ ჩემი ძმის ცხოვრებისა და შემოქმედების ევოლუციის გააზრების შემდეგ. მაშინ, უბრალოდ, კირკიტა ვიყავი: ხან აქ, ხან იქ, ხან ტექსტის ანალიზისას, ხან წვნიანის დამზადებისას, ხან სახლის დალაგებისას, ხან ბავშვების მოვლისას, და სულ მეშინოდა, რომ რაღაცას ისე არ ვაკეთებ, როგორც საჭიროა, ისე ბოლომდე, ისე სწორად, ისე ერთგულად, ისე ამომწურავად თუ გულიანად და ა. შ., როგორც ლექსის ანალიზის დროს ვდარდობდი, რომ გამოვტოვე რაღაც, რომელიღაც კონსტრუქცია, რომელიღაც ფონემა, ვერ შევამჩნიე, გამომჩნა რაღაც სიტყვათკავშირი, რაღაც მნიშვნელობა, რაღაც ნიუანსი და სხვა... და ყველა ცალკეულ შემთხვევაში მანიაკურად თან მდევდა ეს ოპოზიცია ხილულისა და უხილავისა, მუდმივისა და წარმავალისა, რომელიც,

ჰა და ჰა, ამ ვერშემჩნევების გამო შეიძლება თვალდახელშეუა გამკრალიყო; ოპოზიცია, რომელიც ახლა აღმოჩენასავით გაიხსნა ჩემთვის, — რომ ყოფილა იგივე, რაც სიკვდილ-სიცოცხლის პრობლემებზე ფიქრი... ეს ლიტერატურულ-მეცნიერული „მოღვაწეობა“ თავისი პროცესით და თავისი დასკვნებით ჩემში იწვევდა არა მომავლის შიშს და ან მხოლოდ სიკვდილზე ან მხოლოდ სიცოცხლეზე ფიქრს, არამედ, პირიქით, გამოფიტვას, და თითქოს მეღობობოდა წინ, როგორც დაბრკოლება რაღაც გზაზე. რადგან ყოველთვის აუცილებელი ხდებოდა ამ მუშაობისას წარმოშობილი აზრების თანმიმდევრულად ჩაწერა; ეს კი, როგორც ადრევე აღვნიშნე, წარმოდგენილად მიართულებოდა ამ წერითი მეტყველების დროს, სხვათა შორის ისე, როგორც ლაპარაკისას, თითქმის ყველა სიტყვაზე ვჩერდებოდი, როგორც ხეიბარი შაშა „ძაგანიადან“ ან როგორც ენაბლუ შაილკა ამავე სათაურის მოთხრობიდან, და მხოლოდ ბლუყუნ-ბლუყუნით, ბუქნა-ბუქნით, ტანჯვა-ტანჯვით მივიკვლევდი გზას სიტყვების ლაბირინთებში. უმეტესად კი ვჩერდებოდი, რადგან არ ვიყავი დარწმუნებული, რამდენად სწორად ვიხმარე ესა თუ ის სიტყვა; უფრო კი იმიტომ, რომ არ ვიცოდი, რამდენად სწორად ვაგებდი სიტყვათა რიგს. ისეთი შეგრძნება მეუფლებოდა, თითქოს ის ცენტრი მქონდა დამუხრუჭებული, რომელიც სინტაქსურ ოპერაციებს აწარმოებდა. ამიტომ დავეწერე დისერტაცია რუსულად, რადგან ჩემმა ერთმა რუსმა კოლეგამ, რომელიც მოწადინებული იყო, რომ დისერტაციისათვის საბოლოოდ „დამესვა წერტილი“, როგორც მეუბნებოდა ხოლმე, შემომთავაზა რუსული ვარიანტის რედაქცია და შემდეგ გადაბეჭდილის კორექტურაც კი. წინდაწინ ვიცოდი, რომ ჩემი ენაბლუობა და ხეიბრობა დედაჩემში შორეულ გამოძახილსაც კი არ გამოიწვევდა, არც დააინტერესებდა ჩემი „მოჩივი სისულელეები“ და „ფანტაზიები“.

ამიტომ ამის შესახებ ვღუმი და როგორც გარედან, ისე შიგნიდან მათრახების ტყელაშუნში, შეშინებული მივიკვლევდი გზას... წინ, თუმცა ძალიან ხშირად ირკვეოდა ამ სიმწრით ჩატარებული სამუშაოს სრული უაზრობა, ამაობა...

ახლა ვხვდები, რომ მე, აშკარად, მთელი ჩემი არსებით, „მონაგარიშეტქნოკრათიულ-ბუღალტერული“ აზროვნების ნაყოფი ვიყავი. სხვათა შორის, ყველაფერი ამით აიხსნება... აი, რატომ მოვეჭიდე ხიხარულით მათ ანალიზსა და მათი ლოგიკის საფუძვლების შესწავლის შესაძლებლობას, რაც, ცხადია ისე, როგორც სხვა რამ, მხოლოდ დავიწყე... გაანალიზე, დაყავი, დაჩეხე, აღრიცხე და მერე გამოიანგარიშე, შეკრიბე, გამოაკელი, გაამრავლე, გაყავი და ყველაფერი გახდება გასაგები... რაღაც დაგრჩა? რაღაცას ვერ მოუძებნე ფორმაში ადგილი? ეგ არაფერს ნიშნავს... გაიხსენე ის შემთხვევები, როდესაც ორჯერ ორი შეიძლება იყოს ხუთი! შექსპირთან ძალიან ბევრი არეულობაა, უზუსტობაა! უამრავი შეცდომა! ეს ბუნებრივია და სრულიად ადვილად იხსნება. აი, ფორმულირება: — შექსპირის გენიალური შეცდომები. გახსოვდეს: ყველაფერი ყოველთვის ზუსტად და თანმიმდევრულად და, საბოლოო ჯამში, ძალიან მარტივად შეიძლება აიხსნას. საჭიროა მხოლოდ სწორი, მეცნიერული მიდგომა. გაიხსენე ევოლუციის თეორია — სწორედ ასეთი, თანმიმდევრული, მეცნიერული მიდგომა, რომელიც უტყუარად ხსნის ადამიანის წარმომავლობას მაიმუნიდან, მეც, როგორც ჩემი ეპოქის ჭეშმარიტი შველი, ცდილობდი ყველაფრისათვის მომენახა თავისი ადგილი ჩემი დაღლილი, სუსტი, მოფარფატე გონებით იქამდე; სანამ ერთ მშვენიერ დღეს, სიზუსტეს გამოკიდებულმა, სრულიად მოულოდნელად, მთელი სიცხადით არ დავინახე „აბლაბუდებით სავსე ჭერი“... მაშინ კი ჰამლეტის კვალდაკვალ, ოღონდ გულში, მთელი ხმით წამოვიძახე:

„ბევრი რამ არის, ჰორაციუს, ამ ქვეყანაზე, ფილოსოფოსთ სიზმრადაც რომ არ მოღანდებიან...“ მერე ამ ახალი ფორმულირებით იმედმოცემულმა, სრულიად აშკარად აღვიქვი, რომ ამ ანგარიშებითა და აღრიცხვებით ფონს ვერ გავიღოდი. ბურანიდან და ქაოსიდან გზას ვერ გავიკვლევდი, და სხვანაირად ავწრიალდი... ე. ი. გამოდიოდა ისე, რომ ჩემს შემთხვევაში, ანუ ჩემს ცხოვრებასა თუ საქმიანობაში მთლიანად გამოირიცხებოდა ინტუიცია. ან შეიძლება ითქვას ასეც: — ინტუიცია იყო, მაგრამ იღუნად — რამდენადაც ის, ცხადია, თავის საქმეს აკეთებდა რადღაც ღონეზე (საერთოდაც, ინტუიციისაგან მთლიანად დატოვებული სიცოცხლე, ალბათ, არც არსებობს!). მაგრამ ის ძირითადად იყო საღდაც, გაურკვეველ სიღრმეებში, აბსოლუტურად უკანა პლანზე. ჩემი აზროვნებისათვის ყველა ცალკეულ შემთხვევაში აუცილებელი ხდებოდა ანალიზი, ანუ სიერცეში მყოფობა, ჩემი აზროვნების სიერცეში გაშლა, რაღაცის, თუნდაც ქრონოლოგიური დროის დაშლა, დაჩეხვა და შემდეგ, მსგავსება-განსხვავებების და სხვა მეთოდების საშუალებით, რის ვაი-ვაგლახით თავიდან აკრფა. მთელი ცხოვრების განმავლობაში, სულ სხვადასხვა მაგალითზე დაყრდნობით, ყოველთვის ვრწმუნდები ერთსა და იმავეში: ჩემთვის ის გზა, რომელსაც შესწევს უნარი პირდაპირი კავშირი დაამყაროს არსთან და რომლისთვისაც ფორმის ზერეღე დანახვაც კი საკმარისია, რომ გაერკვეს მასში, შეუძლებელი აღმოჩნდა. — სამწუხაროდ, რადგან ახლა უკვე ვიცი, რამდენად მალა დგას, რამდენად მნიშვნელოვანია ინტუიცია, გრძნობა, რწმენის უნარი, წრფელი გული... ჩემი ცხოვრება მიდიოდა ლოგიკური აზროვნების პრიმატით. სხვათა შორის, ეს კარგად შენიშნა ერთმა ჩემმა ნაცნობმა, ე. წ. ექსტრასენსმა, რომელსაც ერთხელ ენერგიის საოცარი ნაკლებობის შესახებ შევწუწუნე. ჩემი სიტყვების გაგონებისთანავე, ექსტრასენსმა სასწრა-

ფოდ შემთავაზა წამოდგომა, შემდეგ ხელის გულებით ჩემი სხეულიდან საკმაო მანძილზე მოატარა წრე, მერე ერთ წამს შეაჩერა ხელების მოძრაობა რადღაც სიმორეზე და სრულიად მოულოდნელად განმიცხადა: „ტყუილუბრალოდ უჩივი ენერგიის ნაკლებობას. საკმაოდ დიდი და ძლიერი ენერგიის მფლობელი ხარ... აი, ნახე, რა ფართო ენერგეტიკული ველი იქმნება შენს გარშემო“. ამის შემდეგ მან განაგრძო ჩემი ორგანიზმიდან მიღებული იმპულსების აღქმა თავისი ხელისგულებით და თან ნელ-ნელა, თანდათანობით, დეპეშური სტილით გადმომცემდა ჩემი თავის თვალთუხილავ თავისებურებებს: „ლოგიკა მაქსიმალურად გაქვს განვითარებული... ქალისათვის ეს მაინცდამაინც ბუნებრივი არ არის...“ ამ სიტყვების თქმისას ხელის გულები ჩემი თავის სიმაღლეზე ჰქონდა, შემდეგ ჩამოვიდა ოღნავ ქვევით და შემატყობინა: „ინტუიცია, რატომღაც, ნაკლებად გაქვს განვითარებული. უცნაურია... უცნაურია... ჩვეულებრივ, ქალებს შებრუნებითა აქვთ ზოლმე“. ეს ფაქტი რატომღაც არც მაინცდამაინც მესაიამოვნა, თუმცა ხელმოსაჭიდი იყო, — რადგან თავისებვადებოდი ჩემი სქესის სხვა წარმომადგენლებისაგან. მაგრამ ის, რაც მითხრა, როდესაც მისი ხელისგულები მიუახლოვდნენ იმ სიმაღლეს, სადაც გული იყო მოთავსებული, ყველაზე მტკივნეული და აბსოლუტურად მოულოდნელი აღმოჩნდა ჩემთვის. მან თქვა: „კი მაგრამ, გული? რატომ უჭირავს ასეთი პატარა ადგილი სიყვარულს შენს ცხოვრებაში? განა არ გიყვარს ადამიანები? ნახე, რა მშვენიერია ეს სამყარო!“ მე აბსოლუტურად შეუშადაბელი ვიყავი ამ აღმოჩენისათვის, ამიტომაც მისი სიტყვები ელდასავით დამატყდა თავს. ეს მოულოდნელი იყო ჩემთვის იმ წუთას თუნდაც იმიტომ, რომ მეგობრისადმი ჩემი სიყვარულის დამამტკიცებელი საბუთი, ანუ რის ვაი-ვაგლახით მის სამკურნალოდ მოპოვებული ეს ექსტრასენსი, ჩემს წინ იდგა, ამ ჩე-

მი ამხანაგის დიდ ოთახში, მხოლოდ და მხოლოდ ჩემი წყალობით. ვანა ეს არ იყო სიყვარულის საბუთი? შემდეგ ექსტრასენსი ჩამოვიდა უფრო ქვემოთ, მაგრამ მე უკვე კარვად არ მესმოდა მისი სიტყვები, დაწვებმეფაკლული უხერხულად ვიშმუშნებოდი და მაინტერესებდა მხოლოდ ერთი რამ — რამდენად აღიქვა ჩემი უსიყვარულო გულის ამბავი იქვე უღარდელად მოკალათებულმა ჩემმა ამხანაგმა.

მაშ ასე! თუ ჩემთვის არც ერთ დონეზე, არც ერთ შემთხვევაში არ ხდებოდა შესაძლებელი მოვლენის პირდაპირი, სიღრმისეული, უშუალო, ინტუიტიური წვდომა... მაშინ გამოდის, რომ გამოთიშული ვყოფილვარ სიცოცხლის ერთიანი დინებიდან. აი, რატომ მეუფლებოდა თურმე ფუჭი, ამათ შრომის შეგრძნება, როგორცა ჩანს, ჩემი ყოველდღიური საქმიანობა სიცოცხლის წყაროსაგან სრულიად მოშორებულ სივრცეს სერავდა, ეტყობა ამ წყაროს თავი სულ სხვა მხარესა ჰქონდა გადაედებული, უჩემრად სულ სხვაგან იპარებოდა. ჩემს სივრცეში მისი შორეული პულსაციაც კი არ იგრძნობოდა. ასეთი ადამიანისათვის სრულიად ბუნებრივი იყო ფიტულობის განცდა, სიცარიელის შეგრძნება, რის გამოც დავიჩინე ექსტრასენსთან და რომლის პასუხმაც მას შემდეგ გარკვეული ადგილი დაიკავა ჩემს სქემატურ გონებაში (აი, რატომ იყო ასე გასაგები ჩემთვის ელიოტის პოემა — „ადამიანი-ფიტული“.) სიცარიელის, დაღლის შეგრძნება ძალიან ხშირად მეუფლებოდა, შეტევასავით. ამისაგან თავის დაღწევის ერთადერთ საშუალებად მიმანდა ჩემი თავის სხვადასხვა ფიზიკურ მდგომარეობაში ჩაყენება, ანუ სხეულის წვრთნა. თავდაპირველად ეს იყო დილის გამამხნეველები მარტივი, გულუბრყვილო ვარჯიშები. შემდეგ ჰატა-იოგა, მოდიფიცირებული ევროპელთათვის და ჩემს მიერ პირადად ჩემთვის, ცურვა, გამოხდილი წყალი ბრეგის მეთოდით; ვიყენებდი საუნის ეფექტსაც, დაახლოებით

ისეთს, როგორც გამოიყენება ფორლანის გამოწრთობის დროს: ცხელი-ცივი, ცხელი და მერე ისევ ცივი და ა. შ., გაძლებაძდე. ენერჯის შესანარჩუნებლად ხშირად ვკრავდი ხოლმე წრეს, როგორც მოსკოველმა კოლეგამ მასწავლა, ანუ რაღაც დროის განმავლობაში მჭიდროდ ვადებდი ერთმანეთს ხელისგულებს. ხანდახან, დილით ადრე, ისტრეიულად გავრბოდი კომკავშირის ხეივნისა და ბოტანიკური ბაღისაკენ, ჰაერის ჩასასუნთქად, ხანდახან კი, ენერჯის მიღების სურვილით შეპყრობილი, შიშველა ზურგს ვუშვერდი ხოლმე ბოტანიკურ ბაღში ოქროყანიდან მომდინარე საეჭვო წარმოშობისა და ფერის წყალვარდნილს, ე. წ. ჩანჩქერს. ვცდილობდი ადრე დაძინებასაც, რაც ყველას აღიზიანებდა და ამიტომ ჩემთვის რაღაც აკრძალული ხილივით შეიქნა, და ა. შ. და ა. შ. მაგრამ ყველაფერი იყო ამაო! სხეულის შენჯღრევას, ბევრი-ბევრი, ეშველა სულ ერთი საათი. ისე, ჩვეულებრივ, არც გამოდიოდა ეს ერთი საათი. ახლადსხეულნავარჯიშები, თითქოსდა ენერჯით სავსე, მიუუჯდებოდი ხოლმე საწერ მაგიდას ან ვიწყებდი რაღაც მნიშვნელოვან საოჯახო საქმეს, და სულ 15-20 წუთში, თანდათანობით, მეპარებოდა რაღაც დაღლისმაგვარი, საღაც მიდიოდა ენერჯია საოცარი სისწრაფით. პირველი სიგნალებიდან მთლიანი სიცარიელის შეგრძნებამდე გმირულად არ ვშორდებოდი დაწყებულ საქმეს... რა იყო ის, რაც მელოდა? რის ხარჯვასაც, რის დენას, რის გაპარვასაც ვგრძნობდი ყოველწამიერ საკუთარი სხეულიდან? სხეულიდან, რადგან, ცხადია, სხეული, ჰამლეტისა არ იყოს, არ დამნგრევია, არ გამდნობია... სხეული... სხეული... სხეული... რომელია მისი შეპირაპირებული წყვილი? აი, მათემატიკური, ლოგიკური გზა აზროვნების: სული! სული-სხეული, body-soul; ჩემი საყვარელი ოპოზიცია... ე. ი. სხეული რჩებოდა, „doesn't melt“, „არ დნებოდა“ (სიტყვისიტყვით თარგმანი), არ ინგრეოდა.



რადაც იპარებოდა. გამოდის, რომ ეს რადაც ყოფილა სული... душа... soul... საწყალი, გაგიჟებული სული, გამომწყვდეული ჩემს სხეულში, მთლიანად უგულუბელყოფილი, რომლისათვისაც საკუთარ სადგომში აღარა რჩებოდა ადგილი! საკუთარ სადგომში, რომლის ასამაღლებლად ის იყო მასში ჩასახული...

ყველაფერი თუ არა, რადაც მაინც, ბუნდოვანად მაინც გასაგები ხდებოდა, როდესაც ვაკვირდებოდი მხატვრული შემოქმედების მოქმედ პირებს. და როგორც უფროსები ამბობენ ბავშვებთან დაკავშირებით ასეთ შემთხვევებში, საკმაოდ „გრძელ ენასაც“ გამოვიბამდი ხოლმე... მაგრამ მე? ჩემი „მე“ არსად, არასდროს არაფერ შუაში არ იყო... მე არ ვარსებობდი... არც საერთოდ, არც ნაწილობრივ...

„არსებობენ ადამიანები, რომლებიც ცდილობენ გაიგონ სამყარო გარედან“ — ასეთი ვიყავი ქვე ნაშევილად.

ამ მონოგრაფიის ავტორისათვის არსებობდა მხოლოდ მე და სხვები, მე და სამყარო — ანუ ყველაფერი ის, რაც არ იყო თვითონ, რაც იყო მის გარეთ — „სხეულებრივი ნივთები, მცენარეები, ცხოველები, სხვა ადამიანები, სხვა ადამიანთა მოღვაწეობის პროდუქტები, ანუ კულტურის საგნები, და ის მუდმივად ახდენდა აბსტრაქციას საკუთარი თავიდან, ინდივიდუალურ-კონკრეტული „მე“-საგან; ცნობიერების მზერა მიმართული ჰქონდა მუდმივად გარე სამყაროსაკენ და ეს მიიწინადა სხვა არსებულთა ფუნდამენტური ტენდენციებისა და ფაქტორების გამოქვავების შესატყვის პოზიციად“. საკმარისია გავიხსენოთ თუნდაც მისი „მეცნიერული“ მოღვაწეობის პერიოდი... მისი დამოკიდებულება ხელოვნების ნაწარმოებების მიმართ... ამიტომ როდესაც, უკვე ასაკში შესული, ის მივიდა სიონის ერთ-ერთ ტაძარში პირველივე შემხვედურ „მამაოსთან“ და თავისი გაჭირვებები შესწივლა გურამ რჩეულიშვილის

ცხოვრება-შემოქმედების შესწავლის გზაზე და როდესაც „მამაომ“, იმის მაგივრად, რომ შეექო ის, რა კეთილშობილი ხართ, რომ აბსოლუტურად დაივიწყეთ თქვენი თავი, რომ ფიქრობთ მხოლოდ თქვენს ძმაზე (რადგან დაახლოებით ასეთი იყო ჩემი საუბრის ქვეტექსტი), რომ გახსოვთ მხოლოდ თქვენი ძმა და ასე არაფრად ავლებთ საკუთარ თავსო, უთხრა: პირველ რიგში მიხედეთ საკუთარ სულს, რას აკეთებთ თქვენი საკუთარი სულის ხსნისთვისო. მამაოს სიტყვები ამ ჩემს „მე“-ს ძალიან გაუკვირდა, ძალიან შეცბა, ძალიან დაფიქრდა, თავდაპირველად თვითონ მოძღვარზე... და მხოლოდ კარგა ხნის შემდეგ — თავის საკუთარ თავზე...

მხოლოდ თანდათანობით და თანდათანობით, განსაკუთრებით „ძაგანიასში“ ჩაღრმავებისას გახდა მისთვის გასაგები მთელი საშიშროება ასეთი არსებობისა. რადგან სრულიად მოულოდნელად აღმოაჩინა, რომ ეს ის მდგომარეობაა, როდესაც სხვის თვალში ბეწვს შენიშნავ და საკუთარში კი ღირესაც ვერ იგრძნობ.

არსებობენ სხვა ადამიანები, რომლებიც ცდილობენ გაიგონ „სიცოცხლე თვითონ სიცოცხლიდან“ (მექმნება შთაბეჭდილება, რომ ახლა, თანდათანობით, პირველი ჯგუფიდან ვინაცვლებ მეორე ჯგუფისაკენ, ყოველ შემთხვევაში, უკვე მესმის რას ნიშნავს ეს და, ამასთანავე, ვაღიარებ ამ მეორე შემთხვევის უპირატესობას). რატომ მექმნება ასეთი შთაბეჭდილება? მოვიშველიებ ჩემს მონოგრაფიას და ვეცდები გავანალიზო მისი ავტორი, რომელიც ამ ნაწარმოებში წარმოვედიგება როგორც ორმაგი მოქმედი პირი: ერთი — როგორც მთხრობელი და, მეორე კი, როგორც მთავარი მოქმედი პირის, ანუ მწერლის და, როგორც მოქმედი პირის, ანუ მწერლის დის ასაკი მისდევს ოთხი წლის დაშორებით, ინტერვალით, მთავარი გმირის, ანუ მწერლის ასაკს, და მასთან ერთად იცვლება დროში, ანუ

განცდის ევოლუციას. ეს ჩანს როგორც გვირის, ანუ მწერლის დის, ანუ ჩემი ქმედებიდან (მაგალითად, ალავერდობაზე ცეკვადა თუშურს. ავლებდა ეზოს შორეულ კუთხეში ამოღებულ ორმოში მკვდარ წიწილებს, რომლებიც ხაც ეშინოდათ მის ღვდასა და ძმას, მერე უკვე თბილისში სწავლობდა მუსიკას, გადადიოდა მეთორმეტე სკოლიდან ოცდამესამე სკოლაში, ერთი მუსიკის მასწავლებლიდან მეორე მუსიკის მასწავლებელთან და ა. შ.), ისე სხვა მოქმედი პირების დამოკიდებულებიდან მის მიმართ, მაგალითად: „მე ყველა კუთხიდან მაგდებდნენ ღალის ამხანაგები, ღათოს ამხანაგები, გიგის ამხანაგები...“ შემდეგ: „რატომღაც, არსად აღარ ვიყავი ზედმეტი. ხანდახან პირიქითაც კი, თვითონვე მეძახდნენ...“ როგორც მთხრობელში კი მასში თანაარსობს სხვადასხვა დრო და მისი უაღრესად სუბიექტური თვალთახედვის გამო გამოდის ისე, რომ ასეთი თხრობისას მთლიანად უგულებელყოფილია გარე სამყარო, სივრცეში მყოფობა, ე. ი. ქრონოლოგიური, ციკლური და სხვადასხვა დრო, ე. ი. რეალობა(?). ეს მთხრობელის დრო აღიქმება, ჩემი აზრით, როგორც რსული ზოგადობა, ყოველგვარი წარსული-მომავალი-აწმყოს გარეშე, როდესაც არსებობს მხოლოდ „მე“, რომლის სიღრმეები — მოხლოდნელად აღმოჩნდება — მიდის უსასრულობაში, რადგან თვითონ მთხრობელი, როგორცა ჩანს, ასეთ შექმნილებებში გრძნობს თავის დაუმთავრებლობას, პრინციპულ შემოუსაზღვრელობას, ფორმამოკლებულ სწრაფვას და როგორც არა ერთხელ მიინიშნება თხრობისას, ჯერ მისთვისაც გაურკვეველია თავისი გზის მიმართულება, ისევე, როგორც თავისი დროის, რომელსაც ის ძალიან ხშირად განიცდის როგორც რაღაც წერტილისაკენ მისწრაფულს. ასეთ შემთხვევებში ის თითქოს მუდმივად ცდილობს თხრობა წარმართოს ისეთი კუთხიდან. თავისთავში მოულოდნელად აღმოჩენილი

ისეთი სიღრმეებიდან, სადაც წაშლილია ზღვარი წარმოსახვითსა და რეალურს შორის (არ მინდა, რატომღაც, ამ აზრის ჩემივე ტექსტით დამოწმება, რადგან რაღაც უხილავი, რის დროც ჯერ არ დამდგარა, სამიშად ხელმოსაჭიდი ხდება). ის თითქოს თავისდაუნებურად ეხება ისეთ სივრცეებს, ისევე იქვე, სადაც, წესით და რიგით, მუდმივად უნდა იგრძნობოდეს „ჰერაკლიტესეული ცეცხლის პულსაცია“, იმ ცეცხლისა, რომელიც არასოდეს არა ქრება. თუ ეს ყველაფერი ასეა, მაშინ გამოდის, რომ ამ მონოგრაფიის ავტორს ცდილობს გაიგოს სიცოცხლე თვითონ სიცოცხლიდან, ანუ უშუალოდ თავისი თავიდან, რომელიც თურმე წარმოადგენს სიცოცხლის იმპულსით „დასახლებული სამყაროს“ შეუცვლელ, განუყოფელ ნაწილს... გაირკვა, რომ თურმე მასაც აქვს თავისი საკუთარი ადგილი „სიცოცხლის ამ ერთიან დინებაში“. გაიგოს სიცოცხლე თვითონ სიცოცხლიდან, ანუ თავისი თავიდან, რომელშიც მან მოულოდნელად აღმოაჩინა სიცოცხლის წყარო. ასე რომ, მისთვის ახლა ბუნებრივია ის აზრი, რომ სიცოცხლის წყარო არის თითქუთ აღამიანში ცალ-ცალკე და თუ ვერ აღმოაჩინე ის შენში, მაშინ დარჩები სიცოცხლის ამ ერთიანი დინების გარეთ და ვერ აღმოაჩენ მას ვერავისში. ყველა შენი სიტყვა, ყველა შენი საქმე იქნება ფუჭი... ასე რომ, მას შემდეგ, რაც ამ მონოგრაფიის ავტორმა თავისი მზერა მიმართა გარედან შიგნით, თავისი შინაგანი ცხოვრებისაკენ, მისთვის თვისობრივად შეიცვალა რაღაც და უკვე აღარ აღიქვამს გარე სამყაროს როგორც მხოლოდ მყარ მთლიანობას, როგორც მხოლოდ დროსა და სივრცეში გამლილს, როგორც რაღაც ფაქტს, რომელში შესასვლელი გზა მხოლოდ ამ ფაქტების აღრიცხვა-შესწავლაზე გადის; ის თითქოს დაეწაფა რაღაც წყაროს და თანდათანობით დაიწყო სიცოცხლის წვენით ავსება. (ძლივს სახეზე დადებული საკვები მალამო ადვილად იწო-



ვესა გამომშრალ კანში) და ახლა, როდესაც ყოველი ფეხის ნაბიჯზე, ყოველი კალმის მოსმისას ეუფლება გაურკვეველი შეგრძნება, შეგრძნება რაღაცის აღმოჩენის, რაღაც მოულოდნელი განცდა და არა ერთხელ და სამუდამოდ წინასწარგანსახვრული აზრი, ის მიხვდა, რომ საბოლოოდ მისთვისაც ყველაფერი ამოძრავდა, აივსო მოულოდნელობით, გახდა სარისკო, ძალიან სარისკო; „ცოცხლობა სარისკოა“ — ამას ვგრძნობს სიამაყით ამ მონოგრაფიის ავტორი; ძლივს ისიც ხედავს თავის თავს უფსკრულის პირას მოსიარულეს, მოძრავს, მარადიულ ქმედებაში ჩართულს, ჩაბმულს (გაიხსენეთ მისი გაყინული ბავშვობა, გაყინულ ქალიშვილობაზეც იქნება შემდეგ საუბარი.) ეს ნიშნავს, რომ მან დაიწყო სიცოცხლე. ამიტომაც აღიქვამს მკითხველი მის მონოგრაფიას როგორც შემოქმედებას, — ასე ეუბნებან ნაცნობ-მეგობრები. თუ შეხედვლობაში მივიღებთ იმ ფაქტს, რომ ის მიიკვლევს გზას სულის გაურკვეველ ლაბირინთებში, მაშინ ეს მართლაც ასე ყოფილა. შემოქმედება ხომ წინასწარ განუსაზღვრელი ფორმა-ქმნალობაა, რომელსაც ხშირად მათივე შემოქმედი გაკვირვებული უყურებს ხოლმე და განიცდის... ამაზე ნამდვილად, სრულიად გულწრფელად, მას არც უოცნებია, უბრალოდ, არც უფიქრია...

თუ სიცოცხლის აზრი თუ არის მოძრაობაა, „თავისუფალი შემოქმედება“, „თავისუფალი აქტივობის მომენტი“, „წინასწარგანსახვრული ფორმათა რღვევა“, „წინასწარგანუსაზღვრელობის მომენტის დანერგვა“, „შეშუშებლობა“, ხოლო მთელი მისი შეგნებული ცხოვრება და, დარწმუნებული ვარ, არამეგნებელიც იყო შევუება ფორმასთან, მოცემულ მდგომარეობასთან, ანუ ყოველთვის მოკლებული იყო რისკს, ანუ „ცოცხლობას“, თუ თანაგანცდაც, როგორც თვითონ ამბობს, ეუფლებოდა მხოლოდ რეტროსპექციისას, მაშინ გამოდის, რომ ის ყველა სიტუაციაში მკვლარი ყოფილა...

ასე რომ, გურამ რჩაულიშვილის ცხოვრება-შემოქმედება, ანუ გურამის პიროვნება, რომლის შესახებ თხრობამაც ჩაითრია ჩემი საკუთარი თავი, იქცა ჩემთვის ჩემი გაცოცხლების ერთადერთ გზად; ეს არის ჩემი შეუგუებლობის ერთადერთი ვარიანტი: შემოგუებლობისა საკუთარ თავთან, მშობლებთან... ჩემს გასაცოცხლებლად, ჩემი შინაგანი ცხოვრების რიტმის სიცოცხლის სამყაროში „დასახლებულ“ სიცოცხლის ერთიან დინებასთან დასაკავშირებლად თურმე საჭირო იყო ეს ჯერ ჩემი უფორმო მდგომარეობა, რომელიც, როგორც აღვნიშნე, ხშირად ჩემთვისვე გაურკვეველია — საითკენ მიდის, რა უნდა ან რა ფორმას მიიღებს. მახსენდება გურამ რჩაულიშვილის დაუმთავრებელი რომანის პირველი სიტყვები: „საიდან მოვიდვარ, საით მივიდვარ, რა მინდა...“ მახსენდება გალაკტიონი: „საით მივყავარ ჩემს მოწყენილ გზას, სად ვპოვებ შევას მიუსაფარი...“ თუმცა არ ვიქნები გულწრფელი, თუ ვიტყვი რამეს მოწყენის ან სევდის შესახებ. როგორც არასდროს ცხოვრებაში, ისე ვარ შეპყრობილი ჩემი სისხარულით; რატომღაც აბსოლუტურად არა მაქვს „მიუსაფრობის“ შეგრძნება, უპატრონობის, თითქოს პირიქითაც კი... არც სიმარტობის. გურამის კვლადკვალ შემოძლია ვთქვა მეც; მართალია, ერთადერთი საზოგადოება, რომელშიც ვტრიალებ, არის ჩემი თავი, მაგრამ აქ არც ისეთი მოწყენილობაა მეთქი. ახლა გახდა ჩემთვის გასაგები ჩემი ძმის სიტყვები „ვნების სიმძაფრის“ შესახებ და ძლივს დაკავშირე ისინი, — არა, ძლივს ვაკავშირებ მათ, და ჯერ ზუსტად არც ვიცი, რა გამოვა ამ კავშირიდან მათივე ავტორის ცხოვრების მაგისტრალურ სიუჟეტთან. უკვე ვგრძნობ, რომ ვალხვა, — არა, ნელ ნელა ლხვევა (ვაპობ, თან მეშინია) რაღაც ყინული, რაღაც სიცვიე, ეს კი სითბოს გარეშე ვერ მოხდებოდა... ისევე ლოგიკა, ისევე ლოგიკა... ე. ი. არსებობს

რადაც! და შენზეა დამოკიდებული: ის გაუვალი ერთიანი ვარსი, თურმე „აბლაბულები“, რომელშიც შენ იმყოფები, როდის გადაიწმინდება, როდის გაიხსნება, როდის გალხვება. შეიძლება ისეც მოხდეს, რომ ჯერ ყველაფერი გაქვავდეს, როგორც ჯადოსნური ზღაპრის უსიყვარულოდ დარჩენილ ქალაქში, მაგრამ აი, რას ნიშნავს ჩემი ფსიქოლოგიური ტიპის ადამიანი... დავინახე გაქვავებული ქალაქი და დანახვისთანავე გამახსენდა ისიც, რომ ყველა ზღაპარში ამ ქალაქის გაცოცხლების შანსი ყოველთვის არსებობს, ისე, როგორც თითქოს სამარადჟამოდ მიძინებულ თუ გარდაცვლილ თეთრთოვლაში, და ეს გაცოცხლების შანსი დამოკიდებულია არა ძვირად ღირებულ წამალზე, არა ფანტასტიურად გამოცდილი რეანიმატოლოგებზე, არა უძვირფასეს მანქანებზე, არამედ მხოლოდ და მხოლოდ ერთ საწყალ, დედაშობილა, შეუარაღებელ, — საკუთარ თავზე; ისეთ მარტივ რადაცაზე, როგორც არის სიყვარულით სავსე გულიდან მომდინარე გულწრფელი კოცნა, იქნებ მხოლოდ გამოხედვაც კი. მახსენდება ბავშვობის რეალური განცდა, რწმენა, რომელიც ალბათ ეუფლება ხოლმე ნებისმიერ ბავშვს: ვინც გიყვარს ძალიან-ძალიან-ძალიან, ის შეგიძლია გადაარჩინო სიკვდილს ძალიან-ძალიან-ძალიან გულში მაგრად ჩაკვრით. შეგრძნება, რომ დიდი სიყვარულის წინაშე უძღურია თვით სიკვდილიც კი... ჰოი, საოცრებაჟე!.. ერთ დროს უარყოფილი, ბავშვობისდროინდელი, გულუბრყვილო განცდა მთელი სიძლიერით ამოტივტივდა თავიდან ამ წუთას — ჭკვიან, ყველაფრის მცოდნე დიდობაში, როგორც მეორე ადამიანის სიკვდილიდან ხსნის სრულიად შესაძლებელი ვარიანტი...

მე მგონი, ახლა მკითხველისათვის გასაგები უნდა იყოს, თუ რატომაა ამ მონოგრაფიაში (როგორც ერთ-ერთმა ჩემმა მკითხველმა სამართლიანად აღნიშნა) წარმოჩენილი დიდი დოზებით მარინეს, მწერლის დის, ამ მონოგრაფი-

ის ავტორის. პიროვნება, მაშინ, როდესაც თავდაპირველად, მის კათოვითცნობიერებულ გულწრფელ სურვილს, პროგრამას, მიზანს, მეთოდს, შეგრძნებას წარმოადგენდა თხრობა ისეთი წერტილიდან, რომელიც აბსოლუტურად უარყოფდა მის პიროვნებას. (უარყოფა ძლიერი და მნიშვნელოვანი სიტყვაა; არა უარყოფდა, არამედ, საერთოდ, მისი პიროვნება არაფერ შუაში არ იქნებოდა, რადგან ამ მონოგრაფიის ავტორისათვის სხვანაირი თხრობა ყოველთვის, მთელი მისი შეგნებული ცხოვრების მანძილზე აბსოლუტურად მიუღებელი იყო!

მახსოვს, ერთხელ, გურამის დროს წაიკითხე მეუღლის მოკონებები ახლადგარდაცვლილ ჟერარ ფილიპზე შემდეგ გურამს, მახსოვს, ვუყვებოდი აღშფოთებული, რა საშინელებაა, როდესაც ადამიანი წერს სხვაზე და გაუთავებელი ლაპარაკობს თავის თავზე; გამოდის ისე, ვამტიციებდი მე, რომ ეს სხვა მხოლოდ საბაბია-მეთქი. სხვათა შორის, ისიც მახსოვს, რომ გურამმა სრულიად უპასუხოდ დატოვა ჩემი ბრტელ-ბრტყელი სიტყვები. უბრალოდ, მისმენდა ძალიან ჩუმად... იქნებ, ონეგინივით, ისიც მიიხნედა, რომ არ ღირდა ჩემი ახალგაზრდული ფიქრებისათვის შეეშალა ხელი...

მაშ ასე, ყველაფერი ამოდრავდა და აივსო მოულოდნელობით... და ახლა, თავისი ძმის და, გეგონება — მუდმივ-შხამილებული ამ უწყლო თბილისში, ბოტანიკური ბაღის წყალვარდნილიდან (რომელიც უკვე დიდი ხანია დაშრა). ახლადგამოსული გრძნობს, რომ ყველაფერი დამოკიდებულია მასზე, მხოლოდ მასზე: თუ არ მოიქცა სწორად, თუ არ ინატრა ყოველ წამს „წმიდა წყალი“, „წრფელი გული“ (როგორც ჩანს, ამავე პრობლემებით იყო შეპყრობილი ამ სიტყვების ავტორი; როდესაც ლოცვასავით აღმოხდა ერთხელ: „ცხოვრების წყაროვ, მასვ წმიდათა წყალთაგან შენთა...“), თუ არ ინატრა ამ წრფელი გულით შემდეგ; ნუ შემიყვანებ ჩვენ



განსაცდელსა, არამედ მიხსენ ჩვენ ბო-
როტისაგანო. მაშინ ღვთის მადლით
მასში მოულოდნელად დაძრული ნაკა-
დი, რომელსაც სათავე, როგორც ჩანს,
ძლივს სიცოცხლის წყაროში უნდა
ჰქონდეს, ამღვრევა ან სხვა მხარეს
გადავარდება, ან საერთოდ დაიკარგება
და ისეთ სიღრმეებში ჩაიძირება, რომ
მისი არსებობის ნიშან-წყალიც საშუ-
ადამოდ გაქრება ჰორიზონტიდან. ეს
მდგომარეობა კი მისთვის ძალიან კარ-
გად არის ცნობილი... მან იცის, რომ
მხოლოდ მასზეა ახლა დამოკიდებუ-
ლი — მის სხეულ-სულში გამოვლისას
ამ წყაროდან გამოძავალი ნაკადი „უკ-
ვდავების წყლად“ იქცევა თუ „დაიწმი-
ნდება“, როგორც H_2O , რის შემდეგაც
ჯადოსნური ჯოხის დაქნევით გაიფან-
ტება ბურუსი, გაიფანტება „ნამდვილი
სინამდვილე“ და დარჩება მხოლოდ,
პლატონისა არ იყოს, ამ სინამდვილის
ანარეკლი, მირაჟი, რომელიც ამის
შემდეგ უკვე აღიქმება როგორც ერთა-
დერთი რეალობა; თუ მოვა დრო და მა-
სში, როგორც ჰანს კასტორფში, მოხ-
დება თავისებური ცვლილება და ერთი
მშვენიერი, უბრალო დღე იქცევა დღე
სასწაულად... ნეტა ნიშნავს რაიმეს
„სიცოცხლის წყაროს“ მიკვლევა?...
საინტერესოა, სიტყვისიტყვით რას გუ-
ლისხმობს სიტყვები „ლიტურგიული
ცნობიერება“... „ექსპატოლოგიური
დრო“... ტელელოგიური დასასრუ-
ლი“...

მაშ ასე, ჩემი დღევანდელი მდგომარეობა, ჩემი ყოფა, ჩემი ფიქრი, ჩემი აზრი განუყოფლად, მთლიანად ეკუთვნის ჩემს ძმას, მისი ცხოვრებისა და შემოქმედების გაანალიზებას, ყოველ შემთხვევაში, ესწრაფვის, რომ ეკუთვნოდეს მხოლოდ მას. ესწრაფვის, რომ გაირიყოს, განმარტოვდეს და ჩაიძიროს ამ საიდუმლოებით მოცულ ცხოვრებაში, რომლის გააზრება, გაგება, განცდა მიმანჩნია ჩემს ყოველდღიურ საქმედ, უპირველეს მოვალეობად.

თითქოს პარადოქსია, მაგრამ აღმოჩნდა, რომ რაც უფრო ვუახლოვდები

ჩემი ინტერესის ერთადერთ ობიექტს, რაც უფრო და უფრო შევდივარ მის ამოუცნობ სიღრმეებში, უფრო და უფრო ვბრუნდები სხვისაკენ, უფრო და უფრო ვუახლოვდები სხვას, თუნდაც ჩემს საკუთარ თავს; გზა მეხსენება ამ სხვების — ჩემი ცხოვრებისაკენ, სიღრმისეული შრეებისაკენ, იმ შრეებისა, რომლებიც, შესაძლებელია, თვითონ ჩვენთვისვე (ყოველ შემთხვევაში, ჩემთვის მაინც ასეა) ჯერ მთლიანად ამოტივტივებული არც იყოს, თუნდაც ის, რომ, ჩემი ძმის ცხოვრებაში ჩადრმავებული, ვითომ განმარტოებას გამოიკიდებული, მისი ცხოვრების მიღევანას. აღქმას ვედილობ ხმამაღლა, სხვასთან ერთად, საქვეყნოდ, მთელი შეგარძნებით, რომ ეს სხვა, მკითხველი, აუცილებელია იყოს თანამონაწილე, მსმენელი, მოქმედი პირი ამ ჩემი, გამოდის რომ. ხალხით სავე, განმარტოებული, ხმამაღალი — ჩემი ცხოვრებაფიქრისა... ჩემი ათვლის წერტილი აღმონჩნდა ისეთი, საიდანაც გამოლიანდა, გაერთიანდა თუნდაც მხოლოდ ჩემი ცხოვრების აბსოლუტურად განსხვავებული პერიოდები, სხვადასხვა მდგომარეობა, სხვადასხვა საქმე; ასევე გაერთიანდნენ და დაკავშირდნენ ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებული ადამიანები, რომელთა ცხოვრების სიღრმისეული დინებებისაკენ უკვე გამინათა გზა ჩემი ძმის პიროვნებიდან მომავალმა შუქმა. ყველაფერი, რაც ხვდება ამ შუქში, ჩემთვის იძენს სიცოცხლის ძალას. გინდაც ის ნაწარმოების გმირი, ან ფიზიკურად უკვე ჩვენთან აღარ მყოფი პიროვნება იყოს. ყველაფერი მთლიანდება, ერთიანდება, ყველაფერს ეძლევა აზრი, რასაც, სიმართლე რომ ვთქვათ, მშრალი, მშვიდი გონებით ვერც წარმოვიდგენდი... თითქოსდა მართლაც კენჭების შეგროვების დრო დგება ჩემთვის.

მთხრობელის უფლებით ვიტყვი მხოლოდ ჩემს შესახებ... უფლებით იმ ადამიანისა, რომელიც არ არის შუქში, მაგრამ რომელიც მისწრაფვის მისკენ

და არ გამორიცხავს იმას, რომ შესაძლებელია უცერად შეჩერდეს შუა გზაში და ვერც მიაღწიოს იქამდე, გადაეკეტოს ყველაფერი ისე მაგრად, რომ... უცერად გაეღიმოს, მერე გაეცინოს „გულიანად“, მერე დაცინვით, მერე ირონიით გააქან-გამოაქანოს თავი, თითქოს რაღაცისაგან გამოფხიზლებას აპირებსო, თითქოს ბურანიდან უნდა გამოვლადო და შემდეგ სრულიად მოულოდნელად გულწრფელად, მარტოვად, გულბრყვილოდ, ყოველგვარი ეჭვისა და შიშის გარეშე ამაყად თქვას: „რეებს ვბოდავდი ნეტავ... რა სულელი ვიყავი მაშინ... პირდაპირ მრცხვენია, რომ მაგონდება...“ მერე იცინოს და იცინოს, მერე იქცეს ნიღბად — ნეტარი, კმაყოფილი, ამაყი, გადარჩენილი კაცის დიმილიან ნიღბად და შემდეგ უდრტივნულად გაჰყვეს ცხოვრების ტალღებს... მაშ ასე, ვიტყვი მხოლოდ ჩემს შესახებ... დღევანდელი დღის თვალსაწიერიდან ვხვდები, რომ თურმე არც ის ჩემი ლიტერატურული შრომა იყო ფუჭი ან ამაო, ან უნაყოფო... ყველაფერს, ალბათ, მართლაც თავისი მნიშვნელობა აქვს... გურამისა არ იყოს: „არაფერი არაფრისათვის არა ხდება“ და ისევ ის, რომ ყველას თავისი გზა აქვს — რომ ყველა გზა გამართლებულია, თუ მას საკუთარ სიღრმეებთან აქვს კავშირი, ან თუ არა აქვს, ყოველ შემთხვევაში, ცდილობს მაინც, რომ დაამყაროს, გინდაც ეს ერთი შეხედვით დაფარული იყოს თვითონ მისთვისვე... შეიძლება სწორედ ამ ფუჭმა და ამაო შრომამ დატოვა თავისი კვალი ჩემში... ზოგს ყველაფერი ეხსნება უცებ. თუმცა მეც ასე მეგონა თავდაპირველად, უცებ გამეხსნა-მეთქი აზრი და არც გამხსენებია, რა ხანგრძლივი ცხოვრება უძლოდა ყველაფერ ამას წინ... უძლოდა ხანგრძლივი შრომა, რომელიც ყოველ ცალკეულ შემთხვევაში, დამთავრებისას, სრულიად უნაყოფო მეგონა ხოლმე... წინ უძლოდა შრომა, როსტომაც დამაჩნია ტექსტში

კირკიტს, ტექსტზე მუშაობას, თავისი გადაწერა-გადმოწერებით, სიტყვაზე დაფიქრებებით. ცხოვრების ამ პერიოდმა გამიჩინა ფორმის ყველა ელემენტისადმი პატივისცემის გრძნობა და მისი მნიშვნელოვნების შეგრძნება; მიმახვედრა რომ მხატვრულ შემოქმედებაში წერტილმძიმესაც კი შეიძლება ფუნქციონალური დანიშნულება ჰქონდეს; შემაჩვია იმ ფაქტს, რომ ფორმის ყველა ელემენტი, თუმცა ის უცვლელად არსებობს, ადამიანს ყოველთვის ან თითქმის ყოველთვის შთაგონებით ეხსნება. რომ ასეთ მომენტებს დადარაჯება უნდა, რომ არ მგონებოდა — თითქოს ერთი წაკითხვით, ისედაც, ყველაფერი შეიძლება ნათელი ყოფილიყო... ალბათ, ამ პერიოდის ბრალი იყო, რომ „იულონის“ ასგვერდიანი ტექსტი ძალიან ბევრჯერ გადავბეჭდე, გადავაბეჭვდინე და მხოლოდ დიდი ხნის შემდეგ აღვიქვი აღექვატურად თუნდაც მისი გრაფიკული სახე, რომელიც თურმე გარკვეულ შინაარს გამოხატავდა. ჩემი ძმის მოთხრობების მომავალ გამოცემებში აღდგენილი იქნება მოთხრობა „ნადირობის“ უცნაური პუნქტუაცია, რაც, ერთხელ მიხვედრის შემდეგ, უკვე მიკვირს კიდევ, თავიდანვე რომ ვერ შევნიშნე, — იმდენად აშკარაა მისი უშუალო კავშირი სათაურთან. ამ ჩემი წინა პერიოდის ბრალი იყო ისევ, რომ როდესაც, გურამ რჩეულიშვილის არქივზე მუშაობისას, ჩემთვისაც უცნობ ნაწარმოებს, „ძაგანას“ მივადექი (უფრო სწორად, წაუკითხავ ნაწარმოებს, რადგან თავის დროზე, გურამის სიცოცხლეში, მხოლოდ პირველ გვერდს შევაკლე თვალი და სასწრაფოდ გავანებე თავი) და როდესაც სრულიად ვერაფერი გავიგე, ნაწარმოებს კი არ დავაბრალებ ეს, არამედ ჩემს თავს. დავწყე თავიდან, ჩავედი ბოლომდე და არა ერთხელ, დაუზარებლად, სიტყვა-სიტყვით მივეყვი ტექსტს, თითოეულ სიტყვას, ფრაზას, წინადადებას. ვგრძნობდი, რომ რაღაც საიდუმლო

იყო მასში ჩადებული, თითქოს შიფრი, რომელიც არა და არ მეხსნებოდა, ვერა და ვერ აღმოვაჩინე, ვერა და ვერ მივაგენი მის გასაღებს... მაღლობა ღმერთს, რომ იმას მაინც ვერძნობდი, ეს უბრალო ზედაპირი კი არ იყო, ჩემთვის იყო მხოლოდ დახურული იმ ქამს... შეიძლება, უბრალოდ, ჯერ არ იყო მოსული მისი გაგების დრო. შეიძლება სულაც ან საერთოდაც არ ვიყავი მისი გაგების ღირსი. კარგა ხანს ვფიქრობდი და ვფიქრობდი, თან გაუთავებლივ, დაუღალავად ვუკირკიტებდი და ვუკირკიტებდი ერთსა და იგივეს... და აი, უეცრად, მაშინ, როდესაც, როგორც სკოლის მოსწავლე, ერთგულად ვიწერდი იეროგლიფებს სულ თავიდან და თავიდან და არა ერთი და ერთი რვეული მქონდა უკვე ამ შრიფტით სავსე, სრულიად მოულოდნელად გადავაწყდი „უშინშენელო“, „არაფრის-მთქმელ“, „არაფრადღირებულ“ და „არაფრადღოსანიშნ“ ერთ დეტალს, რომელიც ტექსტში ერთ პატარა მონაკვეთზე რატომღაც რამდენჯერმე გამოერდა სრულიად უმიზეზოდ. და შექნერდი... შექნერდი... შექნერდი... და უეცრად თითქოს სადღაც რაღაც გაიხსნა, გადავიხედე ზედაპირს იქით და დავინახე გაურკვეველი სიღრმე; შორს, იმ სიღრმეში, ბჟუტავდა მკრთალი შუქი, რომელმაც გამინათა ძალიან, ძალიან, ძალიან ვიწრო, ძლივს დასანახი, ერთი შეხედვით თითქოს არც არსებული ბილიკი, მისკენ სავალი და — შუა გზაში — ის, რაც თავდაპირველად სუსტად აბჟუტდა, აკაფდა და იმ სიღრმისეული, უკვე აკაფებული წერტილიდან ყველა მიმართულებით გატყორცნილი მარაოსებური სხივებით დაისერა. დაიშალა, დანაწევრდა მთელი ნაწარმოები, მერე ათამაშდა ამ შუქით განათებული და ძალიან მალე ყველაფერი აივსო და შეიკრა ერთ აზრად, უკვე ფორმა-შინაარსის ერთიანობაში. წაიშალა ზღვარი — როგორც ჯადოსნურ ზღაპარში — ზედაპირსა და სიღრმეს შორის, ფორმა იქცა შინაარსად,

შინაარსი ფორმად და გასაკვირად მარტივი გახდა აზრი... უეცრად გამახსენდა ორი პატარა გოგონა, კა და კო, გურამის ამავე სახელწოდების პიესიდან, რომელთაც საშინლად ეშინოდათ ზედაპირის, იმიტომ, რომ ზედავდნენ მხოლოდ მას ამ ზედაპირს, და გამახსენდა ისიც თუ როგორ გადააღახვინა სიყვარულმა მათ ეს შიში, როგორ ჩაახუტა ისინი ერთმანეთს და როგორ ჩაღვა ეს ერთი შეხედვით გადაულახავი ბარიერი — ზედაპირი — სიყვარულის სამსახურში. შეიძლება ეს გაბრუნებული ლიტერატურული „მოღვაწეობა“ იმისთვისაც იყო საჭირო, რომ ამ შრომაში გართულს მიმეღწია რაღაც ასაკისათვის, რომ შევილობიდან გადაუსულიყავი მეუღლეობასა და დედობაზე, ბებიობაზე, რომ გადავსულიყავი ისეთ ფორმებში, რომლებშიც ძალიან ადვილია იმის შეგრძნება, რომ შენ შეიძლება იყო სხვა...

ასე რომ, ეს ჩემი კირკიტა, ეს ჩემი გარეთ მიმართული შრომა, გამსჭვალული ობიექტურობის პათოსით, რომელშიც, მაშინდელი ჩემი გაგებით, აბსოლუტურად გამოირიცხებოდა სუბიექტი, ღირიკა ანუ ჩემი თავი, ჩემი პრაქტიკული საქმიანობა — სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულების დროს სოციალურად უფრო მაღალ საფეხურზე ასასვლელად დისერტაციების დაცვა, სრულიად მოულოდნელად გამოდგა ძალიან, ძალიან, ძალიან გრძელი, ძალიან მოსაწყენი გზა სულიერი ცხოვრების რაღაც ეტაპის დასამლევად. ის ჩემი შრომა, რომელიც ამაო, ფუჭი მეგონა, რადგან ფაქტობრივად იყო აბსოლუტურად უნაყოფო, სრული უაზრობა, დროის კარგვა და თითქოს რისთვის იყო საჭირო, — საჭირო ყოფილა... აი, აღმოჩენა. აი, რატომ არის ყველა პრაქტიკული ცხოვრებისეული ნაბიჯი ყურადსაღები... ყველაფერი ტოვებს წარუშლელ კვალს ადამიანში, მართლაც: „არაფერი არაფრისთვის არა ხდება“.

ახლა შემიძლია თავიდან დავებრუნ-

დე ჩემი ძმის ჩანაწერს „ამბის“ შესახებ, რომელმაც გამოიწვია ჩემი მთელი ამ ფიქრების წყება:

„სანამ ამბავი სიკვდილი არ შემოდის უნდა ვწერო მასზე, როცა გამოილევა თავს მოვიკლავ ალბათ.“

ეს იქნება ერთადერთი ამბავი, თანაც ყველაზე ღირსშესანიშნავი ჩემს ცხოვრებაში, რაზეც ვერ დაწერ...“

ამუჟამად ყურადღება მინდა გავამახვილო ორ მომენტზე:

ერთი — რომ გურამის მიერ ერთ „ღირსშესანიშნავ ამბად“ ცხოვრებაში ჩათვლილია სიკვდილ-სიცოცხლის ზღვრის გადალახვა.

და მეორე — რომ ეს ერთადერთი „ღირსშესანიშნავი ამბავი“, ანუ ამბავი სიკვდილ-სიცოცხლის ზღვრის გადალახვის შესახებ, შეიძლება დარჩეს ცხოვრებაში ღვთის ანაბარა, დაუწერლად... საოცრად გამჭვირვალე ხდება ახლა ჩემთვის ბლეიკის სიტყვები ხელოვანის შესახებ, რომელსაც შესწევს უნარი უკვდავება დაინახოს ყვავილის სუსტ ფოთოლში: to see eteznity in a flower. რაც ნიშნავს, რომ შემოქმედი ყველა წერტილს აღიქვამს როგორც სიკვდილ-სიცოცხლის ზღვრის გადალახვას. ხელოვანი უკვდავებას ხედავს ყველა წერტილში იმიტომ, რომ ის ყოველ წერტილში არსებობს... შემოქმედება, ხელოვნება არის დაუწერელი და წერილი ამბავი, არის ფაქტი ამ ზღვრის არსებობისა და მისი გადალახვის შესახებ... მაგრამ შეიძლება მოხდეს ისეც, რომ საჭირო გახდეს სიკვდილ-სიცოცხლის ზღვრის გადალახვი აღწერა. შესაძლებელია, სხვა ვინმე დაევალოს ამ ზღვრის არსებობისა და მისი გადალახვის ცალკეული შემთხვევის აღწერა, როგორც დამკველა მე... თუმცა ჩანაწერში ამის შესახებ არაფერია ნათქვამი... „პოეტები წერენ ყველაფერზე, დაწყებული მეფეებიდან კომბოსტომდე გათავებული, მაგრამ ვიღაცამ ხომ უნდა დაწეროს მათზე, ვინ? საიტერესოა, კომბოსტომ თუ მეფემ?“ (მწერლის დღიურიდან),

დამკველა მე იმიტომ, რომ რომელიც გურამმა დაინახა და რომლითაც ის თანდათანობით აივსო და რის გამოც, როგორც ჩანს, მან საერთოდ დაიწყო წერა, რათა სხვებისათვისაც ეთქვა „რა კარგია უხორცოდ, უხორცოდ ცხოვრება“ (გურამი ერლომ ახვლედიანის შესახებ), თვითონ გურამმა თავის სიცოცხლეში ვერ მიიტანა ხალხადე. ეს აბსოლუტურად შეუძლებელი შეიქნა. არადა, მას უთქვამს, უწერია კიდეც ამის შესახებ, — რომ არ შეუძლია დაწეროს რაღაც და გადადოს გვერდზე, თუნდაც ისე, როგორც ერლომმა: მე იმიტომ ვწერ, რომ ის მაშინვე წაიკითხონო. მაგრამ მოხდა ისე, რომ ამ სინათლეზე, გურამის სიცოცხლეში, ისეთი ფარდები იქნა ჩამოფარებული, საიდანაც არათუ სხივი, არამედ მისი არსებობაც კი არ იგრძნობოდა. ეს სინათლე, უბრალოდ, უგულვებელყოფილი იყო...

ასე რომ, დაუწერელი, ცხოვრებაში რეალურად მომხდარი ამბის თხრობისას ჩემზე ნაკლებად და მოკიდებული, სიტყვა „მკითხველს“ ვიხმარ თუ არა. რადგან, როგორც ეტყობა, ეს უშუალო მიმართვა მკითხველისადმი, მკითხველთან უშუალო კავშირი, მოსათხრობი ამბის სიუჟეტშია თვითონ ჩადებული... და არაეინ იცის გურამ რჩეულიშვილის ცხოვრების როგორი სიუჟეტი აიგებოდა, მას რომ საშუალება ჰქონოდა და თავის დროზე თვითონვე დაემყარებინა მკითხველთან უშუალო, პირდაპირი კავშირი... თუმცა მაშინ ვერ გაივლიდა თავისი ცხოვრების გზას და სხვა იქნებოდა (გურამის ნაწარმოებთა მკითხველებს შევახსენებ, რომ მის სიცოცხლეში დაბეჭდილი იყო მხოლოდ შვიდი მოთხრობა. „ალავერდობა“ და „ირინა და მე“ კი გავრის კოსკებმა 1960 წლის 23 აგვისტოს მიიღეს.

თითქოს უფრო და უფრო გასაკები ხდება ჩემთვის, რომ ამ ამბის თხრობისას მნიშვნელობა არა აქვს, რა მგონია სწორი, ჯერ რა უნდა ვთქვა და როგორ უნდა ვთქვა, როგორ, საიდან და-

ვიწყებ თხრობას, ჯერ რას გავიხსენებ და მერე რას. გინდაც თავდაყირა დააყენე ყველაფერი, აურიე, დაურიე... მაინც ჩადგება თავის რიგში, თითქოს ჯადოსნურ ყუთში ჩალაგდება ყველაფერი, შენგან ჩაურევლად, ერთმანეთის მიყოლებით...

ამ საკითხებზე მსჯელობას ვამთავრებ ახლა, რადგან ვგრძნობ, რომ მეტს ვერაფერს მივუმატებ სათქმელს. მინდა მხოლოდ ისევე ჩემთვის დავაზუსტო: თუ სიცოცხლე ქმდებაა, მოძრაობაა, მაშინ სიკვდილი უნდა იყოს უმოქმედება. უძრაობა, ანუ არარა... ახლა უკვე დარწმუნებული ვარ, რომ სიკვდილი

ჩემი ძმისათვის შეიძლება მნიშვნელოვანი გამხდარიყო მხოლოდ მაშინ, თუ ის სიცოცხლის უნარს შეიძენდა, რადგან გურამისათვის ყველაფერი „იყო“ და არა „არ იყო“.

სიკვდილი... სიცოცხლე... ადამიანი იმიტომ არ შექმნა ღმერთმა თავის ხატად და მსგავსად, რომ მერე გაქრეს როგორც ჩრჩილის პეპელა (თუმცა ქრება კი ეს პეპელა?). სიკვდილი, სიკვდილისათვის მზადება... მისი არჩევა... მისი ამბად ქცევა... ან, რას ნიშნავს სიტყვები: „სიკვდილითა სიკვდილისა დამთრგუნველი...“ ჯერ არ ვიცი... ჯერ ყველაფერი კიდევ წინ არის... უნახოთ...

გაგრძელება იქნება



ბალათერ არაბული

მუსო

მიხეილ დაიურს

გადაიარეს მთებზე ქარებმა
და დააფეთეს მძინარე ღამე,
სად აკლდამების დგას მღუმარება
და აწევს სევდა ღამის აკლდამებს...

დაშვებულია ძირს ნისლის კალთა,
თვალი კრთის ბნელში ეშმა-უფერის
და მუსო მოჩანს ცის გასაყართან
ამაღლებული, როგორც ღრუბელი...



იქ, სად ნისლი ფრიალებს მთებზე
ჩამოქენძილი,
მინდვრებს აღარ ანათებს
მწვანე ალი ჯეჯილის..

ირგელივ აღარც სახლები,
აღარც ის მეზობლები,

და თავზე გვადგას სივრცე მაღალი,
ავსებს ღუმილი ზეციურ თაღებს,
მხოლოდ არღუნი,
როგორც არღანი,
ამ დაზავსებულ სიჩუმეს ამღვრევს...

გადაიარეს მთებზე ქარებმა
და დააფეთეს მძინარე ღამე,
სად აკლდამების დგას მღუმარება
და აწევს სევდა ღამის აკლდამებს...

ჩიტსაც მოუწყენია, უცხო მხრიდან
მოფრენილს...

და დროს ჩამოუხსნია
ფარდაგების ფარდები,
უკვე აბჯარაყრილინი ჩვენც სიბერეს
ვბარდებით...

სკანეთში

ჭრიჭინების კრუალში
ღება ღამე მუაშის,
მთვარეც ისევ შრიალებს
მწვერვალების შუაში...

სადღაც მიაქვს ცხენისწყალს,
რაც დასდინდა ცრემლი ცას,
მოცელილი მინდორიც
ღამის ციდან ელის ცვარს...

აღარც ის მოფერება,
აღარც მწვანე ფერები,
შემოდგომას ეფარვის
სევდა ბედნიერების...

ჭრიჭინების კრუალში
ღება ღამე მუაშის,
მთვარეც ისევ შრიალებს
მწვერვალების შუაში...

შადრეკანი

ო, შადრეკანი, რას შეგადარო,
შენ, სევდიანი ბაღების მკვიდრო,
ოდეს ციური გერქვა ავდარი,
უკვე წასულა ის ჟამი, ის დრო...

ღღეს კი გედვიით ყელაწეული
და მოწკრიალე, როგორც ეჭვანი,
დგახარ და მზეზე გითრთის სხეული,
სავსე წუხილით და კაეშანით...

კახეთი

„გახედე, კახეთი...“

გალაკტიონი

გახედე,
 როგორ ყვავის კახეთი,
 როგორც სამოთხე
 ღმერთის ნახატი...
 ჩვენ რომ ზეციურ შუქად ვსახავდით,
 იღევა თოვლი — თეთრი სახადი;

ვით სალოცავი, ანდა სახატე
 მოჩანს ალაზნის გადასახელი...

...
 საღ მზის სხივებმა ქარი გახედნეს,
 გახედე,
 როგორ ყვავის კახეთი...

ღაბრუნება სპსსურეთში

თოვლის ცრემლებით
 ტიროდა მარტი,
 გაბეზრებული ქარებით ცივით
 და ღრუბელივით დაბინდულ შატილს
 კოშკებში ეჯდა ვარსკვლავთა სხივი...

ჩვენ კი ვიდექით, ვით შორეული
 და შეუცნობი ღროის მგზავრები,

მონუსხულები მისი სხეულით
 და დარეკილი მწუხრის ზარებით...

ჩვენი ცხოვრებით, იმედით, დარდით
 იმ კოშკებისთვის ვიყავით უცხო;
 თოვლის ცრემლებით
 ტიროდა მარტი
 და მთვარესავით ელავდა მუცო...



ზაზა თვარამე

მოსწრობები

მოხატიალა

მე და ჩემი მამიდაშვილი მცირე წვეულეებიდან ვბრუნდებოდით. იქ სულ რამდენიმე კაცი იყო — ჩემი ყოფილი ჯგუფელის ოჯახში. დასალევიც ცოტა გვექონდა, მაგრამ მაინც გვიან გამოვედით. ორის ნახევარი იქნებოდა, ფეხით დაუწყევით მომცრო ქუჩას და მეცხრე საავადმყოფოსთან გამოვედით. აქ იწყებოდა ჩვენი მოგზაურობა. აქედან საბურთალოზე მისასვლელად ორი გზა გვექონდა: ერთი, უფრო შორი და უფრო ბნელი — ვაკე-საბურთალოს გადასასვლელის გავლით, გაჭრილ კლდეებს შორის, მერე კი მარჯვნივ, ვაჟა-ფშაველას გამზირის დასაწყისისკენ, არქეთან, სადაც იმ დროს მე ვცხოვრობდი; მეორე — იმავე პუნქტამდე მიმავალი, უფრო მოკლე და შედარებით უფრო განათებული — ეს იყო გზა ვარაზის ხევზე, ზოოპარკის გასწვრივ, გმირთა მოედნამდე, მერე კი — მარცხნივ, კოსტავასა და გამსახურდიას ქუჩების გავლით, ვაჟა-ფშაველას დასაწყისამდე, სადაც, როგორც ვთქვი, იმ დროს მე ვცხოვრობდი.

ეს ორი გზა რკალში აქცევდა უზარმაზარ ტერიტორიას, რომლის ერთ კიდეში იდგა მეცხრე საავადმყოფო, მის დიაგონალურად — არქეთან მდებარე ჩემი სახლი, მარცხენა კიდეში — იპოდრომი, მარჯვნივ — ზოოპარკი, და ცენტრში კი — ჩაბნელებული იყალთოს გორა. ამ ვრცელი ტერიტორიის გარშემო განლაგებული იყო ვაკისა და საბურთა-

ლოს სასაფლაოები, ქალაქის ცენტრალური უბნები, იქით, ჩვენს მოპირდაპირე მხარეს — სპორტის სასახლის პლატო, მის ქვემოთ — შტკვარი და დიდუბე; უფრო შორს — რკინიგზის სადგური, ნაძალადევი, ლოტიანისა და მახათას გორები — მთელი ეს უზარმაზარი, მკვდრებითა და ცოცხლებით დასახლებული მასივები ახლა წყვედიან დაეფარა. წყვედიან იყო ჩაფლული აგრეთვე ნახსენები ტერიტორიის ირგვლივ მდებარე სოფლები: გლდანი, დიღომი, წყლულეთი, ბაგები, წავეკისი, ოქროყანა, ტაბახმელა, შინდისი, ლილო, მარაბდა...

სადღაც შორს, თითქოს ნისლში, მატარებელმა დაიკვილა. ეს კვილი იყო ჩემი, მოკლე და წყვეტილი, და თითქოს მოდიოდა შორეული წარსულიდან. მე და ჩემი მამიდაშვილი გამოვედით მეცხრე საავადმყოფოს პირდაპირ, ჭაკჭაკადის გამზირზე, და მარჯვნივ გავემართეთ. აქ იდგა ღამის შუქნიშანი, თავისი უმიზნო და უსაზმნო უძრავი გარდასახვებით. მისი დიდი, ყვითლად მოხამხამე თვალი რაღაც იდეალური ხიფათის მოახლოებას ამცნობდა მანქანებს. მაგრამ ამჟამად გამზირზე მანქანები სულაც არ ჩანდა — მთელი ჭაკჭაკადის გამზირი, ალბათ თავიდან ბოლომდე, იყო სრულიად ბრტყელი და ცარიელი. იდგნენ მხოლოდ ბოძები, ხეები, და ჰაერში მათეულები იყო გაბმული.

ჩვენ ჩაუვარეთ ბოსტნეულის მაღაზი-

ას, რომლის ბნელად მოციმციმე ვიტრინში რაღაც ხელსაწყო მონოტონურად ზუღოდა. უკან მოვიტოვეთ გასტრონომი, და იქ, მიწისქვეშა გადასასვლელთან, კუთხეში, ჩვენს წინ ორი ახალგაზრდა გაჩნდა...

მე და ჩემი მამიდაშვილი სწრაფი ნაბიჯით მივიდიოდა. წინ კარგა გრძელი გზა გვედო. იგი მარჯვენა მხრიდან მომდევნა და ცდილობდა გაემეთრებინა ჩემი ყოველი მოძრაობა. იგი ჩემზე უმცროსი იყო და მიყურებდა როგორც დიდსა და ჭკვიანს. ადრე ხშირად მოდიოდა ხოლმე ჩემთან და მეკითხებოდა რაღაც ამოუცნობ, საადუმლო და უპასუხო საკითხებს. მე გაოგნებული ვუყურებდი და არ ვიცოდი რა მეპასუხა, რადგან ამ საკითხებზე პასუხი არ არის. ყოველ შემთხვევაში, არ იყო მაშინ ჩემთან, ჩემი გულისა და გეამის ფსკერებზე. ჩემი ცნობიერების წიაღში, სისხლძარღვების ბლანტსა და უცნაურ ხლართში. ჩემი მამიდაშვილი შემომყურებდა ხოლმე თავისი მშვიდი და ნათელი თვალებით, და მორჩილი იმედით ელოდა ჩემგან პასუხს, რადგან დარწმუნებული იყო, რომ ის, რაზედაც პასუხი არ ჰქონდა მას, აუცილებლად უნდა მცოდნოდა მე, მასზე უფროსსა და გამოცდილს, რომელიც, ამავე დროს, მისი სისხლი და ხორცი ვიყავი. იგი ელოდებოდა, მე ვერ ვპასუხობდი და ვიწყებდი ლაპარაკს სადღაც, ზოგადად სფეროში, დასმული საკითხის სიახლოვეს, — ისე, როგორც წიგნებში წერია. ან სულაც არაფერს ვამბობდი, მხოლოდ გაოგნებული ვიჩეჩავდი მხრებს. ამ დროს ჩემი საბრალო მამიდაშვილის თვალებში ჩნდებოდა რაღაც შორეული, გადაულახავი ტანჯვა და ადამიანური ცნობიერი წყურვილის ვერდამყოფილების შიში, და ეს ორი გრძნობა მის არსებაში წარმოაჩენდა რაღაც ცხოველურს, უფრო სწორად — მწერისებურს.

ღამის ქუჩაში სადღაც ძაღლებმა დაიწყეს. რესტორან „მწვანე ველთან“, მიწისქვეშა ჩასასვლელის სიახლოვეს, ორი ახალგაზრდა გამოჩნდა. ისინი ჩვენკენ გამოემართნენ და წინ გადაგვიდგნენ.

„აღბათ სიგარეტი თუ უნდათ“, — გავიფიქრე. სიგარეტი ჯიბეში მდებოდა. შეეჩერდი. შეჩერდა ჩემი მამიდაშვილიც, რომელიც ჩემს მხარდამხარ მოდიოდა ჩემი და მოყვარული ერთგულებით და შინაგანი თავდაჯერებით ჩემს მიმართ. უცნობი ახალგაზრდები ჩემზე დაბლები და ჯმუხები იყვნენ. საერთოდ, ამ ოთხ კაცში ყველაზე მაღალი მე ვიყავი და ახლა, როცა ერთმანეთის გვერდით აღმოვჩნდი, ვიგრძენი უცნაური უწონადობა და მიწიდან მოწყვეტილობა. ერთ-ერთმა ახალგაზრდამ, რომელსაც მუქი ყბები და წინწამოწეული წარბები ჰქონდა, თამამი კმაყოფილებით გვითხრა:

— აბა, ბიჭებო, ამოლაგეთ ყველაფერი, რაც ჯიბეში გაქვთ და მოგვეცით! — ამას ამბობდა უზრუნველი, თავდაჯერებული სახით, ოდნავი იუმორის ელფერით. თანაც, არც მას და არც მის ამხანაგს ხელში არაფერი ეჭირათ, მხოლოდ ეგ არის, ერთ-ერთ მათგანს ცალი ხელი ჯიბეში ეყო — შესაძლოა, იარაღი იქ ჰქონოდა.

მე განცვიფრებულმა შევხედე.

ადრეც ხშირად მიფიქრია, რომ ამ არეულ დროში შეიძლება ვინმემ გაგმარცვოს. ჩვენს დროში ადარ ერიდებიან არც ქალს და არც კაცს, არც ბავშვს, არც მოხუცს, არც ახალგაზრდას. ყველას განურჩევლად ძარცვავენ — ეს ჩვენი ხალხის ცხოვრების წესად იქცა. და მეც ბევრჯერ მიფიქრია, როცა ჩაბნელებული ქუჩებით შინისკენ მივიდიოდი, რომ შესაძლოა ოდესმე მეც მოვხვედრილიყავი ამგვარ სიტუაციაში. ასეთი შემთხვევისათვის ფიქრში გამზადებული მქონდა რამდენიმე შესაძლო პასუხი. თუმცა ისიც კარგად მესმოდა, რომ ასეთი პასუხები არ არსებობს — გასაძარცვავი გაიძარცვება, ხოლო თუ არა, — შუბლში ტყვიას მიიღებს.

მაგრამ ახლა, ამ შემთხვევაში, ჩვენ საქმე გვქონდა სავსებით უცნაურ, იშვიათ მოვლენასთან — ღამის ორის ნახევარზე ქუჩაში მდგარი ორი ახალგაზრდა კაცი გაძარცვას უპირებდა ღამის ორის ნახევარზე იმავე ქუჩაში მიმავალ ორ

ახალგაზრდა კაცს — ასეთი იყო ამ ამბის გარეგნული მახასიათებლები. საოცარი ის იყო — რა იცოდნენ, რომ ჩვენც არ გვედო ვიბეში იარაღი? რომ იქით არ გაუძარცვავდით? ეს მართლაც საოცარი, გაუგებარი და იღუმალებით მოსილი შემთხვევა ჩანდა — ღამის უსულო მღუმარებაში ჩაფლული ოთხი ცოცხალი კაცი. ჰმ!.. მე გამეცინა.

— საქმე ის არის, ჩემო კეთილო ძმებო, — მიუვუგე თამამად, — საქმე ის არის, ჩემო კეთილო ძმებო, რომ ჩვენ ჯიბეში არაფერი არ გვიდევს. სრულიად არაფერი, — ვუთხარი და ფერღელზე დავიკარი ხელი, თან გავიფიქრე: „იმედია, ტანსაცმელს არ მოგვთხოვენ!“ მათ მიმართ შიში ან სიძულვილი არ მიგრძენია. მხოლოდ ვიგრძენი ერთი რამ — კარგი იქნებოდა, მუშტის დარტყმით ძირს გამეგორებინა ეს არამზადა. მაგრამ დარწმუნებული ვიყავი — ასეთ შემთხვევაში ტყვიით, ან დანებით სიკვდილი გველოდა.

მე შუბლგახსნით და პირდაპირ შევაცქარდი თვალებში მომხდურს. ეს სიტყვებიც, რითაც მას ვუპასუხე, სრულიად დაუფიქრებლად და ალაღად აღმომხდა და ახლა დარწმუნებული ვიყავი, რომ ინციდენტი ამოიწურა: ჩვენ ფული გვთხოვეს. ფული არ აღმოგვჩნდა. სხვა რაღაა სალაპარაკო — ჩვენ ჩვენი გზით, თქვენ თქვენი გზით! წადი, ძმაო, კარგად იყავი!..

ასე ჩაუვლი ალბათ ქუჩაში მათხოვარს — იგი ფულს გთხოვს. შენ ფული არა გაქვს. იგი გიხსნის, რომ თვითმფრინაეის ბილეთი დაეკარგა და სამშობლოში დაბრუნების სხვა არავითარი შანსი არ გააჩნია. გაფრენით კი ვერ გაფრინდება უცნობ ადამიანთა დახმარების გარეშე. იგი ტირის და გაჩვენებს რაღაც კუპონებს, რომლებიც მისთვის სხვა, უცნობ მოყვასთ მიუციათ. მაგრამ შენ, სამწუხაროდ, ჯიბეში გროშიც არ გიდევეს. იცი, რომ ეს ადამიანი მატყუარაა, რომ შეგროვილი ფულით ბილეთს კი არ იყიდის, არამედ წავა და დათვრება, რომ არსადაც არ მიფრინავს, გარდა ალკოჰო-

ლის მძიმე და ნისლოვანი ღრუბლებისა. მაგრამ, ამის მიუხედავად, მაინც ნანობ, რომ ფული არა გაქვს. თან რატომღაც გიხარია — ეს რაღაც უცნაური უპასუხისმგებლობისა და განმზოლოებული არსებობის განცდაა: ფული არა გაქვს, სრულიად თავისუფალი ხარ და არავის სჭირდება. და შენც, ამ მათხოვარით შეგიძლია ითხოვო რაღაც, რაც სადმე გაფრენის საშუალებას მოგცემდა, მაგრამ ასეთი საშუალება, სამწუხაროდ, არ არსებობს.

სწორედ იგივე გრძნობა გამიჩნდა იმ მომენტში. მაგრამ აქ ემატებოდა ერთი დეტალი: მხოლოდ იმ ფაქტის წყალობით, რომ მე ფული სრულებით არ მქონდა (თუ არ ჩავთვლით ოცოლოდ კუპონს), მე არამც და არამც არ ჩავითვლებოდი გაძარცველად. მაგრამ, ამავე ფაქტის წყალობით, ეს ახალგაზრდა მძარცველები უკვე ხელშესახებად ემსგავსებოდნენ მათხოვარს, რომელმაც ითხოვა, მაგრამ ვერაფერი მიიღო — რადგან მძარცველს მათხოვრისაგან განასხვავებს მხოლოდ თვით ძალადობის აქტი. და აქ, შესაძლო იყო, გაწბილებულ ახალგაზრდებს, პროფესიული თუ პირადი პატივმოყვარეობის გამო, რაიმე, უფრო საშინელი ჩაედინათ — ამ ორ გაწბილებულ ახალგაზრდას. და ასეც მოხდა.

— ფული თუ არა გაქვს, ჩემო ძმაო, — მიპასუხა ისევე იმავე, ყბებამავებულმა და ხშირწარბებთანა მძარცველმა, — ფული თუ არა გაქვს, იცი, რას გეტყვი? გაყიდე მანქანა (მანქანის ხსენებაზე მე თვალწინ დამიდგა თეთრი მოკრემისფერი „ჰოლდა“), გაყიდე მანქანა და ხვალ, საღამოს, აქ, ამ ადგილას, ფული ჩამაბერე! — თქვა მშვიდი მუქარით. მის სიტყვებში იგულისხმებოდა, რომ თუკი უარს ვიტყვოდი მანქანის გაყიდვაზე, იგი სიცოცხლეს გამომასალმებდა. ხოლო თუ როგორ მოხდებოდა ეს სიცოცხლესთან გამოსალმება, ეს უკვე მისი პირადი საქმე იყო.

მას შეეძლო დაედგინა (აქვე, იარაღის გამოყენებით) ჩემი ვინაობა, საცხოვრებელი სახლი, და სახლშივე აეფეთქებინა

ნე. შეეძლო დაეწერინებინა ხელწერილი ანდა, უბრალოდ, ჩამოერთმია პატიოსანი სიტყვა, რომ მე უეჭველად გავყიდდი მანქანას და, თუ დასჭირდებოდა, სახლსაც, და აღებული ფულის რაღაც ნაწილს მას ჩავაბარებდი. ეს მას მართლაც შეეძლო, მერე კი რაღა უნდა მექნა — ჩემსაკვე ხელწერილზე თუ პირობაზე უარს ხომ არ ვიტყვოდი? სადღა იქნებოდა მაშინ ჩემი პატიოსნება?! ამიტომ გადავწყვიტე, არავითარი პირობა არ მიმეცა. თანაც საქმეს ისიც აიოლებდა, რომ მანქანა არ მყავდა. არ მყავდა, არც არასოდეს მყოლია და, ალბათ, არც არასოდეს მეყოლება.

— თუ მანქანა არა გყავს, წადი, იყიდე! ან მოიტაცე! მერე გაყიდე და ზვალ საღამოზე ფული ჩამაბარე! — ყრუ ხმით მითხრა მან.

მინდოდა მეპასუხა: „როგორ ვიყიდო მანქანა? მანქანის ფულს ვინ მომცემს? მაგდენი ფული რომ მქონდეს, ხომ პირდაპირ შენ ჩავაბარებდი? ან ვის წაეართვა? მე რომ სხვისთვის წამრთმევი ვიყო, ფულს შენ რაღა ჯანდაბად მოგცემდი?!“ — ეს იქნებოდა ლოგიკური პასუხი. მაგრამ ამაზე იგი მომიგებდა, რომ ეს მისი საქმე არ არის. „მე არ ვიცი. წადი, სადაც გინდა იშოვე. და ზვალ, საღამოზე ფული ჩამაბარე!“ — დაახლოებით ასეთ რამეს მომიგებდა. ამიტომ ლოგიკური გარტყლებისაგან თავი შევიკავე და ჩაცინებით ვუთხარი — თან ეცდილობდი, ჩემი ხმისათვის მეტი დამაჯერებლობა, სახისთვის კი მეტი უზრუნველობა მიმეცა:

— კი მაგრამ, ჩემო ძმაო, დარწმუნებული ხარ, რომ ამ საქმეში გავხვევა სარგებელს მოგიტანს? შენ მე ვიდაცაში ხომ არ გეშლები? ალბათ არ იცი, რომ ლეგიონის უფროსი (სახელდებით ვუზსენე და შევაძინე, რომ ამ სიტყვებზე მის თვალეში რაღაც გაკრთა), ლეგიონის უფროსი ჩემი ნაცნობია. რამდენჯერმე მიქიფოფა მასთან. (ეს ზედმეტი იყო! — გამაფრთხილა საკუთარმა ცნობიერებამ) ყოველთვის ხელგაშლილი მიმიღებს, ხოლო რაც შეეხება მამაჩემს, — იგი მა-

მაჩემის ახლობელია, და ხშირად შევხვედრივარ მამაჩემის სახლში.

ამ სიტყვებით ადგილიდან დავიძარა. შესაძლო იყო, მათ მაინც ეხმარათ იარაღი, მაგრამ უფრო მეტად შესაძლო იყო, გზა დაეთმოთ. ასეც მოხდა. მე და ჩემი მამიდაშვილი ბნელ გამზირს დავუყვევით. ორი მძარცველი იქვე დარჩა. „საინტერესოა, რა ჰქონდათ, დანები თუ იარაღები?“ — გაეფიქრე. ჩემს თვალში ისინი მივაგვდნენ ანტიკური ხანის მძარცველებს, რომლებიც გამოყვანილი არიან მისტიკურ-ალეგორიულ რომანში „ოქროს ვირი“. და ისინი, რაღაც გაგებით, იყვნენ კიდეც ანტიკური ხანის მძარცველები — მძარცველის სიმარტივე, სიხარბე და არაჩვეულებრივი საზრიანობა ყოველ ეპოქაში იგივეა.

ჩვენ მიუყვებოდით ჭავჭავაძის ჩაბნელებულ გამზირს, თან მღუმარედ ეწონილით მომხდარს. მერე ჩემმა მამიდაშვილმა მკითხა:

— როგორ უნდა მოვქცეულიყავით?!

— უნდა გვეცემა, — მიუგე მე, — თუმცა, შესაძლოა, ვერც მოვრეოდით. ყოველ შემთხვევაში, უნდა შევბრძოლებოდით მაინც! მაგრამ, უეჭველია, იარაღი ექნებოდათ. ასე რომ, მათთან შებრძოლებას არავითარი აზრი არ ჰქონდა, მხოლოდ ისევე ჩვენ დავზარალებოდით. ამიტომ არც უნდა შევბრძოლებოდით, და არც წინააღმდეგობა გავკეწია — გარნა მხოლოდ იმდენი, რამდენიც ჩვენნივე უსაფრთხოებისთვის იქნებოდა საჭირო.

ამ სიტყვებით მიუზახლოვდით უნივერსიტეტის მეორე, შემდეგ კი პირველ კორპუსს. აქ ქუჩის თავზე დიდი ყვითელი ლამპიონები ენთო და შედარებით სიცოცხლის ნიშანწყალი იგრძნობოდა. ჩაიქროლა ერთმა მანქანამ. მაგრამ აქაც, მარცხნივ, სრულ მღუმარებაში ჩაფლულიყო უნივერსიტეტის მძინარე ტაძარი და ჩამუქებული უღრმესი ბაღი, უღრმესი, როგორც ედემის ბაღში მწოლარე ევას ფსიქიკის უღრმესი შრეები. აქ, ბაღის ბილიკების გასწვრივ ჩამწკრივებულიყო გარდაცვლილ მეცნიერთა საფლავები და მათზე აღმართული გაყინული,



შემზარავი ბიუსტები და ქანდაკებები. ისინი იდგნენ რიგში — როგორც ლევიონერები, და შეჰყურებდნენ პროექტორის მკვდარი შუკით განათებულ უნივერსიტეტის კედელს. ეს კედელი რაღაც მატერიალურ ოცნებასავით წამომართულიყო ღამის ბნელ და უსასრულო ოკეანეში, თვითონაც ისეთივე ქვის, როგორც მის წინაშე მდგარ მეცნიერთა მღუმარე ბიუსტები.

ჩვენ ჩავუარეთ ბაღის შესასვლელს. გავცდით. ჩავუხეიეთ ვარაზის ხევში. ჩემი მამიდაშვილი კვლავ გვერდით მომყვებოდა, მშვიდი, წყნარი, თბილი და მოყვარული. ცოტა ქვემოთ, ოცდაათიოდე მეტრის იქით, ბაღში ასასვლელ კიბეებთან იდგნენ პოლიციელები — პოლიციის პატრული და მათი რამდენიმე მანქანა. ამ მანქანებში სინათლე ენთო. პოლიციელებიც ანათებდნენ და, მხარზე ავტომატგადაკიდებულნი, აჩერებდნენ ვარაზის ხევეში ამომავალ ორიოდ მანქანას. გვერდზე რომ ჩავუარეთ, შევეცადე, ძალდაუტანებლად და ბუნებრივად გამეგლო — რომ ჩვენც არ გავჩერებინეთ. მართალია, ჯბეში არაფერი გქონდა, მაგრამ ვინ იცის...

გზა განვაგრძეთ. გავცდით უნივერსიტეტის ჩამოღმა მდებარე პატარა სკვერს, დაღმართი თითქმის ჩავათავეთ, მიუახლოვდით ზოოპარკის ტერიტორიას. წინ უკვე ახლოს მოჩანდა ცარიელი გმირთა მოედანი, სადაც ღამლამობით, სიჩუმესა და ნისლში, ბალახოვან მცირე-მინაშე სოკოები ამოდიან. მარჯვნივ და ზემოთ, ფიქრის გორაზე, შუასაუკუნოვან ციხედარბაზივით აღმართულიყო უზარმაზარი მუქი შენობა — ქონგურებიანი კომპიტი და ვიწრო სარკმლებით.

მოულოდნელად ჩვენს წინ მანქანა გაჩერდა. მანქანიდან გადმოსული ორმოციოდე წლის კაცი ზოოპარკის კბოდესთან იდგა და ქვემოთ, ზოოპარკის ტერიტორიაზე რაღაცას ჩასცქეროდა. მანქანის კარი ღიად დაეგლო. იქ ენთო მკრთალი სინათლე და ისმოდა ჩუმი მუსიკა. გვერდზე რომ ჩავუარეთ, კაცმა ოღნავ

მოყვამანე მზერით შემოგვხედა, მერე მოგვმართა:

— ისე კენესოდა, რომ მანქანა გაჩერე და გადმოვედი. — თქვა და ისევ სიბნელეს ჩააშტერდა.

გაჩერდით. მე თანაგრძნობისთვის გამზადებული სახით შევხედე უცნობს და შევეკითხე, თუ რა მოხდა, რაში იყო საქმე. მაგრამ იგი კვლავ ზოოპარკის ვრცელსა და წყვილიდით მოცულ ტერიტორიას ჩასცქეროდა. არ მიბასუხა. მხოლოდ მისი მოურძო სახის, გამელოტებული შუბლის გამომეტყველებასა და გახსნილ პიჯაკში იყო რაღაც ისეთი, რამაც მიმახვედრა, რომ აქ რაღაც არაჩვეულებრივ მოვლენასთან უნდა გვეკონოდა საქმე. მე და ჩემი მამიდაშვილი მიუახლოვდით და ფრთხილად ჩავხედეთ ზოოპარკის უზარმაზარ წყვილადს. ცხოველების ხმები არ ისმოდა. ყოველი სულიერი არსი ძილს მისცემოდა და სრულ სიჩუმეში ჩხრიალებდა მხოლოდ მდინარე ვერეს დაბინძურებული წყალი. აქ, მდინარის ნაპირებზე და კოლოებით ავსილ დაჭაობებულ კუნძულებზე მრავალი საათი გამიტარებია სტუდენტობისას, მეგობრებთან ფილოსოფიურ კამათში. მაშინ ეს იყო ჩვენი თავისებური აკადემია. მაგრამ შემდეგ თანდათანობით ეს ნაპირები მაზუთის საშინელ ჭაობებად გადაიქცა. ამ ჭაობებში, ცხოველების, მცენარეების და მაზუთის სუნით მხრჩოლავ ამ საფლობებში, იქ, სადაც განმარტოებით დგას მიტოვებული სამხერხა, ერთხელ, ზოოპარკის გავლით შინ მიმავალს, ფეხი მაზუთში ჩამივარდა — ეს იყო ბალახით დაფარული მაზუთის ვრცელი ჭანჭრობი, სადაც მდინარის ხმასთან ერთად ისმოდა მხოლოდ ცხოველთა განწირული შეკივლებები და მწერების ზუზუნი. იდგა სიცხე, შმორის სუნი. ფეხი კოჭიანად ამომეგლო მაზუთში. სასწრაფოდ უკან გადავხტი, მაგრამ უკვე გვიან იყო — მაზუთის შავი დადი სამუდამოდ დამანდა ფეხსაცემლსა და შარვალზე.

ახლა მთელი ეს არემარე, ზოოპარკისა

და მიმდებარე ტერიტორიების ჩათვლით, თვალშეუვალ წყვილადმი ჩაძირულიყო. ჩვენ ფრთხილი ნაბიჯით მიუახლოვდით გადასახედს. გული რაღაც უჩვეულოსა და თან საამურს მიგრძნობდა. და უცერად მივხვდით, უფრო სწორად, მთლად ჩვენ თვითონ კი არ მივხვდით, უფრო უცნობმა მიგვახვედრა, შეიძლება ითქვას — გვითხრა, რომ იქ, ქვემოთ ქალი იყო. მისი სიტყვით, ეს ქალი ისე კენესოდა, რომ მან, ვარაზის ხევში მანქანით მომავალმა გაიგონა, გააჩერა და ახლა განცვიფრებული ჩაჰყურებდა ზოობარკს. მის გამომეტყველებაში და მელოტ შუბლში მოჩანდა რაღაცნაირი დაბნეულობა, გაუბედავი რისკიანობა და მეოცნებე სიფრთხილე.

— რა მოხდა? ვინ კენესოდა? — კითხუბე.

— ქალია! ახალგაზრდა ქალი წვეს! — მიპასუხა უცნობმა ყრუ ხმით, თან კისერგაწვდილი იფურებოდა დაბლა. პიჯაკის კალთები აქეთ-იქით გადაკეცოდა. მოუჩანდა თეთრი პერანგი და ჰალსტუხი.

მე და ჩემმა მამიდაშვილმა მოლოდინით გადავიხედეთ. ერთი სული მქონდა, გამეგონა ქალის კენესა — ეს ხმათა შორის ერთ-ერთი უცნაური და იღუმალეობით აღსავსე, წადილის მომგვრელი ხმა.

და მართლაც დავინახეთ ქალი — ქვემოთ, ზოობარკის ბალახიან ფსკერზე, განათებულ მდელოზე იწვა. ეს იყო კარგად ჩაცმული, ტანდი და ლამაზი, თმაგაშლილი ახალგაზრდა ქალი. იწვა საკუთარ ლაბადაზე. შავი ლაბადა გახსნილი ჰქონდა, მისი კალთები აქეთ-იქით გადაშლილიყო მიწაზე. ლაბადის ქვეშ ტანთ ეცვა თეთრი ბლუზა და ძვირფასი რბილი მატერიის მოკლე შორტები.

„აქ რა უნდა? — გააკვირვებულმა გავიფიქრე, — რატომ არ კენესის? მეც მინდა გავიგონო მისი კენესა. იქნებ რამე უჭირს და დახმარება სჭირდება?“

ასე ვიფიქრე. მაგრამ ქალს არ დაუკენესია. იგი თვალუბრაუჭული წამოიწია, წამოჯდა. გრძელი ფეხები ფართოდ გადაშალა, ხელები თმაში წაივლო და მოჰყვა ხმამაღლა მოთქმას და ჩივილს

ამ ლაპარაკში იგი მიმართავდა და სწვევდა მხოლოდ საკუთარ თავს. ფეხებგაშლილი, თავზე ხელებშემოჭრილი, აქეთ-იქით ირწეოდა და ყვიროდა:

— ვაიმე, ვაიმე! შე იდიოტო! დამპალი! შე დამპალი მათხვარო! შე უნამუსო ჩათლახო! — მოთქვამდა იგი და მისი მოთქმა გაფიქრებინებდათ, რომ მთვრალი იყო, ხოლო სიტყვების შინაარსი ჰგავდა იმ აზრებს, რაც ნაღვინეზე, სინდისის ქენჯნაში ჩავარდნილ კაცს მოსდის თავში. მაგრამ ქალი არ იყო ბოგანო. ეს იყო სუფთად ჩაცმული რესპექტაბელური მანდილოსანი. შეუძლებელია, ასე მთვრალი ზოობარკში ჩასულიყო და იქ დაგდებულყო მიწაზე. „როგორც ჩანს, ვიღაცამ ჩაიყვანა და მიატოვა, — გავიფიქრე მე. — შესაძლოა, კიდევ გააუპატიურეს. ვინ იცის, ეგებ ავარების მთელი ბანდა დაესხა თავს. ჩაათრიეს ამ შუადამეზე ზოობარკში და მხეცურად იხმარეს“. მაგრამ გაუპატიურებულსაც რომ არ ჰგავდა?! უფრო სწორად, მთლად არ ჰგავდა, ყოველ შემთხვევაში — ჯგუფურად გაუპატიურებულს. რადგან არც ტალახში იყო ამოთხვრილი, არც თმა ასწეწოდა, შარვალიც ეცვა. იჯდა, თვალუბრაუჭული აქეთ-იქით ირწეოდა, თან განსწვევტლივ მოთქვამდა და ირგვლივ ვერაფერს ამჩნევდა. იგრძნობოდა, რომ თავდაპირველად მართო არ უნდა ყოფილიყო. ალბათ ვიღაც ახლდა. შესაძლოა, წვეულებიდან მოდიოდნენ ერთად. მერე იმ ვიღაცამ (ვისაც, ქალი, ცხადია, ენდობოდა) აქ მოიყვანა და მიატოვა. ამ უკაცურ ადგილას, როდესაც მხეცებსაც კი გალიებში სძინავთ.

„თუ არ უხმარიათ, აწი იხმარენ, — გავიფიქრე მე, — ისე ხმამაღლა მოთქვამს, რომ ვინმე უიჭველად გაიგონებს, ჩავა და აღარ გაუშვებს. ეს ქალი საშინელ საფრთხეშია. საჭიროა მივიდე და მივეშველო. ან იქნებ მე თვითონ... ჰა?! რა იქნება, რომ მშველელად მოვევლინო, მან კი, მადლობის ნიშნად, თავისი სხეული შემომთავაზოს?“ — ამ ფიქრით ჩემს მეზობლად მდგარ უცნობს გადავხედე. იგი კისერგაწვდილი ჩაჰყურებდა ქალს,

თან ცალი თვალით მე გადმოხედა — ჩანდა, მასაც იგივე აზრები მოსდიოდა თავში. ალბათ კიდევ ნანობდა, რომ დაგვიძახა. მეც, რატომღაც, უსიამოვნოდ მხედვებოდა გულზე მისი აქ ყოფნა — ჩვენ ორს შორის ერთი აშკარად ზედმეტი იყო. მაგრამ უფრო სწორი იქნება ითქვას, რომ ორივე ზედმეტი ვიყავით — ეს ქალი არ იყო უბრალო მეძავე, თუმცა ნასვამი კი ჩანდა (ვინ იცის, რა ბანგი ჰქონდა შესმული? იქნებ ამარუტო?). ცხადად ჩანდა, რომ მე მასზე ხელი არ მიმიწვდებოდა. ისევ ჩემს მეზობლად მდგარ უცნობს ვაკებდე, მერე მის მანქანას. „მანქანა, — უმიძღოდ გავიფიქრე, — აქ მანქანას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება!“

ისევ ქალს ჩავხედე. იგი კვლავ პირაღმა გაწვა, ოდნავ გვერდზე გადმობრუნებული, და ახლავდა დავინახე მისი მკერდი — ბლუზა შემოფლეთოდა და ცალი ტუტე — თეთრი და რბილი — მთლიანად გამიშვლებული ჰქონდა. იგი იწვა, როგორც სახვევშემოცლილი ხორცის ნაჭერი მშვიერ მხეცებს შორის. ცახცახებდა და თვალედახუჭული ქვითინებდა. ცხადად შევიგრძენი მისი ტუტუს სირბილე ჩემს ხელებში. წელში ვავსწორდი. მიმოვიხედე — არ ვიცოდი, როგორ მოვქცეულიყავი. ჩემს გვერდით იდგა ჩემი მამიდაშვილი, ჩემზე უმცროსი, წყნარი, კეთილი ბიჭი. იგი მთელი ტანით გადახრილიყო წინ და მონუსხული მისჩერებოდა ქალის სხეულს. ჩემს მარჯვნივ მდგარმა უცნობმა ჩაახველა და ისეთი ხმით, თითქოს ყოვლად ჩვეულებრივ ამბავზე, მაგალითად — გარდაცვლილ ნათესავზე ლაპარაკობდა, თქვა:

— რა ეშველება ამ საწყალს?

— რა ვიცი, რა ეშველება, — ყრუ ხმით ჩავილაპარაკე, უფრო სწორად, არ ჩამილაპარაკია, მხოლოდ გავიფიქრე და ისევ ქვემოთ ჩავიხედე. ახლავდა დავინახე სიბნელეში მდგარი ერთსართულიანი შენობა — სწორედ ამ შენობის წინკარზე დამარებული შიშველი ნათურა ანათებდა ქალს. განათებული იყო, აგრეთვე, ქალის ირგვლივ მდებარე მდელი და შენობის

თეთრი ფასადი. ეს ალბათ რაიმე ლაბორატორია უნდა ყოფილიყო.

შენობის კარი ფრთხილად გაიღო. იქიდან, როგორც მობუზული ფრინველები ნაწვიმარი ფულუროდან, გამოვიდა რამდენიმე ადამიანი. ერთი კაცი და ორი ქალი. კაცი ტანდაბალი იყო, მელოტი და ჩია. ქალთაგან ერთ-ერთი — ტანსრული და პირფართე, მეორე — თავველით მოცუცქნული ხნიერი დედაკაცი. ისინი ლანდებივით გამოლაგდნენ შენობის წინკარიდან, რადგან სამივეს თეთრი ხალათები ეცვა, მოკრძალებით მიუახლოვდნენ და გაცუბნებული სახეებით დააჩერდნენ მიწაზე მწოლარეს. მერე პირფართე დედაკაცმა რაღაც გადაულაპარაკა თანმხლებთ. სამივენი დაიხარნენ ქალის სხეულზე, მისივე შავი ლაბდა შემოახვიეს, ასწიეს და შენობაში შეიტანეს. კარი დაიხურა. და ეს ყველაფერი, ჰგავდა, თითქოს შორეულ წარსულში ხდებოდა. ეს მომცრო შენობა, რომელსაც სახლი კი არა, უფრო ქოხი ეთქმოდა, თითქოს შორეულ წარსულში იდგა, იქ არსებობდა, მის ცარიელ სიღრმეში, და იქ, როგორც გამოქვაბულში, შეიტანეს ეს ცოცხალი და ლამაზი, აცხაცხებული ქალი. იქ მას საფრთხე აღარ ელოდა. ალბათ მოასულიერებდნენ, წყალს დააღვინებდნენ და ისე გაუშვებდნენ შინ.

კარი დაიხურა.

უცნობმა კაცმა თავის მანქანას მიმართა, რომლიდანაც რადიოს ჩუმი ხმა ისმოდა. ზემოთ მას ელოდებოდა პოლიციის პატრული. ეს მან, შესაძლოა, იცოდა, ან არ იცოდა.

მეც შემოვბრუნდი. კარგა ორი კილომეტრი მქონდა სახლამდე. შემოვბრუნდი და დაღმართს დაუყევი. ჩემი მამიდაშვილი კი ისევ წინ წახრილი და მონუსხული მისჩერებოდა შენობაში შემავალ სამეულს და მათს ხელში მდებარე ქალის მკერდს.

ქუჩას დაუყევი. ჩაეუარე ზოოპარკის შესასვლელს. აქ, უზარმაზარ მანათობელ ფირნიშზე გამოხატული იყო ყვითელი თუთიყუში. ზოოპარკის კარიბჭესთან — პირდაღებულ ვეფხეთა ქვის

ქანდაკეები. სიბნელეში შრიალებდნენ ცხენისწაბლის დიდი ხეები, რომელთა ყვავილები ყვითელ სანთლებივით აღერილიყვნენ ზემოთ. მოედანზე მსუბუქი ნისლი იწვა და მაღლა, სიბნელეში მოჩანდა ვორაკზე წამომართული ცირკის მრგვალი შენობა. მარცხნივ, თერთმეტსართულიანი სახლის სახურავზე მჭკმუნვარედ კიაფობდა რეკლამები.

მოედანი გადავჭერი. ჩემს წინ ხრიალი ჩაიქროლა მანქანამ.

ისევ სიჩუმი.

შემდეგ სადგურის მხრიდან მანათობლე სიზმარივით გამოჩნდა ავტობუსი — რკინის ბნელი და ცივი კედლებით შემოსაზღვრული მოძრავი ყუთი. ავტობუსი ჩემს წინ შედგა. კარი გაიღო. მე ავედი და ჩემს ზურგს უკან კარი ლითონისმიერი ტყლაშუნით დაიხურა.

აქ საგარძღვებზე განლაგებულიყვნენ ნახევრად მძინარე და დაქანცული მეზაურები. ზოგი მათგანი ჩუმი ხმით ესაუბრებოდა ერთმანეთს.

უკანა ბაქანზე, იქ, სადაც მე ავედი, კედლის გასწვრივ და ზურგისკენ ორი გრძელი სავარძელი იდგა. ამ სავარძლებზე ახალგაზრდების ჯგუფი განლაგებულიყო. მათ შორის ნაცნობ სახეებს მოეკარი თვალი — ესენი იყვნენ ჩემი ძველი ნაცნობები, უნივერსიტეტელი ამხანაგები. ვიცანი ჩემი ჯგუფელი ბიჭი. აქვე იყვნენ ჩემივე ჯგუფელი ტყუპი დები. ყველას სალაშქრო ტანსაცმელი ეცვა — როგორც ჩანს, საიდანღაც, ექსკურსიიდან ბრუნდებოდნენ. ეს ადამიანები ადრეც, უნივერსიტეტში სწავლისას, მუდამ სადღაც მოგზაურობდნენ. სხვა ახალგაზრდებთან ერთად დადიოდნენ ალბინიანებზე, დადიოდნენ ტყეებში და ძველ ციხე-ტაძრებში. დადიოდნენ კარვებით, საძილე ტომრებით, ხარბად და დაულაღვად, როგორც მომთაბარეები, როგორც გობის უღაბნოდან მოსული მონღოლთა ტომები. ტყუპი დები ნახევრად რუსები იყვნენ — დედა რუსი ჰყავდათ. ესენი იყვნენ გამზდარი და მოქნილი, ლამაზი, გულღია გოგოები, რომლებიც მთელს

ცხოვრებას უყურებდნენ როგორც მუნჯ გამოცანას, რომლის ამოხსნაც სულაც არ არის საჭირო, რადგან ისედაც გასაგებია. გასაგებია, რომ ეს არის გამოცანა და რომ არ არსებობს მისი ამოხსნა. თანაც მთელი ეს გამოცანა, მთელი ეს სამყარო, თავისი ადამიანებით და ცხოველებით, თავისი უკიდევანო ტყეებით და ველებით, თავისი ვარსკვლავებით და ცთომილებით — არის რაღაც ერთი, უცხო და თანაც მშობლიური, ცუვეგბარი და თანაც სასვებით მარტოვი, ცოცხალი და თანაც სრულიად უსიცოცხლო, მექანიკური არსება. და ამ მექანიკური არსების პირის წინაშე ისინი მოძრაობდნენ და იქცეოდნენ, გრძნობდნენ და მიისწრაფოდნენ ერთი კიდიდან მეორისკენ. ერთი უსასრულო კიდიდან მეორე უსასრულო კიდისკენ — ეს იყო ცუდი უსასრულობა. ისინი გაუგებარი სიჯიუტით მიდიოდნენ ამ ქვეყნიერების ერთი უცნობი კიდიდან მეორემდე. ახლაც საიდანღაც მოდიოდნენ და მათი მოგზაურობა უსასრულო იყო, როგორც ბოშების ან მოქარავენე ბედუნიების უსასრულო ხეტიალი. მაგრამ ეს ცივი უსასრულობა იყო.

ავტობუსი საბურთალოს აღმართს აუყვა — რატომღაც სრულიად უხმაუროდ. უფრო სწორად, ავტობუსი ალბათ ხმაურობდა, მაგრამ ეს ხმაური მე არ მესმოდა, რადგან ჩემი ყურადღება მიიქცია მაგნიტოფონიდან გამოჭრილმა მუსიკის ხმებმა. მაგნიტოფონი მუხლებზე ედო ერთ ჩემს ნაცნობ ზურგანთიან ბიჭს. ყველანი ამ მაგნიტოფონს შემოხვეოდნენ გარშემო. ზოგს ზედ ყურიც მიეღო.

მეც მათ შორის ჩავეჭექი და თვალი გადავაველე მათს დაღლილ სახეებს. ჩემი ძველი ამხანაგი, ჩემი ჯგუფელი ბიჭი, რომელიც ჩემს პირდაპირ იჯდა, სრულიად შეცვლილი მეჩვენა — სიმართლე რომ ითქვას, იგი, ისევე როგორც მე, სულაც აღარ იყო ბიჭი. უკვე ცოლშვილი ჰყავდა და ცხოვრების მძიმე ტვირთს და თავის უმიზნო ხეტიალს სულმთლად გამოეცვალა. თმა გასთეთრებოდა. ჩამომხმარი იყო და რაღაცნაირად



გაცვეთილი. მისი ტანისამოსიც — გაცვეთილი. პირის კანი — შემჭკნარი, გაყვითლებული. ტყუბი დებიც — რუსი დედის შვილები — სრულიად შეცვლილიყვნენ.

მე მათს შორის ჩავჯექი და ვიგრძენი მათი ძველებური ნაცნობი მოპყრობა და ჩვეული ცივი სითბო. ყველანი, საიდანღაც მომავალი ეს დაღლილი ადამიანები უსმენდნენ ჩემთვის კარგად ნაცნობ და საყვარელ სიმღერას — „როვერ“, რაც ჩვენს ენაზე მოხეტიალეს ნიშნავს. ეს სიმღერა შედის ჯგუთრო ტალის კონცერტში „მიმიე ცხენები“. მასში ნათქვამია:

დავეძებ ყოველ შენს ნაკვალევს,
მიყვები ყოველ ქარს
და როცა შენ მიხმობ სიმღერით,
ვიწყებ საბრძოლო ჰანგს.
შენ, ჩემო ქალბატონო მინდვრების,
შენ, ჩემო სუნთქვაო ზღვის,
შენ გადაისროლე თათმანი, მაგრამ ის
გადასცდა ხილულის პირს,
გრძელი გზა არის ეს ცისარტყელა
და ოქროს თასი ძევს ზედ
და როგორც ზაფხულს ელის
გულწითელა,
რომ მასში ჩამალოს წითელი
ბუმბული,

მეც ისე მწყურია შენი თმის ბალიში,
რომ მასში ჩავმალო თავი.

მამ ამხსენ საბელი, კვლავ
გამათავისუფლე,
კვლავ ქარისკენ ავიღებ გეხს.
მაგრამ გამწყვდარა ძაფი, რომელზეც
ავსხმულვარ,

დაშლილა ჩემი ნავი.
მე მაინც ვიღვიძებ და ფიცხლად
ფეხზე ვდგები,
საჭვს კვლავ ქარისკენ მივატრიალებ.
შენ მე მიპოვი ყოველი ქალაქის
სინათლეებში,
მე ვარ მოხეტიალე.

ამ სიმღერას მღერის იან ანდერსონი, თავისი ომახიანი ხმით. სიმღერა მიდის მწყემსური ფლეიტისა და უცნაური ძველებური ინსტრუმენტების აკომპანემენტით. რიტმი სწრაფია და მხტომარე —

როგორც დახტოდნენ მწვანე მაუდით შემოსილი იომენები მხიარულ ინგლისის ტყეებში.

— კარგია, არა? — ჩაილაპარაკა ერთმა ჩემმა ძველმა ნაცნობმა მეოცნებე ხმით.

ეს კითხვა მე მომეპარებოდა. მის ხმაში ისმოდა ფარული სიამაყე, რომ იგი, ეს ნაცნობი, ასე კარგად იცნობდა ამ სიმღერას და, საერთოდ, ამგვარ მუსიკას. მაგრამ მე არ მიპასუხნია — ეს სიმღერა ძველთაგანვე ვიცოდი. მათთვის ეს სიახლე იყო, ჩემთვის კი — ძველისძველი, თითქმის ბავშვობიდან შეთვისებული ჰანგი. და თუმცა ისინი ნაზღვარი მოგზაურები იყვნენ, მე კი — მხოლოდ მოგზაური ფიქრებსა და სიმღერებში, თუმცა მათი გეზი იწყებოდა ერთი უსასრულობიდან და მიდიოდა მეორე უსასრულობისკენ ჩრდილოეთის ცილის გავლით, ჩემი გეზი კი იწყებოდა მეცხრე სააგადმყოფოსთან და უნდა დამთავრებულიყო რესპუბლიკურ ცენტრალურ არქივთან, მაინც, იმის წყალობით, რომ ეს სიმღერა ძველთაგანვე ჩემი ნაცნობი გახლდათ, მე იმ წამს, სულო ცოდვილო, რატომღაც ამაყად ვიგრძენი თავი, რადგან სიმღერაც ხომ მხოლოდ ფიქრია და სიმღერა, და არა რეალური მოგზაურობა.

გავჩუმიდი, ხმა არ ამომიღია.

არქივთან ჩავედი.

განათებული ატობუსი კი, თავის მგზავრებითა და მუსიკით, კვლავ დაიძრა და გაემართა დასავლეთისაკენ, იქით, სადაც, ვაჟა-ფშაველას გამზირის ბოლოში, ვარსკვლავიანი ბნელი ცის ქვეშ წამომართულიყო კვლევიითი ინსტიტუტის მჭმუნვარე და შეუსწნობელი შენობა.

აქ კი, პროსპექტის დასაწყისში, ჩემს თავზემთ ადმართულიყო არქივი — უფანჯრო, უძრავი ნაგებობა, რომლის სართულებზეც ჩაწოლილია უსასრულოდ მრავალი დოკუმენტი — ხელნაწერები და უძველესი ფოტოები. ამ დოკუმენტებსა და ფოტოებში აღბეჭდილი ადამიანები უკვე აღარსად არიან — ისინიც გაემგზავრნენ და გაქრნენ არარსებობის ნისლიან წყვიდალში.

სადარბაზოს კიბე მკრთალი სინათლით იყო განათებული. ზემოთ, მეხუთე სართულისკენ ეს სინათლე თანდათანობით იკარგებოდა და გადადიოდა თვალმუქვალ სიბნელეში, რომელიც მე უნდა ამეველო. გარედან ჭრიჭინის ჭრიალი ისმოდა. მე კიბეს აუწყევი და ამ დროს გამახსენდა ჩემი დაკარგული მამიდაშვი-

ლი — იგი თხუთმეტი წლის წინათ გარდაიცვალა, მეცხრე საავადმყოფოში, რაღაც გაუგებარი ავადმყოფობით. მაშინ მე სტუდენტი ვიყავი; თხუთმეტი წლის წინათ დაღუპული და გამკრალი ბიჭი, ისიც წასული და დაკარგული სხვა მკვდრებივით, დროის უსასრულო და უღრმეს ოკეანეში.

ღამურალი მღინარა

გიორგი ჩხიკვიშვილი მუშაობდა ისტორიის ინსტიტუტში. დამთავრა თსუ ისტორიის ფაკულტეტი და ერთი წლის შემდეგ ინსტიტუტში მოეწყო. შეირთო ცოლი, ჰყავდა ერთი შვილი. მაგრამ ინსტიტუტში მიღებული შემოსავალი მის ოჯახს არ ჰყოფნიდა. იგი ყოველწლიურად ცდილობდა, ოჯახისთვის ტვირთი შეემსუბუქებინა, თვითონ კი მეტი და მეტი ეტვირთა, ამიტომ ძირითადი სამსახურის პარალელურად მუშაობა დაიწყო ინსტიტუტის ახალდაარსებულ აღმანახ „მატიანეში“. ეს ჟურნალი მშობლიური ერის ისტორიის სხვადასხვა კარდინალურსა და მცირე საკითხებს მიმოიხილავდა. რედაქტორი იყო გიორგიზე ათიოდე წლით უფროსი, ჯერაც ახალგაზრდა, პერსპექტიული და ენერგიული კოლეგა, რომელმაც ჟურნალი მალე გამოიყვანა ერის თვალსაწიერზე და მრავალი ალაპარაკა. მისი პერსპექტიულობა მალე გამოვლინდა — კულტურის სამინისტროში გადაიყვანეს მოადგილედ, და ამბობდნენ, რომ მალე მინისტრადაც დააწინაურებდნენ, ის კი კვლავაც ახალგაზრდულად და ენერგიულად გამოიყურებოდა. ასეთი იყო გიორგის ყოფილი შეფი.

რომ მის სწრაფ მოძრაობასა და მთელს გარეგნობაში იყო რაღაც ფრინველისებრი, კერძოდ კი—ჩხიკვიური. გიორგი ჩხიკვივით დახტოდა მერხიდან მერხზე და ცივი ხმით ჩხაოდა: „აიღე! აიღე! დაიჭირე! პასი, გურამ, პასი!“... ამ დროს მისი ჭროლაცა და ცისფერი თვალიც ფანატიური ცივი ცეცხლით ლაპლაპებდნენ. ჩვეულებრივ კი მის ჭროლა თვალში გამოსჭვივოდა რაღაცნაირი, თავშეუკავებელი და ადვირუსხმელი დაუდევრობა, ცისფერში კი, ბუნებრივია, მეთცნებე და დამთმობი სირბილე, რაც მისი არსების სიდრმეში იყო ჩაძირული და იქ იღო ფილოსოფიურ ქვასავით.

ინსტიტუტში მუშაობა რომ დაიწყო, შედარებით დადინჯდა, მაგრამ ისეთივე, სწრაფი და მოულოდნელი რეაქციები შერჩა — თუ უკნიდან ვინმე დაუძახებდა, თვალის დახამხამებაში შემოატრიალებდა აჩონჩხილ ტანს. როდესაც ქუჩაში მიდიოდა, უსწრაფესი მოძრაობით აისროდა ხოლმე მალლა ხელს, და ხიდან ფოთოლს ჩამოგლეჯდა—ეს მე ჩემი თვალით მინახავს, როდესაც გიორგი ჩხიკვიშვილმა ჩვენთან დაიწყო მუშაობა — ჯვრის მონასტერში.

თვით გიორგი გახლდათ ტანმალალი, ძვლიანი, არაკოორდინირებული და სწრაფად მოძრაი ახალგაზრდა კაცი. ჰქონდა ხეშეში თიხისფერი თმა, კეხიანი ცხვირი და ჭროლა თვალები. უფრო სწორად, ერთი — მარცხენა თვალი ჰქონდა ჭროლა, მარჯვენა კი — ცისფერი. ამ თვისების გამო სკოლაში ჭრელთვალას ეძახდნენ. ეძახდნენ აგრეთვე ჩხიკვისაც — ჯერ ერთი, მისი გვარის გამო, და მეორეც და, რაც მთავარია, იმის გამო,

გიორგის ჰყავდა ძმა, მირიანი, რომელიც ქადაგი იყო. იგი მუშაობდა ლურჯ მონასტერში. ჰყავდა ცოლ-შვილი, მაგრამ, გიორგისაგან განსხვავებით, ოჯახს რაღაცნაირი, დინჯი და ხარისხები შეუპოვრობით მიუძღოდა. სხვა საქმეებში კი ისიც, გიორგივით, დაუდევარი იყო. მირიანმა დიდი წვლილი შეიტანა ლურჯი მონასტრის გახსნის საქმეში — იმ დროს ეკლესიების უმრავლესობა გაუქმებული იყო. კომუნისტური მთავრობა

საერთოდ ეკლესიაში სიარულსაც კრძალავდა. ის პირები, რომლებიც ეკლესიაში დადიოდნენ ან რაიმე სახით აქტიურობდნენ რელიგიის საკითხებში, აღრიცხვაზე აწყავდათ. მაგრამ მირიანი ამას არ შეჰკუებია. იგი და მისი მეუღლე, გამხდარი, ნებისყოფის ხლართად ქცეული ქალი, დადიოდნენ კარდაკარ და აგროვებდნენ ხელმოწერებს, რათა ლურჯი მონასტრიდან, ბოლოს და ბოლოს, გაეტანათ იქ არსებული ხალხური მედიცინის მუზეუმი და აღედგინათ ეკლესია. ცოლ-ქმარი ამის გამო ერთხელ კაგებშიც დაიბარეს, მაგრამ ისინი ამას არ შეუშინებია, და ბოლოს, თავიანთი შუპოვრობისა და მიზანდასახულობის წყალობით, მართლაც მიაღწიეს საწადელს — ამიერიდან ვერელებს საკუთარი ეკლესია ექნებოდათ, აქ ივლიდა ვერის მრავალი მორწმუნე, რომლებიც მანამდე იძულებული იყვნენ, იქვე მდგარ რუსულ ეკლესიაში ევლოთ; აქვე იქნებოდა თბილისი და მეგობრული მყოფრო ბუდე, რომელიც თავშესაფარს მისცემდა ყოველ ჭკუშმარიტ ქრისტიანს. ეკლესია გახსნეს. დანიშნეს ახალგაზრდა მღვდელი, რომელიც მირიანს კარგად იცნობდა. მირიანი მის მოადგილესავით იყო — იგი იყო მნათეც, მნეც, წიგნის მკითხველიც და ხანდახან, როცა ქადაგების ჟინი მოუვლიდა ხოლმე, იღვა და მრევლს უქადაგებდა — მალე დიაკვნად უნდა ეკურთხებინათ და ეს პრივილეგია ამის გამო ჰქონდა მინიჭებული.

უცნაურია, მაგრამ პირველი, რაც ახალგაზრდა ეკლესიის მესვეურებმა გააკეთეს, იყო ის, რომ მოჭრეს ტაძრის კარებთან მდგარი არჩვეულებრივი სილამაზის ხე. ეს ხე იყო ღვთის საკვირველი, ზღაპრული ქმნილება, — თუმცა, ტაძრის სიახლოვით, ცოტა გვერდზე წახრილი, მაგრამ მაინც მშვენიერი. ხშირად მიფიქრია, რაღა მაინცდამაინც ამ ხეს მივარდნენ-მეთქი. ალბათ იმიტომ, რომ მთელი წლის მანძილზე იგი ერთ ჩვეულებრივ ხედ გამოიყურებოდა და არაფერი ჩაადგეს. როგორც ჩანს, არ იცოდნენ, რომ გაზაფხულობით ამ ხეს გამოჰქონდა

რძალვით ფანტასტიური ყვავილები — ეს ყვავილები ჰგავდა ფერად სანთლებს. ისინი კიაფობდნენ ნელი და ზღაპრული შუქით და მოთეთრო-მოვარდისფრო ჩანჩქერებივით ეშვებოდნენ ხის დახრილ ტოტებზე. ერთხელ მე და ჩემმა მეუღლემ, უკუშებრუნებულებმა, შემთხვევით დავინახეთ ეს აყვავებული ხე (რომლის სახელი ვერაფრით დავადგინე) და იმავე წამს, ერთდროულად, ორივე ჩვენგანის ცნობიერებაში ერთმანეთს შევერწყა „აჲ“ და „მარადის“. ცხადია, ეს ყოველივე არც მირიანმა და არც ახლადდანიშნულმა მოძღვარმა არ იცოდნენ. მათთვის ხე მხოლოდ დაბრკოლება იყო, რომელიც ტაძარში შემსვლელ-გამოსვლელ მრევლს აფერხებდა. — მაგრამ ეს ისე, სხვათა შორის.

ახალგაზრდა ტაძარში თავდაპირველად გიორგიც მუშაობდა. იგი აქ დარაჯი იყო. რამდენიმე დამე გაათია ტაძრის საგუშაგოზე და მერე, მეუღლის დაჟინებით, ამ მშვიდსა და ნაკლებშემოსავლიან სამუშაოს თავი დაანება. ამის ნაცვლად დაიწყო ისტორიაში მოწაფეების მომზადება და, ამავე დროს, როგორც ვთქვი, ჯვრის მონასტერში მგალობლად მუშაობა — იგი მღვროდა მეორე ხმას, მაგრამ ხანდახან, თუკი პირველი არ გამოცხადდებოდა, გიორგი მას ცვლიდა.

1990 წლის გაზაფხულზე გიორგის ცოლი გაშორდა. ამის მიზეზი იყო გაუთავებელი კონფლიქტები მასა და მის მეუღლეს — მასზე გაცილებით დინჯად ამიანს შორის. გიორგის სიციქაფესა და მეოცნებე, არაპრაქტიკულ სირბილეს, რომლებიც ერთმანეთში უცნაურად აღუფხულიყო, მეუღლე წინასწორიდან გამოჰყავდა. ერთ დღეს მან მოკიდა ხელი ბავშვს, თავის ნივთებს და მშობლებთან გადაბარგდა. მაშინ გიორგი უკვე აღარ იყო ლურჯი მონასტრის დარაჯი. იგი მუშაობდა თავის ძირითად სამსახურში — ისტორიის ინსტიტუტში, მუშაობდა ინსტიტუტის ჟურნალ „მატიანეში“ და, აგრეთვე, ჯვრის მონასტრის მგალობლად. მეუღლის წასვლის შემდეგ მოწაფეების მზადებასაც თავი დაანება.

საქართველოს ისტორია მდინარესა-
 ვით მიედინება. მასში თავისი ადგილი
 აქვს ყოველ ზვირთს, შენაკადს, განტო-
 ტებას, ლოდსა თუ რიყის ქვას. აქ არის
 აგრეთვე თავისებური ჩანჩქერები, მენ-
 ჩები და, სულაც, ამომშრალი ადგილები
 — თუ აღარაფერს ვიტყვიტ ვუშაბეებსა და
 ამშორებულ ტბორებზე. გიორგი ჩხიკ-
 ვიშვილი უღრმავდებოდა ამ ისტორიას.
 მისთვის ისტორიის ყოველი მონაკვეთი
 შინაგან მანათობელი, მიუწვდომელი და
 რომანტიკული აღით იყო გარემოცული.
 ზოგიერთ მომენტში ეს ალი იფანტე-
 ბოდა და გიორგის მხერგს წარმოუდგე-
 ბოდა მეფეთა ნათელი პალატები და ცი-
 ხე-დარბაზები, სადაც, მოზაიკურ ნატეკ-
 ზე, მსუბუქად დააბიჯებდნენ დაფიქრე-
 ბული დიდებულები. ისინი წუხდნენ და
 ჭმუნავდნენ, თუ როგორ ეშველათ თავი-
 ანთი ამ ბედკრული ერისათვის — გამო-
 სავალს, ცხადია, ვერ მიაგნეს.

ისტორიის ყოველი მონაკვეთი, თი-
 თოეული ცალ-ცალკე, გიორგი ჩხიკვი-
 შვილის განუზომელ ინტერესს იწვევდა.
 მას აინტერესებდა ფარნავაზის მეფობის
 ხანა. მერე თანდათან ეს ინტერესი ად-
 გილს უთმობდა ზაქიჭაიძის მეფობის პე-
 რიოდს. მათ ნაცვლად ცნობიერების სი-
 ღრმიდან ამოტივტივდებოდა თამარისა
 და რუსუდანის უცნაური, ბრწყინვალე და
 დამღუპველი მეფობა. შემდეგ მოდიოდა
 პარტახი და ხროიკი ასწლეულები, სა-
 დაც, როგორც დამშრალი მდინარის
 ღორღიან ფსკერზე, სულს ღაფავდა ყო-
 ველივე ცოცხალი — აქ ერთმანეთს ჭამდ-
 ნენ და ყელს ღადრავდნენ უწყლოდ დარ-
 ჩენილი დემონები, რომლებიც, მაინც,
 რაღაცნაირად, ჩვენი შინაური დემონე-
 ბი იყვნენ და, მათს არაადამიანობაში
 იყო რაღაც შინაური და მშობლიური,
 თუმცა, შინაური მღვდლისა არ იყოს,
 შენდობა ალბათ მათაც არ ჰქონდათ. გი-
 ორგი ეცნობოდა 1918-21 წლის ხანმოკ-
 ლე თავისუფლების მონაკვეთს, და ხე-
 დავდა, რომ დღევანდელი ჩვენი ეპოქაც
 ისეთივე ბოროტი თავკარიანობითა და
 უეცრობითაა აღბეჭდილი, როგორც მენ-
 შვიკეთა ბატონობის ხანა. იგი გონება-

ში სწონდა და ადარებდა მაშინდელ და
 ახლანდელ დემოკრატიას, მაშინდელ და
 ახლანდელ დაუნდობლობას და ტერორს,
 მაშინდელ და ახლანდელ მინისტრებს,
 გვარდიას, რუსულ და ევროპულ ორიენ-
 ტირებს, ერში არსებულ პოლიტიკურ
 ტენდენციებს და გამოჰქონდა სევდია-
 ნი და საშიში დასკვნა, რომ ახლანდელი
 დამოუკიდებლობაც ისეთივე ტრაგედიით
 უნდა დასრულდებულყო, როგორც მაშინ-
 დელი, და მასაც უნდა მოჰყოლოდა რეპ-
 რესიებისა და ტერორის საზარელი ათ-
 წლეულები. — რას იზამ, ასეთი გონიე-
 რია ქართველი ერი, სადაც, ერთი რუსი
 შოვინისტის თქმისა არ იყოს, ლურჯ
 ვირს უფრო ადვილად იპოვი, ვიდრე
 ჭკვიან კაცს. და თუ მაინც ეს ჭკვიანი,
 რაღაც სასწაულით, დაიბადა და პავშ-
 ეობაშივე არ გადაგვარდა, მაშინ მას შემ-
 დგომში, როგორც კი ხელსაყრელი შემ-
 თხვევა მიეცემათ, მოკლავენ ან სამარც-
 ხვინო ბოძზე გააკრავენ — როგორც, მა-
 გალითად, მოკლეს და ქვეყნის საგმო-
 ბად აქციეს ილია ჭავჭავაძე, მიხეილ
 ჯავახიშვილი, მერაბ მამარდაშვილი...

თუმცა, კაცმა რომ თქვას, ჭკვიანი
 და სულელი ერები ამქვეყნად ალბათ
 არც არსებობენ. არსებობს ეროვნული
 ცნობიერება, ხასიათი — ქართველებს ემ-
 ოციური, ქალური ხასიათი აქვთ. ხოლო
 ერის ჭკუა-უჭკუობა იმაში გამოიხატება,
 თუ როგორ ეყრბობა ესა თუ ის ერი თა-
 ვის კრიტიკოს შვილებს, რომლებიც ხე-
 დავენ, რაოდენ სულელი არიან თვითონ,
 რაოდენ სულელია მთელი ერი და რაო-
 დენ სულელია, ზოგადად, ადამიანი. ამას
 ისინი გულწრფელად განაცხადებენ ხოლ-
 ძე, და სწორედ ეს დანახვა და ვაცხადე-
 ბა სულელის სიჭკვიანე, რასაც სხვა სუ-
 ლელები მოთმინებიდან გამოჰყავს. და თუ
 ერში ეს სხვა სულელები მძლავრობენ,
 მაშინ, სწორედ, შეიძლება ითქვას, რომ
 ეს ერი უგუნური და შლეგია. ისინი
 მგლებივით მისცვივდებიან თავიანთ კე-
 თილისმყოფელს, ყელს გამოდარდავენ და
 მერე, სისხლით დამთვრალნი უსმენენ
 ერთმანეთის დედაკაცურ დითირამებს.
 „ქართველი ერი გაბრწყინდება!“ — შეს-



ძახებენ ხოლმე ისინი. „ჩვენი ერი ღვთისმშობლის წილხვედრია!“ „ჩვენ ღვთისა და ილიას შთამომავლები ვართ!“ — და ამით თვითონვე იკრებენ თავიანთ თავზე ნაღვერდალს, რადგან ჰგვანან იუდეველთა ერს, რომლის შვილნიც იქადიდნენ თავიანთ ღვთის წილხვედრილობას — რაც, სხვათა შორის, მართლაც ასე იყო; იქადიდნენ, რომ იუდეა გაბრწინდება — რაც, სხვათა შორის, მართლაც მოხდა; იქადიდნენ, რომ თვითონ იგინი ღვთისთისა და ილიას შთამომავლები იყვნენ — ესეც, ცხადია, მართალი იყო; იქადიდნენ, რომ დღამიწის ზურგზე მხოლოდ მათ შეინარჩუნეს ჰეშმარიტი, მართლმადიდებელი სარწმუნოება — ესეც, სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, მართალი იყო... მაგრამ თავიანთი სიქადულით დაბრმავებულებმა ვერ იცნეს მათ შორის მოსული ღმერთი და კაცი, — ყოველი ამ სიქადულის რეალური აღსრულება, — მგლებივით მისცვიდნენ, ტანჯეს, მოკლეს და ქვეყნის საგმობად აქციეს, რადგან არ მოეწონათ მისი ნათქვამი: „ნაშობნი იქედნეთანო, თქვენ ამბობთ, რომ წინასწარმეტყველთა შთამომავლები ხართ, და ძეგლებს უღვამთ ამ წინასწარმეტყველთ. მაგრამ განა თქვენმა მამებმა არ დახოცეს ისინი?! თქვენ ამბობთ, რომ ღვთის რჩეულები ხართ, მაგრამ თუ არ მოიქცევით ისე, როგორც ღვთის რჩეულს შეჰფერის, — არა როგორც თქვენი მამები — მაშინ, იცოდეთ, რომ ღმერთს შეუძლია თქვენ წარგვმიდოთ და რიყის ქვებისგან აღადგინოს აბრაამის მოღვაძე“.

გიორგი, ეს ხელეგაჩინი ვეებერთელა ჩხიკვი, დახტოდა ისტორიის ერთი საკითხიდან მეორეზე, დახტოდა დამშრალი მდინარის ერთი სიპიდან მეორეზე, ჩაჰკირკიტებდა ლოდებს შორის ჩარჩენილ წუმპეს — იქ იხრწნებოდა და ყარდა თევზთა ლეშები. ასე მხტომარესა და განცვიფრებულს ვერ ამოერჩია ერთი საგანი, რასაც იგი გულმოდგინედ ჩაულრმავებოდა და ბოლომდე ამოწურავდა. ამიტომ, თავისი ამხანაგებისაგან განსხვავებით, ვერ მოახერხა სამეცნიერ-

რო ხარისხის დაცვა — ხშირად სვამდა, დადიოდა სპორტულ ასპარეზობებზე, დადიოდა მთებში სალაშქროდ, დადიოდა ქალებში — ეს ყველაფერი მისი ცხოვრების სისხლი და ხორცი იყო.

მათი ჟურნალიც, „მატიანე“, თავიდან ყალუხვ მდინარესავით მოაწყდა XX ს. 80-იანი წლების ქართველ საზოგადოებას; მისით კმაყოფილი იყო ყველა — დიდი თუ პატარა, მთავრობა თუ ეკლესია. მაგრამ სამწუხაროდ, ისიც, როგორც ყოველი ჩვენი ენობის საქმე, მალე დაიშრია. პირველი ზალპების ექო ჩაწყდა და ახლა ამ დღემებულები ქვემეხის ყვლიდან მოედინებოდა რაღაც უნიათოდა უნუგემო ფაფა — როგორც მიუნხჰაუზენის ცნობილი ზარბაზნიდან. „მატიანე“ დამშრალ მდინარესავით დაფავდა სულს, და ერთადერთი პოზიტიური ღირებულება, რაც მას მოჰქონდა, იყო ჯამაგირი, რაც კვლავინდებურად ასულდგმულებდა მის ათიოდეთანამშრომელს. თუმცა კი უკვე არსებობდა სერიოზული საშიშროება, რომ ეს დამშრალი ჟურნალი სულაც დაეხურათ, და შემოსავლის ეს წყაროც გადაეკეტათ. მისი პირდაღებული თანამშრომლებისთვის. ასევე, სავსებით რეალურად არსებობდა საფრთხე, რომ დაეხურათ სრულიად საქართველო — ეს ნაკლებშემოსავლიანი ცეხი და მშრალზე დაეტოვებინათ მისი ყოველი პირდაღებული მოქალაქე.

ერთ დღეს გიორგი ჩვეულებისამებრ გაემართა ლურჯი მონასტრისაკენ. შაბათი დღე იყო, შემოდგომის ნათელი დღე. ქალაქის მოპირდაპირე მხარეს, მახათისა და ლოტკინის მთების თავზე, ლურჯ ცაში თეთრი ღრუბლები ელვარებდნენ. ჰქროდა შორეული, უშორესი და ვრცელი, ძლივსშესამჩნევი ნიავი. შორს, კავკასიონის ბრწყინვალე ქედის გასწვრივ ქარი აღმოსავლეთისკენ მიერეკებოდა რუხსა და ნაბდისფერ, ბამბისებრსა და ნისლით შემოსილ ღრუბლების ფენებს. ჰაერში იგრძნობოდა დილის მზის სიხალისე, შემოდგომის მათრობელა სურნელი და მოახლოებული ზამთრის ფარული სუსხი. გიორგი მიუყვებო-

და ვერის ბაღის წითელფხვნილიან ბილიკებს და ფიქრობდა ქალზე, რომელსაც მისი გონებისა და გულის ერთი ნახევარი დაეჭირა. ეს ნახევარი თანაბრად ჩაწოლილიყო მის როგორც ჭროლა, მარცხენა, ასევე — ცისფერ მარჯვენა თვალის სიღრმეში. გიორგი ნახევრად სავსე იყო ამ ქალზე ფიქრით, მოყვარული გრძნობით, იმედით, ეჭვით, სიფრთხილით. ცნობიერების მეორე ნახევარი კი მიმართული ჰქონდა კონკრეტულად დღეინდელ დღეზე — როგორ მივიდოდა ლურჯ მონასტერში, როგორ შეხვდებოდა იქ მარინას (ქალს მარინა ერქვა, რაც, უცხო ენაზე, ზღვიურს ნიშნავს), როგორ გამოიხილავდა ისევ უკან, ვერის ბაღის შესასვლელისკენ, ავტობუსის გაჩერებაზე, სადაც ჯვრის მონასტრის მოძღვარი უნდა დახვდებოდა, თავისი სამი თანამგალობლით, როგორ წავიდოდნენ მწუხრისა და ცისკრის ჩასატარებლად ჯვარზე და იქიდან — იმავე მღვდლის მანქანით — დაბრუნდებოდნენ უკან.

გიორგი მიდიოდა და ფიქრობდა მარინაზე — ეს ქალი გაიცნო ლურჯი მონასტრის გახსნის დღეს. იგი სხვა ქალებთან ერთად იქ ტრიალებდა, ახალჩაბრებულ ტაძარს ასუფთავებდა, ხეხავდა და ამზადებდა მღვდლის შესასვლელად. კაცებს მაგიდები და სხვა ათასი ხარახურა გაჰქონდათ ტაძრის დარბაზიდან და საბარგო მანქანაზე ტვირთავდნენ — ეს მაგიდები, ტაბულები, პლაკატები და სხვა მრავალი ნივთი ეკუთვნოდა ტაძარში დაბინავებულ ხალხური მედიცინის მუზეუმს, რომელიც იძულებული გახდა, სხვა შენობაში დაედო ბინა. კაცებს ხარახურა გაჰქონდათ, ქალებს თავზე ხილბანდები წაეკრათ და იატაკსა და კედლებს ასუფთავებდნენ — ყველგან იდო წლობით დაგროვილი ხალხური მედიცინის მტვერი.

სწორედ მაშინ დანახა გიორგიმ მარინა. ეს იყო მასზე ორიოდე წლით უფროსი, თოჯინის მსგავსი გარეგნობის ქალი, რომელსაც ჰქონდა ორად გაყოფილი ღია ფერის თმა, აპრეხილი ცხვი-

რი და დიდი, მოლურჯო თვალები. მისი მინიატურული ტანი და შედარებით გრძელი ხელ-ფეხი გიორგის თვალში მოხვდა, და იგი ბელურას მიამსგავსა. ეს ბელურა დიდი გულმოდგინებით დახტოდა ადგილიდან ადგილზე, ჩეხავდა იატაკის ფილებს, და ერთ მომენტში თავისი მოლურჯო და ღრმა თვალები გიორგის შემოანათა. გიორგის მაშინ ყურადღება არ მიუქცევია მისთვის, მაგრამ მერე და მერე, როდესაც გაიცნო და დაუახლოვდა, შეამჩნია, რომ ეს იყო მხიარული, გულკეთილი და ცოტა ფუქსავატი ადამიანი, რომელთანაც ურთიერთობა ჩხიკვიშვილს ძლიერ უადვილებოდა. ისინი დაახლოვდნენ. ხშირად ერთად მიდიოდნენ ეკლესიიდან შინ. ხშირად გიორგი კინოში, ნაყინზე ან სხვა რამ ადივლას ეპატიჟებოდა მარინას. მარინა კვლავაც ლურჯი მონასტრის მუდმივი მრევლთაგანი იყო. იგი ეხმარებოდა მესხანთლებს, დამლაგებლებს, და საერთოდ, თავისი ცხოვრების დიდ ნაწილს აქ საქმიანობას ახმარდა. მუშაობდა საღვთისმეტყველების კვლევით ინსტიტუტში — განათლებით გეოლოგი ვახლდათ. ქმარს კარგა ხნის წინათ გაშორებოდა. არ ჰყავდა შვილი, არ ჰყავდა დედ-მამა. ცხოვრობდა ვერაზე, ძველ ბინაში, მოხუც ბებიასთან. ეს მოხუცი მანდილოსანი გიორგის პირველი დანახვისთანავე მოეწონა — მასში ხედავდა რაღაც ტრადიციულსა და ინტელიგენტურს. ხშირად დაუჯდებოდა ამ ქალს და წარსულის ამბებს ათხრობინებდა — მოხუცს, თუმცა უკვე სკლეროზი სჭირდა, წარსულიდან გასაოცარი სიცხადით ახსოვდა აბსოლუტურად ყველაფერი, მაგრამ არ ახსოვდა არაფერი, რაც მოხდა გუშინ ან გუშინწინ. იგი სრულიად უმწყო იყო აწმყო ცხოვრებაში.

მარინა უკლიდა ბებიას, დადიოდა სამსახურში, ასწრებდა ეკლესიაში სიარულს, იქ მუშაობასაც და, როგორც გაირკვა, ჰქონდა დაუცხრომელი სურვილი, რომ ეპატრონა და მოეკლო გიორგისთვისაც, ამ აწიწილი, თავქარიანი, საყვარელი და სულელი ბიჭისთვის.



ერთ საღამოს გიორგი მთვრალი მივიდა მარინასთან. ბებია თავის ოთახში შეკტილიყო. მარინამ გიორგი შეიპატიჟა და აქ, მარინას ოთახში, გიორგიმ ლულულითა და ვაჟკაცური შეძახილებით სიყვარული აუხსნა ქალს. იგი შიშობდა, რომ მარინას, რომელიც ეგზომ გულკეთილი იყო და, ამავე დროს — ეგზომ მორწმუნე, მისი სიტყვები შეურაცხყოფად არ მიეღო. იგი თვითონვე დარწმუნებული არ იყო თავის გრძნობაში — მიჩნდა, რომ სქესობრივი ლტოლვა, რაც მას მარინას მიმართ ჰქონდა, იყო არა სიყვარული, არამედ მხოლოდ სქესობრივი ლტოლვა და მეტი არაფერი. სწორედ ეს შეიძლებოდა სწყენოდა, მისი აზრით, ამ ფაქტსა და სულიერ არსებას. მაგრამ, მისდა გასაოცრად, ჯერ ლაპარაკიც წესიერად დამთავრებული არ ჰქონდა, როცა უკვე სრულიად შიშველი აღმოჩნდა მარინას ლოგინში.

დეკემბერი იყო. სიცხვე. ქარი. ხეებიდან ფოთლები ცვიოდა. ღვინითა და სიყვარულით მთვრალი გიორგი ეხვეოდა ქალის ნახ სხეულს და ბედნიერებისგან ცალი — ცისფერი — თვალი ეხუჭებოდა. მალე კიდევ დაეძინა — ჯანსაღი და მშვიდი, ღრმა, უსიზმრო ძილით. თვალი რომ გაახილა, ეგონა, ეს-ესაა დავიძინეო, მაგრამ უკვე დილა იყო. იწვა ფართო ლოგინზე, მარინას გვერდით. ფანჯრებიდან დილის მზის მხიარული ნათელი შემოდიოდა. გიორგი ადგა, ჩუმად გამოემშვიდობა მარინას, ტუჩებში აკოცა და ქუჩაში გამოვიდა. გავიდა ჭავჭავაძის პროსპექტზე, უნივერსიტეტთან, ჩაუარა ჩაის სახლს, გაჰყვა მედიკინის ქუჩას, ჩაუარა და ნიშნისმოკვებით აჰხელა ისტორიის ინსტიტუტის შენობას, ჩაუარა ფილარმონიას, რუსთაველის მეტროს, შემსხტეთა სახლს — გიორგის აესებდა სიხალისე და მომავლის იმედი — გასცდა ლაღიმებს, მიუახლოვდა ფოსტის ძველ შენობას და ამ დროს, ზედ მის წინ, მთავრობის სახლის მხრიდან გაისმა ავტომატის კაკანი, რასაც მოჰყვა რაღაც უფრო მსხვილკალიბრიანი იარაღის საშინელი გრუხუნი. — თავგზააბნეული

გიორგი გაიქცა ქვემოთ, ჯორჯიაშვილისა და ძნელადის ქუჩებისკენ, იქ მცირე ხანს შეჩერდა — სროლა არ წყდებოდა. არ წყდებოდა და არა. ასე დაიწყო თბილისის დიდი ომი, რომელშიაც პრეზიდენტმა და მისმა მინისტრმა ნახევარი ქალაქი დაანგრეს.

მას მერე თითქმის წელიწადი გავიდა. გიორგი კვლავ ხშირად ხვდებოდა მარინას. ხშირად მასთანაც რჩებოდა ღამით. და უკვე ფიქრობდა, რომ ცოლად შეერთო. მაგრამ მარინა, რატომღაც, თავს არიდებდა მის წინადადებას. იგი ამბობდა, სჯობს ასე, შორიდან — არაცოქმურულად შევეტრფოდეთ ერთმანეთს, თორემ, ვაითუ სიყვარული, ცოქმრობის ყოველდღიურობის კალაპოტში მოხვედრილი, დაშრეს და სულაც დაიკარგოს. გიორგის ეს, ცოტა არ იყოს, აოცებდა, მით უმეტეს, მარინასგან, რომელიც მორწმუნე, ეკლესიური ქალი იყო, ხოლო ეკლესიის კანონების მიხედვით — გიორგიმ იცოდა — ქალ-ვაჟის ამგვარი ცხოვრება სიძვას უტოლდება. ამაზე კიდევაც ესაუბრა მოძღვარს. მოძღვარი, თავის მხრივ, მარინას ესაუბრა. გიორგიმ ვერ შეიტყო, რა უპასუხა მოძღვარს მარინამ, მოძღვარმა მხოლოდ უთხრა, კიდევ ცოტა ხანს მოეცადა და თუ ქალი ისევ უარზე იდგებოდა, თავი დაენებებინა მისთვის. ამან გიორგი უდიდესი სევდითა და ეჭვით აავსო. იქნებ მარინას იგი სულაც არ უყვარდა და მისგან მხოლოდ ფიზიკური სიამოვნება სწყუროდა? იქნებ ვინმე, სხვა ჰყავდა მიზანში ამოღებული? ამაზე მარინამ გაიცინა და უთხრა: „შე სულელო, სულელო ბიჭო! დამაცადე ცოტა ხანი, გაზაფხულზე გეტყვი პასუხს!“

გიორგი მიჰყვებოდა ვერის ბაღის ბილიკებს. ჭადრაკის სასახლეს ქვემოთა მხრიდან აუარა გვერდი, გასცდა სანაპიროზე ჩასასვლელ კიბეებს და მიუახლოვდა ლურჯ მონასტერსაც. აქ გვერდივერდ დგას ორი ეკლესია — რუსული, იოანე ღვთისმეტყველის სახელობისა, და ქართული — ლურჯი მონასტერი. შაბათი დილა იყო. ლურჯ მონასტერში,

თუმცა წირვა უკვე გათავებულიყო, მაინც მრავლად იყო ხალხი. ამბიონზე გიორგის ძმა შემდგარიყო და გატაცებით ქადაგებდა. გიორგი შევიდა და თვალის ერთი გადავლებით დააფიქსირა, რომ მარინაც სადღაც, აქ იყო, მრევლს შორის. მათი ურთიერთობის ამბავი არავინ იცოდა მოძღვრის გარდა, არც თვით გიორგის ძმამ. და ეს საიდუმლო გიორგის რაღაცნაირი სიამოვნებითა და გამოუცნობი თრთოლვით ავსებდა — მაგრამ რაღა დარჩებოდა ამ გამოუცნობი თრთოლვისაგან, თუკი ისინი მართლაც ოფიციალურად დაქორწინდებოდნენ? არაფერი. სრულიად არაფერი.

მარინა სადღაც, აქ იყო, ამ ადამიანებს შორის — გიორგი გრძნობდა ამას. ხალხი იდგა და სულგანაბული უსმენდა მირიანს, რომელიც შთაგონებული სახით ქადაგებდა. წარბები მალლა აეძვება, თხელი შავი თმა-წვერი შავი ღომის ფაფარით გაშლოდა და შუშისებრი თვალების მტკიცე მზერა მრევლის მიღმა, უხილავი ორიენტირისთვის მიეპყრო. მის ხმას დაჰკრავდა რაღაც უსიამო, მეტალისებრი ელფერი.

— ნუ გავამბარტავანდებით! ნუ გავამბარტავანდებით! — გაჰყვიროდა იგი, — რომელმა ერმა დაანგრია თავისი ტაძრები? რომელმა ერმა გაანადგურა თავისი საუკეთესო შეილები?! მღვდლებსა და ბერებს ტყის ნადირებივით დასდევდნენ. გაიხსენეთ ამირანის თქმულება: ამირანი ღმერთმა ყველაფრით შეამკო, მაგრამ მან ეს არ იკმარა — ქვეყნად თავისი მოძრევი რომ ვეღარ ნახა, ისე გაკადნიერდა, თვით ღმერთს მოუნდომა შებმა. ამისთვის ღმერთმა იგი დასაჯა და მიაჯაჭვა კლდე. გაიხსენეთ ლოდი შებრკოლებისა — ვინც ამ ლოდს დაეცემა, დაიმსხვრევა, როგორც თიხის ჭურჭელი. ჩვენი ერი უკვე დაეცა ამ ლოდზე. მაგრამ ვისაც ეს ლოდი დაეცემა და ქვეშ მოიტანს, გასრისავს! გესმით?! გასრისავს! წაშლის პირისაგან მიწის! ფრთხილად იყავით! ფრთხილად! მთელს ჩვენს ერს ემუქრება ეს ლოდი! დაფიქრდით, ვაითუ მართლა დაგვეცეს და წარ-

გვხოცოს ამა ქვეყნიდან! — გაჰყვიროდა იგი ტაძრის სიჩუმეში და ადამიანები, როგორც მთვარეულები, იდგნენ და უსმენდნენ. ხოლო მირიანის ცნობიერება, როგორც მესაჭის გარეშე დარჩენილი ხომალდი, მიჰყვებოდა რეალობისა და არარეალობის სიზმარულ ფართო მდინარეს.

— მე ბევრი მეკითხება, უნდა მიეღოთ თუ არა მონაწილეობა არჩევნებში. ეს არის სრულიად უაზრო შეკითხვა: გაიხსენეთ ფსალმუნი, სადაც წერია, რომ კეთილი მეფე არის ის, რომელიც დაამშვიდებს ქვეყანას, ხოლო ბოროტი მეფე — რომელიც აურევს და ურთიერთბრძოლის გზაზე დააყენებს ქვეყანას. მე ვიყავი არჩევნებზე. მივედი და ხმა მივეცი იცით ვის? გვარსა და სახელს არ გამოვაცხადებ — სიაში მოვნახე ერთი კანდიდატი, რომლის შესახებაც ეწერა, რომ იგია მორწმუნე, ამა და ამ ეკლესიის წევრი, და მე სწორედ მისი გვარი შემოვხაზე. თქვენ მკითხავთ: რატომ?! — მირიანმა ვიჟური მზერა მოაველო გასუსულ მრევლს, — რატომ და იმიტომ, რომ მთავრობა უნდა იყოს, პირველ რიგში, მორწმუნე. მხოლოდ და მხოლოდ მორწმუნე მთავრობა დააყენებს ერს ხსნის გზაზე. სხვა არავინ. რით დაიმსახურეს კომუნისტებმა ხალხის გულისწყრომა?! — იმით, რომ დააქციეს ეკლესიები, რომ არ სწამდათ უზენაესი ძალა! ახლა კი, როცა ჩვენ შეგვიძლია, ჩვენი მთავრობა თვითონვე ავირჩიოთ, ჩვენ ხმა უნდა მივცეთ ისეთ ადამიანებს, რომლებიც ერს ფეხზე წამოაყენებენ! სხვას არავის. ჩვენმა ერმა უნდა იაროს რელიგიის გზით! ჩვენთან უნდა იყოს არა დემოკრატია ან ფაშიზმი, არამედ — ღვთის მოშიშება! აი, ეს არის ერის ხსნის ერთადერთი გზა... ახლა მე გკითხავთ თქვენ: რომელი თქვენგანი ფიქრობს, რომ სულიერი საზრდო აღემატება მატერიალურს?! თქვენ თუ დაფიქრებულხართ ფსალმუნის სიტყვებზე: „მიუტყვე უფალს ზრუნვა შენი და მან გამოგზარდოს შენ?!“ — აი, სწორედ ეს არის ჩვენი დაცემის ერთ-ერთი მიზეზი — რომ ჩვენ უარი



ვთქვით სულიერ საზრდოზე და გამოვედევნეთ ნივთიერ შესაძინელს. ახლა ათასობით ადამიანი შიმშილის საფრთხის წინაშე დგას. რა არის ამის მიზეზი? რა არის მიზეზი ამდენი სტიქიური უბედურებისა?! — ის, რომ ადამიანი აღარ ექებს სულიერ საზრდოს. სულიერება კი სად იწყება? — სულიერება იწყება იქ, სადაც ადამიანი ერთხელ მაინც დაივიწყებს თავის თავს და მცირედს მაინც გააკეთებს ღმერთისათვის. პირველ რიგში, საჭიროა, სწორად გადავიწეროთ პირვეარი — აი, ასე! — მან სამი თითი შეატყუება და პირვეარი გადაისახა, — ისე კი არა, როგორც ზოგიერთები, ნაუცბათევედ რომ გადაიწერენ ხოლმე ჯვარს: ნუთუ ესეც გვეზარება?!.. ამ თემაზე მე დღეს მეტს აღარაფერს გეტყვით. ახლა მინდა ყველას გითხრათ, რომ ჩვენთან შემოსულია ჰუმანიტარული დახმარება. ახლა, როდესაც მე ლაპარაკს დავამთავრებ, ყველანი მოხვალთ აქვე, ტაძრის ეზოში, ჩემგან ხელმარჯვნივ, სადაც ეკლესიის ზარი ჰკიდა, და მე დაგირიგებთ ტალონებს, რომლებითაც თქვენ საშუალება გექნებათ, მიხვიდეთ საპატრიარქოში და გამოიტანოთ თითო კილოგრამი ჰუმანიტარული ხორცის კონსერვი და კვერცხის ფხენილი. ვისაც სამ შვილზე მეტი ჰყავს, მიეცემა დამატებითი ტალონები. ასევე დამატებითი ტალონები მიეცემათ ინვალიდებს და ომის ვეტერანებს. — მირიანმა ამოიღო დაკეცილი ტალონები და ჰაერში გააქნია. ხელგაწვდილმა ხალხმა მისკენ დაიწყო დენა. და ამ დროს გიორგიმ დაინახა მარინა, რომელსაც ხელში ცოცხი ეჭირა და ადამიანთა მდინარის საწინააღმდეგო მიმართულებით მოიწედა — ჩანდა, აპირებდა მათი გასვლის შემდეგ ტაძარი გამოეგავა. თავზე თავსაფარი წაეკრა, პალტო გახდილი ჰქონდა და, სხვა ქალებისგან განსხვავებით, ეცვა ძლიერ მოკლე კაბა.

— მარინა, — გაუმახა გიორგიმ.

მარინამაც დაინახა იგი და მხიარულად გაუღიმა.

— როგორა ხარ, ბიჭო?

— შენ როგორა ხარ?

მათ ირველივე ადამიანთა სხეულები მოძრაობდნენ. მარინა გიორგის მიუახლოვდა და გიორგიმ იგრძნო ძლიერი ფიზიკური მიზიდულობა.

— სად დაიკარგე? — ჰკითხა.

— სად დაიკარგეო, გუშინ არ გნახე? — გაუკვირდა მარინას და სიხარულით გაიცინა — მისი ფართო კბილები თეთრად აელვარდა. გიორგიმ ხელი მკლავზე მოჰკიდა და თვალებში შეხედა.

— რას შერები, რას აპირებ?

— ტაძარი უნდა გამოვგავო, — მიუგო მარინამ.

გიორგიმ მიმოიხედა — მირიანი ამბონიდან ჩამოსულიყო და გასასვლელისკენ მიემართებოდა. ხალხიც მდინარესავით მიჰყვებოდა თან.

გიორგი და მარინა ხალხის ნაკადმა რამდენჯერმე აქეთ-იქით მიმოატრიალა, მერე ტაძარი დაიცალა და ისინი მართონი დარჩნენ.

— ჩამოვსხდეთ, — თქვა გიორგიმ.

— იცი რა, დამიცადე, საქმეს უცებ მოვათავებ და ერთად გავიღებთ აქედან, — შესთავაზა მარინამ.

— კარგი. ოღონდ მე დღეს ჯვარზე ვარ ასასვლელი. შენ რას აპირებ?

— მე თორნიკეს უნდა შევხვდე, — მიუგო მარინამ.

— რომელ თორნიკეს? — გაუკვირდა გიორგის.

— თორნიკეს, ფილოსოფოსს. არ გახსოვს, სათვალის ბიჭია, ჩემი ამხანაგი.

— აა, ჰო, როგორ არ გახსოვს. ჩამოვიდა გერმანიიდან?

— რამდენი ხანია.

— წასვლას აღარ აპირებს?

მარინამ გაიცინა:

— არა მგონია.

გიორგის ახსოვდა თორნიკე — ეს იყო მასზე ხუთიოდე წლით უფროსი, ტანმალალი, სათვალისანი კაცი, რომელიც ფილოსოფიურ და პოლიტიკურ წრეებში ცნობილი იყო, როგორც გონიერი, განათლებული და თანაც საკმაოდ პრაქტიკული პიროვნება. მისი რამდენიმე

საგაზეთო წერილი — დღევანდელი სიტუაციის ანალიზი — გიორგის წაკითხული ჰქონდა და ძლიერ მოსწონდა. თორნიკე და მისი მეუღლე მარინას ახლო ამხანაგები იყვნენ და გერმანიაში წასვლამდე (იქ მათ ექვსი თვე დაჰყვეს) მარინა ხშირად დადიოდა მათთან. ერთხელ გიორგიც მიიყვანა. გიორგი იჯდა, ჩხიკვივით აცეცებდა თავის სხვადასხვა ფერის თვალებს და ცდილობდა საერთო ენა გამოენახა თორნიკესთან, თორნიკე კი კეთილი, თვითკმაყოფილი ღიმილით აგრძნობინებდა, რომ მასთან საერთო არაფერი ჰქონდა, რომ იგი იყო მასზე უფროსი, განათლებული, ჭკვიანი და, საერთოდ, ცხოვრებაში გასული და ცხოვრებისაგან დაღლილი, თუმცა — მაინც აქტიური ადამიანი.

— თორნიკეს რატომ უნდა შეხვდე? — ჰკითხა გიორგიმ.

— მეტეხში მპატიჟებს, — სიცილით მიუგო მარინამ.

— რა, გამდიდრდა?

— აბა?! გერმანიიდან მარკები ჩამოიტანა.

— მართო გაპატიჟებს? — გიორგიმ მარინას ეჭვით გადახედა.

— არა, შე სულელო, გერმანელი სტუმრები ჰყავს.

— ჰოო, — თქვა დაფიქრებით გიორგიმ.

— კარგი, მომიცადე ერთი წუთი. ეხლავე გამოვკვი და გავიდე, — თქვა მარინამ და ტაძრის კუთხისკენ გაემართა. გიორგი კი იქვე, ძელსკამზე ჩამოჯდა, სამხრეთის კედელთან, მესანთლის მაგიდის სიახლოვეს. იჯდა და უყურებდა, როგორ გვიდა მარინა ტაძარს — გამხდარი ფეხებით თავივით დაცუნცუნებდა აქეთ-იქით. გარედან, ტაძრის ეზოდან ისმოდა მირიანის შემახილები და მრეკლის ჩოჩქოლი. ტაძარში რამდენიმე ადამიანი შემოვიდა. სანთლები იყიდეს. მერე გიორგიმ დაინახა თავისი ყოფილი თანამშრომელი, მწერალი. ადრე, ისინი ერთად მუშაობდნენ „მატიანეში“. მერე მწერალი გადავიდა რომელიღაც სხვა, ლიტერატურული ჟურნალის რედაქციაში, და მას შემდეგ გიორ-

გის იგი აღარ ენახა. ეს იყო ორმოცდახუთიოდე წლის შავკერემანი, შავწვერულვაშა ტანმაღალი კაცი, რომლის ვაჟკაცურ სახეს ეტყობოდა ჩუმი და ღრმა სევდისა და რალაცნაირი დაბნეულობის კვალი. გიორგიმ იცოდა — მას პირველი ცოლი ავტოკატასტროფაში დაეღუპა ამის შემდეგ მეორედ დაოჯახდა, შვილიც შეეძინა. მერე ამ მეორე ოჯახსაც გაშორდა სხვა ქალის გამო. იგი იყო დინჯი და ევოცენტრული კაცი. ხშირად სვამდა. მიკროინფარქტიც ჰქონდა გადატანილი — ჩვეულებრივ კურთხეულ მხარეში ხომ მწერლებს მუდამ ინფარქტი მოსდით — ძირითადად, სმისგან გამოწვეული. ცხოვრობდა ქალაქში, წერდა სოფელზე, უფვარდა სოფელი, მთა, ბათინკები, მარკესი და ჰემინგუეი. შეჭალარაკებული წვერიც ჰემინგუეის მსგავსად შეეკრიჭა.

გიორგი წამოღდა.

— ლალო, გამარჯობა!

ლალო შემობრუნდა და შავი თვალების ნაღვლიანი და განურჩეველი მზერა მიაპყრო ჩხიკვიშვილს.

— ვაჰ, გიორგი! როგორა ხარ, ჯიგარო?

მას ჰქონდა კეხიანი ცხვირი და შავი წარბები. გიორგი აშკარად ხედავდა კანის ფორებს მის შავკერემანსა და გაფითრებულ სახეზე. ლალო საუბრობდა ბოხი და მკერდისმიერი, ოდნავ დაქანცული და ირიბი ქართული ხმით.

— აქ რას აკეთებ? — ჰკითხა გიორგის.

— შენ რას შერები, გული როგორა გაქვს?

— ეეჰ, რა ვიცი, — ლალომ გულზე ხელი მოისვა, — თქვენი ჟურნალი კიდევ გამოდის?

— ცოცხალმკვდარია რა, — ხელი ჩაიქნია გიორგიმ. — რედაქტორის წასვლის შემდეგ მთლად დამუხჯდა.

— ეხლა ვინ არის რედაქტორი? — ჰკითხა ლალომ.

— ჯიმშერა.

— ჯიმშერა! — ლალომ ჩაიციხა, — როგორ არის ეგ ნაძირალა?

— არის რა, ათასში ერთხელ შემოივლის.

ლადომ ისევ ჩაიცინა.

— შენ რას შვრები, არაფერს არ წერ?

— ჰკითხა გიორგის.

— არა. რა უნდა დავწერო ამ უბედურ დროში, — ჩხიკვივით დაიჩხავლა გიორგომ.

— რაღაც უნდა გააკეთოთ, ძმაო, ეგრე არ შეიძლება. — ღრმა და ხავერდოვანი ხმით უთხრა ლადომ. — ეს კაი გოგო ვინ არის?!

გიორგომ მის მზერას თვალი გააყოლა და დაინახა მარინას მოკლე კაბა და წვიკები — მარინა ტაძრის კუთხეში წახრილიყო და ცდილობდა სკამის ქვეშედან მტკვერი გამოეგავა.

— ჩემი ამხანაგია.

ლადომ ზეაწეული წარბების მზერა შეაეღო გიორგის.

— შენ ცოლ-შვილი ხომ გყავდა? — ჰკითხა.

— მყავდა.

— ბავშვი რამხელაა?

— ხუთი წლის.

— ფონაქ, ფონაქ, ძმაო, — დინჯად თქვა ლადომ. — ერთი გყავს, არა?

— ერთი, — გიორგომ თავი დაუქნია.

— კარგია, — თქვა ლადომ და გიორგის თვალი შეაეღო. მერე დაამატა: — ოღონდ ეგ არის, სამსახურის ამბავი უნდა მოგვარო. ძალიან სლაბადა ხარ. ეგრე გაგიჭირდება თავის შენახვა.

— რატომ, ინსტიტუტში ნორმალური ხელფასი მაქვს. „მატიანეც“ მაძლევს შემოსავალს.

— ეჰ, მატიანე არა! — ხელი ჩაიქნია ლადომ. მისი შავი თვალები ისევ ღრმა და შეუპოვარი მზერით ათვალეერებდნენ მარინას შავად შემოსილ ფეხებს. მერე მარინამ ცოცხი შეაჩერა და მათკენ წამოვიდა.

— დაამთავრე? — ჰკითხა გიორგომ.

— ერთი ეკვდერი დამრჩა, — თქვა ნახი ხმით მარინამ და ინტერესით ააყოლა თვალი ლადოს.

— ეს ლადოა, მწერალი, ჩემი ყოფილი თანამშრომელი.

— ძალიან სასიამოვნოა, — თქვა მარინამ და მისი მოღურჯო თვალების სიღრმეში რაღაც ამოტრიალდა.

ლადომ თავაზიანად, მაგრამ ოდნავ და ძლივსშესამჩნევად დახარა თავი. იგი ისევ დინჯად იდგა ქვის უძველეს იატაკზე.

უეცრად გიორგომ იგრძნო, რომ ლადოსა და მარინას შორის რაღაც უხილავი სიმბათიის ძაფები გაიბა.

— მალე წამოხვალ? — ჰკითხა მარინას და ჭროლა თვალი აუთამაშდა.

— ახლავე, გიორგი, — მიუგო მარინამ. მისი მზერა ისევ ღრმა და ირიბი გზებით აუყვა ლადოს ბრგე სხეულს. — ეს იყო ჭარმაგი, გამოცდილი და თავის თავში დაჯერებული კაცი, რომელსაც ამქვეყნად აღარაფერი უკვირდა, აღარაფერს შეეძლო მისი წონასწორობიდან გამოყვანა. და ამავე დროს მის ბუნებაში იყო რაღაც მოუხელთებელი, ბიჭური და შეუპოვარი. მან ღრმა თვალთა მზერა მიაბჯინა მარინას და რაღაცნაირი, მეოცნებე ხმით თქვა:

— კარგია ალბათ აქ მუშაობა.

გიორგომ მიმოიხედა. თავს ისე გრძნობდა, როგორც ბურატინო. მისი ხის გრძელი ცხვირი უშნოდ გამოჩნებრილიყო ტაძრის ძველთაძველ კედლებში.

— ეჰ, რა ხანია, რაც ეკლესიაში არ შემოვსულვარ! როგორი უცვლელია აქ ყველაფერი! — ნაღვლიანად თქვა ლადომ და ამ ნათქვამში აბსოლუტური მართლობა გამოსჭვიოდა.

„მართლაც, რა უცვლელია“, — იფიქრა გიორგომ და უეცრად თავისი ჭროლა თვალთ დაინახა, თუ იგრძნო, რომ მარინას მკერდში თითქოს რაღაც, ღრმად ჩამარხული უხილავი გუნდა შეიჩხა — თითქოს ნაყოფი იძრა. მარინამ ლადოს შეხვდა და მეოცნებე ხმით წარმოთქვა:

— რატომ! აქ ბევრი სიახლეა. აი, ეს ჯვარი, მაგალითად, ადრე აქ არ იყო. ხომ ლამაზია?

ლადომ ჯვარს წამითაც არ შეხვდა — იგი თითქოს საკუთარი თავის შიგნით იყურებოდა. ჩაიცინა და რაღაცნაირი, მთიულური აქცენტით ნაღვლიანად თქვა:

— ლამაზია!

და გიორგიმ შეამჩნია, რა სწრაფი ინტერესით შეხედა — თუმცა, თვალი არ გაუტოკებია — მარინამ კაცს.

ეს თვალთა უცნაური და უძრავი მოძრაობა რამდენიმე წამს გრძელდებოდა. მერე გიორგიმ ხის კაცუნას ხმით წამოიძახა:

— მარინა, თუ მოდიხარ, წამოდი.

— ახლავე, ბიჭო! — მარინამ ახლავდა დიანახა, რომ ცოცხი ისევ ხელში ეჭირა. მესანთლეს მიუახლოვდა, ცოცხი გადასცა და რაღაცის ახსნა დაუწყო. გიორგიმ დაინახა — ლაღომ უკნიდან შეათვალა მარინას მინიატურული, მაგრამ მოხდენილი ფიგურა.

— შენ რას შერებს, ლაღო, წერ რამეს? — ჰკითხა გიორგიმ.

ლაღომ იგი პასუხის ღირსად არ სცნო. შეხედა და სულ სხვა რამ მიუგო:

— ჯიმშურა როგორ არის, ეგ ნამირა-ლა?

— რა უჭირს, — მიუგო გიორგიმ და გაიცინა. — იმ დღეს შენი წიგნი მოიტანეს. ჯიმშურაც გამოგიყვანია მოთხრობაში. ყველამ თავისი თავი იცნო.

ლაღომ ღრმად ჩაიციხა და თქვა:

— რაო, ხომ არ ეწყინა ლეონტიჩს.

— არა მგონია, — თავი გააქნია გიორგიმ, — ახალ წიგნს ხომ არ სცემ?

— ეექვ! ვინ გამოგიცემს რამეს, თვითონვე თუ არ მიხედვ თავს. — მეოცნებე ხმით ხელი ჩაიქნია ლაღომ და შორეთში გაიხედა — სადღაც, ტრამალებისაკენ, — იქ მარინა ელაპარაკებოდა მესანთლე ქალს. მაგრამ ამჯერად ლაღოს მზერას იგი არ დაუფიქსირებია.

მერე მარინა ისევ მათთან მოვიდა. გიორგიმ დაინახა — იგი არაჩვეულებრივად ნაზი და ლამაზი იყო — და იგრძნო, რომ ისე უყვარდა, როგორც, შესაძლოა, სინამდვილეში არც არასოდეს ჰყვარებია.

— წავიდეთ, მარინა? — ჰკითხა.

— წავიდეთ, — თქვა მარინამ და ლაღოს აპხედა, — მოდით ხოლმე ეკლესიაში, — უთხრა გრძნობით.

— აუცილებლად, — მიუგო ლაღომ.

მარინამ ხელი გაუწოდა. მისი პატარა და რბილი, თეთრი მტევანი ლაღოს დიდსა და ძელოვან, მუქ ხელში აღმოჩნდა. გიორგიმ თვალები დააბეცა. თან ხედავდა, რომ ეს ხელთა შეხება ოდნავ იმაზე მეტ ხანს გაგრძელდა, ვიდრე, საზოგადო წესით, უნდა გაგრძელებულიყო. მარინას რბილი სხეული და მილურჯო თვალთა ზღვისებრი მზერა რაღაც უხილავ, მოლოვლივე ტალღებს გამოსცემდა. ხოლო ლაღოს წიაღში შენივთულიყო უდიდესი და უღრმესი თვითდაკვირვება და თანაგრძნობა, რომელიც შიგნიდანვე არღვევდა მთელი ამ სოფლის ამოებებს.

მერე მათ ხელი გაუშვეს და ღრმა თვალთა ერთი მხრივ — ცისკროვანი და მეორე მხრივ — კუნაპეტი მზერა მოსწყვიტეს ერთმანეთს.

გიორგი კარისკენ წავიდა. მარინაც თან მიჰყვებოდა. გიორგი გრძნობდა — ჩხიკვისებრი ქოჩორი თავზე ისე ედგა, როგორც რომელიღაც სხვა ფრინველის — მაგალითად, ოფოფის! — საკარც-ხელი. ეკლესიის მძიმე ბინდუნდმა მისი აწოწილი სხეული მსუბუქად გამოსტყორცნა გარეთ. ლაღო, თავისი კუნაპეტი და უძრავი სულით, შიგ დარჩა.

— ახლა საით? — ჰკითხა მარინამ.

— ჯვარზე, — მოკლედ მიუგო გიორგიმ. — შენ?

— მე თორნიკეს უნდა შევხვდე, ხომ გითხარი. დღეს დაპატიჟებული ვყავარ, — თქვა მარინამ და ხელკავი გამოსდო. მარინას მკერდი ძველებურად მიეკრო გიორგის მკლავზე, მაგრამ გიორგიმ იგრძნო, ამ მკერდში თითქოს არაფერი იძროდა.

ვერის ბაღში შეღრმავდნენ და სამანქანო გზას მიაღწიეს. აქ, მოასფალტებულ მოსახვევში, ხეების ჩრდილქვეშ, იდგა მცირელიტრაჟიანი თეთრი „ზაპოროჟეცი“, რომლის საჭეს მისჯდომოდა თორნიკე — ეს სათვალაანი, კმაყოფილი და კეთილი, ღრმა ფილოსოფოსი.

— აი, თორნიკეც, — თქვა მარინამ და ხელი დაუქნია, სანამ თორნიკე მოჭუტული თვალებით მათს გარჩევას ცდილობ-



და, — წავედი, გიორგი! რომ წამოსულიყავი, კარგი იქნებოდა, — მაგრამ ალბათ ჯვრის ლოცვას არ გააცდენ.

— ჯვრის ლოცვას ვერ გავაცდენ, — გახევებული ხმით მიუგო გიორგიმ.

მარინა შეჩერდა და ყურადღებით ამოჰხედა.

— რა იყო, რაღაც ვერა ხარ ხასიათზე!

— არაფერი! — მიუგო გიორგიმ და მარინამ მისი ეს ნათქვამი მოულოდნელი ხალისით დაიჯერა.

— საღამოს დამირეკე! — გადაულაპარაკა გიორგის და მანქანისკენ გაცუნცულდა — იქ მანქანის თეთრი კარი უკვე გამოქვლილი თორნიკეს. მარინა ჩაჯდა. კარი მიხურა. გიორგი კი ისევ ისე იდგა და თორნიკეს შესცქეროდა. ისიც მოჭუტული თვალებით, კეთილი ღიმილით მოსჩერებოდა.

— გამარჯობათ, ჩემო ბატონო! — თქვა თორნიკემ თავისი ჩვეულებრივი, ოდნავ კეთილი და ოდნავ ირონიული ღიმილით.

— გამარჯობათ, — ყრუდ მიუგო გიორგიმ, რომლის წიაღშიც მიწაზე ევლო წყლით გაგუდული და დასველებული ჩხიკვი.

— თქვენ არ წამოხვალთ ჩვენთან ერთად?

— არა, ლოცვაზეა წასასვლელი, — მოესმა გიორგის მარინას ხმა.

— სამწუხაროა, — გაბადრული სახით შემოჰხედა თორნიკემ, — ესე იგი, რჩებით?!

— დიახ. ალბათ უკვე მელოდებიან. — თქვა გიორგიმ და გაახსენდა მგალობელი ამხანაგები.

— რა გაეწყობა, — მხიარულად თქვა თორნიკემ, — ხომ იცით, გარესამყარო ისე როდია მოწყობილი, როგორც ჩვენ ვისურვებდით. სამწუხაროდ, ყოფიერება ხშირად მართლაც განსაზღვრავს ჩვენს ცნობიერებას. როგორც ვიცი, ეკლესიაში მღერით, არა?

— დიახ, ვგალობ, ჯვრის მონასტერში,

— თქვა გიორგიმ და უხერხულობა იგრძნო.

— ისე, რა საინტერესოა, რომელ შემთხვევაში დარჩებოდით მოგებული: ჩვენთან რომ წამოსულიყავით, თუ ახლა, ჯვარზე რომ უნდა ახვიდეთ? ალბათ ამის მიხედვით უნდა ავერჩიათ, არა? — ჰკითხა თორნიკემ. მისი სახე სიზმარულ ვაშლივით ღივიღივებდა „ზაპოროჟეცის“ ღია ფანჯარაში. მსუქანი ხელები საჭეზე ეწყო და მანქანის დაძვრას თითქოს არც აპირებდა, თუმცა უკვე აუხმაურებინა მოტორი.

— ჰა? საინტერესოა, არა? რომელ შემთხვევაში დარჩებოდით მოგებული?

— ალბათ არც ერთში, — მიუგო გიორგიმ და გამხდარი მხრები აიჩინა.

— არც ერთში? — დაფიქრებით თქვა თორნიკემ. — არა მგონია! ასეთი შესაძლებლობა ალბათ გამოირიცხულია. აი ახლა ჩვენ ორნი შევხვდით ერთმანეთს სივრცე-დროის კონკრეტულად ამ წერტილში. მე მიმყავს თქვენი ქალი. კარგად გამიგეთ. თქვენ კი ვერაფერს გააწვობთ, რადგან მოვალეობის გრძნობითა ხართ შეკრული. ერთი წუთით წარმოვიდგინოთ, რომ თქვენ უკუაგდეთ ეს მოვალეობა. მაშინ საშუალება მოგეცემოდათ, კვლავ მოგეპოვებინათ ქალი. მაგრამ ეს შანსიც არ იქნებოდა ცალსახა. შესაძლოა ამ ვარიანტშიც, რაღაც თქვენგან დამოუკიდებელი და თქვენზე აღმატებული მიზეზის გამო ქალი მაინც დაგეკარგათ. ეს ძალიან საინტერესოა. გიფიქრიათ ამაზე?

— დიახ. — მიუგო გიორგიმ.

— მაშინ, ხომ არ არის თქვენი მოვალეობის გრძნობა უბრალო დაცვითი მექანიზმი, — ამ ალტერნატივის, ამ გაურკვეველი სამყარო-ში ღიაობის მარედუციონებელი საშუალება? იქნებ ამ ვალდებულების აღებით, — რომ ლოცვაზე ხართ წასასვლელი, — თქვენ თავს არიდებთ მოსალოდნელი რეალური ბრძოლისა და რეალური დამარცხება-გამარჯვების პასუხისმგებლობას?!

— არა მგონია, — დაიხზავლა გიორგის შიგნით გაგულულმა ჩხიკვმა.

— მაშინ, — ღიმილით თქვა თორნიკემ, — თქვენ დაჩაგრულად არ უნდა მიგანდეთ თავი. არ უნდა ნანობდეთ, რომ გარკვეული ჯერარსი, რაც ჩვენთან წამოსვლის შემთხვევაში უნდა განხორციელებულიყო, თქვენთვის დაკარგულია. შესაძლოა სწორედ ახლანდელი არჩევანი გახდეს იმის პირობა, რომ ყოველივე, რაც ყოფიერების ამ წერტილში თქვენთვის გამზადებულია, და რაც თქვენი ასეთი და სწორედ ასეთი არჩევანის გამო უკვე დაკარგეთ, ოდესმე ამავე სახით კვლავ წამოიჭრას თქვენს წინაშე. ეს სავესებით დასაშვებია. მაგრამ უფრო სავარაუდოა საწინააღმდეგო ვარიანტი: თქვენი ახლანდელი გადაწყვეტილებით თქვენ ერთხელ და სამუდამოდ ირჩევთ გარკვეულ ყოფნის წესს. და ეს ყოფნის წესი მადეტერმინირებულ ფაქტორს წარმოადგენს თქვენი შემდგომი არსებობისათვის.

— თქვენ რა, დამცინით?! — ჰკითხა გიორგიმ.

— არა, ჩემო კეთილო, როგორ გეკადრებათ! მე მხოლოდ რამდენიმე სავარაუდო მოსაზრება გამოვთქვი. ახლა კი კარგად ბრძანდებოდეთ, — მიუგო თორნიკემ და საჭეს მიუტრიალდა.

— მე თქვენს მანქანას გადავებრუნებ! — აღმოხდა გიორგის.

— ბატონო?

გიორგი უსიტყვოდ დაიხარა, გრძელ ხელები ქვემოდან ამოსდო „ზაპოროჟეცს“, უნდოდა მიწისთვის მოეწვევია და გვერდზე გადაემხო, — იქ, ვისი განაპირას, მანქანის იქით, მოჩანდა მცირე სიღრმის თხრილი. თორნიკემ შემფოთებული სახით გამოიხედა მისკენ. სათვალის ღიზნებში მისი თვალები უფერული და გაყინული ჩანდა.

მანქანის კარკასი იოლად დაემორჩილა ძალდატანებას. მაგრამ მალე მას მოჰყვა მანქანის ძირითადი მასა — ძრავა, ღერძები, ლითონის მილები და ტრანსმისიები. გიორგიმ წინ უბიძგა. კიდევ უბიძგა. იცოდა, რომ მართლაც შეეძლო

გადაებრუნებინა ეს მცირეელტრაჟიანი მანქანა, როგორც სიზმარში, როდესაც ყოველი ნივთი გამსჭვალულია სიზმრისეული უწონადობითა და უცნაური არანივთიერი მიზანშეწონილებით. და მართლაც, მანქანის იქითა ბორბლები უეტრად თხრილში ჩაყარდა. მანქანა გვერდზე გადაფერდდა. მოულოდნელობისაგან დაბნეული თორნიკე მარჯვნივ მიაწყდა თითქმის ზედ დაეცა კარებთან მიყუჟულ მარინას. მარინამ შეჰკვივლა. გიორგი ხედავდა გვერდზე გადახრილი მანქანის ფანჯარაში მისკენ ამოტრიალებულ თორნიკეს მსუქან და გაოგნებულ სახეს, და მის უკან — მარინას გაფართოებულ თვალებს, რომლებიც მას უყურებდნენ შიშით, როგორც ფსიქიატრიულიდან გამოქცეულ პაციენტს.

გიორგიმ მანქანას ხელი უშვა. შებრუნდა და ბაღის გასასვლელისკენ გაემართა. მის უკან ბორცვზე მდგარი ქუჩის ბიჭები რაღაცას გაჰყვიროდნენ. გიორგიმ მათ გვერდი აუარა და ისე წავიდა, რომ მარინასკენ აღარ მიუხედავია უკნიდან ესმოდა „ზაპოროჟეცის“ ძრავის მოწადინებული ხროტინი. გასცდა ბავშვების ჭრელ და წითელ სათამაშოებს, სამთვლიან ველოსიპედებით მქროლავ პატარებს. მათ მშობლებს, და მიადწვია დამძრალ აუზს, რომლის ფსკერზე დარბოდა უზარმაზარი შავი პუდელი.

ბაღის კარიბჭესთან, ფილარმონიის პირდაპირ, უკვე იდგა თეთრი ოცდაოთხი — მოძღვრის „ვოლგა“, რომელსაც სხვა „ვოლგებისგან“ განსხვავებით, ნიშნად იმისა, რომ მღვდელს ეკუთვნოდა, სახურავზე დამაგრებული ჰქონდა ლითონის ჯვარი. მოძღვარს მანქანის კაპოტი აეხადა და ძრავას ჩასწერებოდა. მის ზურგსუკან იდგნენ მგალობლები.

— გამარჯობა, მამაო, — მიმართა გიორგიმ.

— გამარჯობა, — მოძღვარს კაპოტიდან თავი არ აუღია.

— რა მოხდა?

— რა მოხდა — ბენზინი ვერ ვიშოვე. სალიარკა გამოვართვი ვიღაცას და მთლად წამიხდინა მანქანა, — ნალვლია.

ნად თქვა მოძღვარმა. იგი იყო დევისებრი აღნაგობის, მომთვარულსახიანი კეთილი ახალგაზრდა კაცი.

— ველარ ღაპრავთ? — იკითხა გიორგიმ.

მას მიუბრუნდა ერთ-ერთი მგალობელთაგანი — გამხდარი, ფაქიზი, მწერივით ფაქიზად დაძარღვული და ცისფერთვალეზგადმოკუსული ახალგაზრდა კაცი:

— ვერ ღაპმართ. რამდენი ვაგორაკეთ აქეთ-იქით, ვერ წარმოიდგენ, — შესძახა მან ალტაცებით, ალბათ იმით განცვიფრებულმა, თუ როგორ შეიძლება, რომ მცირეოდენმა „სალიარკამ“ მწყობრიდან გამოიყვანოს ასეთი მძლავრი მექანიზმი.

— დაღმართზე დაგორება ხომ არ ცვალოთ? — წინადადება შეიტანა გიორგიმ.

— ვცადეთ უკვე და არაფერი გამოდის, — თქვა ისევ მოძღვარმა. მერე კაპოტი რბილად დახურა და ზედ დაეყრდნო. მცირე ხანს ხმა არავის ამოუღია. მოძღვარი იღვა და სადღაც უშიზნოდ იყურებოდა. მგალობლები მოლოდინით შესცქეროდნენ თვალეში. კარგა ხანს დუმილი იყო, მერე გიორგიმ იკითხა:

— ლოცვა აღარ ჩატარდება?

— როგორ გინდა! მანქანა არაა და...

— იქნებ ვინმეს წავეყვანეთ?

— ეჰ, იქ ვინ ავიყვანს! — ხელი ჩაიქნია მოძღვარმა, — ეგ კი არა, იმას ვფიქრობ, მომავალში რა ვქნათ. თუ ბენზინი ვერ ვიშოვე, წირვასაც ველარ ჩავატარებ!

— კი მაგრამ, მამაო, ჯვარზე ასულა-ჩამოსულას რა ბევრი ბენზინი უნდა! — შესძახა გიორგიმ.

მოძღვარმა სიცილით შემოჰხედა:

— შენ რას ამბობ! რამდენი კილომეტრია, ეზუმრები?! ოთხი ათასი მანეთის ბენზინი მჭირდება.

— საინტერესოა, — ჩაერთო მეორე მგალობელი, ესეც პირველივით გამხდარი, ფაქიზი, და ცისფერთვალეზგადმოკუსული კაცი, — საინტერესოა, ადრე რით დადიოდა ხალხი?!

— ცხენებით, სახედრებით! — შესძახა მოძღვარმა, — თუ არა და, იქვე ცხოვ-

რობდნენ. უწინ იქ დიდი მონასტერი იყო.

მცირე ხნით ისევ ხმა არავის ამოუღია. კოსტავას ქუჩაზე გუგუნით მიმოქროდნენ მანქანები და მათი უხარისხო ბენზინის ჭვარტლი ჰაერში იფანტებოდა. მერე მოძღვარმა დაფიქრებით წარმოთქვა:

— კარგი, მე მღვდელი ვარ და ფეხითაც ვივლი. ვალდებულიცა ვარ ვიარო, არც მიჭირს, — მან უხარმაზარი ტანი შეარხია, — ყოველ კვირა დღეს ავალ და წირვას ჩავატარებ. მაგრამ თქვენ რა გიყოთ, ფეხით ხომ არ გატარებთ!

მგალობლებმა ერთმანეთს გადახედეს. მერე ერთ-ერთმა წინადადება წამოაყენა:

— მამაო, იქნებ ატრიარქისთვის გვეთხოვა, რაიმე ტრანსპორტი დაენიშნა. ჩვენც ვივლით და მრევლსაც ატარებს.

— ეჰ, ვუთხარი, განა არ ვუთხარი, მაგრამ რა... — ხელი ჩაიქნია მოძღვარმა.

— აბა ასე ხომ წირვა-ლოცვა შეწყდება ტაძარში.

მცირე ხნით დუმილი ჩამოვარდა.

მერე მღვდელმა თქვა:

— ახლა წადით, მე ჩემს ძმას დაველოდები, ის მომაკითხავს და მომეხმარება.

— კარგი, მამაო, გვაკურთხეთ.

— გაკურთხოთ ღმერთმა, კარგად იყავით! — მოძღვარი სამივეს გადაეხვია, როგორც ხანგრძლივი განშორებისას, და მერე ყველანი თავ-თავის გზაზე წავიდნენ: — მგალობლები მეტროსკენ გაემართნენ, გიორგი ვერის ბაღში შებრუნდა, მღვდელი კი დადუმებულ მანქანასთან დარჩა.

გიორგიმ ჩაუარა დამშრალ აუზს, რომლის ფსკერზე ისევ ლაღი კმაყოფილებით თარეშობდა უხარმაზარი შავი პუდელი. ჩაუარა სათამაშო მოედანს, ჭადრაკის სასახლეს ქვემო მხრიდან აუქცია გვერდი და ლურჯ მონასტერთან გავიდა.

თორნიკე, თავისი მანქანით, აღარსად ჩანდა. აღარსად ჩანდა, ცხადია, მარინაც,

არც მირიანი იყო სიახლოვეს, მრევლიც დაშლილიყო. ლურჯი მონასტრის წინ, სიჩუმეში, ზამთრის მზის სხივებში, დაფრინავდა ჩიტების მერხერი — გუნდი და ქარი ოდნავ არხვედა სპილენძის ზარის ენას, რომლის მოპარვა და თურქეთში გატანა ჯერაც ვერ მოესწროთ სპილენძის მიყვარულებს.

გიორგი ტაძარში შევიდა. აქაც სიცარიელე იყო და სრული მდუმარება, მხოლოდ მესანთლე ქალი უჯდა თავის მაგიდას და ჟურნალს ჩასტკეპროდა. გიორგის შემოსვლაზე თავი აიღო, იცნო და ისევ დახარა. კედლებიდან და ტაძრის სვეტებიდან მდუმარედ იყურებოდნენ ფოტოგრაფიული და ხელთნაწერი ხატები.

„საქართველოს დიდებასთან“ სასწრაფო ხელში უძრავად იდგა ვიღაც თავსაფრიალი ქალი და თვალმოუშორებლად შესტკეპროდა.

გიორგი ისევ უკან გამობრუნდა. სანაპიროს მხრიდან ისმოდა მანქანების სიგნალები. სადღაც, რომელიღაც ფანჯარაში, სამჯერ შეჰყეფა ძაღლმა. რუსულ ეკლესიასთან, დარაჯის ჯიხურში, მოჩანდა დარაჯის გაბურძენული თავი — ყველაფერი ისევ ისე იყო, როგორც მრავალი წლის წინათ, როცა ლურჯი მონასტერი ჯერაც არ გაეხსნათ და გიორგი ჯერაც არ შეხვედროდა მარინას. „და, ალბათ, უკეთესიც იყო, სულაც არ შეეხვედროდი“, — იფიქრა გიორგიმ და გაახსენდა, როგორ ისხდნენ იგი და მარინა ხელგადახვეულები, ლურჯი მონასტრის უკან, სკამზე, და მთელი საათი ჰკოცნიდნენ ერთმანეთს — ალბათ ამისთვის თუ დასაჯა ისინი ღმერთმა.

„მეტეხში“ ხომ არ მივადგე?“ — გაიფიქრა წამით. იქ ალბათ სუფრას მზიარულად უსხდნენ თორნიკე, მარინა, მათი მეგობრები, უცხოელები. „იმის დანახვაც აღარ მინდა“, — ბრაზით გაიფიქრა. მერე მკვეთრი მოძრაობით შებრუნდა ტაძრისკენ ზურგიით. და უეცრად დაინახა ვერის ბაღის მხრიდან ქიაჩელის ქუჩისაკენ მომავალი ქურქიანი ქალი. იგი გიორგის არ უყურებდა და ეტყობა,

არც ლურჯ მონასტერში აპირებდა შესვლას.

— თამრიკო! — ჩხიკვივით დაიხზავლა გიორგიმ.

ქალი მისკენ შემობრუნდა და სახე ირონიულმა ღიმილმა გაუნათა.

— ვაჰ! გიორგის ვახლავართ! — შესძახა მან.

გიორგი მიუახლოვდა და ერთმანეთი გულთბილად გადაკოცნეს.

— როგორა ხარ?

— რა მიშავს. შენ?

— მეც არა მიშავს. შენი ქმარი რას საქმიანობს? — გიორგის გაახსენდა თამრიკოს ქმარი — ფერმკრთალი, ანგელოზისებრი ვარეგნობის ახალგაზრდა კაცი, რომლისაც თამრიკო, ეს ვაჟკაცური და პრაქტიკული გოგო, სრული კონტრასტი იყო.

— არის რა, ნი ნება, ნი ზემლი, — ჩაიციხა თამრიკომ.

გიორგიმაც გაიცინა და თავი მალა ასწია:

— გახსოვს, რა კარგი იყო სკოლაში? — თქვა მან. — ჰა? რა კარგი იყო, არა? ნეტავ სამუდამოდ პირველკლასელები დავერჩენილიყავით. და ამ უბედურებას არ მოვსწრებოდით.

— ნეტაი შენ, კიდევ მაგაზე რომ ფიქრობ! აღარ უნდა დააღწიო თავი ამ პუბერტეტის ასაკს? — ჰკითხა თამრიკომ. მისი ირონიული, მაგრამ არაქედმაღლური განურჩევლობა, შეზავებული რაღაცნაირი, ქალური და თანაც ვაჟკაცური, მეგობრული სითბოთი, მუდამ იზიდავდა და თან გაურკვეველ საფრთხეს აგრძობინებდა გიორგის. მან თავისი ჭროლა თვალი მოჭუტა, მზეს გახედა, — ქოჩორი ჩხიკვივით დასდგომოდა თავზე — და ღიმილით ამოიჩხავლა:

— ბავშვობაზე გამახსენდა — შენი ბავშვები როგორ არიან?

— არიან რა. შენ ისევ ერთი გყავს? — ჰო.

— ცოლი როგორ გიძლებს?

— ვინ გითხრა, რომ მიძლებს. შენ როგორღა გიძლებს ქმარი? — გაიცინა გიორგიმ.

— დედამისის შვილია, ნუ გამძლეებს,
— თქვა ღიმილით თამრიკომ.

გიორგიმ მეგობრულად შეხედა — ეს ისევ ის თამრიკო იყო, თავისი ამობურ-
ცული ყბებით, ამობურცული ჭკვიანი
თვალებით, აპრეხილი ცხვირითა და დი-
დი ტუჩებით. თვით გიორგის კი კეზიანი
ცხვირი და ჩავარდნილი ლოყები ჰქონ-
და.

— შენ დღეს სექსუალურად გამოიყუ-
რები, — უთხრა გიორგიმ.

— გმადლობთ.

— სხვათა შორის, სკოლაშიც ასეთი
იყავი.

— ვიცი, — მიუგო თამრიკომ და თან
გიორგის თვალს არ აშორებდა.

— გახსოვს, ყური კინაღამ რომ აგა-
ხიე, — თქვა გიორგიმ და თამრიკოს ყუ-
რის ბიბილოზე რბილად მოჰკიდა ხელი.

— ბარემ სიყვარული ამიხსენი, — უთ-
ხრა თამრიკომ თავისებური პირდაპი-
რობით.

— რატომაც არა! არ ამიხსენია რო?!

— რაღაც არ მახსოვს.

— თუ არ გახსოვს, გაგახსენებ — ეს
იყო დიდი ხნის წინათ. შენ დედოფალი
იყავი, მე — მანდატურთუხუცესი. პალა-
ტებში სადამოს ბინდი წვებოდა.

— ამ გახსენებაზე, ისევ ისტორიის ინ-
სტიტუტში მუშაობ? — ჰკითხა თამრი-
კომ, მაგრამ ყურიდან მისი თითები არ
მოუშორებია.

— არა, — მიუგო გიორგიმ.

— აბა, სად წახვედი?

— ავტობროფილაქტიკაში.

— წინგადადგმული ნაბიჯია. შემოსა-
ვალი მოგემატებოდა.

— ისე, რა! ახლახან ერთი მანქანა გა-
დავაბრუნე და დავეწვი.

— ვისი მანქანა?

— ერთი ფილოსოფოსის. შიგ, მასთან,
ერთად, ქალი იჯდა.

თამრიკომ ღიმილით გაისწორა თმა:

— ყოველთვის გატყობდი სადისტურ
მიდრეკილებას.

— იმას ვერ მატყობდი, რომ მაგრად
მიყვარხარ? — ჰკითხა გიორგიმ და სხვა-
დასხვა ფერის — ჭროლა და ცისფერი —

თვალებით თამრიკოს თაფლისფერ თვა-
ლებში ჩახედა. თან გულს ურევდა იმის
გაფიქრება, რომ ეს ქალი სხვისი ცოლი
იყო, ვიღაც ორი სრულიად უცნობი ადა-
მიანის დედა.

მაგრამ მისი სულის გატკეპნილ გრუ-
ნტზე მოუთმენლად ხტოდა ჩხიკვი და
გაალმასებული ხმით ამოსჩახოლა: „ადა-
რასოდეს! ადარასოდეს!“

— ჰა? ვერ მატყობდი? — ჰკითხა ისევ,
შემძლებისდაგვარად ზავერდოვანი ხმით,
და თან გაიფიქრა, რომ თამრიკოს ახ-
ლა შექმლო გადაეხარხარა ან, სულაც,
სილა ეთხლიშა. მაგრამ თამრიკომ, რო-
მელსაც ალბათ იმავდროულად გაუელვა
იმავე ფიქრმა, გადაწყვიტა, ამჯერად
თავი შეეკავებინა.

— მაინცდამაინც ვერ მატყობდი. რო-
დის აქეთ ვიყვარვარ?

— გიყვარვარ! — გაიმეორა გიორგიმ
და ტუჩებით ზიზღით დამარცვლა ეს
ერთადერთი სიტყვა, — ნახე, რა მურტა-
ლი სიტყვაა: ცალკე ყველის ასოციაცი-
ას აღძრავს, ცალკე — ბაყაყის, ცალკე —
ბარძაყის, ცალკე კიდეც — ყვერების და
რაღაც ვარვარების. ეხლა კი მესმის,
რომ შენც გიყვარვარ. ჰა? ხომ გიყვარ-
ვარ?

— არ ვიტყვოდი, — გაიცინა თამრიკომ.
— შენ როდიდანა ხარ ასე გადარეული?

— მე სულ გადარეული ვარ, — დაი-
ჩურჩულა გიორგიმ.

— შე საწყალო! — უთხრა თამრიკომ.

გიორგიმ ტუჩები ყურთან მიუტანა და
სექსუალური ხმით ჩასჩურჩულა:

— შეხედე ამ ტაძარს! შენ მას უკანას-
კნელად ხედავ? მალე მისგან ქვას ქვაზე
არ დაგტოვებ!

— რომელ ტაძარს? — ჰკითხა თამრი-
კომ და მათ წინ მდგარ ორ ეკლესიას გა-
დახედა — რუსულს და ქართულს.

— იმას, რომელიც ახლა შენ ყელზე
გეხვევა, — მხურვალედ ჩასჩურჩულა გი-
ორგიმ და ყურის ძირში აკოცა, თან ისე-
თი გრძობა ჰქონდა, თითქოს დამშრალი
მდინარის კალაპოტში იღვა და მის თი-
თებში საზარელი სიმშრალით ხრიალებ-
და ქვიშა და ხრეში.

— გიჟი ხარ, ნამდვილი გიჟი, — ჩუმიად ჩაიცინა თამრიკომ, ისე, რომ ყელყურის არ მოურიდებია — გიორგიმ იცოდა, მას ასეთი თამაში წონასწორობიდან ვერ გამოიყვანდა.

— წამომყვები სხვა ქვეყანაში?

— გიჟი ხარ-მეთქი, ხომ გეუბნები, — გაიცინა თამრიკომ.

— მაშინ გავიქცეთ და თავები ამ კედელს შევახეთოქოთ — მაშინვე ზედ შევეზრდებით, — სიცილით ჩასწურჩულა გიორგიმ, თან ისევე ყურის ძირში ჰკოცნიდა. თამრიკომ ცალი ხელი კისერზე შემოჭვია და ალერსით აუჩჩა თმა.

— ეექ, ჩვენი საწყალი, გიჟი ბიჭი! — ჩუმი ხმით უთხრა, — რა გეშველება, შე გიჟო! შე საწყალი!

— გახსოვს, ქეიშა რომ ჩამყარე თავში?! — ჩასწურჩულა გიორგიმ, რომელიც უკვე თითქმის ჩამოჰკიდებოდა ყელზე.

— მახსოვს.

— მე კი აღარ მახსოვს! — მოულოდნელად დაიხზავლა გიორგიმ და წელში გაიმართა. მისი ჭროლა და ცისფერი თვალები ღიმილით ჩაჰყურებდნენ ქალს. ისიც ღიმილით ასცქეროდა გიორგის. მათ წინ იდგა ორი ტაძარი — რუხი და თეთრი. ორი სხვადასხვა სიმაღლის, სხვადასხვა აგებულების შენობა, რომელთაგან ამჟამად არც ერთში არ იყო ხალხი. ზამთრის მზის სხივები დასთამაშებდა ლურჯი მონასტრის ლურჯ გუმბათს. ისმოდა მანქანების ხმა — სანაპიროს მხრიდან. გიორგი და თამრიკო — ერთმანეთის პირისპირ მდგარი — ამ წუთში ორივე რაღაცნაირად ცარიელი და ზამთრის სიცარიელით სავსე. მათ ერთმანეთი გაიცნეს ბავშვობაში, ოცდახუთი წლის წინათ, სადღაც, სხვაგან, სხვა შენობების სიახლოვეს, თითქოს სრულიად სხვა ცხოვრებაში, რომელიც რაღაც სასწაულით, ორივეს თანაბრად ახსოვდა, — მაშინ გიორგი ჩხიკვი იყო, თამრიკო — სინდიოფალა. და ყველაფერი, რაც მთელი ამ ხნის მანძილზე მოხდა, და რაც ახლა, ამ წუთში ხდებოდა, ჰგავდა მსწრაფლწარმავალ სიზმარს. და,

გარკვეული აზრით, ეს მართლაც სიზმარია, სიზმარი, რომელიც მე მესიზმრება. მაგრამ, მაშინ რატომ დგას ამ სიზმარში მცხეთის ჯვარი? რატომ დგას რუსული ეკლესია? რატომ დგას ლურჯი მონასტერი? დგას იმიტომ, რომ (ამაზე პასუხი არ არის ძნელი, მით უფრო, არ გაუჭირდება გიორგის, ამ მრავლისმანახველ ისტორიკოსს), დგას იმიტომ, რომ იგი თამარ მეფის ეპოქაში ააგო ვინმე ბასილიმ, ქართლის მთავარეპისკოპოს-ყოფილმა, ძმამ იმდროინდელ პოლიტიკურ მოღვაწის აბულასანისა, რომელიც მეფეს აუჯანყდა, დამარცხდა და ხელმწიფის კარიდან განდევნილ იქნა. ლურჯი მონასტერი აიგო უფრო ადრინდელი, დანგრეული ეკლესიის ადგილას, მისი აგებისას გამოუყენებიათ ძველი ეკლესიის ცალკეული ნაწილები. ლურჯი მონასტერი თავდაპირველად გუმბათოვანი ეკლესია იყო და უახლოვდებოდა XII-XIII საუკუნეთა მიჯნის ქართლის სხვა ტაძრებს (ბეთანია, ქეთახევი). XIV საუკუნის მიწურულს ტაძარი ძლიერად დაზიანებულია და იგი თითქმის მთლიანად აღუდგენიათ. XVII საუკუნეში მიწისძვრის შედეგად ტაძრის გუმბათი ჩამოქცეულა. ამის შემდეგ ტაძარი უგუმბათოდ აღადგინეს და მის შიდა სივრცეს ბაზილიკის იერი მიანიჭეს. შემდეგში ტაძარი რამდენჯერმე კვლავ ძლიერ იქნა დაზიანებული. XIX საუკუნის მეორე ნახევარში ლურჯი მონასტერი კვლავ აღადგინეს და დააღვეს მას ქართული ხუროთმოძღვრებისათვის სრულად უცხო გუმბათი, აუშენეს აგურის ახალი კედლები და ფრონტონები — რამაც არსებითად დაამახინჯა ძეგლი. ამ დამახინჯებული ტაძრის თავდაპირველი ნაგებობიდან, გვემის, წარწერებისა და პერანგის ქვედა ნაწილის გარდა, გადარჩენილია აღმოსავლეთის შვერილი აფსიდის სარკმლის ჩუქურთმა. ჩვენი საუკუნის 80-იანი წლებიდან ტაძარი კვლავ ფუნქციონირებს. იგი ნაკურთხაა მოციქულ ანდრია პირველწოდებულის სახელზე.

ამირან საბაში

ვაი, სიმღერავ საწყალო!

ვაი, მერცხლებო, მარაბდით,
მანგლისით, ცხუმით, ოშორით
თქვენს ბუდეებში — სადამდის! —
მიგაქვთ ქართული ქოჩორი...

ვაი, გუნდებო ოლოლთა,
გადმოფრენილო სისხამზე,
შუბლზე ჩვენს ციხე-გოდოლთა
იწმენდთ სისხლიან ნისკარტებს.

დამწვარხარ, პურო საგზალო,
ჩამკედარხარ, ლოცვავე ტამრულო,
ვაი, სიმღერავ საწყალო,
ძმათა ომების ლაშქრულო!

ვაი და ვაი, ჭიშკარო,
ვაი, ყანავ და ჯეჯილო,
ხელზე ძმის სისხლის წინწყალო,
საკინძვე ჩამოგლეჯილო!

ვაი, ფოლადის მერნებო,
მოუთოკავო აუშარავ,
არამც წასულხართ, მხედრებო,
ძმათა ომების ლაშქარად...

უსმინე ქართველ დედათა,
განთიადების ნათელი:
ძმის ომში წასულ მხედარად
ნუმც გაჩენილხარ, ქართველო!

სანამ ქართულ ოღებიდან

სიზმარულ ნისლში თვლემდა
ველ-მინდორი, მთა-სანახი,
წაბლის ოდის გულის ცემაღ
ბაგუნობდა ქვასანაყი...

ქარს მიჰქონდა ქინძის სუნი,
პიტნის სუნი, ქროლვა ქონდრის
და ეუვნების ნელი ჟრუნით
ირხეოდა ბინდში ბონდი.

ჭრიჭინებდნენ ჭრიჭინები,
ჭრაჭუნობდნენ ნალიები
და უფოთლო ხეჭეჭურებს
ესხა ჭროდა ვარიები...

ღამე, ქართულ ეტრატივით
დაწერილი რქებით ვერძის...
მეხვეოდა გლეხკაცივით
მოფართქალე ვაზის ლერწი...

კვლავ ჩურჩულებს დღესაც ჩემში
იმ ღამეთა ეშხი-მეშხი,
ადესურის შავი შხეფი
ჩუხჩუხებდა ორშიმოში...

არ მოკვდება გოდებითაც
ჩემი მიწა და სანახი,
სანამ ქართულ ოღებიდან
კვლავ ბაგუნობს ქვასანაყი.

ბაიუში

შენი ფერები — ჩუმი მზისქცევის —
წვიმაში ხმაა ქალის გოდების.
ფრთადაკეცილი, როგორც ციცრები,
ქუჩებს იგნებენ ჭრელი ქოლგები.

და უნდა იყო მართლა ქვის გულის
და სილამაზით სმენადახშული,
რომ არ მოგესმას წვიმის ჩურჩული, —
ჭროლა ციცრების ფრთების ტყელაშუნი...

მეც ხომ მგზავრი ვარ ამაოების,
მხოლოდ ამ ქალაქს დავიფიცებდი,

სადაც ღვინისფერ საღამოებით
ბუდეს იგნებენ ჭრელი ციცრები.

ჟღერიალებს ქარში წვიმის ბექთარი
და შორეული ჰყვავის ებოსი,
შენს თეატრონში, ხმებით მჭკქარი,
აზვირთებულა ოიდიბოსი...

მეუბნებიან გრილი წვიმები, —
როცა მიწად და წვიმად ვიქცევით,
შორეულ დღეთა ლამაზ მზისფერში
მოფრინდებიან ისევ ციცრები...

წვიმები — კახილის ნიშნები

ამოუხსნელი იეროგლიფებით,
ვით მოჩურჩულე ნეფერტიტები,
მეფერებიან გრილი წვიმები
ვარდის ფერებში ნაფერ თითებით.

ელვით ირთვება ზეცის თავანი,
ბაგე გაიხსნა ზღაბრულ მარჯანთა,
იყო მიწაზე ღამის თევანი,
მაგრამ სამყაროს კიდე არ ჩანდა...

მიაქვთ სამუმებს ველთა ქვიშანი,
ქრიან ქარები თავაწყვეტილი,
წვიმა ძახილის არის ნიშანი!
წვიმა — სამყაროს მრავალწერტილი...

სავსე ვარ სველით გალაქტიკების,
გზები — ანბანთა იეროგლიფებით
და შორეული გრილი წვიმები
მეფერებიან თბილი თითებით.

ოკანეთა მწვანე ჯეჯილი —
ქარჩავარდნილი დღევა ქათიბის,
და ითიბება ელვით ცელილი
ღურჯა ტალღების ჭრელი სათიბი...

ამოუხსნელი იეროგლიფებით,
ვით მოჩურჩულე ნეფერტიტები,
მეფერებიან გრილი წვიმები
ვარდის ფერებში ნაფერ თითებით.

გუზან ტაოელი

ეს გუზანი, გუზ გუზანი,
შაითანის მუგუზალი.

ორგულობით დაოსტატდა,
მტერს მოუძღვა ტაოსკართან.

მოახსენეს თამარ მეფეს,
შეაგება ჯარი სეფე.

...შეუპყრიათ კოლას ტყეში,
ჩაუგდიათ სასტიკ დღეში.

დასცემია გუზანს მეხი,


გაუბაწრავთ მეფის ფერხთით.

უთხოვიათ მოკვლა მთავართ,
შეებრალა მაინც თამარს:

ეყოს, როგორც სასჯელიო,
მოღალატის სახელიო!

მაგრამ სოსლანს ერტყა ხმალი,
მამულისთვის ძილგამკრთალი

და გავაზე ცხენის ნალით
გაატანეს ცხელი კვალი...



ჯარჯი ფხოველი

უკაცობა

ასე ამბობდა: ვისღა არ შეეხვედრივარ. რა ტალახი არ მიზელია... და ამ მღვრიე წუთისოფელში, ჩემო ძვირფასებო, ყველაზე უფრო მაცოცხლებდა ბრიყვთა თავდაჯერებულობა და კატეგორიულობა... ისინი საკმაოდ ბევრნი იყვნენ და, წარმოიდგინეთ, ზოგჯერ ქვეყანაც იმათი ამბიციების, იმათი სულელური აზრების მიხედვით ტრიალებდა... ესეც იყო, იყო...

თარგმანი: კვირტი, ერთი ენის წიაღიდან მეორე ენის წიაღში გადმონერგული; ახალი ტან-ფეხით, ახალი სამოსელით... რაღაცით იმ თავდაპირველის მსგავსი, რაღაცით თითქოს სხვა... მაგრამ ცოცხალი, ცინცხალი, ღმერთის ხელდანაკარები.

მაგათი იმედი როგორ უნდა ჰქონდეს ქვეყანასო, მაგ ოქტომბრულ-პიონერულ-კომკავშირულ კრებებზე გაზრდილ-დაკვლიანებულებსისაო... ავაჰ, საქართველოო, — იტყოდა მწარედ, გულჩამჯიღვით, სასომილევით... მაგაზე ამბობდნენ: ქაქუცას მეზარბაზნე იყოლო შორეულ 21-ში. ზოლო იმის მერე ეგრე ცრემლავდა სიტყვით და ცრემლით, ეგრე ქვითინებდა გულჩამჯიღვით, სასომილევით.

და მითხრა: ეგრე მეგონა, რომა საქართველოს მიწა სიკვდილსა და უბედუ-

ვარძელდება, დასაწყისი იხ „ცისკარი“ № 7-8, 1993 წ. №1, 1994 წ.

რებას განუმზადებდა ყველას, ვინც კი მოსამუშაოდ და წასაღებად დაეხრებოდა: ისინი უმალ დაიმარხებოდნენ ამ მიწაში, სანამ მის წაღებას მოასწრებდნენ. მაგრამ არა, არა! ვცდებოდი თურმე მე საწყალი... მიაქვთ, მიაქვთ და საშველიც არსად არა სჩანს, არა...

ვაჟა-ფშაველას სურათი: შავი ფაფახით, მიწაზე წვერდაბჯენილი ხმლით, შავი ჩოხა-ახალუხით... ის თითქოს მთას ჩამოჰკავს: ხეობებით დაღარულს, ღვარცოფებით აჭრელებულს, რომელთა ნალარიც მთის წვერიდან იწყება, თავიქვე მოედინება, ფართოვდება, ღრმავდება... მისი თვალები და ნესტოები მოჩანან, როგორც პრეისტორიული ქვაბულები და უფსკრულები, რომლებიც სამყაროს მესაიდუმლენი არიან: მისი ფიქრის, მისი ტანჯვის, მისი სიხარულის შემნახავეები.

პოეტები ზოგჯერ მართლაც ვირწმუნებთ, რომ ბუნების ღვთაებრივ სახეს მივაგენით, აღმოვაჩინეთ ის, ამოვიხდეთ ენის, იდეების და ფორმების ქაოსიდან... და აი: მზეზე ელვარებს უკვე, საჩინო და ხელშესახები რამ, ღვთაებრივი სახე ბუნებისა: პოეზია.

პოეტური გემოვნების ატროფია. ინერციით სვლა კატასტროფული. ნეორომანტიზმისა და პრიმიტივიზმის რაღაც ნარევი: სენი ჩვენი პოეზიისა, სენი ჩვენი ეგზალტირებული გულებისა.

საქართველო
საზოგადოებრივი
მედიის ცენტრი

მწერლობას ჰყავდა თავისი ფუნქციონერები და მედროვეები. ჰყავდა წითელი დემაგოგები, უზურპატორები, დამსმენები... აი, ამ ავლადიდებით შეხვდა მწერლობა ბედის მოულოდნელ საჩუქარს: თავისუფალ საქართველოს. შენ კი რატომ გიკვირს, ამ მოულოდნელობამ ზოგი მწერალი რომ დაამუნჯა?

ამ მწერლის ხელში ენა ხელახლა დაიბადა, შეიძინა რაღაც ახალი: ახალი სილბო, ახალი ფერი, ახალი სურნელი...

ურუნტელის მომგვრელი ხმა: თითქოს ახლით, თითქოს შორით. როგორც ღვთაებრივი ზარის წკარუნი. ცრემლსაც რომ ჩქეფს და სისხლსაც რომ ქორავს... თითქოს ბრძანება უხილავის, თითქოს სულ სხვა... აი, ეს არის სამშობლოს დამახილი, მამულის მარადიული ხმა, სულ რომ ჩაგესმის, სულ რომ გიწვევს, სულ რომ გეძახის.

გაზაფხულის პირის ჭროლებიანი ჩარგლის პირშითი. აქა-იქ: ენძელები, იები. აქა-იქ: ხმელი ბალახის წბილები. ფოთლის ნეშომპალათი მოყავისფრებული ხისძირები... სიპთხევის მურყინიანი ჭალები, გაუვალი კორომები; დოწიასა და სასვევეთთავის დეკით მონაბღული ფერდობები... ეს სურათი დამიდგა თვალწინ... და კიდევ: დიდი ლანდი, უზარმაზარი, მთლად რომ ფარავდა ბუნების ამ ხატს, ამ უფლისეულ ქმნილებას... ეს სურათი დამიდგა თვალწინ, გულქან რაზიკაშვილის მოგონებებს რომ ვკითხულობდი, ეთერ თათარაიძეს რომ ჩაუწერია.

ერთი შვილი ჰყავდა: ცქაფი, მგელივით ბიჭი... ქმარი ქისტებმა მოუკლეს. მამინ ბიჭი სულ პატარა იყო... გამოხდა ხანი: ბიჭს რუსის ომში დაუძახეს, მაგრამ არ წავიდა: ტყეს მისცა თავი... მილიციელებმა მოკლეს მათურას ტყეში 44 წელს. შვილის გვამი დედას აჰკიდეს და ტყიდან სოფელში ჩამოატანინეს... იმაზე უარესს ვერაინ მოესწრებაო, — იტყოდა უკვე ღრმად მოხუცი, წელში

მოხრილი დედაბერი, ისეთი, როგორც ჯავრის შავი კომიჭა, — იმაზე დიდ სიმწარეს ვერაინ ნახავსო, გულის და სულის დახნელებასაო... სიკვდილიც არის, მაგრამ გვეთი სიკვდილი ვის გაუგონიაო, — იტყოდა ცრემლის ნთხევით, ხელის კანკალით...

ბილიკიც კი არ არის გენესარეთის ირგვლივ, მე რომ ფეხი არ დამედგას. მაგდალა, ტიბერია, კაპერნაუმი, ბეთსაიდა — ამ დაბა-ქალაქთა პილიკები ზეპირად იცის ჩემმა ტერფებმა. აქ მითქვამს ის, რასაც შენ იმეორებ და გულის ფიცარზე იწერ. აქ მეწვია მე დიდი სიყვარული, რასაც უწვილადებ ყველა მოკვდავ ძეხორციელს ამ ქვეყანაზე... ო, ძმაო ჩემო! ო, მოყვასო ჩემო! ო, შვილო ჩემო! ო, ბარაბა!

ვაჟას ხევსური. თავპირდახანჯლული. ფიქრს ჩაჭიდებული. სალის კლდის მონახსები. ეჭვით მოყურიადე... ახლა ჩემთან ზის და მეუბნება: ჩეჩენ-ღლიღვებ კი ვერა ბევრ კაცებ იყვნეს. მზირად ჩაგვიღვდებოდენ, მაგრამ მაგათ არაად ვაგდებდით... ეხლა გამამაცდენო, იტყვიან. არ მჯერავ, არა!... კიდევ: ქართულ ფულს მოსჭრიანო, ამბობენ, ზედ ერეკლეს ხმაღს დაახატვენო... სასწაულია, სასწაული, ღვთის მადლმა... ვაჟას ხევსური. ჯერ კიდევ გაკვირვების უნარი რომ შერჩენია. შერჩენია სიჯიუტეც, შორეული იმედიც... ის თითქოს წარსულის ლანდია, თითქოს სიზმარ-ცხადის ნაფლეთია. მიდის, შხამნარევი დროის ბურუსში იკარგება, ხოლო იმის კვალზე რჩება უკვდავი ნახმევი, გულის დაღარავი, თმის ამშლელი რამ სიტყვა: „არხვატო, ჩემო სამშობლო, ჯიხვ-არწივების ბინაო, ნეტაი, შენს მტერს შამაკლა, შენს მკერდზედ დამაწვინაო... მოკვდეს თუ მოკვდა ვაჟაკაცი სამშობლოს გულისთვინაო“...

ადამიანს ფიქრს უწევს და აღიზიანებს გულში სხვისი ხელის ფათური... ამგვარ ქმედებად, სამწუხაროდ, ხშირად



აღიქმება მხატვრული სიტყვა, გულში მოხვედრილი უზუსტესი ფრაზა, რაც ხშირად გაუმართლებელი გულისწყრომისა და ამბოხის მიზეზი ხდება.

მოულოდნელობა პოეზიაში. მოულოდნელობა პოლიტიკაში. მოულოდნელობა ბრძოლის ველზე... ეფექტის, რისკის ხელოვნება; ან გამარჯვება საბოლოო, ან-და მარცხი და ნაცარი დავიწყებისა.

ვერლიბრი: მას მიწისკენ ეწევა სიმძიმე ძვირფასი ლითონისა. ის ვერ იფრენს ბუმბულივით ქარსაყოლილი. ის მიჯაჭვულია მიწას და ოკეანებს. ის არის სიღრმეთა მცენარე მარადიული, რომლის ფესვები და ტანი წყლითაა დაფარული. ოდენ ჟამიჟამ იმის ტოტებს ნაპირზე გალანდავს ზვირთთა ცემა ცოფმორეული. ის ატკობს ყვინთვის მოყვარულებს; ხოლო ბევრისთვის ის ჯერაც რაც დაფარულია; ასე წარმოისახვის ჩემი ლექსის ეს ხატი, რომელს შექმნასაც, რომლის დაუფლებასაც შეეწირა ჩემი დღეები.

აიდაპო, აიდაპო! — ყვიროდა ჯვალომოხვეული მაღალი კაცი და ხელს ჰორიზონტისაკენ იშვერდა... ხალხიც იმისი ხელის მიმართულებით გასცქეროდა და ვერ მიმხვდარიყო, თუ რას ჩმახავდა უცხოტომელი... — რას ამბობს, ყიტაჲ, რაო, რა მინდაო, — ცალყბა ღიმილით ჩაეკითხა ერთ-ერთი კუნძუზე ჩამომჯდარ ბერიკაცს... — რაო და, ყელფანდურობას შეეშვითო, საქმეს მიხედეთო, ვირისთავო, გაიგე? — წამოხტა ყიტა, წაიწია, მოკაუჭებული ჯოხი კისერზე მოსდო უცხოელს, ახლოს მიიზიდა და გაძვალული ტორი დასტყელიშა; — აჰა, აიდაპოი, აჰა, კიდეჲ აიდაპოი!..

მწერალი, ვინც სიძულვილს ანთხევს, აღამიანთა სიძულვილს, შავ სიძულვილს; ანთხევს, ანთხევს უსასრულოდ... ასეთი მწერალი განა შეიძლება რომ იყოსო, იკითხავ შენ... მეც ასე მგონია: არ

უნდა იყოს... მაგრამ, ვაგლახ, რომ არის!.. და არა ერთი და ორი!.. და მწერლობის დამარცხებაც სწორედ ესაა.

იყავი ხარბი: გამოიზოგე სიტყვები! ნუ იქნები სიტყვაპირავალი იქ, სადაც დუმილია მთავარი, სადაც სიჩუმის, სულის-მოთქმის, წერტილის ალაგია...

ლიტერატურის ერთი ბიუროკრატი ივონებს: გალაკტიონს ლექსებს ვუსწორებდით... ხოლო მეორე: ღაღო ასათიანის ლექსებს ვრანდავდით... მე მჯერა: ამ დიდი პოეტების ლექსებში თუ რამ ბალასტია, სწორედ არამკითხველ ჩამსწორებელთა მიზეზითაა... საშურია დედნების მოძიება: იმათ მიხედვით იმ „ნასწორები ადგილების“ ამოღება, ტექტისათვის თავდაპირველი კეთილშობილების დაბრუნება.

დოსტოვესკი: Я дал клятву, что колья и до заразу будет доходить, — крепится и не писать на заказу. Заказ задает, загубит все. ეს ყოველი უპქველი ჭეშმარიტებაა, მაგრამ რა უყვით „შაჰნამეს“, მეფეცა, შეკვეთით რომ შეიქმნა.

ყოველ ჭეშმარიტ წიგნს თავისი ბედისწერა აქვს, რაც უპქველად დიდი აღიარებით მთავრდება... ვიღაც დაინახავს, მომავალში ვიღაც უპქველად დაინახავს იმას, რაც აღმოჩენილია, მაგრამ ჯერაც არ გამოძხურებულა და უჯრამში დევს... მე შემძრა გივი მალულარიას რომანმა, რომელიც თურმე 30 წელიწადი უჯრამში იდო.

საშიში ის კი არაა, ერთიმეორის იუბილეებზე პანეგირიკებს რომ თხზავენ, არამედ ისაა საშიში, რასაც პანეგირიკებით ამბობენ, რომ სჯერათ და ეს ცრურწმენა წონასწორობას რომ აკარგვენებს, ამბიციურობის მღვრიე ქაფში რომ ახვევს...

ფშავში გამიგონია: ეშმაკს რომ დაიჭერ, ფრჩხილები უნდა წააძრო: ამით ის თავის ეშმაკურ ძალას დაკარგავს და ზი-

ანს ვეღარ მოვაყენებო... მაშ, წავაძ-
 როთ წითელ ემბაკს ფრჩხილები!

ხიზნის ხასიათის გრადაცია: ის ჯერ
 სტუმარია, მასპინძლის შინაურია, მძაღ-
 მიღებულია... შემდეგ: მეზობელია... შემ-
 დეგ და შემდეგ ხიზანი უფრო პრეტენზი-
 ული ხდება და ამის მიზეზია შორეული
 ნოსტალგია: რაღაც დაკარგულის გახსე-
 ნება, რის მოპოვებასაც ის ახალ გარე-
 მოში ცდილობს: ეს არის მიწა, სამშობ-
 ლო, ფასეულობები... ყოველივე ამის მო-
 პოვებისას ის უეჭველად უბირისპირდე-
 ბა მასპინძელს და, რადგან მასპინძელი
 უფრო ძლიერია მორალურადაც და, შე-
 საძლოა, ფიზიკურადაც, მაშინ ხიზანი
 მშველელს უხმობს, იხსენებს თავის ფეს-
 ვებს, თავის ნათესავეებს, და საშველად
 უხმობს... დღეს რაღაც, ამის მაგვარი გა-
 ნა ჩვენში არა ხდება? ოვსები უხმობენ
 თავის ნათესავეებს: ჩრდილო ოვსებს და
 სკვითებს... აფსუები უხმობენ ადიღე-
 ლებს, ჩერქეზებს და სკვითებს...

უცებ იგრძნო: საქმე, რომელსაც მიე-
 ლი ცხოვრება შეაღია, და რომ ეგონა,
 შემძულდაო, თურმე ძალიან ჰყვარებია...
 რაღაც შეუცნობმა, მოუხელთებლმა
 წყურვილმა აიტანა: მოენატრა სიმარ-
 ტოვე, სიჩუმე, სუფთა ქალაქი...

ასე ფიქრობდა ყმაწვილკაცობიდანვე:
 მე უნდა შევქმნა მნიშვნელოვანი რამ,
 რაც ჩემს ცხოვრებას გაამართლებს... მე
 უნდა ვებრძოლო შეუძლებელს... ასე ფი-
 ქრობდა ყმაწვილკაცობიდანვე, ამ ფიქრს
 დააფლეთინა გული.

სიტყვებიც, სიტყვებიც კვდებიან... ეს
 საშინელება!

გალაკტიონის ლექსის ექსპრესია მა-
 ვანს მუსიკად მიუჩნევია: აქედან მოდის
 ლეგენდა გალაკტიონის პოეზიის მუსი-
 კალურობაზე... გალაკტიონის ლექსის
 ძირითადი საყრდენია არა მუსიკა, არამედ
 ინტონაციის სიზუსტე და პოეტური ჰა-
 რადოქსი.

ინტელექტუალური სიძაბუნე: როცა
 მაჰანის ნაზრევეში იგრძნობა დიქტატო-
 რის გამოხედვა, ტონი, მიზრა-მოხვრა...

პათეტიური, ხმამაღლა შემოთავაზებუ-
 ლი „პოეზია“ გზას უზნევს მკითხველს:
 ამოიღებს იმ მთავარ მიზანს, რასაც პო-
 ეზიით სუნთქვა, პოეზიით თავდავიწყება
 ჰქვია.

კრიტიკოსები აღიარებენ: უნიჭობის
 დაფარვა ვერლიბრში შეუძლებელიაო.
 ეს სრული სიმართლეა!... ხოლო იგივე
 კრიტიკოსები ამბობენ: ვერლიბრს ბე-
 რმა უნიჭომ შეაფარა თავიო... ეს სრუ-
 ლი ულოგიკობაა!

ვინ როგორ ხედავს სიყვარულს? ზოგი
 ქარით თმაგაწეწილ არსებად წარმოგვი-
 დგენს, ზოგი ყვავილის ფურცლად აცნა-
 ურებს, ზოგიც ვენებით აძაგძაგებული ქა-
 ლის ხატად ხედავს... ხოლო ერთი ვინმე
 ასე აცნობიერებს მას: „სიკვდილსაც არ-
 ად ჩავაგდებ, თუკი შენ დამიტირებდი“...

ზარზმა... შევდივართ შიგნით. გადა-
 ფხაჭნილი პორტრეტები, ფრესკები... მო-
 ნასტერი გაუქმებულია: აქ სანთელს იშ-
 ვიათად ანთებენ. ეს არის მიზეზი კედ-
 ლების დანესტიანებისა, რაც მოხატუ-
 ლობას არღვევს. ტაძრის მომვლელი ქა-
 ლი გვეუბნება, გუმბათის მინები ჩავამტ-
 ვრიე, ნესტიანი ჰაერი რომ გასულიყო,
 მაგრამ მოვიდნენ და ისევ ჩასვესო... ქალ-
 მა ვერ გააგებინა, რომ საჭიროა ჰაერის
 ცირკულაცია. სწავლულებს სხვა მიზეზი
 აქვთ: მოხატულობა ხანდაზმულობის გა-
 მია ფუჭდებაო... ტაძრის მომვლელი ქა-
 ლი ეჭვს გამოთქვამს: რაღა ამ ბოლო ათ
 წელიწადში დაბერდა მოხატულობაო.
 როცა სანთელი ენთებოდა, აქ ყველაფე-
 რი რიგზე იყო... ტირის, გვევედრება,
 დაეწეროთ ამ უბედურების გამო...

ხელოვნების უნარი, რითაც ის ზოგ-
 ჯერ თვით ბუნებით რეალიზმზეც კი ამ-
 აღლდება ხოლმე და გვეუბნება, რომ



ქმნადობის წამი ღვთიურთანაა წილნაყარი. სხვა რამ ახსნა ამ მოვლენას არა აქვს... მონტენი ამბობს: „ცოცხალი ვენერა — შიშველი და მოხვევის მოძლიანე — ისე კარგი როდია, როგორც ის ჩანს ვირგილიუსის „ენეიდაში“.

ხარება და გოგია. ორი კამკამა სახელი. ერთს ალაზნის ველზე გაშლილი ნაფარეული უყვარდა, ხოლო მეორეს: მადრანანის ტყეში ქეიფი... ცრემლის ტბორებში გამოვლილი სახელები. მათი ლეკვნიდა: სისხლში რომ გამოიწროთ და გასპეტაკდა.

პიროვნული თავისუფლება და მის წინ აღმართული კულტურის, მორალისა და სხვადასხვა კანონთა უცნაური ბარიერები...

ხატი, რომელსაც სამშობლო ერქვა, რაღაც ბუნდოვანი სიშორით გარემოცული, იზრდებოდა, ზეადიოდა, მაღლა, მაღლა — გულზეხელისმცემელ ბრბოებზე, პარლამენტებზე და მთავრობებზე მაღლა... თითქოს ჰქრებოდა კიდეც ბურუსის დარად და გულს გიღრღნიდა ეს შეგრძნება, რომ ის შენთან არ იყო, რომ სადღაც, ძალიან, ძალიან მაღლა იდგა: მთლიანი, მრავალისშემკრები, ბუნდოვანი სიშორით გარემოცული, მწიკვლიანი კარები.

პოეტურ სიტყვას, პოეტურ ხატს სულის განგაში ამოსტყორცნის. განგაში, რომელიც ჟამიჟამ მინელდება და კვლავ აივალეება სამყაროს ღუდილისა და სულიერი პროცესების კვალდაკვალ... და ასე დაუსრულებლად: ეს არის ვერმოსვენება პოეტისა, მისი გულის მარადიული, სახედისწერო ძაგაძაგე... მიუღწევლისადმი, შეუძლებელისადმი ღტოლვა და დევნა უსასრულო.

ჩვენ მიველტვით მთავარს: მივიწვევთ სიღრმისაკენ და უფრო და უფრო ვშორდებით მას. ჩვენ ვხედავთ ქაფს, ხოლო

შინით, წიაღში რა ხდება, არ ვიცით. იღუმალ შენობაში შესასვლელ კარს ვერ მივაგენით: გავარდევით კედელი და ამ გზით ვცდილობთ შიგ შეღწევას. უმჯობესი იყო, კარი გვეპოვა. ის უეჭველად არის. ის სადღაც, აქაა, ის ახლოსაა.

ფშაური ხალხური ლექსი არის მაგალითი იმისა, თუ როგორ იქცევა პოეზია ყოველდღიურობის ნაწილად, ხოლო თვით ყოფიერების წვრილმანები და კურიოზები როგორ აძლევენ დასაბამს ირონიულ-პარადიულ საწყისს, თვითირონიას.

შემოქმედებითი საწყისის განათება. ქმნადობის პროცესთა ანალიზი. მოხილვა ფეხვის, რომელიც კვებას მწერლობას... ვის მოეთხოვოთ ეს? კრიტიკას?

ღრუბლებს არღვევს თავიანთი სიმძიმე, ფზრეწს. აცალკეებს და ღრუბლების ღიობში ჩანს: ან მზე, ან მთვარე, ან ვარსკვლავები, ან ლურჯი, ლურჯი, კამკამა ცა. როგორც მჭვირვალე ტბის მონასხლეტი კოტორი.

ერთმა განაწყენებულმა მწერალმა მითხრა: ჩვენ იერიშით უნდა ავიღოთ მწერალთა კავშირი, თუ მთლიანად არა, რამდენიმე ოთახი მაინც და იქ წესრიგი დავამყაროთ... მე წარმოვიდგინე, როგორ მიაქვთ იერიში მწერალთა კავშირზე თანამდებობადაკარგულ მწერლებს და როგორ იცავენ მწერალთა კავშირის სასახლის მისადგომებს ამ კავშირის დღევანდელი ხელისუფლები... უფრო კომიკური და სატირალი სურათის წარმოდგენა, აღბათ, გაჭირდება... მე ვუთხარი: სჯობია იერიში შენს საწერ მაგიდაზე მიიტანო მეთქი... და ჩვენი ხანმოკლე დიალოგიც ამით დამთავრდა.

კიდეც ერთი ბარბაროსობა: იარაღის ძალით დემოკრატიის დამკვიდრება.

ციცერონი კატონ უმცროსზე წერს: ის უმაღლესი მოკვდებოდა, ვიდრე ცეზარის ტირანიას შეურიგდებოდა... კატონი ტირანიას მართლაც ვერ შეურიგდა: თავი მოიკლა!.. დასანანია, რომ კატონი უმცირესობის წარმომადგენელი იყო. უმრავლესობამ კა... ტირანია მიიღო, გაითავისა, შეიტტბო.

და იქიდან ის დაბრუნდა მთლად დაყრუებული და ბრმა: აღარ ესმოდა სიტყვის წკაპუნის, სიტყვის მიმხრობის ხმა, ვეღარ ხედავდა სტრიქონთა შორის დანადგულ ნაპრალებს, ქაღალდზე შემკვრივებულ სტრიქონთა კონტურებს, ვეღარ გრძნობდა მათ ველურ სუნთქვას... ადგა და მთლად გაუდაბურებული სული ტყვიით ჩაწიხდა: მისი ბოლო შეგრძნება შუბლზე ცივი ღულის შეხება იყო.

ძალადობის ქვეყანა: მისი წიაღი წამოანთხევს ბოროტებას, გარემოცავს სიძულვილს და ამგვარ სამყაროში, ამგვარ მიწაზე კაცნი როგორღაც კვლავ სულს ითქვამენ, ფეხს ინაცვლებენ, მრავლდებიან და, ღმერთო ჩემო, აქ ზოგი ვინმე ბედნიერიც კი არის!

ლაღად გაშვებულმა სიტყვამ უკან დაბრუნება არ იცისო, გვეუბნება ჰორაციუსი... ახლა წარმოვიდგინოთ, ლაღად გაშვებული შხამიანი სიტყვა, მრუდე სიტყვა, წყეული სიტყვა: სირცხვილის წყარო პერმანენტული... და ფლეოს ეს აზრი სიტყვის მრანდავს, სიტყვის მეხმლეს, ოსტატს სიტყვისა.

პოეზია ავლენს ენის უმთავრეს თვისებებს, ენის უნარს, სიმეიფეს, შემგუებლობას, ელასტიურობას.

უნდა ვიაროთ, რადგან არ ვიცით, წინ რა გველოდება: შესაძლოა, იქ უკეთეს რამესაც მივაგნოთ.

ენის ჰიპნოზური ძალა: განწყობის სათავე. მას გონი არ ესაძირკვლება. მისი

ფესვი იკარგება ქვესკნელთა წყვილადში... მისი ღვთიური ველ• ქმნის გარემოს, სადაც პოეტები იბადებიან.

პოეტური ვაი-ვაგლახი: აღიქოთი უმნიშვნელო განცდათა გამო, რაც შეიძლება შეიცვალოს ორიოდე მინიშნებით, წერტილით, ორწერტილით, მრავალწერტილით... ნუთუ სიტყვების რახარუხით და უმიზნო კანონადით უფრო შეკვრავთ ბედისწერით ჰერობილის სულს?

ტაბუდადებული ტკივილები. პირგამოკერილი ერა. თვალთვალის, შიშის გარემო, სადაც გაიარა თაობების ცხოვრებამ. ჯოჯოხეთის წრე... ჩვენ იქ ვიყავით: პერსონაჟები დანტესი.

იყო მწერალთა კავშირი. შემოკლებით: მწ. კ. ახლა არის სამი მწერალთა კავშირი: სამი მწ. კ. ვიცი: მაიანს უნდა საკუთარი მწერალთა კავშირის შექმნა. საკუთარი მწ. კ. საქართველოში მალე იქნება მრავალი მწ. კ. მწერალი ცოტა. მწ. კ. ბევრი. მწ. კ. მწ. კ. მწ. კ...

საზოგადოებრივი აზრის ძილი და დაყრუება, მისი იღუშალი ტყვეობა. ერის გულისთვალის დაბნელება, ცრუმესიანისზმის გაბატონება... ამაზრზენი სურათი, რომელსაც ვერანაირი კომენტარი ვერ გაამართლებს.

თვალსაწიერი, ფხა გონებისა ზოგჯერ ისე დაეწროვდება, ისე დაჩლუნვდება, ისე გაწვირდება, რომ გრძნობ: საცააა დაყრუვები, დაბრმავები და დაემსგავსები უფსკრულის თავზე გადმოკიდულ ლოდს, რომელიც ვერც იმ ფეხმოსაკიდსა გრძნობს, რაზეც დგას და ვერც უფსკრულის იმ ბნელებსა ხედავს, ავად რომ ამოსცქერს, წყვილიდან რომ ამოჰხავის, ცივ ქარს რომ ამოაშხეფებს უკუნეთიდან.

გრიგოლ რობაქიძე წერს, რომ მას ფშავის ტყეში უნახავს ჩამოთლილ ხეებზე მიწერილი ლექსები... სრული სიმარ-



თლვა: ქიმიური ფანქრით ქერქამოთ-
ლილ ხეებზე მიწერილი ლექსები მეც
წამიკითხავს ხომის, აფშოს, ქუთხის, მიჩ-
ხის, არახიჯის, ვანხევის უღრანებში:
პოეტი-ყაჩაღის, პოეტი-მონადირის, პოე-
ტი-მეტყვეის შემოქმედება.

სხვა სამყაროდან გამოწვედილი ხელი,
სხვა სიბრტყიდან გამოწვედილი, შენს წა-
საყვანად... და რადგანაც არ იცი, ვისი
ხელია, და რადგანაც არ იცი, სად მი-
ყავხარ, ეს ამბავია მიზეზი შენი დაფეთე-
ბისა, შიშისა, სასოწარკვეთისა.

ფილოსოფოსობით, სტოიკური განს-
ჯით სიკვდილის სუსხს, სიკვდილის ელ-
დას ვერ აირიდებო: ის როცა მოდის,
გონებას კი არა, არამედ რაღაც სხვას,
უფრო მძლავრსა და შენეულს ებრძვის,
უსასობაში აგდებს და ეს „რაღაც სხვა“
მამინ შენს გულს დიდი მწუხარებით ავ-
სებს, გლოვითა ბრჭყალავს და ცრემლს
განთხევიანებსო. არა, ეს ელდა გონისე-
ული არ არისო, — მეუბნებოდა შვილე-
ბის, ცოლის, მეგობრების დამკარგავი,
სიკვდილთან გაშინაურებული კაცი, — შე-
გონებაც, ნუგეშიც კარგი რამ არის, მაგ-
რამ სიკვდილის ავ სუნთქვას ვერ ანე-
ლებს, სიკვდილის ელდას ვერ აქრობსო...

შენ ხარ უნუგეშიად მიტოვებული: შენ
გადმოგვებს დედამიწის ველურ ნაპირზე
და მიგატოვებს, დაგივიწყებს... და იმის
მერე შენ მისტირი კოსმიურ უფსკრულ-
თა თავისუფლებას; შენ იყურები ცისკენ
და, რასაც შენ აღაგებ, ყველაფერი ცის-
კენ მიიწევს... და რასაც შენ დარგავ,
ყველაფერი ცისკენ მიიწევს...

და მითხრა: ჩვენ გავთავისუფლდით
რუსთა ბატონობისაგან, მაგრამ ვერ გავ-
თავისუფლდით წითელი ბიუროკრატის
წყველიადისაგან... ხოლო ბიუროკრატია
უკვდავია, როგორც ხავსი, როგორც ფით-
რი, ერის ენერჯის მწოველი, მისი და-
მაქცეველი, გამოძფიბეველი.

ენის ორგანიზმი, მისი ტანი, მისი ტო-
ტები, მისი ფესვები და ფესვთა ფესვები,
განფენილი, გაჭოლილი მიწაში, ცაში,
გულეებში. ერთად შემკრები ყოველივესი,
რაც ქართულია, რაც შეიქმნა ქართული
ენის გავლენით, მისი შემწეობით, მისი
იღუმალი ბრძანებით... უზარმაზარი მდი-
ნარე, რომელიც თავის ნაპირებზე გვაგ-
როვებს და ჩავკახის წინაპართა დიდი
ანდერძის სიტყვებს და გვაძნებებს, გვა-
იმედებს ცხოვრების ჭაპანწყვეტით და-
ქანცულებს, გულდაფლეთილებს.

აი, კიდევ ერთი პარადოქსი: ჩვენ
ვართ გონების სათამაშოები: მას მივყა-
ვართ იმ გზით, რომელზეც თვითონ შე-
უძლია სიარული; ხოლო იმ გზისკენ,
რომელზეც სიარული არ შეუძლია, ის
არც გვახედებს და, რაც ყველაზე უცნა-
ურია, იმ გზის არსებობას არც გვიმხელს.

მეუბნებოდა: ხომ ცხოვრობს ბუნება,
რომელმაც გონება უარყო? მისი დიადი
საყრდენები: რწმენა, ყნოსვა, გულისთვა-
ლი... ხოლო შენ ჩაფრენიხარ შენში ჩაგ-
დებულ სატანურ მარცვალს, ჩაფრენიხარ
და არ ეშვები!

სიძულვილის სუფევა. ეს ორი სიტყ-
ვა, ერთიმეორის მდევნელი და გულცი-
ვად მაქცერალი, ქმნის ამაზრზუნ აზრს,
ქმნის მოლობილს, სადაც თუხთუხებს
და დულს, კაცთა ცოდვა-ბრალი... ეს ორი
სიტყვა ღელადებს თავის სიმართლეს,
თუმცა ის არ სჯერა არავის, თვით ამ
ფურცელსაც კი — სადაც ეს ორი სიტყვა
ინასკვება, იხლართება და მძვინვარების
შავ ენერჯიას გამოასხივებს...

მწერლური შეგონება: ნუ დაგარცხვენს
ყოფიერების ბნელ უფსკრულთა განათე-
ბა, კაცთა მოსახილველად მათი შემობ-
რუნება, ჭუჭყისა და მწიკელის ასახვა
და ცხოვრების მყაყში ყიალი...

არათუ ხეობას და კუთხეს, არამედ
ცალკეულ სოფელსაც კი თავისი გამორ-
ჩეული ლექსიკა და მეტყველების სტი-

ლი აქვს, ენის თავისებური მომხმარებელია... ალექსანდრე ფრონელი წერს: „თითოეულმა ხეობამ და კუთხემ იცის საერთო ენის გადახრა და მცირედი შეცვლა, მაგრამ დედა ენას მაინც ამით არა უშავებდა რა და დგას საღ კლდესავით მაგრად“.

ერთი: სიტყვის ხელალებით მომხმარებელი, დაურიდებლად მრანდავი... ხოლო მეორე: სიტყვის ჩამოქმედი, სიტყვის გურმანი, სიტყვის ჯადოთი პერობილი... ორივენი ენის უძირო უფსკრულს დასცქერენ, ერთიმეორის ახლოს დგანან, ესმით ერთურთის გულისცემა... ოღონდ ეგაა: სისხლით ნათესავეები არ არიან.

რალას არ იმიზეზებდნენ ნაწარმოების დათარიღების წინააღმდეგ: პრეტენზიულიაო, თარიღს მხოლოდ კლასიკოსები აწერდნენო, თარიღი რა მწერლის საქმეაო და ა. შ. განაღდა ლექსები, პოემები, მოთხრობები, რომანები: უთარიღონი... დაეიწყებას მიეცა შექმნის კურთხეული დრო, წერტილის დასმის ჟამი....

ვაჟა-ფშაველა და მისი პერსონაჟები... რალაც ძველისძველი ცრუ წარმოდგენის ინერციით კინო, თეატრი და თვით მწერლობაც მათ წარმოგვისახავენ ეგზოტიკურ არსებებად: აცვიათ ტყაპუჭები და ქალამნები; აბიათ გრძელი ყამები; საუბრობენ პათეტიურად, ყალბი ტონით; იღუპებიან მარტივად და უაზროდ... ამავ ცრუ ინერციის წყალობით, ვაჟა-ფშაველას კვალდაკვალ, გაყალბებულია ხალხური პოეზიაც... ხოლო მკითხველს და მკითხველს სწყურია ნამდვილი გმირების ხილვა, სწყურია მათი ნამდვილი თავგადასავალი, სწყურია ნამდვილი ხალხური პოეზია... ღმერთმა დასწყველოს ცრუპათეტიკა და იმის ზურგს უკან ატუზული უნიჭობანი!

ამბობენ: შემოქმედებითი სიბერწე ნიჭილიზმის დედააო. ეს პირქუში აზრი ერთ კითხვას ბადებს: ვანა როგორ გამოვლინდება მწერლური ნიჭალიზმი ნა-

წარმოებთა გარეშე? თანაც ხომ იყვნენ დიდი ნიჭილისტებიც: შემოქმედებითად დაღნიხებული, პროლუქტიული მწერლები, რომელთა ქმნადობის სტილი და გული დიდი ბუდეა უკიდეო ნიჭილიზმისა.

მოდი, გაიხსენე მცირეთათვის საგულისხმო რამ: განწყობის იმიტაცია: დაძალებით გამოხმობა იწვევს პოეტური სიყალბის გულისამრევ შეგრძნებას...

უეცარი განათებანი, ხაზის ნახტომი და ძაგძაგი უსასრულო: პოეტურ მოულოდნელობათა ველი...

მწერლობის სამოქმედო მოედანი იქაა: წყვილადში, ბნელ უფსკრულში, სიღრმეთა უკუნეთში, თვალშეუვლებ საგანთა შორის, რაც მოიხილვის გონისიქითური გზით: იმ გზით, სახელი რომ არა აქვს, ფორმა რომ არ გააჩნია...

არ იყო წრეგადასული ნიჭილისტი, როგორც ამბობდნენ; არ იყო განუხჯელად მედიდური, როგორც ამბობდნენ... არამედ: ის იყო მავანთა მწიკვლანაგრაკვი ცხოვრების ხელალებით უარყოფელი, ფესვი წინაპართა გამძლე საკრებულოსი, მათი მზერის მიმართულებით მავალი, მათი ნასროლი ლექსის მტოტნელი და შემნახავი – იურა ჯაფარიძე, – ასე მოულოდნელად რომ დაკუნა ცხოვრებამ, მსახურალმა დრომ ასე უეცრად რომ დასცა, დალუნა...

დასცინე იმ ლოდს, მედიდურად რომ წამომჯდარ-წამომწვეტებულა ბუნჯანრიან ფერდობზე, საზეს და ფერს რომ არ იცვლის, მზრებზე შეცოცებულ ხავსს რომ არ იშორებს... დასცინე, აბუნად აიგდე: სულ ერთია, იმის გულს ვერ შესძრავ, იმის მზერას ვერ გაამრუდებ, ვერ გამოიყვან უსაშველოდ გრძელი ფიქრიდან, იმის ყურს ვერ მიიპყრობ...

ფუნქციონერი მელექსის ჭაჭვა-ბერვა და კუნთების თამაში, ერთის მზრივ, ხო-



ლო მეორის მხრივ: ნაქირავებ-მამებელი კრიტიკოსების სალტო-მორტალე, პანეგირიკების ნიაღვარი, ყბადღებული პრესა... და ეს ყოველი მხოლოდ კომუნისტურ-ტოტალიტარული უდროობის ქამს როდი იყო... დღესაც არის: რომელიც ინერციის წყალობით დღესაც გრძელდება იგივე...

პირველყოფილი კულტურების ერთგვარი მსგავსება. ბიერე წერს, რომ კალპარის უდაბნოს ბუშმენები მამამთილს და ქმრის ძმას სახელით არ მიმართავენ ისინი ამბობენ: „ჩემი ქმრის მამა“; „ჩემი ქმრის ძმა“. სახელით კი არ მოიხსენიებენ... ანალოგია ფშავ-ხევსურეთში: ფშაველი და ხევსური დედაკაცი არც ქმარს და არც ქმრის ახლობლებს სახელით არ მიმართავს...

მითხრა: ამაყი წავიდა, თავაწეული, თავენბა... უცრემლოდ, უვიშვილოდ... ოღონდ ეგ იყო: პირისახეზე ეტყობოდა კვადი დიდი მილოდინისა, ძლივს შესამჩნევად დაძაბულობა, უცხოთან შეყრის, უჩვეულოსთან შენივთებისა გამო... არც საყვედური, არც სამღურავი, არც მუდარა, იმის ბაგეს არა წამოსცდენია რა... ისე ამაყად, ისე უშფოთველად, ისე თავმოწონედ წავიდა სააქიოდან...

ასე ეუბნებოდა ზღვას: რა გინდა ჩემგან, ასე ხელგამოწევილი, ასე ველწამოგდებული რატომ მეძახი? რატომ ამრუდებ ჩემს გზას, რომელიც მხოლოდ ხმელეთზე გადის? მითხარი, უკვდავო! მითხარი, უხვო! მითხარი, მარილიანო! მითხარი... ეუბნებოდა ზღვას, ეჩურჩულებოდა ზღვას, ეყალყებოდა, მკლავებში იქცევა, ტოტნიდა, ეხვეოდა... და ისიც: ზღვა, მიმდობი და მაწვევარი, ითრეღა, იყრობდა და მიჰყავდა მირაჟთა ბინდბუნდში, მხურვალეებაში, აბრუნებდა თავდაპირველ სამოთხეში, ბედნიერების გულისგულში... ზღვა... ზღვა...

8. „ცისკარი“, № 2-3.

მე გეუბნები: უამიყამ გაიხსენე ეს ბანალური აზრი, მრავალჯერ დაღეჭილ-დაქცეული და ქატოდ ქცეული: ის, რაც ბედნიერსა და დაღბნიებულს გზდის შენ, თუ არის ბუნებისთვისაც ასევე ღზინისა და ბედნიერების მიზეზი? ვთქვათ, დამიჯერე და ამის გამო დაფიქრდი, განა რას დაიტოვებ ბედნიერების ურიცხვ წყართაგან, რას დაიტოვებ და რას უარყოფ, რას შეეღევი, რას შეეშევი ისე ცივ-ცივად და თვალუმაღლ, თითქოს, შემთხვევით, მეკაცური გველისათვის წაგველოს ხელი?

ომის ხელოვნება და მისი ერთ-ერთი უმთავრესი კომპონენტი: ომში სიკვდილი, ომში დაღუპვა, თავშეწირვა... ომში დაღვრილი სისხლი ქმნის ისტორიის ყველაზე ელვარე ფურცლებს: უჭკნობ ყვავილებს და ეს ყვავილები ანათებენ არა მარტო ისტორიის ბნელეთს, არამედ: თავშეწირულთა სახელებსაც, იმათ საფლავებსაც... ეს ყვავილები ისტორიის მეხსიერების მარადიული სამკაულებია, რითაც ერს, ხალხს თავი მოსწონს, რასაც თავის ღირსებად მიიჩნევს.

ვანხევის კუდები. სამწვერის გორის ცხვირი. პირქუშის კალო. საღუცე რუვი. ჩაჩხრიალა. ეშმაკორუა. ლომისახო. კერიენი... ამგვარი უცნაური სახელებითაა მოფენილი ვანხე-არახიჯა-მიჩხის გარეშემონი. ყოველ გორაკს და გადასასვლელს, ყოველ ბექობს და ველის კოტორს თავისი სახელი აქვს, თავისი ნიშანი და ხასიათი... ნეტავ, თუ დარჩა სადმე ფეხდაუდგამი, უსახელო ადგილები?

ეგრე უთხრა: ვირის კურკლო... და ატყდა ერთი დავიდარაბა და შეხლა-შემოხლა. მეორემ დაამუნათა: ისიც კი არა გცოდნია, ვირი კურკლავსო, თუ... ვირის ჩონჩორიკო, დააზუსტა პირველმა... ო, გცოდნია, ჭცოდნია, ყოჩალო, — უთხრა მეორემ, ღმილმორევით, — დიდი თესლი

ვინმე კი ხარ, მაგრამ ეს კი გცოდნიაო... და გაიყარნენ: ერთი აღმა წავიდა, მეორე — დაღმა...

ლიტერატურის ყორანი მწერალთა სახლის ფოიეში. ბინდბუნდში საზარელი სანახავი იყო: თავის ნაცვლად ყორანი ეჯდა. საყელოდან ამოსული შავბუსუსიანი, გაკვრანჩხული ფეხები ძლივს იმაგრებდნენ მის მოსავსავე ტანს. წინ წაეშვირა გაცვეთილი, კიდევშემოტეხილი ნისკარტი, რომელსაც ჟამიჟამ უმწეოდ ალებდა... ლიტერატურის ბებერი ყორანი... იმის მერეც ბევრჯერ უნახავი: გულგრილი, ლეშით მძღომელი, დროსთან შერიგებულ-გარიგებული, შეგუებული, კმაყოფილი.

ეს მწარე ეპიზოდი ძოიგონა: იმას ვედარ ვიხსენებ, რის გამო მოხდა, როგორ მოხდა... მახსოვს სისხლიან გორგლად ქცეული იმისი პირისახე და იმ გორგალს ვუშენდი, მუშტითა ვზებდი... გორგალი აქეთ-იქით აწყვებოდა, მეურჩებოდა, გამიბოღდა, მიშორებდა... მაგრამ ამოღ, ამოღ... გავეშებული ნადირის გეშით კვალდაკვალ შედევი და ვზვებდი, ვანგრევი, ვაქუსტაცებდი...

დადელებული, შიშით ატანილი და ჩერადქცეული ვნახე... ღმერთო ჩემო, ნეტავი, არ შემხვედროდა; ნეტავი, სხვა გზით წავსულიყავი, აქეთ არ გამომეკლო, არ მენახა... კაცი, რომელმაც ღირსების ბოლო ნაფოტებიც დაკარგა, ფსკერზე რომ დახოხავს მახვეწარი, რაღაცის ყელწაგლებით მიხოვნელი, დადელებული, შიშით ატანილი, ჩერადქცეული.

ხასიათის, რწმენის, შეხედულებების ელასტიურობა... თვალუმაღ იცვლებიან ადამიანები: იცვლებიან დროთა ცვალებადობის კვალბაზე; იცვლებიან პოლიტიკის ცვალებადობის კვალდაკვალ; იცვლებიან მთვარობების ცვლის კვალდაკვალ... და ეს კიდევ ერთხელ ამტკიცებს

ხასიათის, რწმენის, შეხედულებების არამეკრადობას, რაც, თავის მხრივ, ჩვენს მომავალს ბურუსში ახვევს და არანაირ იმედს არ გვიტოვებს...

გონითი, განსჯითი ლექსის ეფექტი მუდამ საზღვრულია: მის სიბრტყეზე მოულოდნელობათა შემნახავი ქვაბულები და იღუმალი ხეობები არა ჩანს ხოლმე და თუ მათ დაღანდავს ვინმე, ესეც ღმერთის წყალობად უნდა მივიჩნიოთ.

ზნეობრივად სპეტაკ ურწმუნოს რა განსხვავებს ზნეკეთილი მორწმუნისაგან? მეტაფიზიკურის ვერშეგრძნება? ინტუიციის სიჩლუნგე? სიყვარულის უნარის არქონა?

გიგლა სარიშვილს აქვს გალაკტიონის პორტრეტა, უცნობი მხატვრის მიერ შესრულებული სახელდახელოდ, ნაჩქარევად, მგონი, საღდაც, სალუდეში... პორტრეტს გალაკტიონისავე ხელით მიწერილი აქვს ორი სტრიქონი: „ეს ჩემი სახე მშვენიერია, ყველაფერი სჩანს, რაც მიწერია“.

სისხლის ცრემლები. სისხლის ცრემლები ეღვარეო, ამბობს აკაკი... რამდენი ცრემლი დაიღვარა ჩვენს ლიტერატურაში რუსთაველამდე და რამდენი კიდევ იმის შემდეგ!.. მაგრამ „სისხლის ცრემლები“ თუ დაღვრილა აკაკიმდე?

რა გაყროყინებს, შე ვირისთავო, — დამდურა ერთმა... ხოლო მეორემ: ე, რა არამკითხე თხასავით მამეყუდე, განა რა შენი ჭკუის საქმეა, რას ვიყროყინებო... ალუსილი, გაფხაული სიტყვები გადაუდეს ერთიმეორეს, წამოსაკიდები სიტყვები, თითქოს მკლავსა და ძალ-ღონეს კი არ სცდიდნენ, არამედ — სიტყვის მოხმარების უნარსა და მარიფათს ამოწმებდნენ, სიტყვის ძალას ზომავდნენ...

როგორ მთავრდება რომანი? ბედნიერებით. მწუხარებით. ცრემლით. სისხ-

ლით... ვიღაც კვდება: ის ტოვებს მწუხარების კვამლს. ვიღაც რჩება: ის უდაოდ ბედნიერია. ვიღაც რჩება: კვლავ უბედური და სიკვდილის მძებნელი... აი, განხმაურებული რომანი ჭაბუა ამირეჯიბისა: „დათა თუთაშხია“. კვდება სტოიკოსი და დეენილი დათა თუთაშხია. რჩება წამებისათვის განწირული ახალგაზრდა ოიდიპოსი: გუდუნა თუთაშხია... სადაა ის? როგორ ცხოვრობს? თვალები დაითხარა თუ თვითმკვლევლობით დაასრულა სიცოცხლე?.. ჩვენ არაფერი ვიცით. ავტორმა — მამამ მიატოვა ის...

ტყე იყო ერთადერთი, კაცთა მედიდურობას რომ არ იზიარებდა, გულს რომ არ აკარებდა. ტყე იყო ერთადერთი, რომელსაც მისი ესმოდა; რომელიც ხელს აფარებდა, იცავდა... და გაუსაძლისი შეჭირვებისას ის მიეშურებოდა ტყისაკენ, როგორც უკვდავი დედისაკენ, როგორც მხსნელისაკენ, როგორც ღვთაებისაკენ...

კომუნისტები მოდიანო, სოფელში რომ იტყოდნენ, ჯერ კიდევ უმეცარს, გულისრევის შეგრძნება აუვსებდა მთელს ტანს, უჩვეულ ძაბვაზე აიტანდა... ღმერთო ჩემო, ეს ზიზღი შერჩა სიბერემდე...

შემოქმედებითი ბიძგი შენში, შენს

გარეთ... წამოსული რომელიღაც სხვა სივრციდან, სხვა სამყაროდან...

ხანდახან ეს მკრეხელური კითხვა სისხლს აუჩქეფავდა, აუქონრავდა: რაც მიწას გვაშორებს — ასფალტი, ბეტონი და სატანური გამოქვაბული — ცათამბჯენები — ყველაფერი, რაც შედეგია გონის უსასრულო გრადაციისა, ხომ არ არის ღმერთისაკენ მიმავალ გზაზე აღმართული ჯებირები? ხომ არ არის ბუნების წინააღმდეგ გადადგმული ნაბიჯი...

პოეზიის უკიდურესი ინტიმურობის გამო მკითხველის წინაშე თვალებდახრილი ვდგავართ. სულის კუნჭულებში აღარ დარჩა ადგილი, იქ პოეზიის შიშველ მზეთუნახავს ფეხი რომ არ დაედგას. ინტიმმა პოეზია აქცია განლობის წყაროდ, გამხელის არენად, სადაც ცოდვილთა ქვითინარევი ჩურჩული გაისმის. ეს არის აღსარება...

მრავალსახოვანი როზანოვი. „მე ისეთი არამზადა ჯერ არა ვარ, რომ მორალზე ვიფიქრო“. აქ ის უკვე დემაგოგი და ანტიქრისტიანია.

მომავლის წიგნი: ეპიტაფიების კრებული. „სპუნ-რივერის ანთოლოგიის“ მსგავსი... ჩვენი სასაფლაოები ხომ შედეგებითაა მოყენილი...



ოენგიზ სვანაძე

●
 იქით მიდის,
 იქით ყველა,
 ეთხოვები შენც მზის ალერსს...
 გადამაჭდე ყელზე ყელი,
 იქნებ არც გათენდეს ხვალე.

ძილი გეძალება სრული,
 ისმენ თეთრი გედის სოლოს...
 ზეცა —
 სავანეა სულის,
 მიწა — სამარეა მხოლოდ!

●
 დარდი, გულში გავლილი, —
 მზეა, მზე უკარება...
 გაუხედნელ ქარივით
 სულ, სულ, სულ მეჩქარება.
 ჩქარა, ჩქარა! — ჩამძახის
 მუდამ ხმა იღუმალი...
 ვინ, ვინ უნდა დამძრახოს
 წუთისოფლის სტუმარი.
 ერთგულება მოკეთის
 დამღევს უტკბეს ზმანებად...

რტოს მივტირი მოკვეთილს,
 რა ვქნა, თუ მენანება...
 მზემდე კიბეს ვაშენებ
 და ჩემთვის არ მეთმოზა...
 სულით, ზორციტ შენი ვარ,
 ჩემო ერთადერთობავ!..
 სრბოლა ცისფერ ქარების —
 ბუნების საოცრება...
 სულ, სულ, სულ მეჩქარება
 ჩემი დღე და მოსწრება.

●
 დადის ზამთარი თეთრი ნაბადით,
 წელს ეს ზამთარიც
 რა გულსავესა...
 თებერვლის თვეში მე დავიბადე
 და გაზაფხულიც
 აგერ, კარზეა.
 ჩამოდის თოვლი — თეთრი სინათლე
 და ჩვენს თვალებშიც აღარ ღამდება...

შენგან წასულმა ბევრჯერ ვინატრე,
 ვეფერებოდი შენს მოლანდებას.
 ვგრძნობ, —
 უშენობა ნამდვილად შემშლის,
 თვალი უტირის დღეებს დარდიანს...
 ო, რა საამოდ გუზგუზებს ჩემში
 ცეცხლი, რომელიც შენგან ანთია!

●
 ვარდი, ვარდობდა რომელიც,
 სულ სხვამ დამასწრო მოწყვეტა...
 კარგს აღარაფერს მოველი,
 თუ ღმერთმა არ გადმომხედა.
 ცა ვის გაეხსნა შვიდფერი
 და სიხარული არგუნა...
 ამდენ ლოდინში, სიბერის
 წლებმაც კარს მომიკაკუნა.

●
 იმედს, ერთადერთს, მე მინდა
 შენში, ო, შენში ვხედავდე...
 დღე მითენდება ცრემლიდან,
 რა შორი გზაა შენამდე!..
 ვარდი, ვარდობდა რომელიც,
 სულ სხვამ დამასწრო მოწყვეტა...
 კარგს აღარაფერს მოველი,
 თუ ღმერთმა არ გადმომხედა.

ნანა ეხვია

ნოველები

ბასალში №227413

ქალმა გადაწყვიტა ენახა. სხვა არაფერი უფიქრია. რამეზე ფიქრი აზრადაც არ მოსვლია. უნდოდა ენახა და მორჩა.

მივიდა, სადაც შეიძლებოდა ის ყოფილიყო. ირგვლივ მხოლოდ მამაკაცები ტრიალებდნენ. ზოგმა, ალბათ, ორაზროვნადაც შეხედა. ქალს არც შეუმჩნევია. ის იქ არ იყო. დაუზუსტეს ადგილსამყოფელი. ისევ მხოლოდ და მხოლოდ მამაკაცთა თავშესაყარი, ოღონდ უფრო ჭრელი. ქალი არც ამაზე დაფიქრებულა. ნახავდა თუ ვერა — მხოლოდ ეს აზრი აწვალვება.

მივიდა მასიური, მძიმე ალაყაფის კარამდე. დააბრაზუნა. სარკმლიდან გაკვირვებულმა მზერამ შეათვალიერა. უთხრა, ვისაც ეძებდა. გადამახილ-გადმომახილისა და გასაღებების ჩხრიალის შემდეგ შეუშვეს. კიდევ რაძენიმე კარი, და პატარა, არეულ ოთახში შეუძღვნენ. ოთახი სიგარეტის ბოლში ყვინთავდა. დომინოს უტყვლასუნებდნენ. ვისაც ეძებდა, იქვე, ამ დაწესებულებისთვის შესაფერისი ორსართულიანი ნარის ქვედა ნაწილზე იწვა. იწვა ბავშვივით. მოკუნტული. მარჯვენა მხარზე. ხელები ლოყებქვეშ ამოწყო და მუდამ დაძაბული სახე ქალმა ახლავდა დაინახა დამშვიდებული. მძინარე გააღვიძეს. სხვები ოთახიდან გავიდნენ.

გამოღვიძებულმა ქალს მოუბოდიშა:

— ამდენი ხნის ნათრევები ცხელ აბანოში შევეცვივით და... დამძინებია.

ქალს გაეღიმა.

— არეულობაა, მაგრამ რას უზამ, ისეთი ადგილია. ჩამოჯექი, — კაცმა ნარის კედელზე გადასაფარებელი გაასწორა.

ქალი დაჯდა.

— აქ როგორღა მომაგენი?

— გექებდი და მოვაგენი.

კაცმა ფრუტუნით ჩაიცინა. „ასტრის“ ღერი დააძრო გულის ჯიბიდან და მოუკიდა.

სინუემ ჩამოწვა.

კაცს კვლავ ჩაეცინა:

— არა, მაინც რა ნახე ჩემისთანა ველურში ისეთი...

ქალმა მხრები აიჩეჩა.

კვლავ სინუემ.

კაცმა ბოლო ნაფაზი დაარტყა. სასაცილოდ დაეჭყანა ქალს. მისკენ მოინაცვლა ადგილი:

— მეშინია ხელის ხლებაც...

ქალმა თვითონვე შემოხვია ხელები კისერზე:

— შენთან მინდა.

— ჩემთან არა ხარ? — ჩაიფრუტუნა კაცმა და ლილილოსკენ წაიღო ცალი ხელი.

— შენთან ვარ, მაგრამ მინდა სხვაგან და მშვიდად.

პასუხი ცხელმა ტუჩებმა გასცეს:

ყვრიმალებზე, ყელზე, ტუნებზე. ისევ, ისევ.

გავიდა რამდენიმე საათი.

ქალი წამოდგა, თმა შეისწორა:

— გამაგდე, მეზარება წასვლა.

— ჰო, ბადრაგი იცვლება, უნდა დავხედო. ტყვეების ნაწილი აქაა. უკვე სამი საათია, — თქვა კაცმა და „ასტრას“ ახალ ღერს მოუკიდა. — წადი, ხომ ხედავ, ხელუხლებელს გიშვებ (კონცნ სათვალავში არ ჩაუგდია).

— ისე, გაიფიქრე, არა?!

— გავიფიქრე, მაგრამ არ მინდოდა მეწყენინებინა.

— რომ მაწყენინო, გული გამიტყდება, — ქალმა ნახად აკოცა.

— რა დედაშვილურად მკოცნი?! — კაცმა ხელები მხრებზე მოჰხვია.

ქალმა მზრუნველი თვალებით შეხედა:

— ჩვენთან ნუ მოხვალ. ჩვენებს აღიზიანებ.

კაცი დასწვდა სკამზე დაგდებულ გასაღებების ასხმულას, ალაღბედზე ერთ-ერთი ააძრო და ქალს გაუწოდა:

— თუ მოვედი, ვიტყვი, რომ დაკარგულ გასაღებს ვეძებ.

ქალმა გამოართვა გასაღები და დახე-

და. ზედ ციფრი ეწერა: 227413. არ ესამოუნა. გაიფიქრა: „დაბადების თარიღიც ასეთივე კენტი აქვს — 13 ნოემბერი“, — თქმით არაფერი უთქვამს. გასაღები ჩანთაში ჩაიდო და გასასვლელისკენ წავიდა. კაცმა გამოაცილა. ეზოში ვიდაცას გასძახა, გაჰყევი რამდენიმე ქუჩაო. ქალმა ტუნები მოიკვნითა: გაცილება დღისით-მზისით, საკუთარ ქალაქში. გაცილება დენთმტყორცნელიანი მცველით, —საკუთარ ქალაქში!!!

გამცილებლიანად ალაყაფს მიუახლოვდა.

ქალმა მოიხედა. კაცი ისევ იქ იდგა. „ასტრა“ ბოლომდე დაეყვანა და ქალს გაჰყურებდა.

— მერე რომ მოხვალ, არაყი გამოაყლო ხელს, უღევადაა თქვენთან.

— დაუღვევლი რა დაგრჩათ? — სინანულით უპასუხა ქალმა, უთვალავზროვნად. კაცი მანც ვერ მიხვდებოდა და ვერც მიხვდა, — ფეხების დათბილვა არ გინდა?— ბოლო ფრაზა დატოვა ქალმა. ისევ სინანულით. თბილი ხმით. უკვე არაორაზროვნად.

— კარგია, მაგრამ სადაა, — პასუხი უკვე შორიდან მოესმა და ალაყაფის მასიური, მძიმე კარი ზანტად დაიხურა.

თხუთმეტი წლის ბიჭის პირველი პენა

მაშინ ჯერაც ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში დავედიოდი, მაგრამ უკვე კონკრეტული პრობლემები მაწუხებდა. წერილმანებს არ ჩამოვთვლი. მთავარი: ყველა ბიჭის აქილევსის ქუსლი ჩემს ასაკში — საპირისპირო სქესი. კლასში ერთი ჭორფლიანი გოგო გვეყავდა. სხვებისგან განსხვავებით, მოზრდილი მკერდი ჰქონდა. ეტყობა, თვითონაც უპირატესობად თვლიდა და ზაფხულობით ღრმაგულისპირიან სარაფნებს იცვამდა.

ერთხელ უზნელმა „ყონმა“ ბინა დამითმო. ჭორფლიანს ვუთხარი, რომ მერკურის ახალ სიმღერებს მოვასმენინებდი მეგობართან. მივედიო. იქ არავითარი მერკური არ იყო. მე ლენონი მიყვარდა.

ჭორფლიანი ტახტზე იჯდა და თვალები გაფართოებოდა. მე ნელა მივეუახლოვდი და თითებით უკან გადავეყარე ქერა თმა. ალბათ, მხოლოდ თვალებზე გვეტყობოდა, რომ უცნაური რამ უნდა აღმოგვეჩინა.

ტახტიდან ნელა, ხაოიან ხალიჩაზე გადმოვეშეთ. ცხელი სირბილე შემეფეთა. წუთით გამახსენდა: პატარაობისას, დაბადების დღეზე, დედა ტორტს გამომიცხოვდა ხოლმე. მე ვეღარ ვითმენდი. საქმით გართული დედის უჩუმრად ტორტის ჯერაც გაუციებელ ბისკვიტს მონდომებით ჩამოგვებენდი და პირგამოტენილი საჩქაროდ გავიპარებოდი. ყურის აწევას როგორ მაკადრებდნენ დაბადების დღეზე, მაგრამ თვალებს ნამ-



დვილად დამიბრიალებდნენ. ყელში ლუკმას ესეც კი გამიჩხირავდა... სტუმრებს შემომხდარ სუფრაზე დედას ტორტი შემოჰქონდა. უკვე ფერადი კრემით მორთული. ჩამოკბენილ კიდეს ვერავინ ამჩნევდა — დედას ყოველთვის მიხერხებულად ეჭირა ლანგარი და ხან გრძელი, ლამაზი თითებით ფარავდა ტორტის დარღვეულ ფორმას, ხანაც კრემის სქე-ნი ფენით შეავსებდა — იმის მიხედვით, რა ზომისა იყო ჩამოკბენილი ნაწილი და რომელი ღონისძიება უფრო გამოდგებოდა ტორტის სიმრგვალის დასაბრუნებლად. თანაც, ტორტის შემოტანისას შუქს ხომ აქრობენ და ასაკის შესაბამისად მასში ჩარჭობილ სანთლებსაც საჩქაროდ ვაქრობდი...

ფარდაც არ გადაგვიწვევია. მზიანი დღე იყო და ფანჯარაც ღია. ნელა ვიძიებოდი ბუნდოვან სირბილეში. თეძოე-

ბის სიცხემდე რომ ჩავაღწე — მახსოვს...

ჩუმად დაიწყო ჩაცმა. რიგრიგობით აისხა მთელი გარდერობი, საჭირო თანმიმდევრობით. მოძრაობები მკვეთრი, თავდაჯერებული და ზუსტი ჰქონდა.

ჩანთა აიღო. დამხედა. ოღნავ შეყოვნდა. „ნახვამდის!“ — მითხრა და კარისაკენ წავიდა...

კვლავ ხალიჩაზე ვიწეკი. გულადმა. თვალები დავხუჭე. უნებურად მედიმე-ბოდა. სუნთქვითაც კი, მგონი, უფრო თანაბრად და უფრო ღრმად ვსუნთქავდი. გამახსენდა: ვარჯიშის მერე უმცროს ბ. ჯებს კორტზე დიდის სიდარბაისლით ვემშვიდობებოდი, შორიდან, ხელის მსუბუქი აწევით — თავდაჯერებული მათთან უპირატესობაში.

...მე დავემშვიდობე ბიჭობანას. ნეტავ, რას ფიქრობდა ის?

ნეტავ, რას ფიქრობდა ის?

სარკესთან იდგა. კარგა ხანს საკუთარ სახეს აკვირდებოდა. ანფასში, — დიდხანს. მერე ხან მარჯვნივ შეაბრუნა სახე, ხან მარცხნივ. ქერა თმა ჯერ ზურგზე გაიშალა. მერე ორივე ხელის თითებით მაღლა აზიდა: „იმან უფრო ამქაჩა, მაგრამ სასიამოვნოდ“, — ხელები ჩამოუსვა. ღილაკილოები გამოათავისუფლა. მკერდი გადაიღედა. მოძრაობდა ნელა, დაყოვნებებით. ძუძუების ფუძესთან აზღუდის დუგმა შეიხსნა. ასაკთან შედარებით სავსე ქალურ მკერდზე ხელები ჩამოისვა: „როგორი ცხელი თითები ჰქონდა,“ — ხელები წელამდე ჩამოაყოლა.

ცოტა ხანს დოინჯემოყრილი და ოღნავ თავაწეული შეჭყურებდა საკუთარ აღნაგობას. მერე მარჯვენა ხელი განივად გაასრილა მუცლის არეზე. მიულოდნელად გაფითრდა. ხელისგულზე ოფლის სისველე იგრძნო. ქვედა ტუჩი მოიკვინტა. შეიბრინა მეორე ოთახში. წიგნის თარო აათვალიერა. ენციკლოპედიებს სალოკი თითი ააყოლა. ერთ-ერთი გადმოიღო. კარგა ხანს უფრცლავდა წაღმა-უკუღმა. ბოლოს მიაგნო: „ადრეულ ასაკში ორსულობა ხშირად იწვევს ისეთი სახის გართულებებს, როგორიცაა...“

მიაგნოს

ჯვარი ჩუმად დაიწერეს. ქალაქის დიდხინის მობეზრებულ აურზაურს ერთ მივარდნილ სოფელში გაერიდნენ. სოფელი თითქმის დაცლილი იყო. რამდენიმე ეზოშიღა იგრძნობოდა ზანტი ცხოვრება.

ათსნაირი ტრანსპორტითა და პატარ-

პატარა კურორტებით შეღამებულზე მი-აღწიეს ბინამდე.

სოფელი კაცის დედულეთი იყო, ოღონდ დედის საგვარეულო კარგა ხნის გამქრალი იყო აქ — მიმოიფანტნენ.

არავის გაუგია მათი ჩამოსვლა. ნახევრად დანგრეული სახლი განაპირას იდ-

გა და სხვა სახლებისგან პატარა გორაკიც ფარავდა.

ჩამოსულებს მსუბუქი რომანტიკა არ აინტერესებდათ. მათ აქ უნდა ეცხოვრათ: ძველებური, ტრადიციული, სადა და ჯანსაღი სოფლური ცხოვრებით.

ეს არც ქალაქიდან გაქცევა იყო.

ქალაქი — ქალაქად, სოფელი — სოფელად, ასე ფიქრობდნენ. ოღონდ ვინმე იქაც უნდა ყოფილიყო, ვინმე — აქაც.

თვითონ აქ უნდოდათ.

დალილები ისხდნენ შედარებით მრთელად შენახულ სასტუმრო ოთახში. ძველებურ ტახტზე. ჩანთები წინკარში ეყარა.

კიდევამოწეწილი მუშაების ბოლო ჭუჭრუტანიდან შემოჭრილ ნიავეზე ფრი-ალეზდა.

ქალი ტახტზე გადაწვა. განივად. ხელები თავქვეშ ამოიღო და მზერა მუშაების მოფრიალე ნაკაწრზე შეაჩერა.

კაცმა ქალი შეათვალიერა. გაეღიმა. დაწვდა თვით გატენილ, ნესტისსუნიან მუთათას. თავქვეშ ამოიღო. ფეხები ქალის ზურგს უკან გაატარა და გულზე ხელებდაკრეფილი გაიჭიმა ტახტზე. ქალმა სახე მოაბრუნა. კაცს კვლავ ეღიმიებოდა. ქალი მისი მკერდისკენ გადმოიხარა.

კაცმა მაღალ ყელზე შემოაჭლო თითები.

ქალმა ხელებზე დაიხედა:

— ჭუჭყიანია, დავიბან.

— უკაცრავად, გოგირდის აბანი არ მუშაობს.

— თოვლის ნაყური მაინც იქნება სადმე, ვუბურაში.

— წავედი, წყალს მოვიტან, — კაცი ადგა. იბორიალა ვიწრო ოთახებში. რომელიღაც კუთხეში ემაღის ატკეცილი ვედრო იპოვა. კარში გასვლამდე ქალს მოჰხედა და თვალი ჩაუკრა.

ქალმა ზანტად ასწია წარბები და სალოკი და შუა თითებით მოხაზული „V“ დაანახა.

მობრუნებულ კაცს სასტუმრო ოთახი შემდეგისდაგვარად მიღაცებული დახე-

და. ქალი ტანსაცმელს ალაგებდა ჩანთებიდან — ურთიერთობა სიმყუდროვის მცდელობით იწყებოდა...

სახელდახელო აბაზანის მერე მაგიდას უსხდნენ და თერმოსიდან ჩაის ისხამდნენ წამოდებულ ფაიფურის ფინჯნებში.

ქალმა ჩაი მოსვა. ფინჯანი თვალების სიმაღლეზე ასწია. მეორე ხელის იდაყვს დაეყრდნო და გაეღიმა. ადგა. სამზარეულოში გავიდა. განჯინიდან ალუმინის ფინჯანი აიღო. ერთიდა იყო. მეორე ვერაფერი იპოვა. შეეშვა. დაბრუნდა მაგიდასთან. ალუმინის ფინჯანს ბოთლში ჩარჩენილი არაყი გამოავლო, ფაიფურის ფინჯნიდან ჩაი ალუმინისაში გადაასხა. ნაკლული ტევედობა თერმოსიდან შეავსო. ბუტერბროდი მოკბინა და ჩაი მოსვა:

— ჯერჯერობით ეს უფრო შეეფერება აქაურობას, — ფინჯანი კაცისკენ გასწია. მის ფაიფურს აარიდა და მუშტზე მიუჯახუნა.

ორივეს გაეცინა...

უკვე გვიან იყო.

ღამის ხმები სასიამოვნო სითბოდ შემოდიოდა ღია სარკმლებიდან და ჭუჭრუტანებიდან.

კაცმა კარგა ხნის უნათურო, აბლაბუდიან ელექტრომასრას ახედა და ელემენტებიან ღამბას ადგილი მოუნაცვლა.

ქალი ღოგინს აგებდა.

კაცი მიუახლოვდა. ქალი მობრუნდა. სწორი თმა გრძელი თითებით უკან გადაიყარა და ქმარს შეხედა.

აღერსის ბურანი ეპარებოდათ.

კაცმა მარჯვენა ხელი საფეთქლებთან მიიტანა, ფეხები ჯარისკაცურად შეატყუა და ცოლს გამოეჭიმა:

— Товарищ подполковник, разрешите пройти между...

თვალმოჭუტულმა ქალმა ყასიდი დაცინვით უპასუხა:

— Разрешаю!

კაცმა გადაიხარხარა. ქალს თქობებზე მოჰხვია ხელი, მოიხარა და თავი მუცელზე მიაბჯინა.

წინანდალი

შეთანხმდნენ, მეგობართან წასულიყვნენ წინანდალში. დილით ზუსტად დათქმულ დროს, რა თქმა უნდა, არავინ გამოჩენილა, მაგრამ ბოლო-ბოლო შეიკრიბნენ. ჩასხდნენ მეგობრისაკვე მანქანაში და კახეთის გზატკეცილს დაადგნენ. ადრიანი გაზაფხული იყო, ადამიანისგან ხელუხლებელი შუალედი ზამთარსა და გაზაფხულს შორის: მცენარეებს ის-ის იყო კვირტები ამოეყარათ, ნაშემოდგომარი ნარჩენები კი ჯერაც ყველაფერს შერჩენოდა.

აღფრთოვანებული შეძახილებით, სიცილით ისე განვლეს გზა, ვერც გაიგებდნენ გზის დასრულებას, რომ არა საჭვსთან მჯდომი თემურის შეძახილი: „გურჯაანო, შენ კახეთის გული ხარ!“ — შემობრუნებასთან ერთად საჭვს ორივე ხელი ისე უშვა, მერე, მოულოდნელი დამუხრუჭებისგან, მგზავრებმა კოპებზე მოისვეს ხელები...

მასპინძელი დონეცშიმყოფი და თვალმოჭუტული უცდიდა მანქანიდან სტუმრების სათითაოდ ჩამოსვლას.

მერე: მოკითხვა-მიკითხვები. ისევ სიცილი, ხუმრობა.

მერე: ჰე-ჰე! რაღა თქმა უნდა — სუფრა.

როგორ და როგორი? — კახეთი შორს კია არაა, თვალთ ნანახი ჯობია.

თამადა — დათო.

სადღევრემელოები — ქართული. გულიანი.

ერთ-ერთი: „ნანას და ლევანს გაუმარჯოთ!“ — შეთქმულები ფეხზე წაძოდგნენ. ნანამ ლევანს ახედა. ის დაიხარა და ლოყაზე აკოცა:

— მოგიტაცეთ!

ნანა გაფითრდა. ყველას მოავლო მზერას:

— თქვენი ჭკუით, მომიტაცეთ. ჩემი ჭკუით კი, ვერაფერიც ვერ მომიტაცეთ. მომეცი გასაღები, — თემურისკენ ხელი გაიწოდა.

— ნანა, დაიცა... — თამუნამ სხვებს დაასწორო.

— დამანებეთ თავი. მომეცი გასაღე-

ბი, — კვლავ გაუმეორა ნანამ თემურს. თემურმა ზანტად გაუწოდა. ნანამ ჩანთა აიღო. ლევანი წინ გადაუდგა.

— უსინდისო ხარ.

ლევანი მაინც არ შეეშვა. ფეხდაფეხ მიჰყვა. ნანამ მანქანის კარი გამოაღო, სავარძელზე დაეშვა. ასხმულიდან გასაღები ამოარჩია და სცადა მანქანის დაქოქვა. გვერდითა კარიდან შემოვარდნილმა ლევანმა გოგოს გასაღებიან ხელს ხელი სტაცა. უადგილო მოძრაობა იყო — ნანამ მანქანის მართვა არ იცოდა.

— ნანა, მაპატიე...

— რა გაპატიო? — ასველებული თვალებით შეხედა გოგომ.

— მაპატიე, რომ... მიყვარხარ! — დიმილი გაურია ლევანმა.

— მერე მე მაპატიო ვინმემ მაგისთანა დანაშაული? — თქვა გოგომ და საზურგეს მიეყრდნო.

პაუზა ხანმოკლე იყო.

— ნან, მე მინდა გიყვარდე და ჩემი ცოლი იყო, — ლევანმა გოგოს თმამოიოთები შეაცურა.

ნანამ ბიჭის ხელი მოიცვალა და იკითხა:

— რამდენ ხანში უნდა მოვასწორო ეგ?

— რაც შეიძლება მალე.

— მაშინ, დრო დაინიშნე — ხუთა წუთით.

ლევანმა საათს დახედა.

ნანამ თვალები დახუჭა და საზურგეს უფრო მოხერხებულად მიეყრდნო. გულხელი დაიკრიფა.

ლევანი დროდადრო დახედავდა საათს. მაჯის საათი ლამის გუგულიანი საათის ხმას გამოსცემდა. საკუთარი გულისცემაც ასევე ყურებთან ურტყამდა ლევანს.

გოგოც დაძაბული იყო.

— დრო! — ლევანმა ისარს წამიც არ აცალა გადასაცდენად.

ნანამ თვალები გაახილა:

—რა შეუბრალებელი რეფერი ხარ, რა!

— ძალიან შეუბრალებელი, მაგრამ სამართლიანი.

— ვისმენო პასუხს, — ლევანი ნიკაპკვემ ხელებამოდებული გადაწვა საზურგეზე და გოგოს შეაკეპრდა.

ნანამ თავი ბიჭისკენ შეაბრუნა:

— პირველი მოვასწარი, ანუ: შეყვარება. მეორე... მეორე-მეორე სერიაში, — თქვა და სახელური დასწია.

ლევანმა ჩასვლა დაასწრო, ხელი გაუწოდა, ჩამოიყვანა და მანქანის კარი

მიაჯახუნა. მკლავები მხრებზე მოჰხვიდა და ცხელმა ტუჩებმა სასურველად მიაგნეს ერთმანეთს. ალერსი გაუვრცელდა.

— აუუ! — ფანჯრიდან ზურას ბოხი ხმა მოესმათ, რასაც დანარჩენების სიცილი და შემახილებიც დაერთო.

— წავიდეთ, ჩვენს გიჟებს ქეიფი მონატრათ.

ლევანმა ხელში აიყვანა გოგო.

ანტიპა

ისე ჟუჟუნა ერქვა. ვინც მისი ახალგაზრდობის მომსწრე იყო, ჟუჟუნას მამინდელი სილამაზის გახსენებისას ეპითეტს არ იშურებდა: ტალღოვანი თმა, მართლა მოუჟუჟუნე თვალები, ნაზი სახის კანი, ლამაზი, გრძელი, გრძელი თითები — საქალეთის ნამდვილი მშვენება ყოფილა.

მერე, უკვე დაჩანაკებული თვითონაც მწარედ ჩაიღიმებდა: „პოო, იყო დრო, ანტიკას მეძახოდნენ“, — და თავის დროზე იმ თავისი საარაკო ქალური თითებით თუთუნს შეახვევდა. თუთუნს კი არა, ნაგროვები ნამწვავების გულს დაიყრიდა ცალ ხელისგულზე და მეორე ხელით უბიდან ქალაღღს დაადრობდა. თითების კანკალით შეახვევდა. მოუკიდებდა ასევე უბიდან დაძრობილ ასანთის ღერს რომელიმე მოსაუბრის ასანთზე და ჭიანი კბილების ძიძგით ნაფაზს ნაფაზზე დაარტყამდა. ცხოვრობდა მარტოდმარტო. შვილი კი ჰყავდა, ქალი. ამბობდნენ, სილამაზით დედის ახალგაზრდობის გამეორებააო. ჟუჟუნა შვილს ხშირად ახსენებდა. ხან სილამაზეს უქებდა, ხან დიასახლისობას. უნდობლობას რომ შეატყობდა მსმენელს, იფიცებოდა: მიწა გამისკდეს, თუ ჩემი გოგო იმაზე ნაკლები იყოს, ვიდრე ვითხარითო. ზოგი უჯერებდა, ზოგი არა. ის გოგო თვალთ არავის ენახა. დედას არ ეკარებოდა. მართლა პატიოსანი კაცის ცოლია და დედის წარსული ენითირებო, ამბობდნენ.

ბერდებოდა ჟუჟუნა. ბოლო დროს მძასაც მიჰყო ხელი. იქამდეც კი მივი-

და, რომ დილაობით მეზობლებში ჩამოიმათხოვრებდა სასმელს. აუტანელი სანახავი იყო ნაბახუსევი ქალი: თმაწეწილი და შუბლზე თავსაფარაკრული. კაბა, ხალათი, წინსაფარი — ერთმანეთზე ულახათოდ გადაცმული. ჩამოჯდებოდა თავისი პატარა, ხის სახლის საფეხურზე და ხმამაღლა ესაუბრებოდა საკუთარ თავს. გაიხსენებდა კაცებს, თავისი ცხოვრების სხვადასხვა დროს მასთან დაკავშირებულებს. ზოგს ეჩხუბებოდა, ზოგს აგინებდა ქუჩურადაც კი. უკვე ზმანებებში იყო გადასული. სინამდვილე და წარმოსახული, წარსული და აწმყო ერთმანეთში არეოდა.

დაიკარგა მთელი კვირა. არავის გახსენებია. ბოლოს მოისაზრეს კარების შემტრევა — უკვე ხრწნამეპარული სხეული ძლივს ჩამოხსნეს თოკიდან. ლოგინზე დაასვენეს, სადაც ყულფში თავის გაყოფამდე ნაქონი, ახალგაზრდობისდროინდელი კაბები და ალბომიდან ამორჩეული სურათები დაელაგებინა. როგორ ასცდენოდა ყოფილი და სინამდვილე ერთმანეთს.

ლამაზი შვილი დასაფლავებამდე ერთხელ გამოჩნდა, უჩუმრად, ღამით. მართლა დედის ყოფილი სილამაზის განმეორება იყო.

რამდენიმე დღეში სამადლოდ დამარხეს მეზობლებმა. მისი პატარა ეზო მალე ეკალბარდმა დაფარა და პატარა სახლიც დიდხანს იდგა გაველურებულ ეზოში, ვიდრე ყველაფერ ამას ვიღაც შორეული ნათესავი დაუკითხავად დაეპატრონებოდა.

ღაასა, ჯუთისოფლო!

ოთახში სიჩუმე იყო. ჭირისუფალნი გაკრეფილიყვნენ. ალბათ, წამით რომ შეესვენათ ტკივილის გასაძლებად.

ის კი იწვა მშვიდად მიძინებული ბავშვივით. სახის ნაკეთებჩამოქნილი, — ჯერაც ვერ მოესწრო სიკვდილს მისი დამახინჯება...

მაგრამ მთავარი ხელები იყო: გრძელი, ოდნავ უსწორმასწორო, თხელი თითები. ყოველთვის მოძრავი. მოძრავი რაღაც ლაზათით, დახვეწილად, როგორც წლობით გავარჯიშებული ბუნებრივი მოძრაობა...

საბჭოედი მანქანიდან ჩათავებულ ფურცელს რომ ამოაძრობდა (ორ ცალად ბეჭდავდა, პირველ პირს მე მწუქნიდა, მეორეს დედნად იტოვებდა, თუმცა მისი აცა-ბაცად ნაწერი, თითების სინატიფესთან შეუფერებელი ასოები უფრო მიყვარდა, და ზოგჯერ, იშვიათად, ვაიძულვებდი, ხელით გადაეწერა რამე), შუა და სალოკო თითებით ეჭირა ცერსა და არათითს ფურცლის ქვედა, კიდზე იშველიებდა, თვალს გადააკლებდა და და... დაჭმუჭუნულს უცებ კუთხეში ისროდა, თავის თანამომეებთან...

მერე თითებს ერთმანეთს გადააჭლობდა, ტკივილამდე ამხზრევდა ძელებს, შეატყუებდა და დააცქერდებოდა: მონაცვლეობით ხელს ხელზე დაიკრავდა. ჰე მეცინებოდა და ხელით თავზე ვანიშნებდი — „სულელ“ თავზე დაირტყვი-მეთქი.

მერე სიგარეტს გადასწვდებოდა. თითები აქაც განსაკუთრებულად მოძრაობდნენ. ცოტა ხანს თითებს შორის ტრიალებდა სიგარეტის ღერი, თითქოს ვალიბიდან ამოღებულ რაღაც ფორმას ზეწვდა თითების ვირტუოზული მოძრაობა. შეიძლება, მაშინ მისი საყვარელი ვიოლინოს შორეული ხმაც კი ესმოდა. არც სმენა ჰქონდა, არც ხმა, მაგრამ აღლო ჰქონდა მუსიკის სიავეარვის გარჩევის.

ჰოდა, როცა ასე, სიგარეტის თითებშუა ტრიალით ერთობოდა, მე მის თი-

თებს სხვადასხვა საკრავზე ვხედავდი. მის საყვარელ ვიოლინოზე კი, რომ სჭეროდა, მჯეროდა, აუცილებლად ვირტუოზულად დაუკრავდა...

და აი, ახლა ეს თითები, გულზე დაკრეფილნი, უცნაური სითეთრით ანათებდნენ. ვუყურებდი და ბეჭებზე, მკერდზე, ყელზე, ტუჩებზე ვგრძნობდი მათ სირბილეს, მონაცვლეობას; შეხების ადგილები მეწვოდა: თითები, ჩემი საყვარელი თითები, მორცხვი, ურცხვი, ჯიუტი, თავპარიანი თითები, გრძელი თმა რომ ათასგზის უწწვიათ, ღმერთო... უძრაობდნენ.

სიჩუმე. უძრაობა. ღუმილი. ნიკაპთან შეერთებული სიმლაშე. ოთახი, ჭაღი, ფანჯრები, წიგნის თაროები... ყველაფერი, რაც კი ამ სახლში იყო და მისე მაგორი თითების შეხებას იყენენ ჩვეული — ემშვიდობებოდნენ სამუდამოდ, ნაადრევად...

ნელ-ნელა ბინდში ჩაიკარგა ყველაფერი. ერთადერთი, რასაც ვამჩნევდი, თითები იყო. ბოლოს თავბრუსხვევამ თვალები დამიხუჭა და ისინიც გაქრნენ...

წვიმდა. ცრიატად. გულგამაწვრილებლად. უკვე საფლავში უნდა ჩაეშვათ კუბო. უკანასკნელად გადახადეს სახურავი. ისევ ისეთივე იწვა, როგორც ერთი კვირით ადრე... წინ წასულ ჭირისუფალთა ტალღამ უკან მომაქცია, მაგრამ ვხედავდი იმას, რისი დანახვაც მინდოდა და უსრულებლად, მაგრამ სამუდამოდ მშორდებოდა: თითები. გრძელი, ოდნავ უსწორმასწორო, ნერვიული, ჯიუტი, თავპარიანი თითები... წუთით მომეჩვენა, თითქოს მარცხენა აიქნია, როგორც თამადლობისას იცოდა: „ღამაცათ, მათქმევი-ნეთ“... ამჯერად სულ სხვა სიტყვები მომესმა: „ღამაცა, წუთისოფელო!“

ცრემლებმა თვალები დამიბინდეს. ყველა წინ მიიწვედა. მივხვდი, რომ საითთაოდ, მუჭით მიწას აყრიდნენ: ზოგი ბებრული, გამშრალი ხელებით, ზოგიც კოტიტათითებიანი ვეება მუშტით...

ჩემი საყვარელი თითები. ჩემი ურჩე-
ბი, ჩემი თავქარიანები გაუჩინარდნენ.

გაშლილი თმა მუჭში მოვიმწყვდი
და ძლიერად ჩამოვქაჩე.

პრისტე ალსდგა, გურამ!

რამდენი მკვდარია ცოცხალ ისტორიაში...
შენი სიტყვების პერიფრაზი.

ვაკის სასაფლაოზე პირველად ვარ.
რჩეულიშვილის საფლავს ვეძებ.

კარიბჭიდან ნელა წავედი. ხან მარც-
ხნივ ვიხედები, ხან მარჯვნივ. რამდენი-
მე საფლავის შეთვალეიერებასდა ვასწ-
რებ და შოთა იათაშვილი მხვდება:

— მამაჩემის საფლავზე ვიყავი. შენ
აქ რა გინდა?

— რჩეულიშვილის საფლავს ვეძებ.

— აქვეა; სადღაც მარცხნივ.

— ავერ! — დაბნეულმა შევხედე. იქვე,
შორიახლოს ვმდგარვართ. მხრები ავი-
ჩენე და გავიღიძე.

შოთა წავიდა. ნელა მიდიოდა. წყნარი
და ნაღვლიანი ხმა დამამახსოვრდა.

ვჯდები გურამის საფლავთან. ადრევე
ჩავიფიქრე, აქ პირველად მოსულს რამე
დამეწერა.

მაშინ გარკვევით არაფერი მომინიშ-
ნავს. დღეს, გზაში, № 8 ტროლეიბუსით
მგზავრობისას ძველი, ბუნდოვანი ფიქ-
რი დღევანდლობას დაუკავშირდა. ახ-
ლა ვზივარ გურამის საფლავთან და
ვფიქრობ...

მინდოდა, სხვას მოვეყვანე გურამთან...

ის სხვა თავისი, სხვა გზით წავიდა...
და მიდის...

თითქმის გურამის საფლავთან შოთა
შემხვდა...

გურამის საფლავზე სუროს ფოთოლს
წაწვეტ.

შორიახლოს ორი ქალი მათხოვრობს.
უარაფრო კუბიურები მივეცი.

ვინიშნავ „ამეებს“. წვიმა წამოვიდა.

გურამის საფლავის ქვაზე სამი ტიტა
დევს: ერთი ყვითელი, ორი წითელი.

რამდენიმე დღის მოტანილს ჰგავს.

მე საფლავის ქვას ჯვარი გადავწერე:
„პრისტე ალსდგა, გურამ!“

ვზივარ. ფიქრები ერთმანეთზე გადარ-
ბანა.

დასარეკია ბ-ნ ერლომთან, — გურამ
რჩეულიშვილის საზოგადოების ზუგდი-
დის განყოფილებისათვის უნდა დაეზუ-
სტო რაღაცეები. ესეც ერთი შტრიხი
იქნება მოთხორობისათვის. ჯერ არ ვიცი.
რას „აღბეჭდავ“, მაგრამ პუბლიცის-
ტური არ მინდა გამომივიდეს. ეს ღანამ-
დვილებით ვიცი. სათაურის წამოტიე-
ტივებისას სინქრონულად ამის შიშაც
გამიჩნდა (2,46 სთ/წთ. — სათაური ახ-
ლა მოვინიშნე).

შუახნის მიცვალებული ჩამოატა-
რეს, — ფოტოზე ჭალარა ქალი სანდო-
ნიანად იმზირება.

მათხოვარი ქალებიდან ერთი რუსია.
პეორე ქართველი.

გამვლელი ქართველი ქველმოქმედი
ქალი ეკითხება:

„ქართველი ხარ?“ — მათხოვარს
ცაესაფარი აქვს ჩამოფხატული და სა-
ხეს ყველას არიდებს.

„ქართველი ვარ“, — უპასუხა. ჭმუჭ-
ნის შემოწირულ კუბონს.

იმ ქველმოქმედმა რუსს ისე ჩაუარა...

ჩამოიარა რუსმა ჭირისუფალმაც, —
ორივე მათხოვარს გაუწოდა კუბიურები
ქართველი მათხოვარი რუსულად ლო-
ცავს. მგონი, არაა ქართველი. ახლავა
დაუკვირდი მის გაუმართავ მეტყველე-
ბას:

„გაგიხაროთ ღმერთმა. ცუდი დღე არ
დაგვენახოს“.

რუსი უსიტყვოდ ზის. ტრადიციულად
შემოხვეულ თავსაფარს ისწორებს დრო-
დადრო.

ბილიკზე ხალხმრავლობაა. მიდი-მო-
დიან ჭირისუფლები.

კუბიურების გაცემის შუალედებში
ხანდახან გაისმის ქველმოქმედური ხმები:

„ამას არაფერი არ უნდა მისცე...“
„თითო ექვსათასიანია დღეში...“

„ოც ადამიანს თითო მანეთი რომ მისცე, ოცი მანეთია...“

წვიმს. ნელა, მაგრამ მსხვილად წვეთებს. ცვივა საფლავის ფილებზე.

ჩიტები გალობენ.

წვიმამ უმატა სიმძლავრეს.

შოთას ხმა მახსენდება, — რბილი ტემბრი (2,57 სთ/წთ).

რომელიდაც საფლავზე ჭირისუფალი ქალი მოთქვამს.

გამველელთა მისალმება რეფერენდუმებს:

„ქრისტე აღსდგა! — ჭეშმარიტად!“

დროდადრო ვათვალისწინებ ბილიკზე მოძრავ ადამიანთა ნაკადს. ბაღის სკამი გურამთან საზურგით ბილიკისკენ დგას და კისერი მეღრიცხება ხან მარცხნივ, ხან მარჯვნივ.

მერყევა მათხოვრების წარმატება წამსვლელებისგან. მოსულები უფრო... ამწუთას: წამსვლელმა ასმანეთიანი კუპონები გაუწოდა ორივე მათხოვარს და წამოწყებულ ფრანს ვერ ვამთავრებ. ჩამოიარეს ყმაწვილებმა. ერთი ბიჭი ქართულად მოსაუბრე მათხოვრის რუსულ დალოცვას: «Дай Бог вам здорovia» ამ სიტყვებითა პასუხობს: «Дай Бог, дай»...

კაცმა ახალგაზრდა ქალთან ხელკავით ჩაიარა:

„ბედნიერება არაფერი არაა...“

სერიოზულად წვიმს. ვსველდები.

ქართულად მოსაუბრე მათხოვარი გულდაწყვეტით ამბობს:

„ეეჰ, წვი...იმს!“

ჭირისუფლები ჩქარობენ. ვისაცა აქვს, ქოლგას შლის. რუსი მათხოვარიც დგება. ქართულად მოსაუბრეც იღებს ნამცხვრის ნატეხებიან პოლიეთილენის პარკს. ორივენი მალლა იყურებიან, დრუბლებისაკენ, სადაც, ვარაუდით, ახლა მზე უნდა იყოს, — ორივენი შეყოვნდნენ.

მეც ვზივარ და ვსველდები.

მალალმა მამაკაცმა ხელჩანთიან დაბალ მამაკაცთან ერთად აჩქარებით ჩამოიარა. დაბალმა მოასწრო ლაბადის

საყვლაწვეული მაღლისთვის რომელიდაც საფლავისკენ მიითითება:

„ყველაზე ახალგაზრდა მეცნიერ-მუსიკი იყო...“

დროებით ვღებები, — საპირფარეშოში მივდივარ.

ვბრუნდები. აღარ წვიმს.

გურამთან არც სანთლები მომიტანია, არც ყვავილები, — ყველა ცოცხალზე ცოცხლად ვთვლი.

შოთას ხმის ტემბრი ჩამესმის.

ხალხმრავლობაა ჯერაც (3,20 სთ/წთ). რომ ავდგები, სასაფლაო უნდა დავათვალიერო.

შუადღის აბები მაქვს დასალევი.

დავლიე (3,24 სთ/წთ).

გამველლების მისალმება კვლავ რეფერენდუმებზე:

„ქრისტე აღსდგა! — ჭეშმარიტად!“

ერთა კვირის წინათ „ღუბინკიანმა“ ბიჭებმა ჩამოიარეს ზემელზე.

გამველლები:

„ქრისტე აღსდგა! — ჭეშმარიტად!“

გუშინდელი ტელეინფორმაცია „დედამიწის კრიმინოგენური წერტილებიდან“:

„ფრანგმა პოლიციელებმა „ღუბინკები“ გამოიყენეს იმ დემონსტრანტების წინააღმდეგ, რომლებიც პროტესტს გამოთქამდნენ გასულ კვირას პოლიციის მიერ რამდენიმე ფრანგი ახალგაზრდის სიცოცხლის ხელყოფის გამო...“

გამველლები:

„ქრისტე აღსდგა! — ჭეშმარიტად!“

ყოველ საღამოს, ერთსა და იმავე დროს, ტელეპანთეონში ლამაზი ბიჭები ჩანან:

„სამშობლოს ერთიანობისა და საზღვრების ხელშეუხებლობისათვის ბრძოლას შეეწირნენ აფხაზეთში, სოფელ ლაბრასთან...“

გამველლები:

„ქრისტე აღსდგა! — ჭეშმარიტად!“

შოთას ლექსიდან სტრიქონები მახსენდება:

„მოდი წავიდეთ კინოში, იქ ჩვენს მაგივრად ილაპარაკებენ, ჩვენს მაგივრად ეყვარებათ და გაწამდებიან. მოდი, წავიდეთ კინოში, დაე იქ

სხვებმა ჩაატარონ სქესობრივი აქტი. ჩვენ ხომ მერვე მოვახლავთორთებთ ამ აუცილებელ საქმეს და თანაც ისე, თითქოს მე ვადამწვარ ნათურას ვეკლილე და შენ კიდევ ქვაბებს ხეხავდე ნედე-ოი“.

კათოლიკე მღვდლის, შულერის სააღ-დგომო ქადაგებიდან ნიუ-იორკის საკათედრო ტაძარში, — მე, რა თქმა უნდა, ტელევიზიით მოვისმინე. რუსეთის ერთ-ერთი არხი პერიოდულად აჩვენებს:

«Жизнь—жестокость,
БОГ — ДОБРО!»

ბოლო დროს მხოლოდ ერთადერთ სანთელს ვანთებ ეკლესიებში:

„ღმერთო, დაგვანახე ადამიანებს ერთმანეთი და საკუთარი თავი!“

ერთი კვირის წინათ „ღუბნიკიანმა“ ბიჭებმა ჩამიარეს ზემელზე — შორიახლოს რამდენიმე ათასი ადამიანი იყო შეკრებილი.

ღიალოგი „ბიკის საათში:“

ქალი ჟურნალისტი: „ორიოდე საათის წინ ქალაქის ცენტრალურ მაგისტრალზე ორიათასამდე მოქალაქემ სცადა ქალაქის ჩვეული რიტმის დარღვევა და მიტინგის მოწყობა, მაგრამ პოლიციამ დროზე აღკვეთა მათი მცდელობა. ჩვენი კორესპონდენტი ეს-ესაა დაბრუნდა შემთხვევის ადგილიდან და უფრო ზუსტ ინფორმაციას მოგაწვდით“.

სტუდიაში მოსული მამაკაცი ჟურნალისტი: „პატივცემულო რადიომომენებო, როგორც მოგახსენეს, მოქალაქეთა შვიდასკაციანმა ჯგუფმა დღეს...“

ქალი ჟურნალისტი აწყვეტინებს: „უკაცრავად, მე უკვე გამოეცხადე, რომ იქ ორიათასამდე ადამიანი იყო...“

სტუდიაში მოსული მამაკაცი ჟურნალისტი: „არა, მე მაქვს პოლიციის დაზუსტებული მონაცემები. წესრიგის დამრღვევნი ნამდვილად არ იყვნენ შვიდასზე მეტნი. შორიახლოს მეტროპოლიტენის სადგურია და მომიტინგეთა რაოდენობა შეიძლება ნამდვილად შეგეშალოს...“

გამვლელები:

„ქრისტე აღსდგა! — ჭეშმარიტად!“

წუხელ პურის მალაზიაში პურის მო-

ტანა დაგვიანდა. გვიანმოსულ დამცლელი არ აღმოაჩნდა. გამყიდველმა ქალმა იქვე მდგომ თქქსმეტი-ჩვიდეტი წლის ბიჭებს სთხოვა დახმარება. ერთ-ერთი სხვებს მიუბრუნდა:

„ღათო, ხომ არ ცლი პურს! — არა!“

„ნიკა, ხომ არ ცლი პურს! — არა!“

„ქ-ნო, მძიმე რამეების აწევა მეც არ შემძლია!“

თხოუმეტი კასეტა პური შუახნის მამაკაცმა, ათიოდე წლის ბავშვმა და ერთმა ახალგაზრდა კაცმა გადმოტერთეს.

„თითო პურიც მძიმეა თქვენთვის, აღარ მოგცემთ“, — გაკაპსებული გამყიდველის ხმას ის ბიჭები ჩუმად გაეცალნენ.

გამვლელები:

„ქრისტე აღსდგა! — ჭეშმარიტად!“

შოთას ხმის ტემბრი მახსენდება. ძალიან სასიამოვნო ხმა აქვს, მაგრამ ძალიან ხშირად — მხოლოდ ნაღვლიანი.

ჩიტები გალობენ. აღარ წვიმს.

ჭირისუფლები კვლავ მიდი-მოდიან ბილიკზე.

სალექსო სტრიქონებისმაგვარი დაბორილობენ საღდაც, კეფასთან. ვაყონებ. ქუსლები მიბაკუნობენ ასფალტზე.

ბოლოს სიტყვები შეძლებისდაგვარად დალაგდნენ:

სასაფლაოს ისედაც წარმოშობით ლანდოვან არსებობაში, ჩემი ჭკუით, — მყარი ნაბიჯებით მივაბიჯებ და ვეძებ ჩემთვის მნაშენლოვან, კარგანის საფლავს. ჭირისუფალთა ჭრელი ნაკადი (ბილიკზე მსვლელი) მშობლიურობის მცირე მარცვალსაც არ იმეტებს თავისი საკუთრებადქვეული, სათავისო წუხილის გარსის გაულწველობიდან, ან მე შეჩვენება ასე და ჩემი თავდაჯერებული ნაბიჯები კარგავს სიყარეს. დაბნეული თვალებით ვეძებ რაიმე საიმედო მონაზულობას და... თითქმის იმ საფლავთან, რომელსაც ვეძებ, ნაცნობი მხერა (ისე, შორიდან ნაცნობი) ალბათ, არ იმეტებს, მაგრამ... მესალმება...

18/4-93. თბილისი. შუადღე: 3,36 სთ/წთ.

გურამის საფლავთან. აღდგომა.

გამვლელები:

„ქრისტე აღსდგა! — ჭეშმარიტად!“

წვიმს. ვღვებო. მივდივარ.

ისა ჯაჭვადე

შენ მიიჩქარი...
შორი გზები ისევ გიხმობენ,
გავსებულია შენი ფიქრის მატარებელი
შენივ მგზავრებით...
მოგდევს ლაშქარი უღარდელობის,
ქარ-წვიმებისა
და უკან გრჩება
მშობლიური თბილი კალთები,
თბილი გარემო.
აღმოსავლეთის მზე გრჩება
გვერდით.
დასავლეთის მზეს უახლოვდები...

მწვერვალებზე — როგორც ღამე,
მყინვარებზე — როგორც თოვლი
შემდგარიყავ მთიდან მთაზე
და მოჩანდი შორზე შორი.
ცაზე ცისარტყელა კრთოდა,

მიუყვები აღმოდებულ
ველებს,
მახსოვს მხოლოდ ერთი ბეწო
ლხენა...
მარტოობამ სად არ წამიყვანა,
მარტოობამ რა არ გამახსენა.

სიზმრიდან ისევ გამოვიფხიზლე,
მშენიერება ჟამმა შეცვალა,
მე რომ ხელთ მეპყრა ბედნიერება,
უცებ ხელიდან
გამომეცალა.
ღამდება, მაგრამ

სულ დაიკარგე,
როგორც ფოთოლი შემოდგომისა...
სხვა სახელებს გაეკიდე,
სხვა ქუჩები გადაიარე,
სხვის კარად ხარ დაყუდებული...
ჩვენი ზიარი პურის ყანები
უღმობელი წვიმით სველდება.
სიყვარულის ჭიშკრის კარიც მაგრად
ჩარაზე
და აღარ მეტყვი: რააკვერ ხარ, ქალავ?!
ოცნებავ, შენაც ნუ მიმატოვებ!

იყო წვიმა... ქროდა ქარი,
მე — ისევე შენი ცალი...
შენ კი... ისევ სხვისი დარი,
მალღებოლი მწვერვალზე და...
იყავ შორი, შორზე შორი.

ქარს და ნიავს,
მთის თაუზე რომ ჰქრიან,
მოვიგონებ, ალბათ,
მერე, გვიან...
ოცნებებით რომ იფშენეტენ ხელებს —
მიუყვები აღმოდებულ ველებს.

ტკბილი სიზმრებიც
გაქრა, სიმშვიდე
შფოთვამ შეცვალა,
მე რომ ხელთ მეპყრა ბედნიერება,
თევზივით გასხლტა,
გამომეცალა.

ახმეტა

მზის სხივთა კრთომით გაღვიძებულმა
 ღუთიურმა სიომ მომიალერსა...
 აი, დამფრთხალი ჩემი ბავშვობა,
 ასდევს და ასდევს არაგვის შრიალს...
 აი, ახმეტის კრიალა თვალი,
 იორის პირას მოსული ია

და ნასახლარი ჩოლოკაშვილთა,
 მათი სახლ-კარის მცველი ბილილა.
 წითელ ფერებში ელვა ინთება,
 მატნის ველებზე ფერადებს ვხედავ —
 მომრავლებულა ქაქუცას ჯარი,
 ჭახჭახებს შაშვი, ბრიალებს ზეცა...



იზა ბარამიძეს

ვარ ხელეური გასალეწავი,
 ვით ძნა კალოზე, ისე ჩამშალეთ.
 მე რაც მიწოდდა და რაც მეწადა,
 იგი ვერავენ ვერ დამიშალოს!..
 მე გავისტუმრე წარსულის ვალი —
 არვის რა მმართებს...
 ახლა დამთესეთ...
 დაგიბურებთ არწივთა მართვეს...



ანზორ კუდბა

დიდი წვიმის სიფორია

მოთხრობა

საღსი უთენია მოაწყდა ახლად აღდგენილი ეკლესიის ეზოს, სადაც ქალაქის საზოგადოებრიობამ ზუსტად სამ საათზე უნდა იზეიმოს დიდი საკონცერტო დარბაზის გახსნა. ამბობენ, ბახის ქორალებსაც აახშიანებენო და კიდევ: დღევანდელ ზეიმს პირველი კაციც დაესწრებაო.

„უსაშუოდ ზეიმზე არ დაიშვებიან“, — ასეთი აბრაცაა ერთგან გამოკრული. აბრა მალევე ჩამოხსნეს, თავი მოგვეჭრებაო, უნებლიეთ წამოსცდა ვიღაცას.

„დარბაზში“ საშვიანები იკავებენ ადგილს, ხოლო ისინი, ვისაც მართლა გული შესტკივა ეკლესიასა და მის დანიშნულებაზე, გარეთ დარჩნენ. ჰოდა, ასე და ამრიგად, დაიწყო მიტინგი.

შუა მიტინგზე ჩოჩქოლი ატყდა.

გლახა მოსულიყო ერთი, ეკლესიაში შემომავითო, უთხოვია და უკან გამოუძევებიათ. მათხოვარს ეკლესიაში რა უნდაო, ასე უთქვამთ წესრიგის დამცველებს. ჩემს სახლში როგორ თუ რა მინდაო, გაკვირვებია გლახას და უკან გაკრული ხელები გაუთავისუფლებია. ამას მეტად გაუბრაზებია გოლიათი, შემოსასვლელში რომ მდგარა და რიოში სიტყვები უკადრებია გლახასთვის. არც ამას დასჯერებია და ურჩევია — გასცლოდა აქაურობას, გადაკარგულიყო შორს, თუნდაც ცხრა მთას იქით.

„ჩემი სახლიდან გამომაპანდურეს...“ — სული აუტირდა გლახას, — წახდა ქვეყანა, წაიბილწა... წავალ მეც, მოვივლი ქვეყანას. დიდაა სოფელი, შემოფაროს იქნება ვინმემ. კეთილ კაცს, აბა, როგორ ვერ გადავეყრები ამ ჩვენს საწუთროში?

— ეი, შე ოჯახაშენებულო, მოიცა, სად მახვალ?! ვეველა უსულგულო ხომ არ გგონია? დარჩი ჩემთან ამაღამ. მე ყარული ვარ ამ ეკლესიის.

— შე კი გლახა... შენთან, თუ არავინ შემოფარა, მაშინ მოვალ, მოგაკითხავ...

— გიცანი, გიცანი! — წამოიძახა ყარულმა და ხელი ხელს შემოჰკრა, — მე კი სოკრატა ვარ, ერთი უბერი კაცი...

— მეც გიცანი... — ჩაილაპარაკა გლახამაც და პირველი გადასწერა თვალებ-აწყლიანებულ სოკრატას. — შეიძლება მოვიდე... ისე, ნუ დამელოდები, — ქალაქისკენ მიმავალ გზას გააყოლა თვალი, — დიდაა მართლაც ქვეყანა! ანდა რატომ უნდა გალოდინო? რა საჭიროა წინასწარმეტყველება? სიცოცხლე კი გარჩნდა ქვეყნად, მაგრამ არავის არ აუხსნია კაცისთვის თუ რატომ გამოიგონეს იგი. სიკვდილს მართლაც არ ახდია იღუმალის ფარდა. არავინ იცის თავისი გარდაცვალების თარიღი. რომ იცოდეს, ხომ შეიშალა გარდაცვალებამდე. ამბობენ, მაჯაზე, კანქვეშ, გვეწეროს თითქოს დაბლებისა და გარდაცვალების თარიღები.

მაგრამ ღვთის ნებითვე ვერ ვამჩნევთ. არცაა საჭირო! მიუღივარ იქ, სადაც ლაზარე უნდა აღდგეს. მერე მოვალ. ღღეს იწვიმებს! ისე იწვიმებს, რომ... — იქნებ წაიღოს ცა და ქვეყანა!

ეკლესიაში, საკონცერტო დარბაზის გახსნაზე, საშვის უქონლობის გამო ვედარ შევედი და გუნება წამიხდა. შინ დაძმარებული დაგბრუნდი. ადრე ჩამეძინა და, ალბათ, პირველად ჩემს სიცოცხლეში, არაფერი დამისიზმრებია. თვალი გავახილე და გულმა იმწამსვე მითხრა, გააუღრდებო. უბრალოდ კი არ შეიცვლება ამინდი, ჩვეულებრივ რომ იცის ჩვენს ქალაქში, არამედ იწვიმებს კოკისპირულად, იწვიმებს, როგორც არასდროს, იწვიმებს არა ერთ და ორ ღღეს, არამედ გაუთავებლად. მოენატრებათ ადამიანებს მზე და სითბო. ბოლოს მაინც გამოიღარებს, მაგრამ ვინ იცის, როდის იქნება ეს, მზეც გამოაჩენს თავის სახეს, მაგრამ მალევე ამოფარება იმ დიდ ხეს, ზღვის სანაპიროზე რომ დგას, გადნება მის ფოთლებში, განიბნევა, შესვამს მის ჩრდილს და გაქრება მერეო.

აივანზე გამოვედი დამწუხრებული. მზე უღმობლად აჭერს. ნაშუადღევ იქნება. ისევე ავხედე მზეს და მომეჩვენა, მართლა დნებოდა თითქოს, სადაცაა მდინარე — ლავასავით დაიძვრება ადგილიდან და თავზე გადმოგვესხმებაო. უნებლიეთ ქალაქი — პომპეი გამახსენდა და გამაჟრჟოლა. თვალი დავუჭე და შვება ვიგრძენი როგორღაც. თვალი რომ გავახილე, მოღრუბლულიყო უკვე. არ გამკვირვებია.

„გულმა ტეფილუბრალოდ კი არ მითხრა, გააუღრდებო! გულთმისანი ვარ, გულთმისანი!“ — გაიფიქრე გახარებულმა. ღრუბელი უცებ ჩამოწვა, ჩამოიწია და მიწას მიმაჭყლიტაო თითქოს, სუნთქვა შემეკრა. ტანზეც ამბურძენა. იელვა. ჩემთვის არც ეს იყო მოულოდნელი. წელში გავსწორდი და აღვდექი თითქოს. და ამ დროს წამოუშინა წვიმამ. მოვარდა მოულოდნელად და ავივსე მისი

სისველით. ჩამოხნულდა. წვიმა კი არა და არ ფიქრობს გადაღებას. ალბათ, სულ იწვიმებს, იწვიმებს გაუთავებლად. იქნება მარტო წვიმა და წვიმა.

სულ ჩამოწყვილიადა. ნუთუ ყველაფერი მეორდება?!

ოღონდაც: არც მე ვარ ნოე და არც ნოე მე. ნოე ჩემს მეობას იმეორებს. არც იმის შვილთაგანი ვარ რომელიმე. არც კილობანი ავეიშენებია ნადრევად — ეს იმიტომ, რომ არავის გაუფრთხილებივარ, კილობნის აშენება მებრძანებინა. გამოსავალი კი მაინც უნდა ვეძიო. მაგრამ მიბაძვითაც არავის უნდა მივბაძო. ოღონდაც ისეთი ვინმეც არ ჩანს, რომ მივბაძო და თავს ვიმტკრეო, იქნებ გამინათდეს როგორმე გონება და ვიხილო იგი, გამოქველანარაკოს და გზაზე დამაყენოს.

სახლში მარტო ვარ. მარტობამ ხომ ღამის გამგულოს მარტოსული. კიბე ჩავიხრბინე და წვიმა-წყალმა-მეწყერმა გადამიღობა გზა.

„ნეტავი გამოჩნდებოდა ვინმე, გამოჩნდებოდა და... ქალი ნუ იქნება და... ქალი სატანასაც შეაცდენს...“

ფიქრებიდან ჭეჭა-ქუხილმა გამომიყვანა: — ქალი სატანასაც შეაცდენს, — გავეიმორე ჩემდაუნებურად, — იმან მაინც რა მიყო? ქორწილიდან როგორ გაქეცა? ვინმეს რომ გაყოლოდა, კიდევ ჰო, მაგრამ... ქალწულობა ვერ დათმო, ალბათ... ნეტა მოვმკვდარიყავი მაშინ! ვინც ქალი ინატროს... დედაჩემიც რომ არ გამოჩნდა?! ნეტა რომელი საათია? ღღეს შევიღის ნახევარზე უნდა იყოს სახლში.

თვალი კედლის საათისკენ გამექცა. ექვსი სულ ახლახან დაწყებულიყო და ხელი ჩავიქნიე. — მის მოსვლამდე, ალბათ, ჩამოიქცევა ზეცა!

იელვა და განათდა ირგვლივ. ცის ელვარებამ კინაღამ დამაბრძანა. პირველად ვერაფერი გავარჩიე. იყო ჩემს ირგვლივ გავარვარებული სიყვითლე და მე ამ სიყვითლეში ვიყავი ჩაკარგული. ჟრჟოლამ ამიტანა. ეს სიცოცხისაგან დამმართოდა, — ყოვლად დაუშვებელია. შიში იყო

ამის მიზეზიცა და ბრალიც. ისევ ამოვიარე კიბე, კარი გამოვიხურე.

დივანზე ჩამოვჯექი და კარზეც დამიკაკუნეს.

დედაჩემი ჯერ ვერ მოვიდოდა. — მაშ, ვინ უნდა იყოს ამ თავსხმაში?!

ისევ დამიკაკუნეს.

კარი უნდობლად გავაღე (ქალი არ იქნებოდეს ნეტავ, ვფიქრობდი ჩემთვის).

— ეს მე ვარ! — მითხრა ხმამ (ქალის ხმას არ გავდა).

მართლაც არ იყო ქალი.

— გლახა ვარ მე... წვიმს და... თავი ვერსად შევაფარე ამ წვიმა-წარღვნას...

— ძაღლს არ გააგდებენ გარეთ... — ვთქვი და შევათვალაიერე ერთიანად გაწუწული გლახა. — მართლაც არ გააგდებენ ძაღლს გარეთ... ამ წვიმაში...

გლახა მაღალი იყო, ძალიან მაღალიც ეთქმოდა, კაფანდარა, ისე თხელი, რომ სინათლეს კი ატანდა მის სხეულში. „სხეული გამჭვირვალე...“ — გავიფიქრე უნებლიეთ.

ძველმანები ეცვა. თეთრი წვერი გეცემოდათ თვალში და საოცრად ლურჯი და უძირო თვალები. შუბლზე არც ერთი ნიჭი! პრიალა შუბლი, მაგრამ სახე მაინც ასი წლის კაცს მიუგავდა. თუმცა გავიჭირდებოდათ მისი ასაკის დაღვანა.

— შენ არ შემცდარხარ. ასის არა ვარ, მაგრამ... — ჩაეცინა და კბილი კბილს დააჭირა. — თვალით სკამს დაუწყო ძებნა. დაღლილი ჩანდა. ფეხზე ძლივს იდგა, — სკამს კი არა და კაცს ვეძებ მე, — ამოიხვნეშა გლახამ.

— მერე და ვერ გინახავს?

— კაცის ნახვა კი გამიჭირდა, მაგრამ იმედი მაინც არ დამიკარგავს... ავერ დედაშენიც! — გვერდზე გადავა და გზა დაუთმო ერთთავად გაწუწულს. დედაჩემმა ჯერ მე შემომხედა, მერე გლახას. თვალებით მკითხა, ვინ არისო და მეც თვალებითვე ვუპასუხე, კაცს ეძებს ერთს, თვითონ ამას მეც ვერა ვცნობ, პირველად ვხედავ-მეთქი.

გლახას გაეღიმა. მიხვდა, ჩვენი უსიტყვო საუბარი იმასაც კარგად ესმოდა და

ტანში უსიამოდ დამზრინა: „ნეტაი ვინ არის და თუკი მართლაც ვინმეა, მაშინ ჩვენგან რა უნდა“, — გამიჩნდა ფიქრი, მაგრამ თავი უმაღლეს გავინთავისუფლე. ისევ წვიმდა.

— ისეთი წვიმიანია თქვენი ქალაქი, — სიხუმე გლახამ დაარღვია, — რომ თავს მოგაბეზრებს.

— შენ, ბატონო... — მიუბრუნდა გლახას დედაჩემი, — თქვენ იქნებ გინდოდათ რამე?

— პური, ქალბატონო, სხვა არაფერი და კიდევ: თუკი არ გადაიღო, შეიძლება თავშესაფარი ვთხოვოთ, თავშესაფარი სადამდე... თუნდაც აივანზე... გამომაგდეს გარეთ...

— ამ თავსხმაში?! — შეიცხადა დედაჩემმა.

— არ წვიმდა მაშინ, მაგრამ სხვათა შორის ვთქვი, იწვიმებს-თქო და გამომიძახეს გარეთ. — სახეზე ნაოჭები მოუხშირდა გლახას, მე კი პირში სიმწარე ვიგრძენი და ნერწყვი გადავყლაპე.

ლაზარე, ლაზარეო, მეძახის დედაჩემი ფიქრებში წასულს. — გამოიტანე პური და მიეცი ამ ღვთისნიერ კაცს, — სინამდვილესთან დამაბრუნეს დედაჩემის სიტყვებმა.

„პური ითხოვა, როგორც (ლეგენდა გამახსენდა ერთი, ლეგენდა ჭკათირის წყალზე. იქაც გლახა მივიდა ერთი და პური ითხოვა. არ მისცეს და გააგდეს. მერე რაც მოხდა, მტერს არ ვუსურვებ იმას, ბებიანეში მიყვებოდა)... — პური ითხოვა ამანაც, — ჩავილაპარაკე და მივეცი დედაჩემს.

— ვინ არის, შვილო? — მკითხა შეშინებულმა დედაჩემმა, — მათხოვარი არ უნდა იყოს, ლაზარე. არაა მათხოვარი, თავი ნუ მომიკვდება. ისეთი თვალები აქვს, რომ... ესეც პურს ითხოვს! ლეგენდა ჭკათირის წყალზე ხომ გახსოვს? ცხოვრობდა გლეხი ერთი, წვრილშვილის პატრონი. ფიქრით თავს არ იწუხებდა და მისი აზრით ბედნიერიც კი იყო. შინ აკვანს ურწყევდა ახალგაზრდა ცოლი, გარეთ კი ტიტლიკანა ბჭეები ჭინ-

ჭის ბურთს დასდევდნენ. იდგა გლეხი ბარის ტარს ჩამოყრდნობილი და ფიქრობდა. კაი გუნებაზე არ იყო რატომღაც. გული ავს უგრძობდა და უკვირდა, ასეთ მოკამულ ხასიათზე რად ვარო.

ამ დროს იყო, რომ გლაზა გამოჩნდა და იყვილა ერდოზე შემომჯდარმა მამალმა.

ბატონო ჩემო, პურის ნატეხი ხომ არ გექნებათ ზედმეტო, ითხოვა გლაზამ და გლეხიც გამოერკვა უსიამო ფიქრებიდან.

— პური? შენთვის რატომ უნდა მქონდეს პური? წადი, დამეკარგე აქედან, შენთვის სად მცალია? ფიქრს როგორ მიშლი?

— ის მიწის ნაგლეჯი ზოსიმესია, შენც კარგად იცი! ზოსიმე შენთან მართალია, უსამართლო საქმეს ნუ იხამ, თორემ...

— თავი გადააქნა გლაზამ.

— მერე და შენ ვილა ხარ, რომ ასე განსჯი, ვინ გეკითხება შენ?! რომელი მოსამართლე და გაკითხავი შენა ხარ, რომ... ჭკუასაც მასწავლი?! რაისთვის მოსულხარ მაინც? — ბრაზს ვეღარ ფარავს გლეხი და მუშტებსა კრავს.

— მე პური გთხოვეთ, ჩემო ბატონო, და ზოსიმესაც გამოვესარჩლე... უბრალოდ, შეგაჩხენეთ, რომ...

— აქედან დამეკარგე, შე მათხოვარო! შენი გასაფუჭებელი პური სადა მაქვს?!

— მე გთხოვე. მომცემ თუ არ მომცემ, ეგ უკვე შენი საქმეა, ბატონო ჩემო, თქვენი საქმეა მხოლოდ. ისეც არ ვიჭირო, რომ... იქნებ გამოიმეტოთ, მშვიდი გლაზა გთხოვთ. — ხელი გლეხისკენ გამოიშვირა გლაზამ.

— არა! წაეთრიე აქედან! — იყვირა მოთმინებადკარგულმა გლეხმა და გლაზამაც უკან დაიხია. დაიყვილა მაშინ ერდოზე შემომჯდარმა მამალმა და ატირდა აკვანში ჩაკრული ჩვილი.

— ამ ბიჭს მაინც რა დაემართა? — წამოიტირა დედამ, მაგრამ ეს აღარ გაუგონია გლეხს. ისევ აყვილდა ერდოზე შემომჯდარი მამალი და გააკანკალა გლაზას.

— ერთი ნატეხი პური გთხოვეთ მხოლოდ, — გაიგონა გლეხმა და ბრაზისაგან ლამის წამოუცვივდა თვალები. მივარდა გლაზას და ხელი შემოჰკრა. გლაზა დაბარბცდა და წაიქცა. ძლივსღა წამოდგა, აცრემლებული ლურჯი თვალები ზეცას მიაყვრო და რაღაც შესთხოვა გამჩენს.

ერდოზე შემომჯდარი მამალი გაუთავებლად ყიოდა, სახლიდან ისმოდა ჩვილის ტირილი და დედის შეწუხებული ხმა, ამ ბიჭს ნეტა რა დაემართათ. ეზოში ისევ დასდევდნენ ჭინჭის ბურთს ტიტლიკანა ბიჭები, გლეხის გაციებული და გაუხეშებული გული კი ილანძვებოდა უმოწყალოდ — ჭკუა თუ არ ვასწავლე ამ გარეწარს, ვეღარ მოვისვენებო, ფიქრობდა თავისთვის. გაიწია წინ, მაგრამ ვერ მიუახლოვდა გლაზას, ცივი სივრცე ჩამოძვარაიყო მათ შორის. ლურჯი თვალები ისევ ცას შეანათა გლაზამ და იგრძნო გლეხმა, რომ მათ შორის ჩამომდგარი ის ცივი და ჯადოსნური სივრცე, გამქრალაიყო უკვე. მივარდა მაშინ დაუპატიჟებელ სტუმარს, ხელი უნდოდა შემოეკრა, მაგრამ თვალთ დაუხნელდა, გლაზას შარავანდი ადგა თავს და იმისმა სხივმა იყო, თვალი რომ მოჭრა. მაინც გაიწია გლაზისკენ, მაგრამ გასხვიოსნებული კაცი სივრცეს შეაღწა და გაბორბტებულმა გლეხმა სიცარიელესღა მოუქნია ხელი.

ამ დროს იყო, რომ წამოიკენესა დედამ და ეს უკვე მერამდენად ატირდა აკვანში ჩაკრული ჩვილი, ერდოზე შემომჯდარმა მამალმაც დაიყვილა და გლეხის სულში დაგუბებული ბოლმა ყინულის ლოდად იქცა. მიიხედა გლეხმა სახლისკენ და ცივმა შრუანტილმა დაურბინა ტანში. შევიდა ეზოში, კიბეები აათავა, მძიმედ გაიარ-გამოიარა აივანზე. თვალი მალღა გაექცა და მოეჩვენა, თითქოს იმ გლაზის სახე მიეღო ცას.

იელვა და წარბები შეიკრა გლეხმა. ჭეჭე-ჭეხილმა დააყრუა არემარე.

კიდევ უფრო გაავდრდა. წვიმღა გათენებამდე. მერე ნელ-ნელა იკლო და



სულ მინავლდა. გადაიკარა... აღმოსავლეთს სინათლე შეეპარა და იძრა მიწა, შეირყა ყველა და ყველაფერი. ტირის ისევ, ვეღარ ისვენებს აკვანში ჩაკრული ჩვილი და ყვივის ერდოზე შემომჯდარი მამალი, უნდა დაფრინდეს ძირს, მაგრამ არ შეუძლია, ვერ მოწყვეტია ერდოს, ფრთებს უნიათოდ იქნევს.

ისევ შეირყა ყველა და ყველაფერი და გაიბზარა მიწა. მერე ეს ბზარი ნაპრაღად იქცა და ჩაიქცა შიგ გლუხის კარმიდამო...

იმ ადგილზე ახლა ჭვათირის წყალია, შლამიანი და გაუვალი, მაგრამ სოფლის ბიჭები მაინც ჭყუმპალაობენ შიგ; ამოვლენ, მზეს მიაფიცებენ ზურგს, გამრებიან, დაიშლებიან ხოლმე და ხვალ დილაძე ყველაფერს დაივიწყებენ.

იმასაც ამბობენ, წელიწადში ერთხელ ეს წყალი დაიწმინდება თურმე და მის სიღრმეში გამოჩნდება ის გუმბათიანი სახლი, აივანზე ბოლთასა სცემს შეწუხებული გლუხი, ერდოზე მამალიც აყვივდება და უჭკველად გაიგონებთ (საოცარია მართლაც) აკვანში ჩაკრული ჩვილის ტირილს. მაგრამ ეს რომ დაინახოთ, განწმენდილი უნდა იყოთ ბებიჩემივით...

— თავშესაფარიც გვთხოვა...

— თავშესაფარიც გვთხოვა, შვილო — გავიგონე დედაჩემის შეგუბებული ხმა, — სად გაუშალოთ ლოგინი? აივანზე შეიძლებოდა, მაგრამ წვიმს ისევ...

— გადაიღებდეს ერთი და... დედა, ეს ღვთისნიერი კაცი „ზალაში“ ხომ არ დავაწვინოთ?

— ლაზარე, ამას რას ამბობ? მათხოვარი და ლოგინი ვის გაუგონია? მათხოვარი ლოგინში?

— მაგრამ ხომ თქვი, მათხოვარს არ უნდა გავდესო?

— არ გავს, მაგრამ მაინც მათხოვარია... ღმერთო, შეგცოდე და... — პირჯვარი გადაიწერა დედაჩემმა, — აი, ნახავ,

თუ არ გადაიღოს? გადაიღებს და წავა ეს კაციც თავის გზაზე.

გლახა კი იღვა და ფიქრობდა (...)

— მალე გადაიღებდეს ნეტა... — ცას შეჭლალადებდა დედაჩემი.

— მალე გადაიღებს, — თვალები გლახასაც ცისთვის მიეშტერებინა, — ერთ საათში გადაიღებს, ასეა საჭირო, აი ნახავთ, გადაიღებს უსათუოდ, — დაგვაიმედა. მაგრამ იელვა და იმედიც უცებ გადამეწურა.

გლახა წელში გასწორდა, მე კი სულ მოვიკუნტე და გამაკანკალა.

— ასე რამ შეგამინათ, წარღვნა ხომ არ გგონიათ მართლა?! გადაიღებს. ერთ საათში მოიწმინდება ცა, მზეც მოასწრებს ამოსვლას... — გლახა მე გამომეღაპარაკა ამჯერად.

— მზე ამოვა? როდის? გვიანი არაა უკვე?

— მზე მაინც მოასწრებს ამოსვლას... იმ დღი ხის ფოთლებში ანებივრდება და ჩაჭა მერე თავისთვის.

სულ მოეფონა გლახას სიტყვები, მაგრამ შიშისაგან მაინც ვერ გავთავისუფლებულიყავი საბოლოოდ. იმასაც ვგრძნობდი, რომ სტიქიონს ძველებურად აღარ ვუფრთხობდი უკვე.

— გმადლობთ, გმადლობთ, კარგია პური, გემრიელი... — ილუკებოდა გლახა, — პური ჩვენი არსობისა... გამოიდარებს და წავალ... კიდევ ცოტა და გადაიღებს. ამ ფუთას დავიტოვებდით, ხვალ გამოვივლით...

— არა, ნულარ გამოვკვდიოთ! — წამოიძახა დედაჩემმა, — არაფერი გვინდა ჩვენ, არაფერი გვაკლია, ღვთის წყალობით ყველაფერი გვაქვს... გამოვლით კი გამოგვიარეთ, ოღონდაც ნურაფერს დაგვიტოვებთ, ბატონო... მაგრამ დარჩენილიყავით იქნებ.

— არ შემიძლია და ნურცა მთხოვოთ... რომ არ გავიდე, არ გადაიღებს... აი, ამ ფუთას რომ შემინახავდე, ლაზარე... — მხარზე ჩამომადო ხელი, — ხვალ გამოვივლით. ის ქალი მაინც არ გამოგადგებოდა... და ნულარ იღარღებ. კიდევ კარ-

გი, რომ წავიდა შენგან! დიდი მადლობა, სუფთაა შენი სული და მიხარია. ვიცოდი, შენ იქნებოდი და ამიტომ შემოვიარე. ახლოს მოიწი. მივიდივარ და სიხმარში გამოგეცხადები. ოღონდ ძილის წინ ჩემზე უნდა იფიქრო და ლოგინიც გამიშალე აივანზე. არ დაგაფიწყდეს, იცოდე! ეს ჩემი ფუთა საწოლქვეშ შეინახე, ხვალ წავიღებ და შენს ღარდ-ნაღველსაც თან გავაყოლებ...

დაგვემშვიდობა და წავიდა.

— კაცი ძაღლს არ გააგდებდა გარეთ! ლაზარე, ბიჭო, მიდი, დაეწიე და დააბრუნე! ეს რა დაგვემართა, უი, ჩემი სიკვდილი!

მეც მომაფხიზლა დედაჩემის ხმამ და კიბეზე დავეშვი. დავადგი თუ არა ფეხი მიწას, გამოიდარა მაშინვე.

„ხომ თქვა, გავალ და გადაიღებსო... ნეტა ვინ არის?“ — გავიფიქრე და ჟრჟოლამ ამიტანა.

ინათა. ინათა და სული მოვიტყვი. თვალი იმ დიდი ხისკენ გამექცა. მზე მის ფოთლებში ანებიერებულიყო მართლაც და თავის საბრძანებელში გადადიოდა აუჩქარებლად.

დაებრუნდი უკან და დედაჩემის დაფეთებულ თვალებს გადავიყარე.

— ლაზარე, ლაზარე... ვინ იყო ის კაცი, მართლა ვინ უნდა ყოფილიყო... უბრალო მოკვდავი რომ არ იყო, ამაში დარწმუნებული ვარ... ის ხომ არ არის... იგი... ძე ღვთისა და... უფალი ჩვენი! როგორაო, ვინა და საიდან ვარო?

— არაფერი უთქვამს ამისთანა, არაფერი არ ვიცი, დედა, ასე რამ შეგაშინა?

— თვალები ჰქონდა ისეთი, რომ... ჩვენს აზრებს კითხულობდა... მე კი რა არ ვიფიქრე იმ კაცზე?! „ზალაში“ დავაწვიონოთ, ხომ ვთქვი... მიმიხვდა გულს გარეთ რომ ვამბობდი, მაგრამ არ მაგრძნობინა. ამიტომაც არ დარჩა... ღვთისნიერი კაცი ჩანდა... მოგვიტყეებს, ვიცი. ისე მაინც როგორ ჩამოხსნულა? გვევახშმა მაინც. როგორ მოვაშიე? რას შეჭამდი?

— რას და პურს, სხვა არაფერი მინდა!

— თქვი და ის გლახა დამიღვა თვალიც.

— მაინც ვინ უნდა ყოფილიყო ის კაცი? — ისევ გავგონე დედაჩემის შეწუხებული ხმა, — უნდა მეთხოვა, დარჩენილიყო. მე კი შემეშინდა, არ გავექურდე... ფუთა დაგვატოვა... მაგრამ რომ არ მოვიდეს ხვალ? ჰური ითხოვა მართლ. სხვა მეც ვერაფერი შეეთავაზე. რას იტყვის ჩვენზე? ღირსიც ვიქნებით, რომ შეგვაჩვენოს, მაგრამ შენ რა შუაში ხარ, შეჩვენებით მართლ მე უნდა შემაჩვენოს, თუკი არის სადმე სამართალი! დასაწყევლად მაინც ვერ გავგემეტა. მაგრამ სხვასაც რომ არაავის მაგონებს?! მაინც რამ მაფიქრებინა, არ გავექურდოს-თქო? ეს ჩემი ურწმუნობა რომ არა... — ამოიხენემა დედაჩემმა და ხელები ძირს დაუშვა, — შემეშინდა, ლაზარე... დასწყევლოს გამჩენმა, რატომ უნდა შემეშინებოდა ნეტა? კაცი გარეთ გავაგდეთ ამ ყიამეთში... იმას შევეცოდე და როგორ თქვა? რომ არ წავიდე, არ გადაიღებსო... ანგელოზი თუ იყო... მოვიძულე ასეთი კაცი. მათხოვარსაც არ გავდა...

„გლახა იყო ის კაცი, გლახა!“ — მომწყდა ფიქრი და ისიც (ფიქრი) ამიმეტყველდა. — ლურჯი თვალები — ცა-თვალები... ვინა თქვა, უბრალო მოკვდავი უნდა ყოფილიყო?“

სარკესთან გაჩნდი უნებლიეთ:

„მე რომ ისე თეთრ და ქათათა წვერს ვატარებდე... სიმაღლით კი ვიქნები მისი სიმაღლე... თვალები იმის თვალებს მიმიგავს, მეც ცა-თვალებით ვიყურები... მიუდივარ და სიხმარში გამოგეცხადებიო, ასე არ მითხრა?!“

ცა სადღაც დასავლეთს იქით ჩაწითლებულა და მეც გლახაზე ვიწყებ ფიქრს.

— ლოგინი გამიშალე აივანზეო... — მესმის დედაჩემის გაგუღული ხმა, — ლეიბს გამოვუცვლი... ახალს დავუგებ... აწი ცუდს არაფერს იფიქრებს ჩვენზე. ჩვენ გარეთ მართლა არ გავვიგდია, ლაზარე, ხმა ამოიღე, ბიჭო! მოვალო, ხომ შეგვიპირდა! მართლა მიგვიტყევა იმ დალოცვილმა!

— ჰო, მიგვიტყევა, დედა, ჩვენ ხომ არ



გაგვიგდია გარეთ... არ გაგვიგდია გარეთ. ღამში დიდი, არაფერ შეგვაჩვენებს, პირიქით...

— ჰო, პირიქით, პირიქით... თუ არ წავედი ახლა, არ გადაიღებსო, მითხრა, შვილო... ღვთისნიერი კაცი იყო მართლაც!

— შენ ნულარ ღელავ, ჩვენზე ცუდს მაინც არ იფიქრებს ის კაცი, — დაემაშვიდე დედაჩემი და გავედი ჩემს პაწია ოთახში, სადაც ერთი დივანი მედგა, საწოლადაც რომ ვიყენებდი და სკამადაც. მაგიდა კი საწერიც გახლდათ და ჩვეულებრივი სასადილო მაგიდის მოვალეობასაც მშვენივრად ასრულებდა.

დივანზე წამოვწექი და თავის ნებაზე მიუშვი ფიქრი. ფიქრში გლახა გამოემეცხადა, იდგა მიწაზე და არც იდგა. ირწევოდა მიწასა და ცას შუა, სიერცეში გამოკიდული.

მიწისაც იყო და ცისაც. ხან საიდან შევეურებ და ხანაც საიდან. დავეურებ ზევედან და ავეურებ ქვევიდან. მარცხნიდანაც ვუთვალთვალავ და მარჯვნიდანაც და მაინც ვერ ამომიკითხავს. მოუხელთებელია მისი ფიქრიც, დაუშთაურებელი, სიერცისებრ უსასრულო, მაგრამ ვერძნობ, რომ კეთილია, ნატამალიც არ არის მასში ბოროტის.

— დღეს გელოდები! — გავძახე ნისლში შეცურებულ გლახას და იმანაც დამიქნია ხელი, მაგრძნობინა, რომ გაიგონა ჩემი ხმა და გამშორდა. გაიწიე მისკენ, მაგრამ რას მივწვდებოდი? შეერიო სიერცეს და გაუჩინარდა, თუმცა გული მაინც მეუბნებოდა, რომ იგი (გლახა) ჩემშიაც იყო, ისე როგორც მე ვიყავი მასში და ამით დაიმედებულმა შეგებით ამოვისუნთქე.

მე ყოფნის ზღვარს გადავაბიჯე და სხეულიდან ამოვედი.

მაინც როგორ წვიმს?

სულ ჩამოხნელდა, მართლაც რომ თითოს თვალთან ვერ მიიტან. წვიმს კოკისპირულად. დიტიბორა ქუჩები, წყალში წელამდე მიეტოვავ. ხმის გამცემი არაფერს მყავს. შიში გაჯდომია ძვალ-

რბილში ყველასა და ყველაფერს. ეშინიათ ჩემიც და წყალიც ამიტომ მოიწვეს ჩემკენ ასე გაშმაგებით. უნდა გადამქელოს, ამომავსოს და გადამშალოს ყოვლისახსენებლიდან. უკვე ფეხის წვერებითაც ვეღარ ვწვდები ფსკერს.

იელვა, გადაანათა ყოველივე. მალა ავიხედე და ვიღაცას გასხივოსნებულ სახეს მოვკარი თვალი.

„მეტნობა“, ძლივს მოვასწარი ამის გაფიქრება და ისევ ჩამოწვა წვედიადი.

გასხივოსნებული კაცის სახე მიდგას თვალწინ. არა, ამ კაცის სახის დაეიწვება მე არ შემიძლია, — რა თეთრი და ქათქათა წვერი ჰქონდა, რა საოცარი ღურჯი თვალები... ის იყო, ის, გლახა, ამ ხალამოს რომ უნდა მწვეოდა. შეიძლება დროში შეცვლე, მაგრამ მე ამისთვის ბოდიშის მოხდას არც ვაპირებ.

— მე ვარ, მე! — ჩამესმა სიერციდან ხმა, — გლახა ვარ მე, ძე ღვთისა... გაგიჭირდა? ნუ გეშინია, გულთან არ გაიკარო შიში. ასე იყავი, ნუ გაინძრევი... მერე ვნახოთ... იელვეს ახლა.

იელვა მართლაც და გადანათდა ირგვლივეთი. ისევ ვიხილე გასხივოსნებული გლახა. ჩემს ირგვლივ ზღვა დმოდა უკიდევანო.

— ცოტაც გაუძელ და კიღობანი ჩამოივლის ერთი, ავიყვანენ და მოგათქმევენებენ სულს.

მაგრამ კვლავაც ჩამოწვა წვედიადი და ლოდინის ზარმაც ჩამოჰკრა.

და ზარი ლოდინის...

წინ თვალდაზღვეული ვიხედები. (ვხედავ, ვხედავ ლოდინის დასალიერს).

მიიღია ზარის წკრიალი და იმედი რომ გადამწურა სულგაკაწრულს, პროექტორის სინათლემ თვალი მაშინ მომჭრა.

კიღობანი იქნებაო, გულში ვთქვი, — მაგრამ შორს უნდა იყოს ჩემგან... მოდიხ ჩემკენ! იქნებ დამინახეს კიდევ. მაგრამ მოაღწევენ კი ჩემამდე? რომ არ ამიყვანონ? ვინც გადასარჩენი იყო, კიღო-

ბანხეა უკვე. ალბათ, მე იმათი ჯილაგისა არ უნდა ვიყო...

— ჩუუუ, — დაიჩურჩულა ზღვამ.

ამსობაში კიდობანიც გამისწორდა და ხმაძალდა ლაპარაკიც მომესმა. ეს ხმა გემბანიდან მოისმოდა:

— ერთი გვაკლია! — ამბობდა მბრძანებლური ხმა, — ნახეთ ერთი, ვინ არის? იქნება სწორედ ის იყოს, ვინც ჩვენს ეკიპაჟს აკლია! ავიყვანდით და საქმესაც მოვრჩეობდით!

მერე ამ მბრძანებლური ხმის პატრონიც დაეინახე. წვერი მკერდამდე სცემდა გოლიათს. მალღა აიხედა, თითქოს იქიდან მოელოდა პასუხს და იმ პასუხმაც აღარ დააყოვნა.

გლახას სახე ეღვამ განათა.

— ის არს, ნოე ბატონო, ის, თქვენ რომ ვაკლიათ! — ჩამოიძახა სახეგანათებულმა და ისევ ჩამოიწურა წვედადი.

იყო უკუნი ღამე და მთლიანად განუშმარტოვდი საკუთარ თავს: „უნდა გადავრჩე მგონია...“ — გულმა ბაგაბუგი დაიწყო. ველი ნოეს პასუხს, რომელიც ახლა უნდა გაისმას. ახლა უნდა გადაწყდეს ჩემი ბედი.

— ამოიყვანეთო, ბრძანებს ნოე, — ხომ ხედავთ, ის არის, ის, ვისაც დიდი ხანია ველით. — ხელი მალღა ასწია.

და ეს იძის ნიშანი იყო, რომ ბრძანება დაუყოვნებლივ უნდა შესრულებულიყო. მაშველი რგოლი გადმომივდეს.

„მგონი გადავრჩი!“ — წამოიძახა გულმა და გამიადვილდა სუნთქვა. ვიდექი გემბანზე და ველოდი რაღაცას, რაღაც სასწაულს. მერე და მერე ამომობრავდა თვალწინ ყოველი.

კი არ მიახლოვებოდა ნოე, მე მივდიოდი თითქოს მისკენ, მისკენ მივიწვედი, მივირწეოდი ნაბიჯადაუდგმელად.

— მაინც უნდა შევამოწმო, უნდა დავადგინო, ის არის თუ სხვა ვინმე. — მალღა აიხედა ნოემ და გააჟრჟოლა.

ელვა კვლავ განათებს გლახას სახეს და ისიც მკაფიოდ, ყველას გასაგონად იტყვის: — მე გუშინ შევამოწმე მონაღვთისა, შენს წინაშე რომ დგას და შენს

განაქმის მოელის გულისფანქალით. მე გუშინ გავიარე მის სულში. ის არის, ის! ღამეს უსიამოდ ამაგმაგებს. ბნელა და ამ სიბნელეში გარკვევით ვხედავ ნოეს ქათქათა წვერს, ნოეს გაბრწყინებულ თვალებს.

— კარგი, ამიყვანიხარ, ჩვენთან დარჩები, — მხარზე დამკრა ხელი, — წვერი ხარ დღეიდან ჩვენი სამწყსოსი, — მითხრა და ჩაუქრა ის წველი თვალი (ყოვლისგამჭოლი), თეთრი წვერიც უმაღვე ჩაუშუქდა და ბნელ სივრცეში ჩაინთქა, განქრა კაცი — ნოე, თითქოს არც ყოფილიყო.

ელვა რომ გაერთა, კაიუტის კარი დავლანდე. იმედი მომეცა.

წვიმა კოკისპირულად.

(წვიმის ქვეყანაში თუ ჩამომაგდეს!)

— დღისა და ღამის გასაყარზე, თორმეტი რომ ჩამოჰკრავს და ღამის პირველი საათისკენ გადაიხრება ისარი, გაიღება კაიუტის კარი და შეგიძლია შეხვიდე შიგ. მანამდე კი ლოდინი მოგიწევს, ხომ ჩამოკრულია ლოდინის ზარი! ახლა რვა საათია, ლოდინი ოთხი საათი მაინც მოგიწევს. ბევრი არაა ეს, მაგრამ არც ცოტაა. ყოველგვარი შიშის, ყოველგვარი ბოროტი განზრახვის გარეშე, განწმენდილი და განზანდილი გადააბიჯებ კარის ზღურბლს და შეგეძლება კაიუტაში დაივანო. სიკეთეს იქმდე უნდა ყოველ ნაბიჯზე, უნდა დაიცალო ყოველგვარი ავისაგან! — მესმის ხმა მალღითვან და მაკანკალებს.

მიწყდა ხმა და დავმშვიდდი თითქოს. შუკა — უცნაური და უჩვეულო, ყველასა და ყველაფრისაგან განსხვავებული, ჯერარგანცდილი.

მიწყდა ეს ხმა და დასრულდა თითქოს რაღაცა. დასრულდა ჩემთვის:

— ავს თუ გადაეყრები რასმეს... ავირამ თუ გემუქრება, — გული მეტყვის ამას და ცახცახი ამიტანს უნებლიეთ.

კართან დგომაც რომ მომბეზრდა! ვედარც კარს ვხედავ და კარმაც, თვითონ კარმაც დაკარგა ფუნქცია, მაგრამ ფეხიც რომ ვერ მომინაცვლებია ადგილიდან?!



ფიქრით კი გავიწიე უკან და ბორკილების ჩხარუნიც გავიგონე. ადგილზე გავიყინე შეშინებული — უხილავი ჯაჭვით ვიყავი მიბმული იმ მიძმე კარს, თითქოს მონა ვიყავი დაბორკილი და ისევ მეტყვის ჩემი გრძნეული გული: „შენ მონა ხარ ახლა და უნდა გათავისუფლდე, გათავისუფლდე შინაგანად. შენ ამ კართან მხოლოდ ცნობისწადილი უნდა გაკავშირებდე“.

კაიუტაში ნეტა რა მომელის, მომვარდა ფიქრი და აზრი გამეფანტა.

— „წინაც ნუ გაუსწრებ დროს!“ — მისაყვედურებენ მაღლითგან და უხმოა ეს საყვედური, უხმო, მაგრამ სულისშემძვრელი.

„ვინ დამხვდება ნეტა კაიუტაში?“ — ფიქრი ჩემთანაა კვლავაც, თავიდან ვერ მოვიცილე.

— სული ისევ მიგიწერებს წინ! — კვლავ მისაყვედურებენ მაღლითგან.

დავიხიე უკან, მაგრამ გავიშვა იმ უხილავმა ჯაჭვმა?!

„ალბათ, მონა ვარ ჯერაც, ვერ გათავისუფლებულვარ...“ — ნანობს ფიქრი ჩემი და სიმწრის ოფლი მასხამს. — მაგრამ თორმეტ საათამდე უნდა გაეთავისუფლდე! რომ არ გაეთავისუფლდე, დავიღუპები. მონა ვერც შევა ამ საიდუმლოებით მოცულ კაიუტაში. ამის უფლება მონისთვის არ მიუციათ. მხოლოდ თავისუფალ სულს ხელეწიფების შიგ შთასვლა და კიდევ: რაღაცას ხომ უნდა ნიშნავდეს ისიც, რომ მხოლოდ დღისა და ღამის გასაყარზე დამრთეს კაიუტაში შესვლის ნება. ალბათ, სასწაული მელის იქ, მაგრამ ამხელა დრო ჩამოწოლილა ჩვენს შუა და როგორ გადავაბიჯო? დრო როგორ მოკვლა? დროის მოკვლა, ალბათ, ყველაზე დიდი სპეციალობა უნდა იყოს კაცისთვის და ამ სპეციალობის ხალხი იშვიათად თუ დადის ჩვენში. მე დიდი მასწავლებელი უნდა მყავდეს, რათა სრულყოფილად დავუფულო ამ ხელობას“.

„ჰკარი ხელი და შეაღე კარი! ვიღაც

უნდა იყოს შიგ... თუ ვიღაც არა, რაღაც ხომ მაინც დამხვდება! მართლაც რა არის ცნობისწადილი? ცნობისწადილი რომ არ კლავდეს კაცს, რა იქნებოდა მაშინ მისი ფასი ამქვეყნად? ყველაფერს ჰეწი დააკლდებოდა...“

ზღაპარში: კაცი მაინც შევიდა იმ ოთახში, რომელშიც აუკრძალეს შესვლა და იქ ხელფეხდაბორკილი და კედელზე მიჯაჭვული დევი დახვდა, დაუძლურებული და ცოცხალმკვდარი. მერე კი რაც მოხდა, თქვენც კარგად მოგეხსენებათ, მაგრამ მე ცხადში ვარ და ცხადშივეა აი ეს კარი, რომლის შეღებაც მომწყურება და მიკრძალავენ ამას. რომ არ აუკრძალათ, ალბათ, ყურადღებასაც არ მივაქცევდი არც ამ კარს და არც იმას, რაც ამ კარს მიღმაა დაფარული.

კაცს ასე დაეწერა: რასაც უკრძალავენ, იმას მიეტანოს და ვერც მოისვენებს, სანამ არ დაიკმაყოფილებს ცნობისმოყვარეობას, სანამ გემოს არ გაუსინჯავს უცხო ხილს. მეც ადამიანი ვარ და არც ვაპირებ ადამიანურ ჩარჩოებს გავცდამ?

ამიტომაც: მე შევალ კაიუტაში! — წამოვიძახე და შევალე კარი. პირველად ვერაფერი გაუარჩიე. იქ წყვლიადი დამხვდა და ამ წყვლიადში — არავინ! შემამძრუნა არარაობამ (არარარამ), მაგრამ ტყვე ვიყავი მისი და დიდი წვალეების შემდეგ თავი ძლივს დავაღწიე ტყვეობას.

„ზღაპარში ხომ არ გეგონა თავი?!“ — გაბზარული ხმა გაუმრთელდა ნოეს, — თქვენ დაარღვიეთ ჩვენი განაწესი! დაგსჯიდით, მაგრამ იმაზე დიდ სასჯელს, რაც წყვლიადმა დაგაბედათ, სხვას ვერაფერს მოვიგონებდი, — აქ სუნთქვა შეეკრა ნოეს, — თქვენში თქვენ მეორედ განდებით და სულ სხვა დროში ამოივლებით. ეგ სხვა იქნება, ჩვენი დროისაგან აბსოლუტურად განსხვავებული დრო. მერე თქვენში გაჩენილი თქვენივე სახე-შეცვლილი „მე“ ახალი „ვინ მე“ — თი უნდა გამოიდევნოს. ეს „ვინ მე“ თქვენ იქნებით, თქვენ! უნდა შეივსოთ, გაი-

ზარდოთ და უნდა გამოიტუმბოთ თქვენ-
გან უკვე მოძველებული დრო... და ამის-
თვის მოცემული დროც უნდა იკმაროთ!
წვეითც არ უნდა იყოთ თქვენში ბორო-
ტის! თქვენ უნდა იშვათ! — თქვა ნოემ
თვითდაჯერებით და უცხო სხვიით გა-
ნათებული მისი სახე წყვილადს შეაღწა.

ისევ ჩამოწვა წყვილადი და ამიწრი-
აღლა სისხლი, დაიძრა ერთბაშად, თით-
ქოს ერთი ჭურჭლიდან მეორეში ჩამაქ-
ციესო — ვიყავი იქ და ვიმყოფები აქ,
ლამის შევირყე, გადავკვარდე, გადავშენ-
დე.

ოჰ, ღმერთო ჩემო, მეც ნოესავით არ
ვასხივებ?!
გათენდა უცებ და კაიუტის კარიც გა-
იღო. ამ დროს თორმეტმაც ჩამოჰკრა და
დაიწყო ახალი დღე. კაიუტაშიც აღარ
ბნელოდა. მე, მე ვანათებდი!

ვღგავარ გაჩახჩახებული კაიუტის შუა-
გულში, ერთ წერტილს მიჰჩერებივარ და
სასწაულს ველი, ველი აცახცახებული
და იმაში დარწმუნებული, რომ აუცი-
ლებლად მოხდება ეს სასწაული.

სასწაულია აქ საჭირო, მხოლოდ სას-
წაული და როცა ის წერტილი, ასე და-
ჟინებით რომ შევეურებ, ჩემი თვალთა-
ხედვიდან გაქრა, შეირხა მაშინ რაღაცა
და ნიავეით შემოიჭრა; ვიღაც გამო-
მელაპარაკა და შეეცბი. მიმოვიხედე ირ-
გვლივ, მაგრამ ვერავინ დავინახე და
ტანში ამბურძენა. ვიგრძენი, გამიღიმა
იმ ვიღაცამ, მოწყალედ გამიღიმა და მეც
მოვეშეა, დაძაბულობაც ერთბაშად ჩა-
მომიხსნა და ოპოი, საოცრებაჟ! სიერ-
ცემი, ჰო, სიერცეში ქალწული გამოიკ-
ვეთა მართლაც რომ მზეთუნახავი. მიი-
წია ჩემკენ და თვალეებში ჩამხედა. დიდ-
ხანს, ძალიან დიდხანს მკითხულობდნენ
მისი ჯადოსნური თვალები და მადირსა
ბოლოს ღიმილი თვისი, აუუუუუნდა
ცისფერი თვალეები და თითქოს გაიხსნა
ჩემთვის აღმოსავლის კარები ზეტად.

— ეს შენ ხარ, შენ ყოფილხარ თურ-
მე... — თქვა და შევატყვე, მოსვენება სჭი-
რებოდა. შორი გზა ჰქონდა გამოოვლილი,
რავა მიხვედრა უნდოდა ამას.

სკამი მივაწოდე. ჩამოისვენა და სული
მოითქვა. — ახლა წყალსაც რომ დამა-
ლვეინებდე...

წყალი მივაწოდე და კმაყოფილმა
გამიღიმა.

— შენი აზრით, რა უნდა მერქვას? —
მკითხა და თვალი გამისწორა.

— ნათია ხარ შენ! — წამომცდა, მაგრამ
ტუნზე არ მიკბენია სიმწრისაგან.

— ნათია?! მე მომწონს ეს სახელი,
ყოველთვის მომწონდა და... ნათია დამი-
ძახე დღეიდან, გთხოვ. შენ კი ლააზ...

მაგრამ საოცარი ის არის, რომ კი არ
ლაპარაკობს ნათია! ფიქრობს და ამ
ფიქრს ვკითხულობ მე.

„არც შენ ლაპარაკობ, ლააზ. ჩვენ
ერთმანეთის ფიქრებს ვკითხულობთ.
ჩვენთან არ ლაპარაკობენ... აქ ფიქრო-
ბენ და ოცნებობენ. აქ ფიქრებისა და
ოცნებათა ქვეყანაა. ჩვენ, ლააზ, იმ თქვე-
ნი ჩვეულებრივი ცხოვრებიდან ამოვარ-
დნილები ვართ. ეს ის ცივილიზაცია რო-
დია, შენ რომ იცნობ, შენში რომ არის
და მისით ხარ გაჟღენთილი“.

„მაგრამ შენ საიდან მოსულხარ, ნა-
თია, სადაური ხარ ნეტა?“

„სადაური ვარ? როგორ ავიხსნა, რომ
არ ვიცი? — შეწუხდა ნათია, — სინათლი-
დან ვარ, სინათლიდან, ლააზ, — გამიღიმა
და სახე გაებადრა, — ადამიანი ვარ მეც“.

„მე კი ანგელოზი მეგონე, — ვთქვი.
გული ამბობს ამას ჩემი. — მაგრამ მიზე-
ზი შენი აქ ჩამოსვლის?“

„ღედამიწაზე ნათლით მოსილი ადა-
მიანი უნდა დააბიჯებდეს. ადამიანშიც
ბევრია ღვთისაგან, ღვთაებრივი... ოღით-
განვე ასე იყო, ასე იყო ჩაფიქრებული
და იცი, რატომ არ შეუძლიათ ადამია-
ნებს ფრენა? ვერ იფრენს, რადგან ცოდ-
ვილია სული მისი. შენ კი, ლააზ, უკვე
შეგიძლია იფრინო, ოღონდაც უნდა ირ-
წმუნო! აბა, აიწიე მაღლა, აიწიე, თით-
ქოს ფრთებიც გაქვს, იფიქრე, რომ ფრე-
ნისთვის ხარ გაჩენილი, შეგიძლია შენ
ფრენა!“ — ჩამესმა ყურში ნათიას ფიქრი
და მართლა ავფრინდი, ისე გადავინაცვ-
ლე ერთი ადგილიდან მეორეზე, როგორც



ეს კოსმონავტებს შეუძლიათ უპაერო სიერცეში ყოფნისას.

თვალეზაბარწყინებული დავეში ძირს და ნათიას მზერას გადავაწყდით. ისევ ამოვიკითხე მის თვალეზაში ამონთებული ახალი ფიქრი: „ახალი ადამიანები თავისუფლად იფრენენ...“

და იკლო სინათლემ ბოლოს, ერთმანეთს ვეღარა ვხედავთ, მაგრამ გვესმის ერთიმეორისა. მე მის ფიქრს ვკითხულობ. იგი — ჩემსას. მე ნათია მწყურია, ნათიას მე ვენატრები და გადავიქცეით კიდევ ერთ არსებად, სულითაც და ხორცილთაც ერთნი ვართ.

მაგრამ მაინც თენდება და დღის სინათლე ისევ შემოდის კაიუტაში. გამოედოდი სიზმრიდან და არ მინდოდა იქიდან გამოსვლა, ვიღვიძებდი და გამოღვიძებაც აღარ მინდოდა.

თითქოს აბსურდის თეატრში ვყოფილიყავი, პარტერში, თანაც პირველ რიგში. მაგრამ მომწყინდა ჯდომა და სცენაზე ავედი.

სცენა დაცარიელებული, ჯობს გამოცარიელებულიო, ვთქვა იატაკზე პულსდაკარგული და დამუნჯებული საათი, მარჯვნივ კუთხეში ძველი ფეხსაცმელია მიგდებული. ჰო, მართლა, საათი წაქცეულია და, ეტყობა, არც არავინ წამოაყენებს. ის ძველი ფეხსაცმელი მარცხენა ფეხისა უნდა იყოს. მარჯვენა ფეხსაცმელი აღარსად ჩანს.

სცენაზე გლახა შემოდის. ფეხსაცმელი მარჯვენაზე აცვია მხოლოდ. გლახა დაიხრება და საათს მომართავს. მაგრამ არ წამოაყენებს. საათი აწიკწიკდება და თვალეზი გაუბრწყინდება გლახას. მერე იმ კუთხისკენ წაბარბაცდება, ცალი — მარცხენა ფეხსაცმელი რომ გდია, წაიდრობს თავის ფეხსაცმელს და იმ მარცხენას მიუდგამს. „ეხლა ერთი წყვილია უკვე... — ხმამაღლა გაიფიქრებს, — რომც გათოვდეს, არ შემცივდება, — ღრმად ჩაისუნთქავს ჰაერს და ფეხშიშველი დაიწყებს სირბილს, — თურმე აქ დამრჩენია მარცხენა, მე კი სად არ დავეძებდი... მაგრამ რომ ვერ გამიხსენებია თუ რო-

დის ვიყავი აქ? თითქოს პირველად უნდა ვიყო ამ სცენაზე? საოცარია სწორედ...“

ჯიბიდან ცარცს ამოიღებს და ირგვლივ წრეს შემოიხაზავს.

„დაცული ვარ აწი ყოველგვარი ავისა და ბოროტისაგან, კაცი ხელს ვეღარ მახლებს. ამ წრეში ვეღარავინ შემოვა, ვერაინ შემოაბიჯებს...“

წრის გარეთ კი, სცენაზე თოვდა. ბარდნიდა შესაშურად.

გლახამ თვითონაც არ უწყოდა, რატომ გადაიხედა წრიდან და შეცბა. მერე გავიდა წრიდან, კუთხეში მიგდებული ფეხსაცმელი აიღო, დაფერთხა და წრეში შემოიტანა. დალო ძირს და ჩაჯდა.

მერე, კაციშვილმა არ იცის, რაზე ჩაფიქრდა.

წამოდგა ბოლოს. — მე წასასვლელი ვარ... ბოლთის ცემას მოჰყვა წრეში. მერე, როგორც იქნა, შეჩერდა, ფეხსაცმელს რაღაც უცნაურად დახედა და თავი უიმედოდ გადააქნია. — მიუღივარ მე...

გარეთ, წრის გადაღმა თოვდა, თვალის გასახარად ბარდნიდა. — ამოვლი რკალს ამ წრეზე და კარიც გაიღება, გავალ მაშინ ჩემი კვერცხის სასახლიდან! — ესეც ჩემი კარი!

ფეხშიშველი გავიდა გარეთ.

სცენაზე თოვლი. გზას წელამდე მიიკვლევს თოვლში.

— ხვალაც ითოვებს და შეიძლება ზეგაც ითოვოს. ითოვოს მერე! მთავარია კარი დატოვო ღია ჩემს სასახლეში. შევა შიგ ვინმე უსახლკარო და კარგად მოისვენებს. აღარ გაითოშება, აღარ გაიყინება თოვლში.

იმდენი დაათოვა სცენას, რომ აღარც კი მოჩანს გლახა. ჩანს მხოლოდ წრე და ამ წრეში შეჭრილი პაწია კარი, ღია რომ არის ყველასათვის.

იელვა და გათენდა კიდევ. აღარც ზღვა, აღარც ნოეს კიდობანი და აღარც ნოე, აღარც კაიუტა და:

აღარცა — წარღვნა!

აღარც ნათია იყო ჩემში! აღარ იყო ჩემში ნათია... ჩამტყდომოდა რაღაცა

სულში და ის ჩამსხვრეული რამ აღარა-
სოდეს გამიმრთელდებოდა.

მე მე აღარ ვიყავი!

და ჩემს ცხოვრებაში ისევ შემოვიდა
გლახა. იწვა დივანზე. ჰო, გლახა წამო-
წოლილიყო დივანზე, ეძინა და ეღიმე-
ბოდა კეთილად.

„წუხელ ჩემი გზის მანათობელი ეს
ყო და მაპატია ყველაფერი... დიდი მიმ-
ტვებელიცაა“, — გავიფიქრე.

გავიფიქრე და თვალც გაახილა.

— დღეს ნათიას გაიცნობ შენ, — წამით
შეყოვნდა და განაგრძო: — გზელადი მე
შენ, გზელადი, სანამ თვალს გავახელდი,
ვზელადი ნათიასაც, ახლა კი მივდივარ.
ნუ, ნულარ ეცდები. შემიცნო ვინმეში,
რადგან... — ახლა მართლაც სერიოზუ-
ლად ჩაფიქრდა და მეც ჩამაფიქრეს მის-
მა სიტყვებმა:

რატომ ვერ უნდა ვიცნო და ნეტა რაა
მიზეზი ამის?

და მას შემდეგ, რაც ფიქრი გამშორ-
და, ველარც გლახა დავლანდე სადმე.

„ნათიაზე ფიქრიც გლახამ მომიტანა.
იგი (გლახა) მართლაც რომ გაქრა ჩემს
თვალში, თითქოს არც არასდროს ყოფი-
ლიყოს. სიზმარი თუ იყო ყოველივე“.

შინიდანაც იმიტომ გამოვედი, რომ ნა-
თიას შევხვედროდი. უნდა ვეცანი იმა-
საც.

წამოყინდლა, მაგრამ მალევე გადაი-
კარა. გაიფანტა ის შავი ღრუბელი და
მზემაც ამოანათა.

დაცხა.

მზე — მწველი:

მზე — თვალისმომაკრელი:

— მზე — სულისშემხუთველი:

და ამ მწველ, თვალისმომაკრელსა და
სულისშემხუთველ მზეს მაგნოლიის
ჩრდილქვეშ შევაფარე თავი.

გული მეუბნება ერთი — მოვალ ნათია,
მეორე გულიც ამასვე შემომჩურჩულებს:
„ნუ დელავ, მოვა შენი ნათია. შენს იქით
წასასვლელი აბა სად უნდა ჰქონდესო!“

მაგრამ ის ნათია, წუხელ რომ გამო-
ვეცხადა, ცხადში შეიძლება აღარც იყო-

სო, უნებლიეთ წამოცდა ჩემს გულს და
მომეწურა ეს გული.

— ურწმუნო თომა ყოფილხარ თურმე.
არც იმას სწამდა, მაგრამ იწამა მერე. —
მეორედ ამომძახა გულმა და მეც დავეშ-
ვიდდი. ბრაზმაც გამიარა.

ჩემი ეზოს წინ, ტროტუარზე „კლა-
სობიას“ თამაშობდნენ გოგონები. იქით,
ცოტა მოშორებით, ბიჭი იდგა ერთი.
ჩანდა, ნაწყენი იყო გოგონებზე. ცალთ-
ვალმოჭუტული მზეს შეჭყურებდა. კარ-
გა ხნის შემდეგ ზურგი შეაქცია მზეს,
ჯიბიდან ცარცი ამოიღო და წრე შემო-
იხაზა ირგვლივ. გოგონების ყურადღება
თუ უნდოდა მიეპყრო, მაგრამ იმათ უკვე
აღარ ახსოვდათ ეს თავმოყვარე ბიჭი და
ისიც ტუჩებს იკვნიტდა სიბრაზისაგან.

იქნებოდა ასე თორმეტი წლის. მეტის
ნამდვილად არ უნდა ყოფილიყო.

ოჰ, ეს ზღვისპირა ქალაქი?! წამოწ-
ვიმა ისევ და ძირს ჩამოიწია ცაც.

გოგონები ვინ საით გაიქცა. ბიჭი კი
იდგა თავის ცარცის წრეში, იდგა და,
ვინ იცის. ოდესმე გამოვიდოდა თუ არა
იმ თავისი წრიდან.

ბიჭი მხოლოდ მაშინ გამოვიდა თავი-
სი სადგომიდან, როცა წვიმამ მთლიანად
გადაუშალა ის ცარცის წრე. გაიქცა და
იქვე, ორსართულიანი სახლის სადარბა-
ზოში შეიკარგა.

მე კი ვღგავარ და ვსველდები.

„იმ ბიჭის ადგილს მე დავიკავევ წრე-
ში. წვიმამ კი გადაშალა, მაგრამ ხომ
არის იქ წრე, რომელიც შემოიხაზე ერ-
თხელ. აღარ აჩნია მიწას, მაგრამ ხომ
არის, შემოიხაზე კიდევ ერთხელ“. გა-
მოიკვეთა ფიქრი და ამან მომაცოცხლა,
მივირბინე იმ სავარაუდო წრე-ად-
გილთან და დავხელე. წრე ოდნავ, მაგრამ
მაინც აჩნდა სველ ასფალტს. ფიქრით
კარი შევადე, შევედი წრეში, კარიც მო-
ვიხურე და სული მხოლოდ ამის შემ-
დეგ მოჰოთქიე.

წვიმს, წვიმს გადაუღებლად.

წავიდრე ფეხსაცმელი და კუთხეში
მივდე ფრთხილად.

წვიმს, ჩემთვის კი მაინც ანათებს



ცხრათვალა მზე, არც არასოდეს ჩაესვენება.

გადმელა ლოდინთ გული და მაშინ მომესმა ერთი მეტად უცნაური და სულში ჩამწვდომი მელიდია, სასინანულოდ განმაწყო და ვაქცი სმენად.

„ასე მალე და დაუბრკოლებლად რომ გამოიჩინდეს ჩემი სიზმრის ქალიშვილი, სიზმრიდან გადმოვიდეს, ალბათ, არც გამიხარდება ისე, როგორც ეს ადრე მეგონა და წარმომედვინა“.

წვიმას ჯერ მთლიანად ვერ გადაურეცხავს ჩემი ცარცის წრე.

ჩემი ფეხსაცმელი ისე გაეჟღინთა დღევანდელ წვიმას, რომ ძლივს ვიციანი.

წვიმს კოკისპირულად. ასეთი წვიმა მხოლოდ ჩვენს ქალაქში იცის. ჩვენი ქალაქი წვიმის დიდი ქალაქია, მაგრამ ისეთი კომპოზიტორიც არ გამოჩენილა დღემდე, რომ წვიმის დიდი სიმღერა შეექმნა. მზე მართლაც რომ გადაკარგულა სადღაც, ალბათ, ცხრა მთას იქით.

მაგრამ მალე გადაიღებს და დაღამდება, ნათიაც მოვა და...

— და აღსრულდება წინასწარმეტყველებლა!

— მაგრამ რომ არ მოვიდეს?

— მაგრამ ნათიაც ხომ არის თავის დროში?! თავის წამში... ჩამოივლის ის წამი, შეჩერდება ჩემთან. ჩამოივლის ნეტა? ჩამოივლის, რა თქმა უნდა! სადღაც ხომ ჩამოივლის მაინც, ჩამოივლის და მეც იქ დავხვდები. წამიც მეყოფა, წამში ჩავეტყვივით მე და ნათია...

მაგრამ რომ ვერ ჩავეტყვივით დროში?!

— დროს შევანერებ მაშინ!

— და დადგება მარადი ლოდინის წამი...

ეს უკვე მერამდენე წელია, რაც ქალაქის შემოსასვლელში მაღალ სვეტზე ასეთი წარწერა გაჩნდა: „გადავქცივით ჩვენი ქალაქი სანიმუშო ყოფაქცევისა და კულტურის ქალაქად!“

თვითონ ქალაქში აფუსფუსებულა ხალხი, დიდი და პატარა შაბათობაზე გამოსული, ეზიდებიან რაღაც-რაღაცებს

აქედან იქით და პირიქით, იქიდან აქეთ. ქალაქს შუბლზე ოფლის ღვარი გადასკდომია.

ნაშუადღევს გავვიძა. გავვიძა კოკისპირულად და ქალაქიც დაიწმინდა-განინანა.

როგორც გავვიძა, ისევე უცებ გადაიღო და ის წარწერა-ლოზუნგი „გადავქცივით ჩვენი ქალაქი სანიმუშო ყოფაქცევისა და კულტურის ქალაქად!“ ახლა ქალაქის ცენტრში გაჭიმეს.

„სანიმუშო ქალაქი...“ — გაიფიქრა გლახამ და მომავალი იხილა. არა, არაო, გაასავსავა ხელები და ხილვაც შეუწყდა. ფეხშიშველი იყო.

აქ ბიჭებმაც ჩამოიარეს და ფეხშიშველი გლახა რომ დაინახეს, შედგნენ, იქნებ ჩვენთვის სასეირო რამ გამოდნეს აქედანაო და გარს შემოერთდნენ გლახას.

— ეს მათხოვარი სახელს უტეხს ჩვენს ქალაქს! — წამოიძახა ყველაზე უფროსმა ბიჭმა.

— მოვეშვით ერთი, რა ჩვენი საქმა? ამას უჩვენოდაც გააძევებს ქალაქიდან ჩვენი ფხიზელი მილიცია, — თქვა ქერათმიანმა და განაგრძო ისევ: — წავიდეთ, გავცალოთ აქაურობას, იქნებ ფეხბურთი გვეთამაშა!

არაო, თქვა მესამემ, მეოთხემ ბურთი ესროლა გლახას. წამო, გვიმსავლო.

გლახამ თავი გადააქნია, გუნებაზე ვერა ვარო და წასვლა დააპირა.

— მართლა გააძევებენ ამ საცოდავს ჩვენი ქალაქიდან, ჩვენი სანიმუშო ქალაქიდან, — დააზუსტა მესამემ და თავისსავე ნათქვამზე გაეღიმა. — ცოდავ კაა ეს უბედურა...

— გააძევებენ და მართალიც იქნებიან, მათხოვარს მართლაც რა უნდა ჩვენს ქალაქში? — ხმას აუწია ყველაზე უფროსმა ბიჭმა, — თათსი ტურისტი ჩამოდის უცხოეთიდან და რას იფიქრებენ? მათხოვარს რა უნდა ჩვენს ქალაქში?

— მოდით და ჩვენ თვითონ გავაძევეთ ეს მათხოვარი, ამის უფლება ნამდვილად გვაქვს! — ეს წინადადება მეოთხემ წამოაყენა.

ისმენდა ყველაფერ ამას გლახა და გული უტიროდა, სულიც უტიროდა გლახას.

— მაცალეთ მე! — ისევ მეოთხემ ითხოვა სიტყვა, — ისეთ დღეში ჩავაგლო, თვითონ ითხოვდეს გამამევეთო, — მერე რაღაც გადაულაპარაკა ყველაზე უფროსს და მალლა ასწია ხელი.

— მიდი, შენ იცი, — წააქეზა უფროსმაც და თვალი ჩაუკრა.

მეოთხემ თმაზე გადაისვა ხელი და გლახასკენ მიიწია, — ბატონო მათხოვარო, გამარჯობა შენი! ერთი რამ მინდა ვკითხო თქვენს უმაღლესობას და თქვენი უმაღლესობისდაკვალობაზე უნდა მიპასუხოთ, თუკი ინებებთ, ბატონო ჩემო...

— პასუხს როგორ დაგამადლი, თუკი მექნა პასუხი შენს კითხვაზე... — დახედა ბიჭს გლახამ და ფიქრი ჩაიყენა თვალებში.

არა, არა! ეს არ იყო ფიქრი!

ბიჭი შეეცოდა გლახას, რამეთუ კარგად უწყოდა მისი ჩანაფიქრი, — გისმენ, ყურადღებით გისმენ...

— ხომ გიყვართ ჩვენი ქალაქი, ბატონო გლახაზე?

— ააა... მე იმ მომდევნო კითხვაზე გიპასუხებ, რომელიც ამ კითხვას უნდა მოაყოლო... არ გინდა? კარგი, კარგი... მაშინ ერთი საქმე მაქვს მოსავგვარებელი და წავალ. მოურჩები ჩემს საქმეს და გაგეცლებით. ახლა მე გკითხავ, თუკი ამის ნებას დამრთავ: მაშ, არ მეცხოვრება მე თქვენს ქალაქში? კარგი, ნუ მიპასუხებ, თუ ასე გიჭირს ამ კითხვაზე პასუხის გაცემა. დიახ, დიახ, მათხოვრები მართლაც არ უნდა დაიარებოდნენ ქალაქში... მათხოვარი, რომელიც ხელს უშლის ქალაქის... აღარ გავაგრძელებ... დამშვიდდი...

— ბატონო მათხოვარო... — ახედა ბიჭმა გლახას, იმას, ვისი დამცირებაც უნდოდა ასე და სათქმელიც გადაავიწყდა. ხელები უმწყოდ გაასავსავა და თავი ჩაჰკიდა. სათქმელი ვედარ მოიგონა.

გლახამ ხელი თავზე გადაუსვა და გული მოეწვა. ბიჭს ფერი დაუბრუნდა სა-

ხეზე და უნებლიეთ წამოიძახა, — ბატონო მათხოვარო, კი მაგრამ ჩემი ფიქრი როგორ ამოიცანით... — მოეშვა უცებ და სირცხვილისაგან გაწითლდა, — მე ხომ თქვენთვის არაფერი მითქვამს?

— ფიქრი შენი შენივე თვალებია... თვალები სულის სარკეა, ელგუჯა, შენ ელგუჯა გქვია...

— ბატონო მათხოვარო... — ენა დაება ბიჭს, — მე... მე...

— მე მათხოვარი არ ვარ, ელგუჯა... მე პურს ვითხოვ მხოლოდ, პურს...

— ახლავე მოგიტანთ პურს! — წამოიძახა ელგუჯამ, — თქვენ ჩემი სახელიც გცოდნიათ, გავიქცევი, მოგიტანთ პურს... პური იქნება მაღაზიაში, უკვე მოტანილი ექნებათ, დამელოდეთ, ძალიან ვთხოვთ... გაჭაქეცი, გავიქეცი!

მალე დაბრუნდა და სული მოითქვა, მაპატიეთ, მაპატიეთ, თუ შეგიძლიათ... მე დავაშავე... ამ ბიჭების მაგივრადც მაპატიეთ მე... აი, თქვენ პური...

გლახამაც გამოართვა პური და შვებით ამოისუნთქა, — წადი, ბიჭები გელოდებიან, გმადლობთ... ნუღარავის აწყენინებ, გახსოვდეს, კარგი? მე მჯერა შენი, იმ ბიჭებისაც მჯერა...

ბიჭი კმაყოფილი და გახარებული გაიქცა, გლახაც თავის გზას დაადგა. გაწვიმდა.

წვიმას ჯერაც არ გადაურეცხავს ჩემი ცარცის წრე. გული რატომღაც მეუბნება, რომ კიდევ რაღაცას მოელის ჩემი ცარცის წრე, მაგრამ დანამდვილებით ვიცი, რომ ის ვიღაც მე არ გახლავართ. მე ვერ ვიქნები ის „ვიღაცა“.

ნეტა, კიდევ ვინ უნდა შეიფაროს ჩემმა ცარცის წრემ?

ნიკაპით ჩამოყვრდნობივარ ფანჯრის რაფას და ამბის გაგრძელებას გულის ფანცქალით ველი, ველი ვიღაცის გამოჩენას.

თვლიც კი მოვხუჭე და ფიქრი მოვიშველიე: „გამოინდება ის ვიღაცა, გამოინდება ის, ვინც უნდა მოვიდეს და ჩაღვებს ჩემი ცარცის წრეში. ჩემი ახ-



რით მოხუცი უნდა იყოს... თეთრი ქათ-
ქათა წვერით...“

„გლახა?!“

სადაცაა, უნდა გამოჩნდეს. ჰოდა გა-
მოჩნდა ისიც.

ის არის, ის (მაგრამ თვალი ვერ გა-
მიხვლია იმის შიშით, ვაითუ ზმანება
გაქრეს)!

გლახა მოსასვლელი. ის ფუთაც წა-
საღები აქვს. მაგრამ დილას რატომ არ
წაიღო? სად იყო ნეტა? მართლა სად
დადის და რა საქმე აქვს მოსაგვარებუ-
ლი? არა მგონია, პურს თხოულობდეს
დილიდან საღამომდე.

გავახილე თვალი და ზმანებაც გაქრა.
გულმა ცარცის წრისკენ გამოწია. ფიქ-
რით წარმოვიდგინე კიდეც ის ჩემი ცარ-
ცის წრე, დავხედე კიდეც და სული მო-
მეშხამა, — წრე თითქმის აღარ აჩნდა
სველ ასფალტს. ცარციც აღარ მქონდა,
ხელახლა რომ შემომეხაზა!

წვიმა კოკისპირულად. მოსახვევში
ვიღაც დავლანდე და გულმაც იმ წამსვე
მითხრა, ნაცნობი უნდა იყოს შენო. გა-
ფიქრებაც ვერ მოვასწარი ამისა და
გახმოვანებული ფიქრი-პასუხი ამომი-
ვიღა გულიდან, გლახა იქნება ის კაციო.
მეორე გულმა საპირისპირო აზრი კი
გამოთქვა, მაგრამ აღარ ვუსმინე იმას და
სწორადაც მოვიქეცი.

თან ფიქრი მიმიძღვის წინ: „გლახა
ჩემგან დამოუკიდებელი ვინმეა და სა-
დაც უნდა, როგორც უნდოდეს და რო-
დის უნდოდეს, მისი საქმეა, იქ გამოჩნ-
დეს, სადაც მოესურვოს. როგორ და რო-
დის მოესურვოს, ანდა მე ვინა ვარ, იმის
მაგიერად განვსჯიდე?“

ფიქრმა თავისი სახე რომ მიიღო, მა-
შინ დავმშვიდდი, მაგრამ მოსახვევისთ-
ვის თვალი მაინც არ მომიშორებია. არა,
არ უნდა გასცლოდა გლახა ჩემს თვალ-
საწიერს.

ჩემკენ მოდიოდა იგი. ჩემკენ!

დავდექი და უფრო გამიადვილდა ფიქ-
რიცა და აზროვნებაც.

— მოდის!

მოლასლასებდა, ჩემკენ კი არა, იმ
ადგილისაკენ, სადაც მე ვიდექი. არ ვი-
ცი, შემამჩნია თუ ვერა, მაგრამ ნაბიჯს
რომ მოუხშირა, ეს ცხადი იყო.

უნებლიეთ ძირს დავიხედე. მე ჩემს
ცარცის წრეში ვიდექი, რომელიც ძლივს-
და აჩნდა ასფალტს.

— არა, ორივე ვერ ჩავეტყვიო ამ
წრეში... ჩადგება წრეში და უხილავი
დარჩება, ხელს ვეღარავინ ახლებს, აც-
დება ყველა ავი ფიქრი, ოღონდაც აჩ-
ქარდეს! სადაცაა წამოეწევიან... გააძვე-
ბენ ჩვენი ქალაქიდან! მერე აღარც შე-
მოუშვებენ!

შორიდან მილიციელების ძახილიც
გავიგონე: სდექ, მათხოვარო.

გლახა არ შემდგარა. მოიქჩაროდა ჩემ-
კენ. მე შემქმლო მისი შველა და არავის
სხვას. „მოთავრია, არ გადარეცხოს წვი-
მამ ჩემი ცარცის წრე!“

მგონი ეშველა გლახას.

მომიახლოვდა და დაუთმე ადგილი
ცარცის წრეში. ისიც შევიდა შიგ და
მილიციელებაც მომეარდნენ.

შემხედეს, ამათვალ-ჩამათვალეირეს,
მაგრამ ამაოდ, ვერ ამოიცნეს ჩემში ის
გლახა და უკან დაიხიეს, ერთმანეთს
გადახედეს ეჭვის თვალთ. გაცეხას
ვეღარ მალავდნენ.

— აქ გლახა უნდა იყოს, მათხოვარი
ერთი, ხომ არ გინახავს?

არა-მეთქი, ვუთხარი და გულში გა-
მიხარდა. ისინი მართლაც ვეღარ ხე-
დავდნენ გლახას, იგი ჩემმა ცარცის
წრემ შეიფარა... ჯადოსნური იყო ჩემი
ცარცის წრე...

წვიმა კი არა და არ აპირებდა გადა-
ღებას. კიდეც უფრო წამოუშინა და შე-
მეშინდა, ვაითუ გადაერეცხა ჩვენი მშვე-
ლელი ცარცის წრე.

კიდეც რამდენიმე წუთი და რამდენიმე
წამი და აღარ იქნებოდა ცარცის წრე,
ეს წვიმა გადარეცხავდა; აღარ იქნებო-
და ცარცის წრე, იქნებოდა თავით ფე-
ხამდე გალუპული გლახა, რომელსაც
ხელს ჩააუვლებდნენ ვგრეთ წოდებული
წესრიგის დამცველები და გააძვებდნენ

ჩვენი ქალაქიდან. მაღლა ავიხედე. წვიმა არ აპირებდა გადაღებას.

— შენ, რაო? აქ გლახა იყო შენს ადგილზე. შენ საიდანღა გაჩნდი? არა, არა... შენ გალხა ხარ. არ ხარ გლახა? ამას მილიციაში გავარკვევთ!

ჰოდა, ჩამავლეს ხელი, უკან გადამივრისხეს ხელები და პანდურიც ამომკრეს, უყურე ერთი ამას! ჰიპნოზიორი ხარ? იქნებ კიო ხარ?!

— არა, არა! მე ლაზარე ვარ, ლაზარე...

— ლაზარე? ვიცი მე შენი ლაზარე! აბა, წამოეთრე მილიციაში და იქ გავარკვევთ, ლაზარე ხარ თუ გლახა-მათხოვარი? აბა!

მე ცარცის წრეს დავხედე და გული მეტკინა, როცა გავიფიქრე, კი არ გავიფიქრე, არამედ ვინატრე, გადარეცხილიყო ჩემი ცარცის წრე და გამოჩენილიყო გლახა. კი გავიფიქრე ეს, მაგრამ იმ წამსვე ვინანე, ეს რა სულმოკლე ვყოფილვარ-მეთქი!

— ჰო, თქვი, რა მოიმიქმედე, შე მართლა გლახა, აღარ იტყვი, ვინა ხარ?

— მე ლაზარე ვარ და არავინ სხვა! — წამოვიძახე და გულში დავძინე, წვიმამ ვერაფერი უნდა დააკლოს-მეთქი ჩემს ცარცის წრეს.

— რაღას ველოდით ამ მართლა მათხოვარს?! — სატყვას აქ დაუსვა წერტილი ოპერჯგუფის უფროსმა და მთელი ძალით მიბიძგა.

— ხელი უშვით ამ ყმაწვილს, ვისაც თქვენ დაეძებთ, აქ არის! — გავიგონე და გლახასკენ მივბრუნდით ყველა. გამოსულიყო იგი ჩემი ცარცის წრიდან (თვითონ გამოსულიყო, თორემ ასფალტს კვლავაც აჩნდა ჩემი ცარცის წრე. უძღური იყო აქ წვიმა).

— მე ვიცოდი, ასეც ვიცოდი. მე არასოდეს დამაჟიწყდები. ერთი კაციც შენისთანა და არ დაიღუპება ქალაქი... ეძიე იგი...

— მოვებნი, მოვებნი, — აღვუთქვი

გლახას და ცას ავხედე.

— ჰო, იქ მეძიე... იქ გეგულებოდე...

— მაღლიერების გრძნობით მიყურებდა და ივსებოდა ჩემით, ჩემში კი შემოდოდა იგი, ვივსებოდი და მინათდებოდა სულიც. — ახლა მოხუჭე თვალი და მიპყვი ფიქრს... — დამარიგა და დამიქნია თავი, თვალებზე ავიფარე ხელები.

წვიმდა.

მესმოდა ჯერ კიდევ:

— ქალაქის საბჭომ დადგენილება გამოიტანა და უნდა წავიკითხოთ.

— ვიცი, რა დადგენილება გამოიტანა თქვენმა ქალაქის საბჭომ, უნდა გამახალლოთ ქალაქიდან, კეთილი, მივდივარ... იქით მიიხედეთ, უკან... ნუთუ არ გესმით, როგორ კენესის ღვთისმშობლის ეკლესია?! — თვალი ცას მიაპყრო.

— არა, არ მესმის და არც მინდა მესმოდეს! — იყო მოკლე პასუხი.

— არც მე მესმის... — თავი გადააქნია მეორე მილიციელმა.

— ერთი წუთით... კენესის ღვთისმშობლის ეკლესია, ნუთუ არ გესმით? ეს ზომ... სევდაა, მსოფლიო სევდა... გამოიღვიძეთ... — ვედრებდა ცქეულიყო გლახა.

თვალი გაუახილე.

წელში გასწორდა გლახა და ჩაილაპარაკა ყველას გასაგონად: — სევდა მსოფლიო... მაგრამ პირობა უნდა მომცეთ, რომ ზურგს შემაქცევთ, არ მოიხედავთ ჩემკენ! შენც, ჩემო ლაზარე... არა, შენ არა, ლაზარე, მიყურე, თვალი არ დაგიხამხამდეს, ოღონდაც! თქვენ კი ქალაქისკენ ჰქენით პირი, თორემ... მე არ გემუქრებით...

მილიციელები ქალაქისკენ შებრუნდნენ, გაბრწყინდა მაშინ გლახა და გადაანათა იქაურობა.

ვიდექი გაოგნებული. ის, ვისაც ასე სასოებით შევცქეროდი, უკვე აღარ იყო, მაგრამ იყო დიდი სინათლე!

გლახა?!

ამოილაქა, ამოილაქა, ქალაქიდან ამოილაქა...



ალექსანდრ პუშკინი

ცხენი და ვიწვიის პოზონა

სურათები

1.

მწყემსი გოგონა, ტურფა ღილია
ულამაზესი ქალიშვილია,
ახუთამეტა წლია. პეშეია ვერაცა!
ღილიავ, როგორ გიფეთქავს მკერდი,
როგორ გიხდება მოღლილი მხერა,
ქალღება უკვე, შეზღვე ერთი!
შენ კადვე გჯერა და არც კი გჯერა,
ვერ დაიბრუნებ ბავშვობას. ვერა,
ღიღი ხანია ამ ქაშს ელოდა...
რუსთან მიიბრუნ, გრილი ჩეროთი
გულს დააბე, მშვიდღები ტყეში,
მინდვრის ყვაილი გიჭირავს ხელში
და შენთან არის შენი ეროტი.
ღამის დადგომას მთელა დღე ელი,
დადგება ღამეც, უქმური, ბნელი,
უცნაურ სიზმარს მოგივლენს ძილში:
მოგველინება ჩვენება უცხო...
შენ უძალ იცნობ და შენკენ უხმობ
და ისმის შენი ვაი და ვიში...
შენ მასთან ხელით შეხებას ცდილობ,
გოგონავ, ლადი ბუნების შვილო,
იძახი: „ფილონ. ო, ფილონ, ფილონ!“

2.

გამოქვაბულში, ყოველ საღამოს
რომ იღანდება და შენთან ერთად
ფარული ტრფობის ნექტარს საამოს
რომ ეწაფება, ვინ არის ნექტავ?!
აჰ, სიყვარული რარიგ ტკბილია!..
შენ მწყურვალი ხარ და იკლავ
წყურვილს,
ყური მიუგდე, ჩემო ღილიავ,
როგორ გიფეთქავს ნორჩ მკერდქვეშ
გული.

ხან შიში ვიპყრობს, ხან განცვიფრება,

შემონთებიათ ღაწვებს ალმური,
გული გრძნობების ზღვაში ინთქმება,
შენ გვერდში გადგას ნაზი ამური...
მსხვრბლო ენებათა, შუქმოციმციმე,
ნელერ ნქტება, სულ ენთე ასე...
შეგვარებულნო, ტკბილად იბინეთ,
ვიდრე ცისკარი ამოვა ცაზე.
შუადამეა. მთვარე ქათქათა
ვერცხლისფერ სხივებს გაგზავნით
ციდან,

ჰა, თქვენს მღვიმეშიც შემოანათა...
თქვენ კი იბინეთ, იბინეთ მშვიდად.
თქვენ ერთმანეთის მიჯნურნი გახდით,
ერთურთზე უკეთ ვის ეყვარებათ?..
სადც სიყვარულს დაუდგამს ტახტი,
იქ ვერ ბედავენ წრიალს ქარება...

3.

ვინ არის იგი, გამოქვაბულის
ზღურბლთან, უნუმრად ბალახში რომ
წავს.
რომ შემოგეურება სულგანაბული,
ვით თქვენა ტრფობის ფარული მოწმე?..
ფაენია იგი, ღაღაავ ჩემო,
და მას შენს ახლოს სულ მალე ნახავ,
კავშიანი თვალებას ზემოთ
ორი ბორჯღალი რქა ადგას საწყალს.
იცოდვე: ფაენის თავშესაფარი
ტყე-ღრეა. სავეს იღუმაღებით.
თავწყვეტილი მუსუსი არის
ის შენნაირი მწყემსი ქალღების.
მას ეხიზღება კოხტა ფილონი,
ვისაც მფარველობს თვით კუბილონი;
ის არის მისი ძველი მეტოქე...
ღაღონებული, ყურს უდღებს ღღესაც
იმ ბეღნიერის ენებან კენესას,

ხედავს, რომ ტრფობის ზღვაში შეტოპეთ.
 ხმას ვედარ იღებს ის უბედური,
 როცა შენს მიჯნურს თავზე ევლები
 და თავის მწარე იღბალს ემდურის,
 ლოყებს უსველებს ცხარე ცრემლები.
 მთვარე კი უკვე წასვლას იქჟარის,
 მისი არილი თანდათან ქრება,
 ამოციმციმდა ლალი ცისკარი,
 ცას ვარდისფერი ფერებით ღებავს,
 ფაენს დარაჯობა თქვენი ეგოფა,
 ის უკვე დგება, ის უკვე გარბის,
 თავს შეაფარებს პირქუშ ხეობას,
 რომ გულში ჩუმად ჩაიკლას დარდი.

4.

დღეს უთენია ამდგარა ლილა,
 დახტილობს ჭალაში მარტო,
 ცვრიან ბალახზე ნაბიჯს ღვამს
 ფრთხილად,
 ფიქრში წასული რაღაცას დარდობს...
 „შენ გელოდები, ქათქათა მთვარევ,
 რას იმალები, ამოდი ბარემ...
 სად ხარ ამდენ ხანს, ო, დამის ბინდო!
 გემუდარები, ო, მალე, მალე
 ძილი მოჰგვარე ამ უღრან ჭალებს,
 დაბურულ ტყეს და ხასხასა მინდორს“.
 უცებ ხრიალი გაისმა მის წინ,
 თითქოს ხმა იყო ავსულის, მავნის,
 შეკრთა გოგონა, ბუნჩიდან ციმციმ
 ამოიზღაზნა ტყის ღმერთი, ფაენი...
 ვით გაზაფხულის ნიავე, ისე
 მიჰქრის გოგონა დაბურულ ტყისკენ
 და უკან მისდევს ფაენი, ტყის ღმერთი.
 ნეტავ ეს ქარი რას იბერება,
 გოგოს ფარული მშვენიერება,
 მოშიშვლებული, ქათქათა მკერდი
 გამოუჩინა... ის მაინც სწრაფად
 გარბის, ო, მიწას არც კი ეხება,
 იელვებს მისმა თლილმა ფეხებმა...
 ფრთამალი ქარი უწეწავს კაბას.
 ძლივს სუნთქავს გოგო, ის დადლილია,
 თანდათან ალბათ ნაბიჯსაც უკლებს,
 ძალა ელევა, ხედავს ლილია:
 უახლოვდება ტყის ღმერთი უკვე.
 გრძნობს ქალიშვილი ცეცხლოვან
 სუნთქვას,
 წამოეწია მღვეარი ხენეშით...

განწირული ხარ, გოგონავ სულმთლად,
 ეუნნა, ტყის ღმერთმა ჩაგივლო ხელში.
 აჰ, გადაეკლო ქარაფებს საშემს,
 მან გადაწყვიტა მსხვერპლის გაღება!
 ნუთუ დაახრჩვეს ლილა ტალღებმა?..
 არა! — გადარჩა, გადარჩა წყალში.

5.

მოჰქრის ფრთამსუბუქ ეროტთა გუნდი,
 მრავალ მთას და გორს გადაივლიან,
 დროს არ კარგავენ არც ერთი წუთით,
 უნდა უშველონ ტურფა ლილიას.
 ჰა, კუბიდონიც, ჰა, აფროდიტეც,
 ციტერის მაღალ მთიდან მოფრინდენ.
 ნუ შიშობ, ლილავ, იყავი მშვიდად,
 შენ ოღონდ მშველელს ხელი მოჰკიდე,
 მღვიმე კი, როგორც ტაძარი წმინდა,
 გიცდის, გოგონავ. სხვა რაღა ვინდა?..
 ჰა, შენთან არის ის ბედნიერი,
 ისევე ხართბენ თქვენი გულები...
 შენ კვლავ ვიხილება ლალი იერი
 და სატრფოს ნახად ეჩურჩულები.
 წევს ბნელ მღვიმეში კეკლუცი ლილა,
 ხმა ჩაიკმინდა ნიავემ გარეთ,
 ჩასძინებია გოგონას ტკბილად,
 ღრუბლებში შუქი ჩააქრო მთვარემ...

6.

შებინდა. ხევში ჩამოწვა ნისლი,
 მდინარის პირას ტყის ღმერთი დადის,
 დროდადრო მისი ქვითინი ისმის,
 უბედურს, გული სავსე აქვს დარდით...
 „ო, სიყვარულო, გთხოვ მაპატიო,
 ოჰ, ბედს არ უნდა ჩემი დანდობა,
 ტანჯვა-წყალებით უნდა განვილო
 მე ღიჯი ჩემი ახალგაზრდობა...“
 ზის ფაენი, თავის იღბალს დასტირის
 და ამ დროს მის წინ, ბარბაციით, როკვით,
 ლოყებლავლავა, მთვრალი სატირი
 გამოჩნდა, ხელში უჭირავს დოქი...
 ამღვრეულ თვალებს ისე აცეცებს,
 თითქოსდა ძალღმა დაჰკარგა გეში...
 ძლივსდა მიათრევს თავის თხის ფეხებს,
 შინისკენ სავალ გზას ეძებს ტყეში.
 მოდის, მობობდავს სატირი მთვრალი,
 მიმოიხედა ირგვლივ და უცებ —

მან ხის ქვეშ ტყის ღმერთ ფაენს მოჰპირა
 თვალი,

გამხიარულდა, მოეშვა გულზე...
 გააკანტურა თავი ჭედარა
 სატირმა და ფაენს მიმართა ასე:
 „ოჰ, შენმა ნახვამ მე გამახარა,
 აქ როგორ გაჩნდი, ამ უცნობ გზაზე?“
 ფაენმა კი თავი ჩაჰკიდა მძიმედ
 და თქვა: „რა ვითხრა, ჩემს ბედს
 ვემდურის,
 დღითი დღე ვკარგავ ყველაფრის იმედს.
 მე სიყვარულში ვარ უბედური...“
 სატირი ჰკითხავს: „ამურმა დაგჭრა?
 ნუთუ შენც მისი ტყვე გახდი, ფაენო?...
 ძმაო, ძალ-ღონეს ამაოდ ხარჯავ,
 რად ვინდა, იმ ცეცქს რომ ეთაყვანო.
 შენ დაგადონეს მწარე ფიქრებმა?
 თავდავიწყების გულს გიდრღნის ჟინი?
 დოქში ეძიე თავდავიწყება,
 ჯამი პირთამდე აავსე ღვინით“.
 სატირმა დოქი შეატრიალა...
 და იგრძნო ფაენმა მწველი აღმური,
 გადაჰპირა უცებ სავსე ფიალა
 და არ ახსოვდა უკვე ამური.

7.

სად ხარ, ლილიავ, შენს სილამაზეს
 ვინ დაუფლა, ქალი მაცდური...
 სიამით ვისი გული აავსე,
 შენს მკერდზე ვისი ხელი ფათურობს?...
 ო, ვინ გატყვევებს ნაზი ჩურჩულით,
 ვინ კოცნის მაგ შენს ვნებიან მკლავებს,
 ვინ არის იგი, თვალდაბუჭული,
 შენი გულისთვის შხამსაც რომ დალევს?...
 მაშ, უღალატე შენს ძველ მეგობარს?
 მზეთუნახავო, შენ ეძებ ახალს...
 ქალური ჟინი სანამ გეყოფა,
 შენგან ტყვექმნილებს მრავალჯერ
 ნახავ...

8.

ბედნიერება ქრება თანდათან...
 გამოფხიზლდები და რჩება სევდა,
 ჟრჟოლის მომგვრელი წუთო, სადა ხარ,
 ან... პალემონი სად გაქრა ნეტავე?..

ლილიავ, უკვე ჰკნებიან ვარდნი,
 ჩამორღვევია შენს მღვიმეს ლიბო,
 ახლა დრო გიდგას ცრემლის და დარდის,
 დრო არის უკვე ეკლები კრიფო.
 ო, რა უგულოდ გარბიან წლები,
 აწ სიკეკლუცეს ვერ შეიფერებ...
 დაღუპული ხარ, სულ მარტო რჩები,
 მზეთუნახავო, მოდის სიბერე.
 შენ მიგატოვავ უკვე ამურმა,
 კუბიღონს შენთვის არა სცალია,
 ჩაივრიალა დრომ საამურმა,
 მაგრამ ეს განა შენი ბრალია...
 დახეტიალობს გოგო მარტოკა,
 ბედმა ჩააგდო ამ განსაცდელში...
 აჰ, გული მიხი რამ აატოვა?...
 უეცრად ფაენი იხილა ტყეში.
 ხედავს გოგონა: ცაცხვის ქვეშ, მშვიდად,
 ფილოსოფოსი ზის თხისფეხება,
 ქვეყნის ვარამი მას არ ეხება...
 იჯდა ფაენი და ჯამს ჯამზე ცლიდა,
 მოლი ფერადმა სითხემ შეღება...
 ო, სიკეკლუცეს გული არ იშლის,
 თუმც დაუფარავთ ნაოჭებს სახე,
 გაუნნდა აზრი ტურფა ქალიშვილს:
 ფაენს სიყვარულის დაუგოს მახე...
 მონატრებული გულთბილ საუბარს,
 მიიწევს მისკენ, ნელა, ტაატიო...
 და გავიგონე, როგორ გაუბა
 ჩვენმა ლილიამ ფაენს მასლაათი...
 მყის გადაურბენს ბაგეზე ღიმი,
 კოხტარ ფიალას პირთამდე ავსებს,
 შეზარხოშდება კამკამა ღვინით
 ფაენი და წყვეს ქალს მიმართავს ასე:
 „მე აღარ მომდევს ძველი ხალისი,
 შენ კი, კეკლუცი, თურმე გახსოვარ,
 მაგრამ სიყვარულს თავისი დრო აქვს,
 სიჭარმავეს და სიბრძნეს — თავისი.
 კარგად ისმინე ჩემი ღაღადი:
 მზეთუნახავო, მე მახსოვს, ერთ დროს
 ჩემს გულში ტრფობის აღმური ენთო,
 როცა შენს გამო ჰკუას ვკარგავდი.
 დრო იყო, ჩემო თვალმშვენიერო,
 თავდავიწყებით გეტრფოდი, მაგრამ
 რაც იყო, ჩემდა საბედნიეროდ,
 დიდი ხანია — უკვალოდ გაქრა“.



გონა, და რომ საეჭვო იყო ჩვენი რეა-
ლური „ხელახლა აღზრდასა“ და „ცხოვ-
რებას საბჭოურ წესთან“ შეგუების შე-
საძლებლობა. ოლგას განათლებას საფ-
რთხე ელოდა და ამას ჩემი ნამდვილი მე-
კობრები ხედავდნენ.

მსახობი, როგორც ჩანს, პირადად
იცნობდა მოსკოვში სკოლის იმ დირექ-
ტორს, რომელსაც ასე შეეშინდა ოლგას
მიღება. „უეჭველია, რომ მოწაფეების
წმობლებს შეეძლოთ მის მიმართ უკ-
მაყოფილება გამოეხატათ, — თქვა მან. —
ის სკოლა უნივერსიტეტის გვერდითაა
და უნივერსიტეტის ყველა მასწავლე-
ბელს შვილები იქ შეჰყავს. ვესმის? ეს
მოსკოვში საუკეთესო სკოლა! დირექ-
ტორი უნივერსიტეტში შენთან ერთად
სწავლობდა, მას შენ სტუდენტი ხსოვ-
ხარ. ცოლად იტალიელი ჰყავს, რაც მის
ცხოვრებას ართულებს. თუკი ყველა
ჩვენს „ტრადიციას“ გაეთვალისწინებთ,
მას არ უნდოდა შენი, მეტიც, შენი ქა-
ნისშვილის წყენინება. „მაგრამ კარ-
ვად არ სად იქნება“, — ბოლოს
მიუკიბავ-მოუკიბავად მითხრა მან. მე
ამასაც თვით მივხვდი. ყველაფერი ეს
მამჩემის სახელიდან მოდის. დასავლეთ-
ში ის ჩენს ირგვლივ გამუდმებულ ცნო-
ბისწადილს წარმოქმნიდა, მაგრამ აქ სა-
ზოგადოება ორ ნაწილადაა გაყოფილი:
და ჩვენ, ჩემი ცაპეტი წლის კალიფორ-
ნიელი ვოგონაც კი, სწორედ მას შუა-
გულში ვართ. ჩვენ მას, მამჩემს, ვერ-
სად გავმეცნეოთ, როგორც უნდა იყოს
ჩვენი შეხედულება ამ საკითხზე. შევძ-
ლებთ კი ჩვენ ამ კონკრეტულთანად ყო-
ველდღე, ყოველწელს, მთელი ცხოვრე-
ბა ვაცხოვროთ? შევძლებთ კი — ჩემი
ვოგონა და მე — თუალი გაუსწოროთ
ახალგაზრდა მხატვრებს — ბანაკებში
მოსპობილთა შვილიშვილებს, ვხედავდ-
ეთ მათ ანთებულ თვალებს და თავი ვიკა-
ტუნოთ, თითქოს „არაფერი გვესმის“?
მე თავს არასოდეს ვიკატუნებდი, და
1956 წელს, როცა ხრუშჩოვმა წარმოა-
ქვა თავისი სახელგანთქმული სატყუა,
მე ის მართებულ, ეპროვან სიტყვად
ჰივიჩინე.

ალამიანთა სულიანი

შემრწუნებამ, რაც განვიცადა ჩვენ-
დამი ჩემი ქალ-ვაჟის ასეთი დამოკიდე-
ბულების გამო, აღმაძრა სურვილი, რომ
გავსაუბრებოდი ეინმეს, ვინც ცოტათი
განრიდებული იქნებოდა ცხოვრების
აქაურ ყაიდას და პარტიულ მონოტონუ-
რობას. როცა მიიხრეს, რომ საქართვე-
ლოს პატრიარქი, რომელიც ჩვენ უკვე
ვნახეთ სიონის ტაძარში, ძალზე გულის-
ხმიერად ეკადება აღამაანთა სულიერ
მითსოვნილებებსო, წერილი მივწერე
და ვთხოვე, ნაკვეთ. პასუხი დაუყოვნებ-
ლივ მომივიდა, მე აუდენციასზე წავედი
და იმის შემდეგაც ბევრჯერ მიმილო.

პატრიარქი (ანუ, როგორც მას საქარ-
თველოში ეძახიან, კათოლიკოსი) ტან-
მორჩილი, მკვირცხლთვალება და რბილი
მანერების მქონე კრმოცლათიოდე წლის
კაცია, ვაზბეგის მალაღმთიანი სოფლის
ქვიდრი გლეხკაცის შვილი. თვრამეტი
წლასა მამამისმა მონასტერში მიაბარა,
შემდეგ კი ზაგორსკში სასულიერო აკა-
დემია დამათავრა და მთელი ცხოვრება
შენი იყო. რუსულ ენას იმდენად უზადოდ
ფლობდა, რომ არაერთხელ შესთავაზეს
სამუშაოდ ჩრდილოეთში დარჩენა, თან
გადაკვრით ეუბნებოდნენ, რომ მისი კა-
რიერა იქ უფრო სწრაფი და მნიშვნე-
ლოვანი იქნებოდა, მაგრამ მას სურდა,
საქართველოსთვის ემსახურა.

აქ ის თავის მისიად მიიჩნევდა დავი-
წყებული ძველი საეკლესიო მღვდელმსა-
სურობის აღდგენას, რათა მრევლი ეკლე-
სიაში მიეზიდა. ჩვენ თვალნათლივ ვხე-
დავდით, როგორ ელტვოდნენ ხანდაზმუ-
ლებიც და ახალგაზრდებიც ამ მრავალ-
საათიან რიტუალებს, როცა შესანიშნავი
გუნდური ვალობა და ეპისკოპოსთა და
დიაკვნების ოქროთი მოქარგული სა-
მოსკლასი ჟამის წარვას დაუვიწყარ, სუ-
ლის ღრმად შემძვრელ განცდად აქცე-
და.

ქართული წირვა პირველად მოვისმინ-
ე მცხეთის ძველ ტაძარში, მე და ოლი-
ამ საქართველოში ჩასვლიდან ცოტა
ხნის შემდეგ რომ მოეწინაშულეთ. ჩვენ

მძლიერად ჩვენთან ერთად შემოვიდა და მაშინვე დადინჯდა, სახე მთლად შეეცვალა... ხალხი ცოტა იყო, მღვდელი სხაპასხუბით ლაპარაკობდა. ძალიან ციოდა, ახალგაზრდა დიაკვანი იბუზებოდა. უცებ მე გავარჩიე, ვიცანი სიტყვები ქართულ ენაზე: „უფალო შეგვიწყალებენ“, — ამ სიტყვებს ძალზე დიდი ხნის წინათ მეუბნებოდა ოლგა ევგენის ასული... ყურს არ ვუჯერებდი, რადგან საეკლესიო სიტყვათაგან ამ ენაზე მხოლოდ ეს ორი სიტყვა მახსოვდა, მაგრამ აქ, ამ ცივ, უზარმაზარ ტაძარში, სადაც ჩვენ ფართოდ გახედილი ბიზანტიური თვალეებით გვიყურებდა ღვთისმშობელი, ეს სიტყვები ჩემთვის სადღაც შიგნით, სისხლ-ხორცში გაჟღერდა. წინაპართა ძველმა, ძლიერმა რწმენამ გამთანგა და თავის მარადიულობაზე აღაღადა...
 უფრო გვიან, სიონის ტაძარში აურაცხელი ჩირაღდნის, საკმეველთა ჰაერში მიმომცურავი ღრუბლების, განსაცვიფრებელი, ჰარმონიული ვალობის საუფლოში სულმთლად ეწყდებოდა მიწას და ყველაფერი მაივიწყებოდა. მხოლოდ აქ შემქმლო გამამხნეველები ძალების მოკრება, მხოლოდ აქ იყო მხარდაჭერა; მხოლოდ აქ არსებობდა სამყაროს ჰარმონია და წესრიგი.

„მათ არც კი იციან, როგორ სჭირდებათ ეკლესია! — ამბობდა კათოლიკოსი. — მათ ყველაფერი დაივიწყეს, ფიქრობენ, რომ ეს მოსაწყენი რამაა. ჩვენ ავადორძინეთ აზრით აღსავსე უძველესი, უღამაზესი წეს-ჩვეულებები. ზომ ხედავთ, როგორ მოისწრაფიან ისინი აქეთ, ახალგაზრდებიც მოისწრაფიან!“

პატრიარქის წირვა ეკლესიაში, მისი საზეიმო **შემობრძანებით**, შემოსვლის წეს-ჩვეულებებით, შემდეგ საკურთხევლის ოქროს ბჭეში შემობრძანებით, — არჩვეულებრივად მაჟორულ, მხიარულ

საგალობლებთან ერთად, ქმნიდა ურყეობის, რაღაცნაირი მოზეიმე სიხარულის, იმასაც კი ვიტყვოდი — უძვეველობის განწყობილებას. ჩვენ, ყველანი, ბევრჯერ ვაჩოქებდით და ვდგებოდით, და უცებ აღტაცების, არამიწიერი ბედნიერების განცდით ცრემლმორეულნი საათობით ვიდექით ქვის იატაკზე. დიახ, ეკლესია ძლიერია იქ, სადაც იტანჯებიან, და არა იქ, სადაც სიმდიდრეში არიან დაფლულნი — ეს ზომ აქ ასე ცხადი იყო და **რწმენა** აქ უფრო ძლიერი იყო, ვიდრე ყველაფერი, რაც უკვე ნანახი მქონდა დალაგებულ, მოწესრიგებულ, ტექნიკურად აღჭურვილ დასავლეთში. **კათოლიკოსი** საათობით იდგა ფიცარნაზე მთელი ამ დიდებულების წიად, ცალ ხელში ანთებული სანთელი ეჭირა, მეორეში — თავისი საპატრიარქო კვერთხი და სახეგანათებული, ხშირად ცრემლმორეული, ლოცულობდა. ეკლესიაში შეიძლება მრავალი ცნობილი მსახიობის, თეატრისა და კინოს რეჟისორის, მეცნიერის ნახვა. **პატრიარქის** ძალისხმევით ახლდებოდა, ღორძინდებოდა VI, VII საუკუნეების ძველი ეკლესიები, სადღაც შორს, მთებში შეყუჩული მამაკაცთა და ქალთა მონასტრები, აგრეთვე სემინარიები. ქართულ ეკლესიას თხუთმეტსაუკუნოვანი დამოუკიდებლობის ისტორია, დიდი ტრადიციები აქვს და არჩვეულებრივი ძალით მოქმედებს ხალხზე. მაღალი რანგის პარტიული მუშაკებიც კი ვერ გაუწვევენ წინააღმდეგობას ბავშვების მონათვლის მსურველ ბებებებსა და მშობლებს და, — მოსკოვისგან განსხვავებით, — თვალს ხუჭავენ ამაზე. აქვეა მშობლიური ენა, ლოცვა, საეკლესიო არქიტექტურა, ხატწერა, ფრესკები — მთელი ეს თვითმყოფადობა **კულტურისა**, რომელიც არავის არ შეიძლება დაემონოს. ჩემთვის და ოლიასათვის კი წირვა და მღვდელმსახურება თავდავიწყება და შვება იყო.

თავის კაბინეტში შავნაფორიანი **კათოლიკოსი** ძალზე სადად და უბრალოდ



გამოიყურებოდა. შავი, ძალიან შეჭალა-
რავებული გრძელი თმა უკან, კეფაზე
ჰქონდა შეკრული. მის არსებაში სულიერ-
ი სამყარო იყო დაუნჯებული და ცდი-
ლობდა, რომ ეს სხვებისთვის გადაეცა.
მაგრამ კარგად ესმოდა, ამ სამყაროდან
რაოდენ შორს ვიმყოფებოდი მე იმჟა-
მად.

„ადამიანებმა აქ დაივიწყეს, რაა სიყ-
ვარული. ისინი ფიქრობენ, რომ სიყვა-
რული ოფიციალურადაა გაუქმებული
საეკლესიო დღესასწაულებთან — შო-
ბასთან, აღდგომასთან ერთად, ჩვენ მათ
ხელახლა უნდა ვასწავლოთ სიყვარული.
თქვენ უნდა ასწავლოთ თქვენს გოგონას
სიყვარული! — მეუბნებოდა მე. — თქვენ
უნდა დაუწეროთ თქვენს შვილებს მხო-
ლოდ სიყვარულის სიტყვები — მათ ხომ
ეს სიტყვები სავსებით დაავიწყდათ! არა-
სოდეს დატუსქსოთ, არ ეკანტოთ, მხო-
ლოდ უთხარი, როგორ გიყვართ ისი-
ნი. სიყვარული გაიმარჯვებს... მე ჩემს
მრევლს ყოველდღე ვებრძვი, მათ ერთ-
მანეთი სძულთ, მოწინააღმდეგეს მოკვ-
ლით ემუქრებიან და კლავენ კედელს! მე
ვეუბნები, რომ შურისძიების გრძნობა
აზრდაც არ უნდა გაიტარონ! მაგრამ ეს
აქ ტრადიციაა. ჩემი ძველი მტრები და
მოწინააღმდეგენი მოკვლით მემუქრე-
ბიან. ჩვენ ვცხოვრობთ სიძულვილის
წიაღში, რომელიც ძვალ-რბილში გვაქვს
გამჯდარი. მაგრამ ნუ გეშინიათ! ყო-
ველთვის მოდით ეკლესიაში. სხვებსაც
მოსწოთ, თქვენ და თქვენი ასული
მღვდელმსახურებზე რომ დადიხართ!“

მან მე და ჩემი ქალიშვილი რამდენ-
ჯერმე მიგვიწვია წირვის შემდეგ მაგი-
დასთან, რომელთან მჯდარიც, ცალი
თვალით უყურებდა ტელევიზორს — საე-
რო და უღმერთო სამყაროსკენ გამავალ
მის ერთადერთ სარკმელს. სუფრა გაწ-
ყობილი იყო უგემრიელესი, მაგრამ სა-
მარხვო კერძებით. ხშირად მოდიოდნენ
სხვა სტუმრებიც. პატრიარქი მფარვე-
ლობდა ძველი ფრესკების განმწმენდელ,
ძველი მონასტრების აღმდგენელ მხატ-
ვრებს. მან მიგვიჩუტა თავის მოყვარულ
გულთან, ცდილობდა ჩემთვის ჩაენერგა

შვილებთან ურთიერთობის აღდგენის
იმედი. და როცა ოლგამ ქართულად ამ-
ოიდა ენა, მის სიხარულს საზღვარი არ
ჰქონდა.

ჩვენ ვაცოდით, რომ ის მოგზაურობ-
და უცხოეთში — განსაკუთრებით ახლო
აღმოსავლეთში, სადაც ხვდებოდა აღმო-
სავლეთის მართლმადიდებლური ეკლე-
სიების პატრიარქებს. „შვიდობისთვის
ვიბრძვი! — სიცილით ამბობდა ამ მოგ-
ზაურობების შესახებ. — ავღანეთში კა-
ომი ვერ დაგვიმთავრებია!“

ავღანეთი აქ მტკივნეული თემა იყო,
რამდენადაც იქ ბევრ ქართველ და სო-
მეხ ახალგაზრდას აგზავნიდნენ იმ სა-
ბაბით, რომ ისინი „კარგად იცნობდნენ
მთის პირობებს“. ის ახალგაზრდა მე-
რძოლები ავღანეთში იხოცებოდნენ ან
იქიდან დახეიბებულნი ბრუნდებოდნენ,
რაც მხოლოდ აძლიერებდა „წრილიოე-
თის“ სიძულვილს.

საქართველოს ისტორია პირთამდეა
სავსე მის მუსულმანურ მეზობლებთან —
თურქებთან, ირანელებთან სისხლის-
მღვრელი ომებით. ადრე მას თავს ესხ-
მოდნენ თემურლენგი და არაბები, სპობ-
დნენ ყველას და ყველაფერს, მაგრამ
საქართველო ფენიქსივით კვლავ აღდ-
გებოდა ხოლმე ფერფლიდან. რწმენა
და ეკლესია იყო ყოველთვის მისი სა-
ძირკველი. უწინდელი მამაცობის ძეგ-
ლები ყოველ ნაბიჯზეა ამართული.
1945 წლის გაამარჯვებისთვის ის
დადგმული ძეგლი ჭეშმარიტად მონუ-
მენტური, შთამბეჭდავი კომპოზიციაა,
იგი მთის მთელ ფერდობს მოიცავს —
აქაა გაამარჯვების ფრთოსანი ფი-
გურა, მისგან გადმომჩქეფარე ჩანჩქერთა
კასკადი, და ფიგურა ბიჭუნასი ყურძნის
მტკვნით ხელში, რაც სიცოცხლის
მარად აღორძინების სიმბოლოა. ფანტა-
ზია, სილამაზე. წარმოსახვა გამოარ-
ჩევთ აქაურ მხატვრებს. მთის ფერდობ-
ზე წყლის ამ კასკადებისა და ყურძნის-
მტკვნიანი ბიჭის დაივიწყება შეუძლებე-
ლია. ზემოთ კი უცნობი ჯარი-
კაცის საფლავია. საქართველომ გამა-
რჯევას უამრავი სიცოცხლე შესწირა

და ავლანეთში ბრძოლა მისთვის სრული უაზრობაა.

მაგრამ საქართველოს უსასრულოდ და ყველა დროში უწყვედა ბრძოლა. როცა ჩვენ მანქანით კავკასიონის ქედზე გადავიდით, ემოგზაურობდით შორეული ეკლესიებისა და მონასტრების დასოფალიერებლად, ჩვენს თვალწინ იშლებოდა ძველისძველი სახეუცვლელი და დიადი სილამაზის მქონე პეიზაჟები. და აი, ამ მოგზაობის წიად, მანგლისის მიმართულებით, უდრანებსა და ღარტაფუბში მტრის ურდოები ებრძოდნენ ქართველებს: დახუჭვით თვალებსა და თავს დაიხრებოდა ცხენების ჭიხვის, მახვილთა ჩხარანხურს, მოთქმა-გოდებასა და კვნესას. დახუჭვით თვალები და დანახავით სისხლის მდინარეებს, მოკვეთილ თავებს, შუბებით განგმირულ ცხენებს. ის, რასაც გუსტავ იუნგი „კოლექტიურ ქვეცნობიერს“ ეძახდა, აქ ჩემთვის გაუგონარი სიცხადით იკვეთებოდა და მე უცებ, როგორც არასდროს, გავიგე ამ მგზნებარე, სასტიკი, ნაზი, არტისტული ხალხის ბუნება, ხალხისა რომლის მეხსიერებაშიც სიკვდილი შერწყმულია მამაცობასა და ბრძოლასთან, ვისთვისაც ბრძოლა, ომი, ყოველთვის გათანაბრებული იყო საკუთარი დამოუკიდებლობის დაცვასთან — ყველაზე რეალურ დაცვასთან, და ამიტომაც ისინი მათთვის წმიდაა.

„ქართველებზე უფრო სასტიკი და, ამავე დროს, სათუთი გულის ადამიანები არ არსებობენ, — მითხრა თბილისში დიდხანს ნაცხოვრებმა ერთმა მოსკოველმა ქალმა. — მათ შეუძლიათ ერთდროულად იყვნენ ასეთნი! მე დიდხანს ვერ ვეგუებოდი ამ პოლარულობას, წინააღმდეგობრივობას. შემდეგ კი, მგონი, მეც ასეთი გავხდი“. ამ წინააღმდეგობრივობაზე ლაპარაკობს პასტერნაკიც თავის საპელგანთქმულ „ტალღებში“. პასტერნაკზე, ამდენი პოეტის მფარველსა და მასწავლებლებზე უკეთ, ვის უნდა სცოდნოდა ეს! მგრძობიარობა, მუსიკალურობა, რაღაც უდახვეწილესი არტიზტიზმი ერწყმის ამ კულტურაში იმა-

ზე შურისძიებას, იმისადმი წარმოუდგენელ სისასტიკეს, რასაც „მტერი“ ჰქვია. აქ ოპერები, ბალეტები, თქმულებები, ფილმები სულ სიკვდილსა და ბრძოლაზეა. დედა თავის შვილს ცოცხლად ატანს ციხესიმაგრის კედელში („სურამის ციხე“), რათა ციხესიმაგრე მტრისგან დასაცავად გაიგარდეს! და ეკლესია ყოველთვის წმიდად აცხადებს, ლოცავს და აკურთხებს ყველაზე სასტიკ ბრძოლას.

უპველესი ქვები, უძველესი ენა, უძველესი მღვდელმსახურება. კიევის რუსეთში ქრისტიანობის მიღებამდე ხუთი საუკუნით ადრე აქ უკვე გაფურჩქნული იყო კულტურა. განა მათ დღეს ამის დავიწყება შეუძლიათ? ამიტომაც აქ ქრისტიანობაც კი მშვიდობიანი კი არა, ბრძოლასა და გამარჯვებაზე გამიზნული რწმენაა. ჩვეულებრივი, ყოველდღიური მისაღმებაც კი ქართველებისათვის „სალამა“ კი არა, „გამარჯვებაა!“ ტემპერამენტი აქ უფრო მგზნებარე, მოვიზიგია, ვიდრე დასავლეთის რაციონალურ რელიგიებში, მათი რწმენა მედიტაციებსა და სილის შემორტყმისთვის „მორე ლოყის მიშვერისთვის“ არაა: წმიდანებსა და სასწაულმოქმედთა შეველასა და მტრის მოსპობას ევედრებიან.

უსსოვარი დროიდან აქ მცხოვრები იემი ძირძველი წინაპრების, უმეტესად ღარიბ მარჯათმოქმედთა „ჩურჩული“ და „ხმება“ ამიტომ არ იყო ყოველთვის დამამშვიდებელი. მე ამ ხმებს თითქოს ვისმენდი ზაფხულობით ყაყჩოებით მოფენილ ბორცვებს შორის, კალმახებით სავსე ვერცხლისფერი მდინარის ანლოს. ვენახებიან დაბლობებზე საქართველოს ყოველწელი ფერები — შავი და მუქწითელი, მძიმე ქართული დვანის ფერი, — ყოველთვის სისხლსა და სიკვდილზე დაღადებს. იემს წინაპართა შორის ვერ მოვებნე ვერც დახვეწილი მსხიობება, ვერც ინტელიგენტი მწიგნობრება, მე მათში დავინახე მხოლოდ მწიგნობრების, ნიადაგის, მცენარეების სიყვარული. მძიმე შრომისა და ომის ხმები, მკვდელბაბათა და ომების კვნესა ანსობ-

დნენ ჩემში თავადი პოეტების, პუშკინისა და ლერმონტოვის თანამედროვეთა სამიჯნურო ლექსებს. და ჩემი ქართველი ბაბო — ახალგაზრდა გლეხი ქალი, პატარა ქალაქში ლოთ ქმართან საცხოვრებლად მისული, ვინც სიცოცხლე სიღატაკესა და ცემა-ტყეაში გალია და შეილებიდან ერთილა გადაურჩა, ქალი, რომელმაც წერა-კითხვაც კი ვერ ისწავლა და მთელი ცხოვრება მრეცხავად მუშაობდა, ჩემს თვალწინ უცებ წარმოსდგა ძალისა და რწმენის სიმბოლოდ. ის ხომ წუთითაც არ შეეყოფანებულა, როცა თავის შვილს, რომელიც სახელმწიფო მეთაური გახდა, წმინდა დედური უტაქტობით და უაპელაციოდ განუცხადა: „და მაინც მენახება, რომ შენ მღვდელი არ გახდი!“ მას არ აინტერესებდა ის, რაც გახდა მისი შვილი. მაგრამ მისი შვილი არ გახდა ღვთისმსახური, რაც დედამისს უნდოდა. შვილი ალტაცებული იყო დედის უდრეკობით, მაგრამ ამასაც იხსენებდა: „როგორ მცემდა ის, როგორ! ვაიმე, ვაიმე, როგორ მცემდა!“ და, ეტყობა, მიიჩნევდა, რომ ეს იყო დედამისისგან მისდამი სიყვარულის გამოხატულება.

მე ბაბო ეკატერინე ჯერ კიდევ რვა წლის გოგონამ ერთადერთხელ ვნახე. ქართული არ ვიცოდი და ეს მას, ალბათ, აწუხებდა. მაგრამ თავის გამხდარ, ფერმკრთალ ხელს თავზე მისვაძდა და პატარა თეფშით კანფეტებს მაწვდიდა; შემდეგ კი იმავე ხელით ლოყებიდან ცრემლებს იწმენდა. მე მაშინ შემაშინა მისმა მკაცრმა, უმწეო გარეგნობამ, ახლა კი მინდოდა გამეხსენებინა მისი ცხოვრების თუნდაც რაღაც ნაწილი... საქართველოში ბევრი შორეული ნათესავი მყავს მისი მხრიდან, ისინი არასოდეს არაფერს ითხოვდნენ და ცდილობდნენ შეუმჩნევლად ეცხოვრათ. ინჟინერი, მედიკი, ორკესტრის დირიჟორი, მასწავლებელი — ისინი ქართველები იყვნენ და არასოდეს ისწრაფოდნენ მოსკოვისკენ.

მე ვიცნობდი მამაჩემის მხოლოდ გა-

რე ბიძაშვილს, მოხუც ეფემიას, რომელიც როგორღაც ჩამოვიდა მამაჩემის მოსახლულგებლად და მამაჩემმა ის მრავალი წლის შემდეგ იცნო. ახლა კი ვერავის ვაგნებდი, რათა მათგან გამოშეკოთხა ბაბოს ამბავი. პარტამა და მოავრობამ მძლოლი მომცეს, მაგრამ ნათესავების მოძებნაში არ დამეხმარნენ. იქნებ, ყველანი გაქრნენ? მათ, იქნებ, შეეძლოთ მოეთხროთ რაქე იმაზე, თუ როგორ სდევნიდნენ ხრუშჩოვის მოხსენების შემდეგ? მე მათზე არაფერა ვიცი, გარდა იმისა, რომ ისინი ეფემიას შვილები იყვნენ და აქ, საქართველოში ცხოვრობდნენ. მუზეუმში შემონახულია ბაბოს ფოტოსურათი, მისი ძველი სათვალე, მეტი არაფერი... ყველაფერი დანარჩენი მე უნდა მოძებოვებინა „კოლექტიური ქვეცნობიერის“ სადრემებში, ფანტაზიებში, იმ ეკლესიაში, სადაც ის ყოველთვის დადიოდა, და მის მცნობთა ძალზე ცოტა მონათხრობში.

ბაბო „სასახლეში“ კი დაბინავეს, მაგრამ თავისი ცხოვრების ბოლო წლებში ფაქტიურად მოწყვეტილი იყო ნათესავეებსა და მეგობრებს: მასთან არავის უშვებდნენ. ვინ იცის როგორ აღესრულა ის? მამაჩემი დედამისის სანახავად მის გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე ჩავიდა და მაშინ დედამ თავისი უკანასკნელი დედური სიტყვა უთხრა. ვინ გაიგებს, რითი განარისხეს მოხუცი ქალი პარტიელმა ჩეკისტმა გუშაგებმა? რა მიზეზით განუძახა მან თავის ვაჟიშვილს მისი მიწიერი დიდებისადმი ასეთი სრული ზიზღი? ამ მოხუც ქალს ვერაფერი შეეცვლიდა, იგი ამ მთებივით, ამ ხრიკ მიწასა და კლდეებივით იყო.

და არავის უთქვამს ახმატოვანზე კარგად:

Это рысьи глаза твои, Азия,
 Что-то высмотрели во мне,
 Что-то выпразнили подспудное,
 И рожденное тишиной,
 И томительное, и трудное
 Как полдневный термезский зной.
 Словно вся прапамять в сознание
 Раскаленной ладой текла.
 Словно я свои же рыдания
 Из чужих ладоней пила.

მაგრამ აქვე, ამავე საქართველოში, ცოცხლობდა აჩრდილი ყველა ალილუმინისა, დაწყებული გერმანელი ბებიით და დამთავრებული ნახევრადბოშა პაპით, რომლებმაც ამ მზიურ მხარეში დედამიწის ყველა კუთხიდან თავიანთი წინაპრების აჩრდილები წამოიყვლეს. თუ პაპანკში ალილუმინი ცნობილი მეამბოხე იყო და მან თავის შვილებს სიმართლისა და სრულყოფისკენ სწრაფვა მოამადლა, არტისტიზმი, კარგი გემოვნება, სიმღერის, ცეკვის და მსახობობის უნარი, აგრეთვე წესრიგისკენ, ორგანიზებულიობისა და თვითდისციპლინისკენ ლტოლვა კი ბებიასგან დაჰყვათ. ალილუმინების მხრიდან ჩვენ არასოდეს გვსმენია საუბარი დაუკმაყოფილებელ ამბიციებზე ძალაუფლების წყურვილზე, არც სისხლიან ბრძოლებზე. საქართველოში ისინი — ყველანი — ტკბებოდნენ მისი დიდი სიყვარულით და ხელოვნებაში გამოვლენილი ოსტატობით, კარგად იცნობდნენ სანელებლიან სამხრეთულ სამზარეულოს. უყვარდათ მზე და სითბო, ამიტომ ბოლო წლებშიც მათი არდადეგები და შვებულება ყოველთვის შავი ზღვისკენ ლტოლვას ერწყმოდა.

მარია-მარგარიტა აიჭოლცი ვიურტემბერგის დაბა ვოლფროლდენიდან 1816 წელს გამოემართა კავკასიისკენ თავის ქორწინებისგარეშე შეილებთან ერთად. ვინ იცის, რა საიდუმლოება იმალებოდა ამაში? ვისი შვილები იყვნენ ისინი? რა სულიერი თვისებებია დაფარული იმ მოკლე ჩანაწერში, რომელიც აღმოაჩინა გერმანელმა ისტორიკოსმა კარლ შტუმპფმა და შემდეგ ჩემს ძველ მეგობარს, აწ განსვენებულ კლაუს

მენარტს აცნობა? დოქტორი მენარტი ათი წლის მანძილზე მიწვევდა პატარა სოფელ ვოლფროლდენში, მეც ვაპირებდი ვწვეოდი, მაგრამ ვაპირებდი დოქტორ მენარტის გარდაცვალებამდე. ის საუკუნის დასაწყისში დაიბადა მოსკოვში, „რუსი გერმანელების“ ოჯახში და მამამისმა იქ დააფუძნა შოკოლადის დიდი ქარხანა (ახლა ესაა ქარხანა „კრასნი ოქტაბრ“). 1914 წელს მენარტების ოჯახი გერმანიაში გაემგზავრა, იქ ხელისუფლების სათავეში ნაციონტების მისვლის შემდეგ კი პოლიტიკური ჟურნალისტი და ისტორიკოსი კლაუს მენარტი ამერიკაში გადასახლდა. ჩვენ ერთმანეთს შევხვდით 1967 წელს, როცა მან მოიწადინა შეემოწმებინა — არსებობს თუ არა ჩვენს ოჯახში ეს „გერმანული ხაზი“. მან მოგვიანებით აღიარა, რომ მთლად ვერ ირწმუნა ეს, როცა ჩემი „ოცი წერილი“ წაიკითხა. მაგრამ როცა მისი ინციტაციით კარლ შტუმპფმა მოიძია ჩანაწერი მარია მარგარიტა აიჭოლცზე, დოქტორი კლაუს მენარტი სამუდამოდ ჩემი ერთგული მეგობარი გახდა. ახლა უსახლვროდ ვნანობ, რომ არ ჩავედი გერმანიაში და არ შევეცადე მისი დახმარებით ამომეჩხრიკა ჩემი ეს ფეხები. გერმანული ენა ჩემი ბიძაშვილების, ძმების ალილუმინების ოჯახში ყოველთვის ჟღერდა და ძველი, კლასიკური გერმანიის, მისი კულტურისა და მუსიკის დაიწყოება შეუძლებელი მეჩვენება.

(აქ სვეტლანა ალილუმინა ლაპარაკობს თავის გერმანელ ბაბოზე და ამ ხაზით ნათესავებზე, რომლებიც საქართველოში ცხოვრობდნენ).

გაგრძელება შემდეგ ნომერში

რუსულიდან თარგმნა ჯუშუბა თითხიარია





გოგი ციციშვილი

გაუხინარებელი ისტორიის უპრეცედენტი

3 საპროვოლო დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის პროგრამა. ივანე ჯავახიშვილის დასი: საქართველოს დამოუკიდებელი, დემოკრატიული რესპუბლიკის პირობებში უნივერსიტეტის დამარცხებულთა და მოძღვართა თავისუფალ, შემოქმედებით მოღვაწეობას უდრეხად მძიმე ხანა დაერთო. შეწყდა ი. ჯავახიშვილის და მისი მეცნიერ-პედაგოგთა გუნდის მშვიდობიანი საუნივერსიტეტო და სახელმწიფოებრივი მოღვაწეობა. სოციალიზმისა და მშრომელთა ბედნიერების ღონისძიებით საბჭოთა ჯარების მიერ თბილისის ადებისათვის განხორციელებულ იერიშებს უნივერსიტეტის პარტიული ძალების წინააღმდეგობა მოჰყვა. დამოუკიდებელი კრების თავმჯდომარის, ალ. დოჭიათიძის მიმართავს ახალგაზრდობისადმი: „საქართველო განსაცდელშია და უნდა დავიცვათ..“ — აქტიურად დაუჭირა მხარი უნივერსიტეტის პროფესორამ და სტუდენტობამ. „ქართველსა გული რკინისა, აბჯარი თუნდა ხისა“ — უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა ი. ჯავახიშვილმა ამ სიტყვებით ვააცოცხლა ფრონტზე მრავალი სტუდენტი, რომელთაგან ნაწილი სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას შეეწირა.

როცა საქართველოს ოკუპაცია ეჭვს აღარ იწვევდა, უნივერსიტეტის დამარცხებულთა — ი. ჯავახიშვილი და ე. თაყაიშვილი რესპუბლიკიდან ეროვნული განძის დროებითი გატანის ინიციატორები გახდნენ. განძის გატანის იდეა (ა არგუმენტაცია ი. ჯავახიშვილს ეკუთვნოდა. მინივე ავტორიტეტით მოიპოვა ე. თაყაიშვილმა განძის საზღვარგარეთ გატანისათვის ეროვნული მთავრობის თავმჯდომარის ნ. ჟორდანიას მხარდაჭერა და მიიღო ეს დაჯავლება.

მას შემდეგ, ქართველ ბოლშევიკთა მეთაურობით საბჭოთა რუსეთის ჯარებმა საქართველოს ოკუპაცია რომ განახორციელეს, დამოუკიდებელი რესპუბლიკის დამფუძნებელმა კრებამ,

ქართველი ხალხის სახელით, რუს დამპყრობთა მეგზური ქართველი ბოლშევიკების ლიდერები სამშობლოს მოღალატეებად გამოაცხადა და სათავე დაუდო ქართველი ხალხის დაუმორჩილებლობას. ქართველი ინტელიგენცია სრულ სოლიდარობას უცხადებდა ეროვნულ ხელისუფლებას. საქართველოს ოკუპაცია-ანექსიას ეროვნული ინტელიგენციის საუკეთესო ნაწილის თავდადებული განმათავისუფლებელი ბრძოლა მოჰყვა... საქართველოში სამშობლოს დამოუკიდებლობა-განთავისუფლებისათვის ინტელიგენციის ბრძოლის უმნიშვნელოვანეს კერად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი გადაიქცა. მას სათავეში ედგნენ უნივერსიტეტის დამარცხებულნი და მოძღვარნი მისი რექტორის, ი. ჯავახიშვილის მეთაურობით. ისინი იმთავითვე მაგალითს აძლევდნენ უნივერსიტეტის თანამშრომლებს, ასპირანტებს, სტუდენტებს, შთაგონებდნენ და იღურად ასაზრდოებდნენ საუნივერსიტეტო ეროვნულ აზროვნებას და მოძრაობას.

საქართველოს ოკუპაციის პირველი დღეებისა და შემდგომდროინდელ საუნივერსიტეტო ცხოვრებას კარგად ახასიათებს რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის მდივნის მ. კახიანის მოხსენება საკ. კ(მ) ცენტრალური კომიტეტის საორგანიზაციო ბიუროს 1928 წლის 27 აგვისტოს სხდომაზე, რომელმაც განიხილა საკითხი „საქართველოს კომპარტიის მუშაობის შესახებ“; მ. კახიანმა აღნიშნა: „იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოში იყო უზარმაზარი კადრი თავადაზნაურული ინტელიგენციისა, ჩვენს წინაშე დადგა ამ ინტელიგენციის ბრძოლით მოპოვების ამოცანა. ადრე ინტელიგენციაში ლიფერენციაცია არ იყო, თითქმის მთელი ინტელიგენცია ჩვენს წინააღმდეგ იყო, ჩვენ გვთვლიდა მტრულ საოკუპაციო ძალად და ცდილობდა ვანედეგენეთ, იმედს ამყარებდა დასავლეთ-ევროპულ იმპერიალისტებზე. ეს იყო საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდგომ პირველი წლები“.



სუკის არქივის მასალებში ვკითხულობთ: „საქართველოს უნივერსიტეტში გასაბჭოების პირველი დღეებიდანვე ტონს აძლევდა ანტი-საბჭოთა პროფესურა. ანტიხაბჭოთა პროფესურის სათავეში იდგა უნივერსიტეტის რექტორი ი. ა. ჯავახიშვილი. იგი სარგებლობდა განუხაზღვრელი ავტორიტეტით უნივერსიტეტის სტუდენტებში... ასეთად რჩებოდა უნივერსიტეტი თითქმის 1928-1929 წლებამდე, რომელიც სოვეტიზაციით შეხებული იქნა მხოლოდ თავისი არსებობის ბოლოს 1929-30 წლებში, რის შემდეგაც იგი რეორგანიზებულ იქნა ინსტიტუტებად. ერთა ხიტყვიც, გასაბჭოების პირველი წლებში საქართველოს უნივერსიტეტი იყო სახელმწიფო სახელმწიფოთა და მეფედ იყო ი. ა. ჯავახიშვილი, რომელიც იდგა ანტიხაბჭოთა პროფესორის სათავეში...“

საქართველოს გასაბჭოების პირველსავე დღეებში მეფე პიროფესორთა საბჭოს ხელმა, ჩვეულებრივად, ეს იყო უაღრესად მრავალრიცხოვანი კრება, „მთელი პარლამენტი“. კრება ატარებდა განუყოფლად პოლიტიკურ ხასიათს: არ განსილვლა არც ერთი აკადემიური საკითხი. კრების საგანი იყო საქართველოში შექმნილი მდგომარეობა, მომხსენებელი — უნივერსიტეტის რექტორი ი. ჯავახიშვილი. მოხსენარი ფაქტა მან შეაფასა, როგორც ქართველი ხალხის ისტორიის უდიდესი ტრაგედია და განაცხადა, რომ უნივერსიტეტმა უნდა გააგრძელოს ბრძოლა ქართული კულტურის აღორძინების კერის შენარჩუნებისათვის... რექტორი თავაზობდა ბრძოლას უნივერსიტეტის ავტონომიის განუზრეული შენარჩუნებისათვის, რაც, ფაქტობრივად ნიშნავდა უნივერსიტეტის ისეთ ორგანიზაციად შენარჩუნებას, რომელსაც არ უნდა შეეხებოდა არაფერი, რაც უნივერსიტეტის კარგობას მიღმა ხდებოდა. რაკი მისდა, ამისობა იგი, რომ საქართველომ განიცადა ისეთი უმედურება, როგორცაა დამოუკიდებლობის დაკარგვა და ბოლშევიკების ხელისუფლებას დამოუკიდებლობის შენარჩუნებისათვის და არ დაეფუძკათ იქ ბოლშევიკთა ხელისუფლება.

დასასული ამოცანის მიღწევის საშუალებად მიიჩნევს პროფესორ-მასწავლებელთა შორის შეიპყრო სიმტკიცე და ერთიანობა, რათა არაფერს შეძლებს და არ გადაბარდვს ბოლშევიკთა მხარეზე. ამისათვის უნდა გამოყვეყნებინათ საშემცნიერო წოდებებისა და ჩარისხების არსებული სისტემა და, აგრეთვე, თანამდებობათა დაკავების წესი, რომლის მეშვეობითაც ყოველჯერად დაბრკოლება უნდა შექმნილი უნივერსიტეტში არასახსურველთა, ე. ი. ბოლშევიკური ელემენტების შეღწევა. თუ პროფესორ-მასწავლებელთა შორის არიან მერყევი ელემენტები, ისინი უნდა განიდევნონ უნივერსიტეტიდან, — აღნიშნა მომხსენებელმა.

ერთ-ერთ უმთავრეს საშუალებად მიიჩნევს სტუდენტებზე გავლენის შენარჩუნება. მომხსენებელს სწამდა, რომ თუ ეს სტუდენტობა დაინახავს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში პროფესურის ერთსულოვნებას, თავადაც არ დაუშვებს რაიმე ბოლშევიკური სტუდენტური ორგანიზაციების აღმოცენებას. ამრიგად, სო-ლიდარობა როგორც პროფესორთა შორის, ისე სტუდენტთა მასასთან იქნება დამოუკიდებელი უნივერსიტეტისათვის ერთობლივი ბრძოლის საფუძველი მანამდე, „ვიდრე არ შეიქმნება ხელსაყრელი საშინაო და სავარეო პირობები თვით საქართველომ დამოუკიდებლობის აღდგენისათვის.“

ივანე ჯავახიშვილის შესახებ სუკის არქივის მასალებში დაცულია ცნობები, რომლებზეც ამომწურავად გვიხსენებენ მის პოლიტიკურ მრწამსს. მათში ნათქვამია, რომ ჯერ კიდევ პეტერბურგის უნივერსიტეტში საქართველოს ისტორიის კურსის წაკითხვის პროცესში ი. ჯავახიშვილი საკუთარ თავს ეროვნული იდეოლოგიის აშკარა მატარებლად ამჟღავნებდა. მისი ლექციები ქართველ სტუდენტობაში ზრდიდნენ ეროვნულ ხელისუფლებას. საქართველომ დაბრუნების შემდეგ მისმა ეროვნულმა შესუდკლებებმა კულტივირებისათვის გამოიყენებული ნიადაგი ჰყოფა. ეს განსაკუთრებით საქართველოს ბატონობის პერიოდში გამოვიდა. იგი მტრულად შეხვდა საქართველოს განსაკუთრებას. ივანე ჯავახიშვილმა იმთავითვე თავის გარშემო შემოიკრიბა ქართველი ინტელიგენციის ეროვნულად განწყობილი ნაწილი და დაუნდობელი ბრძოლა გაუშართა საბჭოთა სკლიუფლებას.

სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორად არჩევის შემდეგ ი. ჯავახიშვილი მთელ თავის სამეცნიერო-აკადემიურ საქმიანობაში განუზრეულად ატარებდა ეროვნულ იდეებსა და ტენდენციებს. მთელი ეროვნულად განწყობილი ქართველი ინტელიგენცია ი. ჯავახიშვილს თვლიდა და სთვლის საკუთარ ბელადს და სულსამდგმელებს.

ამგვარ პოლიტიკურ შეხედულებებს ადასტურებენ ი. ჯავახიშვილის აქტიური თანამებრძოლები და აღზრდილები. ერთ-ერთი მათგანი უწყებებდა: „...მე იმთავითვე მივემსრუე მენარჯუნე ანტიხაბჭოთა პროფესორს. ვიკავებდი რა უნივერსიტეტში თვალსაჩინო მდგომარეობას, გაუხდი ანტიხაბჭოთა პროფესურის გამოჩენილი წევრი...“

ჩვენ ვაპირებ დაწესრე აღღრთოვანებით შეხედვით ამ პირობებს და იგი მიწოდებულ იქნა ჩვენს მაერ. ამავე ფაქტით ქართველ უნივერსიტეტში სათავე დაეღო პროფესორის კონტრავოლუციურ ორგანიზაციას.

ეჭვარეშა მთელი ამ საქმის მთავე და სულის ჩამღმევი იყო ი. ა. ჯავახიშვილი, რო-

მედიც კოლოსალური ავტორიტეტით სარგებლობდა როგორც უნივერსიტეტის კედლებში, ისე ამ კედლებს გარეთ, ხოლო ჩვენ, დანარჩენები, ჩვენი ზეადრითწონის და მღვობარების მიხედვით ვიყავით მისი შეტ-ნაკლებად უახლოესი მოძღვრები ანტიხაბჭოთა, კონტრრევოლუციურ საქმეში“.

შ. სეკუმიძე იკონებდა: „მე პირადად ძალიან აძლოს ვიყიე ი. ა. ჯავახიშვილთან, ვსარგებლობდი გაცემით პროფესოთა შორის. მთელი რიგი წლების განმავლობაში ფარული, ძველი თავადხანურული არჩევნების ორმავე სისტემით ორივე განმეორებით ვიქეხით არჩეულან უნივერსიტეტის ხელმძღვანელად. წვენთან იყვებნ სხვა პროექტორები, ლეკანები და ა. შ., რომლებიც ამ დროისათვის თავიანთ აკადემიურ ფუნქციებსან ერთად გახდნენ პოლიტიკური ფუნქციის მატარებლებიც. უნივერსიტეტის მმართველობა 1926 წლამდე ორი პროექტორის... და ფაკულტეტების ლეკანებისაგან შემდგარი იყო ფაქტურით და პოლიტიკური ორგანიზაციით, რომელიც ცხოვრებაში განუხრულად ატარებდა 1921 წელს რეპტორის სიტყვაში დასახული ანტიხაბჭოთა მიქმედების პროგრამას“.

უნივერსიტეტის პროფესორმა გრიგოლ ფილიპონის მე წერეთელმა სასმართლო პროცესზე 1939 წლის 31 მარტს პრალდების განცხადებით პროცედურის შემდეგ განაცხადა, რომ „თავს ამინაშეველ სენობს“. სასმართლო პროცესზე მას არავითარი პროტესტი არ განუცხადებია და აღიარა: „კონტრრევოლუციურ ორგანიზაციაში მე მართლაც შევიდიოდი და მისგან დავაღებულე შიონია სტუდენტობაში კონტრრევოლუციური წყობის დამყარების გაცარება. ამ დავალებას მე აღსრულედი“.

პროფესორი სიმონ ფაუნსიშვილი აღიარებდა: „საბჭოეთში საბჭოთა ბელისუფლებას და მატარებს მე ემხროებოდა, რომ შეგებოდა მტროვდა. მე ვთვლიდი, რომ საბჭოეთის რანსპროვანში მისხვა არახსებოდა, რომელიც თვითონ შიონიაში მის პოლიტიკურ და კულტურულ პოლიტიკურ მხარეს“.

ჩემთვის საკმაოდ ნათელი იყო, რომ აქთხალი თათხსხრისის ემხრობა თბილისის უნივერსიტეტის ნაციონალისტურად განწყობილი პროფესორნი“.

სუკის არქივის მასალაში მოიკაშვოდა ერთი უნივერსიტეტის მოაბ პროფესორ-მასწავლებლობა კონტინენტის განსახლების იტობიც ერთი ორი უნივერსიტეტი ვითხსულობთ: „მომაროენე ანტიხაბჭოთა პროფესორნი“ თათმოთალი ით თბილისის სახლობისთ უნივერსიტეტში, რომდენდაი მამინ ერთი უმადლები სასწავლებელი თორქციონირებდა თა შამდომში ყველა მისგან გამოყოფილი ინსტიტუტს მოიყავდა. ამ კონტრრევოლუციური დაჯუფების ბირთვის

შეადგენდა თითქმის ყველა პროფესორი, რომლებმაც აღფრთოვანებით მიიღეს ი. ა. ჯავახიშვილის მიერ შეთავაზებული მოქმედების პროგრამა. პოლიტიკურად ეს იყო საკმაოდ მრავალრიცხოვანი ჰუბლიკა. აქ იყვნენ ერთიანი დემოკრატებიც და ფედერალისტებიც და სხვ. დროთა განმავლობაში ერთნი თამაშობდნენ აქტიურ, მეორენი შედარებით პასიურ როლს. ყველაზე მეტარჯვენე ფრთას წარმოადგენდნენ ი. ა. ჯავახიშვილი, ვრ. ფ. წერეთელი, ა. პ. ალადაშვილი, ვრ. მუსხაძე, კონსტ. შოდეშაძე, ვ. ჩუბინაშვილი, კონსტ. ამირაჯიანი (იხიხიერი), ამარაჯიანი (ბაკური), იოვ. ქუთათელაძე და სხვ. შედარებით მეტარჯვენე დაჯუფება იყო — ვ. ანუკუელიანი, დ. უზნაძე, აბაკელიანი, მიქელაძე, კ. კეკელიძე, იოსელიანი, ნანეიშვილი, შ. ნუცუბაძე და სხვ.

იყო განსაკუთრებული ჯგუფი — ი. ჯავახიშვილის გარემოცვა. ესენი იყვნენ განსაკუთრებით მეტარჯვენე ელემენტები — ხ. ფაუნსიშვილი, ჩიქობავა, ბერუქიშვილი, ვოხალიშვილი, მუსხელიშვილი და სხვ. ესენი იყვნენ ახალგაზრდები, რომლებიც დროთა განმავლობაში პროფესორების გახდნენ. ამელებიდან მათთან დაახლოებულნი იყვნენ ჩუბინაშვილი, ახალგაზრდობიან მათთან დაჯემინირებული იყვნენ... ხ. ჯანაშია, ხ. ცუქნაშვილი.

ეს შინაგანი დაჯემინირები, რომელიც თავს იჩენდა სხვადასხვა საკონსების განხილვის დროს მცირე პირთა განსხვავებაში, არ ქმნიდნენ განსხვავებულ ხელმძღვანელი ჯგუფისაგან — მე მოვლიანად ვიზიარებდი შემარჯვენე, ანტიხაბჭოთა პროფესორის შეხედულებებს, მაგრამ მიმართა, რომ არ იყო სასურველი აშკარა ბრძოლა საბჭოთა ბელისუფლების წინააღმდეგ, რომ წინა საბჭოთა და სადაი საბჭოთა მარქსისტთათვის პოლიტიკურტარტაქსის ასეთი შემთხვევებში მე მხარს მივიტოვებდი. კ. კეკელიძე, აქ მთავროვებდა ი. ა. ჯავახიშვილი მცირე წინააღმდეგით იყო, როცა 1939 წელს ხ. თორქციონიკი ამომიბისა ტელეფონზე და სტუდენტთა შეკრება შემომავტარა, რომელზედაც იგი ამარბდა ეამოსტოვდა. არავითარცა იერეთელა არ მიგვიღო ეს წინადადება. ი. ა. ჯავახიშვილიც არ მოვიდა იქნისი თმშობა, მაგრამ შეკრება მე მამე მელიწვიო. ხ. თორქციონიკი მოვიდა და ეამოვიდა სტუდენტთა წინაშე“.

მოტანილი დოკუმენტები თვალნათლივ წარმოჩენენ უნივერსიტეტის ეროვნულ ნიდავზე მდგარი პროფესორ-მასწავლებლების პოზიციას და შემაღვენლობას. სუკის არქივის სხვა დოკუმენტში აღნიშნული შემაღვენლობა მნიშვნელოვნად ფართოვებდა. ნდება ახალი გვარები, ახალი პიროვნებები; პროფესორობი; რაფხე ბუციშვილი, ნიკო ქოთავა, ალექსანდრე ნაიორაძე, ვუკოლ ბერიძე, მიხეილ შალამბერიძე, მიხეილ ზანდუკელი, ლევან გოციელი, გიორგი ჯავახი-

შვილი, იასონ მოესწვილი; უნივერსიტეტის დოცენტები; სიმონ ვანანაძე, გიორგი გამყრელიძე, ირაკლი ტატიშვილი და მრავალი სხვა. სრული საფუძველი არსებობს ითქვას, რომ ეს იყო სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ მებრძოლი არალეგალური იღურთა ორგანიზაცია - ივანე ჯავახიშვილის დასი. არქივის მასალებში მოცემულია ორგანიზაციის ზოგი წევრის პოლიტიკური დახასიათება. უნივერსიტეტის ე. წ. „ანტი-საბჭოთა კონტრრევოლუციური ორგანიზაციაში“, სუკის გაანგარიშებით, 1938 წ. საერო ჯაშში 150-ზე მეტი პიროვნება ერთიანდებოდა. ექვევარეშეა, რომ სუკის დასკვნები ყოველთვის სწორად არ ახსავენ რეალურ სინამდვილეს. 30-იანი წლების ბოლოს უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა შორის გაჩნდნენ იღურად მერყევის, ზოგი სპორთად გადავიდა საბჭოთა ხელისუფლების პარტიფორმაზე, ზოგიც საბჭოთა ხელისუფლებასთან იძულებით თანამშრომლობის გზას დაადა, მაგრამ ერთი რამ ცხადია: უნივერსიტეტის დამარსებლებთან ერთად, სწორედ ზემოთ აღნიშნული და 20-30-იან წლებში მოღვაწე, ჩვენს მიერ კვლევის პროცესში წარმარჩენილი პიროვნებები წარმოადგინდნენ „ანტიკომუნისტურ“, „ანტი-საბჭოთა“, ეროვნულ პოზიციაზე მდგარ „ემმარჯუნე“ პროფესორ-მასწავლებელთა ძირითად კონტინენტს.

საოკუპაციო რეჟიმის პირველ წლებში უნივერსიტეტში შექმნილი კლიმატს ასე ახასიათებს არჩონი კორესპონდენტის ის წერილიც, რომელიც გამიზნული იყო სახლდარარეთ ემიგრანტულ ცენტრში გადასაცემად, მაგრამ მეკავშირე, არტამონ კიკაძე საზღვრის ვალაახეიას მოკლე, წერილი ეს სუკში აომინდა: „1925 წლამდე ჩვენი უნივერსიტეტი შთარებით რამოუიდაოლი იყო. იქ მოეობდა ჩვენი ცნობილი მეცნიერი-მოღვაწე პროფესორი ივანე ჯავახიშვილი“.

როგორც ვხედავთ, მოტანილი წყაროები მკაფიოდ ახსავენ და ადასტურებენ უნივერსიტეტის დამარსებელთა ხელმძღვანელების, უნივერსიტეტის რექტორის ი. ჯავახიშვილისა და მეფილი პროფესორის პოლიტიკურ მრწამსს, მათ პრორამულ და ტაქტიკურ შეხედულებებს. აღნიშნული მასალა უკვე ამოათვთვ იძლევა სათანადო განზოგადების საშუალებას, მაგრამ ჩვენთვის ცნობილია ისიც, რომ მკითხველთა ერთ ნაწილში სუკის არქივის დოკუმენტების მიმართ არსებობს ადატარებული ექვი. ზოგ უმარტებულად მიანნია, რომ ყველაფერი თავიდან ბოლომდე სუკის მუშაკების მიერ არის მიზნობრივად შექმნილი. ამას აარდა, „ორგანიზაცია“ და „პროგრამა“ საერთო გაგებით გულისხმობს სათანადო დოკუმენტაციას. როგორც

მინიშნები - უნდა არსებობდეს სათანადო წესდება, საოქმო ჩანაწერები და ა. შ., ასეთი დოკუმენტაციისათვის კი ჩვენ ჯერჯერობით არ მიგვიკვლევია. ჩვენი აზრით, მოკვლევა არც მოხერხდება, რადგან საქმე გვაქვს იღურინტელექტუალურ, ანუ მსოფლმხედველობრივ ერთიანობასთან და არა ორგანიზაციულ-პროგრამულ და ტაქტიკურ შეხედულებათა ამასველ კონკრეტულ დოკუმენტაციასთან. შესაძლებელი იქვას, რომ ეს არის სამშობლოს თავისუფლების ხელყოფის გამო საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ-შეოქმელთა დასი, რომელსაც სათავეში უღვას ივანე ჯავახიშვილი და რომელიც მიზნად ისახავს საკუთარ უბანზე აწარმოოს ბრძოლა იმისათვის, რომ უნივერსიტეტი შეინარჩუნოს, როგორც ბოლშევიზმის წინააღმდეგ სამშობლოს განთავისუფლებისათვის ბრძოლის საშუალება. ჩვენი ვერსიის სისწორეში გვარწმუნებს კონკრეტული კვლევის მოეილ შემდგომი მსვლელება. ამას ადასტურებს ი. ჯავახიშვილისა და უნივერსიტეტის ძველი პროფესორის მიერ შემდგომ წლებში განხორციელებული საკარო პოლიტიკა, უნივერსიტეტის ეროვნული ხელისკვეთების შეინარჩუნებისათვის ბრძოლა, სახლდვარკრეთული კავშირ-ურთიერთობების აგებისათვის ზრუნვა და მიზნის შესაბამისი თავდადებული მოღვაწეობა.

იმისათვის, რომ კიდევ უფრო გაეამაროთ ჩვენი თვალსაზრისი საქართველოს ოკუპაციის პირობებში ი. ჯავახიშვილის და უნივერსიტეტის მომდვართა პოლიტიკური მოღვაწეობის შესახებ, საჭიროდ მიგჩანია, მოვიტანოთ კიდევ ორი დამტკებითი წყარო, ამჯრად უკვე უნივერსიტეტის პარტიული ორგანიზაციის დოკუმენტებიდან.

უნივერსიტეტის პარტუჯრედის 1924 წლის 22 თებერვლის სხდომაზე კომუნისტური გაბედულობით და გულწრფელობით იქნა გაცხადებული: „ამხანაგებო, თქვენ იცით რა მღვომარეობა იყო 1921 და 1922 წლის დამღვლა. ამღენი კონტრრევოლუციონერების წინააღმდეგ როგორი ბრძოლა იყო საჭირო. უჯრედი იძულებული იყო უკან დაეხია“. როგორც აქვე აღინიშნა, 1921-1922 წლებში „უნივერსიტეტში ხელმძღვანელ პარტიულ მუშაკთა მოხსენების გაკეთება არ შეიძლებოდა“.

1927 წლის 2 დეკემბრის უნივერსიტეტის კომუჯრედის გაერთიანებულ სხდომაზე მომხსენებელმა აღინიშნა, რომ „ედაგოგიური პერსონალის უპარტიო შემადგენლობა, ზოგიერთთა გამოკლებით, ქმნის ანტი-საბჭოთა და ანტიმარქსისტულ განწყობილებას, მსგავსივე მღვომარეობა უპარტიო სტუდენტთა საკმაო რაოდენობას შორის... თუ გადავხედავთ უნივერსიტეტში მომუშავეთა პოლიტიკურ შემადგენლობას, დავი-



ნახავთ, რომ დიდი პროცენტია თავმოყრილი ყოფილი თავადებისა და არისტოკრატიული ოჯახებიდან გამოსულ ელემენტებისაგან“.

კამათში გამოხუდებმა აღნიშნეს: „პედაგოგიურ პერსონალში ჯერ კიდევ ძლიერია ანტიმარქსისტული განწყობილება, თვით ის პროფესორები და ლექტორებიც არ არიან სანდო, რომლებიც თითქოს ჩვენთან გადმოვიდნენ და სამსახურთა პლატფორმაზე დადგნენ, რის გამო საჭიროა მათთან იდეური ბრძოლის გაძლიერება და თანდათანობით პედაგოგიური შემადგენლობის კომუნისტური ელემენტებით გაძლიერება. არანაკლებ საჭიროა ბრძოლის წარმოება უპარტიო სტუდენტთა შორისაც, რომელთა საკმაო რიცხვი ჯერ კიდევ ძველ გზას ადგია და მენშევიკების და სხვა ანტისამშობო პარტიების გავლენას განიცდის, რის გამო საჭიროა შიშვალში უფრო მტივიცე პოლიტიკური ხაზის აღება, სემინარებში და სხვა ადგილებზე იდეური ბრძოლის გატენილება, მათ ამათ დავალებს ყველა მოვინაობდეთავე ჯგუფები და შემოვიკრიბოთ ჩვენს გარშემო“.

მკითხველისათვის ადვილი დასახსნია, რომ ხელმძღვანელი და ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციებისა და სახელმწიფო უშიშროების ორგანოების დოკუმენტების ცნობებით ერთმანეთს არამცოტე ეწინააღმდეგება, არამედ ახახავს ერთსა და იმავე მდგომარეობას — „ფარაჯი“ ერთმანეთს: ისინი აღასტურებენ, რომ უნივერსიტეტის პროფესორამ, ი. ჯავახიშვილი მეთაურობით, არ მიიღო სამშობლოს დამოუკიდებლობის ხელშეწყობა საბჭოთა ხელიწუფლება და შეხადლო მეთოდებით და ფორმებით ბრძოლა გაუმართა მას. საქართველოს დამოუკიდებლობისათვის უნივერსიტეტის დამარსებელია ბრძოლა ეყრდნობოდა არალეგალურ ინტელექტუალურ საქმიანობას, რომელსაც ეააჩნია მყარი იდეური ერთობა, მკაფიოთ გამოხატული სტრატეგია და ტაქტიკა.

ლაპურტაობის კანდიდატი ი. ჯავახიშვილი საქართველოს უმაღლესი საბჭოს 1938 წლის არჩევნებისას სივრცეში უზოპოს ენაზე ამბობოდა: „... თუ ჩემს მოთაწარმოებს. განსაკუთრობით საუნივერსიტეტო მოთაწარმოებს, უფო ხაქართველოში, მართლაც ნალოთიერი შიდად მოჰყვა, ეს აიხსნება მარტო ჩემი მუშაობით კი არა, არამედ იმითაც, რომ მე ბედნიერი ვიყავი, რომ გერდს მიმშეგებდნენ საუკეთესო მუშაკები, საუკეთესო სულისკეთებით გამსჭვალული. ერთი ნებისყოფით შეკავშირებული ადამიანები“. ვინ იყვნენ ისინი?

ლოციალური იდიოლოგიით, ეს იყო ე. წ. „მემარჯვენე“... „ანტიმარქსისტული“, „ნაციონალისტური“... პროფესორა. ფაქტობრივად კი იგი წარმოადგენდა საქართველოს დამოუკიდებელი, თავისუფალი, თვით-

მყოფადი არსებობა-განვითარებით დაინტერესებულ, ინტელექტუალური მეთოდებით მებრძოლ პოლიტიკურ ჯგუფს, რომელიც თავაპოდებით იცავდა დამოუკიდებელი საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის ტრადიციას. საოკუპაციო რეჟიმის პირობებში ეს იყო პოლიტიკური დახი, რომელსაც ხელმძღვანელობდა უნივერსიტეტის დამარსებელი პატრიოტ ქართველი მეცნიერ-პედაგოგთა ჯგუფის მეთაური ი. ჯავახიშვილი. ი. ჯავახიშვილის დასს შემუშავებული ჰქონდა სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის პროგრამა, სტრატეგია და ტაქტიკა, რომელიც ეფუძნებოდა დახის წევრთა პოლიტიკურ მრწამსსა და ი. ჯავახიშვილის მიერ დასახულ ამოცანებს.

4. ი. ჯავახიშვილის დახის საკადრო პოლიტიკა: უნივერსიტეტის საკადრო პოლიტიკას საფუძველი ჯერ კიდევ საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე ჩაყარა. მას ძირითად პრინციპებად დაეთო უნივერსიტეტის დამარსებების მაღალი მოქალაქეობრივი ღირსებები, ზნეობრივი ნორმები, ეროვნული მსოფლმხედველობა და მათ მიერ უნივერსიტეტისათვის დასახული ამოცანები. ეს პრინციპები ფორმულირებულია უნივერსიტეტის წესდებადებულებაში და მისი დამარსებლების მიერ შექმნილ სხვა დოკუმენტებში. უნივერსიტეტის დამარსებელთა საკადრო პოლიტიკას მნიშვნელოვნად განსაზღვრავდა მათი მეთაურის, ი. ჯავახიშვილის პირადი შეხედულებები. ეს პოლიტიკა ითვალისწინებდა საპროფესოროდ, ლექციების წასაკითხად და სამეცნიერო მუშაობისათვის მოსაწვევ მოძღვართა არა მარტო წარსულ მეცნიერულ-პედაგოგიურ დამასხურებას, არამედ მათ მოქალაქეობრივ ზნეობას. ეროვნულ სულიკვეთებასა და ერის ინტერესებისათვის გაღვივებ დაწვლს. იგივე მოქალაქეობრივ ეროვნული მოთხოვნებიც და სათანადო პოტენციური უნარის გათვალისწინებით ხდებოდა „საპროფესოროდ მოსამსახდებლად“ დასატოვებულთა შერჩევა.

საოკუპაციო პერიოდის უნივერსიტეტის საკადრო პოლიტიკას, ძველ, ტრადიციულ მოთხოვნებთან ერთად, საფუძვლად დაეთო, არეთეი ი. ჯავახიშვილის მიერ საბჭოთა ხელისუფლებს პირველსავე დღებში ჩამოთალიბებული „საერთო მოქმედების პროგრამის“ მოთხოვნები: უნივერსიტეტისათვის არასასურველთა, ე. ი. ბოლშევიკების წინააღმდეგ მებრძოლთა „შინა-ანი სიმტკიცე“, „ერთიანობა“, „პროფესორთა შორის ხოლიდარობა და სტუდენტთა მასსთან ერთიანობა“, შემოკრება ქართული ინტელიენციის ეროვნულად განწყობილი ნაწილისა და რაფორმობის ბრძოლის აპარათის სახითა. ხელისუფლობასთან. ისინი აისხრობდნენ ანტიკომუნისტური ძალების კონსოლიდაციას, ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის პროგ-



19 პიროვნებიდან მხოლოდ 11 მიიღეს, დანარჩენებს უარი ეთქვათ იმ მიზეზით, ვითომ „უჯრედმა არ იცის“ მათი „ვინაობა“. ასეთები იყვნენ მიხეილ ახმეტელი, ნიკოლოზ (ნიკო) ბერძენიშვილი, დარია ბერეჟიანი, ვიორგი ვამერელიძე, ალექსანდრე ნამორაძე, ნიკოლოზ ხომეზურაშვილი, ანდრია ხუბუტია, ვახტანგ კოტეტიშვილი. აქ მეტი სინაილე შუაქვეს 21 აპრილის დადგენილებას, რამდენადაც მასში ჩაწერილია: „ბოუროს ა) შეუძლებლად მიაჩნია მოქალაქე ბერძენიშვილის, გოკიელი ფაქვანის და ბერეჟიანი დარიახ დატოვება უნივერსიტეტში, როგორც ანტიხალკოთა ელემენტებისა“, რექტორ ერქოიანიშვილს დაევალა „ფაქტმან გოკიელის უნივერსიტეტიდან მოსხნის საკითხის მოგარება...“ შლვა ცინცაძეზე ჩაწერილია: „დატოვებულ იქნას მხოლოდ ერთი წლის განმავლობაში. არ იქნეს გავზავნილი სახლვარგარეთ“, აქვე ვკითხულობთ: „ელაიშვილი ლონტის დატოვების საკითხის გარკვევა დაევალოს სოწია სულაქველიძეს“. როგორც ჩანს, სათანადო „გამოკვლევითი სამუშაოა“ ჩატარებული საეჭვო პირების ვინაობის ამოსარკვევად. ჩვეულებრივად, ამ საქმეს უნივერსიტეტში სპეციალურად ორგანიზებული „საილუმინაციო განყოფილება“ ემსახურებოდა, რომელიც სახელმწიფო უშიშროების საუნივერსიტეტო სტრუქტურას წარმოადგენდა. ეროვნული აკადემიის „შესწავლის“ მიზნით გამოიყენებოდა უნივერსიტეტის ჯამბუჯური ქსელიც. მათ შორის შინაგანობის აგენტები: „ნერონი“, „მოსკვა“, „მიხაილოვიკი“ და სხვები. პარტიის საკადრო პოლიტიკის განხორციელებას უშორნილებდნენ „ამხანაგებსაც“, რომელთაც ევალებოდათ „თვალ-ყურის დევნება“. ასეთ ვითარებაში უნივერსიტეტის კომუჯრედის 1928 წლის 16 მაისის სხდომამ „დაზუსტების“ საფუძველზე „დაადინა: ასპირანტებიდან პოლიტიკური და აკადემიური მფარველების მიხეზით (?! — ა. ი.) მოსხნილი იქნან შემდეგი პირები: 1. ბერძენიშვილი ნიკოლოზ; 2. ბერეჟიანი დარია; 3. მიხაილ აკაკი; 4. მუსხელიშვილი ლევან; 5. ტყეაძე მიხეილ. ღიად დარჩეს: 1. კოტეტიშვილი ვახტანგ; 2. ჩიტიათა გიორგი...“ აღნიშნული ფორმულირებები და საერთო მფარველობა მრავალმხრივ დაამოფიქრობდა. ჯერ ერთი — მოსხენიებული ასპირანტები შემდგომში კალაქ უნივერსიტეტში არიან, რაც შეუძლებელი იქნებოდა. მათთვის სათანადო მხარდაჭერა რომ არ აღმოაჩინათ: ეს მხარდაჭერა ან მათ აკადემიურად, „ემიგრაციის“ ანტირესპუბლიკური პოლიტიკა. მეორე — აღნიშნულ პირთა დიდი უმრავლესობა ყოფილი ანტიბოლშევიკური პარტიის წევრები, ი. ჯავახიშვილის დახსნის წევ-

რთა მიერ წარდგენილები და აღზრდილები, რაც, აგრეთვე, ცხადყოფს მათ საერთო პოზიციას. მესამე — ნ. ბერძენიშვილი, ლ. მუსხელიშვილი, ვ. კოტეტიშვილი, გ. ჩიტია — ყოფილი ანტიბოლშევიკური პარტიის წევრები, ცნობილი ეროვნული მდივანუკები და ის დიდი მეცნიერ-პედაგოგები იყვნენ, რომელნიც თავიანთი განსაკუთრებული უნარით მაშინვე გამოირჩეოდნენ, ლოგიკურად შემდგომში დიდ მეცნიერულ წარმატებებს მიაღწერიდნენ და მათ მიმართ ბრალდებად „აკადემიური მიხეზის“ მიხადაება იმის მანვენებელია თუ ვინ მონაწილეობდა მათ კვლიდებიერებაში, პარტიის „ხაკალრო“ პოლიტიკის გატარებაში და რა მიზანს ემსახურებოდა ასეთი „პოლიტიკა“. ერთი რამ უდავოა, ისინი პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების მიმართ ისეთივე „ანტი“ იყვნენ, როგორც მათი მასწავლებლები, მაგრამ, ამავე დროს, ისიც ნათელია, რომ პარტიული ხელმძღვანელობა, რომელიც მართავდა უნივერსიტეტის პარტიულ ორგანიზაციას და სათანადო ტრენინგებს, მარტო „უნაირს“ როლი ამტკიცებდა, არამედ იმათაც ხსტიკად ებრძოდა, ვის რაშვეც იყვნენ ისინი ამხედრებულნი.

თავდაპირველად, საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში, კომუნისტური პარტია „ობიექტური პირობების“ გამო ი. ჯავახიშვილის ანტიხალკოთა შემოქმედებას და მის საკადრო პოლიტიკას ვერაფერს აკლებდა. უნივერსიტეტი შეუვლობას ინარჩუნებდა და სოციალისტურ სახელმწიფოში დამოუკიდებელ ეროვნულ სახელმწიფოდ რჩებოდა, რომელშიც „მეფედ“ „პრეზიდენტად“ ი. ჯავახიშვილი იყო. მის გარშემო კი შემოკრებილია ეროვნულ პოზიციასზე მდგარი უნივერსიტეტის თითქმის მთელი ძველი პროფესურა, რომელთა იღვურ ეაღვინახ განიცდიდა, აგრეთვე, ეროვნულად განწყობილი სტუდენტობა და კრიტიკული აზროვნების პარტიული ახალავლობა. ამიტომ იყო, რომ 1923 წლამდე უნივერსიტეტში ხელმძღვანელი პარტიული მუშაკები მისხლასაც ვერ ბოდავდნენ. მსიაკი პოზიციები ევაათ რექტორობიდან ი. ჯავახიშვილის განთავისუფლებამდე. ათის ეამო საყურადღებო ჩნობებს აჯანვლის სუკის არტივის დოკუმენტი „უნივერსიტეტის შესახებ“, არითავე ეს და, სხვა ზემოთ აღნიშნული დოკუმენტებიც ძირითადად ითიებს იმეორებინ, მაგრამ ანსაკუთრობით საინტერესოა. რომ მათში მოცემულ ინთრომეაქია „უნივერსიტეტის პარტიული ორგანიზაციის მახალბეში შმაქალი სათანადო წყაროებიც მთლიანად „ფარავენ“ და ამარაბენ. ასე მთავალითად: უნივერსიტეტის კომუჯრედის 1924 წლის 22 თებერლის სხდომასზე კომუნისტები აღნიშნავენ, რომ სასწავლებელში უმრავი

„კონტრეკოლუციონერია თავმოყრილი“. „1921 და 1922 წლებში გამოხვდა და მოხსენების გაკეთება არ შეიძლებოდა“. 1926 წლის 19 ივლისს უნივერსიტეტის კომპარტიის და კომკავშირის სპეციალურ გაერთიანებულ სხდომაზე, მომავალ საუნივერსიტეტო რეფორმებთან დაკავშირებით ლ. ქარველიშვილი აღნიშნავდა: „პარტიის ცენტრალურ კომიტეტს უფრო ადრე ქონდა დასახული მიზნად უნივერსიტეტის რეორგანიზაცია საბჭოთა ხელისუფლების პირობებთან შეფარდებით, მაგრამ ამაში ხელს უშლიდა ობიექტური პირობები“. იგი არ ხსნის ფრჩხილებს, მაგრამ ამას აკეთებენ კრებაზე გამოსული კომუნისტები: „უჯრედის ბიუროს, იხე უჯრედის კადრებს ხისტემატურად გამოპქონდათ დაღვენილებები უნივერსიტეტის გადახალისებისათვის, მაგრამ ეს თუ დღემდე ვერ შეასრულა ჩვენი პარტიის უმაღლესმა ორგანოებმა, ეს არ იყო არც ჩვენი უჯრედის და არც ცენტრალური კომიტეტის ბრალი. ეს იყო ბრალი იმ რთული პირობების, რომელიც იყო დღემდის ჩვენს გარშემო“. როგორც წყაროდან ჩანს, უნივერსიტეტის რეფორმის და საკადრო პოლიტიკის შეუვალობა აიხსნება საერთო სიტუაციით, ანუ „ობიექტური პირობებით“. ეს იყო „პროფესორთა შროის სოლიდარობა და სტრუქტურთა მასხათად ერთიანობა“, რომელიც მიღწეული იქნა ი. ჯავახიშვილის საბრძოლო პროგრამის მოთხოვნების „პროფესორ-მასწავლებლობა მასაში შინაური სიბრჯიციის თა ერთიანობის შიქმის“ ცხოვრებაში გაუხრვლად ატარების შოაოათ.

უნივერსიტეტში ი. ჯავახიშვილის დასის შეუვალობის ადასტურებენ სხვა პარტული დოკუმენტებიც. სუკის იმ დოკუმენტში, რომელშიც საუბარია ი. ჯავახიშვილის „ანტიკაპიტოთა ბრძოლის პროგრამის“ შესახებ. ნათქააო, რომ უნივერსიტეტი 1929-30 წლებში და ინსტიტუტებად რეორგანიზაციის დროს სოფრტიზაციით მხოლოდ „შეხებული იქნა“; მორა: უნივერსიტეტი პარტიული ორგანიზაციის 1935 წლის 7 იანვრის კრების ზტონიარდიული ანარიში. ორთოდოქსი და რადიკალი კომუნისტების ნათქააგები ნათლად ადასტურებენ, რომ ინთერსიტეტში იმ ოროსაჲ იო ჰრბაო „არსებობს ობოზიციურად ააწყობილი „ინტელიჯენცია“, „ძალი პროფესორის იოთლოლია სრულიად სხვა არის“, იიდრა მარქსისტული, ლაქიბის დროს „ძელი პროფესორიბი არ აშუქებენ საითებებს მარქსისტულად“. „იიდაგ მთლი რიი ზაოხი, რომლიბი ოორაჲლოურად აკარაკოინა“. „ძელი პროფესორიბი ცდლობენ თავის იფილოლია შინარწუნონა“. „პარტიის იდეოლოგიასთან არავითარი აკუშირი არა აქეთ“, ამ „პროფესურაში აკვავხ ნამდვილი, აშკარა მემარჯვენები“, „ნაციონ-

ნალისტები“, რომლებიც ცდილობენ ძველ კულტურის ძეგლები გამოიყონ ნაციონალური ისტორიის ძეგლებად“, „ბოლშევიკური ფორნიტ შეიწყვილია“, „ვევდა ფაკულტეტზე არის დამახინჯებები იდეოლოგიაში, განსაკუთრებით სტუდენტობაში“.

კრებაზე ანტიმარქსისტული აზროვნებისათვის გააკრიტიკეს შ. ნუცუბიძე, ს. დანელია, მ. გოგებრიძე, ჩახვაძე, გ. ქიქოძე, ვაჩიშვილი, ნანეიშვილი, ე. ტატიშვილი, გ. ჯავახიშვილი. ნაციონალისტური განწყობილების გამომხატველებად გამოაცხადეს: ვ. კოტეტიშვილი და ა. შანიძე, გადაწყვიტნენ ი. ჯავახიშვილს ციოქვა, რომ „ი. ჯავახიშვილი არის პოლიტიკური ფიგურა ან პოლიტიკურ ფიგურას ესაჭიროება მეტი ბძობლა“. სხვა დროს ხელისუფლებისათვის მიუღებელი პოზიციის გამო თავდასხმას განიცდიდნენ: გრ. წერეთელი, დ. ბენაშვილი, ი. მოსაშვილი, მ. ზანდუკელი, ს. ვაუხნიშვილი, გრ. ნათაძე, მ. გოგებრიძე, ნ. ბერძენიშვილი, ლ. მუსხელიშვილი, ნ. ახმეტელი, ნ. სომხურაშვილი, გ. გამყრელიძე, გ. ჩიტაია, ვ. ბერაძე, ლ. ციხისთავი, დ. ლორთქიფანიძე, ვ. ბახტაძე და მრავალი სხვა. პარტიულ დოკუმენტში საბჭოთა ხელისუფლებისათვის მტრულ ან საეჭვო განწყობილების ადამიანებად არიან წარმონიშნული: გ. გოხლიშვილი, ა. კეცხოველი, ნ. ჯანაშია, ა. ვაუხნიშვილი, ა. შანიძე, ა. ჯავახიშვილი, შ. ამირანაშვილი, გ. ახვლედიანი, ს. ჯიქია, შ. ნუცუბიძე, ა. ჩიქობავა, გ. გოგიანიშვილი, ი. აბულაძე, ლ. ანდრონიკაშვილი, ა. ბარამიძე, ვ. თოფურია, ნ. ქიიაჯა, დ. უხიანაძე, მ. პოლიეკტოვი, პ. გუგუშვილი, ა. ინწიკრიველი, ვ. ბახტაძე, გ. ზ. წერეთელი, მ. ჭავჭავანიძე, გ. ჩიტაია, ა. ჭვიშვილი, გ. ციციშვილი, ნ. ბერძენიშვილი, მ. შირიანაშვილი, ა. ნამორაძე, ა. ფიცხალიაშვილი, ი. მიქაელაძე, ა. ბენაშვილი, ახალი შეფასებები ხინაზოილეს სახაჲდა იმ თვალსაზრისით, რომ ესენი ი. ჯავახიშვილის დასის წევრები ან მისი რანამარმნობები იყვნენ.

1937 წლის დასაწყისის საქართველოს კომპარტიის შეცნეერებისა და კულტურის რანყოფილების ჩვენს მიერ გამოვლენილი, უდრესად ძვირფასი ინფორმაციის შემცველი „სტალიონის სახელობის სხველწიფიფი უნივერსიტეტის დოკუმენტი და შეეცინარ მუშათა დასახიბოტები“ ავიჩვენებს, რომ უნივერსიტეტის მარალი ინტელიაქტუალური ღირებულების პროფესურა ძირითადად კვლავ ანტიკომუნისტური შიმაღვენლობისა და განწყობილობისაა. ამ დროს უნივერსიტეტში მხოლოაჲ 140 ლაქტორიდან 75-ერთს ანტიბოლშევიკური პარტიის წარიაა და, რომლოთაჲ ორ მასაჲდრა შიკი აქ საბჭოთა ხელისუფლობის წლებში მიიწვიეს ან საპროფესოროდ დატოვების წესით აღზარდეს.

ახე მაგალითად, 1937 წლის დასაწყისში უნ-
ივერსიტეტში ყოფილი ანტიკომუნისტური პარ-
ტიის წევრებიდან მოღვაწეობდნენ: ფილოლო-
გის დარგში — ეროვნულ-დემოკრატიები: კ. კე-
კელიძე, ი. ასულაძე, მ. ზანდუკელი, ხ. დანე-
ლია, ე. ტატიშვილი, გ. ვ. წერეთელი, ალ. კა-
პანელი; სოციალისტ-ფედერალისტები: გ. ახე-
ლეიანი, ვ. თოფურია, ხ. ყაუხჩიშვილი, ვ. კო-
ტეტიშვილი, ვ. ბერიძე, კ. კონიაშვილი, დ. კარ-
ბელაშვილი; მენშევიკები ხ. ჯიქია, ხამსონია,
სოციალისტ-რევოლუციონერები: ა. ნიქობაძე,
დ. ქინქლაძე; ისტორიკოსები — ეროვნულ-დე-
მოკრატიები: შ. ამირანაშვილი, ნ. ბერძენიშვი-
ლი; სოციალისტ-ფედერალისტები: თ. ლომოუ-
რი, ა. ნამორაძე; მენშევიკები: გ. ნიჭია, მ. გო-
ზალიშვილი; კადეტი დუბროვსკი; სოციალისტ-
რევოლუციონერები: ნ. ნათაძე; ეკონომისტები —
ეროვნულ-დემოკრატიები: ფ. გოიჩიაშვილი, ა.
გოციელი, ი. შიქლაძე, ა. კაკაბაძე; სოცია-
ლისტ-ფედერალისტები: პ. გუგუშვილი, ნ. ქო-
იავა; მენშევიკები: ა. ინკერელი, კ. მერგე-
ლიძე, ვ. შახტაძე, ა სიგუა, ახალგაზრდა მარ-
ქსისტები: ნანტლაძე; იურისტები: ეროვნულ-
დემოკრატი ი. შრეველიშვილი; მენშევიკი ი. ა.
სურგულაძე; კადეტი ლ. ანდრინიკაშვილი.
გეო-ფიზიკოსი — მენშევიკი მ. ნოღია; ბიო-
ლოგები: ეროვნულ-დემოკრატი ნ. კეცხოველი
და გ. ჭავჭავაძე; ფილოსოფოსები: სოციალისტ-
ფედერალისტი შ. ნუცუბიძე; მენშევიკი ვ. ბაქ-
რაძე; ახალგაზრდა მარქსისტები მ. გოგობერიძე;
ფსიქოლოგი — სოციალისტ-ფედერალისტი დ.
უხნაძე; მათემატიკოსები — ეროვნულ-დემოკ-
რატიები: ნ. მუსხელიშვილი, ა. ხარაძე, ვ. კო-
ნიაშვილი და ტ. ვეფხვაძე; გეოგრაფი — ერო-
ვნულ-დემოკრატი ა. ჯავახიშვილი; მინერლო-
გი — ეროვნულ-დემოკრატი ი. ვიფშიძე; გეო-
ლოგები: ეროვნულ-დემოკრატი ი. კაჭარავა
და სოციალისტ-ფედერალისტები: ა. ჯანელი-
ძე და შ. ხანიკიძე; ქიმიკოსები — ეროვნულ-
დემოკრატიები: გ. ციციშვილი და მ. ბეჩია.
იქვეა მათგანი დიდ როლს ასრულებდა უნივერ-
სიტეტის სამეცნიერო-პედაგოგიურ და ერ-
ოვნულ აზროვნებაში.

ამასთანავე, მრავალ მათგანს უნივერსიტეტში
იმ დროს მნიშვნელოვანი სამეცნიერო-პედაგო-
გიური და ადმინისტრაციული თანამდებობა ეკ-
ავა. პროფ. გ. აგაბალიშვილი ისტორიის ფა-
კულტეტის დეკანიც მოადილე იყო. პროფ. ა.
ხარაძე — ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის
დეკანი; პროფ. ი. სურგულაძე — იურიდიუ-
ლი ფაკულტეტის დეკანი; აკადემიის წარ-კო-
რესპონდენტი, პროფესორი ნ. მუსხელიშვილი
თეორიული მექანიკის კათედრის გამა. პროფ.
ი. მოსევილი — არათორანული ქიმიის კათედ-
რის გამა. პროფ. დუბროვსკი ხათაეში იქა
ახალი ისტორიის კათედრას. პროფ. გ. ნათაძე

ხელმძღვანელობდა მსოფლიო ისტორიის (შუა
საკუთების) კათედრას; პროფ. ხ. ყაუხჩიშვი-
ლი უძღვებოდა ძველი ისტორიის კათედრას;
პროფ. კ. მერგელიძე იყო საქონელმცოდნეობის
კათედრის გამა. პროფ. ა. ჯავახიშვილი — გე-
ოგრაფიის კათედრის გამა; პროფ. მ. ნოღია —
გეოფიზიკის კათედრის გამა; პროფ. ხ. დანე-
ლია განაგებდა რუსული ლიტერატურის კა-
თედრას; პროფ. შ. ნუცუბიძე მართავდა დასე-
ლულ ევროპის ლიტერატურის ისტორიის კა-
თედრას. ყოფილი ანტიბოლშევიკური პარტიე-
ბის წევრები უმრავლეს შემთხვევაში სწორედ
ისინი იყვნენ, ვისაც მტკიცე ეროვნული პოზი-
ცია და ანტიმარქსისტული აზროვნება ჰქონ-
და. ეს იყო ძველი პროფესორის მიერ მათი
ეროვნულ უნივერსიტეტში „საზოფესოროდ“
მიწვევის ერთ-ერთი შთაგანი, პოლიტიკური
არაკუმიტი. მათი ეროვნული, ანტიკომუნისტუ-
რი პოზიცია იყო, აგრეთვე, მათზე იდეოლოგი-
ური თავდასხმებისა და ყოველმხრივი შევიწრო-
ების მთავარი მიზეზიც და საბაბიც.

როგორც ზემოთ აღინიშნა, გარკვეულ პერიოდ-
ამდე კომუნისტურმა პარტიამ ძლიერი წინააღ-
მდეგობის გამო ვერ მოახერხა შიდასაუნივერ-
სიტეტო საქმიანობაში შეღწევა და საკადრო
პოლიტიკის ხელში ჩაგდება. 1926 წლიდან
მდივარგობა გარკვეულად შეიცვალა. პარტია
აქტიური შეტევის პოლიტიკას დაადგა. ამ საქ-
მეში ინტენსიურად ჩააბა განათლების სახალ-
ხო კომისარიატი, უნივერსიტეტის პარტიული
ორგანიზაცია და სახელმწიფო უშიშროება.
პარტიის საკადრო პოლიტიკას ძალშორებოთი
ხასიათი მიეცა. იგი პარტიული თანამდებობის
ქაზე თეორეტიკოს-იდეოლოგებით აკომპლექ-
ტებდა უნივერსიტეტის საზოადოებურ მეც-
ნიერებათა კათედრებს. ამ საქმეს პარტია თავ-
დაპირველად ყოველგვარი სპეციალური აღზრ-
ლისა და სამეცნიერო ხარისხების გაუთვალის-
წინებლად წყვეტდა, უხარისხო, „სანდო კომუ-
ნისტებისა“ აკომპლექტებდა უნივერსიტეტს,
შემოქმენდა ახალი დროისა და კონსუქტურის
მოთხოვნილებით ნაკარნახევი საგნები.

1925 წლამდე უნივერსიტეტის ლექტორებს
შორის ორიოდე კომუნისტი იყო. 1926 წლისთ-
ვის მის გამაგობაში, ანტისამბჭოთა „პროფესუ-
რასა და პარტიულ-კომუნისტურ ახალაზრ-
ლობას შორის უამრავი აჯაბრბობის და სტუ-
დენტთა საქაგების მოაგარბის“ მიზნით შეიფა-
ნეს ერთდერთი კომუნისტი ი. თალაკვაძე.

უნივერსიტეტის რექტორის თანამდებობი-
დან ი. ჯავახიშვილის განთავისუფლებისა და
უნივერსიტეტის ატლეთომის გაუქმების შემ-
დე კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელთა
მათა აპტიურობით მოეიკა უნივერსიტეტის
განსაბჭობისა და შესაბამისი საკადრო პოლიტი-
კის განხორციელების პრობლემას, ამის შესა-

ხებ საინტერესოა სუკის არქივში მოპოვებული დოკუმენტი, რომელიც ალტერნატიული, კრიტიკული, შეიძლება ითქვას, ანტიბოლშევიკური პოზიციებიდან ასახავს პარტიის—საუნივერსიტეტო საკადრო პოლიტიკას. მასში ნათქვამია: „1926 წლიდან დაწესებული იქნა ახალი სასწავლო ეკვმა. განსაკუთრებით დრზა ცვლილებები გახდა საციალური-ეკონომიკურმა ფაქტორებმა, რომელიც მთავრობის მიერ ცნობილი იქნა კონტრარეკულაციის კერად. გაუქმდა მთელი რიგი ხანები, ხოლო მათ ნაცვლად შემოღებული იქნა ისტორიული მატერიალიზმი, საბჭოთა სამართალი, კოლხერაციის ისტორია, კომპარტიის ისტორია, საბჭოთა მახრისა და კონიუნქტურის თეორია, საბჭოთა ეკონომიკა, პოლიტიკა და სხვა „საბჭოთა“ მეცნიერები“.

ახალი საგნები საჭიროებდნენ ლექტორთა კადრებს. ცკ პირდაპირ არჩევდა მათ „ხანდო აღმანიებისაგან“. საქართველოში ბევრი იყო რენევატი, რომლებიც უარს არ ამბობდნენ ასეთ „საპატიო თანამდებობაზე“. როგორც ჩანს, წყაროს ავტორი კარგად იცნობდა უნივერსიტეტის ცხოვრებას, საფიქრებელია, რომ იგი უნივერსიტეტის თანამშრომელიც იყო. მართლაც, ამ წელს დაიწყო უნივერსიტეტში ახალი მსოფლმხედველობრივი, რეალური პრაქტიკის შესაბამისი საგნების შემოღება. საქართველოს კომპარტიის ცეკამ უნივერსიტეტის რეორანიზაციის მიზნით მოაქვინა კომუნისტი რექტორი თ. ღლონტი და გადაწყვიტა ისეთი კომუნისტი ლექტორების გამოგზავნა, როგორებიც იყვნენ: ა. ერშიაშვილი, კ. ხულაქველიძე, ს. ხუნდაძე, ხიმშიაშვილი და ი. თალავაძე; ამ დროიდან ფ. მახარაძე კითხულობდა საქართველოს XIX საუკუნის ეკონომიკური განვითარების ისტორიას. რაი როლორა ჩანს, დაუკონისძირის ი. ჯავახიშვილის ამავე თემაზე არსებულ ნაშრომში განვითარებულ კონცეპტუალურ აზრებს.

მსოფლმხედველობრივი შეცნირებების წესაკითხად უნივერსიტეტში მოიწვიეს, აგრეთვე, რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებში სპეციალურად მომზადებული „წითელი პროფესორები“ პ. შარია, ი. ვაშაქმაძე, ა. თავჯიშვილი (თავზარაშვილი), კ. ორაველიძე, დ. დიმიძე და სხვები, რომლებიც პარტიის იდეოლოგიის ატარებისა და უნივერსიტეტის „გასაბჭოების“ მთავარ ძალად იქნენ.

მაგრამ კომუნისტი ლექტორები და რექტორები ხშირ შემთხვევაში ვერ სარგებლობდნენ მაღალი ავტორიტეტით. ამის ვარდა, 1937 წლის დასაწყისში უნივერსიტეტში მუშაობს მხოლოდ ორი ათეული კომუნისტი და კომკავშირელი ლექტორი, გაცილებით მეტი ლაბორანტი და სტუდენტი, რომლებიც წართადგენდ-

ნენ ხელისუფლების ძირითად დასაყრდენს და შექმნევენ ძალას.

დოკუმენტში მოხსენიებული კომუნისტებიდან ყოფილ მენშევიკს, პროფესორ გ. კვიციანიძეს ეკონომიკური ფაქტორების, ხოლო პროფ. გ. ხაჭაპურიძის ისტორიის ფაქტორების დავის თანამდებობები ეკავათ. დანარჩენები რიგიი ლექტორები იყვნენ. მხოლოდ სუთს გაანდა დოცენტის და ერთს პროფესორის წოდება, რომელთა შორის „რენევატი“ იყო სამი. როგორც იშვიათი გათხაკლისი, კომუნისტებს შორის მხოლოდ ერთი, ვ. კურაბაძე იყო მეცნიერების დოქტორი, პროფესორი. დანარჩენი ორი კომუნისტი და ხუთი კომკავშირელი ლექტორებიდან სამი უხარისხო, ერთი კანდიდატი, დოცენტი და ერთიც კანდიდატი იყო. გასათვალისწინებელია ისიც, რომ კომუნისტების და კომკავშირელების წამოწყების მიზნით ბოლო ხანებში გაიოლდა ხარისხებისა და წოდებების მინიჭება, მაშინ, როცა ანტიკომუნისტური პარტიის ყოფილ წევრს ხელგონურ დაბრკოლებას უქმნიდნენ.

ი. ჯავახიშვილის დასის წევრთა საკადრო პოლიტიკის ვატარების საფუძველზე 1937 წლის დასაწყისში ანტიკომუნისტური პარტიის ყოფილ წევრებშიდა უნივერსიტეტში მოღვაწეობდა 21 მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. მათ შორის: ორი წევრ-კორესპონდენტი, დოცენტი-პროფესორი ერთი, დოცენტი, მეცნიერების კანდიდატი—3; დოცენტი—25. პროფესორი, რომელსაც არ ჰქონდა დაცული სამეცნიერო ხარისხი, მაგრამ მეცნიერებასა და პრაქტიკაში თვალახინო წარმატებები გაანდა იყო — 7 (ნ. ციციშვილი, ი. აბულაძე, ლ. ანდრონიკაშვილი, კ. ბაქრაძე, გ. ბეჭია, ნ. ქოიავა, მეფის გენერალი, უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებელი ა. ბენაშვილი). დოცენტის წოდების მქონეთა შორის ასეთი იყო ორი (პ. გუგუშვილი და ა. ჯიკელი). ხარისხის არმქონე, რომელსაც წარმოადგენილი ჰქონდა საკანდიდატო დისერტაცია, იყო ერთი (ნ. კვციველი).

როგორც ვნახეთ, საქართველოში საოკუპაციო რეჟიმის დამყარების პირველივე დღეებიდანვე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოღვაწე მეცნიერ-ხედაოთა ა უნდის, რომელსაც სათავეში ედგა მისი რექტორი ი. ჯავახიშვილი და რომელიც ჩამოყალიბდა ხელისუფლებასთან დაპირისპირებული პოლიტიკური რწმინის, ეროვნული პროგრამის, სტრატეგიის და ტაქტიკის მქონე პოლტიკურ-ინტელექტუალური დასის სახით. ეროვნული ამოცანების და მიზნების შესაბამისად ახორციელებდა დამოუკიდებელ საკადრო პოლიტიკას, რომელმაც 20-30-იან წლებში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს ეროვნული ფორმა და შინაარსი შეუნარჩუნა.

დავით მჭედლოერი

წინარეობა

ჩვენი სამშობლოს წარსულში ჩამქარალი ლამ-პარივით გაიქვლებს წანართა ტომის სახელი, რომელსაც ძველი და ახალი დროის ისტორიკოსები ერთსულოვნად მიიჩნევენ მაღალგანვითარებულ, უმაჰაცეს ეთნოსად. წანარები გმირულად ებრძოდნენ არაბ დაჰყრობლებს, აქტიურად მონაწილეობდნენ საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში, ბოლოს კი სათავეში ჩაუდგნენ აღმოსავლეთ საქართველოს უძლიერესი პოლიტიკური ერთეულის — კახეთის სამთავროს ჩამოყალიბებას და ამით თავიანთი წვლილი შეიტანეს ქართველთა ერთიანი სახელმწიფოს შექმნაში, მაგრამ დასრულდა საქართველოს გაერთიანება და წანარები, როგორც პოლიტიკური ერთეული, ერთბაშად გაქრა მატეანეთა ფურცლებიდან. ევლენ სახელოვან ხალხს განეუბამ თითქმის ბედად არგუნა ისტორიის ასპარეზიდან გაქრობა ისე, რომ არათუ მისი სახელი იხსენიება უკანასკნელი ათასწლეულის მანძილზე, არამედ ისიც სადავოდ ქცეულა — სად, საქართველოს რომელ მხარეში ცხოვრობდა წანართა ტომი.

ნუთუ მართლა შეიძლება უკალოდ გაქრალიყო ესოდნ დაწინაურებული ხალხი, რომელსაც არაერთგზის დაუმარცხებია თვით არაბთა ლაშქარც კი; რა იქნა წანართა ქალაქები, სოფლები, ციხე-კოშკები, ეკლესიები, სასაფლაოები... ნუთუ ისტორიის ერთმა ათასწლეულმა შთანქაჰოველივე ისე, რომ კვალის მიგნება შეუძლებელია?!

წანარები მნიშვნელოვან სამხედრო და პოლიტიკურ ძალას წარმოადგენდნენ უკვე VI-VII საუკუნეებში და აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში, ხოლო კიდევე უფრო გააქტიურდნენ არაბთა მიერ საქართველოს დაჰყრობის შემდეგ. წანარებს ქართველ მემატიანეთაგან ერთ-ერთი პირველი მოიხსენიებს ლეონტი მროველი. მას მოთხრობილი აქვს ასეთი ეპიზოდი: ქართლის არაბმა მმართველმა, ვინმე ასაჰმა, თავისთან მიიწვია მეფე არჩილი და მას სარკინოზთა რეკულზე მოქცევა შესთავაზა. მეფე მტკიცე უარზე დადგა. ასაჰმა არჩილის შეჰყრობა ბრძანა, რათა ქართლის მეფე წამებით მოექცია დაჰყრობელთა სარწმუნოებაზე. მაშინ წინ წამოდგა ერთი, სარკინოზთა

რეკულზე გადასული გარდაბნელი მთავარი და ასაჰს არჩილ მეფის სიკვდილით დასჯისკენ მოუწოდა; მეფე არჩილი არაბებმა წამებით მოკლეს. გულბოროტ გარდაბნელ მთავარს თურმე შურისძიება ამოჰრავებდა: ოდესღაც მისი მამის ძმა წანარებს მოეკლათ, ხოლო არჩილის პაპს, მეფე ადარნასეს, მკვლელები დაუსჯელად გაეშვა. ამ ეპიზოდიდან შეიძლება გამოვიტანოთ დასკვნა, რომ წანართა მიერ გარდაბნელ მთავართა სახლის წვერის თუ, სულაც, მთავრის მკვლელობა პოლიტიკურ სასიათს ატარებდა და მეფე ადარნასე ან თანაურძინებდა ამ მკვლელობას, ანდა წანარები იმდენად ანგარიშგასაწვენი იყვნენ, რომ მეფე მოერიდა მათთან ურთიერთობის გართულებას და მკვლელები მშვიდობით გაუშვა.

წანარებმა განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი არაბ დაჰყრობლებთან ბრძოლაში; ისინი სისტემატურად აწყობდნენ ამბოხებებს, უარს ამბობდნენ არაბთა მორჩილებასა და ხარკის გადახდაზე.

VIII საუკუნის შუახანებში, ხალიფა მანსურის დროს, არმენიის ვალს — იაიზიდ იბნ-უხეიდს ლაშქრობა მოუწვია განდგომილი წანარების დასამორჩილებლად, ამ ცნობას ვეაწვდის არაბი ისტორიკოსი ბელადირი. აკადემიკოს მარიამ ლორთქიფანიძის მიხედვით, არაბთა ეს ლაშქრობა 754 წლის ახლო ხანებში მომხდარა. არაბებს მოუხერხებიათ წანართა დამარცხება და კვლავ ხარკი დაუღვიოთ, მაგრამ იმავე საუკუნის 70-იან წლებში წანარები ხელახლა აჯანყებულან. განდგომილთა დასახელებად არაბთა ლაშქარი ამაჯერად ჰუხეინ იბნ-კაჰტაბას მეთაურობით გაემართა. სისხლისმღვრელ ბრძოლაში წანარებმა დაამარცხეს დაჰყრობლები, მაგრამ მალე არაბთა სარდლად 20 ათასიანი მამუელი ჯარი მოუვიდა და მხოლოდ ამის შემდეგ შეძლო წანართა გატეხვა. არაბი ისტორიკოსის ცნობით, წანარებს ამ ბრძოლაში 16 ათასი მეომარი დაუჰკარგავთ.

წანარები, როგორც ანგარიშგასაწვენი ძალა, პოლიტიკურ ასპარეზზე კიდევე უფრო აქტიურად გამოჩნდნენ აშოტ კუროპალატის დროს, VIII-IX საუკუნეებში. წანართა ლაშქარი თან ახლდა კახეთის მთავარ გრიგოლს, როცა იგი ქან-

საქართველო
საზოგადოებრივი

ზე აშორე კუროპალატს ებრძოდა. გრიგოლ კახეთის მთავრის მომხრეთა შორის ცალ-ცალკე მოიხსენიებან მთიულნი და წანარნი: „...და გრიგოლს უშველეს მთიულთა და წანართა“, რაც იმას ნიშნავს, რომ წანართი უფრო მნიშვნელოვანი პოლიტიკური გაერთიანება იყო, ვიდრე მთიულთა ზოგად ცნებაში მოქცეული თვითი არაგვის ხეობაში მოსახლე ტომები: ქართლენი, ხანდოსხეველნი, ცხავატელნი, ხადუნნი და სხვა, რომელნიც მაშინ საკუთარი ტომობრივი სახელით იწოდებოდნენ, მაგრამ ამ შემთხვევაში, მემატიანე მათ ზოგად მთიულელებს უწოდებს. იყარე ჯავახიშვილის მიხედვით ეს ბრძოლა 791-818 წლებს შორის გაიმართა.

წანართა ლაშქარი ეხმარებოდა გიორგი პირველს ბიზანტიის კეისარ ბასილთან ბრძოლაში. 1021 წელს მეფე გიორგი I სოფელ შირიმთან შეებრძოლა ბიზანტიელებს, ქართველებმა კვიხარეკელს პირველი წარმატებით, ბასილ კვიხარამ ძალე მოიკრიბა ძალები და კვლავ შემოუტია გიორგი პირველს, რომელსაც ამ დროს შაქები და წანარები მოეშველნენ. როგორც ჩანს, წანართა ეს მამუელი ჯარი იმდენად მნიშვნელოვანი სახმედრო ძალა იყო, რომ ბიზანტიის კეისარმა ვეღარ გააბედა ქართველებთან შეტრბოლება, უკან დახევა ამჯობინა და იმ წელს თრიალეთზე დაიხაშორა.

მიუხედავად ამ ეპიზოდებისა, წანართა ტომის გაძლიერება და გააქტიურება, მათი შემდგომი ბედი მაინც კახეთის სამთავროსთან არის დაკავშირებული.

თანამედროვე ქართველ ისტორიკოსთა ერთხულოვანი აზრით, კახეთის სამთავროს ქართლიდან გამოყოფა, დამოუკიდებელ სამთავროდ ჩამოყალიბება და გაძლიერება წანართა მთავრობის მოხდა, რომელიც ჯერ კავკასიონის მთისწინეთში, ერწო-თიანეთში შექმნეს ძლიერი საერისთავო, შემდეგ კი მთელი კახეთის გაერთიანება შეძლეს. აქვე უნდა დაეაზუსტოთ, რომ ისტორიკოსები მაშინდელი კახეთის საზღვრებზე ვარაუდობდნენ ადმოსხლეით ჭერემის ხეხ, ხოლო დასავლეთით — მდინარე არაგვს.

წანართა ჰეგემონობა კახეთის სამთავროს ჩამოყალიბებაში სადავო არ არის და სხვადასხვა მეცნიერთა კვლევები უფრო განამტკიცებს ამ აზრს. ამ საკითხის ავტორიტეტული მეკვლევარი, აკადემიკოსი მარიამ ლორთქიფანიძე წერს: „ნიშნობილია, რომ უკვე VIII ს. დასასრულსა და IX ს. დასაწყისის აშკარაში არაბი ავტორები ერთმანეთს უპირისპირებენ ჯურჯენს (ე. ი. საკუთრივ ქართლს), და სანარიას (ე. ი. კახეთს), სანარია“ უკვე ქართლისაგან გამოყოფილი კახეთის სამთავროა, სადაც წანარები ამ დროს კახეთის სამთავროში წამკვან ტომს წარმოადგენენ და პირველი მთავრებიც მათგან ირჩევიან. VIII ს. დასასრულსა და IX ს. დასაწყისში კა-

ხეთის გაერთიანება წანართა მთავრობით მომხდარი ფაქტია“.

როგორც ჩანს, წანარები კარგად ერკვეოდნენ პოლიტიკურ მოვლენებში, კერძოდ, ჩახეული იყვნენ არაბთა იმპერიის შინაურ საქმეებში და დამკვრობა წინააღმდეგ უმაღლე ბრძოლა გააჩაღეს, როგორც კი სახალხოვრო რევუციის პირველი ნიშნები გამოჩნდა. ისინი კარგად სარგებლობდნენ თვით არაბთა შორის განხეთქილებით და ერთხანს თბილისის ამირასაც კი ეხმარებოდნენ ცენტრალური ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლაში.

არაბებთან ბრძოლის პარალელურად, წანარებს კახეთში გავლენის განმტკიცებისათვის ბრძოლა უხდებოდა ადგილობრივ სამთავროს სახლებთან, კერძოდ, ვარდამულ მთავრებთან, რომელნიც ამ დროს ყველაზე გავლენიან ძალად გამოიყურებოდნენ. ვარდამის საერისთავო, როგორც გამოჩევეულია, მოიცავდა ტფილისის ქვემოთ მტკვრის ვალმა-გამოდმა მხარეებს, გაჩინიდან ვიდრე სამშვილდემდე, იგი ხუნანის საერისთავოდაც იწოდებოდა, თუმცა აღნიშნულ პერიოდში მისი მასშტაბები გაცილებით ვრცელი ჩანს.

წანარელთა და ვარდამნელ მთავართა მტრობა, როგორც ლეონტი მროველის მიერ მოთხრობილი ზემოთ ხსენებული ეპიზოდებიდან ჩანს, მრავალი წლის მანძილზე გრძელდებოდა და ბოლოს წანარებმა შეძლეს ვარდამნელ მთავართა დამარცხება.

„მატიანე ქართლისა“ ამის შესახებ შემდეგ ცნობას ვეაწვდის: „მას ვამხა შეითქნეს ვარდამნელნი და განაჩინეს ქორეპისკოპოსად დაჩი, ძე იოანე ქაბულის ძისა და შემდგომ ამისა დასუეს ქორეპისკოპოსად სამუელ ღონაური“. ამავე მატინის ცნობით, სამუელ ღონაურის შემდეგ ქორეპისკოპოსი ვაშხდარა მისი ძმა ვაზირელ ღონაური. ვარაუდობენ, რომ ღონაურთა დინასტიას დასაბამი მიეცა 839 წელს.

რახან კახეთ-ვარდამის სამთავრო არაბულ წყაროებში ამ დროს უკვე სანარიად, ანუ წანარეთად იწოდება, აკადემიკოს მარიამ ლორთქიფანიძეს აამოაქვს დასკვნა, რომ ღონაურთა დინასტია წანარეთიდან იყო მოსული, რადგან სამთავრო მაშინ, ჩეულებრივ, იწოდებოდა იმ კუხრის სახელით, საიდანაც მოვიდა მეფეთა ან მთავართა დინასტია.

ამ ეპიზოდებიდან გამოდის, რომ წანარებმა ადგილობრივი ძალების დახმარებით, შეთქმულების გზით („შეითქნეს ვარდამნელნი“) შეძლეს ვარდამნელ მთავართა სახლის დამხობა და შუალედური მთავრის, დაჩი იოანეს ძე ქაბულისძის შემოღე ვარდამის სამთავროს სათავეში ჩაუღეს წანარულ ღონაურთა დინასტია.

რახან ვარდამნელ მთავართა ხელისუფლების დამხობა შეძლეს, წანარებმა ღონაურთა ქორეპისკოპოსობით, ფაქტობრივად, ხელთ იდგეს ძალაუფლება მთელ კახეთში. ეს იქიდანაც ჩანს,

რომ სამეფო დონაურის ქორეპისკოპოსობისას კახეთში ლაშქრობა მოუწყვიათ არაბებს ხალილ იბნ-აბდის მეთაურობით. მას გავაზთან შეშ-მიან გარდაბნელები და სახტიკად ლაშქარცხენით: „გაკაცის ხალილ და მოსწედა სიმრავლე ფრიადი“, — გვაუწყებს მატჩანე. ფრიაში „შეგბენ გარდაბნელნი“, ალბათ, უნდა ვიგულისხმოთ, რომ არაბებს მთელი კახეთის ლაშქარი ებრძოდა გარდაბნელი ქორეპისკოპოსის მეთაურობით და ბრძოლაც შუაგულ კახეთში, სოფელ გავაზთან მოხდა.

253 წელს საქართველოს ბუღა თურქი შემოესია, რომლის უპირველეს მიზანს განდღოილი მხარეების და მთავრების, მათ შორის თბილისის ამირას დაჯგა შეადგენდა. მან სახტიკად მოაოხრა თბილისის საამირო, მოკლა ამირა ხაკაკი, ხოლო შემდეგ სპასლარ ზირაქის წინამძღოლობით დამსჯელი ექსპედიცია გაგზავნა აფხაზთა მეფის თეოდოსის წინააღმდეგ. ზირაქმა სძლია აფხაზთა მეფეს, თეოდოსი დვალეთს გადაიხვეწა, ხოლო უკან მობრუნებულ ზირაქის ლაშქარს ჯვარის-გვერდიან შეგბენ გარდაბნელნი და „ავენს დიდად ლაშქარსა“. ჩვენ არ ვიცით, სად იყო „ჯვარის-გვერდი“, მაგრამ, როგორც ჩანს, ეს ადგილი არაგვის სევთაზე მდებარეობდა, რადგან ზირაქის სამეფოდ წამოხული ბუღა თურქი ჭარბალს მისულა, ექ მთიულთავან მძევლები აუყვანია და, ოსეთს შესვლის მოწადინებ, ცხვატამდე მიულწევია. ამ დროს დაწყებულმა დიდიოვობამ ჰაფფერსა არაბთა ლაშქრობა ჩრდილოეთისაკენ, მთიულეზმა გასწირეს მძევლები, შეგბენ ბუღა თურქს და დიდი ზიანიც მიაყენეს, თუმცა „ლაშქარსა არა ანნდა დაკლება, რამეთუ იყო სიმრავლე მისი ვითარ აზოცი ათასი“. ბუღა თურქი უკუიქცა, ბარდავს დაიხმართა და გარდაბნელებზე იქიდან იბა შური — დიდძალი ჯარი გაუსია და სახტიკად მოაოხრა ეს მხარე.

ამრიგად, როგორც აკადემიკოსი გიორგი მედიქიშვილი წერს: „წანარებისა და მათი მთავრების გარშემო ხდება კახეთის შინაგანი ძაღების მომიოზაცია და დარაზმვა არაბების წინააღმდეგ. წანართა მთავრები არაბების განდღენასთან ერთად ახდენენ კახეთის ცალკეული კუთხეების შემოტყეცებას და სამთავროს ორგანიზაციას“.

IX საუკუნის ბოლოს კახეთის დაწინაურებულ გვართა შორის განხეთქილება ჩამოვარდა. არეგმანელებთან ხელისუფლებისათვის ბრძოლაში დონაურთა საგვარეულომ დაკარგა ქორეპისკოპოსობა. როგორც ჩანს, არეგმანელთა გვარიდან იყენენ ცნობილი მთავრები ფაღლა და კვირიკე, რომელნიც ზოგჯერ მეფეებადაც მოიხსენებიან. ამ ქორეპისკოპოსთა სახელების მიხედვით შეიძლება იხიცი ვივარაუდოთ, რომ არეგმანელთა გვარი წარმოშობით წანარეთიდან იყო და გარდაბნის

სამთავროში გაბატონებულ დონაურთა პარალელურად გაძლიერდა აღმოსავლეთ კახეთში. გარდაბნელები კავშირს ამყარებენ აფხაზთა მეფეებთან და მათი დახმარებით ხანგრძლივ ბრძოლას აწარმოებენ ქორეპისკოპოსობის დასაბრუნებლად. ამ შინააშლილობამ დიდხანს გასტანა.

როგორც ზემოთ ითქვა, წანარები ცალკე ეთნოსად ჩანან გიორგი I დროსაც, XI საუკუნის პირველ ნახევარში, შემდგომში კი მათი კვალი თანდათან ქრება და პოლიტიკური აქტიუობაც აღარ შეიმჩნევა. ამ დროისათვის, ეტყობა, იხიცი კახეთ-ქვერეთის ადგილობრივ მოსახლეობაში გაითქვიფნენ და მათი ტომობრივი სახელიც უცვალოდ ქრება ასპარეზიდან.

ზემოთ მხოლოდ ცალკეული მნიშვნელოვანი ეპიზოდები მოვიხსენიეთ წანართა ისტორიიდან. ამ საკითხებს დიდი ხანია იკვლევენ ძველი და ახალი დროის როგორც ქართველი, ასევე უცხოელი ისტორიკოსები. წანართა ისტორიისა და მათი ეთნოგენეზისის შესახებ მრავალი საყურადღებო მოსაზრება გამოუთქვამთ: მარი ბროსეს, ივანე ჯავახიშვილს, ნიკო ბერძენიშვილს, სიმონ ჯანაშიას, სარგის კაკაბაძეს, მარიამ ლორთქიფანიძეს, გიორგი მედიქიშვილს, ნოდარ ლომოურს, დავით მუსხელიშვილს, რამინ რამიშვილს, ჯონდო გეასალიას, შოთა ბადრიძეს და სხვებს. უკანასკნელ ხანს გამოქვეყნებული ნაშრომებიდან განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს თენგივ პაპუაშვილის წიგნი „რანთა და კახთა სამეფო“, ხადაც წანარებს ცალკე თავი ეთმობა. აქ, ფაქტობრივად, თავმოყრილი და შეჯამებულია მთელი ის ცოდნა, რაც დღეისთვის გავაჩანია წანარების შესახებ, მეცნიერს ასევე გამოთქმული აქვს საკუთარი მოსაზრებანიც.

წანარებისა და წანარეთის შესახებ მრავალი ცნობა აქვთ დაცული უცხოელ ავტორებს: კლაუდიოს პტოლემაიოსს, თომა არწრუნს, ბელადორს, მაგნუსის, სომხური გეოგრაფიის ანონიმ ავტორს, კონსტანტინე პორფიროგენეს და სხვებს. ეს წერილი მიზნად არ იმსახვს ვისიმე მოსაზრებათა გაბათილებას ან მხარდაჭერას, არც ისტორიული ნარკვევის პრეტენზია აქვს და, ალბათ, მხოლოდ საკითხის დაყენების ცდად უნდა ჩაითვალოს. ამიტომ არც ამ ცნობებისა და მოსაზრებების განხილვას შეუდგები, რადგან დაინტერესებული მკითხველი მათ ზემოხსენებულ მეცნიერთა ნაშრომებში გაეცნობა.

მთავარი სადავო საკითხი, რაზეც ერთსულოვანი აზრი არ არსებობს, ეს წანართა პირველსაცხოვრებისა.

პირდაპირი წყარო, რომელიც კონკრეტულად მიუთითებდა წანარეთის მდებარეობას, მიკვლევული არ არის. „წანართა პირველსაცხოვრების

საკითხი მრავალი მკვლევარის შრომაშია აღძრული, — წერს აკად. მარიამ ლორთქიფანიძე, — ივ. ჯავახიშვილი წანართ არაგვის ხეობის მკვიდრებად თვლის. მინორსკის აზრით წანარნი დარიალის კარის რაიონში მოსახლეობდნენ. პრაფ. ს. კაკაბაძე წანართა პირველსაცხოვრისად არაგვის ხეობას მიიჩნევს. აქვე ახდენს მათ ლოკალიზაციას ს. ჯანაშია, აქვე ვარაუდობენ წანართა პირველსაცხოვრის ს. ლომოური, შ. ბადრიძე, დ. მუსხელიშვილი. წანართა ტომის პირველსაცხოვრისის ასეთი ლოკალიზაცია დამყარებულია რიგი ქართული და უცხოური წყაროების მონაცემებზე“.

გულწრფელად რომ ითქვას, ამ ქართულ და უცხოურ წყაროებში ბევრი წინააღმდეგობა და არაკონკრეტულობაა.

მკვლევარები წანართა პირველსაცხოვრისის ძიებისას ძირითადად მაინც რამდენიმე ცნობას ეყრდნობიან. აქედან გამოყოფენ „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ერთ ვარიანტს, სადაც ნათქვამია, რომ ირანელებმა „ქართლი უშუტესად დაიპყრეს და კავკასიათა შვიდეუს და კარნი ოსუხეთისანი აიგნეს და ერთი დიდი კარი ოსუხთასვე და ორნი დვალებს და ერთი მარჰუანს დურმუკეთისასა, და იგი მთიულენი პომარდედ დაადგინეს. და სხუაი ვინმე კაცი დაადგინეს მთავრად წანარეთის კევსა და მორჩილება დასდევს მისი“.

სომხურ უსახელო გეოგრაფიაში მოიხსენიებიან „წანარნი, რომელთა ქვეყანაში არის კარი ალანთა და წაილენის კარი“.

არაბი ისტორიკოსი მუსულეი წერს: „ამ ქვეყანასა (ქართლს) და ალანთა ციხეს (დარიალას) შორის ქრისტიანე ტომის წანართა ქვეყანა არის, რომელთა მთავრები ქორისკობისად იწოდებიან“.

თომა არწრუნის თქმით, წანარები „ბინადრობენ მიჰვარად ადგილებში, გარეშე მტრის შემოსევისაგან თავს უფრო მშვიდად გრძობენ. საშეფო გაბოსალები და გადასახადები მათთანვე რჩება, მმართველად აყენებენ ერთ ვინმეს, რომელსაც თავისი ნება-სურვილით ირჩევენ ერთ-მანეთისაგან, თანხმობით და ერთსულოვნად ცხოვრობენ, სახლობენ ეკვარებად და თემებად“. ამავე ავტორის ცნობით, წანარები თავიანთ ქვეყანას თურმე წანაქს თუ წანაკს ეძახდნენ.

ამ ცნობებით ადვილად არ არის წანართა პირველსაცხოვრისის განსაზღვრა, რადგან მათ მუტიმეტად აკლიათ კონკრეტულობა. „ქართლის მოქცევის“ ცნობაში ირანელთა ექსპანსიის შესახებ ცენტრალურ კავკასიაში, მნელია ამოვიკითხოთ, რომ „წანარეთის ხევი“ ახლანდელი თერგის ხეობაში მდებარეობდა. შემატინავე გარკვევით ამბობს, რომ ირანელებს თანამიმდევრულად გაუვლიათ თეთრი არაგვის ხეობა, შეუკრავთ დარიალის, ასევე დვალიეთისა და დურმუკეთის კარი. იგი ცალკე გამოყოფს წანარეთის ხევს,

სადაც სპარსელებს მთავრად თავიანთი კაცი დაუყენებიათ და მთიულთათვის მისი მორჩილება დაუკისრებიათ.

ამ ცნობიდან უფრო ისე გამოდის, რომ სპარსელებს დარიალისა და მისი მიმდგომი მხარეების — მთიულეთის, დვალიეთისა და დურმუკეთის შემდგომ რომელიღაც სხვა მხარე დაულამქრათ, კერძოდ კი წანარეთის ხევი. ყოველ შემთხვევაში, არაფრით არ შეიძლება ამ ცნობის იმის დასტურად მოტანა, რომ წანარეთის ხევი მაინცა და მაინც დღევანდელი ხევის ტერიტორიაზე მდებარეობდა. ეს რომ ასე ყოფილიყო, მაშინ შემატინავე წანარეთის დაპყრობას და იქ ირანელთა მიერ თანაინი კაცის დასძახ დაღვალდურმუკეთის დაპყრობამდე მოიხსენიებდა, როგორც უკვე მომხდარ ფაქტს. ეს მხარეები ხომ დღევანდელი ხევის იქით მდებარეობენ.

ამ შეუსაბამობისთვის ყურადღება მიუქცევია აკად. სიმონ ჯანაშიას, რომელიც აღნიშნავს, შესაძლოა, ეს ლაშქრობა ფშავ-ხევსურეთის გზით ქისტეთისაკენ მოხდაო.

კონკრეტულობით არ გამოირჩევა, მაგრამ უფრო ზუსტი უნდა იყოს არაბი ისტორიკოსის მავსულის ცნობა, რომელიც წანართა ქვეყანას ქართლსა და „ალანთა ციხეს“ შორის ათავსებს.

ხევს კი ვიცით, რომ ქართლს, რომლის ჩრდილოეთ საზღვარს არაგვის ხეობის, ალბათ, ქალაქი ჟინვანი შეადგენდა, და დარიალს შორის მთიულთა მრავალრიცხოვანი ტომები (ჭართლენი, ხანლოსხველნი, ცხაკატლენი, ხადვლენი, გუდამაყრენი) ცხოვრობდნენ. არაბი ისტორიკოსი კი არ მითითებებს, ქართლსა და დარიალს შორის კონკრეტულად რომელი ხეობაში ცხოვრობდნენ წანარები. თომა არწრუნს საერთოდ არა აქვს მითითებული კონკრეტული გეოგრაფიული წერტილები, იგი ზოგადად აღნიშნავს, რომ წანარები „მიოვლი მიუბში“ ცხოვრობენ და „ეკვარებად და თემებად“ სახლობენ.

როგორც ვხედავთ, ძველი და ახალი დროის ისტორიკოსთა საერთო აზრით, წანარები აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში ცხოვრობდნენ, მაგრამ კონკრეტულად სად, ამისი დაბეჭდვითი თქმა ძნელია. ძირითადად პატრონებს ორი ვერსიაა. ერთი მათგანით წანართა პირველსაცხოვრისად იფარაულება დღევანდელი ვახტანგის რაიონი, ანუ „ხევი“, ხოლო მეორე ვერსიით — არაგვის ხეობა, თუმცა რომელი არაგვის ხეობაში უნდა ეკმებოთ წანარეთი, დაკონკრეტებული არ არის.

წანართა პირველსაცხოვრისად დღევანდელ ხევს მიიჩნევს აკადემიკოსი მარიამ ლორთქიფანიძე. მკვლევარს წანარეთის ცენტრი ეგულება სიმონ-გარბანის რაიონში და რახან ამის შესახებ ისტორიულ წყაროებში პირდაპირი მითითება არ მოიპოვება, საბუთად მატერიალური კულტურის ძეგლებს ახახელებს: „რადგან ჩვენთვის ცნობილ

ისტორიულ წყაროებში ამ საკითხზე მითითება არ გვევლინება, უნდა ისევ მხარის მატერიალური კულტურის ძეგლებს მივმართოთ, თუმცა აქ არსებული მატერიალური კულტურის ძეგლები არც ისე მტიკვე საფუძველს იძლევა საკითხის საბოლოო გადაჭრისათვის, რასაც თავად გრძობს გამოკვლევის ავტორი და დასძენს: „IX-XI სს. ძეგლები, ე. ი. სწორედ წანართა ძლიერებისა და მომდევნო ხანის ძეგლებით შეტ-ნაკლებად, (ხაზი ჩემა, დ. მ.) მდიდარია ვაზბუჯის რაიონი“.

თერგის ხეობას წანართა პირველსაცხოვრისად მიიჩნევს, ავრთვე, თენვიზ პაპუაშვილი, რომელიც აქცენტს ასევე მატერიალური კულტურის ძეგლებზე აკეთებს, ხოლო წანართა განსახლებას გაცილებით ვრცელ ტერიტორიაზე ვარაუდობს.

ამავე ვერსიას ჟჰჰერს მხარს პროფ. რამინ რამიშვილი, რომლის მოსაზრებანი გაცილებით მრავალმხრივი, თუმცა ზოგჯერ კიბოთეტურია, რაზეც თავადაც მითითებს.

სხვა მეცნიერები დაბეჯითებით ვერ მიუთითებენ წანართა პირველსაცხოვრის და, როგორც ზემოთ აღვნიშნე, წანართა თავდაპირველი განსახლების ადგილად პირაქეთა მთიანეთს, არაგვის ხეობას თვლიან, მისი კონკრეტული ლოკალიზაცია კი არ უცდიათ, თუმცა რ. რამიშვილი თვლის რომ წანარები გარკვეულ პერიოდში დაკავშირებული უნდა ყოფილიყვნენ არაგვის ხეობასა და აქ მოსახლე ფშავ-ხევსურებთან.

საინტერესოა კიბოთეზა წანართა ტომის ზანური მოღვმის ხალხთან დაკავშირების შესახებ. ამ ვარაუდის საფუძველს იძლევა არქეოლოგიური მასალები, რომელნიც მოწმობენ, რომ ზანური მოღვმის ტომებს იღვსდაც მჭიდრო კავშირი ჰქონიათ ჩრდილოეთ კავკასიასთან, რის შედეგადაც ჩამოყალიბდა ე. წ. კოლხურ-ყობანური კულტურა. შემდგომში რუსეთის სამხრეთით მითარეშე ტომების (ჰუნები, სკვითები) დაწოლის შედეგად ზანები უკუდგნენ ჯერ კავკასიონის ჩრდილოეთი კალთების სიღრმეში, შემდეგ კი სამხრეთი ფერდობებზე გადმინაცვლეს. ამ კიბოთეზას ამავრებს ის ენობრივი და ტოპონიმური თანხედრები, რაც მიკვლეული აქვთ ჯონლო გვა-სალიას და გივი ხორნაულს. ჯ. გვასალიას მიხედვით „წანარი“ და სხვა მგავსებანი დღესაც ცოცხლობს თურქულ სვანურში. თუმცა ეს მასალები იმ მასშტაბისა არ არის, რომ უდავო დასკვნებისათვის გამოდგეს და შესაძლოა წინარე ქართული ენიდან იყოს შემონახული.

მამასადაც წანართა ისტორიის ზოგადი სქემა ასეთია: წანარები ცხოვრობდნენ დარიალის მიდამოებში, შემდგომში დაიწვეს მოძრაობა სამხრეთისაკენ, დაიკავეს არაგვის ხეობა, მთისწინეთი (ერწო-თიანეთი), ხოლო იქიდან კახეთის ბარში გადასახლდნენ.

ისტორიის ეს ჯაჭვი შეიძლება ერთი შესვლ-

ვით მტიკვე გვეჩვენოს, მაგრამ მას უამრავი სუბტი ადგილი აქვს.

დავიწყეთ იქიდან, რომ წანართა განსახლების პირველსაცხოვრისად ნაგარაუღვეი დარიალის ხეობა უძველესი დროიდან არაგვის ხეობის ნაწილად ითვლებოდა, მის გავრცელებას წარმოადგენდა და, როგორც ჩანს, იქ მცხოვრები ტომი წილენელთა სახელით იყო ცნობილი, რომელიც არაერთხელ იხსენიება, მაშინ, როცა წანარებს მთიულეთის ტომთა შორის მხოლოდ ერთხელ იხსენიებს ქართველი შემატინე და ისიც „ქართლის ცხოვრების“ ერთ-ერთ ვარიანტში.

წანარეთის ძებნას დღევანდელ ხვეშში ბიძგ აძლევს შემატინისეული ფრაზა „წანარეთის ხევი“, მაგრამ ამ საკითხის თეველმა მკვლევარმა ხომ კარგად უწვის, რომ „ხევი“ აღმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის მნიშვნელობით იხმარებოდა. ამგვარი „ხევეებით“ იყო მოფენილი საქართველო და, თუ ერთ კუთხეს ბოლომდე შერნა სახელწოდება „ხევი“, ეს სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ ის უსათუოდ წანარეთის ხევი.

გარდა მატინეთა არაპირდაპირი და მწირი ცნობებისა, წანარეთის თერგის ხეობაში ძებნას, ავრთვე, ხელს ვერ უწევს ამ ტერიტორიის გეოგრაფიული მდებარეობა, რადგან ჩვეული დიდი-თოვლობის გამო, კავკასიონის პირიქითა მხარე მრავალი თვის განმავლობაში მოწყვეტილი იქნებოდა ბარის საქართველოსაკენ, ეს კი იმდროინდელი კომუნიკაციების პირობებში დიდად შეუძლია ხელს წანართა პოლიტიკურ და სამხედრო აქტივობას.

თუ ისევ გეოგრაფიულ მდებარეობას გავყვეებით, თერგის ხეობის იმ ნაწილში, სადაც ზოგი ვერსიით წანართა პირველსაცხოვრისი იგულისხმება, არ შეუძლია ეცხვროს ისეთ მრავალრიცხოვან ტომს, როგორც წანარები ჩანან. თუ სწორია ბელაძორის ცნობა და წანარებმა ერთ ბრძოლაში მართლაც 16 ათასი მეომარი დაკარგეს, მაშინ ეს შეტად მრავალრიცხოვანი ტომი ყოფილა, აშლენი ხალხის გამოკვევას კი უფრო ვრცელი ტერიტორია დასჭირდებოდა, ვიდრე ნაგულისხმევი ხეობა.

თერგის ხეობაში მცხოვრებ ქართულ ტომს, ალბათ, არ შეუძლია აქტიურად ჩარეულიყო და მთელი თავისი ძალები სამხრეთისაკენ, ბარის საქართველოსკენ წარემართა, მაშინ, როცა ზურგში მტრულად განწყობილი ტომები ეკუთვებოდა. დარიალის ხეობაში მცხოვრებმა ქართველების მისია ქვეყნის ჩრდილოეთი საზღვრების დაცვა იყო და მთელი მათი ძალები ამ საქმეს ხმარდებოდა.

V საუკუნის მეორე ნახევარში, ვახტანგ გორგასალის მეფობის დასაწყისში, არცთუ შორეულ ეპოქაში იმ დროიდან, როცა წანარებმა აქტიურად დაიწვეს ისტორიის ასპარეზზე გამოხედა,

ქართლს ხაზარები შემოვიდნენ, მორაბიეს არაგვის და მტკვრის ხეობები, ტყვედ წაიყვანეს მეფის მცირეწლოვანი და მირანდუხტი და დაუსხველად უპოქცნენ. ჭაბუკმა ვახტანგმა შემდეგ შური იძია მტერზე, დალაშქრა ხაზარეთი და დაც გაიბიხსნა. მაშ, სად იყო წანართა ეგზომ მამაცი და ძლიერი ტომი, თუ ის მართლა თერგზე ცხოვრობდა, რატომ არ ატლუდა შემოიჭულ მტერს ან რატომ ერთი სიტყვითაც არ იხსენიებს მათ მემატანე?

საგულისხმოა, აგრეთვე, რომ „ქართლის მოქცევაში“ იმ ტომთა შორის, რომელთა ქრისტიანობაზე მოქცევას შეუდგა წმინდა ნინო, წანარები არ მოიხსენიებიან. თუქცა არაბი ისტორიკოსი მავხუდი ხაზს უსვამს მათ მტკიცე ქრისტიანობას. ეს მით უფრო თვალშისაცემია, რომ წმინდა ნინო მეფის ერისთავისა და ჯარის თანხლებით სპეციალურად გაემგზავრა მთისკენ, მივიდა წობენს და იქიდან მოუწოდა მთიელ ტომებს: ჭარბულეებს, ფხოველებს, წილკნელებს, გულამაყრდლებს ქრისტეს რჯულზე მოქცევა. აქვლიან იმ დასკვნის გაკეთება შეიძლება, რომ წანართა ტომი მთიულეთის არაგვის ხეობაში არ ცხოვრობდა ანდა ისინი უკვე მოქცეულნი იყვნენ. ამავე ეპიზოდში არის ერთი საგულისხმო მომენტიც, — ქრისტეს რჯულზე მოქცევა არ იხურვა მთიულეთში მრავალმა ტომმა, რის გამოც „ერისთავამან ქართლისამან მცირედ წარმართა მახვილი მათ ზედა და ძალით შემუსრნა კერანი მათნი“. არაგვის ხეობის ტომთა შესახებ მოთხრობა თითქოს ამით უნდა დამთავრებულიყო, რადგან წმინდა ნინო წობენიდან ერწო-თიანეთში გადავიდა იმავე მისიით. ერწო-თიანელები ქრისტეს რჯულზე ნებით მოიქცნენ: „ხოლო მათ შეიწყნარეს და ნათელდეს“. ამ ეპიზოდში რატომღაც საგანგებოდ არის ჩართული ახალი ცნობა ფხოველთა შესახებ: „ხოლო ფხოველთა დაუტკვეს ქვეყანა მათა და გარდავიდეს თუშეთს“. ეს, ვგონებ, იმას უნდა ნიშნავდეს, რომ წმინდა ნინოს, რომელსაც ახალი რჯულის განსამტკიცებლად მეფის ლაშქარიც თან ახლდა, კვლავ მოუხდა ფხოველებთან შეხვედრა, მაგრამ ამჯერად პიარისიზმ, — ერწო-თიანეთს ხომ ჩრდილოეთიდან ესაზღვრებოდა ფხოვი. მეფის ერისთავსა და ფხოველთა შორის ბრძოლა გაიმართა, რის შედეგადაც ეს უკანასკნელი აიყვანენ და თუშეთს გაიხიზნენ. მასასადამე, გამოდის, რომ წმ. ნინოს პირველ მოწოდებაზე ფხოველებს შეიარაღებულ მისიონერებთან კონტაქტი არ ჰქონიათ და წობენში მდგარ მეფის ერისთავს მათზე „მახვილის მცირედ წარმართვის“ საშუალება არ მიეცა; ეს მან მხოლოდ მაშინ შემლო, როცა უშუალოდ ფხოვის საზღვრებთან, ერწო-თიანეთში გამოჩნდა. თუ აღნიშნული ვარაუდი სარწმუნოა, მაშინ უნდა ვიფიქროთ, რომ წობენსა და ფხოვის შორის რომელიღაც სხვა ხალხი ცხოვრობდა და არაგ-

ვის ხეობით მეფის ერისთავის დამსჯელმა მახვილმა ფხოველებამდე ვერ მიადგინა.

ყოველ შემთხვევაში, მემატანის ცნობა ზუსტად ასახავს საქართველოს მთიანეთის იმდროინდელ ეთნიკურ ვითარებას და მთიელთა ყველა ტომი თავის ადგილს არის მოხსენიებული. მარფალია, სახელდებით არ მოიხსენიებიან ხანდლოს ხეველი, ცხავატელი და ხადლენი, მაგრამ, ტრადიციის მიხედვით, ამ ტომებს, რომელნიც მთიულეთის არაგვის მცირე ხეობებში სახლობდნენ, ადრიდანვე მთიულთა ან მთიულთა ზოგადი სახელით მოიხსენიებდნენ. უფრო დამაფიქრებელია, რომ მატანეთს მოხსენიებული არ არიან წანარები, რომელიც თითქოსდა ამ მხარის ჰეგემონი, ყველაზე ძლიერი და მრავალრიცხოვანი ტომი ყოფილა. სპარსელებმა ხომ წანართის მთავარს დაუმორჩილეს მთელი მთიანეთი, დურბუქეთის ჩათვლით, თუ ეს მართლა ასე იყო, მაშინ წმ. ნინოს უპირველესად წანართა კაქრისტიანება უნდა ეცადა, ეს ტომი კი ხართოდ არ ჩანს მთიელ ტომებს შორის. სამაკვიროდ, მოხსენიებული არიან წილკნელები, რომელთაც მაშინ ზოგი მეცნიერის მიერ წანართა პირველსაცხოვრისად მინიჭულ ტერიტორიაზე ე. ი. დღევანდელ ზეგში უცხოვრობდა. დგვასალა „წილკანს“ ასე განმარტავს: „ისტორიულ-გეოგრაფიული რეგიონი, შუა საუკუნეებში თემი აღმოსავლეთ საქართველოში, თეთრი არაგვის (მთიულეთის არაგვის) სათავეებში (ახლანდელი ყაზბეგის ტერიტორია). სახელწოდება მომდინარეობს სიტყვისაგან „წინკარი“ (ქ. ხ. ე. ტ II, გვ. 324). აქვე ნათქვამია, რომ წილკნელები ერთ-ერთი პირველი ტომი იყო, რომელსაც წმ. ნინომ ქრისტიანობა მიაღებინა. ამგვარად, გაურკვეველია: თუ დღევანდელ ზეგში IV საუკუნეში წილკნელები ცხოვრობდნენ, როგორღა იცხოვრებდნენ იმავე ტერიტორიაზე წანარები. წილკნელთა ტომის ამ მხარეში მოსახლეობაზე მიუთითებს, აგრეთვე, სომხური უსახელო გეოგრაფიის ცნობაც, სადაც ნათქვამია, რომ წანართა ქვეყანაში არის „კარი ალანთა და წილკნის კარი“, რაც იმას უნდა ნიშნავდეს, რომ წანარები უშუალოდ აქ კი არ ცხოვრობდნენ, არამედ, როგორც გაბატონებული ტომი, ფლობდნენ იმ ტერიტორიას, სადაც ალანთა კარი იყო და წილკნელები მოსახლეობდნენ, რაც სრულიად ეთანხმება ზემოხსენებულ ცნობას სპარსელთა მიერ წანართის ერისთავის მთიულთა დამორჩილების შესახებ.

არაბთა ბატონობისას დარიალის გზა მტრული ძალების — არაბებისა და ხაზარების გამუდმებული ბრძოლისა და ლაშქართა მიმოხელის ასპარეზად იქცა. 685 წელს დარიალის კარით ამიერკავკასიას ხაზართა ლაშქარი შემოვიდა; მათ ააოხრეს საქართველო და სომხეთი. სამაკვირო ლაშქრობა 717 წელს მოაწყო სომხეთისა და

ადარბადაგანის ამირა მასლამამ. მომდევნო წელს ხაზარები კვლავ შემოიჭრნენ საქართველოსა და შირვანში, მაგრამ არაბებმა ისინი დაამარცხეს. 722-23 წლებში არაბები შეიჭრნენ ხაზარეთში, მაგრამ სასტიკად დამარცხდნენ. არაბთა ხალიფა იაზიდ II ახალი ჯარი გაამზადა და ხაზარების წინააღმდეგ გაგზავნა. ხაზარები არაბთა ლაშქარს საქართველოში, ალაზნის პირას დახვდნენ, მაგრამ დამარცხდნენ და უკუიქცნენ. არაბთა გამარჯვებული ლაშქარი ხაზარეთში შეიჭრა. ხალიფა შამშიის ბრძანებით, ამირა ჯარაბი, რომელიც წინა ბრძოლაში სარდლობდა არაბებს, 729 წელს კვლავ შეიჭრა ხაზარეთში. 737-42 წლებში კავკასიას მოვიდა ყრუ შემოესია, იგი ქსნის ხეობით გადავიდა დარიალში, გზაზე სასტიკად მოაოხრა ყველაფერი და ხაზარეთში შეიჭრა, დამოირჩინა და გაამაჰმადიანა ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებში; მათ შორის მემატაინე დაღესტნელებსაც ასახელებს.

ამ გამუდმებული და გამანადგურებელი ბრძოლების ასპარეზად ქვეყნულ დარიალის ხეობაში მოსახლე ტომს სადღა ექნებოდა იმის ძალა, რომ პოლიტიკური და სამხედრო აქტიურობა გამოეჩინა ბარის საქართველოში. ანდა არაბებს აჯანყებოდა, არადა, ვიცით, რომ 754-755 წლებში წაწარები აჯანყდნენ და არაბებს დიდი საზრუნავი გაუჩინეს. მართალია, აღნიშნულ ლაშქრობათა ნაწილი დარუბანდის გზით ხდებოდა, მაგრამ ეს არაფერს ცვლის; როგორც ჩანს გამუდმებული ომით შეწუხებული წილკნელები ბოლოს აყრილან და სამხრეთით, ასე ვთქვათ, ქართლის მთისწინეთში გადასახლებულან, თუმცა ხევის ტერიტორია წილკნის საეპისკოპოსოში დარჩა და, როგორც გვაუწყებენ, წილკნის ეპისკოპოსი ამ მხარეს ქორეპისკოპოსის, ანუ უსაშწესო ეპისკოპოსის მემკვიდრეობით მართავდა. როგორც ირვეყვა, დღეს ხევში არ მოიპოვება IX-X საუკუნეებზე უძველესი ძეგლი. ყველაზე ცნობილი, ვერგეტის სამება აგებულია XIII-XIV საუკუნეებში; ბეთლემის გამოქვაბულში აღმოჩენილი ნივთები XIII საუკუნეზე უაჭრესი არ არის; არშის ციხე XVI-XVII საუკუნეებს განეკუთვნება. შეიძლება ყველაზე ადრეული იყოს ახალციხის ეკლესია, რომელიც IX-X საუკუნეებს მიეკუთვნება; სნოს ციხე XVII საუკუნეშია აგებული. გარბანისა და სიონის ეკლესიები, ასევე, IX-X საუკუნეთა მიჯნაზეა აგებული (პროფ. ვ. ითონი-შვილი, „ხევი“). როგორც ჩანს, დღევანდელმა ხევმა ისტორიული და სტრატეგიული მნიშვნელობა უფრო საქართველოს გაერთიანების შემდეგ შეიძინა, ამ დროიდან მოქცა საქართველოს პოლიტიკური და სამხედრო ცხოვრების არეალში და აღმშენებლობითი საქმიანობაც ამ დროიდან განიცდის აღმავლობას. ეს კი ის დროა, როცა წაწარები უკვე კახეთში არიან განსახლებული

და მთელი მათი ძალისხმევაც ამ მხარის ათვისებისაკენ არის მიმართული.

როგორც ზემოთ ითქვა, VIII საუკუნის შუახანებში არაბებმა საკანგებო ლაშქრობა მოაწყვეს განდგომილი წაწარების დასამორჩილებლად. ამ ცნობის ავტორი, არაბი ისტორიკოსი ბელადი იბნ-უთეიდს წაწართა დასამორჩილებლად კახეთისაკენ გაულაშქრია. წაწარებს რომ თერგის ხეობაში ეცხოვრათ, არაბთა სარდალი მამინ დარილისკენ უნდა წასულიყო და არა კახეთისაკენ, უნდა გაეკვლ არაბებისადმი მტრულად განწყობილი ტომებით დასახლებული მთელი არაგვის ხეობა. ეს კი შეუძლებელი იქნებოდა თავდასახელებისა და ხიფათის გარეშე, რასაც უსათუოდ აღნიშნავდა ბელადი. ეს ცნობა უფრო იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ წაწარეთი სადღაც კახეთის განაპირას, მის მოსაზღვრედ უნდა ყოფილიყო.

ყველაფრიდან ჩანს, რომ წაწართა თერგის ხეობაში განსახლების სასარგებლოდ მასალები ერთობ მწირი და წინააღმდეგობრივია; ამას თვით ამ ვერსიის მხარდამჭერი მკვლევარებმაც გრძობენ, მაგრამ ხევის წაწართა პირველსაცხოვრისად მიჩნევა ერთი შეხედვით ავსებს აღმოსავლეთ საქართველოს ეთნიკურ რუკას. ვიცით, რომ თეთრი და შავი არაგვის ხეობა ეკავათ მთიულთა ზოგადი სახელით ცნობილ ტომებს: ქართლულს, ხანდოსხველებს, ცხავატელებს, ხაღვლებს, გულდამყრელებს. ფშა-ხევსურეთის არაგვის ხეობაზე განსახლებული იყვნენ ფხოველები, რომელთაგან მოგვიანებით ორი ტომობრივი სახელი — ფშაველები და ხევსურები წარმოდგა. მასხადად, რჩება თერგის ხეობა, დღევანდელი ხევი და რაღაც იმ დროის მატანეებში ტერმინი „მოხვევ“ არ გვხვდება, ამ არეალში შექმნილად ვითავსებთ წაწარეთს, თუცა ამ ვერსიაში დაქვევებული მეცნიერთა ერთი ნაწილი დაკარგულ ტომს არაგვის ხეობაში ეძებს. ეს კი მეტად საკულისხმო მომენტის უკულებღყოფით არის განპირობებული.

მკვლევარებს ყურადღება არ მიუქცევიათ იმ გარემოებისთვის, რომ ფშა-ხევსურეთის არაგვის ხეობა თავიდანვე მხოლოდ ამ ტომებით არ ყოფილა დასახლებული. დღემდე სადავო და დაუდგენელია ფხოვის ლოკალიზაცია, განსაკუთრებით მისი ჩრდილოეთი საზღვრები, არც ის არის გამოკვლეული, რა ნიშნით იყო ერთიანი და რანაირად ვიყო ფხოვი ყოფილ, ალათ-წესხებით, დიალექტთა საგრძნობლად განსხვავებულ ორ ეთნოსად. ცხადი ერთი რამ არის მხოლოდ: ფშაველთა ტომს ან საერთოდ, ან ისტორიის ხანგრძლივ მონაკვეთზე ფშავის არაგვის ქვემო წელზე არ უცხოვრია

მიუხედავად ამისა, ყველა წყაროსა და გამოკვლევაში ვკიოხულობთ, რომ ფშავის სამხრეთი

საზღვარია ვინაღი, ხოლო ზოგი ცნობით — შარახვი. ეს განსაზღვრა ეჭვშეუტანლად არის მიღებული, თუმცა იგი სინამდვილეს სრულიად არ შეესაბამება.

ფშაველი რომ მათი ისტორიული საცხოვრისიდან ფუძე — ფშავიდან, ანუ ორწყალს ზემო ფშავიდან, ამჟამად წინაფშავად სახელდებულ ტერიტორიაზე მოგვიანებით არიან გადმოსახლებული, საეჭვო არ არის. როდის მოხდა ფშაველთა მიგრაცია ორწყლის ქვემოთა ტერიტორიაზე, მნელია თქმა, მაგრამ სავარაუდოდ ეს პროცესი XIII-XIV საუკუნეებზე ადრე არ უნდა მომხდარიყო. მკვლევარი როლანდ თიფნისვილი წერს: „ჩვენს ხელთ არსებული წყაროებით, ფშავ-ხევსურთა ერწო-თიანეთში ჩამოსახლების სურათის აღდგენა ხერხდება XVII ს. II ნახევრიდან“. მაგრამ აქ დაპარაკია ერწო-თიანეთში, ანუ მთისწინეთში ჩასახლებაზე, ამას კი წინ უძღოდა ფშავერი მოსახლეობის ორწყალს ქვემოთ განსახლება, რაც, უეჭველია, რამდენიმე საუკუნით ადრე დაიწყო. ფუძე-ფშავეში წარმოშობილმა ჭარბმოსახლეობის რამდენიმე ნაკადმა გასაქანი ჰპოვა ორწყლის ქვემო ტერიტორიებზე, ხოლო როცა კვლავ წარმოიქმნა ახალი ნაკადი, იგი იძულებული გახდა მთებში გადაეღახა და ერწო-თიანეთის განათავისუფლებულ მიწებზე დასახლებულიყო (ქვემო ფშავიდან ერწო-თიანეთში მიგრაციას ეპიზოდური ხასიათით ჰქონდა, აქაურებმა მოგვიანებით პირდაპირ კახეთ-შირაქში დაიწყეს ჩასახლება). ორწყალს ქვემოთ გადმოსახლებულმა ფშაურმა მოსახლეობამ დღემდე შეინარჩუნა მჭიდრო კულტურულ-რელიგიური კავშირი თავის პირველსაცხოვრისთან, იქ არის მათი სათემო და სრულიად ფშავისხევის ხატები, ყოველმა გვარამ იცის თავისი ფუძე გვარი, მისდევენ ძმობაშიცხოვრების, ანუ ერთი გვარის განაყოფთა ნათესაურ ტრადიციებს... ს. მაკალათაის თავის წიგნში „ფშავი“ მოყვანილი აქვს ვახტანგ მეფის „დასტურდამალის“ ერთი მინაწერი, რომელიც ვინმე დავით ალექსის ძეს ეკუთვნის. იგი 1789 წელს ფშავ-ხევსურეთში ხლებია დავით ბატონიშვილს ამ მხარის გაცნობისა და აღწერის მიზნით. ამ მინაწერში ნათქვამია: „მუნ ყოფას ჩემსა, რაოდენიცა ფშავსა ანუ სრულიად ხევსურეთისა შინა სოფელნი თვალთა ჩემთა ვიხილე, მათ სოფელთა სახელი თვითოეულად ამის უკუი დასტურდამალისა ბოლოს აღწერე. ვინც ნახოო მეც მომიგონეთ. საქართველოს თავადთა და აზნაურთა მართებულა, რომ იცოდნენ ფშავსა და ხევსურეთსა რაოდენი სოფელია და ამა სახელი რა ეწოდება. სრულად ესე არს: ფშავის ხევის სოფელნი ესე არიან: უკანა ფშავი, ახალი, წითელაურთა, ხომარა, წიხო, მუქუ, მათურა, გოგოლაურთა, ცაბაურთა, უძილაურთა, შუაფხო“. როგორც აქედან ჩანს, მინაწერის ავტორი მხო-

ლოდ ფუძე-ფშავის სოფლებს ჩამოთვლის, ეტყობა, ინფორმატორმა საკმარისი არც კი ჩათვალა ბატონიშვილის ამაღლისათვის ორწყალს ქვემო ფშავის სოფლების დასახლება, რადგან ეს სოფლები შემოინამოთვლილი თემ-სოფლების ნაწილად განიხილებოდა.

ორწყალს ქვემოთ ჩამოსახლებულ ფშაველებს აქ დიდი კულტურის ნაშთები დახვდათ: ციხე-კოშკები, ნასოფლარები, სამარხილე გზები, აკლდამები და სხვაფლოები. ეს „ნახოფლოები“, უეჭველია ნასოფლარ-ნაქალაქარებით მოყვანილი ტყეები და გორები ახალმოსახლეთა რიგსა და მოწიწებას იწვევდა. პირველმოსახლებებმა იცოდნენ, ვისაც ეკუთვნოდა ყოველივე, მაგრამ შთამომავლობის ხსოვნამ აღარ შემოინახა.

ამ ტერიტორიაზე დღემდე თავმოყრილია თავდაცვითი ნაგებობათა მთელი სისტემა, რომელიც არ არის დამახასიათებელი ფუძე-ფშავისათვის, მით უფრო იქ არ მოიპოვება ქრისტიანული ეკლესია, რადგან აქაური ხალხი ოდიოტაგნე ხოთიშვილთა წინაქრისტიანული პანთეონის დმერთებს ლოცულობდა.

ფშაური თემის რდევა, ჭარბმოსახლეობის წარმოქმნასთან ერთად, როგორც ჩანს, გამოიწვია უფრო ნაყოფიერი მიწების გამოთავისუფლებამ რომელიც ხალხისაგან, რომელმაც მიატოვა აქაურობა და სხვაგან გადასახლდა, ადგილზე კი დატოვა მრავალსაუკუნოვანი ცხოვრების გრანდიოზული ნაკვალავი.

ვინაგლის არქეოლოგიური ექსპედიციის სპეციალურმა კომისიამ იგანე წიკლაურის ხელმძღვანელობით არაგვის ხეობაზე აღწუსსა უამრავი ისტორიულ-არქეოლოგიური ძეგლი, თუმცა საეჭვოა, ვველა ძეგლი მიკვლეული და არქეოლოგიურ რუკაზე გადატანილი იყოს. ვველაფერი ეს იმაზე მიუთითებს, რომ ფშავის არაგვის ხეობაზე, ვინაგლიდან ვიდრე ორწყალამდე ცხოვრობდა ძლიერი და მრავალრიცხოვანი ტომი, მაგრამ გაურკვეველია, ციცილიზაციის მთელი ეს ნაშთი ამჟამად აქ მოსახლე ხალხის წინაარბებს ეკუთვნის თუ ადრე რომელიმე სხვა ტომი ცხოვრობდა.

ველა საფუძველი, გარდა ტოპონიმიკურისა, არსებობს იმ ვარაუდისთვის, რომ არაგვის ხეობის აღნიშნულ მონაკვეთზე უმეტეს დროში ცხოვრობდნენ წანარები.

პროფ. რ. რამიშვილი არ გამოირცხავს წანართა მონაწილეობას აღნიშნული კულტურის შექმნაში, მაგრამ მიაჩნია, რომ დარიალის ხეობიდან მიგრირებული წანარები ვარკვეულ პერიოდში შეეერთნენ ფხოვის მოსახლეობას, შემდეგ კი კახეთში გადაინაცხვეს.

ამ მოსაზრების ხელაღებით უარყოფა, რასაკვირველია, არ შეიძლება, მაგრამ მეცნიერის შემდგომ დასკვნებზე დამყარებით, უფრო მართებულად უნდა იყოს, რომ ფშავის არაგვის ქვემოწ-

ლი წანართა პირველსაცხოვრისად მივიწინით. ჯერ ერთი, წანართა დარიალის ხეობაში განსახლების თეორიას არც ისე მტკიცე საფუძველი გაანია; წარმოდგენილია, ის უდიდესი მატერიალური კულტურა, რომელიც არაგვის ხეობის აღნიშნულ ნაწილში თავმოყრილი, ბარისაყენ მიგორებულ ტომს შეეძლო, შემდეგ კი ერთბაშად მიეტოვებინა და წაესულიყო. ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ თუ ამ ადგილებში თავიდან ფხოველები ცხოვრობდნენ, მათი შერევა წანართთან უმტკიცვეულოდ არ მოხდებოდა, ეს ხანგრძლივი და სიხსლისმღვრელი პროცესი იქნებოდა, რაც რაიმე კვალს დატოვებდა ისტორიაში ან ზეპირსიტყვიერებაში.

რახან ზეპირსიტყვიერება ვახსენე, მთავარ საკითხს ოდნავ უნდა გადავხვიოთ და ერთ საგულისხმო მოვლენაზე შევიჩინოთ. ფშაურ მითოლოგიაში ოლითგანევი დომინირებს ხთისშილეებისა და ღვეების ბრძოლის მითები, რომელიც შეიძლება ფხოველთა და წანართა ბრძოლას უკავშირდებოდეს. პროფ. თინათინ ოჩიაური თვლის, რომ ფხოველთა ხთისშილებთან მებრძოლი „ღვეები“ უცხოელი დამპყრობლები, ანუ არაქართული ტომის ხალხი უნდა ყოფილიყო. რამისივლი შენიშნავს, რომ „უკანასკნელ პერიოდში მოპოვებული მასალების მიხედვით (ღვეებში) მაინც და მაინც უცხო ტომი არ უნდა დაინახოთ“. ამ საკითხზე მსჯელობისას საყუარდლებოა ღვე-კერპებისა და ხთისშიელთა ბრძოლის არეალის მონიშვნა. მითის მიხედვით, ღვე-კერპთა მთავარი საღაომა კართანა, ის აღვი, სადაც ღღემდე შემორჩენილია უძლიერესი ციხე-სიმაგრის ნაშთი, მრავალრიცხოვან ნამოსახლართა ნაკაღევი, ეღესია და სამაროვანი, ე. წ. „ღვეების საღაღევი“. აქვეა ფშაველთა სალოცავი „თაბლის ქვა“, რომლის წარმოშობა დაკავშირებულია დავთა და ხთისშიელთა ბრძოლასთან. მითის მიხედვით, ღვეებმა „კართანას მარეს არაჯი“ და ხალხს წყალს აღარ ანებებდნენ. ეს, რასაკვირველია, ჰიპერბოლური ხასიათის ეპიზოდია, მაგრამ შესაძლოა სინამდვილის ანარეკლი იყოს. ამ აქტივლას არაჯივი ზენე საუკუნემდე ვიწრო ხერვით მიემართებოდა ორ მადღ კლდეზე შორის, თავდაცვის მიზნით კართანის ციხიონს ადვილად შეეძლო მისი ჩაქუტება და არაგვის ქალების დატბორვა. აქვე დასტურდება ტოპონიმი „ღვეების საბანაო“ — ორმა მორევი არაგვის კლდოვან კალაბოტში. ერთი სიტყვით, მითიდან ჩანს, რომ „ღვეები“ მთავარი საღაღევი იყო კართანა. ისინი იქიდან ახორციელებდნენ „ეჩხანისია“ თუქე-ფშაისაკენ, თუქეა ეს „ეჩხანისია“ ფშაის სიდრეში ცალკეული „ამპონენილი“ ღვეების შეღწევით გამოიხატება. ისინი ცდილობდნენ, თავისი ონტროლისათვის თაქე-ეიმდობრივნი თუკანეფშაის ოა შუაფიოდან კახეთისაკენ გადასახეული გზებით, სადაც დავთა თავმოყრის ადგილებად მითი ახსენებს ღანფ-

ხოსა და ვერხველს თიანეთის მხარეში. თუ ისტორიულ ანალოგებს შევუპირისპირებთ, ღვე-კერპთა მითში შეიძლება ამოვიკითხოთ ორი მოსახლერე ტომის ბრძოლა. მათგან ერთი ძლიერია, იცის რეინის გამოდნობა (რეინის სადნობი ღვემულები შემორჩენილია სოფელ მადარნო), აქვს „ნავთისფლიანი კოჭობი“, აშენებს ციხე-დარაზებს, აგუბებს არაგვს, ფლობს მაქციის ხელოვნებას. მეორე — გაცილებით დაბალ-განვითარებული ტომია და მისი დამორჩილებით „ღვეები“ ცდილობენ, გზა გაიკაფონ ბარისაკენ, დაუფლონ მიხერხებულ გადასახელებას. „ღვეებსაც“ ხომ ადამიანთა სახელები — აეთანდილი, მელანია, მუხა, ბეღელა, ხუმბატი ჰქვიათ. თუმცა ვეგლაფერი ამით არ მთავრდება; ღვე-კერპთა მითი ცალკე შესწავლის საგანია, ვარდა ისტორიული ანალოგებისა, იგი უამრავ რელიგიურ პლასტს შეიცავს და არც ისე მარტივია, როგორც შემოთქმულიდან შეიძლება გვეჩვენოს.

რ. რამისივლი წერს: „გამორიცხული არ არის, რომ მთის ადგილობრივ მოსახლეობას „ღვე-კერპებად“ ჩაეთვალა ის სოციალური ფენა, რომელიც მთაში ბარის პოლიტიკური და ეკონომიკური გაბატონების საქმეს ემსახურებოდა“. მე ვიტყვი, რომ ამ მოსაზრების უფრო დაზუსტება შეიძლება: იქნებ მითში ახასხულია წანავებისა და ფხოველების ბრძოლა. ამავე დროს, გამორიცხული არ არის, რომ წანარები „პრაქტიკულად ემსახურებოდნენ“ ბარის პოლიტიკურ და ეკონომიკურ გაბატონებას მთაში, რადგან მათი განსახლების ტერიტორია უშუალოდ ქართლისა და კახეთის გაგრძელებას, ანუ ამ მხარეთა „მთას“ წარმოადგენდა და შეეძლო მთავრ ბარის შეტევის პლაცდარმად ქცეულიყო.

ამასთან დაკავშირებით, კიდევ ერთხელ უნდა მივუბრუნდეთ „ქართლის მოქცევას“. დაისინის კითხვა — წოხენს მისულმა წმ. ნინომ რატომ არ მოუწოდა წანარებს გაქრისტიანება; ხომ არ ნიშნავს ეს იმას, რომ წანარებთან დაკავშირებით ქართლის სამეფო კარს და ახალი ხარწმუნოების მისიონერებს პრობლემატი არა ჰქონდათ, მთიეულთა მოსაქცევად წახულებამაც თავიანთი ერთგული ტომის ტერიტორიაზე დაიბანაკეს (უნდა ვივარაუდოთ, რომ წანარეთი მოიკავდა მთელი არაგვის „დაღლას“, ხორხის ხეობას, ანანურს ქვემო ტერიტორიას, მთიულეთის არაგვის მარჯვენა მხარის სოფლებს, სწორედ აქ, პაკეუტის რამ ქველში მიკვლეულია უძველესი ციხე-ქალაქი).

ფშაის არაგვის ქვემო წელზე რომ აღრეკვ დამკვიდრდა ქრისტიანობა, ეს აქ შემორჩენილი ქრისტიანული კულტურის ძეგლებით მტკიცდება.

მკვლევარი კ. წერეთელი ვეგლაზე თვალსაჩინო ძეგლს — თვალისი კვლეხის V-VII საუკუნეებით ათარიღებს, ნემისის ბაზილიკას VIII

საუკუნით, გუდრუხის ეკლესიას VIII-IX საუკუნეებით; ამავე პერიოდით თარიღდება კართანის ეკლესია; უძველეს ეკლესიათა ნაშთებია მიკველული სოფელ კუშქაში, კულოს მთაზე, არბანჩინის ნასოფლარში არის დაქცეული ბაზილიკა. საეკლესიო ნაგებობებზე უფრო შთაბეჭდილია თავდაცვითი ნაგებობები: ჟინვანის კომპლექსი, სიმაგრეულა, ყელვათილა, კართანა, კოსტები სოფ. მიგრაულსაში, შარახევის ნაქალაქარი, ნაქალაქარი პავლეურის მთაზე; ამ ნაგებობათა შექმნა მხოლოდ ბართან მჭიდროდ დაკავშირებულ ხალხს შეეძლო და ასეთი ხალხი წანარები უნდა ყოფილიყვნენ. ეს კულტურა, ალბათ, დღეს აქ მოსახლე ტომის ხალხს არ ეკუთვნის, რაც იმიტაც დასტურდება, რომ კართანის ზევით, არაგვის ხეობაში, ჯერჯერობით მიკველული არ არის აღრეკისტიანული ეპოქის საკულტო ძეგლები, არც მნიშვნელოვანი თავდაცვითი ნაგებობები, და მხოლოდ წარმართული საკულტო ძეგლებია შემორჩენილი. ისიც საყურადღებოა, რომ შემდგომ პერიოდში არაგვის ქვემოწელზე განსახლებული ფშაველები გულგრძელად მოეკიდნენ ქრისტიანულ ეკლესიებს, მთლიანად დაივიწყეს მათი არსებობა, სამაგიეროდ ფუძე-ფშაველან წამოღებული სათემო ხატების „ნიშები“ დაამკვიდრეს და მათ თავყანისცემას შეუდგნენ. არც იმის კვალი ჩანს, რომ ფუძე-ფშაველან გადმოსახლებული ფშაველები წინარე ტომის თავდაცვით ნაგებობებს იყენებდნენ. ამ დროისათვის ეს ნაგებობები ან დაქცეული და თავშეაფხვად უყარაღის იყო, ან აქედან კახეთში გადასახლებული ხალხის შთამომავლობა კვლავ ხელსა ღებდა აქაურობას და იქ სხვა ტომის შედწევის ეწინააღმდეგებოდა. წანართა თუ ფხველწანართა მიგრაცია კახეთისაკენ მრავალი საუკუნის მანძილზე უნდა გაგრძელებულიყო და მათ უკანასკნელ ნაშთებს პირობითად XV საუკუნეში უნდა დაეტყვეებინათ აქაურობა. არსებობს გადმოცემა, რომ ჩარგალში გადმოსახლებულთ ეს ხეობა 60 ხარის ფახად უყიდათ, მაგრამ ვისგან იყიდეს, გადმოცემა არ ამბობს. ეს კი იმ ხალხს უნდა ეფიცილიყო, ვისაც აღრეკუთვნილია აქაური მიწა-წყალი.

თუ მივიღებთ პიპოთეზას, რომ წანართა პირიუღესაქოვრისი იყო ფშავეის არაგვის ხეობა, მაშინ სრულიად ნათელი გახდება აქ ამოჩინილი და ბარის კულტურათა იდენტურობის მიზეზი. ყინვალის არქეოლოგიული ექსპედიციის მიერ არაგვის ხეობაზე მიკველულ არქეოლოგიურ ძეგლებს რომ მიმოიხილოაბს, რ. რამიშიილი წირს: „ზემოწამოთილილი ძეგლების მთავალითზე შივიძლია თაბასკნათ. რომ კულტურული აინტაქტიბი მოახა ოა ბარს შორის აინოლ შუა საუკუნეებში ხაქმოდ მხოლოდ იყო. მთის ზეოთომომოდებზე ვივლა ნიშნით იდენტურობა ბარისა,

ხილო კონკრეტულად, გენეტიკურად უკავშირდება კახეთის არქიტექტურას, რაც თვალსაჩინო ხდება შედარებით ანალიზის საფუძველზე“. ამავე დასკვნას აკეთებს გ. რნეულიშიილი. იგი კართანის სამაროვანს, ანუ „დევების სასოფლოს“ VIII-IX საუკუნეებით ათარიღებდა და აღნიშნავს, რომ „არა ჩანს არავითარი სხვაობა ბარში გათხრილ სინქროულ სამარხებთან“.

ერთი სიტყვით, ფშავეის არაგვის ქვემო წელზე მოსახლე ტომის კულტურის იდენტურობა ბარის საქართველოს კულტურასთან დადასტურებული ფაქტია. აქვე აღსანიშნავია ვენახის კულტურაც. მკვლევარებს ჟინვალთან მაღაროსკარამდე 20 კიშის გავლულებული ვაზისთვის მიუკვლევიათ.

ბუნებრივად იბადება კითხვა: არაგვის ხეობის კულტურა კახეთის კულტურული გავლენით არის შექმნილი თუ მის ნაწილს შეადგენდა და მასთან ერთად ვითარდებოდა? ვფიქრობ, საქმე ამ უკანასკნელ პროცესთან უნდა გვექონდეს. არაგვის ხეობაში მცხოვრები წანარები ოდიოთავე კახეთის მოსახლეობის ნაწილს წარმოადგენდნენ, აქედან იცხებოდა მტრებთან ბრძოლებში შეთხლეებული კახეთი, ხილო მასობრივი ხასიათი მიგრაციამ კახეთის სამთავროს წარმოქმნის პერიოდში მიიღო. წანართა „ექსპანსიას“ ბარში, ალბათ გაანაპირობებდა არა მხოლოდ პოლიტიკური ამბიციები, არამედ ეკონომიკური ვითარება, რადგან საჭირო იყო ჭარბი მოსახლეობის არაგვის ხეობიდან გახვლა. წანართა მიგრაცია, როგორც ამტკიცებენ, რამდენიმე ეტაპად განხორციელდა. ჯერ მთისწინეთში, ერწო-თაინეთში, შემდეგ კი თიო-ალაზნის ველუბზე; ერთხანს მთელი კახეთი იგდეს ხელთ, მაგრამ, როგორც ჩანს, ხანგრძლივმა ბრძოლებმა დაშრიტა მათი ძალები და სწრაფად გათქვიფენ ადგილობრივ მოსახლეობაში, დაკარგეს თავიანთ ეთნიკური სახე — თუ იგი საერთოდ გაანადრდა. უფრო საფიქრებელია, რომ ეს ხალხი ახლის იღვა კახეთის მოსახლეობასთან, რადგან განსხვავებული ეთნიკური ელემენტი არ შეიძლება ისე უკვლოდ გამქრალიყო, რომ თავის შესახებ რაიმე ხსოვნა არ დაეტოვებინათუნდაც ტოპონიმებში. ეს ნაკვალავი კი თითქმის არ მოიპოვება, და თუ არა მატრიანეთა ცნობები, ვერახსოვებს რავთობლით, რომ ამქვეყნად წანართა ტომი არსებობდა.

ამრიგად, მთელი ამ მსჯელობიდან გამომდინარე, თუ მტკიცებად არა, პიპოთეზად მაინც უნდა ჩაითვალოს, რომ წანართა ტომი თავიანთივე ცხოვრობდა ფშავეის არაგვის ქვემო წელზე: იგი ეთნიკურად კახეთში მოსახლე ჯართილოთა ახლობლი იყო, მათი ში-რავია მრავალი საუკუნის მანძილზე ხობოთთა ახლოს ბარისაკენ ის პროცესი ითან შუა საუკუნეებში თამბაროთა, ხილო არაგვი წანართათა ანთათ-ისობლებული ტერიტორიები ფშაველებმა დაიკავეს.

ნონა კუბრეიშვილი

ნელი ნვა ბრინჯაოს ფიტული

К. Чуковский — «Почему вы не пишете?»

А. Блок: — «Все звуки прекратились. Разве вы не слышите, что никаких звуков нет?..»

ჩვენს ლიტერატურულ კრიტიკაში თუმა აქა იქ, მაგრამ ზაინც ნაისნის მოთხოვნა ნამდვილად „სოცრეალიზმის ხუნდებში“ შექმნილი მწერლობის გამიჯვნის შესახებ. საქმე ენება, ცხადია, არა იმდენად ნამდვილი თუ ყალბი ლიტერატურული ნაწარმოებებისადმი ჩვენი კეთილმოსურნეობის დონის განსაზღვრას, რამდენადაც თავად მწერლობის, საერთოდ, ხელოვნების არსის, მისი საზოგადოებასთან, უფრო კი პიროვნებასთან, ასე ვთქვათ, „რეგულაციის ველი“ ხელახლა მიაზრებას. დიას, დაგვიდგა დრო, როდესაც საჭირო ვახდა იმის თქმა, რომ „ჩვენ არ ვიცით, უფრო სწორად, დაგვაიწყოდა და შერე არავის შეუხსენებია, რა არის მწერლობა, ამიტომ მისგან იმას მოვითხოვთ, რაც არ მოეთხოვება. გვაიწვივდება, რომ მწერლობა სინამდვილე არ არის, არამედ ახალ სინამდვილეს ქმნის, მეორე სინამდვილეს...“ (თ. ჭილაძე).

დააკვირდით, თითქოს სიტყვებს „დაგვაიწვივდა“ და „შერე არავის შეუხსენებია“ შორის ძეგს XX ს. დასაწყისის ქართული ლიტერატურულ-ესთეტიკური ნააზრების შებღაღღისა და უ-ულეგლყოფის პირქუში ხანა, მწერლობისა და მწერლობით მსაზრდოებელი სულის ურთიერთგაცხობების ნიშნით აღბეჭდილი.

სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, ჩვენ უკვე ბევრი რამ ვიცით ამ ურთიერთგაცხობების მიზეზთა შესახებ, მაგრამ როგორღაც გვიჭირს მათთან უმოთვრისის აქცენტრება, ხაზასმა, წინ წამოწევა, ანუ იმის გაკეთება, რაც უშუალოდ ემუქრება ჩვენივე შინაგანი სტაბილურობის განცდას, გარკვეულ აზრთა მდინარებას, სულიერ საყრდენად ქცეულ კატეგორიებს... ცნობილ მიზეზთა გამო, ამ უმოთვრის მიზეზის ზუსტი სახელდება სხვებზე ადრე ვრ. რობაქიძემ მოგვცა უცხოეთში შექმნილი მრავალ მხრივ მნიშვნელოვან რომანში „ჩაკლული სული“

(1934 წ.) — „ბოლშევიზმის ქვესენულური გამხრწნელი ძალა მის ატმოსფერულ ზემოქმედებაში“. ამ დეფინიციის სიზუსტეს დრო, ალბათ, ჯერ კიდევ გამოავლენს. მაგრამ უკვე ის ფაქტი, რომ მწერლის მიერ ინდივიდის, შემდეგ კი წმინდა გრაალის სიმბოლიკასთან შენივთებული მთელი ერის მაინცდამაინც სულიერების საუფლოს შებღაღღის საშიშროებაა დანახული, თავისთავად მრავლისმეტყველია („ჩაკლული სული“, „გრაალის მცველი“)

აი, როგორ იქნა ახსნილი ეს ძალა ფილოსოფიურ პლანში, მხოლოდ შედარებით მოკვიანებით, მ. მაძარდაშვილის საუბარში ფრანგ სლავისტთან ანი ეპელბუენთან: „ძველ ბერძნებს დასჯის ერთი მეთოდი ჰქონდათ, როდესაც იხინი ქანდაკების (ხარის) ბრინჯაოს ფიტულში სვამდნენ დაამაინს, ქვემოდან უნთბდნენ მას ცეცხლს და ასე ნელ-ნელა სწვავდნენ. დაახლოებით ამას ჰგავს ტრიალტარული ეპოქებისათვის ნიშნული განცდა, მხოლოდ უარეს ვარიანტში, იმგვარში, ბერძნებმა რომ ვერ მოიფიქრეს (სამაისოდ იხინი ზემდგმად უცოდველნი იყვნენ). წარმოიღიანეთ, თქვენს არსებაში, რომელიც ძველი ბერძნების მსგავსად ბრინჯაოსგან იქნება ჩამოსხმული, თქვენვე ჩავსვან და შემდეგ ნელა დაწვის იგივე პროცესი გაიმეორონ. მეც ასევე ვიწვოდი საკუთარი ბრინჯაოს ფიტულის თოინთ. ჩემს მაგივრად უკვე ყველაფერი ნაფიქრი და გააზრებული იყო...“ (სხვათა შორის, ყურადღების ღირსია ამ სიტყვებსო დიალოგის წინასიტყვა, სადაც ფრანგი სლავისტი ეჭვის ქვეშ აყენებს სიტყვათა შეთანხმების „ქართველი ფილოსოფოსის“ შესაღებლობას და ამას თავისებურად ასაბუთებს კიდევ. იქმნება შთაბეჭდილება, რომ ჩვენ ქართულ გვარის „უცხოეთში ხსენებას“ ხშირად იმაზე მეტს ვწირავთ, ვიდრე ეს საჭიროა).

იღეაში ლიტერატურათმცოდნეობაც, ისევე როგორც ვეფლავერი ჩვენს კუმინდელ ცხოვრებაში, სიკეთისთვის იყო მოწოდებული: ადამიანის სულის ზრდა ხელსაყრის დახმარებით, უკეთ, ამ კეთილშობილური მიზნისათვის გარკვეულად შუამავლის როლის შესრულება ადაინანა, ინდივიდსა და ხელსაყრის შორის. მაგრამ როგორც კი ეს იდეა, მ. შამარაშვილისავე განმარტებით, სისტემად ჩამოყალიბდა, „სისტემაში გაქვევდა“ და თან ისე, რომ ზუსტად დაკანონდა, — ჩვენს შემთხვევაში, — მხატვრული ნაწარმოების შექმნისა და წაითხვის კრიტიკულში, და ზუსტად, კონკრეტულად როგორი მომავლისაკენ (კომუნიზმისაკენ) მიხანსწრაფული სული უნდა აღეზარდათ, მივიღეთ იმგვარი დოკუმენტი, რომელიც გამორიცხავდა ყოველგვარ გადახრებს, როგორც „ანტიბოციდისტურისა და ანტიკომუნისტურის მტრულ გამოვლენებებს“. ბუნებრივია, ლიტერატურის „მკვლევარს“ იმგვარად უნდა წაეკითხა მხატვრული ნაწარმოები, რომ იგი უკვე დაკანონებული, სისტემად ქცეული იდეის ილუსტრაციად გამოეყენებინა, ხოლო ცარიელი ადაიღები შინაარსის უბრალო გადმოცემით შეეგოს. ამიტომაც ჩვენმა ლიტერატურათმცოდნეობამ მლითინობაში (ზოგიერთი გამოხატვისის ვარდა), „შინაარსთმცოდნეობის“ სახელი დაიმსახურა (ა. ბარნოვი). შემთქმულის შემდეგ პარაოქსალ არ უნდა მოეგონებინოს, რომ „შინაარსთმცოდნეობა“ მხატვრულ ტექსტს აკვარი იძულებითი სიმარტებით კითხულობდა.

თანამედროვე მკვლევარები „ლიტერატურულ ნაწარმოებს როგორი სტრუქტურის ტექსტს“ უწოდებენ და ამაში, შემთქმელობითი პრობლისის გარკვეულწილად ინარაიონალური ბუნების ადაარების ვარდა, ჩანს ამაი ბუნების მხატვრული უკუთრის ორმა შერაიბში თრთხილი წადობის სურვილიც. ხამისთ თოლოთარია ამოქოიბოული და. იხალია. მრალია საშუალობათა შორის — მწარლის მიერ შექმნილი ვილი ხალიაწაწოლი იარიაჩაიი.

ახალი ამაში არაფერი, თუ „სოციალიზმად“ პერიოდს მოეგვრებთ ივალს და არაერთ თვალსაწინო ლიტერატურულ დასაკვლევახა თუ ესხს მოვიგონებთ. მას, რატომ დაეუკავშირეთ წყნ ასე სააანეოდ ტექსტის შემთქმედებით ისტორია სოცრეალიზმსა და მის ურყევ პრინციპს?

მეტი ხიცხაიისათვის სათქმელი ამთავითეე უნდა ითქვას: უბირეულსად, წარუგმდვაროთ ჩვენს მოსაზრებას კიდევ ერთი ციტაცია თ. შილაძის შემოდასახელებული საუბრიდან, რომელიც მეტად მნიშვნელოვან ზნეობრივ-ეთიკურ მომენტსაც შეიცავს: „...არაერთარ შემთხვევაში არ უნდა აგვერიოს ერთმანეთში ნამდვილი და ზოცრეალიზმის ინეუბატორში გამო-

ჩეილი მწერლობა. უფრო ზუსტად, არ შეიძლება ორივეს ერთნარად მწერლობა ვუწოდოთ. ჩვენში ამკაზად დაშკვიდრებული, ხელოვნულად შექმნილი ლიტერატურული ქოხიდან უნდა გამოვეყოთ, გავაცადკვეთოთ ნამდვილი და ვაღბო შემოქმედებები და თითოეულ მათგანს თავისი სახელი დავარქვათ, არ შეიძლება ხალხს ორი მწერლობა ჰქონდეს, ისევე, როგორც დაუშვებელია ერთი და იმავე ხალხის ორი კულტურის ეროდროული არსებობა... (ხაზგასმა ნება — ნ. კ.)“.

პროფესორი ლიტერატორის ამ კონცეფციის პარალელურად ჩვენს საზოგადოებაში დეხს ივიდებს წარსულის გადაფახვის უარყოფელი მოსაზრებაც, რომელიც გარეკული კეთილშობილებით კველცუობს. სინაზღვილეში იგი, ნეი აზრით, ნაკლებად წაადება ლიტერატურის ისტორიის საფუძელიანი კვლევის საქმეს, ვინაიდან, ვანუკოთახობის საშიში სინდრომის დაშკვიდრებასთან ერთად, ცნებების აღრევახაც უწყობს ხელს. წარსულის ობიექტური სურათი ისევე და ისევე ნაციდი ხერხებით შეიძლება წარმოინდეს: ნაკვიანები შურიხიბებისაგან თავისუფალი ტაქტიითა და სიფრთხილით.

ეს, რაც შეეხება კვლევის მორალურ-ფსიქოლოგიურ მხარეს. 20-იანი, უფრო კი 30-იანი წლებით დათარიღებული მხატვრული ტექსტისა და მოვინანებით შექმნილი ვარიანტების გამოწვლილვით შესწავლას კი სოცრეალიზმის საკმაოდ რთული პრობლემის ნათლესყოფად ერთობ ეფექტური შედეგის მოცემა შეუძლია.

სოცრეალიზმის არსი უშუალოდ უკავშირდება დღეს უკვე დაშკვიდრებულ (დასავლეთის საშეცნეო ლიტერატურაში იგი 30-იანი წლების დასასრულს გახდა ფართოდ ცნობილი. მაგ. 1930-35 წლებში გამოცემულ „სოციალურ მეცნიერებათა ენციკლოპედიაში“ იი ჯერ კიდევ არ არის მოხსენიებული ტოტალიტარიზმის ცნებას. ამას ვერსად გავეცეკეთ, ვინაიდან პირველი მეორის ნაყოფია. ამ მოსაზრებას განსაკუთრებით უსვამს ხაზს მეორე მსოფლიო ომის ჰინახანდელში მყოფი ჯორჯ ორუელი, რომელიც გარკვეულ რაღაც ეტაპზე ერთი და იგივე ათვლის წერტილიდან ჰგერტება კომუნიზმსაც და ფაშიზმსაც. ამდენად, მას ტოტალიტარიზმის უფრო ფართო გაება ჰქონდა: „...ტოტალიტარიზმმა — წერდა ჯ. ორუელი, — წარმოუდგენელი ძალით ხელყო აზროვნების თავისუფლება. უნდა გავხსოვდეს, რომ მის მიერ აზროვნებაზე დაწესებულ კონტროლს ჰქონდა არა მარტო აკრძალვის, არამედ, ასე უქვითა, კონსტრუქციული ფორმაც. აღიკვეთა გარკვეული სახის აზროვნება, მაგრამ ისე, რომ იკულისხმებოდა მისი დასაშვები ნორმა. იქმნებოდა იდეოლოგია, რომელიც



პიროვნებას უსიტყვოდ უნდა მიეღო, მართვადი უნდა ყოფილიყო თვით ამ პიროვნების ემოციები, მისი ქცევის ხასიათი. მოხდა პიროვნების იზოლირება გარე სამყაროსაგან; ხელოვნურ გარემოში გამოშვებული, იგი მოკლებული იყო შედარების საშუალებას. ტოტალიტარული სახელმწიფო სომ ცლილობს კონტროლი გაუწიოს თავის ქვეშევრდომთა არა მარტო აზრებსა და განცდებს, არამედ მათ ქცევებსაც... შეუძლია თუ არა ასეთ ატმოსფეროში გაძლოს ლიტერატურამ? ვფიქრობ, პასუხი მოკლე და ზუსტად უნდა იყოს: არ შეუძლია!

ლიტერატურული პროცესის პოლიტიკაზე ამგვარი დამოკიდებულების წარმოჩენამ გამოკვეთა ორუღლის მიერვე სწორად ფიქსირებული შორეუ მნიშვნელოვანი მომენტები: სამწუხაროდ, მწერლობის ბედის, მისი ხვალისდობის მსგავს კონტექსტში მოქცევა კი მოწმობს, რომ ჩვენ პოლიტიკის საუკუნის ბინადარნი ვართ. მაგრამ ამან არ უნდა ფაგაფეროსოს, რაც უნდა არაორგანული გარემო იყოს პოლიტიკა ხელოვნებისათვის. მწერალმა უნდა მოითბოს თავის თავში ძალეში, რათა სხილის ბიბლიოთეკის ზღვის ურჩხულის, ლეკათანის, მსგავსად ჩასაფრებულ მრავალ განსაცდელს (აქ არ შეიძლება არ მოგვაგონდეს ნობელის პრემიის გადაცემის ცერემონიაზე უ. ფოლკნერის მიერ წარმოთქმული სიტყვა, სადაც იგი მიანიშნებდა „ჩვენი დროის ტრაგიკალიზმს“, „იმ საყოველთაო ცხოველურ შიშზე“, „რომლითაც დიდი ხანია ვძრწვით და რომელსაც შევეპუთე კიდევ...“

სოციალიზმის, უფრო სწორად კი მისი „დამპადა საგნის“ სოციალიზმისა და ტოტალიტარისმის იდენტურობის გაცნობიერება ჩვენთან გაცილებით გვიან მოხდა, 50-იან წლებში დასასრულსა და 60-იანის დასაწყისში.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ სოცრეალიზმის დამკვიდრებას მწერალთა პირველ დიდ ფორუმს (1934 წ.) უკავშირებენ. როგორც მოსამზადებელი პერიოდი, ამ მოვლენას წინ უძღვოდა სტალინის შეხვედრა მწერლებთან მ. გორკის ბინაზე. აღნიშნული შეხვედრა (მწერლების „სულის ინჟინერებად“ მონათვლა, სოციალისტური რეალიზმის სტალინური ფორმულის შემოთავაზება) განსაკუთრებული სერიოზულობითა და მოწინააღმდეგეობით აღწერილი, ისე, როგორც სოციალისტური სტილის ლუკენდას, მითს შეეფერება, სადაც მთავარი მოქმედი გმირი ყოვლისშემოღწე ბეღალია.

დრომ ყოველივე ამაში მისთვის ჩვეული კორექტივი შეიტანა. ლექს ჩვენ საშუალება გააჩვენს გორკის ბინაზე შემდგარი ისტორიული შეხედარის ღამის სტენოგრაფიულ ჩანაწერს გავეცნოთ. ეს არის ნ. ზელებისკის „ერთი შეხ-

ვედრა გორკის ბინაზე“ (ჩანაწერი დღიურიდან). ამ ჩანაწერში ცრუმონუმენტურს მიღმა, არსებული დეტალებით, ნიუანსით, რეალიკით ეპოქის განუყოფელი ხელწერა შეიგრძნობა:

„— ამხანაგო სტალინ, როგორ აფასებ მსოფლმხედველობას? — ეკითხება კირიშინი. სტალინი აპირებს პასუხის გაცემას დამჯდარი, მაგრამ მეუფ დეგება, ყველას რომ ესმოდეს მისი: — თქვენ ამბობთ: დიალექტიკური მატერიალიზმი, დიალექტიკა. შეიძლება იყო კარგი ხელოვანი და არ იყო მატერიალისტი. იყვენ ასეთებიც. მაგალითად, შექსპირი.

— პუშკინიც, — შეაშველებს ნიკოფოროვი. ავერბახი მამამალა აცხადებს:

— კი, მაგრამ ჩვენ გვსურს შევექმნათ სოციალისტური ხელოვნება, ამხანაგო სტალინ.

ნიკულინი:

— ერთი ამას შეხედეთ, ჯერ ორკომიტეტშიც კი არ შეუყვანიათ და უკვე სტალინს უყვირის.

ყველა იცინის. სტალინი დინჯად აგრძელებს

— მე გონია, თუკი ვინმე სერიოზულად დაუფლება მარქსიზმს, დიალექტიკურ მატერიალიზმს, ის ლექსების წერას როდი დაიწყებს, არამედ მეურნეობას მოჰკიდებს ხელს ან სულაც ცენტრალურ კომიტეტს დაუმიხნებს. ახლა ყველას ცკ-ში სურს მოხვედრა.

საერთო სიცილი.

— განა პოეტს არ შეუძლია იყოს დიალექტიკოსი? — ეკითხება ლუგოვსკოი.

სტალინი:

— შეუძლია, რა თქმა უნდა, და კარგიც იქნება დიალექტიკოს-მატერიალისტი თუ გახდება. მაგრამ მე იმის თქმა მინდა, რომ ლექსის დაწერის სურვილი გაუქრება. ვზუმობ, რა თქმა უნდა. მაგრამ თქვენ თუზისებით არ უნდა გადაუტვირიოთ გონება ხელოვანს. ხელოვანმა სიმართლით უნდა ახახოს ცხოვრება. თუკი ის ჩვენს ცხოვრებას მართლად ახახავს, შეუძლებელია არ შეამჩნიოს, არ ახახოს ისიც, რასაც ეს ცხოვრება სოციალიზმისაკენ მიჰყავს. ეს იქნება სწორად სოციალისტური რეალიზმი...“

ამ „უწყინარ“ დიალოგშიც კარვად ჩანს „რავალთა“ (ვ. კირიშინი, ლ. ავერბახი) მისწრაფება ლიტერატურაში დიალექტიკურ-მატერიალისტური მეთოდის დამკვიდრებისაკენ. „რომელიც ლიტერატურისა და ფილოსოფიის ყოვლად გაუძარცვებელ ათიივებას უნდა დაყრდნობოდა“. სტალინი აშკარად ესწრაფვის სიტუაციის განმუხტვას და ლიტერატურული პროცესის განსხვავებულ ბუნებაზე მიუთითებს (...დიალექტიკოს-მატერიალისტი თუ გახდება... ლექსის დაწერის სურვილი გაუქრება...). მას საკუთარი სამირკველი აქვს დამკნინილი მომაჯლისათვის, ამიტომაც საუბრობს ასე შეპარვით, იუმორის ოსტატურად მოშეკლებით.

იკვებება კიდევ ერთი საბჭოური პარადოქსი: ჩვენს მწერლობას სოცრეალიზმზე უარები ზვედრი ელოდა, საიდანაც იგი სტალინიმა იხსნა. ეს მოსაზრება ბოლომდე რომ არც — გავიზიაროთ, ყურადღების მიღმა არ უნდა დავტყუდებოთ უფრო გვიანდელი დღეინიცა „ფორმით ნაციონალური, შინაარსით სოციალისტური“ მწერლობის შესახებ, რომელიც, მიუხედავად უკიდურესი დეკორაციებისა, ერთეული თვითმყოფადობის დადარჩენის ილუზიას ტოვებდა.

ახეა თუ ისე, საკავშირო ვრილობაზე მწერლები უკვე მონუსხულობის პირველ სერიოზულ სიმპტომებს ავლენენ, მაგალითად, ბაბელი. იგი პირდაპირ აცხადებს: „წერა სტალინისაგან უნდა ვისწავლოთ...“ მინც როგორია ჩვენი, დღეს უკვე შეზღუდულად, ცალმხრივად, ტენდენციურად მიჩნეული თვალთახედვა ხელოვნებაზე, მწერლობაზე? იმ სოციოლოგიური მიდგომის ჩვენა, რომელიც დღემდე ცოცხალია ჩვენში და ხშირად გაუქმებულ და არა განკურნებულ ი სენის მსგავსად იმენს ხოლმე თავს.

მივმართოთ არასტანდარტულ განმარტებებს: ამერიკაში ემიგრირებულ რუს მოქანდაკე-მონუმენტალისტს, ერნესტ ნეიზევსკინის, არაორდინალურად მოაზროვნე პიროვნებას, ერთი ამგვარი შედარება მოჰყავს: „ძველ ეგვიპტურსა და ბერძნულ ხელოვნებაში, რომელსაც ჩვენ ხალისით ვსწავლობთ, — ამბობს ნეიზევსკინი, — არ არსებობდა ხელოვნება „მასისა“ და „რჩეულთათვის“. პრინციპები სტრუქტურა დეკორაბას, რომელსაც ჩვენ გლეხის ოჯახიდან აღბეულ თაფშსა თუ კოვზზე ვხედავთ, არაფრით განსხვავდებოდა სამეფო სერვისის მონატორობისაგან. მასალა განსხვავებულია, და ეს გასაგებიცაა, მაგრამ შესრულების პრინციპი — ერთი“.

ალბათ, მოქანდაკისათვის ჩვეულმა ამ საოცრად ვიზუალურმა მტკიცებამ იმ უბრალო დასკვნამდე მივიყვანა, რომ ჩვენი, ეხვადღით რა, პირობითად, კოვზსა თუ სამეფო სერვისზე იდენტურ ორნამენტებს, ფაქტობრივად, ვერ ვამჩნევდით ამ მსგავსებას. მხოლოდ იმ განსხვავებას აღვიქვამდით, რაც მასალებს შორის არსებობდა. პირველი ჩვენთვის იყო თიხის (იგივე ღარიბთა) ხელოვნება, მეორე კი ფაიფურისა (იგივე მდიდართა). ამჯერ მტრულ, ერთმანეთთან შეუთავსებელ შეხედულებებად ყოფდით ჩვენ დღითისაგან ბოძებულ ერთიანობას, შემოიწირე პარმონიას, რითაც არა მარტო გზამდევდით, არამედ სულიერად ვდატაკებდით.

დღეს ამგვარი მსჯელობა ადვილია და თითქოს პრესტიჟულიც, რთული კი ითი იყო მაშინ, როდესაც ყოველივე ამას სრულიად მიზანსწრაფულად ვერებოდა საოუქველი და აი, როგორ: ახალი სამყაროს შექმნის ილუზიით.

სხვა სიტყვებით, ისეთი გარემოს დანერგვით, სადაც არ არსებობდნენ არც ეს ძველეგვიპტურ-მეგლბერძნული კანონები, არც უმძაფრეს ადამიანურ ვნებათა ელემენტი დამტკევი უთვალავი მხატვრული სტრეიონი, არც ბიბლიური თუ მითოლოგიურ თემებზე შექმნილი ფერწერული ტილოები, არც ადამ-ჩვევები, ტრადიციები: მაგ. რელიგიური დღესასწაულები ან ქართული სინამდვილისათვის დამახასიათებელი ძუძუმტეობისა თუ გაძიძავების უწვეული ინსტიტუტები. ყველაფერი თავიდან უნდა შექმნილიყო, თავად ადამიანიც კი. აქედან — ახალი რელიგიის რანგში ავეყნილი პირველშექმნილის ის ვინი, რომელსაც რუსი თეატრმცოდნე ი. ვიშნევსკიაი საბჭოთა „რობინზონიადს“ უწოდებს.

საბჭოთა „რობინზონიადის“ კლასიკური ნიმუშია კ. ლორთქიფანიძის მითხრობა „პირველი დღა“ (აქ ტერმინოლოგიაც უსუსტადა დაცული — პირველი). მითხრობის გმირს, ახალგაზრდა ქალს გაიანეს ახალი ღრეობა იმგვარ ცხოვრებას აძალებს, რომელიც მისთვის ეჭვქვეშ აყენებს საერთოდ დედობის საჭიროებას. გახდება თუ არა „პირველი დღა“? — ეს „დიდებმა“ ავტორისათვის ღიადაა დატოვებული. რაც შეეხება გაიანეს, მის „მკიერ ოღისას“ ქართულმა საბჭოთა კინოტიპამ „ქართული ქალის სულიერი აქტივიზაციის რთული გზა უწოდა (ვ. შერკვილაძე).

ცხადია, ლიტერატურის „ნულოვანი ციკლიდან“ დაწყება ემუქრებოდა არა მარტო მწერლობის პროფესიულ დონეს, არამედ საზოგადოების მორალურ-ეთიკურ პრინციპებს. ვინ უნდა ყოფილიყო ასეთი მწერლობის გმირი? რამდენიმე წლის წინათ გამოქვეყნებულ წერილში „უდინსებო კაც“ ა. ბაქრაძემ გარკვეულწილად უპასუხა ამ კითხვას.

ი. ვიშნევსკიაისა და ნაწილობრივ ა. ბაქრაძესაც აკვირებთ საბჭოთა ლიტერატურისა თუ ღრამატურების გმირთა ერთგვარი მოუნანიებლობის გრძნობა. უღრისი საქციელი (არა-თუ უცხვებად, გააზრებულად ჩაღრინოვ კი) ამ გმირებში არავითარი სინანულის გრძნობა არ იწყებს (როგორც ეს „ძველ“ მწერლობას ჩვეოდა). პირიქით, იგი ახლად გახსნილი სუნთქვის, „მეორე“, „ნამდვილი“ ცხოვრების საწინდრად იქცევა. მეტიც, ძველზე ხშირად საკუთარ ფეხებზე შედგომის აუცილებლობა მათში ხასიათის უცილობელ კომპონენტადაა ჩაღრული. ცხოვრება ხომ ამას შემზარავი ყოველდღიურობით ამკვიდრება. ამიტომაც ხელოვანი ცხოვრებიდან აღებული ეპიზოდით ვათვლვის ამ მათოს ისე გადმოსცემდა, რომ მასში „ძველი სამყაროს უაფროვის“ და „ახლის ძალაუფლების“ სიმბოლიკას დებდა. თვით სიმბოლის მხატვრული გააზრების ხილმე, მისი მითოსური თუ სხვაგვარი საწყისები მწერ-



ლის ინტელექტსა და ნიჭიერებაზე იყო დამოკიდებული: მაგ. არზაყან ზვამბაია და მეტი ვაშაძე: ერთმა მამის მკვლევლობით, მეორემ კი ერთი ნორტახის ლუქანში შეკრებილია დასმენითა და თალკოს გაწირვით გააღწიეს „გაღმა ნაპირს“. ორივემ ადილიად გადალახეს „ზნობრივი რუბიკონი“, მაგრამ, ცხადია, მხოლოდ ამის გამო ამ სახეთა ერთ მხატვრულ სინდრეზე გააზრება გაუმართლებელი იქნებოდა.

კ. გამსახურდიას რომანში, უფრო სწორად, ამ რომანის პირველ ვარიანტში (1936 წლის გამოცემა) ინცესტისა და მამისმკვლელობის ეპიზოდებს უდიდესი მხატვრული დატვირთვა აქვს (იხ. ამის შესახებ ვერცლად — ხ. სიგუა „კ. გამსახურდიას პროზის სტრუქტურა“, 1989 წ., მისივე შესავალი წერილი „მოთვარის მოტაცება — ეპოქის დოკუმენტი“, რომანის 1990 წლის გამოცემისათვის). ნაწილობრივ, ეს ჩვენს მიერ აღრე ნახსენები გრ. რობაქიძისეული „ქვესკნელური გამგონველი ძალის“ წინანსწარმეტყველური შეგრძობაც იყო. აქ არა იმდენად კონკრეტული პიროვნება, არზაყან ზვამბაია ჰქვამს საკუთარ მამას, რამდენადაც ახალი ძველისადმი უღმობლობას (სწორედ ამ უღმობლობის ხარისხს ავლენს შვილის მიერ მამის მოკვლინება) ამჟღავნებს. ინცესტიც ისევე ამზადებს მკვლევლობის გარდუქობას, როგორც ვაჟსთან აღუდას სიზმარი უცვალისათვის მოზრვის შეწირვის ეპიზოდს. და ეს მიუხედავად იმისა, რომ საზარელი ხილვა მკვლელს (არზაყანს) კი არ ეწვევა, არამედ მსხვირპლს (კაც ზვამბაიას).

„მოთვარის მოტაცებაში“ მართლაც ისეთ ეპითარებასთან გვაქვს საქმე, როდესაც ახალი, მეორე რეალობა იქმნება, რომელშიაც კარგად იკითხება პირველი, ანუ ნამდვილი რეალობა, ადამიანთა ყოველდღიური ყოფა. ჩვენ მხოლოდ ისდა დავგვრჩენია ვივარაუდოთ, რომ რომანის პირველი გამოცემის, ასე ვთქვათ, პარტიულ ფუნქციონერ მკითხველთა შორის გონიერი ხალხიც ერია, რომლებმაც ყოველივე კარგად დაინახეს, მაგრამ განმარტება დაუშვებლად მიინჩნეს. ამიტომაც „მოთვარის მოტაცებებიდან“ ამ ეპიზოდის აძლვებას უმტკივნეულო და თანაც უმარტივესი ასხნა მოუძებნეს: კომუნისტს ჩრდილს აყენებს მამის მოკვლა, თუნდაც ასეთი მხატვრული დამაჯერებლობით აღწერილით.

სხვადასხვა თაობის კრიტიკოსებმა, დაწვეებული ვეღლაზე ერთუღოთაგან (ბ. ჟღერტი, დ. ბენაშვილი) სწორედ ეს ოფიციალური ვერსია განავითარეს და არზაყან ზვამბიას, არა როგორც მხატვრული ნაწარმოების გმირს, არამედ სულიერ ადამიანს შეუტყეს (თუ მოვიგონებთ, უკანასკნელ პერიოდში იგივე ხდებოდა „ჯაყოს ხიზნების“ მიმართაც), ხოლო რაც შეეხება

პირველგამოცემის აღდგენის მოსურნეთა საწინააღმდეგოდ ერთ-ერთ უპირველეს კონტრარგუმენტად მ. ჯავახიშვილის წერილის გამოყენებას — აქ ერთი ძნელად სათქმელი მოსაზრება უნდა გამოითქვას. „მოთვარის მოტაცების“ შესახებ შექმნილი წერილი 1936 წლითაა დათარიღებული. გვაქვს კი წვენ რეალური, ფაქტობრივი საფუძველი მ. ჯავახიშვილის ამ წლების (იგულისხმება 30-იანი წლები) პუბლიცისტიკა, მე მივირის ამის თქმა, მაგრამ კონსუქტურული რომანები, კონსუქტურული შემოქმედებითი გეგმები, — ვეღლაფერი ის, რაც ძლიერ მიესადაგება „ჯაყოს ხიზნებში“ მწერლის მიერ მიგნებულ ავადმყოფობას, სახელწოდებით „ნებისყოფის აბულია“, — ურყვე ჭეშმარიტებად მივიღოთ! ვფიქრობ, რომ ეს გაუმართლებელი იქნებოდა. „მოთვარის მოტაცებაზე“ უფრო ობიექტური თვალთახედვის გამჟღავნების უფლება მწერალს მამის ჩამორთმეული ჰქონდა.

საბოლოო ჯამში დაზიანდა მწერლობის პრინციპები და დამკვიდრდა ცრუმხატვრობის საშობში გახვეული მოძვებიანი სივალბე (სხვათა შორის, 1959 წელს დაახლოებით იგივე აზრს ავითარებდა ბ-ნი დევი სტურვა რომანის ახალი გამოცემისადმი მიძღვნილ წერილში).

რაც შეეხება მეტი ვაშაძეს, აქ საქმე თითქოს უფრო მარტივადაცაა და, იმპედროდალ, უფრო რთულად. მარტივად, ალბათ, იმიტომ, რომ მექის ხასიათის ერთობ დიდილქტიკური სტრუქტურა ეგუძმება არა იმდენად გმირის ხასიათის განვითარების შინაგან ლოცკას, რამდენადაც წინასწარშემუშავებული იდეის ილუსტრაციას, იმ იდეისა, რომელმაც ზედმიწევნითი სიზუსტით იცის, როგორ მიიღწევა „ბედნიერება“ საბჭოთა ადამიანისათვის.

კ. ლორთქიფანიძეს უდავოდ გააჩნდა მწერლური აღლო, რისი წყალობითაც გრმობდა ამ უზერზულობას. ნაწილობრივ ამით შეიძლება აიხსნას ის ცვლილებები, რაც მექის იერსახემ განიცადა („გაკეთილშობილების“ მკეთორად აამოხატული ტინდენციით) და რაც, სხვათა შორის, რომანის მდლიან სტრუქტურაში ვანუწყვრტილი შტანლილ შესწორებების პარალელურად ხდებოდა.

იმთავითვე უნდა ითქვას ამ პროცესის უმთავრეს ხასიათზეც. შესწორებანი, შეტანილი მექისა და სხვა გმირების (ჩანსაკუთრებით, თალიოს) ხასიათთა „მეტი მხატვრული დამაჯერებლობისათვის“, ამჟარად უფერულდება იდიოლოგიური ეულირობის იმ პროცესის ეკრდით, რომელმაც რომანის მრავალმა გამოცემამ აანიცადა (ჩვენ ხელთ გაქონდა 1934, 1952, 1963, 1972, 1982 წ. წ. გამოცემები).

იქმნება შობაბჭვლილება, თითქოს მკითხველი შემოქმედებითი პროცესისაგან საკმაოდ დაშო-

საქართველო
საქართველო

რეპლიც საქმიანობის უნებელი მოწმე ხდება. ხალაყი, ჩანასახშივე კვლავ მწერლობის, თავისი ბუნებით დაუცველი და ამასთანავე უდიდესი ზემოქმედების უნარის მქონე ძალა და ცნაურდება, იკვეთება უფრო პოლიტიკის დეპარტამენტისათვის განკუთვნილი „მეზღების ქალაქის“ სტილი, ხალაყი მოწინააღმდეგეზე არაჩაკლებ საშიში ის „სოცკავშირეა“, რომელიც არაფის პატიობს ზღარვადასულ სიმართლის მოყვარეობას. არსებითად, იგივე იყო სტალინის მიერ წამოყენებული „სიმართლით ასახვის“ ფორმულაც, ბოლშევიკური „მართლის თქმის“ პრინციპი, რომელიც საფუძვლად უნდა დასდებოდა სოციალისტურ რეალიზმს.

ჩემი პოტენციური ოპონენტების (იხინი, ალბათ, აქცენტს ამგვარი მსჯელობის ტენდენციურობაზე გააკეთებენ) დასამშვიდებლად შემძილა ვთქვა, რომ სოციალისტური რეალიზმის პირობებშიც შეიქმნა არა ერთი მაღალმსახტრული ნაწარმოები; აქ უადვილო არ იქნება დასავლეთგერმანელი სლავისტიკის, წიგნის კრიტიკული რეალიზმიდან სოციალისტურისკენ“ (1973 წ.) ავტორის როლფ-დიტერ კლიუგის სიტყვების დამოწმება: „...საბჭოთა მწერლობის I ყოვლობაზე მხოდა ერთგვარი კანონზაცია, დოგმატიზირება სოციალისტური რეალიზმის მეთოდისა, ვიცით ამ დოგმატიზმის არა ერთი მსხვერპლის, არა ერთი შემოქმედის ტრაგიკული ხედრის შესახებ. მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება. სოცრეალიზმი იყო ის დოგმა, რომლის ნიშნის ქვეშაც ერთგვარად საბჭოთა ლიტერატურა 1934-56 წლებში, ამან კი ბევრად განსაზღვრა საბჭოთა ლიტერატურის ბედი... არც ის უნდა გამოეგრეხ მხედველობიდან, რომ პოლიტიკური იხტორიის ამ მონაკვეთში, რომელიც სტალინიზმის იხტორიასა და სოცრეალიზმის იდეოლოგიის ბატონობას დაემთხვა, შეიქმნა ლიტერატურული თაღსაზრისით მნიშვნელოვანი არა ერთი ნაწარმოები...“ მაგრამ, ჩვენი აზრით, სოციალისტური რეალიზმი, როორც „მწერლობათვის სახელმძღვანელო ერთობლივი შემოქმედებითი მეთოდი“ აქ არაფერ შუაშია.

50-იან წლებშივე რუსული ლიტერატურათმცოდნეობა მიუთითებდა სოცრეალიზმის ეკლექტიურობაზე. მის აბსურდულ ხასიათზე, რომელიც ტერმინშივე იყო ჩაღებული. ამ მხრივ, ცხადია, გვერდს ვერ აუგვილით 1956 წელს შექმნილ და შემდგომ უცხოეთში გამოქვეყნებულ ა. სინიაუსკის წერილს «Что такое социалистический реализм?» — სტალინის სოციალისტური მეთოდი დაწვებული ახალი ეპოქის ნონკონორმისტული ანწილობების ერთ-ერთი გამოვლინების იდას მონჩილითა „საქმიანი“ ანალიზის საკმაოდ მძლავრ ფონზე. თუმცა სოცრეალიზმის გარშემო გამართულ დისკუსიებზე,

რომელიც დღეს შეინიშნება, ფიქრი ჯერ კიდევ ნაადრევი იყო...

სინიაუსკისებურად (და მიმანია, რომ მართებულად) განწყობილი, უპირველესად, მიუთითებენ რეალიზმის, როგორც სკოლის, მწვობრ სისტემაზე, რომელსაც თავისი სტილი, ადეკვატური ასახვა აქვს ხელოვნების, ლიტერატურის ისტორიაში. მაშინ, როდესაც სოციალისტური რეალიზმი, მართლაც, მოიცავს პაროდისებურ „უნაპირო რეალიზმს“, რომელიც დიტევეს ყველაფერს, რაც თავად სოციალისტური სისტემის, როგორც პოლიტიკური რეჟიმის, არსებობას გაამართლებს. აქედან — ერთიანი სტილის უქონლობა, რითაც იმავე ენეივესტინის აზრით, გამოირჩევა სოციალისტური რეალიზმი, მხელი სათქმელია, რა სტილისტური თუ სტრუქტურული ხასიათის განსხვავება შეიძინევა რეალიზტურ „ტარიელ გოლუასა“ და სოციალისტური რეალიზმის შედგერად მინეულ „გუადი ბიკვას“ შორის. თუ „გუადი ბიკვა“ სოცრეალიზმის მეთოდით შექმნილ ნაწარმოებად იმიტომაც ითვლება, რომ მასში სოციალისტური იდეის, კერძოდ კი კოლექტივიზაციის აშკარა პროპაგანდა იგრძნობა? განა „კოლხეთის ცისკარი“ ყოველი მორიგი გამოცემისათვის, რბილად რომ ვთქვათ, საფუძვლიანად შესწორებული რაიმე ერთიანი სტილის, მით უფრო, არქექტივის მატარებელი მხატვრული ნაწარმოებია? პირიქით, ყოველ ათ წელიწადში (გამოცემებს შორის კი შუალედი დაახლოებით ასეთი იყო) ნაწარმოების ტექსტზე გავსულმა მუშაობამ, აირეკლა რა იმდროინდელი ქართული მხატვრული პროზის ერთგვარი „რეკონსტრუქციის“ პროცესი, გამოავლინა ავტორის წერის მანერის, სტილის კარად შეთვისებული, შექმნილი ხასიათი. შემოქმედებითი მეთოდისადმი (და არამარტო მეთოდისადმი) რომელ ერთგულებაზე შეიძლება აქ საუბარი?

სოცრეალიზმის შექმნის ისტორია კიდევ ერთი კომუნისტური ყაიღის კურონს გვაძრებს. საკავშირო მწერალთა კავშირის ორგკომიტეტის პირველი თავმჯდომარის ი. მ. არონსკის მოვონებებში ვხედავთ უკვე ავადმყოფ ა. ლუნაჩარსკის, ფაციფუციით რომ აღენს მოხსენებას სოცრეალიზმის შესახებ, რომელშიც მისი მოხაზრება ამ საკითხზე სტალინისა და ე. წ. სპეციალური კომისიის აზრს უნდა „დამთხვევლა“. მოხსენებაში ა. ლუნაჩარსკიმ განაცხადა: „სოცრეალიზმი — ეს ფართო პროგრამაა, რომელიც ეულისხმობს მრავალ სხვადასხვა მეთოდს, რომლებიც ჩვენ აქამდე ექონდა და მომავალშიც არა ერთი გვექნება. მაგრამ თავად იგი მთლიანად ეძლევა პროზას, მშენებლობას, ვინაიდან ხჯერა კაცობრიობის კომუნისტური მიმავლისა...“ სწორედ ამ



გამონათქვამს ურთავს თავის კომენტარს ი. გრონსკი: „იმ დროს (30-იანი წლების დასაწყისში) იქმნებოდა საბჭოთა ხალხის და, ცხადია, შემოქმედებითი ინტელიგენციის მყარი მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა. იქმნებოდა მწერალთა, მხატვართა, კომპოზიტორთა ერთიანი შემოქმედებითი კავშირები, იქმნებოდა სხვადასხვა დაჯგუფებებისა და მიმდინარეობებისაგან, რომლებსაც განსხვავებული წარმოდგენა ჰქონდათ ხელოვნებაზე, მის დანიშნულებაზე საზოგადოებაში. ყველა მათგანი აქამდე საკუთარი „პლატფორმითა“ და მეთოდით იყო აღვსურებილი და ა. შ. ხელოვნებაში შექმნილ ამ ვითარებას კარგად იცნობდა ა. ვ. ლუნახარსკი და მას იგი უნდა გავითვალისწინებინა კიდევ დიდი აუდიტორიის წინაშე გამოსვლის დროს. ეს აუდიტორია კი მიხვან ელოდა პასუხს უმთავრეს კითხვაზე: ხომ არ მოიმწვევდეს ვიწრო ჩარჩოებში სოცერეალიზმის მეთოდი ხელოვნების შემოქმედლებით შესაძლებლობებს? აღბაძ დაშთანხმებით, რომ სოცერეალიზმის მრავალგვარობაზე მინიშნებით, ლუნახარსკიმ ეს ამოცანა არცთუ ისე ცუდად გადაწყვიტა...“

როგორ უნდა გავივთო ეს უკანასკნელი სიტყვები? ისე, რომ ა. ლუნახარსკიმ, უბრალოდ, მოატყუა ინტელიგენცია თუ სოცერეალიზმის მეთოდი მართლა არაფრით ზღუდავდა შემოქმედის ინდივიდუალობას? პასუხი ნათელია.

თუ ბოლომდე გავიზრებთ მნიშვნელობას სიტყვებისას: „სოცერეალიზმი პარტიის სამხატვრო პოლიტიკაა“, უნდა ავხსნათ იმ უკიდურესი უნდობლობის მიზეზიც, რომელსაც ხელისუფლება ხელოვნების, კერძოდ კი, ლიტერატურის მიმართ იჩენდა. მართლაც, ქვეყნის ხელმძღვანელები იმგვარად აღჭურვილნი ხელოვნებას, რაც გვაროვნულ წყობილებას უფრო შეეფერებოდა, ანუ იმ წყობილებას, რომლის დროსაც საგანგებოდ დახატული მამონტის შუბით ვახვრებით მომავალი ნადირობის წარმატების გარანტიას იღებდნენ. ე. ი. არსებობდა რწმენა ხელოვნების მაკიური ძალისადმი, ფორმისა და სიტყვიერი ფორმულის ძალისადმი... კომუნისტები ებრძოდნენ ხელოვნების წარმომადგენლებსაც, ხედავდნენ მათში რაღაც დემონურს...“

რომ აგრძნობინა ამგვარი საფრთხე ოფიციალს, უკეთათ, „დამპატივები“?

მაიქციეთ ვურადლება, შემოქმედებითი პოეტენციალის დემონიზირება ხელისუფალთა მხრიდან ძირითადად უკვე არსებული სამწერლო სახელის გამო ხდებოდა. ასეთ მწერალთა მხატვრულ სიტყვას განსაკუთრებული რეზონანსი რომ ექნებოდა, იგივე ხელისუფლება ამაში დარწმუნებული იყო და არცთუ უსაფუძვლოდ. სწორედ მათი მიმხრობა, დამსგავსება, რასაც მათინაც გარდაქმნას უწოდებდნენ, მართლაც

რომ სასური საქმე იყო. ბ. ბუანიძემ 1929 წელს გამოქვეყნებულ ერთ მიმოხილვაში შემდეგი ფრაზითაც ცხადყო ამგვარი ჩანაფიქრის არსებობა: „...ამაო გამოდგა ის იმელები, რომ ვითომცდა მწერალი მ. ჯავახიშვილი შესძლებდა ქართული პროზის კრიზისიდან გათყვანას...“ მართლაც, მ. ჯავახიშვილი, ჩვენს მიერ აქ მითითებულ ავტორთა შორის „გაპაროლტ-კულტელობის საიდუმლოებისათვის“ განსაკუთრებით შეუფერებელი კანდიდატურა აღმოჩნდა და აი, რატომ:

„დამპატივებს“ პირველ ვარიანტსა (იგულისხმება „არიფონში“ 1928 წ. გამოქვეყნებული ტექსტი) და შემდგომ, 1934 წელს შეესებულ, გასრულებულ ვარიანტებს შორის, რომელსაც მწერალმა „რკინის საცერი“ უწოდა, ადვილად შევამჩნევთ იმ შეუსაბამობას, რასაც „ლექსიკური და სტილური მიმოქცევის ანემიურობას“ უწოდებდნენ. ლექსიკურ საუბრობას გვავიწყობა ბ. პილნიაკის «Голый год» (1918 წ.), თავის დროზე ძალზე გასამაურებული რომანი, სადაც „ტავაიხურთუიანები“, კომპაქტირული ქალიშვილები სრულიად არაბუნებრივი, „სოციალისტური ზაჟუური“ ენით საუბრობენ. მწერალი ამით თითქოს ხაზს უსვამს გმირთა სულიერ ანომალიას. ცხადია, მ. ჯავახიშვილთანაც ამგვარი ლექსიკა სახელდახელოდ შექმნილ პერსონაჟთა არაბუნებრიობამაც განაპირობა. მაგრამ ეს მხოლოდ, როგორც იტყვიან, დასაწყისია.

მ. ჯავახიშვილი ცდილობს „დამპატივებს“ გმირთა ფსიქოლოგიურად აბსოლუტურად გამართლებული, სადა მეტყველება „რკინის საცერის“ ვალებ, აშკარად ნაძალიადვე კომპოზიციას მოარგოს; მიწაზე უზომოდ შეყვარებული თველოდ, სწორედ ამ სიყვარულით მართალი და ძლიერი, ლამის კოლექტივის შექმნის ინიციატორთა რიგებში ჩაყენოს, ახალი დროების „კაცი-ფითრი“, „კაცი-წურბელა“ — ოქროპირა, — ზუსტად და მძაფრად დანახული — შეარბილეს, მისი ხახიათისათვის ორგანული გრატულიკული ფერები აშკარად გააფერმკრთალოს და მისი ხვედრი, „დამპატივები“ ასეთი შემზარავი უსამართლობით ნასათუთარ-ნასაზრდობი, ჯავახიშვილისეული ცნობილი ბედიმდვერის ლოკიკას დაუკავშიროს („დამპატივები“ ოქროპირა ხომ ცრუდიერი, არსებითად კი უნაყოფო, ფუფუ და უსამართლო დროის მხატვრული პროციერებაა, სიმბოლური ხატია). მაგრამ ამაოდ. საბედნიეროდ, ეს და მრავალი სხვა მცდელობაც უშედეგო აღმოჩნდა. იმ უცნაური პიბრიდის მიხედვით, რასაც „რკინის საცერი“ ჰქვია, ჩვენ დღეს შეგვიძლია მხოლოდ შემოქმედის თავისუფალი ნების აღკვეთის მასშტაბებზე ვიმსჯელოთ და კიდევ იმაზე, თუ რის სავასურად, როგორ იკვეთებოდა ახალი ლიტერატურული მეთოდიკისათვის მისადები

შემოქმედებითი პარამეტრები (ამიტომაც, ვაუკუბარია ახალი საგამომცემლო სერიალის „შერისხუნელის“ ავტორთა ჩანაფიქრი: „ჯაყოს ხისხუნისა“ და „თეთრი საყვლო“ გვერდით „რკინის საცერის“ დასტამბა რა პრინციპით, როგორი რაკურსით აცნობს ფართო მკითხველს მ. ჯავახიშვილს? ფიქრობთ, ამას სათანადო კომენტარი სჭირდება).

ბარემ მოვიგონოთ ის უმთავრესი ბრალდებაც, რაც თავის დროზე „დამპატივეს“ წაუყენეს. არატიპიურობა, რომლის განზოგადებასაც ცდილობს მტრულად განწყობილი მწერალი. მ. ჯავახიშვილმა, როგორც ჩანს, სწორედ ამ უმთავრესი, მწერლის თავზე დამოკლეს მახვილივით დაკიდებული „შენიშვნის“ გაბათილებული აავო „რკინის საცერის“ ცრუ პოეტიკა. ამას მოწმობს მომხანებლის ტონით გაჯერებული, მოთხრობისათვის დართული ავტორისეული მიხანაწერიც: „ამ მოთხრობის ეს თავი შეკუმშული შინაარსია 1928 წელს დაბეჭდილი „დამპატივესი“, რომელიც სიუჟეტურად არ იყო დასრულებული და ამიტომ იგი, როგორც დასაწყისი, ამ მოთხრობას დაურთო. იმავე ფონზე და თემაზე გაშლილი „რკინის საცერი“ აუცილებელი მოთხოვნა ამგვარ შეღუბნას. ცხადია, ოქროპირის თაღლითობა გამოწკლისი იყო. სამაგიეროდ თვედორეს და დამპატივეს შემდგომი ურთიერთობა და დასასრული ტიპიურ მოვლენად მიმანჩია“.

თვედორეს ფრაზაში: „...თქვენი „იმიდი“ და ჩვენი „იმიდი“ ერთად არიან. მაგრამ შუაში უხეირო ხალხი ჩაგვიდგა და ჩვენი „იმიდიც“ და თქვენი „იმიდიც“ წყალს გაატანეს“... მინიშნულად საბოძალად, ოქროპირას სანაცვლოდ მოსახველდ „ხეირიან“ ძალაზე, ზემოდან ბრძნულად დაგეგმილი იდეების მართებულად და ერთგულად გამტარებელ ხალხზე, რომლებმაც, როგორც წესი, უნდა აღადგინონ „უხეიროთა“ მიერ შეღუბნილი სამართლიანობა. მთავარია გაქრეს მკითხველში „დამპატივეთი“ ასე ოსტატურად ჩაბუდებული უნდაობის კია, ჩრდილს რომ აყენებს არა მკვან ოქროპირას, არამედ მის უკან მდგარ იდეათა მწყობრ სისტემას და, რაც მთავარია, ამ იდეების უბადლო გამტარებლებს, რომლებიც ამასობაში წარმატებით ითვისებენ „კვალის ანეკის“ უროულეს ხელოვნებას... „...ვიღა ჰკითხავს ბაგრატას? დღეს აქ არის და ზვალ აღარ იქნება. მე კი მეუბნებიან: ბატონო თვედორე, მობრძანდითო! რატომ არ უნდა შევიდე? რასა ვკარგავ? დავკარგავ კი არა, კიდევაც მოვივებ. მე რომ ამ კარგში შევალ, ბაგრატა და მისი მიანჩილა დამპატივე მოვრ კარში გაბრძანდებიან. თუ ეს არ მოხდა, ის ახალი დადგენილება ფუჭი ყოფილა, ფუჭ წერილს კი ჩვენი მთავრობა არ დასწერდა...“

ან კიდევ: „თურმე ეს ახალგაზრდა (საუბარია შალვაშვილი — ნ. კ.) ნიადაგ ემორჩილებოდა თვედორესთანა ცლებობას და იგი დასაყრდენ ბურჯად მიანჩნდა...“

კიდევ: „...სამართალი იქნება — დაამშვიდა შალვამ — ვველა მაგაზე ლაპარაკობს. მაგის გამო საქმე ზიანდება. ეს მთავრობამ ჩვენზე უკეთ იცის და რაღაცას იღონებს. სუ ჩქარობ.“

— ვმეც მართალია. პაი, პაი, რომ მთავრობას ჩემზე უკეთ ევლინება და რაღაცას იღონებს...“ და ა. შ.

აშკარა „რკინის საცერის“ ცრუიდეური მუხტით უფლებსწავრული მწერლის მდგომარეობა. „ჯაყოს ხისხუნის“ კომპოზიციურ ქარგაზე გამოთქრილი ძალადობის ეფექტის წარმოჩენაც ვერაფერს ცვლის. შალვას მიერ ოქროპირისათვის ცოლის წაგვრა, შემდეგ ოქროპირას თემურაზ ზევისთავით ფიზიკური და სულიერი დაცემა იმდენად სქემატური და არაჯავახიშვილისეულია, რომ ვერანაირად ვერ ამბოფრებს სიუჟეტის განვითარებას და ერთხელ უკვე წარმატებით გამოყენებული მხატვრული სურათის სუსტ განმეორებად აღიქმება.

არსებობს კიდევ ერთი საშუალება, რომელიც კარგად ავლენს „დამპატივეს“ მწერლის მიერ გაწეული მუშაობის ხასიათს. ეს არის „თეთრი საყვლო“ ორი ვარიანტი* შედარება. ვველაფერი (სტილისტური დახვეწა, კომპოზიციური სიციხისათვის შეტანილი შესწორებანი, ელიზბარისა (პირველ ვარიანტში ზურაბის) და ჯურხას დიალოგის განვრცობა, ახალი პერსონაჟის, ცუქიათა შემოყვანა, რიგი ახალი ეპიზოდის (მაგ. ზევსურეთში აეროპლანის გამოჩენის) დართვა ემსახურება უმთავრესს: „თეთრი საყვლო“ იდეურ-მხატვრული დატვირთვის გამოკვეთას, მხატვრული სიმართლისადმი ერთგულების განუხრულ დაცვას, შემოქმედებითი სრულყოფით ტკივილანის სათქმელისაგან მწერლის განთავისუფლებას. ამ თვალსაზრისით „თეთრის საყვლოს“ და „დამპატივეს“ ტექსტთა შემოქმედებითი ისტორიების ურთიერთშედარება ძლიერ დამაფიქრებელია და, უიქველად, სოცრეალიზმის პირობებში შემოქმედის უაღტერნატეო ცხოვრების კიდევ ერთი ტრაგიკული პლასტიკის წარმოჩენის კარგი საშუალება.

სოცრეალიზმის თეორიული წინამძღვარი ესთეტიკურ პლანში ინდივიდუალიზმის, ხელოვნების სინამდვილესთან პიროვნული დამოკიდებულების წაშლას იყუქმებოდა (ნაწილობრივ ამით აიხსნებოდა დამოკიდებულება მოდერნიზტულ მიუბებთან).

* რომანი პირველად 1926 წელს გამოქვეყნდა ჟურნალ „მნათობში“. იმავე წელს, მწერლის მიერ საფუძელდანიად შესწორებული, იგი წიგნად გამოიცა ჯერ ქართულად, შემდეგ კი რუსულადაც.



მთავარი იყო შემოქმედებითი პროცესის ერთ-
 ტერული ბუნების ჩაკლა, „ძირს უპარტიო
 მწერლები, ძირს მწერლები-ზეკაბი“ — ლენინ-
 ნის ამ მოხაზრებას 30-იანი წლების დასაწყისში
 სახარებასავით იმორმებდნენ. ცხადია, შემოქ-
 მელისა და შემოქმედების ამგვარი გაბრალდება
 სურვილი (რასაც, სხვათა შორის, ბ. გორკიამაც
 ერთგვარი პროპაგანდა გაუწია) მარქსისტებ-
 სათვის ათეზმიდან იღებდა სათავეს, ანუ იქი-
 დან, რასაც გრ. რომაქიმემ „სამყაროდან ღმერ-
 თის განდევნა“ უწოდა.

„ეს მოქმედება — წერდა „ჩაკლული სულის“
 ავტორი, — რენესანსში იღებს სათავეს, ღღებს
 მის ნაყოფს ვიქით. ახალი ადამიანი იბადება
 უღმერთო. მისთვის არ არსებობს საიდუმლო.
 არავითარი რიდი, არავითარი მოწიწება, არავი-
 თარი მისტიკა. შიშველი ყოფილება, ნივთიე-
 რი. არხად მეტაფიზიკური, ფეხებშიაღ კი არა.
 ეს არი ჩვენი თაობა“. ამ თაობის რკინის სუ-
 ლის შესაიდუმლე (უფრო სწორად, ინეინური)
 საბჭოთა მწერალი უნდა ყოფილიყო და მას
 უნდა ეკეთებინა ის, რასაც ფოლკნერი „გულისხს
 კი არა, ჯირკვლებისას“ უწოდებდა.

იქნებ აქ ძვეს სოციალისტური რეალიზმის —
 ხელოვნების მარადიული კანონისხათვის ცუც-
 ხო, მიუღებელი შემოქმედებითი მეოთხის მარც-
 ხის მიზეზი. ყოველ შემთხვევაში, რეკოლუ-
 ციის არსთან უკანასკნელ პერიოდში მჭიდროდ
 დაკავშირებული ტანდემის — ქრისტიანობისა
 და ჰუმანიზმის დარღვეულ პრინციპთა უშუა-
 ლეყოფა შემოქმედელი ხდება (სწორედ ამ კუ-
 თხით უღებებიან რუსი მკვლევრები რეკოლუ-
 ციათთან, ვთქვათ, ა. ბლოკის ან მ. გორკის საკ-
 მაოდ წინააღმდეგობრივი დამოკიდებულების ახ-
 სნას). საკითხთა ამ წყებას უკავშირდება სო-
 ციალიზმის დროს იღური შესანიშნის, ახალი
 ადამიანის, თავისუფლების რაობის, მატერისის,
 ყოფითის გაფეტიშებისა და, ასე განსაჯეთ,
 ადამიანის მიწასთან ურიოერიობის პრობლემე-
 ბიც, რომლებიც ღღებს უფრო აქტიურად უნდა
 ჩავროთ ჩვენი უახლესი წარსულის სიღრმისე-
 ული კვლევის საქმეში. როიორი იყო მანც
 ის „რეკოლუციური ემოციური დომინანტ“,
 რომელიც „ახალი მასალის, ახალი აღმოჩენე-
 ბის“ დამკვიდრებით საფუძლად უნდა დასდ-
 ბოდა ახალ საბჭოთა ხელოვნებას და რომლის
 ხორცშესხმასაც მისი ავტორის, 20-იანი წლების
 ცნობილი ლიტერატურის კრიტიკოსის, ა. ვო-
 რონსკის ახრით, ბუერი ანაფერი უშლდა
 ხელს. ერთ სერიოზულ საფრთხეზე ვორონსკი
 მაინც მიუთითებდა:

„...ეს სიყვარული მატერიისადმი, ხორციისადმი
 ხშირად უხეშიცაა და საეჭვოც, განსაკუთრე-
 ბით კი მაშინ, როდესაც იგი მზადაა თმი გამო-
 უცხადოს ყოველგვარ იდელოგიურს, ფსიქოლო-
 გიურსა და ინტელექტუალურს — ამაში უკვე

ახალი დროის ობიექტული მოჩანს, თავისებურად
 რომ აფასებს მატერიალურს და ზიზღით უმე-
 რის სულერი ფასეულობებს...“

სამუხაროდ, „სულიერი ფასეულობებზე“ რე-
 ავირების სწორედ ეს უგვანო ვარიანტი აღმოჩ-
 ნდა ვველაზე უფრო სიცოცხლისუნარიანი.

ჩვენ ზემოთ მივანიშნეთ, რომ შეიძლება ახსნა
 მოქმედნის სოციალისტური კულტურის მესვე-
 ურთა ნეკატიურ დამოკიდებულებას, როგორც
 ისინი ამას უწოდებდნენ, „ქორმალიზმისადმი“,
 საერთოდ და, კერძოდ კი, ერთადილი მოდერნიზ-
 ავანგარდისზმისადმი. ამ მიზნით ჩვენ საგანკე-
 ბო ყურადღება მივაქციეთ 1925 წელს უწ-
 ნალ „მნათობში“ დ. შენგელაიას რომანის „ტფი-
 ლისის“ პუბლიკაციას, უფრო სწორად, რომანის
 მასალის გამომწერებას. მიუხედავად ვ. მან-
 ტაძის იმხანად (იგულისხმება 20-იანი წლების
 დასასრული) ყოველსშემდეგ შექებისა, ავტორმა
 ვერ შეძლო რომანის გასრულება. არ არის
 ცნობილი, რომ ცენზურას ხელეფოს „ტფილი-
 სი“. იგი თვით მწერალმა დაჩეხა, ასე
 ვთქვათ, თემატიურად, რითაც უარი თქვა თავ-
 დაბირეული ჩანაფიქრის განხორციელებაზე.
 საშუალოდ დაიკარგა რომანის გმირის, უცნაუ-
 რი მთვარეულის ღღეფ ათინადის სამყარო, მის-
 თვის უყოფითეს ღღეფაბამდე ნაცნობი ნირ-
 შეცვლილი ქალაქის ხატება, რომელსაც ფუნი-
 კულიორზე ასული ღღეფ ოცნებით გადაუფრინ-
 და გოგებაშეილის „ღღეფა ენის“ პატარა ალექსი-
 ვით ქუდის ქნევით გადასახის: მშეიღობთ, საყ-
 ვარელო ღღე-მამა.

„მასალის ესთეტიზაციის“ საპირისპიროდ
 „მასალის უტილიტარიზაციის“ პრინციპზე
 აგებული „ტფილისი“ გმირის ავზინანი ხილ-
 ვებითაა სავეს, სახლი აქ „გადარეულის კუზინა
 ბოღვას“ წაავავს, ღამით იგი „ხორთუმიან
 კოშმარივით ღღეფა და ქალაქის ქუჩებში დამრ-
 ვის“, მშის ნახვდა, „საღაროს ბინდებში მოჭ-
 რილი თავის ჩაქანების“ მსგავსია, საცვლების
 ამბრა მთავრობის სასახლის დერეფნებში სე-
 ინრობა სიზმარ-ხიხინადის მოუხელთებულ ზღვა-
 რზე მღვარი რეალობის მეტაფორაა. რად ღღრს
 თუნდაც „სულიწმირეული ვორონსკისა და
 პუშკინის“ უხარმაზარი ბრინჯაოს ძეგლების
 ჩამოსეირნება სეიდაბადის ქუჩაზე, საღეფ იხინი
 მთელი დამე აბანოს წყლებში „აპოკალიფსური
 ვაფებივით დგაფუნობენ...“მეღი თბილისი და
 ბაყალი გეო, უიღბლო სიყვარულით დასეიარ-
 ნებული მჭერთ, რომელშიაც მცხუნვარე მშის
 მქვემ გათანგული ხაშიმანი ქალაქი ირეკლება..

აქ თითქოს ვველაფერი საუკეთესოა თავმოყ-
 რილი სიმბოლისტური და ფუტურისტული პრო-
 შის არხენაღიდან.

ისმის კითხვა: განსაკუთრებით რა იყო მიუ-
 ღებელი მოდერნისტულ-ავანგარდისტულ განწყო-
 ბილებაში? ცხადია, ინდივიდუალიზმის გამოყ-

ლინგვა, ანუ შინაგანი თავისუფლების ის შეგრძნება, რომელიც, როგორც წესი, პიროვნულიდან საზოგადოებრივის გავლით მთელთა ერთის თვითშეგრძნების, ეროვნული თვითდამკვიდრების აუცილებლობამდე აღწევს, მით უმეტეს ამ ლიტერატურულ სიახლეთა ქართულ ჭრილში. რას ვგულისხმობთ, როდესაც აქცენტირებას „ქართულ ჭრილზე“ ვახდენთ? თუ გავიხსენებთ ქართული მოღერნიზმის სათავეებთან მდგარ „ციხეციხეანულთა“ საძმოს, მათ ლიტერატურულ-ესთეტიკურ ნაზრევს, რომელიც, უწინარეს ყოვლისა, „ვერობის რადიუსით ქართული მწერლობის გამართავს“ ემსახურებოდა, ადვილად გავაცნობიერებთ იმ ფაქტს, რომ არსებითად ეს ქართული ხელოვნებისათვის ვეროპასთან წილნაყარი ეროვნული თვითმოყვადობის აღდგენის სერიოზული ცდა იყო. და ეს შიხუდვად იმისა, რომ თავიანთი მოღვაწეობა ამ ნოვატორმა ახალგაზრდებმა XIX ს. კლასიკური მწერლობის განქიქებით დაიწყეს. თუმცა აქაც ორი მეტად მნიშვნელოვანი ნიუანსია გასათვალისწინებელი:

1. XIX ს. მწერლობაში ისინი ვერ ეუუბოდნენ სწორედ რუსული ხორბლის დათესვის რეჟიმებს;

2. გარდა ამისა, ტიტანების წაქცევის ცდა (ჩვენთვის კი ილია და აკაკი ქართული აზრის ტიტანები იყვნენ) ლიტერატურულ სარბიელზე ახალმოხულთა თვითდამკვიდრების ნაცადი ხერხი იყო.

რაც შეეხება ავანგარდიზმს, რომელსაც არათუ ორთოდოქსული, არამედ მკაფიოდ გამოკვეთილი სახეც არ მიუღია, ისიც ეროვნულ ნიადაგს საკმაოდ მისადაგებული სიახლე აღმოჩნდა, რომელსაც, რომ დასცლოდა, საინტერესო სიღრმისეული ცვლილებების შეტანა შეუძლო ჩვენი საუკუნის პირველი ნახევრის ქართულ მწერლობაში.

ყოველ შემთხვევაში, ეს საკითხი მაინც დიდ რჩება და ისევე, როგორც ბევრი რამ ჩვენს გამოკვლევაში, შემდგომ კვლევა-ძიებას მოითხოვს.

კიდევ ერთი კითხვა, რომელიც სოცრეალიზმის ჩვენიული გააზრების დროს შეიძლება წამოიჭრას. ტექნიკურად როგორ ხდებოდა მხატვრული ტექსტის უაღულებლოყოფა, მისი, ს. ნიქოვანის ერთი აღნიშნული ლექსის პერიფრაზა რომ ვინმართ, „გასოციალისტურება“?

მწერლების მიერ თუ მწერლებისაგან ხრულიად დამოუკიდებლად, ასე ვთქვათ, ზემოდან, ოფიციალური წრეებიდან? შეიმჩნევა ტენდენცია, საქმე იხე წარმოაჩინონ (მაგ. „მთვარის მოტაცებასთან“ ან კიდევ პ. კაკაბაძის „ვერვვარე თუთაბერთან“ მიმართებაში), თითქოს ნაწარმოებში ტექსტობრივი ცვლილების შეტანა ხდებოდა მწერლების ზურგს უკან, ისე, რომ მათ არაფერი იცოდნენ ამის შესახებ. რამდენად რწმუნოა ეს? ვფიქრობთ, 30-იანი წლების საზოგადოებრივ-პოლიტიკური ატმოსფეროს ამგვარი, არაობიექტური შეფასება მიეტყუებათ მწერლის ანლობლებს და არამც და არამც იმათ, ვისაც ამ პერიოდის მეცნიერული შესწავლის პეტენწია აქვს.

და ბოლოს: სოცრეალიზმის ბუნების ზედაპირულმა განჩნრეკამაც კი დღევარწმუნა იმაში, რომ შემოქმედის ნიჭის არხი ურთულესია, მაგრამ ერთადერთია სწორი ხელოვნებისათვის, მისი გამოვლინების ნაირგვარ ფორმათა მიუხედავად.

რაც შეეხება მწერლობისათვის არადაბდებულითა მცდელობას, მას თურმე ათასგვარი ხელოვნური კვარცხლბეკები სჭირდება ამაღლებისათვის. განსაკუთრებით საშში ფორმას ეს მცდელობა მაშინ იღებს, როდესაც კლასობრივი უპირატელობის ნიღბით ურცხვო ზავით შეეკერება „ხალხის ბედნიერებისათვის“ გარჯილ ძალაუფლების მოტრფიალუებს.

ამის გააზრება ყოველთვის იწვევდა და იწვევს ერთგვარ გულისტკივილს, სწორედ იმგვარს, როგორც ჩადო თავის მოსაზრებაში ერნესტ ჰემინგუეიმ:

„მწერალი ბოშასავით არის. თუკი ის კარგი მწერალია, არასოდეს ეტრფის იმ მთავრობას, რომლის ქვემწერლობიც არის. ის ხმას იმაღლებს მთავრობის წინააღმდეგ, ხოლო მთავრობა თრგუნავს მას...“

ხოლოდ შეზღუდული ნიჭის მქონე მწერალს აქვს შეგნებული თავისი კლასობრივი კუთვნილება, ხოლო ვისაც საკმარისი ნიჭი მოეპოვება, იგი ყველა კლასს ეკუთვნის... რატომ უნდა ელოდეს მწერალი ჯილდოს ანდა აღიარებას რომელიმე სოციალური ჯგუფისა თუ რომელიმე მთავრობისაგან? ერთადერთი ჯილდო მწერლისა ისაა, რომ კარგად აკეთოს თავისი საქმე...“



ელენე დგვეფაძე

გიორგი ლომიძის „ვიზაჲის კაპანის“ ინტერპრეტაციისათვის

ქართული ქალის სულიერი მშვენიერების წვდომით გაუკვლავებული ადამიანის სახეა ნაწევრები ამ ლექსში. იმისათვის, რომ აეტორმა უფრო გამამაფროს განცდა ქვეშარიტი სიყვარულისაგან აღმსდგარი ადამიანისა, იგი მან „ვიზაჲად დაბადებული“ წარმოვიდგინა, რადგან დაუჯერებელ, განსაცვიფრებელ ამბავს სასწაულის ძალა აქვს და უფრო სარწმუნო (რწმენით მისაღები) ხდება, ვიდრე დამაჯერებელი ამბავი.

ვიზაჲის ტრფობის ალევორიის მიღმა სხვა რამ, უფრო ღრმა იკითხება. ლექსის სიმბაფრეხა და განსაკუთრებულობას ის განაპირობებს, რომ მასში წარმოსახულია ბრძოლა ვიზაჲისა ქართული ქალის ქმართან, მის მიერ საქართველოს და ვიველივე ქართულის აწიოკება, უცხო და უხეში ძალისაგან წმიდათაწმიდის, ეროვნულის ხელყოფა, ფახეულობათა შებილწვა, მაგრამ ეს ბრძოლები ალევორიულად სხვა რამის, უფრო შინაგანი, დიდი ბრძოლების გამოხატულებაა. ესაა საოცარი შერკინება „ვიზაჲად დაბადებულისა!“ „ამა სოფლის წესთან“ და ღვთაებრივი წესის გამარჯვება. ამ ბრძოლის მიღმა ჩანს, აგრეთვე, სხვაგვარი ჭერტა საქართველოსა და მისი მტრების ურთიერთმიმართებისა — ქართული ქრისტიანული სულის მარადიული ბრძოლა ნგრევასთან, ლეწვასთან, მისი შენება სიყვარულით და ხელახალი შობა.

ქართული ქალი — ეს არის სახე-სიმბოლო ქრისტიანული საქართველოსი, ვივჩაღი კი სახეა თავებელი, ურჯული მტრისა, რომელიც მისთვის რაღაც უხილავეა, უხეანეხმა ძალამ მარადიულ მიჯნურად აქცია.

აქა ძიება სიყვარულის წვდომისა და მისი სისავის აღქმისა. ვეღლაზე დიდი სიყვარული სატრფოსათვის თავადებასა და კვდომაშია. სატრფოს სულიერ ხედვაშია. „რუსთაველის ზაფხულში“, ანუ სულიერ განახლებაში განჭვრეტილი სატრფოს მიმართაც ასეთია ვივჩაღი. იგია სიყვარულისაგან დამთვრალი, ამალღებული გრძობისაგან განცხოველებული. ვივჩაღის არსებაშია სიყვარულის მთელი სიძლიერე, მაგრამ ჯერ განუცხადებელი, ჯერ დამარხული, ჯერ გაუცნობიერებელია, მის, წარმართ-

ბის ეკლით შემთობილი, გაუხარელი. ჯერ არ არის ნაბოვნი სრულყოფილი სიყვარული, რადგან მას სხვა ნიადაგი და საზრდო სჭირდება. ვივჩაღი, ანუ იგივე „ურჯული“ (ქართული ცნობიერებისათვის) თანდათან, სულიერი გარდასახვის გზით მიდის „საზეო“ მიჯნურობამდე და უახლოვდება მარადიულს, გადის გზას სულიერი სიკვდილიდან სულიერ სიცხვეულემდე. მაგრამ როგორ ეძიებს იგი ამ ქვეშარიტიტებას, როგორ დება ხსნის გზაზე?

თავდაპირველად მისთვის ვეღლაზე დიდი სიყვარული არა სულიერ ძიებაში, არამედ ხორციელ ძებნაში, მტრევაში, ნგრევაში და ლეწვაშია: „ტრამალ და ტრამალ გამოგედევნე, შემოვამტვევ გზები ტრილი, მცხეთას ეუმტვრიე საკეტურები, ვლწვე ტაძრები კელატრიანი“. ქმრინი ქალისადმი ერთი ხილვით აგზნებული ტრფობა („ხოხობას გნახე, მიწურვილ იყო როცა ზაფხული რუსთაველისა“... „შენი ტუმუცი ისე ტკბილია, როგორც ზადაგი დაღულებსას...“), ყორღანებიდან აფერხავი გნოლისადმი თუ ხოხბისადმი, ანუ თავის ტრამალეში წვეული ველური ვინით სატრფოსადმი ჩასაფრება, საპასუხო გრძობისათვის ბრძოლა, როგორც გაუმართლებელი, ღვთაებრივი წესისგან დაცილებული მოქმედება, ალევორიულია იგივე კელატრიანი ტაძრების ლეწვა — ბარბაროსი, რჯულის არმქონე მტრისაგან ქრისტიანულ სიწმიდეთა განადგურება, მისი დაპატრონების, ცოცხალი რწმენის ჩაკვლის სურვილი, ერთის მხრივ, და დამანგრეველი მის მიერ საკუთარი სულის ნგრევა და განადგურება, ანუ სულიერი ტაძრის ლეწვა, სულიერი ხანთლის ჩაქრობა, მეორეს მხრივ (რადგან ქალსაც და ტაძარსაც, ანუ ქვეყანასაც ჰყავს ღვთაებრივი წესით დაღეკნილი პატრონი: ქალს — ქმარი, როგორც სასძლოს, ეკლესიას — სიძე, ქრისტე).

„მტრევა და ლეწვა“ — ეს არის ბრძოლა, მაგრამ არა „ამა სოფლის წესთან“, მის უკუღმართობასთან; პირიქით, იგი საწუთროსაგან ნასწავლი და მისგან გამოძინარეა. ესაა ჯერ სატანური ბრძოლა, სადაც გახსნილია მტრის, ბოროტის ბძულეული სახე, რომელიც განწირულია დასაღულებად.



ასეთ ამსოფლიურ ბრძოლას და არა მის წინააღმდეგ ბრძოლას მოჰყვება: „მუზარადიან შალს ქარას შემოვხვდი, თავი შუაზე გადამიხეხა...“ ეს არის მტრის სულიერი სიკვდილი: „ველარა გხედავ, ხისხლით ვიცლები“, ანუ სიკვდილი ამ სოფლის გამო, მაგრამ მარადიული მიჯნური არაა განწირული, რადგან მისი სიყვარულის საგანია მარადიული — ქართველი ქრისტიანი ქალი, ჩვენს ცნობიერებაში ხალხური ბალადიდანვე გამჯდარი; იგი ამ ლექსშიც უმაღლესი სულიერი თვისებების, ქრისტიანული პარმონიისა და სისადავის, ამაღლებულის გამოხატულებაა და მომნიჭებელი ძალაა მარადიული სიცხიველისა.

ვიჩაღის, უჩულოვს სიკვდილი გარდუვალია: „მაგრამ თვითონაც დაიღუპება, დაბადებულა ვინც კი ვიჩაღად“, — ამ სიტყვებით ინიტქება გული ბოროტი წუთისოფლისა, რომელიც მზად არის ყველას დასაღწავად, ვინც მის წესს გადაუხვევს, გმრების ყველას, ვისაც ვერ დამიბრებს. ესაა დამარცხება „ვიჩაღად დაბადების“ წესისა, ანუ წუთისოფლის ნების დათრგუნვა, მისი მოკვლა საკუთარ არსებაში. წამლეკავი და დამღწეავი ვიჩაღი თავადაც უნდა დაიღუწოს, მოკვდეს მასში ძველი კაცი და იშვება ახალი.

და ახე იწყება ვიჩაღის მეორე, ახალი, სულიერი სიცოცხლე. ვიჩაღი უკვე სოფლის, საწუთროს ურჩად, მასთან მებრძოლად წარმოგვიდგება. მისი სულიერი თვალი ახელილია სიყვარულით; მისი გული, რომელიც სიყვარულის საკურთხეველად ქცეულა, ამქვეყნიურ კვლამას აღარ ემორჩილება: „ისევ აღვხედუქი...“ — ეს არის აღდგომა სულიერად მკვდრისა და გაუკვდავება დამიწებულისა. და ეს სულიერი განახლება და გაზაფხულება მარადიულად მეორდება, რადგან ქართველი, ანუ ქრისტიანობას ნაზიარები სული* ამარადიულებს, აუკვდავებს ვიჩაღში სიყვარულს და ამით მასაც აზიარებს ქრისტიანობას და მარადიულობას.

სწორედ ეს არის დაუჯერებელი, განსაკვიფრებელი, თორემ ვიჩაღად, ანუ წარმართად დაბადებულის ბედისწერა ამგვარი სასწაულისა და სულიერი გარდასახვის გარეშე (როცა არ ჩანს გარდამსახველი მშვენიერი სულიცა და ზნეობის ქრისტიანი ქალი) აი, როგორ არის გამოხატული გ. ლეონიძის კიდევ ერთ ლექსში „ვიჩაღური დამე“ — ქვეყნად უწამლობისაგან,

*ქართულისა და ქრისტიანობის იგივეობისათვის იხ. თუნდაც დ. გურამიშვილი:

ბრძენსა კაცსა ვებეწვები ეს ობოლი
გაბნიათლოს,
თუ რამ იყოს სხვის სჯულისა,
მომიქციოს გამიქართლოს.

სულიერი ხსნის ვერაფერისა და ვერცნობისაგან გამწარება: „მაგრამ ვერ ნახეს ქვეყნად წაშლი და გამწარებით ხრავენ მიწასა“ (შლრ. ხალხური ბალადის: „ის კი იქა შკამს ქვიშას“).

ქართველი ქალის სიყვარულს შეწირული, მისი მიზნებით მოქვლარი ვიჩაღი ნუგეშს, ხსნას კვლავ ქართველ ქალში, მხოლოდ აწ უკვე მის სულიერ ჭვრეტაში ხედავს: „მოდი, მომხვეი ხელი ჭრილობას...“ ეს უკვე ძახილია არა ვნებით, არამედ რწმენით უკვდავებისა. ვიჩაღს, მტერს, ყველგან სიკვდილის მთესველს გაცოცხლებს ძალას ამაღლებული ღვთიური სიყვარული აძლევს. სწორედ აქ, საქართველოში („მუხრანის ბოლოს“) პოულობს იგი ნამდვილ სიყვარულს, სულიერად და არა ფიციელს, ამქვეყნიურს, რასაც თავაღირველად მოეძღდა.

ამას რუსთველის ზაფხულის ხსენება გამოხატავს. „რუსთაველის ზაფხული“ ლექსის ბოლოს, ანუ ვიჩაღის სულიერი გარდასახვის ქამს უკვე მიწურული კი აღარაა, როცა ლექსის დასაწყისში, ანუ იმ დროს, როცა ვიჩაღმა ქართველი ქალი პირველად იხილა (ხოხობას, შემოდგომაზე, როცა ზაფხული მიწურულია), არამედ ვარდის ახალი ფურცლობაა, ქვეყნად სიმწვანის აღმოცენების დროა, ახალი შეყვარება, სულიერი განახლება, სიახლეა, ანუ ზაფხულის მოახლება. იგი წუთისოფლის მყინავი ზამთრის დათრგუნვის სიმბოლოა; სიმბოლოა, აგრეთვე, დროთა სამანის რღვევისა, ამაღლებული წამის უწვებელობისა, გაუკვდავებისა და ჭეშმარიტი სიყვარულის განცდით მარადიულობასთან, ზენა სამეფაროსთან (რუსთაველის პოემის ალგორითთ რომაა გამოხატული) ზნეობრივი და სულიერი კავშირის დამყარებისა. ეს გამოვლენილია ახალი პეპანის მოლოდინით, იხევ აღმსდგარი ლირიკული გმირის ხატით (რადგან მარადიული, ჭეშმარიტი, უკვდავი სიყვარული რუსთველურ „საზეო“ სიყვარულად არის სახელდებული ქართველის ცნობიერებაში).

„მოდი! გეძახი ათას წლის მეტე“ — ეს არის უკვე სულიერი წყურვილის გამოხატულება, რასაც ვიჩაღი საკუთარ გულში განიცდის და გადაიტანს, როცა უკან ჩამოიტოვებს პირველი ხილვით მოგვირდ ვენებას. ეს წყურვილი კი ქართველი ქალის მიერ მის გულში დათესილმა სიყვარულმა გამოიწვია, რომელიც მისთვის ბოლომდე მაინც გაუცნობიერებელია, რადგან იგი მომდინარეობს „ქართლის ზემებზე აკანის ნისლეების“ მიღმა: „როგორც სამროზე ქვაბს ოხშივარი, ქართლის ზეობებს ასდით ნისლები...“

ეს ნისლი სასიკვდილოდ დაჭრილის მიბინდული ნისლიანი მწერაც არის და ამავე დროს



უხეშის, მიწიერის საშუალებით გამოხატული („სადროხე ქვაბის ოხშივარი“) სულიერი ჭკერეტის ხახეც („ქართლის ხეობებს ახდით ნის-ღებები“), ანუ ამქვეყნიურში იმქვეყნიურის ხახეცის ხილვაა, რეალობაში განუხორციელებელი სულიერ ფახეულობათა ნისღში, ირეალურში, მიღებურში განხორციელება და ვაცხადება: (შდრ. ვაჟა-ფშაველას „სტუმარ-მასხინძის“ დასასრული: „ჯოჯოლა-აღაზა-ზევიადურის ამქვეყნად განუხორციელებელი სულიერი კავშირის ხატი ნისღში). ეს სულიერი ნისღია. ამ ნისღის მიღმა რაც ხდება, ხორციელისათვის მიუწვდომელია, კაცობრივ განსჯას არ ექვემდებარება. საქართველოს მტერი სულიერი სიკვდილისაგან აღდგინების ძალას იხევე საქართველოში, ქართულში, ქართველი ქალის სულიერ მშვენიერებაში და მის სიყვარულში ხედავს. ამ სიყვარულის ვაცხადება კი ახალი პაემანის ვაძა.

ვიწაღი ახლა უკვე მხოლოდ დანაცრევას, დაფრფულვას მოითხოვს: „დამანცროს ელვამ შენი ტანისა“. ეს სულიერი ელვა და ნათელია (იხევე რუსთველის ასოციაციით, რუსთველის გმირთა დარად მათი სულიერი თვისებების გარეგნული ბრწყინვალე ხატია). სწორედ ესაა ვაცხადება ნამდვილი სიყვარულისა – სიბნეულის ალუგორითი ახსნილი სინათლის მსგავსად. დამანგრეველი და დამამქვევლი მტერი წარმოჩენილია მარადიულ მიჯნურად. იქნებ სწორედ მარადიული სიყვარულის სიმბოლო იყოს იგი, მარადიული სიყვარულისა ქართველი ქალისადმი, ქართული სიცოცხლისადმი: ვევე-ღაზე დიდი სიძულვილით დახატული ვეველაზე დიდი სიყვარული, რადგან ამ სიყვარულის მატარებელი მკვლელია, მმუხვრელია, სიკეთის მტერია, ანუ ჯოჯოხეთის მკვდრია. მაგრამ „ვიეჩაღად დაბადებულის“ მიერ დაღუწილი ჯოჯოხეთიდან აღმსდგარის ხახეცაა ამავე დროს იგი, ანუ ვაჟასული „გაურჯულთებულის მორჯულება“.

„ახალი პაემანი“ სწორედ ქრისტესთან ზიარებელი ქართული სულის მიერ მტერში მტრის მოკვდინების ვაძაა. „ახალი პაემანი“ არის ალუგორიული გამოხატულება სიყვარულისაგან დანაცრეულის მარადიულობასთან ზიარებისა, ქართულში დამარხული ქრისტეანობის აღდგომა, ლუხუმის დიადი მისია: „ახალი პაემანის“, ახალი ჭკერეტის, განახლებული თვალთახედვის დაბადება და აღორძინება, მტერში მტრის დათრგუნვა და ამით წუთისოფლის განგმირვა და მისი საბოლოოდ დამარხებება, ანუ „ვარდის ფურცლობის ნიშანი“.

ვიწაღი, წარმართი, ღვთაებრივი მცნებისა თა სჯულის არმქონე და საკუთარ გულისქიმას ანუ სიკვიდის მინდობლი, უცოდნელად სცოდავდა, მაგრამ მაღალი ზნეობისა და სული-

რების ქართველი ქალისადმი სიყვარულის წყალობით ჭეშმარიტებას ეზიარა. „მუხარადიან შენს ქმარს შემოვხედი..“ – თითქოს ვყვდიან-ბა კი არა, სამართლიანი საზღარის შეგნებაა, რადგან ჯვრადწერილი ოჯახი ხელშეუხებელი რჩება და ქართველი ქალის სულიერი სიმაღლე და ქრისტიანული ზნეობა იხსნის ოჯახსაც და მომხდურსაც. ვიეჩაღს არა სჯულის საშუალებით, რომელიც არ ვაანია (ეი. ურჯულთა, სჯულის არმქონე, ანუ წარმართი, არამედ ღვთაებრივი, ამაღლებული სიყვარულის მცნებით და რწმენის საშუალებით ეხახება გზა განმარტებისაკენ, ხსნისაკენ, რომელსაც ხორციელი სიკვდილით და სულიერი ამაღლებითა და განცხოველებით აღწევს. იგი ხორციით მოქმედების ნაცვლად სულის საქმეთ ადასრულებს და ნაყოფსაც სულიერს იძკის. გარეგანი კაცის კვლმას შინაგანი კაცის დაბადება და სიცხოველე მოსდევს (შდრ. პავლე: რომ. 13 8-10; გალ. 3, 24; რომ. 6, 6 და სხვ.). მოუნათლავი ვიეჩაღის ახალი სჯული მის გუღში განფენილი, გულით მიღებული, გულის ფიცარზე დაწერილი შინაგანი სჯულია. სწორედ ესაა ქრისტიანული სჯული და უკვლავ-ბასთან ზიარება.

დაწართი: გ. ლეონიძის ლექსის ალუგორია გახსნილია ხალხური ბალადის კონკრეტული მხატვრული ამბის საშუალებით. საყვარადღებოა, რომ თავად ბალადაც და მისი ვარიანტებიც იძლევიან ზემოთ წარმოდგენილი ინტერპრეტაციის საშუალებას.

ქართველი ხალხის ცნობიერებაში სიტყვა „ვიეჩაღი“ უფრო საზოგადო სახითია, ვიდრე კონკრეტული, ისტორიულად არსებული ხალხის აღმნიშვნელი (ვინც დაკით აღმაშენებელმა ქსნის ხეობაში დაახახლა) და მოძალადის, ხელმყოფელის, ვაჩაღის სინონიმად არის ქცეული („ქართლის ცხოვრების“ მიხედვითაც იგი ჭიორისა და ღალატის გამოხატულებაა). ძველი ქართული ბალადიდან უკვე დამკვიდრებული ამგვარი ხახეც ვიეჩაღისა (როგორც მოძალადის, თავხედის, მოძულის, ქვეყნის ვადამქლავის, დაუნდობლის, თუმცა გულადი მეომრის და მხედრის, ამავე დროს დაუოკებელი, ველური, თამამი ვინით შეპრობილი და ვახელებული წარმართისა) ახალ ქართულ პოეზიაშიც დამკვიდრდა (ეგრ. რობაქიძე, გ. ლეონიძე).

ბალადის ვიეჩაღის ძალადობას, ურჯულს, წარმართს (თუმცა ისტორიულად ვიეჩაღი შემოჭრილი მტერი არ იყო ქართველთა) უპირისპირდება დიდებუნიერება და სტუმარმასხინძელობა ქართველისა, არა მხოლოდ ტრადიციული, არამედ ქრისტიანულიც („და რომელი გთხოვდეს შენ, მიეცე; და რომელსა უნდეს სეს-

ხუბად შენგან, ნუ გარე-მიიტყევი“ — მათე 5,42): „პური მთხოვა და ვაჰმევედი, ვურჩევედი თავთუ-ნისასა, ღვინო მთხოვა და ვასმევედი, ვურჩევე-ლი ბადავისასა... ცოლი მთხოვა და ვერ მი-ვეცი...“

ცოლის მოთხოვნა კი ბარბაროსული, არა-ცივილიზებული წესით არა მარტო პიროვნუ-ლი, რაინდული თვისებების შემდგალავია, შეურაცხყოფელიცაა ქრისტიანული წესით დად-გენილი კანონიერი, შჯულიერი, ზევით ნაკურ-თხი ქორწინებით შეუღლებულთათვისაც („ან კი ცოლს როგორ მივეციმდი, ცოლსა ჯვარანწე-რისასა?“ — იხ. გ. შატბერაშვილი. თხზ. IV, გვ. 283). იგი დარღვევაა ურჯულო ბარბარო-სის თავხედობით („არ დაიშალა, აკოცა ნაწნავ-სა გიშრის თმისასა“) ერთხელ დადგენილი ღვთიური, პარმონიული წესისა, ოჯახის, წმინ-და კერის შეურაცხყოფაა. ოჯახი კი საფუძვე-ლია ქვეყნისა. ასე რომ, ვიწარლი ქვეყნის მტრადაცაა გაცნობიერებული.

ეს ცოლი, ქალი, ზოგი ვერსიით, „გაზრდი-ლია“ სხვისასა (სხვადასხვა ვარიანტის მიხედ-ვით — სიდღერისას, სიმპრისას, ძმისას, თუ მამა-ძმისას), ანუ აღზრდილია ქრისტიანული წესით, ქრისტიანულ ოჯახში, რაჯლის მქონე ხალხში, სადაც ოჯახი ზრდის და წესისა და რიგის მიხედვით ათხოვებს ქალს. ეს რაჯულიე-რება დაპირისპირებულია ვიწარლურ ველურ, არაკულტურულ წესთან, ანუ ურჯულოებასთან. ჯვარდაწერილი ქრისტიანი ქალი ისევე ოჯახს-ვე წესრიგსვე უნდა დაუზრუნდეს, სხვანაირად გამოცემულია სწეობრივი საყრდენი არა მარ-ტო ოჯახს, არამედ ქვეყანასაც.

ცხადია, რომ ქართველი ქალი ქრისტიანო-ბის, ქრისტიანული ქვეყნის, კერძოდ, საქათ-ველის სიმბოლოდ ჯერ კიდევ ხალხურ ლექს-შია დასახული: ჯვარდაწერილი ქრისტიანი ქალი, პატიოსანი მანდილის შემსახავი, ოჯახის ნამუხის დამცველი, მომხდურის წინაშე მქრის წაქეზებული და აღმაფრთოვანებული.

ამ მხრივაც, ვიწარლის, მოძალადის, ბორო-ტის, წარმართის, ურჯულის ძლევასც ქრის-ტიანული მოტივირება აქვს ბალადაში. მტრის დაძლევა ხდება ღვთიური მადლით, ღვთიური სამარდლიანობის რწმენით და არა საკუთარი ძალების ამპარტავნული იმედით, რაც ვიწარლს ქონდა; „მაგრამ დაუტოა მუხანასი, ვენაცვლე მადლსა დღეთისასა“, ან: „უხლა მე გადაუქნიე, მივენდე მადლსა ღვთისასა“, ან: „ერთი ისეთი გადაკვარ, რისხვასა ჰკვანდა ღვთისასა“. შე-ჩამღოა, ამგვარი გააზრებიდანაა გამოძლიარე არახალხური წარმოშობის ისეთი ფრაზაც ბა-ლადაში, რომლის მიხედვით, ნათლის ცქერას ვიწარლი თავისი უღირსობის გამო შორდება, რადგან ვერ ეზიარება მას, ვერ განიწმინდება

მისით: „არ იყო ღირსი, მოშორდა ცქერას ნათ-ელის მუხისასა“.

ბალადის ზოგიერთი ვარიანტი გამოირჩევა შენდობის ქრისტიანული მოტივით. საერთოდ, ქართული ხალხური პოეზიისათვის არაიშვია-თია ხალხისათვის საყვარელი მოკლული გმი-რის ვაჟკაცობის შექმნასთან ერთად მისი მძლე-ველის, ზოგჯერ მტრისაც კი, ვაჟკაცური ღირ-სების აღფასება. ამის მაგალითია „ბალადა მი-ვმისა და ვეფხისა“ („არც ვეფხი იყო ჯადანი...“, „შენც იმის საფერ ჰყოფილხარ...“), „ბალადა ბუნისი ჭაღის პირას მოკლულისა“ („ლომი, შე ლომის მოკლულო, ბუნისი ჭაღლის პირ-საო...“), შდრ. ვაჟა-ფშაველას „სტუმარ-მასნი-ძელი“ (ქისტეტი შევიღოვს: „იკარგი ვაჟკაცი ყოფილა, ვეფლა ალაჰსა ჰოციცადა); ანა კალან-დაძე: „რისთვის აქებ ქისტებს, ბერედავ? მთ ვაჟკაცობას, ძალას და სიმხნეს? მიწა უხვიათ მათ... ხეგსურთ ძველებით... — რას ამბობ, ქალავ, ვაჟკაცები იყვნენ...“.

ქართველი მოყმისა და ვიწარლის ბალადაშიც ასეა. ვიწარლის ვაჟკაცობა მიწქმალული კი არ არის, არამედ მთელი სისრულითაა წარმოქმნი-ლი: „უმალ იმანვე დამასწრო, ეღვასა ჰკვანდა ცისასა“. საზგასმულია არა მარტო ძლიერი მე-ტრის ღირსება, არამედ, ზოგი ვარიანტის მი-ხედვით, „ვეფხისა და მოყმის ბალადის“ მსგავ-სად, შენდობასაც კი მოითხოვენ მისას: „შენ-დობას მაინც იტყვიან მე და იმ ვიწარლისასა“. ამჟარად „ვეფხისა და მოყმის ბალადის“ გამო-ბალია ვიწარლის ბალადის ხეგსურული ვარი-ანტის ფრაზაც: „ვაჰ, დელას ვიფხავისასა...“ ხალხური ბალადისმეორე მოკლული მტრის შენდობიდან გ. ლეონიძისეული მტრის სულიე-რი გარდასახვის მოაზრებამდე ერთი საფეხუ-რილა რჩება, რომელიც ვაჟას შემოქმედებით არის გაზომილი („აჲლუდა ქეთლაური“, „სტუმარ-მასნიძელი“).

საყურადღებოა, აგრეთვე, ბალადის ერთ ვა-რიანტში (ჯავახურში — იხ. ჭხპ, IV, გვ. 380) ასეთი მოტივირება ვიწარლის სითაყუნების: გზაზე შემხვედრი ვიწარლი შემთხვევითი მძარ-ცველი კი არაა, არამედ გახვლებული მიჯნუ-რია, სიყვარულის მამიბეული. აქ ვიწარლი პირ-ველ პირში ამბობს: „ვეძებ და ვეღარ შევერი-ვარ მიჯნურს ჩემს გუნებისასა. ორნივე იქ შევი-ყარენით ჭაღასა დიდ ვაკისასა, ხელი ვადავ-ყავ, ვაკოცე ნაწნავსა გიშრის თმისასა...“ ჯავა-ხური ვარიანტის „თავისი გუნების“, ანუ „სუ-ლით ტლი“ მიჯნურის მიგებიდან გ. ლეონიძის ვიწარლის სიყვარულით გარდასახვამდე და ამა-ღლებამდე ასევე ერთი საფეხურილია დარჩენი-ლი და იგი ხილია ხალხური საუჩიდან ლეო-ნიძისეულ გააზრებამდე მისახველად.

ანდრო ბელუკაძე

შორით მოსული ჩემს მამულში...

1858 წლის ჟურნალ „ციცქრის“ ერთ-ერთ ნომერში მოთხრობილია ასეთი შემთხვევა: პეტერბურგში ქართველმა სტუდენტებმა თავიანთი ხარკით გაშოსცეს სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისა“. ბუნებრივია გასაყიდად საქართველოში გამოგზავნეს. ფელეტონის ავტორი აღწერს ერთი ეგზემპლარის გაყიდვის სცენას. ორ თავადს, რომლებიც ბანქოს სათამაშოდ მიდიან, შესთავაზებენ წიგნს. გამკიდველის დიდი ხვეწნის შემდეგ თავადები დიდი ჭოქმანითა და მერყეობით იყიდიან ერთ ცალ წიგნს (წიგნის ფასი ხუთი მანეთია). ორი თავადი ერთ ცალ წიგნს იყიდის სანახევროდ, იმავე ღამით კი ბანქოში წააგებენ 200 თუხანს. მკითხველს არ ეგონოს, მათი სიძუნწე მოთამაშე კაცის სიძუნწეა. არა, მათი არგუმენტი ასეთია: ქართული წიგნი რა საჭიროაო, ქართული წიგნი არავის სჭირდება, ქართული ჟურნალი 200 ხელმომწერსაც ვერ აგროვებს, ქართული დრამატული დასი იხურება უსახსრობის გამო. ქართველი საზოგადოების დიდი უმრავლესობა არაა მზად არა მარტო თეატრისათვის, ჟურნალისთვის, წიგნისთვის, მას საერთოდ არ სჭერა ქართულ ენაზე დაწერილის ღირსებისა. ერთი სიტყვით, ყველაფერ ქართულს ფასი დაუკარგეს. მაშინდელ საქართველოს ხელის ჩაქნევის ბევრი მიზეზი ჰქონდა, როგორც ობიექტური, ისე სუბიექტური. პოლიტიკურმა მარცხმა 1795, 1881, 1804, 1812, 1819-1820, 1832, 1841... წლებში საზოგადოებას თითქოს გადაუწურა იქილი, ამ ასპარეზზე წარმატებისა. 1852 წელს „ციცქრის“, ხოლო 1853 წელს თეატრის დაარსების და მათი მალევე დახურვის ფაქტებზე უარყოფითად იმოქმედა საზოგადოების რწმენაზე. ვორონცოვმა საბოლოოდ ვერა, მაგრამ დიდი სწიტი მოუტანა მას რწმენის ელექტრის საშუალება. ქართულ ისტორიოგრაფიაში, ლიტერატურის ისტორიაში მიჩნეულია, რომ ვორონცოვის პოლიტიკამ კულტურულ სფეროში კეთილი ნაყოფი გამოიღო, ასევე — გიორგი ერისთავის „ციცქარი“ და მის მიერვე

დაარსებული თეატრი პროგრესული მოვლენა იყო. ეს ასეცაა. არ შეიძლება რომელიმე მათგანის უარყოფითად შეფასება, ეს იყო ერის სულიერ ცხოვრებაში დიდი მოვლენები, მაგრამ, ვფიქრობ, მათ გაუქმებაში იმავე ვორონცოვის ხელი ერია. მას სურდა ქართველობისათვის დემტიციებინა, რომ ისინი უკულტურო, მოუმზადებელი ხალხია. შევეცდები, დავასაბუთო ეს აზრი. მოვიხმოთ ვრცელი ანონაწერი იონა მეუღარჯიას მოგონებიდან, რომელიც ქართული დასის გასაქირზე მოგვითხრობს: „ახალი ტრუპა, ახალი რეჟისორით (?), ვორონცოვმა გადასცა ტფილისის თეატრის დირექციას. ქართულ კომედიას ყველაფერი თავისი ჰქონდა: ჯამაგირი, ტანისამოსი, რეპერტუარი. თუ დირექცია აღმოუჩენდა მას იმავე თანაგრძნობას, რა თანაგრძნობითაც ექცეოდა მას თავადი ვორონცოვი, მისი საქმე უტყველად კარგად უნდა წასულიყო. მაგრამ... ზოგიერთმა მოთავარმართებლის ხელქვეითმა სულ სხვანაირად შეხედეს ქართულ თეატრს იმ თავიდანვე, ეგებ განზრახ არ ყოფილიყო, მაგრამ ის კი ცხადია, რომ ქართული თეატრის საქმე ისე წაიყვანა მაშინდელმა თეატრის დირექციამ, რომ ტფილისის ხალხმა მაშინვე გული აიკრუა ჩვეს თეატრზე. ქართულ წარმოდგენებს დირექციამ ცალკე საღამოები როდი აღიზნა თეატრში. ისინი რუსულ და ძალიურ სექტაკლებს მიაკერა, თავსა და ბოლოს; როდესაც ქართული წარმოდგენა რუსულს მოჰყვებოდა, თეატრში თითქმის აღარავინ ჩნებოდა და როდესაც რუსული ქართულს მოსდევდა, ხალხი იგვიანებდა. ჩინოვნიკობა უფრო დადიოდა თეატრში და ამით რუსული დრამა და ოპერა უფრო მოსწონდათ, მათგან თეატრში უდროოდ დროს შემოსვლა და გასვლა სხვასაც უცრუებდა გულს. ამას გარდა, ჩვენი ტრუპისათვის კიდევ სხვაგვარად იყო სავნებელი რუსულ ტრუპასთან ერთსა და იმავე საღამოს წარმოდგენა... რაც უნდა ნიჭიერები ყოფილიყვნენ ჩვენი არტისტები, იმათი თამაშობა ისე დახელოვნებული არასოდეს არ იქ-

ნებოლა, როგორც რუსების და (ქალიშვილების არტისტიკისა, რომელიც სკოლა ჰქონდათ გამოვლილი: რუსებს ანასთან წარმოსადგინებდა მემბრები სხვა რიგი ღირსებისა ჰქონდათ. მაყურებლები ორ სექტაკლს ადარებდნენ ერთმანეთს და წაგებაში ჩვენები რჩებოდნენ. თავადი მიხეილ თუმანიშვილი, რომელიც ძლიერ ახლო უდგა ამ ქართულ თეატრის საქმეს, ამგვარად სხინდა ქართული წარმოდგენების ერთბაშად დაცემას, შემდეგ ჩინებულის დასაწყისის (იხ. გვ. „კავკაზი“ 1856 წ. № 8). ამავე აზრისა იყო განსვენებული ნ. ბერძენოვი. „კავკაზი“ 1854 წ. გვ. 31).

მიხეილ თუმანიშვილისა და ნიკო ბერძენოვის თვალსაზრისს რომ გვაცინოს, იონა მუნარგია ერთგვარად ეთანხმება კიდევ მათ და, თავის მხრივ, ამბობს სხვა მიზეზსაც: „საზოგადო გულგრილობა, გულგრილობა, რომელიც წარმოდგება არა მარტო ჩვენი უღრმელოებისაგან, არამედ რეპერტუარის სიღარიბისაგანაც, როგორც დაგვარწმუნა ზოგიერთმა ახალი პიესების სცენაზე დაღვამ, რომელზედაც ხალხი საქმალად დიდობდა“ (გვ. 31).

იონა მუნარგიას ვერ გაუხედავს, ვერც მიხეილ თუმანიშვილს და ნიკო ბერძენოვი ამხელენ აშკარად თავიანთ ექვს, რომ ქართული თეატრის პირვანდელი წარმატებით გამოწვეული შეფოტების შედეგი უნდა ყოფილიყო მისი შემდგომში ასეთ მდგომარეობაში ჩაყენება. მიზანი აშკარად შორს მიმავალი ჩანს. ვანა გულუბრყვილობა არაა ვირწმუნოთ, რომ თეატრს, რომლის დაარსებაში თვითონ მეფისნაცვლი ვორონცოვი იღებს მონაწილეობას და მისი პირვანდელი წარმატებით ასე „ხარობს“, ავიწროებს თეატრის დირექცია და ამის შესახებ არაფერი იცის თვითონ მეფისნაცვალმა ეს ჰგავს ლეგენდას კეთილი მეფის შესახებ. რომელმაც თავისი ქვეშევრდომების გასაპირის შესახებ არაფერი იცის.

არ უღიხინდა არც გიორგი ერისთავის „ციხისკარს“. შურნალის ქართული დასიხიით უდღეური აღმოჩნდა. „ციხისკარს“ 1852 წლის იანვრის ნომრის შინაარსს თუ ჩავხედავთ, ცხადი გახდება მისი გასაპირი: „ლექსები გ. ერისთავისა. მოლანური, მოთხრობა, მარლინსკისა, თარგ. გ. ერისთავისა“. ფაქტობრივად, ერთმა კაცმა შეავსო პირველი ნომერი. შურნალის არც შემდგომში უღიხინდა და აქ მარტო ხელისმომწერებში არ იყო საქმე. ამას, ეტყობა, ვორონცოვი კარგად ხვდებოდა და 100 ეგზემპლარი წმინდა ნინოს სახელობის ქალთა სასწავლებელს გამოუწერა თავისი ხარჯით. ჭკვიანმა მეფისნაცვალმა კარგად იცოდა, რასაც აკეთებდა.

ვორონცოვამდე საქართველომ არაერთი აჯანყება და შეთქმულება გამოიარა. მეფის რუსეთმა საქართველოს თავისი პოლიტიკური, სამხედრო სიძლიერე აჩვენა, მაგრამ ქართველი ხალხის

მოტევა მხოლოდ ამით ვერ მოხერხდა. საქართველო თავდაჯანჯარობას, საქართველოს არისტოკრატის მეფის რუსეთის ძლიერება სხვა სხრივაც ეგრძნო: პოლიტიკურ სარბიელზე დამარცხებული არისტოკრატია კულტურულ სარბიელზეც უნდა დამარცხებულიყო და ამ პოლიტიკის გატარებას ჭკვიანი კარისკაცი ესპარტოვოდა. ასეთ კარისკად მოველინა საქართველოს 1844 წელს ვორონცოვი. მან განიზარა შიგნიდან გამოედრნა ქართველთა რწმენა და ეგრძნობინებინა მათთვის რუსული კულტურის უპირატესობა. შეინშნა თუ არა მეფისნაცვალმა ქართული დასის წარმატება, მაშინვე გამოჩნდა „ურჩი“ დირექცია თეატრისა, რომელმაც ის მოიპოქნა, რაზეც მიხეილ თუმანიშვილი ჩივის შემოთ მოხმობილ ციტატაში.

იონა მუნარგია შეინშნავს: „ციხისკარი“ კი იბეჭდებოდა, მაგრამ შურნალის მკითხველი არ ჰყავდა“ (იონა მუნარგია, „ქართველი მწერლები“ გვ. 183, 11, 1844 წ.), როდესაც შურნალის მკითხველი არ ჰყავს, უჭირს საზოგადოებასაც და შურნალსაც. ამიტომაც წიხდა ის, რომ ქართველ საზოგადოებას ძლიერ გაუქტუდა გული. ამიტომაც აღარ სჭირდება იმ ორ თავადს ხულხან-საბას წიგნი და საზოგადოებრივად ყიდულობენ. საკუთარი ლიტერატურისა და ენის სრულყოფილების ექვი დიდხანს დრღინდა ქართველ კაცს. ვორონცოვის ჩათხილი მარცვალი დიდხანს დანებდა და დიდხანს ბიბინებდა ქართველთა გულგრილ გულსა და გონებაში. 1860 წლის სექტემბრის ნომერში ნიკო ნიკოლავი ფელეტონში „ქუთაისის ქორიანობა“ არისტოკრატულ ოჯახში გამართულ ასეთ დილოგს გადმოგვცემს: „ქ. ნ. თავადი აღექსანდრე ვახტანგის ძე ჯამბაურ-ორბელიანი უფროს მაინც უგდებს ჩვენი ენას, ყოვლის ძალითა ცდილობს, რომ არ დაიკარგოს.

ი. ნ. მე თქვენ გარწმუნებთ, რომ დროს კარგამს უბრალოთ. ამა რა სასარგებლოა ქართული ენა?

ქ. ნ. თქვენი სიტყვებიდან გამოდის, რომ დიდი არაფერი არ იქნება, ჩვენი სამშობლო ენა რომ დაკარგეთ.

ი. ნ. რა საქართველო ქართული ენა?

ქ. ნ. მე თქვენ გთხოვთ, რომ აიღოთ იანვრის წიგნი „ციხისკარს“ ამა წლისა და წაიკითხოთ ბაქარ ქართულისაგან მიწერილი წიგნი თეიმურაზ ვაკელთან. თქვენ არ წაგაგიტხამთ ის წიგნი?

ი. ნ. არ წაიკითხავს.

ქ. ნ. „ციხისკარს“ არ იწერო?

ი. ნ. დიან, ვიწერ.

ქ. ნ. რათ იწერთ „ციხისკარს“, თუ არ კითხულობთ?

ი. ნ. „ციხისკარი“ რომ არ გამოვიწერო, იტყვიან: სიძუნწით მოხდისო ან რა დიდი ფულია

შვიდი მანეთი, თუ გინდა გლახაკისათვის მი-
ჩუქებია.

კ. ნ. მამ მოვიტანოთ და წავიციოთხოთ ბაქა-
რის წიგნი.

ამის შემდეგ მოიტანეს იანვრის წიგნი და
წავიციოთეს შესავალი.

კ. ნ. აი, რისთვის არ უნდა დავკარგოთ ჩვენ
ენა!

ი. ნ. თქვენ რომ ქართული ენა არ გესწავ-
ლათ და რუსული კი კარგათ იცოდეთ, რა და-
გაკლდებოდით?!

ი. ნ.-ს რომ ვერაფერი შესაძინა, გულგატე-
ხილი „კ. ნ.“ ბოლოს ამბობს: „მსჩანს, რომ
უნდა გამოვიტაროთ წინათვე ჩვენი ენის და-
კარგვა“. როგორც ვხედავთ, ვრონცოვის მი-
ერ გადაციებული ჭია ხარობს და უფრო გვიან
მუხრანსკის თეორიად გადაიქცევა. ჭერ კი
ისევ 50-იანი წლებია.

ვრონცოვმა ქართველები საკუთარ შესაძ-
ლებლობაში დაიქცა, მაგრამ მას სხვა მიზანიც
ქმნიდა: მიუხედავად ყველაფერ ამისა, ქართვე-
ლები მაინც მადლიერნი უნდა ყოფილიყვნენ.
მთავრობა ჩვენზე ზრუნავს, მჭეტი რა ჰქნას. ჩვენ
თითონ არაფერი შევვიძლია რა და იმათი რა
ბაბაღიაო. მოვუხმინოთ, რას ამბობს ლავრენტი
არაღიანი 1859 წლის „ცისკრის“ მეცხრე ნო-
მერში გამოქვეყნებულ წერილში:

«Беглый обзор 12 книжек журнала
«Азия» января по декабрь 1858 г.».
ნ. ბერძენიშვილი».

„აგერ სამოცი წელიწადი ჩქარა შესრულდება,
რაც რუსს მთავრობამ მიპვილო მფარველო-
ბაში. გავიდა ორმოც და ათი წელიწადი და
ერთი არავინ გამოჩნდა ჩუენგანი, რომ ესურ-
ა აღდგინებდა ქართულის ლიტერატურისა, ისე
მისი მთავრობამ ინიშნა მს...“ (ხაზგასა-
ყრილან ჩვენია, ა. ბ.). ლავრენტი არაღიანის
ეს მოსაზრება გამოეკლისა რომ იყო, იქნებ
„ურადდება არც ვაგვემხვილებინა, მაგრამ ასე
ფიქრობდა მაშინდელი საზოგადოების დიდი
უმრავლობა. აქ ხაზგასმულ სიტყვებზე ძალზე
საზღვთო აზრია ჩადებული — ყოველგვარი
ს-კიეთ მოდის მფარველისაგან. ჩვენ კი, უწა-
დურნი, ამას არც ვიმსახურებთ და ვერც ვი-
ყენებთ. იმიტომ, რომ ძალია არ შეგვეწეს. აქე-
დან კი ერთი ნაბიჯი რჩება ვრონცოვის მამად
აღიარებადღე:

„პირველი აქტიორი ეყავ, ხალხმა დიდათ
შემიყვარა, ერთ დღეს ერისთავის პირით ვრონ-
ცოვმა დამიბარა.

„3000 უვილსა მიაღქრსა, ის ალერსიცი
არ მაქარა (ხაზი ჩემია, ა. ბ.).

ოქროს საათი მაჩუქა, გული ჩემი გახარა“.
ქართველებისადმი მეფისნაცვლის მამაშვილურ
დამოკიდებულებაზე სხვაქანაც „კოთხულობთ
და მაჭოთ ღვანამე არაა გამოეკლისი: ალექ-
სანდრე ორბელიანისა და ვრონცოვის დი-

ლოგის შედეგს, რომელიც შამილისადმი პირ-
ველის მიერ მიწერილი წერილის გამო გაიწა-
თა, აკაცი ასე გადმოსცემს: „მამაშვილური სი-
ამტკბილობით გაისტუმრა შინ დამშვიდებულნი“.

გასაკვირია აკაცის ასეთი ნათქვამი მისი სი-
ტყუების შემდეგ: „როგორც ვარანცოვის პო-
ლიტიკის მიმდევარს (ლაპარაკია გრიგოლ ორ-
ბელიანზე — ა. ბ.), ურუსებოდ ქართველის წა-
რომადგენა არ შეეძლო, მით უფრო, რომ სე-
ნეთი პირადად მისი დიდი მოწყალობელი იყო“.

ვრონცოვის საქმიანობის შეფასება უფრო
საშიშ ხასიათს იღებს ერის ფსიქოლოგიისათვის,
კულტურისათვის. მოვუხმინოთ, რას წერს ი.
ბოლონი:

«День появления комедии «Раздел»
на сцене 2-ое января смело можно на-
звать первым днем творения, началом
истинно грузинской литературы, что
царство хаоса в литературе миновало,
что наступило время, когда могут боль-
ше и больше возрастать науки, проц-
ветать искусство».

(იტატა ამოღებულია იონა მეუნარგიას წი-
გნიდან „ქართველი მწერლები“, II თბ., 1944
წ. გვ. 65—66). თურმე „ნამდილი“ ქართული
ლიტერატურის „დასაწყისიც“ წყალობა ყო-
ფილა მეფის რუსეთისა და ამ რუსეთის მოცი-
ქულის ვრონცოვისა. ერთი შეხედვით „უწ-
ყინარი, კეთილშობილური“ საქციელი მეფის-
ნაცვლისა თურმე შორს ნიშავალი მიზნებისთ-
ვის ესაქიროება რუსეთს და მისი პოლიტიკის
აღმასრულებელს.

ვრონცოვის ეპოქის ერთადერთი მწერალი,
რომელმაც ვერაფრით ვერ ირწმუნა „ქართველ-
თა მოყვარე“ მეფისნაცვლის გულწრფელობა,
ალექსანდრე ორბელიანი იყო, და მთელ მის
პოლიტიკას „მეღური პოლიტიკა“ უწოდა. და-
სახაბუთა კიდეც თავისი ამგვარი შეფასება ვო-
რონცოვის მოღვაწეობისა (ამის შესახებ იხ.
ვახტანგ კოტეტიშვილი, ქართული ლიტერა-
ტურის ისტორია, თბ.. 1959 გვ. 168—172).

მე-20 საუკუნეში ვახტანგ კოტეტიშვილმა
მოგვცა სრული დახასიათება „ვრონცოვის
ხანისა: „ვრონცოვის ხანა“ უნდა ჩაითვა-
ლოს იმ სისტემატიური რეაქციის ეპოქად,
რომელსაც მეფის რუსეთი აწარმოებდა საქარ-
თველოს მიმართ. ვრონცოვს მხოლოდ ის
„დამსახურება“ მიუძღვის, რომ მან გამოიჩინა
დიპლომატიური უნარი და მოქნილობა, რის
საშუალებითაც თავისი პოლიტიკის ბაღეში მო-
აქცია ქართული არიქტოკრატიის დიდი ნა-
წილი. ვრონცოვმა დიდი სამსახური გაუწია
რუსეთს, მაგრამ რა მფარველობა გაუწია სა-
ქართველოს, — არა ჩანს... მართალია მან ერ-
ოგულად მოკიდა ხელი ჩვენს ქვეყანას, კულ-
ტურას, თითქოს სათავეში ჩაუდგა, მაგრამ იგი
თავის საქმეს აკეთებდა. და თუ ზოგჯერ ქარ-
თულ საქმესაც გადმობედვდა, ეს იყო თვალის


ახვევა და შირმა“ (გვ. 169). მისი „ზრუნვა“. რომ მართლაც შირმა იყო, ზემოთ, თეატრის მაგალითზე გამოხსნდა.

პოლიტიკურად დამორჩილებული ქვეყნის სულიერი ვაცვედანება გრძელდებოდა. პროტესტის გაუბედავი ხმები მხოლოდ აქა-იქ გაისმოდა, ამასობაში კი იკვეთებოდა ფიქრი მდგომარეობიდან გამოსვლაზე. ალექსანდრე ორბელიანზე უკვე ვთქვით ზემოთ, უფრო ადრე, რუსული პოლიტიკის ის გენერალური ხაზი, რომელსაც ვორონცოვის მსგავსი „კლასიკოსი“ განმარხორციელებელი მოეწვინა, შემჩნეული იყო, უკმაყოფილებაც გამოთქმული. გაიხსენოთ გრიგოლ ორბელიანის ლექსიდან „მე ივერია“ (1832):

„შორით მოსული ჩემს მამულში მუვედრის ცხოვრებას,

მოყვრულად გემტერობს, გეჯანებს ყოველს, გვიქმს ალერსობას...“

სიტყვები „მუვედრის ცხოვრებას“, „მოყვრულად გემტერობს“, „გვიქმს ალერსობას“ ზუსტად სახავეს რუსეთის მაშინდელ პოლიტიკას. გრიგოლ ორბელიანმა დამპყრობის პოლიტიკის არსი გამოიცნო და დააფიქსირა. სხვა საქმეა, რას უპირისპირებდა თვითონ ამ პოლიტიკას შემოდგომში, თორემ შეთქმულების აქტიურ მონაწილე ორბელიანს კარგად ესმოდა ქვეყნის ხსნის აუცილებლობა. ლეონიძის ნაწინასწარმეტყველები გამართლდა: საზოგადოებამ თვალნათლივ იხილა, რომ სჭაღის ერთობა ვერ იქცევა ორი ქვეყნის მეგობრობის მტკიცე საძირკვლად, თუკი ისინი თვისებებით განსხვავდებიან. დაინგრა კეთილისწყოფელის. დამხმარის ილუზიაც... გაქრა ინტელიგენციის გარკვეულ ფენაში. ისე კი მეფის რუსეთმა, ძირითადად, ოციციალურად დაიმკვიდრა სახელი მხსნელისა, გულკეთილი მფარველისა, მზრუნველისა.



ჩვენ ი მის ამართი: თბილისი, 380026, ხიდის ქ. № 1, ტელეფონები: მთავარი რედაქტორი — 99.85.81; მთავარი რედაქტორის მოადგილე — 98.53.32; პასუხისმგებელი მდივანი — 98.47.62; განყოფილებები: 98.36.43, 98.43.75, საკორექტორო — 98.47.62.

გადაეცა ასაწყობად 28. 01. 94 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 5. 07. 94 წ., ქაღალდის ზომა 70×108¹/₁₆, ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 10. პირობით ფორმათა რაოდენობა 14, სააღრ. საგ. თაბახი 13.05. შეეკეთა 116. ტირაჟი 1000.

ურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლო“ 380009, თბილისი, მ. კოსტავას 14.

რედაქცია მაღლობას უხდის ბატონ მურმან ომანი-
აშვს, ვისი დახმარებითაც მოხერხდა „ცისკრის“ ამ ნომ-
რის გამოცემა.

-95

95-61



საქართველოს
საქართველოს
საქართველოს

სახლი 600 000 ქვეყნის

062386 70286

4298/2
0